

მ. ს. სარიშვილი

**ოსეთ-საქართველოს კულტურულ-
პედაგოგიური ურთიერთობა**

1801 — 1921

**გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1965**

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დიდძალი ფაქტიური მასალების ანალიზის საფუძველზე შეითხველს გააცნოს ოსეთ-საქართველოს ხალხთა მრავალხინიანი კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერთობა და ამით ხელი შეუწყოს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრული კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

Саришвили Тите Сачинович

Осетино-грузинские культурно-педагогические отношения

(на грузинском языке)

Издательство «Ганатлеба»

Тбилиси.— 1965.

რედაქტორი ნ. თალაკვაძე
მხატვრული რედაქტორი შ. ნიორაძე
ტექნიკური რედაქტორი ა. კაციტაძე
კორექტორი ე. ტაბუკაძე

ხელმოწერილია დასაბუქდად 20/VIII—65. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 18,5. საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 16,77.

ფასი 62 კაპ

შეკვ. № 935,

უე 00369.

ტირაჟი 1.000

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კაშის ქ., 18.
Издательство «Ганатлеба» Тбилиси; ул. Камо, 18.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. Ил Чавчавадзе, 1.

წინასიტყვაობა

კავკასიის ორივე მხარის ოსეთის სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორია ჯერ არ დაწერილა. ოს, რუს, ქართველ თუ სხვა მკვლევართა ცალკეული ნარკვევები უმთავრესად აღნიშნული პრობლემის ამა თუ იმ მხარეს შეეხებიან და, თავისთავად იგულისხმება, ოსეთის სკოლისა და პედაგოგიური იდეების განვითარების გზებზე, მის ისტორიაზე მთლიან წარმოდგენას მაინც ვერ იძლევიან.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ და რა გზების გავლით მიმდინარეობდა ქართველ ხალხთან მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მეგობრობაში მყოფი მეზობელი ოსი ხალხის კულტურული ზრდა-განვითარება, რა ნიადაგზე, როგორ პირობებში ეყრებოდა საფუძველი სახალხო განათლების პირველ კერებს, რა ამოცანებით განისაზღვრებოდა სწავლების შინაარსი ამ სკოლებში და ვინ იყვნენ განათლების პირველი პიონერები, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს კავკასიის მთის ხალხთა კულტურული განვითარების საქმეში.

ჩვენს ინტერესს შეადგენდა განსაკუთრებით XIX საუკუნის ბოლო წლები და XX საუკუნის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდი, რომლის შემდეგ ოსმა ხალხმა სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, წარმატებით უზრუნველყო ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება.

საარქივო მასალების, სკოლის ხელმძღვანელ უწყება-დაწესებულებათა ცირკულიარების, ოფიციალური ანგარიშ-მოხსენებების, სტატისტიკური მონაცემების, პრესაში გამოქვეყნებული მასალებისა და სპეციალური ნაშრომების გარდა, წინამდებარე ნარკვევში გამოყენებულია რუსული ლიტერატურის გენიალურ შემომქმედთა (პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის და სხვათა), ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატების (ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, გ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვ.) და ოსური პოეზიის და პუბლიცისტიკის ნიჭიერ წარმომადგენელთა (კ. ხეთაგუროვის, ა. გასიე-

ვის, გ. ცაგლოვის, ხ. ურუშიაგოვისა და სხვ.) პედაგოგიური ხასიათის წერილები, მხატვრული ქმნილებანი, ოსური ხალხური თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები, სხარტული სიტყვები და საერთოდ, ნართული ეპოსის ძაუკეთესო შედეგები, რომელთაც ჩვენი ნაშრომის სრულყოფისათვის „სამშენებლო მასალის“ მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, თითოეული ისტორიული ფაქტი, რომელიც ოსეთის სახალხო სკოლისა და პედაგოგიური იდეების განვითარების ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე ჯდება, მოვლენათა რეალური განვითარების ფონზე ხალხებს შორის ძმური ურთიერთობის ასპექტშია განხილული.

მეცნიერულ კვლევაში ჩვენ საყოველთაოდ აღიარებულ ლენინურ დებულებას ვემყარებით, რომ „ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, აღამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა“¹.

ჩვენ ყოველ ღჯანეს ვხმარობდით, რათა ჩვენი მიზნის განხორციელებისას ამ უტყუარი გზით გვევლო.

ნაშრომი ტექნიკური მიზეზის გამო საგრძნობლად შემცირებით გამოდის. ამდენად ზოგიერთი ხარვეზი თავიდან აცილებული ვერ იქნება. სამართლიან და ობიექტურ მითითებას წიგნის ავ-კარგზე ავტორი მადლობით მიიღებს.

I. საქართველო-ოსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობის წარმოშობის საკითხისათვის

საქართველოსა და მის მეზობელ ხალხებს შორის მეგობრულ კავშირს უძველესი დროიდანვე ჰქონია ადგილი. ეს კავშირ-ურთიერთობა დროთა მანძილზე სამხედრო-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების გავლენით შეტანაკლებად იცვლებოდა, მაგრამ ყველაზე ძნელბედობის პირობებშიაც კი იგი ურთიერთ შუღლსა და მტრობაში მაინც არ გადასულა. კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთობლივი წარმოშობა და მონათესავეობა დღეს მეცნიერებაში სადაო პრობლემად არ ითვლება.

„საერთო ისტორიული ბედ-იღბალი, ზოგჯერ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების მსგავსება, ახლო მეზობლობა წარმოადგენდა იმ მუდმივად მომქმედ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობდა კავკასიის ხალხთა კულტურისა და ყოფის მსგავსი ფორმების ჩამოყალიბებას, ამ ხალხთა შორის კულტურულ მონაპოვართა ურთიერთ მიმოქცევას, გაზიარებას“¹.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ქართველ-კავკასიელთა და კერძოდ, საქართველო-ოსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის საკითხი დღემდე სპეციალური კვლევის საგნად არ გამხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ საკითხებს, რომლებიც ჩვენი მეცნიერების სხვადასხვა დარგში სხვა პრობლემების რკვევასთან კავშირშია განხილულ-შესწავლილი.

„საუკუნეთა მანძილზე საქართველო წარმოადგენდა მახლობელი აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყანას და ეს გარემოება განაპირობებდა ქართველი ხალხის მნიშვნელოვან როლს კავკასიელთა კულტურისა და ყოფის მაღალგანვითარებული ფორმების შექმნის პროცესში. ამიტომ არის, რომ ქართველ-კავკასიელთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პრობლემა მუდამ წარმოადგენდა ქართული ისტო-

¹ რ უ ს უ დ ა ნ ხ ა რ ა ძ ე, კავკასიელ ხალხების ძმობა (გაზ. „კომუნისტი“, 1963 წ., 30 ნოემბერი).

რიული მეცნიერების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას¹. თუ ქართულ-კავკასიურ კულტურულ ურთიერთობათა მეცნიერული შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას, ქართველ ხელოვნებათმცოდნეებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და ეთნოგრაფებს, იგივე არ შეიძლება ითქვას ქართული ისტორიულ-პედაგოგიური მეცნიერების შესახებ. ჩვენი პედაგოგიკის ისტორიკოსები საკმაოდ ბევრს და საფუძვლიანადაც წერენ ქართული სკოლის ისტორიის, რუსეთისა და საზღვარგარეთელი გამოჩენილი პედაგოგების შესახებ, მაგრამ დღემდე თითქმის არაფერი დაწერილა კავკასიის ხალხებთან ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერთობის საკითხებზე, რომელსაც საბჭოთა ხალხების პედაგოგიკის ისტორიის მეცნიერული მონოგრაფიისა და ამ დარგში ფუნდამენტალური გამოკვლევების შექმნისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნებოდა.

ჩვენს მწერლობაში ლტოლვა კავკასიური კულტურის შესწავლისა და მეზობელ ხალხებთან ქართველთა დამოკიდებულების საკითხების მხატვრულ სახეებში ასახვისადმი უფრო მეტად შეინიშნება, ვიდრე ჩვენს ისტორიკოს-პედაგოგებში, რომლებიც არანაკლებ არიან მოწოდებულნი სწორად იკვლიონ და ნათელი მოპოვებონ ოსეთ-საქართველოს პედაგოგიური ურთიერთობის საკითხებს.

გამოჩენილი ქართველი მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც თავის მაღალმხატვრულ ნაწარმოებში „დავით აღმაშენებელში“ ოსეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობისა და ძმური დამოკიდებულების ისტორიის ბევრი ამაღლევებელი მაგალითი აქვს მოტანილი, სწორად შენიშნავს, რომ „...ჩვენს ისტორიკოსებს ჯერაც საფუძვლიანად შესწავლილი და ანალიზებული არ ჰქონიათ ძველი საქართველოს გარესამყარო, ე. ი. ჩვენი უშუალო მეზობლები და ჩვენი მტრები, იმჟამინდელი მათი ცხოვრება, სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და ჩვენს ხალხთან ურთიერთობა“.

ეს საყვედური ამჟამად პედაგოგიკის ისტორიის მკვლევარებს უფრო მეტად შეეხება, ვიდრე მეცნიერების სხვა დარგების სპეციალისტებს, რომლებიც კავკასიის ხალხთა ეროვნული კულტურის ურთიერთდამოკიდებულების ისტორიის სხვადასხვა სფეროს შესწავლისათვის გარკვეულ მუშაობას ეწევიან და წინ — საგრძნობ ნაბიჯებსაც დგამენ.

¹ რუსული ან ხარაძე, კავკასიელი ხალხების ძმობა (გაზ. „კომუნისტი“, 1963 წ., 30 ნოემბერი).

² კონსტანტინე გამსახურდია, თხზ., ტ. IV, 1962 წ., გვ. 798.

ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერის, ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ნიჭიერი მკვლევარის—გ. დ. თოგოშვილის შეხედულებით: „საერთოდ... ოსეთის და საქართველოს კულტურული ურთიერთობის საკითხი სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არ გამხდარა. როცა ზოგიერთი მკვლევარი აღწერდა ოსეთში არსებულ საკულტო ნაგებობებს (ნუზალის საყდარს, რექომს, ძივგისის ტაძარს), მათ ქართულ წარწერებს და დაასკვნიდა, რომ ოსეთში ქრისტიანობა საქართველოდან შევიდა, ყოველივე ეს იძლეოდა ბიძგს საკითხის სპეციალური შესწავლისათვის. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ შორს არ წავსულვართ და ეს უპირატესად საინტერესო საკითხი თავის მომავალ მკვლევარს მოეღოს“¹.

ახალგაზრდა საბჭოთა ისტორიკოსი სწორად მიუთითებს კავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის ისტორიის კვლევის დარგში არსებულ ამ ხარვეზზე და ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ასეთ კვლევას ენიჭება ამ ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში.

* * *

საქართველოს მეგობარ და მეზობელ ხალხთა შორის, განსაკუთრებით ჩვენს ინტერესს შეადგენდა ქართველთა და ოსთა კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერთობის საკითხების კვლევა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს ურთიერთობა მეტ-ნაკლებად ორმხრივ ხასიათს ატარებს, რამდენადაც თითქმის არასოდეს არ ყოფილა ისე, რომ ერთი ერი ან ხალხი, რომელიც მეზობელ ერზე კულტურულად შედარებით უფრო ძლიერია, მუდამ თავისი კულტურის „გამსესხებლის“ როლში გამოდიოდეს და მეზობლისაგან არასდროს არაფერს არ „იღებდეს“, რაც საინტერესო, სასარგებლო და საჭიროა მისი ხალხის წინსვლა-განვითარების ინტერესებისათვის. ასე რომ არ ყოფილიყო, ერი ცუდ მასწავლებელს დაემსგავსებოდა, რომელიც ცოდნას მუდამ სხვებს „აწვდის“, მაგრამ თვითონ სხვებისაგან არაფერს „იღებს“, გონებრივად იფიტება და არარაობად იქცევა. ქართველი და ოსი ხალხები, მეზობლობის მთელი ისტორიის მანძილზე, მუდამ მეგობრულად იყვნენ განწყობილი და სამხედრო-ეკონომიურ ურთიერთდახმარებასთან ერთად, ერთმანეთს შორის კულტურულ კავშირსაც ამყარებდნენ. ოსებისადმი სიმ-

¹ გ. დ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 242.

პათიისა და მეგობრობის ფრანკობები ბევრს აღრინდელ და ახალ ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებშია გამოხატული.

ჩახრუხადის „თამარიანი“ დავით სოსლანის სამხედრო გმირობა, მისი სიმამაცე და ვაჟკაცობა საოცარი მომხიბვლელობითაა შექმნილი.

...დავით ძლიერი, მხნე უძლეველი,
წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი,
მეფეთა სკიპტრა, პორფირთა მკმელი.
...რომელ დღეს ტაოს მოემატა ოს
ისპირს და შარვანს შოვლაა ძნელი¹.

ეს ფაქტი იმის უტყუარ საბუთს წარმოადგენს, რომ ოსეთი და ოსი ხალხის ცხოვრება, შრომა, ბრძოლა და შემოქმედება ჩვენი ქართული მწერლობისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა.

ქართველები (თუ ფეოდალურ-ბურჟუაზიული არისტოკრატის ერთ ნაწილს არ მივიღებთ მხედველობაში) ყოველთვის ცდილობდნენ ოსებთან ძმური ურთიერთობის დამყარებას, ხელს უწყობდნენ მათი ცხოვრების წინსვლას და ამ ხალხებს შორის კულტურული კავშირის განმტკიცებას.

ამას ნათლად ადასტურებს „ცხოვრება წმინდისა ნიკოლოზ დვალისაჲ“. ეს ნაწარმოები დიდად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ გვიხატავს რეალურ სურათს ქართველთა და ოსთა საერთო მდგომარეობისა XIII—XIV საუკუნეში. ნიკოლოზი დვალეთიდან ან ჯავის ხეობის დიდი ლიახვის ოსეთიდან იყო. მისი ცხოვრება გვაწვდის ცნობებს ოსების ქრისტიანობისა და ქართველებთან მათი დამოკიდებულების შესახებ².

ნიკოლოზ დვალის ცხოვრება ერთგვარ წარმოდგენას იძლევა, თუ რა ძლიერი იყო ქრისტიანობის გავლენა დვალეებზე, მის მეზობელ ოსებზე და როგორ უწყობდა იგი ხელს კავკასიის მთის ხალხებისა და, კერძოდ, ოსების ქართველებთან დაახლოებას.

აკადემიკოს გ. ახვლედიანის შეხედულებით, ძველი ქართული და სხვა წერილობითი წყაროები, აგრეთვე, მატერიალური კულტურის ძეგლები უტყუარ ცნობებს გვაწვდიან ქართველ და ოს ხალხებს შორის უძველესდროინდელი საზოგადოებრივ-კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის შესახებ; დაბეჭდვითი მეტყველებენ

¹ ჩახრუხადი, თამარიანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1937; სტროფები 74, 80.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, გვ. 500—501.

იმაზე, რომ მჭიდრო ურთიერთობა ჩვენს ხალხებს შორის მრავალსაუკუნის მანძილზე არ სწყდებოდა, მაშინაც კი, როდესაც გარკვეული პოლიტიკური სიტუაცია ან საქართველოსა და ოსეთის გაბატონებულ კლასთა და სახელმწიფო ხელისუფალთა წარმომადგენლები არაკეთილგანწყობილი განზრახვით ხელს არ უწყობდნენ ქართველი და ოსი ხალხების კეთილმეზობლურ ურთიერთობას¹.

ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობისა და ენობრივი კავშირის საკითხში აკადემიკოსი გ. აბვლედიანი საკვებით იზიარებს ცნობილი ოსეთოლოგის, ოსი მკვლევარისა და ფილოლოგის ვ. აბაევის აზრს, რომლის გაგებით: „ოსეთ-საქართველოს კულტურული კავშირი თავისი ხანდაზმულობით, სიმდიდრით, სირთულით და ინტერესით იმსახურებს იმას, რომ ის სპეციალური კვლევის საგნად გახდეს“².

მაგრამ, ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობა, ღღემდე მხოლოდ ფრაგმენტულადაა შესწავლილი. აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ცნობით: „ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღება საგარეო ურთიერთობის მხრით უპირატესად ომს ექცეოდა და იდეურ-კულტურული თუ სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან ჩვენი ისტორიოგრაფიის ყურადღების გარეშე რჩებოდა“³. ისიც ცნობილია, რომ ეკონომიურად და კულტურულად განვითარებულ ქვეყანა — საქართველო, ოსებს და სხვა მეზობელ ხალხებს ანდამატივით იზიდავდა⁴. საშუალო საუკუნეებში ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ნიადაგზე ოსთა და ქართველთა შორის მეგობრობა გაღრმავდა, ნათესავ-მოყვრობა განმტკიცდა, კიდევ უფრო აუცილებელ გახდა საერთო სალაპარაკო ენის გამოყენება.

XV—XVI საუკუნეებში, შინაური არეულობისა და გარეშე მტრების დამარბვეი შემოსევების გამო, როგორც საქართველოს, ისე ჩრდ. კავკასიელთა მეურნეობა და კულტურა (წინა საუკუნეებთან შედარებით) დაეცა. მოსახლეობის მასობრივი ჟლეტა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო კერების აოხრება სპობდა ქართველი ხალხის საუკეთესო ტრადიციების თაობიდან თაობაზე

¹ Г. А х в л е д и а н и, Сборник избранных работ по Осетинскому языку, I, 1960, გვ. 160.

² В. А б а с в, Осетинский язык и фольклор, I, 1949, გვ. 9—94.

³ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII ს. მიჯნაზე, მასალები საქართვ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1944, გვ. 4.

⁴ გ. დ. თ. გ. ო. შ. ვ. ი. ლ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე), 1958, გვ. 129.

გადაცემისა და მეზობელი ერების მოსახლეობაში მისი გავრცელების შესაძლებლობას, იწვევდა სწავლა-განათლების, ხელოვნების, პოეზიისა და კულტურის სხვა დარგებში წინსვლა-განვითარების შეფერხებას, რაც თავის მხრივ, შესაბამის გამოხატულებას პოულობდა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობაში.

ირან-თურქეთის დამპყრობლებისა და ადგილობრივი ამხედრებული ზოგიერთი თავაშეებული მებატონის წინააღმდეგ, ქართველი მეფეები ოსებში თავიანთ დამხმარე ძალას პოულობდნენ, ხოლო სამაგიეროდ ისინი ფულად გასამრჯელოს, საქართველოს ქალაქებში „თავისუფლად“ ვაჭრობის უფლებას, „აზნაურის წოდებას“, სიგელებსა და სხვა საჩუქრებს იღებდნენ¹. ქართველებსა და ოსებს შორის ამგვარი კავშირის განმტკიცების იარაღად გამოყენებული იყო ქრისტიანული რელიგია. ქართველი მეფეები ოსეთში აგებდნენ ქართული სტილის ეკლესია-მონასტრებს, აწარმოებდნენ წინათ დანგრეულ საკულტო ნაგებობათა აღდგენას, აძლიერებდნენ ეკლესიის მსახურთა მისიონერულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ გამოხატულებას პოულობდა ქართველთა და ოსთა კულტურულ ურთიერთობაში, ენისა და საერთოდ, მეტყველების ურთიერთზეგავლენასა და განვითარებაში.

XVI—XVII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელ ოსებზე ქართველთა პოლიტიკურ-კულტურული ზეგავლენა ოსმალეთის მიერ მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად საკმაოდ შესუსტდა, მაგრამ კავშირი მათ შორის მაინც არ გაწყვეტილა. ერთ-ერთი ქართველი მწიგნობრის გადმოცემით, 1640 წელს თეიმურაზ კახთა მეფემ, რომელმაც დროებით ოსეთს შეაფარა თავი „...შეადგინა ოსთა ძეთა დასი და მათ მიუჩინა წერა-კითხვის მასწავლებელნი, რომელთაც ოსეთში გახსნეს სკოლები“².

ზოგიერთი ცნობით, ზნეთსწავლულობის იშვიათმა მქადაგებელმა, ოსეთში დროებით თავშეფარებულმა (1690 წ.) არჩილ მეფემ „...ოსთა მოწინავე პირნი შეჰყარა და მათ უქადაგა სწავლა-განათლების მნიშვნელობა და თვალის გახილება. ოსებმა თანხმობა განუცხადეს. მერე არჩილ მეფემ რამდენიმე ოსი რუსეთში გაიყოლა

¹ История Северо-Осетинской АССР, изд. АН СССР, М., 1959, გვ. 102. ამგვარ დიდგვარიან ოსების წრეს ეკუთვნოდნენ ხეთაგუროვები, ამირხანოვები, ზიდნახანოვები და სხვები.

² ზ. კ. ბიძინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზე, 1916, გვ. 14. ცხადია, აქ ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ არა სახალხო სკოლებზე, არამედ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ ერთეულ სასწავლებლებზე, სადაც შეძლებულთა შვილებს ელემენტარულ ცოდნას აძლევდნენ.

და 1700 წელს მოსკოვში მათ გააცნო რუსული სასტამბო საქმეები და მასთანავე ახლად ჩამოსხმული ქართული ასოების ყალიბები, ოსებს ქართული საბეჭდო ასოების ნახვა დიდად მოეწონათ¹. და მართლაც, არჩილ მეფის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი, იმერეთის სამეფო ტახტზე დაბრუნების მიზნით დახმარებისათვის ხშირად მიმართავდა მოსკოვს. 1699 წ. არჩილი საბოლოოდ მოსკოვში გადასახლდა, ხოლო 1703 წ. იქ მოაწყო ქართული სტამბა და ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო. ამრიგად, საფიქრებელხა, რომ არჩილმა. მართლაც მოიწვია თავისთან ოსების გარკვეული ჯგუფი, აუხანა მათ სწავლა-განათლების მნიშვნელობა, გააცნო მოსკოვში მის მიერ მოწყობილი ქართული სტამბა, ქართული შრიფტი, წიგნის ბეჭდვის წესები, რადგანაც, როგორც პოეტი და საზოგადო მოღვაწე, იგი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო კავკასიის მთის მოსახლეობაში კულტურის გავრცელებით².

გიორგი XI (რომელიც ქართლში 1676—1688 და 1703—1709 წწ., მეფობდა) ჩრდ. კავკასიის ოსეთთან, მკვიდრო ურთიერთობა ჰქონდა. მეგობრული ურთიერთობის ნიშნად, მან ოსეთის მონასტრებს (ცეისის რაიონის სოფ. ძივგისში) ნაჩუქრობის წარწერით ზარები შეწირა, ხოლო შემდეგ თვითონაც და მისმა ძმამ არჩილმა, რომლებიც სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ იბრძოდნენ, თავშესაფარი ჩრდ. ოსეთში ჰპოვეს³.

ვახტანგ VI მეფობის ხანაში (1703—1716) ქართლში გაცხოველდა კულტურული მოღვაწეობა. ქართულ და უცხოურ სამართლის წიგნთა კრებულს ვახტანგ მეფემ მის მიერ დამუშავებული „სჯულიც“ დაურთო. ამავე პერიოდში შეიქმნა ვახტანგის მეორე საკანონმდებლო წიგნი — დასტურლამალი. კულტურული მუშაობის გაშლას და წიგნიერების გავრცელებას ხელს უწყობდა ვახტანგ VI მიერ 1709 წ. თბილისში პირველი სტამბის დაარსება. ამიერიდან საეკლესიო და საერო ხასიათის წიგნები ჭელმისაწვდომი გახდა, როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ბარისა და მთის მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ვახტანგის სამართლისა და საისტორიო ხასიათის ნაშრომები, „სწავლულ კაცთა“ კომისიის მეცნიერული გამოკვლევები, ვახუშტი ბატონიშვილის

¹ ზ. კიკინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი დაღვაწი მათზე, 1916, გვ. 14.

² ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, აკ. შანიძის რედაქციით, 1950, გვ. 175—177.

³ В. Скитский, Очерки по истории Осетинского народа с древнейших времен до 1867 года, Дзауджикау, гв. 120, 125, 126.

გეოგრაფია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და იგავ-არაყე-
ბი, დავით გურამიშვილის პოეტური ქმნილებანი და მორალური ქა-
დაგებანი გარკვეულ როლს ასრულებდნენ არა მარტო ქართველთა,
არამედ კავკასიის მთის ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში.

კულტურის გავრცელებას ოსეთში ადასტურებს ნუზალის სამ-
ლოცველოში აღმოჩენილი „აღლუზიანის“ ქართული ტექსტი, რომე-
ლიც პოეტს, სახალხო მოღვაწეს და პედაგოგს — იოანე იაღლუ-
ზიძეს ეკუთვნის. ხემიონოვის გადმოცემით, სამლოცველოში ინახე-
ბოდა ოსი პოეტის — იოანე იაღლუზიძის მიერ ქართულ ენაზე და-
წერილი პოემა — „აღლუზიანი“¹. ასევე შეიძლება ითქვას ქართული
წიგნების გადაწერისა და მათი გავრცელების შესახებ, რომელსაც
XVII საუკუნეში ოსებს შორის არც თუ იშვიათად ჰქონდა ადგილი.
პროფ. ალ. ლლონტის ცნობით, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკო-
ნის („სიტყვის კონა“) 1760 წლის ერთ ნუსხაზე ასეთი მინაწერია:
დაცული: „ლექსიკონისა ამის პირველად გარდამოწერელი ოსის შვი-
ლი გვრივიძე ბახტა, ყოფილი ბაგრატი, გევედრები მხურვალთა გუ-
ლითა უფალნო, უკეთუ შეცდომილი რამე იხილოთ, ნუ მწევთ, თუ
უკეთუ თქვენდა არად დასაკლის იყოს. შენდობის წყალობას ვით-
ხოვ, ხოლო აღიწერა წელსა ჩლჲ (1760), მაისის გ(ვ)“².

ამას მოსდევს საანდერძო ლექსი, რომელიც საბას ლექსიკონის
მთარგმნელის ვინაობას და მის მიერ შესრულებული შრომის რაო-
ბას გვამცნობს. აი ეს ლექსიც:

მამამან პახუმ აღმზარდა, სულით არს განათლულია,
ოსნი მიწოდნენ ბახტასა, ბაგრატი ვარ მონათლულია,
ბაზაზაშვილი გვრივიძე სოფლით ვარ ქურთაულია;
წიგნი და კითხვა მასწავა, წერა თან შენართულია.

ლექსიკონს ჯელ-ვყავ აღწერად, ენით არს ეს ქართულია,
ამას ეშრომობდი, ვიღვწოდი, მდიოდა თვალსა ლულია.
რა ვსრულყავ ესე, დავიდე თავითა სართაულია,
ნუ მწყევთ, მკითხველნო ამისნო, თუც ნახოთ უმართულია³.

წარმოდგენილი დოკუმენტი ადასტურებს, რომ: ა) ოსები ქართულ
წერა-კითხვას საოჯახო აღზარდის გზით სწავლობდნენ; ბ) სწავლებას
ხელმძღვანელობდნენ სასულიერო განათლების მქონე პირები;

¹ Л. Семенов, К вопросу о культурных связях Грузии и народов Северного Кавказа, см. Материалы и исследования по археологии Северного Кавказа, изд. АН СССР, гв. 305—306.

² ალ. ლლონტი, ნარკვევები, 1955, გვ. 130—131 შდრ. საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერთა (H—ფონდის) ძალწერილობა, 1. ილ. აბულაძის რედაქციით, 1946, გვ. 220.

³ იქვე, ლექსი გამოქვეყნებული აქვთ ლ. ქუთათელაძეს და ლ. კასრაძეს.

გ) სწავლების შინაარსი უმთავრესად გულისხმობდა აღსაზრდელებში წერა-კითხვისა და წიგნის გადაწერის, ცოდნისა და სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებას. ამრიგად დასტურდება, რომ XVIII საუკუნეში ოსები ქართულ წიგნსა და ქართულ წერა-კითხვას სწავლობდნენ. ამით ისინი ბელს უწყობდნენ მეცნიერების გავრცელებას ოსეთში და კავკასიის მეზობელ ხალხთა შორის კულტურული კავშირის განმტკიცებას.

ქართველი მისიონერები ოს ბავშვებს თავიანთი ხარჯით ასწავლიდნენ. ამ საქმეში აქტიურ როლს ასრულებდა 1745 წელს კავკასიის ცენტრალურ რაიონში (მდ. ფიაგდონთან) დაარსებული „ოსეტინსკოე პოდვორიე“ („ქვემონასტერი“), რომლის ხელმძღვანელობის მთავარ მიზანს შეადგენდა ოსებში ქრისტიანობის დანერგვა და ადგილობრივ მოსახლეობაში მართლმადიდებლობის გავრცელება. ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო ხდებოდა სკოლების გახსნა, წიგნების შედგენა-თარგმნა, ბავშვებისა და მოზარდებისათვის წერა-კითხვისა და რელიგიური საგალობლების სწავლება. მაგალითად არქიმანდრიტ პახომის მიერ სინოდში 1753 წლის თებერვალს წარდგენილი „რაპორტიდან“ ირკვევა, რომ ის ოს ყმაწვილებს თავის ხარჯზე ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა¹.

ასეთივე მოღვაწეობას ეწეოდა ოსეთში არქიმანდრიტი გრიგოლი, რომლის აღზრდილთაგან ნაწილი განაგრძობდა სწავლას და შემდგომ საგანმანათლებლო საქმიანობისათვის თავისავე მხარეში ბრუნდებოდა². სახელმძღვანელო წიგნები, უმეტესად, ქართულიდან ითარგმნებოდა. ამგვარი წიგნების თარგმნის ინიციატორები ქართველი მისიონერები იყვნენ. არქიმანდრიტ პახომის 1753 წლის თებერვლის „რაპორტიდან“ ვგებულობთ, რომ „ოსეთის სასულიერო კომისიის“ ხელმძღვანელობით ჭერ კიდეც 1746 წელს დაუწყიათ ქართულიდან ოსურ ენაზე საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა, რომლის საფუძველს ქართული ანბანი წარმოადგენდა. „რაპორტიდან“ დასტურდება, რომ ზოგიერთი წიგნი ქართულიდან ოსურად უკვე უფრო ადრეც ყოფილა თარგმნილი, ხოლო ზოგიერთი თარგმნა-გამოცემის პროცესში იმყოფებოდა³.

წარმოდგენილი ფაქტებიდან ცხადია, რომ ქართული იტალიის საფუძველზე ოსური წიგნების ბეჭდვის წარმოშობას ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, რომლის ფუძემდებლად ითვლებიან ქართველი მისიონერები.

¹ «Материалы по истории Осетинского народа», т. V, стр. 34.

² იქვე, стр. 39.

³ იქვე, стр. 31, 33.

პროფესორ მოსე ჯანაშვილის ცნობით, ერეკლე მეორის მეფობის დროს (1744—1798) ოსურ ენაზე (მისთვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშნის დამატებით) სამეფო სტამბაში გამოსულა ქართული საეკლესიო შრიფტით დაბეჭდილი საღვთისმეტყველო წიგნები.

ამგვარი წიგნების ბეჭდვა მას შემდეგაც გრძელდებოდა, რაც საქართველოს მთავრობა რუსეთის მმართველობით შეიცვალა¹.

მ. ჯანაშვილის განმარტებითი შენიშვნებითაც დასტურდება, რომ: პირველი ოსური „...საეკლესიო წიგნი სტამბიდან 1759 წელს გამოვიდა“. ღვთისმსახურების წიგნების ნიმუშები ოსურ ენაზე, — ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიაც ყოფილა დაცული, სადაც დაწვრილებითი ცნობები ოსტების გაქრისტიანებისა და მათივე ენაზე წიგნბეჭდვის შესახებ სპეციალურ ნაშრომში იყო გამოქვეყნებული². პროფესორ მ. ს. ტოტოევის თქმით: „ქართული გრაფიკით პირველი ოსური ბეჭდური წიგნის გამოჩენა ამ ეტაპზე ოსეთის ისტორიაში არ წარმოადგენდა შემთხვევით მოვლენას, რამდენადაც ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიით ამისათვის სათანადო ნიადაგი იყო მომზადებული“³.

მართალია, ქართულ გრაფიკზე დაფუძნებული პირველი ოსური ბეჭდური წიგნი რელიგიური ხასიათის იყო, მაგრამ ეს არ ამცირებს იმ უდიდეს როლს, რომელიც ამ წიგნებმა შეასრულეს ოსური კულტურის განვითარების ისტორიაში. პირველი ბეჭდური წიგნი ოსურ ეროვნულ კულტურის პირველ ქვაკუთხედს წარმოადგენდა, რომელმაც დასაბამი მისცა ეროვნულ ნიადაგზე ოსური დამწერლობის განვითარებას. ამრიგად, თბილისის სტამბაში 1778 წელს დაიბეჭდა „ოსურ-ქართული ლოცვის წიგნი“ — ხუცურის ახლებით, ხოლო 1794 წელს ოსურ ენაზე ხუცური შრიფტით გამოვიდა „ფსალმუნი“⁴, რომელიც იმ დროისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოსეთში არა მარტო ქრისტიანული რელიგიის, არამედ ეროვნული „კულტურის“ საწყისი ელემენტების გავრცელების საქმეში.

1786 წელს მოზდოკის სტამბაში დაიბეჭდა ოსურ-ქართული ლოცვის წიგნი, ხოლო მოსკოვის ქართულ სტამბაში „ოსური ანბანი

¹ Проф. М. Джанашивили, Известия Грузинских летописей и историков о Северном Кавказе и России, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. 22, 1897, отд. I, гл. 64.

² იქვე.

³ М. Тотоев, Народное образование и педагогическая мысль в дореволюционной Северной Осетии, С. О. изд. г. Орджоникидзе, 1962, гл. 12.

⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 779, გვ. 3.

ქართული ასოებით¹, რასაც შემდეგში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი, ოსი და რუსი ხალხების კულტურული დაახლოებისათვის.

ამგვარად, ქართველ მოღვაწეთა მიერ შედგენილი და დიდი შრომით შექმნილი ქართულ-ოსური წიგნები „...მაღე გავრცელდა კავკასიის ტომთა მცხოვრებთ შორის და იმ დროიდან წიგნის გამავრცელებელ და მასწავლებელ იქნენ მცხეთაში განსწავლულნი ბრძენნი მამანი ქართველთა, ოსთა და სხვათა, რომელნიც ასწავლიდნენ ხალხს წერასა და კითხვას“².

ქართული წიგნები, საქართველოა ხელოვნება და კულტურა კავკასიის მთის ხალხებისათვისაც თანდათანობით მახლობელი ხდებოდა. საქართველოში მოქმედ სასწავლებლებში ოს მოსწავლეთა რიცხვი საკმაოდ იზრდებოდა³.

ერეკლე II ხანაში ისევ განახლდა „ვახტანგის გადასახლებისა და ოსმალ-ყიზილბაშობის შედეგად შეფერხებულ-შეწყვეტილი კულტურული მუშაობა“⁴. კვლავ ამუშავდა თბილისის სტამბა. გაუმჯობესდა წიგნების ბეჭდვა-გავრცელების საქმე. კერძო სკოლების გვერდით გამრავლდა სახელმწიფო სკოლების რიცხვი. ქ. თბილისში (1756 წ.) და თელავში (1782 წ.) გაიხსნა ფილოსოფიის სემინარია, სადაც გაჩაღდა სასწავლო და სამეცნიერო-კულტურული მუშაობა.

აღნიშნული სასწავლებლებიდან გამოსული და ანტონ კათალიკოსის მიერ აღზრდილი პირები საქართველოს და რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ავრცელებდნენ ამ დროისადვის შესაფერ კოდნას.

მაგრამ განათლებაზე ზრუნვას ამ პერიოდში სხელს უშლიდა მტრის დამრბევი შემოსევები, რომლის წინააღმდეგ მეფე ერეკლეს კავკასიელთა ყველა ტომის დარაზმვა უხდებოდა.

კავკასიის მთის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას მშვენივრად გამოხატავს სოლომონ ლიონიძე, რომელიც ერეკლე მეორის დაკრძალვის დროს წარმოთქმულ სიტყვაში („მოთქმით ტირილი“) ამბობს: „როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაღესტნელი ლაშქრად მორბიან, ოგსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ხალისობენ“⁵.

¹ ი. ქ. ე. ნ. № 780, გვ. 2. იხ. ნარკვევი: ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მეჩვიდმეტე საუკუნიდან.

² ზ. კ. ი. ნ. ა. ძ. ე., ოსეთის ისტორია, 1913, გვ. 34.

³ ოსეთის ისტორია, ქართულის ისტორიულის წყაროებით, ზ. კ. ი. ნ. ა. ძ. ე. მოკემა, გვ. 220.

⁴ ნ. ბ. ე. რ. ძ. ე. ი. ო. ე. ო. და სხვ., საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 403

⁵ ნ. კ. ა. ნ. დ. ე. ლ. ა. კ. ი., სოლომონ ლიონიძე, სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, „ხელოვნება“, 1957, გვ. 39.

პროფ. კ. გრიგოლიას აზრით, სავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ „ქართლის ცხოვრების“ ცნობები, რომ „...ბრძოლებში გამოწრთობილ კავკასიელთა მეგობრობას ამის შემდეგაც არა ერთი დამპყრობელი დაუმარცხებია“¹.

1778 წ. 20 იანვარს ერეკლე II ბრძანება გამოსცა, რომელიც ოსებს და ქართველებს „ერთობით“ მეფის ერთგულებაზე მოუწოდებდა².

ერეკლე II ხალხს წყალობას და დახმარებას პირდებოდა³. ეს, ის პერიოდი იყო, როდესაც კავკასიის მთის ოსებში მწერლობის, საფილოსოფოსო და საეკლესიო ცოდნის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ანტონ კათალიკოსის აღზრდილი სასულიერო პირები, მათ შორის გამაღიელ ოს ყოფილი არქიმანდრიტი „წერილითა და გალობითა შინა გამოცდილი და არიხმატიკოსი... მწერალი უცხო, რომელმაც მრავალნი სამღვთონი და საერონი გარდასწერა ვიდრე სამასამდისინ“ და რომელიც საკმაო ხნის განმავლობაში იკორთის მონასტრის ეკლესიაში მოღვაწეობდა⁴.

ოსეთში საფილოსოფოსო ცოდნის, მწერლობისა და კულტურის გავრცელების საქმეში საკმაო წვლილი შეიტანეს აგრეთვე ანტონ კათალიკოსის აღზრდილმა ოს ყოფილმა ნეოფიტემ და იოანე წილკნელ ეპისკოპოსმა ქარუმიძემ, რომელიც, როგორც ცნობილია: „...აღიზარდა გარეჯის მონასტერსა შინა სიყრმითგან და ისწავა მუნ ფილოსოფია და სხვანი სწავლანი, იყო მშვენიერი მოუბარი და... მცოდნე; ამან აღზარდა რაფდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოს ყოფილი, რომელმანც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი და მრავალნიცა დაიმოწაფნა“...⁵.

ზემოაღნიშნული ფაქტები ცხადყოფენ, რომ საქართველოს სამეფო კარზე და სამონასტრო სასწავლებლებში დროის შესაფერის განათლებას იღებდნენ ოსეთის მაღალი წოდების შვილები. ასეთ პირთა რიცხვს მიეკუთვნებიან (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში) ქართველი მეფის კარზე აღზრდილი ზურაბ ელიზანოვი, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ოს ყოფილი იოანე იალღუზიძე⁶.

¹ კ. გრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობიდან. ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 84.

² იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 83.

³ საქართველოს სიძველენი, ტ. 2, გვ. 457.

⁴ ძველი საქართველო, ტ. I, განყ. 2, 1909, გვ. 34. ექვ. თაყაიშვილის რედაქციით.

⁵ ძველი საქართველო, ტ. I, განყ. III, 1909, იხ. „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“.

⁶ История Северо-Осетинской АССР, изд. АН СССР, 1959, гв. 102.

ოსათ შორის ცოდნის გავრცელებისათვის თვალსაჩინო მუშაობას ეწეოდა იკორთის არქიმანდრიტი დოსითეოს ფირცხელაური. 1797 წ. 18 თებერვალს საქართველოს პატრიარქი, მეფის ირაკლის ძე ანტონ შეორე კათალიკოსი ხოფის არქიმანდრიტს¹ დოსითეოს ფირცხელაურს, არქიმანდრიტად კურთხევასთან დაკავშირებით, ავალეზდა ეკლესიისა და სწავლა-განათლების საქმის განახლებას², ხოლო 4 წლის შემდეგ (1801 წ. 14 თებერვალს) დავით ბატონიშვილმა დოსითეოს ფირცხელაურს უბოძა იკორთის დეკანოზობა და დაავალა ყველა ზომა მიეღო საეკლესიო-საგანმანათლებლო საქმის აღდგენა-განახლებისათვის³.

დოსითეოს ფირცხელაური გარკვეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ოსეთის საქრისტიანო კომისიის გამგეობას. იგი ოს მღვდლებს რჩევას აძლევდა, რომ „მათ თავიანთი შვილები გორის სასწავლებელში შეეყვანათ მოწაფეთ და მერე იქიდან თბილისში იქნებოდნენ გადმოსულნი სასწავლებლად“⁴.

ოსებმა სწავლის მისაღებად თავიანთი შვილების მიბარება იწყეს როგორც გორის სასწავლებელში და თბილისის სასულიერო სემინარიაში, ისე არდონის მისიონერთა სკოლაშიაც.

ოსები მონდომებით ეწაფებოდნენ ქართულ კულტურას, მისდევდნენ მწიგნობრობას, სწრაფად ითვისებდნენ წერა-კითხვას, ეუფლებოდნენ ცოდნას და ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას.

საქართველოს ეკლესია ცრუმორწმუნეობის დანერგვასთან ერთად ბარისა და მთის მოსახლეობაში ცდილობდა წერა-კითხვის, ლიტერატურული წერილების, თხზულებების, ნათარგმნი და ორიგინალური წიგნებისა და პროგრესული აზრების გავრცელებას.

ექვს გარეშეა, რომ ქართული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება და საგანმანათლებლო იდეები უდიდეს გავლენას ახდენდა მთის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით ოსებზე; სადაც თანდათანობით იზრდებოდა განათლებისა და კულტურისადმი მისწრაფება.

XVII—XVIII საუკუნეებში ქართველი ხალხის კულტურული კავშირი ოსეთთან კიდევ უფრო განმტკიცდა. ქართველები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ოსებს კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაშ-

¹ თლილის ქვით აშენებული, მოზრდილი, მაგრამ უჯგუშაო ხოფის ეკლესია ქსნის ზეობაშია, ახალგორის (ახლანდელი ლენინგორის) ქვემოთ.

² საქართველოს სიძველენი, ტ. 2, 1909, გვ. 405.

³ იქვე, ტ. 2, 1909 წ., გვ. 467.

⁴ ოსეთის ისტორია, ქართულის ისტორიულის წყაროებით, გ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 228—229.

ლის, განათლების გავრცელებისა და ახალგაზრდობის სწავლა-განათლების ორგანიზაციის საქმეში. ვახუშტი ბაგრატიონმა „საქართველოს გეოგრაფიაში“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) მოგვცა ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრების, მისი კულტურული დონის, ადათ-ჩვეულებისა და მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა მოკლე დახასიათება. დასახელებულ ნაშრომში ნათქვამია, რომ ოსეთში „...კაცი და ქალნი არიან შვენიერნი, პეროვანნი, შავ-თვალ-წარბანი, შავ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი, გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკვირცხლად ფიცხელნი“¹. „... აქვე ხაზგასმულია მოხუცთა მიმართ ახალგაზრდობის მოკრძალებისა და პატივისცემის ჩვეულება, რომელიც, როგორც დადებითი მოვლენა, ოს ხალხში ფართოდ არის გავრცელებული. „...კვალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თვისთა ფრიად, და უეიათ, ვითარცა პატრონი თჳსნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბჳობასა, და ზავსა, და ყოველივე სამკირნოსა თჳსთა განაგებენ მათით“².

ვახუშტი ბატონიშვილის ამ ნაშრომში აშკარად იგრძნობა გულთბილი ურთიერთობა, მოკრძალებული და ჰუმანური გაგება, რომელიც ოსეთ-საქართველოს შორის ძველი საუკუნეებიდანვე არსებობდა.

ოსებმა ქართველთა დახმარებით შეისწავლეს მჭედლობა, ზეიწყლობა, ხეთა მუშაკობა, სახლის შენება, „ხოლო ძველადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითყირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს, იტყვიან თვთ იგინივე, თამარმეფისაგანსა“³.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ შრომებში ოსებმა მამაც, მებრძოლ და ქართველთა მეგობარ ხალხად არის წარმოდგენილი, რომელიც ჩვენი ხალხის მხარდამხარ გამირულ ბრძოლას ეწეოდა სპარსელ-ოსმალ დამპყრობელთა, და სხვა გადამთიელთა განდევნა-განადგურებისათვის.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, ქართველები ოსებს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მწერლობის შექმნის, ლიტერატურის განვითარებისა და გონებრივი დაწინაურების საქმეში. „... ქართველებმა იკისრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგ-

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1941, გვ. 106—109.

² ი ქ ვ ე, გვ. 111.

³ ი ქ ვ ე.

მნეს ოსებს საღვთო და საეკლესიო მორალური ხასიათის წიგნები მშობლიურ ენაზე“¹.

ეროვნული მწერლობის განვითარებას ოსეთში საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ, თელავის სემინარიის ყოფილმა რექტორმა, მოზღოვის ეპისკოპოსმა და აქვე ქართული სტამბის დამაარსებელმა გაიოზ ბარათაშვილმა, რომლის გამოცემებიდან მისი „ანბანი“ სასტამბო ხელოვნების შედევრს წარმოადგენს². მან სლავიანურ აღფაბეტზე დამყარებით დასაბამი მისცა ოსურ ენაზე პირველი ბეჭდური წიგნების შექმნას, რაც ოსური მწერლობის განვითარების საფუძველად იქცა.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის თქმით: „ოსების განათლებას გაიოზმა დიდი ღვაწლი დაჰყო. მათ მან შეუდგინა ანბანი, რომელსაც საფუძველად დაუდო სლავური ანბანი და გადაუთარგმნა „პირველდაწყებითი საქრისტიანო მოძღვრება“³. ამის შემდეგ ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით მოსკოვში გამოვიდა „ოსური ანბანი“ (ქართული ასოებით) და სხვა წიგნები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართულ-ოსურ-რუსული საგანმანათლებლო-პედაგოგიური ურთიერთობის განმტკიცებას“⁴.

ოსური კულტურისა და მწერლობის განვითარებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ წრეებში აღზრდილი ოსი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართულ-ოსურ-რუსული ენების საუკეთესო მცოდნე, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი — იოანე იალღუზიძე, რომელიც, როგორც აკადემიკოსი აკაკი შანიძე აღნიშნავს, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, როგორც გადამწერი ქართული ხელნაწერებისა, რასაც მისი გადაწერილი წიგნების ბოლოს დაართული ანდერძები ადასტურებს. მას გადაუწერია: 1) 1794 წ. „კატეგორიაჲ სიჰეცნეჲ“⁵. რომელიც დაცულია საქართველოს ცენტრალურში (კოლექცია 1446. № 205);

2) 1796 წ. ბაუმეისტერის მეტაფიზიკა, დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q—97);

3) 1807 წ. ს.-ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონი, დაცული იქვე (H—202);

¹ კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 60.

² ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1941, გვ. 12—13.

³ კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 355—356.

⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, №№ 779, 780.

4) 1814 წ. დავით ბაგრატიონის „ნარკვევი“, დაცული იქვე (II—1130).

5) 1823 წ. თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა“, დაცული იქვე (II—2137);

6) 1837 წ. კრებული, რომელშიაც მოიპოვება ბასილი კესარია კაბადუციელის „ექუსთა დღეთა“ და „გრიგოლ ნოსელის“ „დაბადებისათვის კაცისა“ (II—204);

7) 1728 წ. მეორე ცალი თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა“-სი (II—207)¹.

გარდა ზემოჩამოთვლილი ნაშრომებისა, ქართულიდან ი. იალღუზიძეს გადაუწერია აგრეთვე „ვეფხისტყაოსანი (რომელიც ამჟამად პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული), „დავრიშიანი“, „მირიანი“ და სხვა წიგნები“, რომელთაც მოცემული პერიოდის ოსურ-ქართველი კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

იალღუზიძის ლექსები, პოემა „იალღუზიანი“ და სხვა ნაწარმოები მოწმობენ უდიდეს პროდუქტიულ შრომაზე, რომელსაც იგი ეწეოდა ქართველი, ოსი და რუსი ხალხების კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ-ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის. „კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ი. იალღუზიძის მოღვაწეობა ოსური მწერლობის შექმნის საქმეში. მოიპოვება 1802 წლის დოკუმენტი, შედგენილი სამ ენაზე: რუსულად, ქართულად და ოსურად. იგი შეიცავს სასამართლოს დაწესების ამბავს სოფ. ვანათში, არაგვისა და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსთათვის“².

გ. ახვლედიანის მტკიცებით, ამ დოკუმენტის ოსური ტექსტი იოანე იალღუზიძეს ეკუთვნის.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ოსური სიტყვები ქართული მხედრული ასოებითაა დაწერილი იმ განსხვავებით, რომ იალღუზიძის მიერ ოსურად თარგმნილი და 1820—1824 წწ. გამოცემულ წიგნებში ძველი ქართული (ხუცური) ასოებია გამოყენებული³. იალღუზიძის კალამს მიეკუთვნება აგრეთვე, ქართულიდან ოსურად თარგმნილი ოთხთავი (ხელნაწერის სახით), რომლის ერთი ცალი დაცულია საქართველოს ცენტრარქივში (ფონდი 1446, № 651), ხოლო მეორე

¹ ა. შანიძე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან („მაცნე“, 1964 წ., № 1, გვ. 170).

² იქვე, პროფ. ა. შანიძეს დამოწმებული აქვს დ. გუგაევის; Произведение Ивана Ялгузидзе (ИОНИИ, т. VIII, 1957).

³ ა. შანიძე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან („მაცნე“, 1964 წ., № 1, გვ. 171).

⁴ იქვე, გვ. 171.

ცალი — აზიის ერთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების მუზეუმში. ორივე ცალი ამ დოკუმენტისა მხედრული ხელითა დაწერილი, რომლის თარგმანი 1822 წელს მიეკუთვნება¹.

ეპისკოპოს გაიოზის მიერ მოსკოვში 1798 წელს გამოცემული პირველი ოსური ბეჭდური წიგნის შემდეგ, ოსური ენის ყველაზე ძველ ძეგლად ითვლება იალღუზიდის მიერ შედგენილი 1802 წლის ხელნაწერი „სასამართლო წესების შესახებ ვანათში, არაჯვია და პატარა ლიანვის ხეობაში“, რომელიც მისი ავტორის ფართო განათლებაზე, ეროვნული მწერლობის დიდ სიყვარულსა და ოსურ-ქართულ-რუსული კულტურულ ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე მიგვიჩივებს.

თავის მთარგმნელობით და ორიგინალურ სამწერლო-შემოქმედებით და პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში იოანე იალღუზიძე ყოველმხრივ უწყობდა ხელს როგორც ქართველთა და ოსთა კულტურულ დაახლოებას, ისე კავკასიის ხალხების რუსეთის პროგრესულ-დემოკრატიულ მწერლობასთან დაკავშირებას.

ოსებს შორის წიგნიერებისა და სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, ქართულ-რუსულ-ოსური ენების საუკეთესო მცოდნეს, ოსური ენის მასწავლებელს. ოსური წიგნების და სხვა სახელმძღვანელოების მთარგმნელსა და შემდგენელს შიო დვალიშვილს (XIX საუკ. 40—50 წლები). რომელიც ჩრდ. კავკასიაში მრავალმხრივ ნაყოფიერ საგანმანათლებლო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

XIX საუკუნის შუა წლებში ოსებში მწიგნობრობის გავრცელებისა და საგანმანათლებლო საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აგრეთვე ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის ოსური ენის მასწავლებლებმა — ქართველმა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ და ოსმა მოღვაწემ ვასილ ცორაევმა. ამ ორი მუშობელი ერის სახელოვანმა შვილებმა (დ. ჭონქაძემ და ვ. ცორაევმა) შეაგროვეს ოსური ხალხური თქმულებები, ზღაპრები, ანდაზები, გადმოცემები, იგავ-არაქები, რაც 1868 წელს აკადემიკოს შიფნერის მიერ პეტროგრადში ცალკე წიგნად გამოიცა². ჩვენი წინაპრების ამგვარ საერთო შრომასა და შემოქმედებით საქმიანობაში ფესვებს იღვამდა ქეშმარიტი მეგობრობის საწყი-

¹ ა. შანიძე, ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან („მაცნე“, 1964 წ., № 1, გვ. 171—172).

² დასახელებული ნაშრომი გამოცემულ იქნა სათაურით: „ოსური ტექსტები, შეგროვებული დ. ჭონქაძის და ვ. ცორაევის მიერ“, პეტროგრადი, 1868 წ.

სები, რომლის საფუძველზე, შემდეგ, ჩვენს ხალხებს შორის ნამდვილი ძმური განწყობილება ჩამოყალიბდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეროვნული კულტურის მესაქეები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდნენ მეზობელ ხალხებთან და კერძოდ, ოსებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის მცირე ერებისადმი ხელის შეწყობას, მათთვის თანაგრძნობის გაწევას. მეზობელ ხალხებთან ვულთბილი და მეგობრული კავშირის დამყარებას. ილიას კარგად ესმოდა „...ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამოკიდებული, რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება“¹.

ამიტომაც, დიდი რევოლუციონერ-დემოკრატი ილია ერებსა და ხალხებს შორის კულტურის მონაპოვარის ურთიერთგაზიარებას მოსახლეობის საერთო საქმის წინსვლაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი სურვილს გამოთქვამდა რუსი მოღვაწეების მიმართ, რომ საჭიროა ისინი უფრო ღრმად სწვდებოდნენ ადგილობრივი ერის ცხოვრებას, იზებდებოდნენ ადგილობრივი ხალხის „...გულის სიღრმეში, თუ რა ძვირფასი მარგალიტები ბრწყინავენ შიგ“ და შემდეგ იგი გააცნონ თავიანთ ხალხებს, რის საფუძველზედაც შეიძლება ჩამოყალიბდეს „...ნამდვილი პატივისცემა, მეგობრობა და ძმობა... ამ ერთა შორის“².

ილია ჭავჭავაძე არა მარტო რუსეთთან ძმური ურთიერთობის ერთ-ერთი პირველი მედროშეა, არამედ კავკასიის „მცირე“ ხალხების ერთგული მეგობარი. ილია თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელს მანძილზე კავკასიის ხალხებს შორის მტკიცე ურთიერთობის დამყარებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა.

ილიას დიდი თანამებრძოლი აკაკი წერეთელი ხალხთა ძმობის უბადლო მომღერალია. პოეტს შეგნებულად სწამს ხალხთა მეგობრობის ძალა; რომელსაც თავის შემოქმედებაში ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს აკუთვნებს. მისი გაგებით:

იმას არ ეთქმის აღამიანი,
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს
და სხვა ტომებს კი ისე შეაყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.

¹ ვახ. „ივერია“, 1886 წ. 16 ოქტომბერი.

² ეურნ. „კვალი“, 1895, № 43, გვ. 3.

ეს სტრიქონები მშვენივრად გამოხატავენ მეზობელ ოს ხალხთან ჩვენი ხალხის ძმურ ურთიერთობას და გულითად მეგობრობას.

გამოჩენილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი კავკასიელ და რუს ხალხთა მეგობრობის განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად აღიარებდა ამ ეროვნებათა მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა ურთიერთ გაცვლას. ცოდნისა და კულტურულ პილწევათა ურთიერთშორის გავრცელებას. 1895 წლის 4 ოქტომბერს ქართულ თეატრში რუსი მწერლების პატივსაცემად გამართულ საღამოზე გ. წერეთელი ჩრდილოეთელ დიდ მეზობელ ხალხებთან „პატარა“ ერების ძმობა-მეგობრობის შესახებ ამბობდა, რომ ასეთი ურთიერთობა „...ჩვენთვის ახალი დროის მომასწავებელია. რადგან ძმობა და მეგობრობა მხოლოდ თანასწორთა შორის არის შესაძლებელი, როცა ისინი ერთმანეთის უფლების პატივისმცემელნი სდებიან და მოციქულებათ მოგზავნილი პყავთ ჩვენთან სიყვარული, შებრალება და თანაგრძნობა“¹.

გ. წერეთელი რუსულ-ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას მოითხოვდა საუნივერსიტეტო განათლებისა და სასკოლო ცოდნის გავრცელების გზით. დარიალის ხეობა ანუ „კავკასიის ყელი“ მწერალს რუსეთ-აქართველოს კულტურული კავშირის უმოკლეს გზად მიაჩნდა. რომლითაც მოწინავე რუსეთმა „...უნდა შეიტანოს ამ ქვეყნებში განათლება, გონების განვითარება, ერთი სიტყვით. მთელი თავისი კულტურა, რომ სულიერმა ძალამ ვრცლად გამოაღვიძოს აღმოსავლეთის ხალხები წარმატებისათვის და მკვიდრად შეიტკბოს იგინი კულტურის ზეგავლენით. ამგვარი კულტურული ზეგავლენის მოსახდენად რუსეთის მთავრობას სხვა უკეთესი ღონისძიება არ მოეძებნება. თუ არ უნივერსიტეტის დაარსება კავკასიაში. კავკასიის უნივერსიტეტით რუსეთის მთავრობა უფრო მკვიდრ ნიადაგს მოიპოვებს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში“². რა თქმა უნდა, საუნივერსიტეტო განათლების როლის გაზვიადებულად წარმოდგენის მიუხედავად, გ. წერეთელი სწორად ამუქებს რუსული პროგრესული კულტურის ჭავლენის მნიშვნელობას რუსეთთან კავკასიელ ხალხთა შეკავშირების საქმეში.

კავკასიის ხალხების, მათ შორის ოსების ეკონომიური და კულტურული ამაღლება — ეს იყო გამოჩენილი ქართველი მესამოციანელის უაპლოესი სოციალურ-კულტურული იდეალი, რომელიც მოგვაგონებდა რა იმას, რომ „...დავით აღმაშენებელს დიდი გავლენა ჰქონ-

¹ ურნ. „კვალი“, 1895 წ., № 43, გვ. 2—3.

² ურნ. „კვალი“, 1897 წ., № 45, გვ. 798—799.

და კავკასიის გადაღმა ჩრდილოეთის ხალხებზედ: ოსებსა, ჩერქეზებსა და ყიფჩალებზედ“¹, — ხაზგასმით მიგვითითებდა აგრეთვე კავკასიის რუსეთთან შეერთების ისტორიულ მნიშვნელობაზე, კერძოდ იმ ვაქტზე, რომ „მეთვრამეტე საუკუნიდან რუსეთი განათლების წყა-
როდ იქცა ჩვენთვის“².

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარის პ. გაფრინდაშვილის შეხედულებით, გ. წერეთელი XIX საუკ. მეორე ნახევრის ერთ-ერთი ქართველი მოღვაწეთაგანი იყო, რომელიც რუსეთის ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა და ძმური ურთი-
ერთობის ქეშმარიტ იდეას იცავდა³. „...ვინც რუსეთის სამფლობე-
ლოში ცხოვრობს, — წერდა გ. წერეთელი, — ის რუსეთის მოქალა-
ქედ იწოდება და თანასწორადაც უნდა წევდეს სახელმწიფო მოთხოვ-
ნილებათა უღელს, მაშასადამე, თანასწორი უფლებითაც უნდა იყოს აღჭურვილი. ხოლო ვინც კი სხვადასხვა ტომებს არჩევს და გაყოფს „რუსებათ“ და „აჩარუსებათ“, რომ ამით დაამყაროს ერთიმეორეზე მეტნაკლები უფლება, რომ ერთ ნაწილს მეორე ნაწილი დააჩაგრი-
ნოს, ისინი ყოველი განხეთქილების წინამორბედნი არიან, ისინი ახ-
დენენ ერთმანეთს შორის განცალკევებას... ყოველმა ნამდვილმა მა-
მულიშვილმა მთელი თავისი ღონისძიება იმას უნდა მოახდინოს,
რომ იქადაგოს შემდეგი: უთანასწორობა, ერის ერთი ნაწილის მეო-
რე ნაწილზე გაბატონება. გადამტერება, გვარსს გვარზე აღდგენა
უბედურებისა და დაცემის მეტს არას შეგვეძინს“⁴.

ამრიგად, გ. წერეთელი მკაცრად ილაშქრებდა რა მეფის თვით-
მპყრობელობის კოლონიალური პოლიტიკის, ადგილობრივი მოსახ-
ლეობის ჩაგვრის, მცირე ეროვნებათა დაბეჩავების, კავკასიის „ინო-
როდცებს“ შორის შუღლისა და მტრობის წინააღმდეგ. თანმიმდევ-
რულად იცავდა მოწინავე რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან, მის
პროგრესულ კულტურასთან მჭიდრო კავშირისა და კავკასიის ყვე-
ლა ხალხის ძმური ერთიანობის იდეას, რომელიც ოსეთ-საქართვე-
ლოს კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერ-
ობის პროცესში შთამაგონებელს. ძალის აქტიურ ფუნქციას ასრუ-
ლებდა. თითქმის ამავე პერიოდში „თერგის ოლქის მთიელთა შო-
რის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელ საზოგა-
დოებას“ (1883 წლიდან) სათავეში ედგა ამ საზოგადოების საპატიო

¹ ჟურნ. „კვალი“, 1893 წ., № 14, გვ. 12—13.

² გ. წერეთელი, ამ დროის ვითარება, „კრებული“, 1872, № 10, გვ. 90.

³ შიხელი გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებ-
რივი აზროვნების ისტორიიდან, I, თბ., 1959, გვ. 73.

⁴ ჟურნ. „კვალი“, 1897 წ., № 10, გვ. 203.

წევრი და მისი პირველი თავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძისა და კოსტა ხეთაგუროვის თანამებრძოლი, მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელიც ოს ხალხს, თერგის ოლქის მკვიდრ მოსახლეობას უდიდეს დახმარებას უწევდა პირველდაწყებითი სახალხო სკოლებს ქსელის გაშლის, მშობლიურ ენაზე აწავლა-განათლების დაფუძნების, ოს მოსწავლეთათვის საერთო საცხოვრებლების აშენება-მოწყობის, „სახოგადოების“ ზარჯზე სტიპენდიანტების შენახვის, დედაენაზე საანბანო წიგნების გამოცემისა (მაგალითად, აღმასიტი კანუკოვის „ოსური ანბანი“. 1890 წ.) და საერთოდ, ადგილობრივ მოსახლეობაში ცოდნის გავრცელების საქმეში.

XIX საუკუნის ბოლო წლებში ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მოწინავე ძალები ალფრთოვანებით ეგებებოდნენ ოსური მწერლობის აღორძინებას. პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს ოსი ხალხის კულტურული დაწინაურების აუცილებელ პირობად მიაჩნდა „სამშობლო ენაზედ მწერლობის შექმნა“. იგი გულმხურვალედ მიესალმებოდა კოსტა ხეთაგუროვის „ირონ ფანდირის“ („ოსური ფანდურის“) გამოქვეყნებას, რომელიც „.....ელეგიურის კილოთი და მამულიშვილური გრძნობით არის გამსჭვალული“. ხახანაშვილი მოწონებით შეხვდა კ. ხეთაგუროვის ლექსს „მ. ზ. ყიფიანის სახსოვრად“, რომელმაც „... აღუძრა ოსებს სიყვარული ერისა“¹. ქართველი ფილოლოგი, უმაღლესი განათლებით დიდი მოღვაწე და მკვლევარი-პედაგოგი ღრმა სიხარულის განცდით ეგებებოდა ოსეთში სახალხო განათლებისა და მწერლობის გამოცოცხლებას, რომელსაც იგი კულტურისა და სასკოლო განათლების გზაზე შემდგომ აღმავლობას უსურვებდა. მისი გამოთქმით: „ვისაც ეს წმინდა ცნება შეუტანია. ამისათვის მეზობლის და თანამოძმის ბედნიერება სასიხარულოა და მისი მწუხარება სავალალო. ერთი სასიამოვნო მოძრაობა აღინიშნა ჩვენს მოსახლვრე ხალხში, რომელთანაც საქართველოს უცხოვრია მრავალი საუკუნე, და ეს მოძრაობა საგულისხმეოროა ჩვენთვისაც: მე მოგახსენებთ ოსების განათლებისაკენ მისწრაფების შესახებ“. ქართველმა მეცნიერმა ოსებს წარმატება უსურვა ამ პატიოსან გზაზე და ინატრა „.....იმათი საერო მწერლობის გაფურჩქვნა“².

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, ქართველი პედაგოგები ოსი ხალხის მხარდამხარ იღწვოდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში სკოლების ქსელის გაშლისა და სახალხო განათლების მუშაკთა.

¹ გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 136.

² იქვე.

ანდილობრივი კადრების მომზადებისათვის. XIX საუკუნის 60-იან წლებში ოსეთის სკოლებში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ თბილისის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები: ნ. ბეთაგოვი, იორამ ხურუმოვი, ბორის ტუაევი, ნიკოლოზ დოევი. დავით კულაევი, დიმიტრი კოკოევი, შაქრო კუბალოვი, ნიკოლოზ დაუროვი, ბორის ხეთაგუროვი, გიორგი სალამოვი. იორამ ხეთაგუროვი და სხვები¹.

მეცნიერულ-პედაგოგიურ და სამწერლო მოღვაწეობის სარბიელზე თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამოვიდნენ ოსური კულტურის ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორც იყვნენ: იოანე იალღუზიძე, გიორგი ჩოჩიევი („ლიაზველი“), ვასილ ცორაევი. ა. კოლიევი, ბ. გატუევი, ს. მამიტოვი, ა. გატუევი, ზ. ჯიოევი და სხვები². რომელთაც უდავოდ დიდი როლი შეასრულეს ოსური კულტურის, სკოლის, სახალხო განათლებისა და მწერლობის განვითარებაში. ამრიგად, XIX საუკ. მეორე ნახევარში თბილისი არა მარტო აღმინისტრაციულ-ეკონომიურ ცენტრს წარმოადგენდა კავკასიაში, არამედ კულტურულ-მეცნიერული განათლების კერასაც. საიდანაც დროის შესაფერის ცოდნით აღჭურვილ კადრებს (მათ შორის ოსებს) განათლების შუქი შეჰქონდათ თავიანთი მზარის სხვადასხვა კუთხეში.

ოსთა სასულიერო სწავლა-განათლების წინსვლა-განვითარების საქმეში გარკვეული ღვაწლი მიუძღვის იმერეთის ეპისკოპოსს, საეკლესიო განმანათლებელს, „კავკასიაში მართმ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მისიონერს და სკოლათა ინსპექტორს (1888 წ.) ლეონიდს, რომელიც ჩრდ. ოსეთში აგრძელებდა XVI-XVII საუკუნის ივერიის ეკლესიის მოღვაწეთა (იოსებ სამებელია, იოანე მანგნელისა და სხვ.) მისიონერულ საქმიანობას კავკასიის მოსახლეობაში ქრისტიანობის აღდგენისა და ამ საქმეში სკოლის გამოყენების შესახებ. ლეონიდის ინიციატივით ჩამოყალიბდა ოსური სკოლები როკასა და ედისაში (სამხრეთ ოსეთი). რომელთა შენობები მცხოვრებლებმა ააგეს.

„ამ თხუთმეტიოდე წლის წინ, — წერს 1901 წ. გაზ. „ივერია“, — ჩრდილოეთ ოსეთში სულ ათი-თხუთმეტი სკოლა მოიპოვებოდა და ისიც „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ხარჯით აშენებული. მაშინდელი ოსები, დიდი ხალისით კი არ გზავნიდ-

¹ М. С. Тотоев, Очерки культуры и общественной мысли в Северной Осетии в пореформенный период, Северо-Осетинское книжное изд-во, Орджоникидзе, 1957, гл. 118—119

² Абаев, Тбилиси и Осетия, изд. АН ГССР, Тб., 1959, гл. 12—13.

ნენ თავიანთ შვილებს სკოლებში, არამედ, თითქმის საყვედურით. მაგრამ, ჩრდილოეთის მხარის ოსებმა სწავლის მნიშვნელობა მალე შეიგნეს, მომეტებულად მას დღეს აქეთ, რაც ჩრდილოეთ ოსების ინსპექტორად დაინიშნა პატივეცემული ელანდელი იმერეთის ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდლო ლეონიდი, მაშინ ისევ მღვდელ-მონაზონი. მათი მეუფება მობრძანდებოდა თუ არა აქაურს სკოლებში, მაშინვე სოფლის ყრილობას ასდენდა და მცხოვრებთ ტყბილის მოძღვრებით ესაუბრებოდა. თუ სწავლა-განათლებას რა მნიშვნელობა აქვს. ასე ექცეოდა მათი მეუფება ლეონიდი ოსებს ყოველს წელს, როცა კი სკოლების სარევიზიოდ მობრძანდებოდა ხოლმე. კეთილმა თესლმა ნაყოფი კეთილი გაჰყოლოდა და ეს რჩევა-დარიგება უნაყოფოდ არ დარჩა... დღეს კი აქ სკოლაში ბაგშეებს კენჭის ყრით იღებენ. დღეს ჩრდილოეთ ოსეთის ყველა სამრევლოში არსებობს სკოლა¹.

როგორც ცნობილია, მეფის ხელისუფლება ეკლესიას და სკოლას კავკასიის მთის ხალხების „გაქრისტიანების“ იარაღად, ცარიზმის ტაბუტის ერთგული, „ღვთის მოშიში“ და მორწმუნე აბალგაზრდობის აღზრდის საშუალებად იყენებდა. ეპკვი არაა, ლეონიდის საინსპექციო და მისიონერული მოგზაურობანი უმთავრესად. სწორედ ჩვენს მიერ ზემოვანდინიშნული ამოცანების განსორციელებას ემსახურებოდა. ისიც ცხადია, რომ ასეთი სკოლები მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს ნაკლებად პასუხობდა. მიუხედავად ამისა. ობიექტურად. ამ სკოლებს ოსი მოსახლეობისათვის მაინც სასარგებლო მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც მათ ხალხში რელიგიისა და მორალის საწყისებთან ერთად, წერა-კითხვის, ანგარიშის, შრომითი ელემენტების ცოდნა და საერთოდ პირველდაწყებითი განათლების თესლებიც შექმნდა².

ოსი ხალხის სწავლა-განათლების, მისი კულტურული და ყოფაცხოვრებითი მდგომარეობის გაშუქებას დიდ ყურადღებას უთმობდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც

¹ გაზ. „ივერია“, 1901, № 61. შტრ. ეურნ. „მოგზაური“, 1901, № 6 და 7, გვ. 670—671 (ხელის მოწერა: თ-ტ-ელი).

² ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში ქრისტიანობის აღდგენას და საეკლესიო განათლების გავრცელებას ხელს უწყობდნენ საეკლესიო მოღვაწეები: დოსითეოს ფირცხალაური, ნიკოლოზ სამარლანიშვილი, იოსებ ელიოზიძე, პეტრე ავალიანი, ბესარიონ ილურიძე, ვასილ ცერაძე, ათანასე მაქავარიანი, გიორგი ამირიძე, ზაქარია მამაცაშვილი, იაკობ ლომაური, ალექსანდრე თევდოროვი, გაბრიელ სამაგლიშვილი (კირიონის წინაპარი), იაკობ ზამთარაულიშვილი და სხვები (იხ. ილია ფერაძე: „საქართველოს ეგზარქოსები“ ეურნ. „მოგზაური“, 1901 წ. № IV, გვ. 356).

1851 წლის გაზ. „კავკაზში“ (№ 69) ამ თემას სპეციალური ნარკვევი („ოსეტინი გეორგიანე“) მიუძღვნა.

კავკასიის მთიელთა შორის ცოდნის გავრცელებას და ოსეთ-საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ აგრეთვე მასწავლებლები: ვ. ნათაძე, გ. შიქაბერიძე, ტ. კახიძე, ვ. გიორგობიანი, ვ. ბურჯანაძე, ლ. ბოცვაძე (ჩრდ. ოსეთი)¹, ფ. ნათიევი, გ. მამინეიშვილი (სამხრ. ოსეთი) და სხვები², რომლებმაც მთისა და ბარის ოსეთში სახალხო სკოლების გახსნისა და ცოდნის მნიშვნელობის მასობრივი პოპულარიზაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს.

1894 წ. თერგის ოლქის სახალხო სკოლის ინსპექტორად გადაყვანილ იქნა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორი, ცნო-



ალექსანდრე ჭიჭინაძე (1851—1917)

გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებით. ამგვარი გამოკვლევის

¹ ს. ელიაშვილი, ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლა 75 წლისა (გაზ. „სახალხო განათლება“, 20 ნოემბერი 1963).

² Газ. «Кавказ», 1874 г., № 24. Ф. Натиев, «Из Южной-Осетии».

³ ვ. ქაჯაია, ქართული პედაგოგები, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1955, გვ. 95—142. შტრ. ურნ. „კვალი“, 1894, № 14, № 20.

ბილი ქართველი პედაგოგი და სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწე ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე³, რომელმაც დირექტორ გრუშევსკისთან ერთად, დიდი როლი შეასრულა არარუსთა სკოლებში რუსული ენის სწავლების მეთოდოლოგიური მხარეების შემოწმებისა და სკოლებიდან ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ განდევნის საქმეში. ალექსი ჭიჭინაძის მიერ შემოწმებული იქნა, როგორც არარუსთა სკოლები (სადაც „მუნჯური მეთოდი“ ბატონობდა), ისე ის სასწავლებლებიც, სადაც არარუსთა ბავშვებს რუსულ ენას მშობლიური ენის დახმარებით ასწავლიდნენ. ამის შედეგად მან ხელმძღვანელობას წარუდგინა დასკვნა რუსული ენის სწავლების დროს მშობლიური ენის

მასალების ანალიზის საფუძველზე გრუშევსკიმ მიიღო გადაწყვეტილება — თერგის ოლქში რუსული ენის სწავლება დედაენის ნიადაგზე დაემყარებინა, რასაც სახალხო სკოლის წარმატებისათვის ოსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ინსპექტორ კიკინაძის მოხსენების საფუძველზე გრუშევსკიმ „მუნჯურ“ მეთოდს „ოინბაზობა“ უწოდა¹.

1894—1900 წლებში, თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის პოსტზე მუშაობის პერიოდში ალ. კიკინაძემ „...გარკვეული ბრძოლა გამოუტანდა ლევეცკის გავლენით დამკვიდრებულ „მუნჯურ“ მეთოდს. იგი საგანგებოდ ჩამოვიდა ამიერკავკასიაში, შეამოწმა ქუთაისის გუბერნიისა და გორის ის სკოლები, რომლებშიც ეს ანტიპედაგოგიური მეთოდი იყო გაბატონებული და თავის მოხსენებაში ნათელპყო მისი რუსიფიკატორული ბუნება“².

ამრიგად, ალექსი კიკინაძე სწავლობდა რა კავკასიის ორივე მხარის სახალხო სკოლების გამოცდილებას, ყოველ ღონეს მიმართავდა, რათა თერგის ოლქის არარუსთა სკოლები დაეცვა „მუნჯური“ მეთოდის მავნე იგავლენისაგან, რუსული ენის სწავლება დაემყარებინა ადგილობრივი მოსახლეობის დედაენაზე. ამაღლებინა სასკოლო მუშაობის ხარისხი და მისი ავტორიტეტი კავკასიის „ინოროდცებს“ შორის. ცხადია, თუ თერგის ოლქის სკოლებში ღრმად ვერ გაიდგა ფესვები ლევეცკის ანტიპედაგოგიურმა მეთოდმა და დედაენაზე დამყარებით რუსული ენის სწავლების უპირატესობა იქნა აღიარებული (როგორც რაციონალური გზა), ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის ალექსი კიკინაძეს, რომელმაც თერგის ოლქში შემოჭრილ „თვალსაჩინო მეთოდს“ ჩამოხსნა „ოინბაზური“ საბურველი და მისი ანტიპედაგოგიური ბუნება ბოლომდე ამხილა.

ოსეთ-საქართველოს მეგობრული კავშირ-ურთიერთობის საკითხების გაშუქებას XX საუკ. დასაწყისში სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა ქართველმა მწიგნობარმა და კულტურის დიდმა მოღვაწემ — ზაქარია კიკინაძემ. მან მრავალრიცხოვანი ფაქტებისა და მასალების საფუძველზე 1913 წელს გამოაქვეყნა „ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით“ (აღწერილი და გამოცემული ზ. კიკინა-

¹ თურ. „განათლება“, 1911, № 1, გვ. 10—12.

² ვ. ქ ა ჯ ა ი ა, ქართველი პედაგოგები, თბ., 1955, გვ. 118. შდრ. ვაზ. „ენობის ფურცელი“, 1905, № 2872. ალექსი კიკინაძე, პასუხად ზ-ნ იაკობ გოგებაშვილს (წერილი რედაქციის მიმართ).

ძის მიერ“), ხოლო 1916 წელს „ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და დეაწლი მათზედ (ისტორიული მიმოხილვა)“¹.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომებში ცალკეული ფაქტები (მაგ. ქართველ მემამულეთა მიწებზე ოსების დასახლების, ეკლესიამონასტრებთან სკოლების დაარსების, ოსეთში ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა და სხვა საკითხები) გაზვიადებულად ან მცდარადაა წარმოდგენილი, შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნები დღესაც გარკვეულ ღირებულებას ინარჩუნებენ ორივე ხალხს შორის მეცნიერულ-კულტურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ზ. ჭიჭინაძემ მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტების საფუძველზე გვიჩვენა წინანდელი მტრობა-ჭიშკობის ნაცვლად, როგორ გაჰყვნენ „ოსთა მეფენი და ერნი ურთიერთს შორის.... შეთანხმებულს ცხოვრებას, ბაძვას ქართველ მეფეთა საოჯახო სიბრძნეთა და მწიგნობრობას“².

ზაქარია ჭიჭინაძის პირველი ისტორიული ნაშრომის გამოსვლას (მოდმე ოსი ხალხის შესახებ) ოსური პრესა და ოსეთის მოწინავე ინტელიგენცია აღფრთოვანებით შეხვდა.

1915 წლის ნოემბერში ოსური ჟურნალი: „ქრისტიანული ცხოვრება“ (№ 11) მკითხველებს აუწყებდა, რომ ქართველმა მწერალმა ზ. ჭიჭინაძემ ძველი ხელნაწერი მასალების საფუძველზე ქართულად გამოაქვეყნა ოსეთის ისტორია, რომელშიც ნაჩვენებია ოსი მეფეების ცხოვრება-საქმიანობა და ქართველებთან მათი დამოკიდებულება.

ავტორმა ეს საკითხები დაწვრილებით გააჩრია და დაწერა მშვენიერი წიგნი „ოსეთი“. ეს ნაშრომი ოსი ხალხისათვის დიდი განძია. დრო ვრცელ აქვს, კარგი იქნება მისი გადმოთარგმნა ოსურ ენაზეო, — წერდა ჟურნალი³.

როგორც არ უნდა იყოს ფაქტების უზუსტობანი და ზოგიერთი მოვლენის იდეალაზებულო წარმოსახვის ცდა, ზ. ჭიჭინაძე მაინც ერთ-ერთ პირველ მკვლევარად უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც ოსეთსაქართველოს კულტურული ურთიერთობის საკითხებს სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის კლასიკოსი, საბავშვო მწერალი, ეროვნული კულტურის დიდი მოამაგე იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი (1840—1912) მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე

¹ ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, 1956, გვ. 16, 17, 19.

² ზ. ჭიჭინაძე, ოსეთის ისტორია, 1913, გვ. 156.

³ ოსური ჟურნალი „ჩირისტონ ცარდ“, 1915, № 11, გვ. 486—491.

კავკასიელებსა და, კერძოდ ოსი ხალხის მიმართ ღრმა სიმპათიას და გულწრფელ თანაგრძნობას იჩენდა. კავკასიელი ხალხების ინტერნაციონალური განწყობილების შესახებ იგი სამართლიანად წერდა. რომ ეს „...ხალხები მრავალ სხვა კეთილ, დადებით თვისებასთან ერთად, გამოირჩევიან იმითაც, რომ მათ რაიმე ეროვნული განკერძოებულობის გრძნობა სრულიადაც არ გააჩნიათ. ქართველი, მაგალითად, რომელსაც შეიძლება არც კი ესმოდეს არც ერთი რუსული სიტყვა და, რომელსაც უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედენა, რომლებიც მან ათასწლეულან ბრძოლებში გადაარჩინა და დაიცვა მილიონობით მტრებთანგან, დიდი ხანია რუსეთს თვლის თავის სამშობლოდ და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩება“¹.

ეს შეზღუდულება თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია და თავის თავში ასახავს, როგორც რუსეთის მოწინავე ხალხებისადმი მეგობრულ განწყობილებას, ისე კავკასიელი მშრომელი მოაზრებობისადმი ღრმა სიმპათიის გრძნობებს. გოგებაშვილს სამართლიანად მიაჩნია თანასწორუფლებიანობის ისეთი პრინციპი, რომელიც სხვადასხვა ტომის ადამიანებს შორის განამტკიცებს ურთიერთნდობისა და სიყვარულის განწყობილებას, ხელს შეუწყობს ადგილობრივი და არაადგილობრივ ელემენტებს შორის ნაყოფიერ ურთიერთშემოქმედებას და სტიმულს აძლევს მიზნის განხორციელებასათვის ერთსულოვან ბრძოლას. დიდი ქართველი ჰუმანისტი მოგვაგონებს ქართველთა და ოსთა ტრადიციული მეგობრობის ფესვებს, რომელზედაც შემდგომში უფრო ღრმა, შინაარსიანი და მტკიცე სისხლბორცეული ურთიერთობა განვითარდა.

იაკობ გოგებაშვილი თავის ნარკვევებსა და წერილებში არა ერთხელ ეხება ოსურ სკოლებში სწავლებისა და აღზრდის პროცესის რაციონალურ პედაგოგიურ პრინციპებზე აგების საკითხს და ყოველთვის აზერბეის პედაგოგიური მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისად ამ საკითხების გარკვევა-გადაწყვეტას. მან, სახალხო სკოლის მუშაობაში წარმატების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად აღიარა სწავლების დედაენაზე მოწყობა. იაკობის აზრით, ქვეყნიერებაზე „...არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც არ მოხერხდება პირველდაწყებითი სწავლების მოგვარება იაევე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც უბრალო, ჩვეულებრივი აზრების გამოთქმა არ შეიძლებოდეს“². გოგებაშვილის ეს მოსაზრე-

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, 1952, გვ. 161—162.

² იქვე, გვ. 156.

ბა მიმართულია კავკასიის სახალხო სკოლების მესვეურთა იმ ყალბი „მტკიცების“ წინააღმდეგ, რომლის მიზნდევითაც მთიელებს, რომელთა დამწერლობაც ღარიბია (ან სრულებითაც არა აქვთ ანბანი), არ შეუძლიათ სწავლება აწარმოონ თავიანთ დედაენაზე. აქედან გამომდინარე, ისინი, ჭანსალი აზრის საპირისპიროდ მოითხოვენ ბავშვთათვის გაუგებარ ენაზე სწავლების დამყარებას. სკოლებში ასეთი ანტიპედაგოგიური სისტემის შემოღებით ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლის დირექცია (ზაზაროვი და სხვ.) ცდილობდა „...სავსებით გაეტარებინა ცხოვრებაში ეს უბადრუკი აზრი და გადაექცია ის განგრენად, რომელმაც გახრწნა მთიელთა სკოლების ორგანიზმი“¹.

სკოლების დირექციას (მხარის რუსიფიკაციის მიზნით) ოსური ენის გამოყენება რუსული ენის სწავლების პროცესში სრულ უაზრობად შიაჩნდა. უცნობი ენის შესწავლა უცნობის საშუალებით, რასაც დირექცია მოითხოვდა, ანტიპედაგოგიურ მოვლენას წარმოადგენდა, რომელსაც იაკობი, როგორც „განგრენას“, სასტიკ ბრძოლას უცხადებდა.

„დირექციის საქმიანობაში ეს გარემოება, — როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს, — სრულ თანმიმდევრობას წარმოადგენს, უბედურება და უაზრობა შეიძლება თანმიმდევრული იყოს. თუკი აფხაზური ენა არ გამრდგება პირველდაწყებითი სწავლების იარაღად, მაშინ არც ოსური გამოდგება, ხოლო თუკი ორივე ეს ენა განდევნილი იქნება სახალხო სკოლებიდან, მაშინ რაღა უფლების ძალით შეიძლება სხვა დანარჩენ მთიელთა და თვით არამთიელთა ენების დატოვება სასკოლო სწავლებაში“².

იაკობ გოგებაშვილი ამ შემთხვევაში ვიწრო ეროვნული ინტერესებით როდი ისაზღვრებოდა. მას (სავსებით სამართლიანად) კავკასიის ყველა ხალხის განვითარების საფუძვლად ამ ხალხების ეროვნული ენები მიაჩნდა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდებოდა ნაციონალური კულტურის წინსვლა-განვითარება. ისე, როგორც კავკასიის სხვა მხარეთა სასწავლებელში, მთიელთა სკოლებშიაც რუსული ენის სწავლებაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის აბსოლუტურად შეუძლებელ ურთიერთგაგებაზე დამყარებული საშინელი წესი დამკვიდრდა: „სწავლების თითქმის ასეთსავე სისტემას, — იაკობის თქმით, — ადგილი ჰქონდა და აქვს ოსურ სკოლებში“³.

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, 1952, გვ. 157.

² იქვე, გვ. 157.

³ იქვე.

აქედან ცხადია, რომ იაკობ გოგებაშვილი ისევე მტკიცედ მოითხოვდა ოსეთის სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების მოწყობას, როგორც საქართველოში მოსწავლეთა აღზრდის მთელი საქმის დედენაზე დამყარებას. მას სავსებით მართებულად სწამდა, რომ დანების დანახვით განათლების შუქი კავკასიის მთის ხალხთა მასებში მხოლოდ მშობლიური ენის საშუალებით შეიქრება¹.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის კლასიკოსი ოსეთის სკოლებში მოითხოვდა არა „მუნჯი“ მასწავლებლების გაგზავნას, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობის არაფერი გაეგება; არამედ ადგილობრივი ენისა და ხალხის ყოფა-ცხოვრების მცოდნე პირთა შერჩევას.

იგი პრინციპულად იმ აზრს იცავდა, რომ „...ოსეთის სკოლებში გვყავდეს მომზადებული ოსი მასწავლებელი, ქართულში — ქართველი, სომხურში — სომეხი და ა. შ.“²

ასეთია იაკობ გოგებაშვილის სრულიად სამართლიანი მოთხოვნა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზურ, ოსურ, ქართულ, სომხურ ან რომელიმე სხვა ეროვნულ სკოლებში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს აღკვეთოდა პედაგოგიური მოღვაწეობა. ასეთ პირთათვისაც სავალდებულოა ადგილობრივი ენისა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ცოდნა. რაც საფუძვლად უნდა დაედოს არამშობლიური ენის სწავლებას. რუსული ენის სწავლების მთავარ წყაროდ გოგებაშვილი აღიარებდა ადგილობრივი ენების — ქართველ ბავშვთათვის — ქართლის, ჩრდილოეთ ოსეთში — ოსურის და საერთოდ, ყოველი ეროვნული სკოლისათვის დედენის გამოყენება³. „დღესათვის ნათელია — წერდა იგი, — რომ ყოველმა სახალხო მასწავლებელმა უნდა იცოდეს მხოლოდ ერთი ადგილობრივი ენა, სახელდობრ, იმ ადგილის მკვიდრი მოსახლეობის ენა, სადაც გახსნილია სკოლა...“⁴.

ზემონათქვამიდან ნათელია, რომ გოგებაშვილი მშობლიური ენის უფლების დაცვას მოითხოვდა კავკასიის ყველა ეროვნულ სკოლაში და, საერთოდ, ამ გზიდან გადახვევა მას ბავშვის ბუნების საწინააღმდეგო ანტიპედაგოგიურ მოქმედებად მიაჩნდა.

კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობისა და, კერძოდ, ოსების გარუსებისათვის, თვითმპყრობელობა, პირველ რიგში, ეკლესიას და სამღვდელოებას იყენებდა. იაკობ გოგებაშვილს არც ეს გამოჰპარავია

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, 1952, გვ. 68.

² იქვე, გვ. 66.

³ იქვე, გვ. 69.

⁴ იქვე, გვ. 149.

მხედველობიდან, რომ სოხუმის ეპარქიასთან შავი ზღვის ოლქის ნაწილის, ხოლო ვლადიკავკაის ეპარქიასთან თერგის ოლქის შემოერთება (1885 წლამდე ვლადიკავკაის საეპისკოპოზო შედგებოდა ვლადიკავკაის ოლქისაგან, სადაც მხოლოდ ოსები სახლობდნენ) ჩატარებულ იქნა აფხაზეთისა და ოსების გარუსებითისათვის¹. დიდი ქართველი პედაგოგი მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ოსი ხალხისადმი, რომელიც ცარიზმის მხრივ ისეთივე ჩაგვრას განიცდიდა, როგორც ქართველები, კავკასიის სხვა მშრომელები და შიდა რუსეთის დაბეჩავებული ხალხები.

შეფხის თვითმპყრობელობის სახალხო განათლების უწყების ოფიციალური მესვეურები ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვთა „დამუნჯების“ საშუალებად ე. წ. „ბუნებრივ“ ანუ „ნატურალურ“ მეთოდზე აგებულ სახელმძღვანელოებს იყენებდნენ. მთავრობის ოფიციალური მოხელეები ცდილობდნენ კავკასიის ადგილობრივი ტომებისათვის შეედგინათ ისეთი „ანბანი“ და „სახელმძღვანელოები“ (მაგალითად, აფხაზური, სვანური, ოსური და სხვ.), რომელიც ხელს შეუწყობდა ქართველთა ამ ტომებისა და მონათესავე ერთა გათიშვას; მათ ჩაეკეტვას ვიწრო ეროვნულ ან ტომობრივ ნაკუჭებში. დენაციონალიზაციას, დასუსტებას და გადაგვარებას. ამიტომაც, ქართველი პედაგოგი პირდაპირ მიუთითებდა იმ სიმახინჯეებზე, რომელსაც კავკასიის მთის ხალხების სახელმძღვანელოთა შედგენის დარგში ჰქონდა ადგილი. გოგებაშვილს დიდაქტიკის საწინააღმდეგო მოვლენად მიაჩნდა, როდესაც „ოსურ-აფხაზურ სისტემაზე“ შედგენილი სახელმძღვანელოებიდან გამორიცხულია ეროვნული ანბანი, არითმეტიკის წიგნის კურსი ორი ათეულით შემოიფარგლება, რუსული ენიდან თარგმნილ სახელმძღვანელოებში ბევრი სიტყვები კვლავ რუსული რჩება, ხოლო ზოგიერთი წიგნი „უკუღმართ პროგრამაზე იგება“ და „პლიუშკინის წალებივით“ ყველა ზომის ფეხების „მოსარგებად არის შეკერილი“².

იაკობის აზრით, კავკასიური ენების სახელმძღვანელოები არ არის და არც უნდა იყოს ერთნაირი, რადგანაც საღი პედაგოგიური აზრის მიხედვით: „... თვითეულ მსხვილ კავკასიურ ტომს მის თავისებურებებთან შეფარდებული ცალკე სახელმძღვანელო უნდა ჰქონდეს რუსულ ენაში“³. ეს აზრი თანაბრად ეხება კავკასიის ყველა მთავარ ერსა და ტომს, მათ შორის — ოსებს, რომელიც მეთოდუ-

¹ ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 2, 1954, გვ. 174.

² იქვე, ტ. 3, 1954, გვ. 420.

³ იქვე, გვ. 420.

რად გამართული სახელმძღვანელოების მხრივ უკიდურეს სიღარიბეს განიცდიდნენ.

სახელმძღვანელოების სწორ მეთოდურ პრინციპებზე აგების გარდა გოგებაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდ. კავკასიის სკოლებში სწავლების რაციონალური მეთოდების გამოყენებას. ასეთ აქტიურ მეთოდთა შორის, მას მიზანშეწონილად მიაჩნდა თარგმნითი მეთოდის გამოყენება. მისი გამოთქმით: „...ჩრდილო კავკასიაში თარგმანს ჭეროვანი ადგილი უჭირავს, როგორც ეს სჩანს ადგილობრივი საშაგალითო გაკვეთილებიდან“¹. მაგრამ, გარდა ამისა, ჰედაგოგმა ყურადღების ცენტრში უნდა დააყენოს თვალსაჩინო და ზეპირი სწავლება, რომელიც მშობლიური ენის დახმარებით უნდა იქნეს გამოყენებული. „მშობლიური ენის სისტემატური დახმარებით თვალსაჩინო და ზეპირი სწავლება, — იაკობის თქმით, — აი რა უნდა შეადგენდეს იმ საფუძველს, რომელსაც უნდა ემყარებოდეს ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის გათვალისწინებული რუსული ენის სახელმძღვანელოები“².

დიდი ქართველი პედაგოგი ფართო ერულიციისა და ინტერნაციონალური სულის თვალსაჩინო მოღვაწე იყო, რომელსაც მშობლიური ენის საფუძველზე (ეროვნული კულტურის, ეროვნული სკოლის განვითარებასთან ერთად) კავკასიის ხალხებისათვის აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა რუსული ენის შესწავლა-დაუფლება.

იაკობ გოგებაშვილი კავკასიის ხალხების კულტურული ზრდა-განვითარების აუცილებელ პირობად აღიარებდა რუსული ენისა და რუსული კულტურის პროგრესული მონაპოვარის შესწავლა-შეთვისებას, რომლის საფუძველს მშობლიური ენისა და მშობლიური წერა-კითხვის საფუძველიანი ცოდნა წარმოადგენს. ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრება, კულტურა, ადათ-ჩვეულებანი, ხასიათი, ქართველი ხალხისადმი მისი გულითადი დამოკიდებულება და მეგობრული გრძნობები სათანადო ასახვას პოულობენ ქართულ საბჭოთა მწერლობაში. დიდი ქართველი მწერლების — მიხეილ ჭავჭავაძის „არსენა მარაბდელში“, მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას „დავიფ აღმაშენებელში“, გერონტი ქიქოძის „ერეკლე მეორეში“ და ბევრი სხვა მწერლის ლიტერატურულ-მხატვრულ ქმნილებებში ოსები მოქმედებენ, როგორც ქართველი ხალხის ნამდვილი მეგობრები.

ქართულ მწერლობაში, ქართულ პრესაში ოსი ხალხი წარმოდ-

¹ ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 3, გვ. 258.

² იქვე, გვ. 418.

გენილია, როგორც ქართველ და რუს ხალხებთან „მკიდრო თანამეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობაში მყოფი მებრძოლი ხალხი, რომელიც სხვა ერების წინათ დაბეჩავებულ ხალხებთან მკიდრო კავშირში იბრძვის ცარიზმის მოსპობის, ხალხთა განთავისუფლების, მშრომელთა შორის ძმობის განმტკიცების, ეროვნული სკოლისა და პროგრესული კულტურის განვითარებისათვის.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ ვიტყოდით, რომ მხოლოდ ქართველი ხალხი, მისი საუკეთესო ინტელიგენცია იყო ოსეთისა და ოსი ინტელიგენციისადმი, მისი კულტურისა და სკოლის მიმართ კეთილგანწყობილად გამსჭვალული.

ოსი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი, ოსი ხალხი, მისი საუკეთესო შვილები ქართველ ხალხს, მისი მოწინავე ძალების შემოქმედებას ყოველთვის დიდი მოკრძალებით, სათუთი ყურადღებით, პატივისცემის გრძნობითა და მეგობრული გაგებით ხვდებოდა.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებით შთაგონებული კოსტა ხეთაგუროვი ქართველთა და ოსთა მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მეგობრობას, ქართველი ერის კულტურას, მის ეროვნულ მწერლობას და სკოლას მხურვალე გაგებით ეპყრობოდა. იგი დიდად აფასებდა დიდ ქართველ მოღვაწეებს — ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა ფშაველას, ალ. ყაზბეგს და სხვებს, რომელთა ინტელექტუალური შემოქმედება მასში სიამაყის გრძნობის აღძვრას, მეზობელი ხალხებისადმი მეგობრული სულისკვეთების გაღვივებას, გულწრფელ აღტაცებასა და აღფრთოვანებას იწვევდა. ფაქტია ისიც, რომ ქართველი მოღვაწის გასაჭირი, მისი ტკივილი და მწუხარება პოეტს საკუთარი ერის ტკივილად და მწუხარებად მიაჩნდა. კოსტა ხეთაგუროვი დიდი ქართველი მწერლის — ალ. ყაზბეგის ავადმყოფობისა და მთავრობის მოხელეების მხრივ მის მიმართ უსულგულო დამოკიდებულების გამო, 1893 წლის 3 მაისს, გაზ. „სევერნი კავკაზის“ (№ 35 (766)-ში) რედაქციის სახელზე გაგზავნილ წერილში აღშფოთებით წერდა, რომ სასიქადულო მწერალი „...საერთო პალატაშია, იკვებება, როგორც ულატაკენი კაცი, არა აქვს ისეთი არსებითი საჭიროების რამ, როგორც არის ჩაი და ისეთი უმნიშვნელო სიამოვნება, რასაც წარმოადგენს პაპიროსი... ნუთუ ალექსანდრე ყაზბეგს, რომლის შესანიშნავ ნაწარმოებებს უდიდესი სიამოვნებით კითხულობენ, რომლის მამის ბრწყინვალე სახლში უამრავ ხალხს უპურმარიალია, ისეთი ჯილდო უნდა

ხედვს წილად. რომ ქუჩა-ქუჩა იაროს და სადმე ღობის ძირას წიმი-
შილით მოკედეს?“.1

კოსტა ხეთაგუროვი გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და სა-
ხალხო განათლების ცნობილი მოღვაწის „მ. ზ. ყიფიანის გარდაცვა-
ლებაზე“ დაწერილ ლექსში გულის ტკივილით აღნიშნავდა „ღ. რ. ე-
ული შეილის დაკარგვას“, „ვინც გვიანდერძა საუნჯე წმი და“,
„ვინც ხალხს შესწირა სიცოცხლე მთელი“, „ვისი ბრძოლაა ეუკამ
გმირული“, „ვისაც ქოხებში შეაქვს ნათელი“2.

კ. ხეთაგუროვის ლექსმა, რომელიც მან მ. ზ. ყიფიანის კვბოს-
თან. 1891 წ. 4 მარტს წარმოსთქვა, მასებში დიდი პოპულარობა მო-
იპოვა და ოსების საყვარელ სიმღერად იქცა3. კოსტას ხმამ საქარ-
თველომდეც მიადწია. მის მღელვარე ლექსებს ქართული პრესაც
გამოეხმაურა. 1891 წლის 10 მარტს გაზ. „ივერია“ წერდა: „მას უკან
დიდის გრძნობით წარმოსთქვა ლექსი ჟერ ოსურად და შემდეგ მე-
ორე ლექსი რუსულად კოსტა ხეთაგუროვმა. შინაარსი ოსური ლექ-
სისა მოკლედ ასეთი იყო: „გზა მშვიდობისა, ჩვენთვის აღარა ზრუ-
ნავ ახლა. ქვეყნად გვრჩება შენი სახელი. შენი მომღურავი ერთიც
არ არის ჩვენ შორის. სახელი შენი საუკუნოდ: ცოცხალი იქნება.
თვით სიცოცხლე შენი საუკუნო იყო. მარტო შენ შესძელ და ერს
შესწირე კეთილდღეობა შენი. სიყრმიდან სიბერემდე ნატვირთი
გქონდა მწუხარება ერისა. ანთებული ლამპარი გექირა და გვინათებ-
დი ბნელ გზას. საცა საჭირო იყო იბრძოდი, მაგრამ უფრო ხშირად
აღერსი გეხერხებოდა... დედასავით გყვარდა სამშობლო. კეთილი
მწყემსი იყავ ღარიბთათვის. რით გადაგიხადოთ სიკეთის სამაგიერო?,
საუკუნოდ იყოს ხსენება შენი: უბედურნი ვართ ჩვენ. ასჯერ უბე-
დურია ის, ვინც უშენოდ სტირის აქა“4.

პოეტის მიერ მგზნებარედ წარმოთქმულ ლექსს დამაწრე საზო-
გადოებაზე და კერძოდ ოსებზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია:

1 Коста Хетагуров, Публицистика, письма, т. III, изд. АН СССР, М., 1951, гв. 7—8. შდრ. გაზ. «Северный Кавказ», 1893, № 35 (766): იხ. აგრეთვე, კ. დონაძე, კოსტა ხეთაგუროვის ქართველი მეგობრები (გაზ. „თბილისი“, 1959, 14 ოქტომბერი).

2 კ. ხეთაგუროვი, რჩული ნაწერების კრებული, სამხრეთ ოსეთის სახელგამი, 1939, გვ. 200. შდრ., ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდე ოსეთში, 1958, გვ. 204—205.

3 ო. დოლაბერიძე, კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი (კრიტიკა და ბიბლიოგრაფია). ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, № 4, გვ. 82—90).

4 გაზ. „ივერია“, 1891, № 53.

„დამსწრე ოსნი ამ ლექსის წარმოთქმის დროს სმენად გადაიქცნენ, ცდილობდნენ გაეგონათ თვითეული სიტყვა ლექსისა, რომელმაც ისე ძლიერ იმოქმედა, რომ მათ შორის თვით გულმაგრებმაც კი ვერ შეიკავეს ცრემლი“¹.

ამ ლექსიდან ნათელია, თუ როგორ შეფასებას აძლევდა ოსური ლიტერატურის კლასიკოსი, რევოლუციურ-დემოკრატიული პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი პირველი მედროშე და სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწე — კოსტა ხეთაგუროვი მოძმე საქართველოს ღირსეული შვილის მ. ზ. ყიფიანის საქმიანობას, მის წვლილს და უდიდეს ამაგს ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ყოველივე ზემოთქმულიდან უდაოდ დასტურდება, რომ ქართველი მოღვაწეები, პედაგოგები, კულტურისა და სკოლის მუშაკები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ოსი ხალხის სასწავლო-საგანმანათლებლო და სასკოლო-კულტურულ ცხოვრებაში, რასაც ეროვნული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი მალალ შეფასებას აძლევდა. ქართველი ინტელიგენციის პროგრესული წრის წარმომადგენელთა ინტერნაციონალური მოღვაწეობა ჩრდილო კავკასიის მთიელთა შორის. თავის მხრივ, ამ ხალხებს შორის თანაგრძნობის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთდახმარების გრძნობებს აძლიერებდა.

კ. ხეთაგუროვი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა გამოჩენილ ქართველ პედაგოგს — ი. ს. გოგებაშვილს, რომლის „რუსკოე სლოვო“ მასწავლებელთა ყრილობის დადგენილებით მიღებულ იქნა ჩრდ. ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ძირითად სახელმძღვანელოდ. ამასთან დაკავშირებით გაზ. „სევერნი კავკაზის“ 1901 წლის № 88-ში გამოქვეყნებულ წერილში („საეკლესიო-სამრევლო სკოლები ოსეთში“) კოსტა ხეთაგუროვი წერდა: „ჩრდილოეთ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ სასკოლო ცხოვრების მეტად რთული საკითხები წამოაყენა. ცოტად თუ ბევრად გამოსადეგი სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, ყრილობამ დაადგინა — ოსურ სკოლებში შემოღებულ იქნას ცნობილი სახელმძღვანელო რუსული ენისა — იაკობ გოგებაშვილის — „რუსკოე სლოვო“².

როგორც ვხედავთ, კოსტა ხეთაგუროვი ახლოს იცნობდა ქარ-

¹ გაზ. „ივერია“, 1891, № 53.

² К о с т а Х е т а г у р о в, С о б р а н и е с о ч и н е н и й, и з д. А Н С С С Р, М., 1951, გვ. 185. სრ. «Северный Кавказ», 1901, № 88 (1798). შდრ: ტ. სატი-შვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, 1956, გვ. 180.

თულ მწერლობას, ქართულ პედაგოგიკას, ჩვენს სასიქადულო პედაგოგს — იაკობ გოგებაშვილს და მის სახელმძღვანელოებს, რომელსაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდ. ოსეთის სკოლისა და ეროვნული კულტურის განვითარებაში.

კოსტა ხეთაგუროვს საქმიანი ურთიერთობა და გულითადი მეგობრობა აკავშირებდა ქართული (მუსიკალური) ხელოვნების ისეთ

გამოჩენილ მოღვაწესთან, როგორცაა კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, რომელმაც 900-იან წლებში კოსტა ხეთაგუროვის ლექსებზე: „მთიელი ქალის სიკვდილზე“. „მწყემსის სიმღერა“, „მზე აღარ ბრწყინავს“ (პოემიდან „ფატიმა“) — შთამაგონებელი მუსიკალური ნაწარმოებები შექმნა.

კოსტა ხეთაგუროვის ლექსის შესახებ — „მთიელი ქალის სიკვდილზე დ. არაყიშვილი წერდა, რომ „ეს გულწრფელი და ღრმა ლექსი კოსტამ დაწერა ჩემი ძმის სიტყვებით, მშობლიურ აულში, ექსპრომტად. მთიელი ქალის დასაფლავებაზე“¹. შემოთქმულიდანაც ნათელია, რომ ქართველ და ოს შემოქმედებით მოღვაწეთა შორის მჭიდრო მეგობრული კავშირი და ურთიერთგაგება არსებობდა. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ რომანსები: „მწყემსის სიმღერა“ და „მზე აღარ ბრწყინავს“, პირველად ქართული სიმღერის დიდმა ოსტატმა ვანო სარაჯიშვილმა შეასრულა.



კოსტა ხეთაგუროვი

დ. არაყიშვილის მჭიდრო კავშირი ოსურ მუსიკალურ კულტურასთან და ამ ერის ხალხური მუსიკალური შემოქმედებისადმი ძლიერი ინტერესი კოსტა ხეთაგუროვთან ქართველი კომპოზიტორის 1902 წლის პირადი შეხვედრის საინტერესო მომენტში მქლავნდება გამოუქვეყნებელ ხელნაწერში „ოსური ხალხური მუსიკის შესახებ“², დ. არაყიშვილი წერდა: „რაც შეეხება ოსურ ეოკალურ მუ-

¹ ო. დოლაბერიძე, რეცენზია ტ. სარაჯიშვილის წიგნისა: „კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი“. იხ. ჟურნალი: „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 4, 1956, გვ. 88.

² ო. დოლაბერიძის თქმით, ეს ხელნაწერი პროფ. ს. ასლანიშვილის პირად არქივში ინახება. ტ. ს.

სიკას, მასთან საქმე მქონდა 1902 წელს, როდესაც ვლადიკავკავში დაებრუნდი საქართველოში დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ. აქ, სხვათა შორის, მე ვიყავი ოს პოეტ კოსტა ხეთაგუროვთან, რომელთანაც მიმიყვანა ჩემმა ძველმა ამხანაგმა — ვლადიკავკაველმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე ჯანაევმა.

პატარა, გამხდარმა და ახალუხში გამოწყობილმა კოსტამ, რომელსაც მაღალი კავკასიური ქუდი ეხურა, მიგვიწვია ოთახში და ის ძლიერ გააოცა ჩვენი მოგზაურობის მიზანმა. იგი არაფრით არ მოელოდა, რომ ოსური სიმღერა ვინმეს როდისმე დაინტერესებდა, მაგრამ ასეთი პირი ჩემი სახით იქვე იყო. მანაც, თავის მხრივ, აღვკითქვა დახმარება, სიმღერის ჩაწერაზე დასწრებასაც დაგვიპირდა (მე, ჩავიწერე ფონოგრაფით), მაგრამ ვერ მოვიდა¹.

დ. არაყიშვილის ამ მოგონებები ხასიათის წერილიდან ირკვევა, რომ ქართველ კომპოზიტორს მონოგრაფზე შვიდი ოსური სიმღერა ჩაუწერია და მოსკოვში წაუღია.

ზემოაღნიშნული ფაქტიც ადასტურებს მკიდრო კავშირს, კულტურულ-შემოქმედებით ურთიერთობას, რაც ნიადაგს ქმნიდა მომავალში უფრო კეთილშობილი, ჯანსაღი, ღრმა, ხანგრძლივი და მტკიცე მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

კოსტა ხეთაგუროვის მეგობრობა ქართველ მოღვაწეებთან სხვა ფაქტებითაც დასტურდება. 1899 წელს ოსი პოეტი კავკასიის მაშინდელ ცენტრში — საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა. უმთავრესი მიზანი მისი თბილისში ჩამოსვლისა ის იყო, რომ უფრო ზუსტად გაერკვია კავკასიის ხელისუფალთა გადაწყვეტილების არსი მხარის საზღვრებს გარეთ მისი გადასახლების შესახებ, ქართველი და ოსი მეგობრების დახმარებით მიეღწია ამ უსამართლო განაჩენის გაუქმებისათვის².

ამ საკითხთან დაკავშირებით ი. ა. ცალიკოვა, კ. გ. ზასოხოვისადმი გაგზავნილ ბარათში წერდა: „და აი, ჩვენ ყველამ გამოვაგზავრეთ კოსტა თბილისში, სადაც მან გაიგო, რომ ეს (გადასახლების ამბავი) მართალია, მაგრამ არა პემზაში, არამედ კურსკის გუბერნიკაში“³. არის სხვა ცნობებიც იმის შესახებ, რომ კოსტა ხეთაგუროვი საქართველოში სხვა დროსაც ყოფილა და ჩვენი მხარის ადგილობრივ მოსახლეობასთან მკიდროდ იყო დაკავშირებული.

¹ ქურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1956, № 4, გვ. 88, იხ. ო. დოლაბერიძის რეცენზია.

² В. Абаев, Тбилиси и Осетия, 1959, გვ. 19.

³ В. Корзун, Коста Хетагуров, М., 1957, გვ. 100. შედ. В. Абаев, Тбилиси и Осетия, 1959, გვ. 19.

გამოჩენილი ოსი პედაგოგი, პუბლიცისტი და სახალხო განათლების სარბიელის დიდი მოღვაწე ა. ა. გასიევი (1844 - 1915) თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, აქვე (დროებით) მასწავლებლობდა და პერიოდულად თბილისშივე ეწეოდა, როგორც პრაქტიკულ, რსე თეორიულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

პედაგოგი გასიევი იაკობ გოგებაშვილის მხარდამხარ იბრძოდა „თბილისელის“ ანტიპედაგოგიურ შეხედულებათა წინააღმდეგ, „თბილისელისა“, რომელიც დედაენაზე სკოლის მოწყობას, ეროვნული პედაგოგიური კადრების მომზადებისა და სწავლების ადგილობრივ ცხოვრებასთან კავშირის დამყარების ქემშარტ დიდაქტიკურ მოთხოვნებს არააზრობად აქცევდა. ქართველი ხალხის განათლების წყურვილისა და ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისადმი ლტოლვა-მისწრაფების ზრდასთან დაკავშირებით გასიევი ბაზგასმით მიუთითებდა, რომ თბილისის გუბერნიის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის არ არსებობს იმ სააღმზრდელო საშუალებათა ნაბეჭარიც კი, რომლებიც მასწავლებლების განკარგულებაშია შიდა რუსეთში¹.




ა. გასიევი

ბუნებრივია, რომ ყველაფერი ეს უფრო მწვავედ იგრძნობოდა ჩვენთან, რადგანაც, გასიევის თქმით: „... მოსწავლეთა მოზღვავება, ლტოლვა საგუბერნიო ქალაქისაკენ (ე. ი. თბილისისაკენ) გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში“².

ზემომოტანილი ამონაწერებიდან ცხადია, რომ სახალხო განათლების ოსი მოღვაწე, მთელი გულით თანაუგრძნობდა საქართველოს ადგილობრივ მოსახლეობას და სწავლასმოწყურებულ ქართველ ახალგაზრდობას. ამიტომაც, იგი ცდილობდა ადგილობრივ ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის გზით ხელი შეეწყოს სასკოლო განათლების დარგში ქართველი მოსახლეობის პედაგოგი-

¹ გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკ“, 1877, № 238.
² იქვე.

ური იდეალების განხორციელებასათვის. საქართველოს მშრომელი ხალხი და მისი შემოქმედებითი ინტელიგენცია ოსეთს. ოს ხალხს მუდმივ დახმარებას უწევდა ეროვნული ძალების განვითარებისა და საკუთარი ინტელიგენციის შექმნის საქმეში. ინტელიგენციის ასეთ მოწინავე ძალებს ეკუთვნოდნენ ინიციატორი რ. გაგლოვი, ფილოლოგი ა. თიბილოვი, ექიმი ვ. კარსანოვი, ა. აბაევი და სხვები. რომლებმაც ოსეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს¹. ამავე დროს. ცნობილია ისიც, რომ ქართველი ხალხი ყოველმხრივ ხელს უწყობდა და სათანადო პირობებს ქმნიდა საქართველოში ოსურ კულტურულ წამოწყებათა განვითარებისა-



თვის. განმეორებით რომ არ ვილაპარაკოთ ოსურ სკოლებზე (რომელთა რიცხვი ჩვენში საგრძნობლად იზრდებოდა). XX საუკუნის დასაწყისში (1909 წლის 2 აპრილს) თბილისში ჩამოყალიბდა ოსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „რუსს“ („სინათლე“). რომელიც ქართულ ანალოგიურ საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტში მუშაობდა². აღნიშნული საზოგადოების ამოცანას შეადგენდა წიგნების გამოცემა და გავრცელება, სტამბებისა და ცინკოგრაფიის მოწყობა. ფოტოგრაფიის. წიგნების მალაზიებისა და ბიბლიოთეკების დაარსება³.

ჩანაწერი ა. გასიევის უბის წიგნაკადან დელი თბილისის კერძო თეატრის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზედაც აჩვენებდა. ოსური დრამატული დასი ოსურ პიესებთან ერთად, როგორც რუსულიდან, ისე ქართულიდან თარგმნილ პიესებსაც დგამდა. ოსურ სცენისმო-

¹ В. Абаев, Тбилиси и Осетия, 1959, გვ. 17.
² იქვე, გვ. 18, შტრ., ეურნ. „აფსირ“, 1910, № 4, გვ. 5.
³ ოსური ეურნალი „აფსირ“, 1910 წ. აპრილს ნომერი, გვ. 5. (საზოგადოება „სინათლის“ თბილისის გვუფს ხელმძღვანელობდა ა. შ. ცომაევი).

ყვარეთა დასს აქტიურ რეჟისორულ დახმარებას უწევდა სცენის ოსტატი — ნიკო გოცირიძე¹.

1906 წლის 7 ოქტომბერს ქ. თბილისში, ხოლო შემდეგ ვლადიკავკაეში ჩამოყალიბდა წიგნების გამომცემელი ჯგუფი „ირ“ („ოსეთი“), რომელმაც თბილისში დააარსა ოსური გაზეთი „ნოვ ცარდ“ („ახალი ცხოვრება“). გაზეთის პირველი ნომერი 1907 წლის 8 მარტს გამოვიდა. იგი კვირაში ორჯერ გამოდიოდა (რედაქტორი პეტრე თედევეი), რომელიც ოსური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებს აშუქებდა. ამ ჯგუფის ინიციატივით გამოცემულ იქნა აგრეთვე კოსტა ხეთაგუროვის „ირონ ფანდირი“ („ოსური ჩანგი“) და სხვა წიგნები, რომელთაც ოსეთ-საქართველოს ხალხთა კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის განმტკიცებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა².

1910 წლის თებერვლიდან გამომცემლობა „ირ“-ის ინიციატივით გამოვიდა ყოველთვიური ოსური ლიტერატურულ-მხატვრული ყურნალი „აფსირ“ („თავთავი“), რომელმაც კავკასიის ორივე მხარის ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ზემოხსენებული ყურნალის 1910 წლის აპრილის ნომერში გამოქვეყნებული „K“-ს წერილი („ოსეთის საშინაო ამბები“) ადასტურებს თბილისის ოსური საგამომცემლო ჯგუფის („ირ“) ინიციატივით ოსური თეატრალური დასის თვალსაჩინო მუშაობას, ქალაქში ოსური სახალხო სკოლის გახსნას, ოსური გაზეთის („ნოვ ცარდ“) გამოშვებას და სახსრების შეგროვებას (წლის მანძილზე 4372 მან. და 47 კაპ.), რაც ოსური კულტურის, სკოლისა და განათლების წინსვლა-განვითარების საქმეს ხმარდებოდა.

1907 წლის 22 მარტს ოსური გაზეთი „ნოვ ცარდ“ სწავლულ ოსებს თბილისში საკვირაო სკოლის დაარსებისაკენ მოუწოდებდა, განსაკუთრებით იმ ოსთათვის, რომლებმაც თავიანთ დედაენაზე არ იციან წერა-კითხვა, რათა მიიზიდონ ისინი გაზეთში, გახადონ მისი მკითხველი და ამით აამაღლონ მათი კულტურული დონე³.

ოსური საზოგადოების თბილისური გაზეთი („ნოვ ცარდ“) მოსახლეობაში ფართო პროპაგანდას ეწეოდა მუსლიმან ქალთა შორის გავრცელებული ჩადრის, მოძველებული ადათ-ჩვევებისა და უკულტურობის წინააღმდეგ.

¹ В. Абаев, Тбилиси и Осетия, 1959, გვ. 18.

² ყურნ. „აფსირ“, 1910 წ., № 9, გვ. 4—6.

³ გაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 4, გვ. 4. იხ. „თბილისელის“ სტატია.

1907 წლის 29 მარტს (№ 6) „თბილისის ამბებში“ გაზეთმა მუსლიმანური ქალთა სკოლის შესახებ აღნიშნა, რომ ამ სკოლის ხელმძღვანელის გოხარ-ხანუმ გაიბაევის საქციელს, რომელმაც ჩადრი უკუაგდო და რუსული სამოსი ჩაიცვა, ადგილობრივი მუსლიმანური საზოგადოება უარყოფითად შეხვდა. ბევრმა საყვედურებმა სკოლის გამგე აიძულა თავი მიენებებინა მისთვის. სწავლის საქმე იღუპებოდა. სკოლის დამაარსებელი ასპინოვა იძულებული გახდა ეს სასწავლებელი ქალაქის სხვა ადგილას გადაეტანა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ნოვ ცარდ“ წერდა: „ოსებშიაც ბევრია მუსულმანი, მაგრამ სახეს არ მალავენ, აღარ იცავენ ძველ წესებს, რადგანაც წიგნებიდან იციან ბევრი რამ და რელიგიის მასწავლებლებს ყურს აღარც კი უგდებენ“¹.

ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს იმის შესახებ, თუ რა დიდ ბრძოლას ეწეოდა თბილისის ოსური პრესა ოსურ მოსახლეობაში მავნე ადათ-ჩვევების აღმოფხვრის, წიგნიერების დანერგვისა და განათლების სწივების შეტანისათვის.

თბილისელი ოსები ბევრს ზრუნავდნენ ქალაქში საკვირაო სკოლის, სახალხო უნივერსიტეტის გახსნისა და ოს მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებისათვის. ასე, მაგალითად, 1907 წლის 25 მარტს თბილისის ვაჟთა საკვირაო სკოლაში გაიმართა ოსი ახალგაზრდობის თათბირი (შეკრებას 50-მდე ოსი ახალგაზრდა ესწრებოდა), რომელმაც (აღნიშნულ სკოლაში სწავლების ორგანიზაციის საკითხებს გარდა) იმსჯელა ოსთათვის სახალხო უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. ამ საქმის მოწესრიგებისათვის შეიქმნა კომისია, რომელშიაც შეყვანილ იქნენ ლ. პარასტაევი, ი. მაკოვევი, დ. დრიაევი, ა. გაბარაევი, ვ. შავლოზოვი, შ. თიბილოვი და ი. გაბარაევი². 1907 წლის 16 სექტემბერს თბილისის ოსურ გაზეთში (№ 53) გამოქვეყნდა ცნობა (ოსური სკოლების მასწავლებელთა თათბირის გადაწყვეტილების საფუძველზე) სახალხო უნივერსიტეტის ლექტორებად ყამბოლათ მამიევისა და ვლადიმერ აბაევის მოწვევის შესახებ³.

პრესის მასალებიდან ირკვევა, რომ 1907 წლის აპრილის შუა რიცხვებში ქალაქის ოსი საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის ინიციატივით ჩამოყალიბდა ოსი ახალგაზრდობის სახალხო უნივერსიტეტი (ავტალის ქ. № 29), რომელიც ორი ჯგუფისაგან შედგებოდა: პირველ ჯგუფში მეცადინეობდნენ (5—7 საათამდე) წერა-კითხვის

¹ გაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 6, გვ. 3.

² იქვე.

³ იქვე, № 53.

უცოდინარები, ხოლო მეორეში (7 — 9 საათამდე) — წერა-კითხვის მცოდნენი, რომლებსაც არითმეტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ტექნიკურ ხაზვას და სხვა საგნებს ასწავლიდნენ¹.

თსი ინტელიგენციის წარმომადგენლები თბილისელი ოსებისათვის ხშირად აწყობდნენ საჯარო ლექცია-მოხსენებებს სწავლა-განათლების მნიშვნელობის, ოსეთის ისტორიისა და სხვა აქტუალურ თემებზე, რომელთაც ხალხმრავალი მსმენელთა აუდიტორია ჰყავდა.

1907 წლის 29 მარტს გაზ. „ნოვ ცარდ“ თბილისის ოსურ მოსახლეობას აუწყებდა, რომ კვირას სასამართლო დარბაზში ბიძინა ქოჩიევი პირველ ლექციას წაიკითხავს თემაზე: „რა სარგებლობა მოაქვს სწავლა-განათლებას საზოგადოებისათვის“².

იმვე წლის 8 აპრილს ვაჟთა გიმნაზიის შენობაში (საკვირაო სკოლაში) ლექტორმა ბ. ქოჩიევმა ოსი ახალგაზრდობისათვის (ესწრებოდა 80 კაცი) წაიკითხა მეორე ლექცია „ოსეთის ისტორიის“ შესახებ, რამაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია³.

ამგვარი ხასიათის ლექცია-მოხსენებებს თბილისის ოსურ მოსახლეობაში დიდი სიხალისე შეჰქონდა. 1907 წლის 20 მაისს (კვირას) პირველი გიმნაზიის შენობაში ლექტორმა ნიკალა ჯიოევმა ოსურ ენაზე წაიკითხა ლექცია ძმებ გრაკიხებზე, რომელსაც წინ რომის ისტორიის მოკლე მიმოხილვა წარუშქმდევარა. ამგვარი გზით „სინათლის“ საზოგადოება საქართველოს ოსური მოსახლეობის საერთო კულტურის ამადლებსა და ოს ახალგაზრდობაში სწავლის შექმნის ინტერესის გაღვიძებას ცდილობდა.

გაზ. „ნოვ ცარდ“ (1907 წ., № 8) ოს სწავლულებს მოუწოდებდა, შეეგროვებინათ ოსური ხალხური სიმღერები, ზღაპრები, ანდაზები, ფოლკლორული მასალები და ეზრუნათ მათი გამოქვეყნებისა და გავრცელებისათვის. ამ მოსაზრებით ოსური წიგნის გამომცემელთა თბილისის ჯგუფს (ინალ სობიევის, ბიძინა ქოჩიევისა და თათა რამონოვის შემადგენლობით) დაევალი ოსურ ენაზე წიგნების ბეჭდვისა და გენის სიწმინდის დაცვის საკითხების მოგვარება⁴.

ოსური წიგნების გამომცემელთა ჯგუფის ინიციატივით თბილისის თეატრებში (გამომცემლობის ფულადი სახსრების გასაძლიერებ-

¹ გაზ. „ნოვ ცარდ“, 1907, № 10, გვ. 2—4.

² იქვე, № 6.

³ იქვე, № 7.

⁴ იქვე, № 10.

ლად) ხშირად იმართებოდა ოსური სპექტაკლები და სალამო-წარმოდგენები, რის შესახებაც ქართული გაზეთები საჭირო განცხადებებს უფასოდ ბეჭდავდნენ. ამით ქართული პრესა ხშირად ოსი საზოგადოების მადლობას იმსახურებდა¹. მაგ., დედაქალაქის ერთ-ერთ თეატრში წარმოდგენილ ოსურ სპექტაკლს (რომელიც „ოსური წიგნის გამომცემელი საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართა) თბილისის საზოგადოებრიობა და პრესა გულითადი მხარდაჭერით შეხვდა. ამ ფაქტმა ოსური პრესის ფურცლებზე სათანადო გამოხმაურება პპოვა². ამავე წიგნის გამომცემლობის ფონდის სასარგებლოდ ოსურმა ჩგუფმა გადაწყვიტა, რომ 1907 წლის 31 მაისს ზუბალაშვილის სახლში (ახლანდელი მარჯანიშვილის სახ. თეატრი) განეხორციელებინა გოგოლის კომედიის „ქენიტბა“-ს („ქორწინება“) ოსური დადგმა, რაც ქართული თეატრის ხელმძღვანელთა დახმარებით წარმატებით განხორციელდა³.

გამომცემლობა „ირ“-ის მიერ გამოქვეყნებული ოსური წიგნები „სინათლის“ საზოგადოების თბილისის ჩგუფის მიერ ოსურ სკოლებს ეგზავნებოდა; რაც ხელს უწყობდა ოსი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებას. 1907 წლის 13 მაისს, გაზ. „ნოვ ცარდ“ (№ 8) საზოგადოებას აუწყებდა ოსური დაწყებითი სწავლებისათვის სახელმძღვანელოების მიღებას და იმასაც, რომ ოსური სკოლა თბილისში ავკალის უბანშია (კულუმბეგოვის სახლში) მოთავსებული.

ზემოჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ოსი ხალხი და ოსეთის ახალგაზრდობა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართველი ინტელიგენციის, ქართველი ხალხის მუდმივი მხარდაჭერითა და მზრუნველობით სარგებლობდა.

მეორეს მხრივ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართველი მოღვაწეები დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ ჩრდ. და სამხრეთ ოსეთში, აარსებდნენ სკოლებს, ხსნიდნენ ბიბლიოთეკებს, კლუბებს. გამოდიოდნენ ლექცია-მონხსენებებით, აწყობდნენ სალამო-წარმოდგენებს, მართავდნენ კონცერტებს და ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ ორი მეზობელი ხალხის კულტურულ დაახლოებას. 1895 წლის 19 მარტს ვლადიკავკავის თეატრში გაი-

¹ გაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 12.

² იქვე.

³ იქვე, № 19. გოგოლის „ქენიტბა“ რუსულიდან ოს მწერალს ესია ყუბალოვს (ყომბალას) უთარგმნია.

მართა ქართული წარმოდგენა, სადაც ნაჩვენებია იქნა ალ. ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და ვოდვეილი „ადვოკატთან“ (გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ), რომელმაც მრავალეროვან ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული ხელოვნებისა და კულტურისადმი ცხოველი ინტერესი გამოიწვია¹.

ანალოგიური ღონისძიებანი ტარდებოდა ცხინვალში, სადაც ჩამოყალიბდა სცენის მოყვარეთა დასი. ამ დასმა (გაზ. „ივერიის“ 1892 წ., № 1145 ცნობით) ადგილობრივი მოსახლეობისათვის „მზის დაბნელების“ დადგმა განახორციელა. აღსანიშნავია. რომ 1895 წლის 11 და 12 მაისს მსახიობ ალექსიძე-მესხიშვილის სასარგებლოდ ვლადიკავკავში გამართულ იქნა ქართული წარმოდგენა, რომელმაც ხალხში დიდი მოწონება დაიმსახურა².

ვლადიკავკავში ქართული კონცერტები მე-19 საუკუნის მიწურულშიაც არა ერთხელ გამართულა. 1895 წლის ეურნალი „კვალი“ (№ 26) იტყობინება: „როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში ბ-ნი ი. ი. რატილი³ ქართული ხოროთი მიემგზავრება კონცერტების გასამართავად სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში. აგრეთვე გავლით კონცერტს მისცემს. ღუშეთში და კავკავში. მოგზაურობის შემდეგ ბ-ნი რატილი მიდის ლანჩხუთში (გურიისში) და უცვლელად უნდა გადაიღოს იქაური ხმები და კილოები“⁴. უდაოა, რომ ქართული კონცერტების გამართვა კავკავში ხელს უწყობდა ქართველთა და ოსთა შემკვიდროებას, მათ შორის კულტურული კავშირისა და მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას. კავკავის მოსახლეობა ადგილობრივი თეატრის სცენაზე ქართული ხელოვნების მოღვაწეთა გამოსვლას უდიდესი სიხარულით ხედებოდა. მაგალითად, 1900 წლის 28 მაისს კუხიანიძის ლობტარობით კავკავის თეატრში გამართულმა ქართულმა კონცერტმა დამსწრეთა შორის გულწრფელი სიხარული და დიდი აღფრთოვანება გამოიწვია⁵.

¹ გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 65. ამ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: ალ. ა. სარაჯიშვილი, ნ. ი. მაკუვარიანი, თ. ჭორჭაძისა, ელ. გვარამაძისა, ლ. ბოცვაძე (მოურავის როლში) და სხვები. წარმოდგენის შემოსავალი (400 მანეთზე მეტი) შთლიანად ქართულ სასწავლებელს გადაეცა.

² ეურნ. „კვალი“, 1895 წ., № 17, გვ. 5.

³ ი. ი. რატილი იყო ჩუბი კომპოზიტორი და ლობტარი, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა. იგი ლადო აღნიაშვილმა მიიწვია მის მიერ 1885 წელს ჩამოყალიბებული ქართული გუნდის ლობტარად. აღნიაშვილმა იოსებ რატილს მთელი რეპერტუარი ნოტებზე გადააღებინა, რაც შემდეგ სახელმძღვანელოდ სახალხო სკოლებსაც დაურთავდა (გაზ. „ივერია“, 1904, № 90).

⁴ ეურნ. „კვალი“, 1895 წ., № 26, გვ. 3.

⁵ ეურნ. „კვალი“, 1900 წ., № 25, გვ. 397.

1895 წლის 18 აგვისტოს საზოგადოებრიობამ იღღესასწაულა და დიდი ზეიმით აღნიშნა ცხინვალის ნორმალურ სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილების გახსნა. ზეიმზე „...ძმურად ატარებდნენ დროს ქართველი, სომეხი, ოსი, ურია, სამღვდლოება, თავადაზნაურობა და გლეხობა. ყველანი ერთს საზოგადო საქმეს შეეერთებინა და ეს საზოგადო საქმე იყო გონება-განვითარების საქმე — ნორმალური სკოლის და სამეურნეო განყოფილების კეთილად წარმატება“¹.

მიუხედავად იმისა, რომ „კვალიდან“ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ამონაწერში მიჩქმალულია სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობა. რომელიც საზოგადოების პრივილეგიურ (თავადაზნაურობა, სამღვდლოება და სხვ.) და დაჩაგრულ (ღარიბი გლეხობა და სხვ.) ფენებს შორის არსებობდა იგი მაინც აშკარად გვაჩვენებს იმ საერთო ზრუნვას, საერთო სიხარულს და მიზანსწრაფვას, რომელიც სასკოლო განათლების დარგში სხვადასხვა ეროვნების ადგილობრივ მოსახლეობას ურთიერთაკავშირებდა და საერთო საქმისათვის რაზმავდა².

ქართველი საზოგადოებრიობა და მასწავლებლობა ერთნაირი ყურადღებითა და ზრუნვით ეპყრობოდა ქართველი და ოსი ბავშვების სკოლებში ჩაბმისა და მათი სწავლა-აღზრდის საქმეს.

კავკავის ქართული სკოლის 1895—96 სასწავლო წლის „ანგარიშებიდან“ და მასწავლებელთა წლიურ შეკრებაზე განხილული განცხადებებიდან დასტურდება, რომ სოფელ ბალთის ქართველი და არა-ქართველი ახალგაზრდობა უსწავლევლობისა და უცილობის სიძნელეში იმყოფებოდა: „...ახალგაზრდა სოფლის მწერალს, ბ-ნ ნიკოლოზ ფარეშიშვილს აუყვანია თითქმის 40-მდე ბავშვი ქართველ-ოსებისა და ასწავლის ქართულ-რუსულ წერა-კითხვას. ზემოხსენებული პირნი (ბალთელები — კვიციანიძე, ჭანიშვილი) თხოვენ კავკავის ქართვე-

¹ ურნ. „კვალი“, 1895 წ., № 38, გვ. 1—2.

² ცხინვალის სკოლის სამეურნეო განყოფილების გახსნასთან დაკავშირებით თბილისიდან მიღებულ იქნა გუბერნატორ შერვაშიძის, ილია წინამძღვრიშვილისა და სხვათა დეპეშები. საზეიმო სადილს ესწრებოდნენ მწერალი გიორგი წერეთელი, პროფ. ალ. ხაჩანაშვილი, ალ. როინიშვილი და სხვები. ცხინვალის ნორმალურ სკოლასთან სამეურნეო განყოფილების გახსნის, ლიახვის ნაპირას სასაბურთაო ბაღის დაარსების შესანიშნავი როტონდის აგების, მასთან სამკითხველოს მოწყობის, საკრებულო და სათეატრო-საკონცერტო დარბაზის გახსნისა და საქალებო სკოლისათვის ცალკე ოთახის გამოყოფის საქმეს ხელმძღვანელობდა სპეციალური კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ: გუგუშვილი (თავმჯდომარე), ეფემია მაჩაბელი, ცერაძე, მასწავლებელი ხიმშიაშვილი, აგრონომი იოსელიანი, ექიმი ცისკარიშვილი და სხვები (ურნალი „კვალი“, 1895 წელი, № 38, გვ. 1—2).

ლობას, რაიმე დახმარება აღმოუჩინონ ბალთელ ბავშვებს, რომელთაც აქვთ სურვილი სწავლისა, მაგრამ შეუძლებლობის გამო უძნელდებათ სკოლაში შესვლა.

ამ წერილში თანაგრძნობა გამოიწვია და იქვე ხელის მოწერით შეგროვდა ორმოცდაათ მანეთამდე. აგრეთვე რამდენიმე ახალგაზრდა შეჰპირდა სახელმძღვანელო წიგნების ყიდვას, რასაც იმედია, კიდევაც შეასრულებენ¹.

ზემოაღნიშნული წერილობითი ცნობები ადასტურებენ ქართველ მასწავლებელთა ერთობლივ მზრუნველ დამოკიდებულებას ოსი და ქართველი ბავშვებისადმი, რომელთაც სწავლისა და სასკოლო განათლების მიღება სურდათ.

ქართული კულტურის მოღვაწეთა მხრივ ამგვარი ზრუნვა ოსი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეზე შემთხვევითი არ იყო და იგი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც სისტემატურ ხასიათს ატარებდა. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს რაჭის მაზრის სოფელ კუდაროს. სახალხო სკოლის დახურვასთან დაკავშირებით ქართულ ყურნალ-გაზეთებში ატეხილი „განგაში“, რომლითაც ჩვენი პრესა ადგილობრივ ხელისუფლებას ოსი მოსახლეობის სწავლა-განათლების საქმეზე უზრუნველობისათვის ამოთრახებდა.

1891 წლის ყურნ. „მწყემსის“ (№ 6) მიხედვით: „მეტად სამწუხაროა კუდაროს სამრევლო სკოლის გაუქმება, ვინაიდან მკვიდრთა (ე. ი. ოსთა. ტ. ს.) შორის ამ ხეობისა სწავლა-განათლების საქმეს ჭერ კიდევ ბნელი ზეწარი აქვს დახურვილი“².

ადგილობრივი ოსი მოსახლეობა მთავრობისაგან მღვდლების მაგიერ წესიერ და მცოდნე მასწავლებლობის შერჩევას და თავიანთი შვილების სწავლა-აღზრდის საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას მოითხოვდა, რასაც ქართული პრესა ღრმა გაგებითა და თანაგრძნობით ეკიდებოდა.

ყურნალი „მწყემსი“ კუდაროს ოსებს სწავლის საშუალებით, „ბოროტისა“ და „კეთილის“ გარჩევის, ცუდ ზნე-ჩვეულებათა დაძ-

¹ უარნ. „კვალი“, № 11, 1896 წ., გვ. 177. ბალთელი მოქალაქეების — კვიციანივისა და კონიშვილის წერილები კაცკავის ქართული სკოლის საანგარიშო წლიურ კრებაზე წაიკითხა ამავე სკოლის მასწავლებელმა ტ. კახიძემ, რომელიც დამსწრეებს ქართველ და ოს ბავშვებზე ზრუნვისაკენ მოუწოდებდა.

² უარნ. „მწყემსი“, 1891 წ., № 6, გვ. 4. იხ. მიხ. ვავაშვილის სტატია: „სწავლა-განათლების საქმე რაჭის მაზრაში და კუდაროს (ოსეთში) საეკლესიო სამრევლო სკოლის მღვდმარეობა“.

ლევა-მიტოვების, სკოლებში ბავშვების გაგზავნის, გონებრივი გამოფხიზლებისა და ცოდნის სინათლისაკენ მოუწოდებდა¹.

სწავლა-განათლების გავრცელებისათვის ოსებში ენერგიულ პროპაგანდას ეწეოდა უურნალი „კვალი“, რომელიც ძველი ტრადიციების („ყალიმი“, „ურადი“ და სხვ.) მოსპობას და უმეცრების აღმოფხვრას ხალხში მათი ცხოვრების ამბლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად აღიარებდა.

ძველი ტრადიციები და ადათ-ჩვევები, რაც ქსნის ხეობის ოსებშია გავრცელებული, უურნალ „კვალის“ მიხედვით „... არა ნაკლებ... დამქვეითებელია ხალხისა, როგორც ქონებრივი, ისე გონებრივი მხრით. ყოველივე ეს... რასაკვირველია, ნაყოფია გონების სილატაკისა და უვიცობისა. თუ სადმეა, აქეთ მეტად დაქვეითებულია ხალხი სწავლა-განათლებით; ისინი ისევე მამაპაპის კვალს მისდევენ, ვერ ამჩნევენ, რომ დრონი იცვალენ და თვითონაც უნდა შეიცვალონ. საჭიროა შევაგნებინოთ, და ჩაუუნერგოთ ხალხს სწავლის სურვილი“².

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქართული პრესა სისტემატურად ავლენდა სოფლის ოსი მოსახლეობის სწავლა-განათლების დარგში არსებულ ხარვეზებს, ააშკარავებდა ხალხში შემორჩენილ მავნე ადათ-ჩვევებს და ძველი ტრადიციების უარყოფით მხარეებს, ოს მშრომლებს ცოდნის, სწავლის, განათლებისა და კულტურის შეძენისაკენ, სკოლისა და სინათლისაკენ მოუწოდებდა³.

ყოველკვირეული (ლიტერატურულ-საზოგადოებრივი) ორგანო „კავკასი კრაი“ 1905 წლის 20 მარტის მოწინავე წერილში კავკასიის ყველა ხალხს „ძმურად ცხოვრების“, „გულწრფელი თანამშრომლობის“, „სრულ ურთიერთ ნდობაზე და სოლიდარობაზე დამყარებული“ ძმური კავშირისა და „ურთიერთმხარდაჭერისაკენ“ მოუწოდებდა. „ჩვენი მხარის იმ ახალგაზრდობისაგან, ვისაც უყვარს კავკასიის წარსული და სწამს მისი მომავალი“, გაზეთი მოითხოვდა მეტი ცოდნისა და მეტი განათლების შეძენას, ვინაიდან „მეტი განათლება, მეტი ცოდნა კავკასიის მხარის წარსულისა, მისი მოსახლეობის ისტორიული დამსახურების შესწავლა და მეტი ურთიერთგაგება“ — გაზეთის აზრით, ურყევ საფუძველს წარმოადგენს ამ ხალხთა

¹ უურნ. „მწყემსი“, 1891 წ., № 17—18, გვ. 12—13. იხ. ექვთ. შაიძის (შაი-სურამის) სტატია კულაროს ოსებში სწავლა-განათლების შესახებ.

² უურნ. „კვალი“, 1901 წ., № 51, გვ. 1038.

³ იქვე, გვ. 1038—1039.

ცხოვრების ეკონომიური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის¹.

ამრიგად, კავკასიის (ქართულ-რუსულ-ოსური) პროგრესული პრესა ადგილობრივ მოსახლეობას ურთიერთ შეთანხმებული ცხოვრების, საერთო შრომის, ძმობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის განმტკიცებისათვის რაზმავდა. ქართველი და ოსი ხალხის მეგობრული ურთიერთობა საუკუნეების მანძილზე მტრების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლასა და შემოქმედებით შრომაში იწრთობდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მავალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ მთიულეთის 1804 წლის აჯანყება, რომელშიაც ოსები და ქართველები კავკასიის სხვა ხალხების მხარდამხარ საერთო მტრის — ცარიზმის (ე. ი. რუსეთის თვითმპყრობელობის) წინააღმდეგ იბრძოდნენ. „მთიანეთის აჯანყებას, — აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის აზრით, — არ ჰქონდა არც სათავადაზნაურო ხასიათი და არც ეროვნულ-ანტირუსული. იგი დაიწყო სამხედრო გზის მუშებში და, რამდენადაც ეს იგივე გლეხები იყვნენ, აჯანყება გლეხების მასებსაც მოედო. ამ ბრძოლაში ქართველ გლეხებს გვერდში ამოუდგნენ ოსები. ეს ინტერნაციონალური, ოს-ქართველ გლეხთა შეერთებული ძალა ებრძოდა, ცხადია, არა რუსის ხალხს, რომელიც იმავე დღეში იყო, რაც ქართველები და ოსები, არამედ ძალადობის საერთო სათავეს — რუსეთის თვითმპყრობელობას, რომლის აგენტებმა უსასტიკესი მოპყრობით ეს სისხლიანი აჯანყება გამოიწვიეს“¹.

ქართველთა და ოსთა ინტერნაციონალური მეგობრობა საზოგადოებრივი განვითარების შესაბამისად შემდგომში კიდევ უფრო ღრმავდებოდა. ოსების წინსვლასა და სიხარულს, ქართველი ხალხი თავის საკუთარ სიხარულად განიცდიდა, ისევე, როგორც ქართველთა მწუხრი ოსეთის მოსახლეობაში მწუხარებასა და თანაგრძნობის სულისკვეთებას იწვევდა.

ამის საილუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი პედაგოგის ლ. გ. ბოცვაძის წერილი, რომელიც კ. ხეთაჯუროვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაზ. „ტერეკში“ დაიბეჭდა. ბოცვაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ძვირფასი კავკასიის ცის ქამარას მოსწყდა ერთი შუქურა ვარსკვლავი, რომელიც თავის ნათელ სხივებს მიმოაფენდა. სამშობლო ქვეყნის ყოველ ტევრსა და სახლს“.

¹ Газ. «Кавказский Край», № 1, 1905, გვ. 2—3. იხ. წერილი რედაქციისაგან.

² შალვა ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II. 1958, გვ. 461. შტრ. აღ. ფრონელი, მთიულეთი, 1896, გვ. 82.

მისივე გამოთქმით: „კოსტამ განვლო ეკლიანი გზა და გზასვე უკაფადა იგი მომავალ თაობას, რომელსაც არ მოუხდება გამოსცადოს ის, რაც თავის მხრებზე გადაიტანა უმძიმეს დროს თავისუფლების მწერალმა და მამაცმა მეზრძოლმა“. ქართველ პედაგოგს მტკიცედ სწამდა, რომ ხსოვნა ისეთი დიდი მოქალაქის, მეგობრისა და შემოქმედებითი მოღვაწისა, როგორც ხეთაგუროვია, არასოდეს არ გაქრება ოსი ხალხისა და „...მისი ნაცნობი და მახლობელი ქართველების გულში“, რომლებიც ყოველთვის ხედავდნენ მასში „...ნათელი აზრებისა და იდეების თავდადებულ მოციქულს“¹.

ლ. ბოცვაძის გულწრფელი და გულმზურვალე სიტყვები კ. ხეთაგუროვის მიმართ, წარმოადგენს ქართველი ხალხისა და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სათუთი დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშს მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მეგობრობაში მყოფი მეზობელი ოსი ხალხისა და ოსეთის ინტელიგენციისადმი. იგივე შეიძლება ითქვას გამოჩენილი ქართველი მწერლისა და ეროვნული კულტურის დიდი გოლიათის — ილია ჭავჭავაძის მკვლევლობასთან დაკავშირებით ოსი ხალხის გულწრფელი თანაგრძნობის შესანიშნავი მაგალითების შესახებ. ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის ერთ-ერთი მონაწილეს ვლ. აბაევს თქმით: „თბილისელი ოსები, ყველა როგორც ერთი, ინაწილებდნენ ქართველი ხალხის უნუგეშო მწუხარებას. მათ დიდი მწერლისა და მოქალაქის კუბო შეამკეს გვირგვინით, რომელსაც ამშვენებდა მგრძნობიარე წარწერა: „ქავკასიის სახელოვან შვილს — ილია ჭავჭავაძეს — მგლოვიაარე ოსებისაგან“². ოსური გაზეთი „ნოგ ცარდ“ („ახალი ცხოვრება“), 1907 წლის სექტემბრის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის ცერემონიაში, სხვებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ ოსები. სიტყვები სხვადასხვა ენაზე წარმოითქვა. ოსურად სიტყვა წარმოსთქვა ბიძინა ქოჩიევმა. ასე მჭიდრო კავშირში იყვნენ და არიან ერთმანეთთან ქართველები და ოსები, რომელთა კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერთობა სისტემატურად მტკიცდება.

1916 წლის 5 ივნისს ზუბალაშვილების სახალხო სახლში გამართულ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დადგენილება „კავშირის

¹ ტ. სარბევილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, 1956, გვ. 205, ზღარ. კ. ხეთაგუროვი, რჩეული ნაწერების კრებული, 1839, გვ. 30.

² В. Абаев, Тбилиси и Осетия, 1959, გვ. 23.

გაფართოებისა და მისი სამოქმედო რაიონის მთელ კავკასიაზე გავრცელების შესახებ¹. საზოგადოების გამგეობასთან ჩამოყალიბდა ქართული, რუსული, სომხური, ვერძული და ოსური სექციები. ოსურ სექციაში არჩეულ იქნენ პ. ტეფევი, ა. პარასტაევი, რ. გაგლოშვილის ასული, ი. სანაკოევი და ა. თიბილოვი².

ამრიგად, საქართველოში და მის გარეთ ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები და სახალხო მასწავლებლები, მოწინავე ქართველთა, რუსეთის პროგრესულ მოღვაწეთა და სხვა ერთა საუკეთესო ძალების მხარდამხარ, ანხორციელებდნენ ღონისძიებებს ადგილობრივ ნიადაგზე სკოლის აგებისა და მოზარდი თაობის სწავლავანათლების დემოკრატიულ საწყისებზე განვითარებისათვის.

კულტურული კავშირის ძირითადი ნიშნები

ოსეთ-საქართველოს კულტურულ დაახლოებას (სხვა ფაქტორებთან ერთად) ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ალბ-მიცემობის გამოცობლება. „XVIII საუკუნის 50-იან წლებში კვლავ გაიხსნა დიდი ხნის წინათ ჩაკეტილი დარიალის სავაჭრო გზა, ამ გზაზე კვლავ იწყეს მიმოსვლა ვაჭრებმა და ქარავნებმა“³. სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა მეტ-ნაკლები მასშტაბით ფეოდალურ საქართველოსა და ოსეთს შორის უძველეს დროიდანვე არსებობდა, რაც, ამ ხალხებს შორის ენისა და კულტურის მიმოქცევას უწყობდა ხელს. ოსეთისა და საქართველოს სამთავროებსა და სამეფო ტახტის მფლობელებს შორის დინასტიური ქორწინებანი, მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელების ღონისძიებანი, მოყვრობა-ნათესაობის (ნათლობა, ძიძობა და სხვ.) გაფართოება და ურთიერთშემოქმედების სხვა ფაქტორები ხელშემწყობ საშუალებებს წარმოადგენდნენ ამ ხალხებს შორის სულიერი დაახლოებისა და კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის.

¹ უკრ. „განათლება“, 1916 წ., № 7, გვ. 450—451.

² იქვე. აღნიშნულ კრებას 1100-ზე მეტი კაცი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ — საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების კავშირის წარმომადგენელი გ. ნ. ყაზბეგი, ხატისოვი (ქალაქის თავი), სახალხო სკოლების დირექტორი — ოლოევი, ანასტასია წერეთელი (მწერალი), ა. მირიანაშვილი, ლ. ბოცვაძე, დ. უზნაძე, ვ. ბურჯანაძე და ს. ა. ზოლოტარიოვი. კრებაზე განხილულ იქნა მასწავლებელთა კავშირის წესდება, დასახულ იქნა მისი ამოცანები (პედაგოგიური კურსების მოწყობა, მასწავლებელთა ბიბლიოთეკების გახსნა და სხვ.), რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

³ ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, 1, 1958, გვ. 362.

1. ენობრივი ურთიერთობა. ალებ-მიცემობის განვითარებას, ქრისტიანობის გავრცელებას, საერთო მტრების წინააღმდეგ საბრძოლო თანამეგობრობასა და საყოფაცხოვრებო ურთიერთობას, უეჭველია, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსეთში ქართული ენის, ქართული მეტყველებისა და წიგნიერების გავრცელებისათვის. ოსეთის საუკუნეობრივმა კავშირმა საქართველოსთან გამოიწვია ოსური ენის ლექსიკური ფონდის შევსება ქართული სიტყვებით, მაგალითად, 1. რელიგიურ-ქრისტიანული ტერმინები: კვირა — К'ЪУЫРЯ; ქრისტე — ЧЫРЫСТИ; მარიამი — Майрѣм და სხვ. 2. სასოფლო-სამეურნეო და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო ხასიათის გამოთქმები: კაბა — К'ЪАБА; წინდა — ЦЪЫНДА; ხერხი — ХЫРХ და სხვ.¹

ქართულშიაც არის ისეთი სიტყვები, რომელთა წარმოშობას ოსური წყაროებიდან ვარაუდობენ. ოსეთის ახლო-მახლო დასახლებულ ტომებში (მეგრელებში, სვანებში, რაჭა-ლეჩხუმელებში) ბევრია სიტყვები, რომლებიც ამ ხალხების მეტყველებაში ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარებიან². კავკასიის მეზობელ ხალხებთან ზანგრძლივ კავშირში ოსებიც სწავლობდნენ იმ ენას, ეჩვეოდნენ მეტყველების იმ ფორმების გამოყენებას, რომლებიც მათ თავიანთი პირობების მიხედვით სხვებთან ურთიერთობისათვის ყველაზე მეტად სჭირდებოდათ.

ოსეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებიდან „ვინმე ქალი“ გვამცნობს: მართალია, ოსური და ქართული ლაპარაკი ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაგრამ, „...როგორც მეზობელი ხალხის ლაპარაკს — უფრო ითვისებენ, რადგან ერთმანეთში დიდი დამოკიდებულება და მისვლა-მოსვლა აქვთ“³.

და არა მარტო ოსები, არამედ კავკასიის ყველა დანარჩენი შთის ტომები სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ ამოქმედებდათ ერთიანობის ძალის მნიშვნელობის სოციალური ინტუიცია, რომელიც მეზობლებთან კავშირის დამყარებისათვის საერთო ენის გამონახვას აადვილებდა. ბუნებრივია, კავკასიის მცირე ტომები წიგნიერი და კულტურულად უფრო ძლიერი მეზობლებისაგან მიილტვოდნენ, მათ ენასა და წიგნს სწავლობდნენ, რომ ამ გზით ხელი შეეწყობოთ საკუთარი ეროვნული თვითმყოფლობის შენარჩუნებისა და კულტურის განვითარებისათვის.

¹ В. Абаев, Осетинский язык и фольклор, I, 1949, გვ. 87.

² შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 201, 206, 207, 252—253.

³ ეურნ. „კვალი“, 1896 წ., № 36, გვ. 646—647.

ქართული კულტურის მოღვაწე, თელავის სემინარიის რექტორი გაიოზი, 1783 წლის 28 მაისს სემინარიის მსმენელთა და თანამშრომელთა „შემოკრებაზე“ „სალრამატიკო აზრთა სარგებლიანობის შესახებ“ წარმოთქმულ სიტყვაში მიუთითებდა „გარემოსთა ჩვენთა მეზობელთა ერთა“¹ (ე. ი. „ლეკთა, ოვსთა, ჩერქეზთა და სხვათა მთიულთა კავკასიისათა“) შორის „სხუაობა გამოხზობისა“ და „სხუაობითა წიგნითა“ არსებობაზე, რომელიც ხელს უშლიდა კავკასიის „საბუღარის ხალხთა“ საერთო კულტურული განვითარების საქმეს, მაგრამ იგივე შემაფერხებელი ფაქტორები თავის თავში შეიცავდნენ ამ წინააღმდეგობათა დაძლევისათვის საჭირო იმპულსურ ძალებს, რომელიც ხალხებს ბიძგს აძლევდა ურთიერთთან დაახლოებისა და კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის. ქართული ანბანის, ქართული წიგნის გავრცელებას კავკასიის მთიანეთში ხელს უწყობდა არა მარტო ქართული და ქართველურ ენათა ბგერითი შემადგენლობის გადმოცემის სიაღვილე, არამედ ისიც, რომ „...იგი ამავე დროს ყველაზე ზუსტად გადმოსცემს სხვა კავკასიურსა და კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ენების ბგერით სისტემასაც. ეს დადებითი თვისებები ჩვენს ანბანს იმთავითვე დიდ პოპულარობას უზვეჟდა და ხელს უწყობდა მის ფართოდ გავრცელებას“². როგორც ცნობილია, ჩრდ. კავკასიის ხალხები ისტორიულად ქართულ ანბანს იყენებდნენ. ქართული ანბანით შესრულებული ეპიგრაფიული ძეგლები დღესაც საკმაოდ მოიპოვება ჩრდ. კავკასიაში, რომლითაც ადგილობრივი ენათა ნიმუშებია წარმოდგენილი³. ოსი პედაგოგის და სახალხო განათლების გამოჩენილი მოღვაწის — გ. ჩოჩიევის (გ. ლიხხველის) თქმით, უფრო საყურადღებოა ნუზალის ეკლესია. აქ, როგორც ამბობენ, წინათ ქართულად წარწერილი იყო ლექსი ოსების მეფეებზე, რომელიც წაშლილია მღვდელ სამარგანოვის მიერ. ბევრს უნდოდა შეეტყო, ვინ იყო დამწერი ამ ლექსისა, მაგრამ ყოველნი მათი ღონისძიება ამაოდ დარჩა.

გ. ჩოჩიევს ერთი მოხუცი ოსისაგან გაუგია, რომ ეს ლექსი

¹ უტრნ. „მოამბე“, 1902 წ., № 5, განყ. II, გვ. 8; იხ. პროფ. ა. ხახანაშვილის ნარკვევი: „თელავის რექტორის — გაიოზის სიტყვა სწავლის შესახებ“. ჩვენს მიერ ზემოდ წარმოდგენილი დოკუმენტი ხახანაშვილს გადმოუწერია ს. პეტერბურგის საქარო წიგნთსაცავში დაცულ იოანე ბატონიშვილის ხელნაწერებიდან და წარუდგენია უტრნ. „მოამბის“ რედაქციაში.

² ალ. ლ. ლ. ტ. ბ., ქართული ანბანი, (იხ. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1952, 12 და 13 დეკემბერი).

³ იქვე.

დაუწერია ვილაც კასრაძეს, რომლის გვარისა ბევრი ცხოვრობს
ლარსის ხეობაში.

ლექსი იწყება ასე:

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი,
ჯარჯონიძე, კარხილანი;
ოს ბაყათორ, დავით-სოსლან,
ოთხ სამეფოთ მებრძოლანი¹.

ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მკვლევარს
გ. თოგოშვილს ეს ლექსი მთლიანად აქვს შეტანილი 1958 წ. გამოცე-
მულ თავის ნაშრომში „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტო-
რიიდან“ და სავსებით სამართლიანად მიაჩნია. რომ ეს წარწერა:
„...ოსთა მიერ ქართული დამწერლობის ფართო გამოყენებაზე მიუ-
თითებს“².

თოგოშვილი იძლევა ნუზალის ეკლესიის მხატვრობისა და წარ-
წერების ახლანდელი მდგომარეობის დახასიათებას (იგი მისი აღრინ-
დელი მკვლევარების პეფაფის³, უვაროვის⁴, მ. ჯანაშვილის⁵ და სხვე-
ბის მიერ აღწერილი მდგომარეობისაგან დიდად არ განსხვავდება)
და ადასტურებს, რომ ეკლესიის „მარცხენა კედელზე (შესავლიდან)
მამაკაცთა დაზიანებულ ფიგურებს ქართული ასო მთავრული
შრიფტით მიწერილი აქვს 'სახელები', რომელთაგან ზოგი კარგადაა
შემორჩენილი, ზოგი კი ფრაგმენტებად. მაგალითად: „მაგ...ონ, სოს-
ლან, ...ოზ, მის ქვეშ ელია, მარჯვნივ, კუთხეში მიწერილია გ...ლი, მის
ქვეშ ...ლი, მის თავზე გბლ, იმავე მხარეს, დაბლა წარწერაა — რო-
მანოზ. ამავე მარჯვენა მხარეს არის წ: იე-წმინდა იერონიმე. მასთან
ახლო თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგია გამოხატული
აბჯრით და შუბით“⁶. ამრიგად, ყოველმხრივ დასტურდება, რომ
„ქართული ანბანი ისტორიულად იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ენა-
თა საერთო ანბანის როლს ასრულებდა“⁷.

¹ ავტორის თქმით, ეს ლექსი მთლიანად შეტანილია დ. ფურცელაძის ქართულ
ანბანში.

² გ. თ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან,
1958, გვ. 241—242.

³ П ф а ф, Материалы для истории Осетии, ССКГ, вып. V, 1871,
გვ. 33—35.

⁴ А. Уваров, Кавк. Путевые заметки, 1879, гв. 40—41.

⁵ М. Джанашвили, Изв. Грузинских летописей о Сев. Кавказе
и России, СМОМПК, т. XXII, 1897, гв. 43—44.

⁶ გ. თ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან,
1958, გვ. 240.

⁷ ა. ლ. დლონტი, ქართული ანბანი (იხ. გვ. „საბჭოთა ოსეთი“, 1952,
13 დეკემბერი).

ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, რომ ქართული ენა და მწიგნობრობა კავკასიის მთების მიუვალ კუთხეებშიც აღწევდა და მთიელ ოსებზე, მის მეზობელ ტომებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.

2. ხალხურ თქმულება-გადმოცემათა ნათესაობა- ოსებსა და ქართველებს ბევრი საერთო აქვთ ხალხურ თქმულებებსა, ანდაზებსა, ზღაპრებსა და ლეგენდებში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მეზობელ ერთა ხალხურ შემოქმედებაში თითქოსდა იგივეობა იყოს. არა, ცალ-ცალკე, მათ ყოველთვის ახასიათებდათ და ახასიათებთ ეროვნულ თავისებურებათა, თავიანთი ხალხების ხასიათების, ფიქრების, აზრების, განცდების და მისწრაფებათა გამოხატულება. მაგრამ ხშირია შინაარსის მსგავსება, მიზნებისა და იდეალების ანალოგიები, რომლებიც ამ ხალხების კულტურულ ერთობაზე, მათ მჭიდრო კავშირსა და ურთიერთ ზეგავლენაზე მეტყველებენ.

ყოველი ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა სკოლა, ცდილობდა თავისი იდეალების მიხედვით აღეზარდა ახალგაზრდობა. ამისათვის ის თავის მისწრაფებათა შესაბამის აღზრდა-სწავლების ფორმებსა და ხერხებს იმუშავებდა. იქმნებოდა ხალხური „პედაგოგიკა“, რომელიც მომაკვდავი ფეოდალიზმისა და ახლად ფეხადგმული კაპიტალიზმის ზღურბლზე კავკასიის მთის ხალხების მთელ კულტურულ გამოცდილებას ხალხურ ეპოსში უყრიდა თავს და ნიადავს ამზადებდა მომავალში აღზრდის მეცნიერული სისტემის თანდათანობითი ჩამოყალიბებისათვის. პროფ. მიხ. ჩიქოვანის თქმით, კავკასია ძველთაგანვე ცნობილია, როგორც „ენათა მთა“. კავკასიის მცირე ტერიტორიაზე, „...მოსახლეობის მონაცვლეობა, მჭიდროდ დასახლება, სამხედრო და კულტურულ-ეკონომიური ყავშირი საუკუნეთა მანძილზე კავკასიელ ხალხებს ერთმანეთთან აახლოებდათ და საერთო სახეს აძლევდათ. ამიტომაც ზოგჯერ დღემდე დადგენილი არაა, თუ რომელ კავკასიელ ერსა და ტომს მიეკუთვნოს წარმოშობით ესა თუ ის ჩვეულება, რწმენა, მითოლოგია და ზეპირსიტყვიერების ნიმუში. მიზეზი უმთავრესად ისაა, რომ აღნიშნული კულტურული რელიკვიები ფართოდ გავრცელებულია სხვადასხვა წარმოშობის ნაირნაირ ენაზე მოლაპარაკეთა შორის და მათ შესახებ წერილობითი ცნობები ან სრულებით არ მოიპოვება, ანდა ძალიან მცირე“¹.

ნართული ეპოსი მთელ კავკასიაშია ცნობილი. იგი გავრცელებუ-

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, „ლიტერატურული ძეგანი“, 1949, ტ. V. იხ. პროფ. მ. ჩიქოვანის ნარკვევი: „ნართული ეპოსი“, გვ. 375—383.

ლია არა მარტო ოსებსა, ყაბარდოელებსა და ჩერქეზებში, არამედ ბალყარებსა, ყარაჩაელებსა, აფხაზებსა, ქისტებსა და ჩეჩნებს შორისაც. „ამ ციკლის თქმულებების კვალი, — პროფ. ჩიქოვანის თქმით, — გვხვდება აგრეთვე ქართულ ენებშიაც. ჩამოთვლილ ხალხებში ნართული ეპოსი თანაბრად როდია გავრცელებული და მიღებული; ამჟამად იგი ყველაზე სრული სახით წარმოდგენილია ოსების ფოლკლორში...“¹.

ოსეთის სწავლა-განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარების ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხალხური თქმულებების, გადმოცემების, ანდაზებისა და საერთოდ ხალხური ზეპირსიტყვაობის შესწავლას, რადგან მათში გამოხატულია ხალხის შეხედულებანი, მისი იდეალები და თვალსაზრისი — აღამიანის დანიშნულების, მისი ხასიათის, საქმიანობის, ყოფაქცევის, სწავლის, ცოდნისა თუ მორალური მხარეების შესახებ.

პროფ. ალ. ღლონტის შეხედულებით, ოსური ხალხური ნოველებისა და ჯადოსნური მოთხრობების ზოგიერთ ციკლს პარალელები მოეძებნება სხვა ხალხებისა და, კერძოდ, ქართულ ხალხურ ეპოსში. ოსური ზღაპარი „ღარიბი ბიჭი“ მოგვაგონებს ქართულ ზღაპარ „მელია და მეწისქვილეს“, ასევე ქართული ზღაპრების მსგავსია ოსური ზღაპრები „ჭკვიანი სასიძო“, „ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი“, ნაცარქეჩია“, „სამი ძმა და ერთი და“ (ქართული ზღაპრის „წიქარას“ თავისებური ვარიანტი). „ბატონი და ქოსატყულია“ და სხვ.² პროფ. შ. ძიძიგურის გაგებით, ნართული ეპოსი, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩრდ. კავკასიის ხალხებსა და, კერძოდ, ოსურ ფოლკლორში, ქართულ სინამდვილეში პოულობს გამოძახილს. მისი ელემენტები დადასტურებულია მთა-რაკულ ზეპირსიტყვიერებაში. მასში იგი ოსურიდან არის შერთული³. ემყარება რა აკადემიკოს მილერისა და ცნობილი ოსი მეცნიერის ვ. აბაევის გამოკვლევებს, პროფ. ი. მეგრელიძე ასაბუთებს, რომ „...თქმულებები ამირანზე, ... („ღარეჯანთ ამირანი“, „ამირანი და ფასკუნჯი“, „როგორ დაიღუპნენ დარეჯანიანი“, „ამირანი და მონადირე“ და სხვ.) ქართულიდან ჩანს შესული ოსურში, ისე როგორც აქედანვეა მასში შესული თქმულე-

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, „ლიტერატურული ძიებანი“, 1949, ტ. V, იხ. პროფ. მ. ჩიქოვანის ნარკვევი: „ნართული ეპოსი“, გვ. 376.

² იხ. კრებული: „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, შეკრებილი დუღარ ბეგიზოვის მიერ, ალ. ღლონტის რედაქციით, შესავალით და შენიშვნებით, 1957, გვ. 7—8.

³ ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1958, № 1, გვ. 92—93.

ბები გმირ ტარიელზე, რაც ქართული ხალხური „ტარიელიანის“ თავისებურ ვარიანტებს წარმოადგენს. მაშასადამე, აქ ქართულ ზეპირ-სიტყვიერებას მოუხდენია გავლენა ოსურ ზეპირსიტყვიერებაზე“¹. პროფ. ი. მეგრელიძე იმ მოსაზრებისაა, რომ ოსურ ხალხურ გადმოცემებში დასახელებული ქართველი ისტორიული პირები, როგორცაა მწვერვალ ბრუტ-საბძელას შესახებ თამარ მეფესთან ერთად მოხსენებული ამავე მეფის მდივანი შოთა, როგორც თქმულებიდან ჩანს, დიდი შოთა რუსთაველია, რომელიც თქმულებაში დიდ გონიერ და კეთილშეგონილ კაცადაა წარმოდგენილი².

ამრიგად, ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობა (კავკასიელი ხალხების საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურზე) სპეციფიურ ასახვას პოულობს ხალხურ ეპოსში, რომელიც ეროვნულ თავისებურებათა მიუხედავად, თავისი შინაარსით ბევრი საერთო ნიშან-თვისებებით ხასიათდება. ქართველებსა და ოსებს ბევრი ანალოგიური ანდაზები მოეპოვებათ, რომლებიც ამ ხალხების სულიერ კავშირზე, მათ კულტურულ სიახლოვეზე მეტყველებენ.

ოსური ანდაზები

1. „თუ ხალხი გეტყვის ელაში ხარ, ცალი თვალი უნდა მოხუქო“.
2. „ფიცის გატეხას თავის გატეხა გერჩივნოდესო“.
3. „როგორი ლეიბი გქონდეს, იმნაირად გაშალე ფეხებიო“.
4. „ცუდად ლაპარაკს, ისევ მუშაობა სჯობიაო“.
5. პირში მაქებარი ყველაზე დასაცინიაო“.

ქართული ანდაზები

1. „ორმა კაცმა რომ ვითხრას, ბრმა ხარო, თვალები დახუქეო“.
2. „ფიცის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო“.
3. „ფეხი იქამდე გაკიშე, სანამდისაც საბანი გავწვდეს“.
4. „ცუდად ჯღომას, ცუდად შრომა სჯობიაო“.
5. „პირში მაქებარი ეშმაკის მოციქულია“ და სხვ.³

ქართულიდან ოსურში თითქმის უცვლელადაა შესული ანდაზები: „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო“, „რასაც დასთეს, იმას მოიმიკი“, „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“ და სხვა მისთანები⁴. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების მოთხოვნილებათა ნიადაგზე მეზობელ ხალხებს შორის ენობრივი გამოთქმების, სიტყვების, ანდაზებისა და თქმულებების ურთიერთ მიმოქცევა, ურთიერთ შექრა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, რომელსაც კულტურულ მონაპოვართა გაცვლისათვის თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა.

თვითშემოქმედებითი ხელოვნება და ხალხური მუსიკალური ურთიერთობა. ხელოვნების დარგის სპეციალისტთა აზრით, XVIII საუ-

¹ ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1958, № 1, გვ. 92—93.

² ი ქ ვ ე.

³ აღ. ლ ლ ნ ტ ი, ნარკვევები, 1955, გვ. 5—12.

⁴ ი ქ ვ ე, გვ. 11.

კუნის ბოლოს ქართული მუსიკალური ხელოვნება ოსურ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა. ქართული სიმღერები და ცეკვები კავკასიის მთისა და ბარის ოსეთშიც ფართოდ ვრცელდებოდა, ისევე როგორც ხალხი საქართველოშიაც ეტანებოდა ოსურ-მთიულური სიმღერებისა და ცეკვების ხელოვნებას. ოსურ ხალხურ მუსიკათმცოდნეთა შეხედულებით, დიგორულ სიმღერებს შორეული მსგავსება აქვთ ქართულ მოტივებთან. ამგვარი ანალოგიების გზით მკვლევარი გ. დ. თოგოშვილი მართებულ დასკვნამდე მიდის, რომ „სიმღერების სინარჩარე, ელასტიურობა, სამხრეთელი ელფერი არის ის კვალი, რაც ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობიდან დარჩა“¹.

კავკასიის მოძმე ხალხების წარსულიდანაც ცნობილია, რომ ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში, მათი ბედის ერთობა განამტკიცებდა ამ ხალხებს შორის მეგობრობას. ინტერესთა ეს ერთობლიობა ხელოვნებაშიც (მაგ. სიმღერებსა და ცეკვებში) პოულობდა თავის გამოხატულებას. ქართულ სიმღერებს მშვენივრად მღეროდნენ და მღერიან მთისა და ბარის ოსეთში. ქართულ ცეკვებსაც ოსტატურად ასრულებდნენ ოსები, რომელთათვისაც ცოცხალი, ჰაეროვანი, ვაჟკაცური ცეკვები მათი ბუნების სტიქიას წარმოადგენს. ქართველებიც შესანიშნავად ფლობენ ოსურ ცეკვებსა და სიმღერებს, რომელიც განსაკუთრებით საქორწილო-სამეჭლისო და საერთო სადღესასწაულო რიტუალების შესრულების დროს გამოიყენება. ქართველმა მწერალმა დ. ჭონქაძემ 123 ოსური ანდაზა ჩაწერა. სახალხო მთქმელები, პროფ. გ. ჩიქოვანის სიტყვით, დანიელ ჭონქაძის მიერ ჩაწერილ ლექს-სიმღერებიდან ქება-დიდებით იხსენიებენ ბათრაზის, ურუზმაგის, ცოპანისა და სავლოხის სახელებს².

ასევე, მეტად ემსგავსებიან ერთმანეთს აფხაზური და ოსური სიმღერების გარკვეული ჯგუფები. აფხაზური სიმღერების მისამღერი „ვარაიდა“ ოსური სიმღერების მისამღერ „ვარაიდისაგან“ ძნელად გამოირჩევა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული და ოსური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხალხური ხელოვნება განუწყვეტელი ურთიერთზემოქმედების პირობებში ვითარდებოდა.

¹ გ. დ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 233. შტრ. П. Б. М а м у л о в, Осетинская народная музыка, ИОНИИК, вып. I, 1925, გვ. 368.

² «Осетинские тексты», собр. Дан. Чонкадзе и Вас. Цораевым, Изд. академик А. Шифнер, С. П., 1888, გვ. 20.

II. რუსეთ-ოსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხისათვის

ჩრდ. კავკასიის ოსეთი, ისე როგორც საქართველოს სხვა მოსაზღვრე კუთხეები, რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ უკანასკნელის მზარდ ზეგავლენას განიცდიდა. ისიც ფაქტია, რომ ჩრდ. ოსეთის ნებაყოფლობით შეერთებამ რუსეთთან ხელი შეუწყო მათ შორის სავაჭრო-სააღმშენებლო და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

როსტოვ-ვლადიკავკაეის რკინიგზის ხაზის გახსნამ (1875 წ.) ოსეთი კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს, კავკასიის ბეობებში დააჩქარა რუსული კაპიტალის შეჭრა და ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობის რღვევა. როგორც კავკასიის ყველა სხვა ხალხი, ასევე ოსებიც, რუს ხალხთან გულითადი მეგობრობისა და მის მოწინავე კულტურასთან მჭიდრო სიახლოვისაკენ მიისწრაფოდნენ.

ოს ხალხს კარგად ესმოდა, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური მმართველობა და რუსი ხალხი დაპირისპირებული პოლუსებია და იგი თავისი ერის ბედს უკავშირებდა არა რუსეთის იმპერიის მმართველ კლასებს, არამედ რუსეთის მშრომელთა ფართო მასებს, რომელთანაც მას ეკონომიური პირობების ერთგვარობა, კლასობრივი ინტერესები და ერთიანი მიზანსწრაფვა აკავშირებდა. ოსეთის მშრომელთა შეგნებაში თანდათანობით მტკიცდებოდა ის აზრი, რომ „...კაპიტალის მთელი ისტორია არის ძალადობის და ძარცვის, სისხლისა და სიბინძურის ისტორია“¹.

ოსი ხალხი და მისი მოწინავე ინტელიგენცია დიდი ინტერესით ეწაფებოდა რუსეთის მოწინავე კულტურას, რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების პროგრესულ იდეებს, რომელსაც ოსური კულტურის განვითარებისათვის ცხოველყოფელი მნიშვნელობა ჰქონდა. იმპერიაში შემავალ დაჩაგრულ ერებსა და ხალხებს, მათ შორის ოსებს, თანაგრძნობით ეპყრობოდნენ რუსეთის უნიკიერესი შვილები — გრიბოდოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, გერცენი, დობროლიუბოვი და სხვები².

ა. გრიბოდოვს მთელი მგზნებარებით უყვარდა კავკასია, იგი ღრმად სწავლობდა კავკასიის ხალხთა ცხოვრებას, საქიროდ თვლიდა

¹ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, სახელგამი, თბ., 1957, გვ. 226.

² История Северо-Осетинской АССР, изд. АН СССР, 1959, гв. 225—239.

მის დაახლოებას რუსეთთან და მათ შორის გულწრფელი თანამეგობრობის განმტკიცებას.

პუშკინმა კავკასიაში მისი პირველი (1820 წ.) მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მიუძღვნა „კავკასიის ტყვე“, ხოლო მეორეს (1829 წ.) — „მოგზაურობა არზრუმში“, რომელიც 1836 წელს გამოქვეყნდა. კავკასიის მომხიბლავი ბუნება, მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ცხოვრება პუშკინისათვის წარმოადგენდა შთამაგონებელ წყაროს, რომელთაც წარმტაცი ასახვა კპოვეს მის მხატვრულ ნაწარმოებებში.

კავკასია ძველთაგანვე რუსული პოეზიის აკვანს და ლიტერატურულ-ინტელექტუალური შემოქმედების მასაზროდებელ ოაზისს წარმოადგენდა. „...საოცარია! — წერდა ბელინსკი, — კავკასიას თითქოს წილად ხვდა ყოფილიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუხების შთამაგონებელი და გამომწვრთნელი, მათი პოეტური სამშობლო. პუშკინმა უძღვნა კავკასიას თავისი პირველი პოემა „კავკასიის ტყვე“, მისი ერთ-ერთი უკანასკნელი პოემაც „გალუბი“; აგრეთვე, მიძღვნილია კავკასიისადმი; რამდენიმე მისი შესანიშნავი ლირიკული ლექსიც აგრეთვე კავკასიას განეკუთვნება. გრიბოედოვმა კავკასიაში შექმნა თავისი „ვაი ჰუისაგან“; ამ მხარის ველურმა და დიდებულმა ბუნებამ, მის შვილთა მჩქეფარე სიცოცხლემ და მრისხანე პოეზიამ შთააგონეს გრიბოედოვის შეურაცხყოფილ ადამიანურ გრძნობას დაეხატა ფამუსოვების, სკალოზუბების, ზაგორეცკების, ხლესტოვების, ტუგოუხოვსკების, რეპეტილოვების, მოლჩალინების — ადამიანური ბუნების ამ კარიკატურების აპათიური, არარადქცეული წრე... და აი, გვევლინება ახალი დიდი ტალანტი და კავკასიაც ხდება მისი პოეტური სამშობლო, მის მიერ მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე დ შე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ი მ ხ ა რ ე. კავკასიის მიუწვდომელ, მარად თოვლით დაფარულ მწვერვალებზე პოულობს იგი თავის პარნასს. კავკასიონის მძვინვარე თერგში, მისი მთების ჩანჩქერებში, მის სამკურნალო წყაროებში პოულობს იგი თავის კასტალის წყაროს, თავის იპოკრენას“¹.

როგორც ცნობილია, გოგოლი, ჯერ კიდევ ბელინსკზე ადრე (1832 წ.) პუშკინის შესახებ წერდა, რომ პუშკინი კავკასიის მომღერალია, რომელიც ღრმადაა გატაცებული მისი წარმტაცი მიდამოებით, შესანიშნავი ბუნებით, მომხიბლავი ბალებით, ლალი და ამაყი ხალხით: „პუშკინის ყველა ნაწარმოები, სადაც კი მოჩანან იალბუ-

¹ ბ. ბელინსკი, რჩული თხზულებანი, ტ. I, გიორგი ჭიბლაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბ., 1952, გვ. 351.

ზი, მთიელები, ყირიმი და საქართველო, სუნთქავენ ბრწყინვალე და დამაბრმავებელი სითამამით“¹.

კავკასიის მთიელთა ჩაგრული ტომებისა და სხვა ხალხებისადმი თანაგრძნობის სულისკვეთება რუს ხალხში ინერგებოდა მისი ტალანტების გენიალური შემოქმედებით, რომლებიც მშრომელებს კავკასიელი ხალხებისადმი მეგობრობისა და დანმარებისაკენ მოუწოდებდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია ის უდიდესი როლი, რომელსაც რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, მოწინავე მწერლობა, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები ასრულებდა საერთოდ კავკასიელი ხალხებისა და კერძოდ, ოსი ხალხის კულტურული წინსვლის, სულიერი ცხოვრების ამადლების, პოლიტიკური თვითმეგნების გაფართოებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში.

მეფის თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკა განაპირა მხარეების მშრომელთა მიმართ, მათი ჩაგვრისა და რუსიფიკაციის პოლიტიკას წარმოადგენდა, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა რუსი ხალხისა და მისი რევოლუციური ინტელიგენციის მოწინავე იდეებს. „...ცარიზმი, — როგორც ლენინი წერს, — არათუ ჩაგრავს მოსახლეობის ამ 9/10-ს ეკონომიურად და პოლიტიკურად, არამედ ამასთან ერთად ხრწნის, სპობს, პატივსა ხდის, რყვნის მას, რომ აჩვენებს სხვა ხალხთა ჩაგვრას, რომ აჩვენებს თავისი სირცხვილის დაფარვას თვალთმაქცური, ვითომდა პატრიოტული ფრაზებით“².

ცარიზმის რუსეთში არსებობდა ორი დაპირისპირებული ძალა: ა) გაბატონებული, მჩაგვრელი, გამრყენელი, ძალადობასა და მშრომელთა ექსპლოატაციასზე დამყარებული უმცირესობის ლობობადი ძალა და ბ) საზოგადოების რევოლუციურ-დემოკრატიული, მზარდი, ცოცხალი, აღმავალი, მომავლის მქონე — პროგრესული ნაწილი, რომელიც ჩაგრული ხალხების განთავისუფლებას თავის ძირითად სამოქმედო იდეალად სახავდა.

სწორედ ეს პროგრესული ძალები უჭერდნენ მხარს იმ ხალხებს, რომლებიც მეფის თვითმპყრობელობის მხრივ სასტიკ ექსპლოატაციას, შევიწროებას, დამცირებას, დაკნინებას, უფლებრივ, მატერიალურ და სულიერ ჩაგვრას განიცდიდნენ.

რუსეთის ცარიზმის მიერ ამ ჩაგრულ ხალხთა შორის რევოლუ-

¹ ლევან კასათიანი, პუშკინი და ქართული კულტურა, 1949, გვ. 74.

² ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, სახელგამო, თბ., 1957, გვ. 226.

ციამდელ პერიოდში მეტად დაბეჩავებულ მდგომარეობაში იყვნენ ოსები, რომელიც პუშკინის გამოთქმით, ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღარიბ ტომს წარმოადგენდა კავკასიის სხვა ხალხთა შორის.

დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ა. ი. გერცენი და ნ. ა. დობროლიუბოვი მოითხოვდნენ კავკასიის ხალხებს შორის ჭეშმარიტი განათლების გავრცელებას, ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალადობისა და ეროვნული ჩაგვრის ბარბაროსული სისტემის აღკვეთას და მოწინავე რუსეთთან კავკასიის მოსახლეობის კავშირის განმტკიცებას.

კავკასიის და კერძოდ, ჩრდ. ოსეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ოსი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს რუსეთის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მიღებისათვის ადრინდელზე უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცათ. ოსეთის ინტელიგენციის პირველი ძირითადი ბირთვი უმთავრესად რუსეთის სხვადასხვა სასწავლებლებიდან გამოსული კურსდამთავრებულებისაგან შეიქმნა, რომლებმაც სკოლებში შეიძინეს არა მარტო ცოდნა, არამედ გარკვეული და სალი მსოფლმხედველობის საწყისებიც. ექვი არაა, რომ ოსეთის ინტელიგენცია, რუსეთის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, რუსეთის მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის მიღწევებთან ერთად ითვისებდა მოწინავე მსოფლმხედველობას, რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, რომლის ჯანსაღ თესლებს თავის სამშობლოს ნიადაგზედაც ავრცელებდა. ოსი ხალხის კულტურული დაწინაურებისა და მეცნიერული აზრის წინსვლა-განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რუსული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები დოქტორი ვ. ბ. პფაფი, პროფ. ე. მილერი, პროფ. კოვალევსკი და სხვები.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, ოსეთში რამდენჯერმე მოგზაურობის შემდეგ, გამოქვეყნდა რუსი მეცნიერის, სამართლის დოქტორის ვ. ბ. პფაფის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომები: „მასალები ოსეთის ძველი ისტორიისათვის“, „ეთნოგრაფიული ნარკვევები ოსეთის შესახებ“ და სხვები, რომლებიც, ზოგიერთ მცდარ შეხედულებათა მიუხედავად, დღემდე ინარჩუნებენ მნიშვნელობას ოსეთის სოციალური წყობის, მისი ყოფა-ცხოვრებისა და საქართველოსთან კულტურული ურთიერთობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში¹.

ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში გარკვეული ადგილი უკა-

¹ Сборник сведений о кавказских горцах, выпуск V, 1871, отд. I, гл. 3. об. «Материалы для истории Осетии», гл. VI—XXXVI.

ვია აგრეთვე რუსული მეცნიერების პროგრესულ-ლიბერალური მოღვაწის პროფ. ვსევოლოდ მილერის ისტორიულ-ფილოლოგიურ ნარკვევებს, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სამტომიანი „ოსური ეტიუდები“ (1881 — 1884 წწ.), „ოსური ზღაპრები“ (1885 წ.), „ხუთი დიგორული ზღაპარი“ (ეს წიგნი 1891 წ. გერმანულადაც გამოიცა), „ოსური ენისა და მისი ადგილის შესახებ ირანულ ენათა ჯგუფში“, „ოსურ-რუსულ-გერმანული ლექსიკონი“ (ეს უკანასკნელი მილერის გარდაცვალების შემდეგ ოსი მოღვაწეების მიერ შესწორებულ-შევსებული დანიბეჭდა) და სხვები.

ზემოჩამოთვლილი და ბევრი სხვა საინტერესო მეცნიერულ-კვლევითი ნაშრომებით ეს. მილერმა დიდი დახმარება გაუწია ოს ხალხს ეროვნული ენის, ერის ისტორიისა და კულტურული წარსულის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ვსევოლოდ მილერის ღვაწლს ოსური კულტურის განვითარებაში მაღალ შეფასებას აძლევდა ოსური ჟურნალი „ზონდ“ („გონება“, 1907 წ., № 2), რომელიც აკადემიკოს შეგერენის, უსლარის, პროფ. ლეონტიევიჩის, კოვალევსკის და ეპისკოპოს იოსებ ჩეპიგოვსკის გვერდით, მას ახასიათებდა „ერთ პირველთაგან მოღვაწედ“, რომელმაც გულით შეიყვარა ოსი ხალხი, შეისწავლა ოსური ენა და რამდენიმე წიგნად გამოაქვეყნა მასთან დაკავშირებული მეცნიერული ნაშრომები¹.

ოსეთის სოციალური წყობის, ხალხის ყოფა-ცხოვრების, კავკასიის მთიელთა ადათ-ჩვევებისა და უფლება-სამართლის საკითხებმა შესაფერისი გაშუქება ჰპოვეს რუსი პროგრესული მეკვლევარისა და მეცნიერის მ. მ. კოვალევსკის შრომებში. მის ფუნდამენტალურ გამოკვლევათა რიგს მიეკუთვნება: „Современный обычай и древний закон. Обычное право осетин в историко-сравнительном освещении“ (1886 წ.), რომელიც თავისი ფაქტობრივი მასალით გამოირჩევა და მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ოსეთის ისტორიოგრაფიულ, წყაროთმცოდნეობით და კავკასიურ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში².

ოსი ხალხის კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვან გამოკვლევათა რიგს განეკუთვნება აგრეთვე პროფესორ ლეონტიევიჩის ნარკ-

¹ ჟურნ. „ზონდ“, 1907, № 4 (იხ. მოწინავე სტატია ვ. ფ. მილერის შესახებ. ჟურნალის რედაქტორია ი. კანუკოვი).

² ჟურნალი „მოამბე“, 1902, № 4, ნაწ. IV, გვ. 3. იხ. პროფ. მ. მ. კოვალევსკის ნარკვევი: „წინაპრების თაყვანისცემა კავკასიელებში“, გვ. 1—14.

ვევი: „კავკასიის მთიელთა ადათები“ (1882—1883), რომელიც მდიდარ ფაქტობრივ მასალებს შეიცავს (XIX საუკუნის პირველი ნახევრის) ოსეთის სოციალ-ეკონომიური და უფლებრივ-ადათობრივი მდგომარეობის მეცნიერული შესწავლისა და აღზრდის პრობლემებთან დაკავშირებული საინტერესო საკითხების ახლებურად გარკვევა-გაშუქებისათვის.

კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის, ენის ისტორიის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების მეცნიერული შესწავლის საქმეში მეტად თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის დიდ სწავლულ-ფილოლოგს, პეტრე კარლოს ძე უსლარს (1816—1875), რომელმაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები (მეთხედი საუკუნე) მოახმარა კავკასიაში მეცნიერულ-ლინგვისტურ ძიებას და პედაგოგიური საკითხების კვლევას. ამ მხრივ გამოირჩევიან მისი ნარკვევები: „მთიელთა შორის წერაკითხვის გავრცელების შესახებ“, „გარაუდი მთიელთა სკოლების მოწყობის შესახებ“, რომელიც ლ. პ. ზაგურსკის თქმით, „...ყველაზე საუკეთესო გამოკვლევებს მიეკუთვნება მის თანამედროვე პედაგოგიურ ლიტერატურაში“. პ. კ. უსლარის აზრით, ხალხის განათლების მდგომარეობა მხოლოდ სკოლათა რაოდენობით არ განიზომება, მთავარია რას და როგორ ასწავლიან ბავშვებს. მისი აზრით, კავკასიის მთის ქრისტიანი და არაქრისტიანი მოსახლეობის ბავშვები, რომელთაც მასწავლებლები არაბულ ანბანს და ყურანის უაზრო კითხვას („ანი“, „ბანი“-ს მოძველებული მეთოდით) ასწავლიან, სხვადასხვა სკოლაში 10 და მეტი წლების ხეტიალის შემდეგ აღწევენ იმას, რომ ძლივს იგებენ არაბულს.

„რასაკვირველია, სწავლების ასეთი მეთოდი აჩლუნგებს ნიჭიერებას. ეს ცოტაა. გაუნათლებელი და ფანატიკოსი მასწავლებლები, როგორც ნარკოზით, ფანატიზმით და ობსკურანტიზმით სამუდამოდ აბნელებენ ახალგაზრდობის გონებას“¹.

პ. უსლარი ბედნიერად თვლის იმ ყმაწვილს, რომელიც მალე მი-ატოვებს ამგვარ სწავლას და სკოლის კედლებში რეტდასხმული, ცხოვრების ტალღებში იწყებს გამოფხიზლებას.

ამრიგად, თავის პედაგოგიურ და ლინგვისტურ ნაშრომებში პ. უსლარი მკაცრად ილაშქრებს წერაკითხვის სწავლების მოძველებული მეთოდების, უაზრო ზეპირობის, დოგმატიზმისა და მთიელთათვის გაუგებარ ენაზე აღზრდა-სწავლების შემოღების ყოველგვარი ანტიპედაგოგიური ხერხების წინააღმდეგ.

¹ См. «Сборник сведений о Кавказских горцах», вып. X, 1881, гл. XXII.

„მშობლიური ენის სწავლება, — უსლარის აზრით, — საუკეთესო მოსამზადებელი საშუალებაა რუსული წერა-კითხვის შესასწავლად. რამდენი ენაც არ უნდა შევისწავლოთ, არც ერთი არ განმტკიცდება მთლიანად ჩვენს სულიერ სამყაროში ისე ღრმად, როგორც მშობლიური ენა, რომელიც გამოხატავს ჩვენს მცნებათა თავისებურ წყობას. წერა-კითხვის ცოდნა მშობლიურ ენაზე წარმოადგენს პირველ ნაბიჯს განათლებისაკენ, მეორე ნაბიჯი კი უნდა გადავდგათ რუსული ენის დახმარებით. მხოლოდ მაშინ მოხდება კეთილი თესლი არა იმ ქვაზე, რომელზეც მიწა ცოტაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მალეც რომ აღმოცენდეს, რაკი მიწა ღრმა არ არის, ისეც მალე დაჰქანება, რადგან ფესვები ღრმად არა აქვს გადგმული. ადგილობრივი და რუსული ენის შესწავლას დასჭირდება ნაკლები დრო, ვიდრე პირდაპირ რუსული წერა-კითხვის შესწავლას დასჭირდებოდა“¹.

უსლარი კავკასიის ეროვნებათა ცივილიზაციის ქვაკუთხედს დედაენის შესწავლასა და სხვა საგნების სწავლების მშობლიურ ენაზე დაფუძნებაში ხედავდა².

უსლარის აზრით, ბავშვებს, პირველ რიგში, ზოგადი (ელემენტარული) განათლება უნდა მიეცეს, ხოლო შემდეგ კი — სპეციალური იგი წინააღმდეგია მთიელთა ელემენტარულ სკოლებში როგორც სპეციალიზაციის შემოღების, ისე ბავშვებისათვის ენციკლოპედიური განათლების მიცემისა. რომელი მთის კაცის შვილიც არ უნდა იყოს, ყველას შეუძლია თანდათანობით დაიზეპიროს ფრანგ მეფეთა სახელები, ან ქალაქთა სახელწოდებანი, მაგრამ ამგვარი „სწავლა“ სხვა მხრით იმასვე ნიშნავს, რასაც არაბული ლოცვების შექანიკური ზეპირობა.

სწავლების პროგრამა ყოველ სასწავლებელში (ელემენტარულშიც კი), უსლარის მიხედვით, რაიმე დასრულებულს და მთლიანს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც მხედველობაში უნდა იღებდეს იმას, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ შევა უმაღლეს სკოლაში და რომ აქედან გამომდინარე საჭიროა უმრავლესობის ინტერესებთან სასწავლო პროგრამის შეფარდება. აყალიბებს რა მთიელთა სკოლების საბოლოო მიზანს, უსლარის აზრით, ამ სკოლებმა მოსწავლეებს უნდა მისცეს: ა) რუსული ენის პრაქტიკული ცოდნა; ბ) რუსული და მშობლიური წერა-კითხვის ჩვევები და ამ საგანში საფუძვლიანი მომზადება; გ) წაკითხულის შინაარსში ჩაწვდომისა და ტექსტის გა-

¹ ი ქ ე ე, გვ. XXIV, შდრ.; ი. ს. გოგებაშვილი, თბ., ტ. I, 1952, გვ. 72—73.

² ი ქ ე ე, გვ. XXVII—XXVIII.

გების უნარ-ჩვევები; დ) რუსული ცხოვრების ცოდნა და რუსი ხალხისადმი გულწრფელი სიმპათიის გრძნობები; ე) მეცნიერების სიყვარული, ნიჭისა და უნარის ყოველმხრივი განვითარება; ვ) თვით-განვითარების სტიმული, კითხვის სურვილი და განათლების შემდგომი გაფართოების აუცილებლობის შეგნება¹.

უსლარის დამსახურება კავკასიის მთის ხალხებისა და. კერძოდ, ოსების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან მეცნიერული არგუმენტაციით განამტკიცა ცნობილი დებულება რუსული ენის სწავლებაში ადგილობრივ მკვიდრთა ენის გამოყენების შესახებ. მან კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ცხადჰყო, რომ „...ადგილობრივ სკოლებში რუსული ენის სწავლებაში მკვიდრთა ენის გამოყენებლობა, რასაც აუცილებლად შეაქვს მომაკვდინებელი მექანიკურობა მთელ სწავლებაში, არამც თუ აბრკოლებს მოსწავლეთა წარმატებას ელემენტარული კურსის საგნებში და ხელს უშლის მათს სწორ განვითარებას, არამედ აფერხებს თვით რუსული ენის დროულად და შეგნებულად შეთვისებას“².

ამრიგად, პ. უსლარი ერთ-ერთი დიდი რუსი ფილოლოგთაგანია, რომელმაც რუსული ენის წარმატებითი სწავლების საფუძვლად გამოაცხადა მშობლიური (ოსური) ენის სწავლება. მოზარდი მთიელების აღზრდის ძირითად პრინციპად აღიარა კავკასიელ და რუს ხალხებს შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცება. მაგრამ როგორც ცნობილია, ეს მხოლოდ თეორიული მსჯელობა იყო. ფაქტიურად უსლარს არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს ოსეთში სწავლების დედაენაზე დამყარებისათვის.

ოსი ხალხის კულტურისათვის მნიშვნელოვან გამოკვლევათა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე დ. ლავროვის „შენიშვნები ოსეთისა და ოსების შესახებ“ (1883 წ.), ლ. პ. ზაგურსკის „კავკასიელ მთიელთა დამწერლობა“ (1871 წ.), არქეოლოგ უვაროვის, დოლბეჟევისა და სხვა სწავლულთა ნაშრომები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ოსეთის ისტორიის, მისი ხალხის სოციალური ყოფა-ცხოვრების, ეთნოგრაფიის, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ენისა და მწერლობის მეცნიერულ შესწავლას და ოსური კულტურის რუსეთის პროგრესულ კულტურასთან დაახლოებას.

¹ იქვე, გვ. XXX—XXXI; იხ. აგრეთვე ბარონ პ. კ. უსლარის «Древнейшие сказания о Кавказе».

² ციტირებულია პ. უსლარის ნაშრომიდან: „წერა-კითხვის გავრცელება მთიელთა შორის“, იხ. ი. ვოგებაშვილი, თხზ., ტ. I, 1952, გვ. 20—21.

პედაგოგიური აზროვნებისა და სასკოლო მუშაობის პრაქტიკის განვითარებისათვის ოსეთში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის შესანიშნავი რევოლუციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, პიროგოვის, რუსული პედაგოგიის დიდი კლასიკოსის — კ. დ. უშინსკის (1823—1871), დაწყებითი სკოლის დიდი მეთოდისტის კორფისა (1834—1883) და სხვათა მოწინავე იდეებს, მათ პრაქტიკულ გამოცდილებას და სახელმძღვანელო მეთოდოლოგიურ მითითებებს.

„უშინსკის პედაგოგიური სისტემა ისეთ ისტორიულ პერიოდში იქმნებოდა, — წერს პროფ. დ. ლორთქიფანიძე, — როდესაც რუსი ხალხი, პოეზიის, ლიტერატურის, მოწინავე საზოგადოებრივი აზრისა და მეცნიერების მძლავრი აყვავების შედეგად, უკვე მსოფლიო ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე იდგა და როდესაც რუსული კულტურა უფრო ფართო და ღრმა გავლენას ახდენდა საკაცობრიო კულტურის ყველა დარგზე“¹. ცხადია, რუსული პედაგოგიური მეცნიერება, რუსული მოწინავე პედაგოგიური აზრი მთელ კავკასიაზე და მათ შორის ოსურ კულტურაზე, ოსურ სკოლაზე, ოსური პედაგოგიური აზროვნების განვითარებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა. ჩვენ მოგვეპოვება საკმაო ფაქტები იმისა, რომ კულტურული სარბიელის, სახალხო განათლებისა და სკოლის თვალსაჩინო ოსი მოღვაწეები, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, თავიანთ შეხედულებებში მტკიცედ ემყარებოდნენ მოწინავე რუს პედაგოგთა პროგრესულ პედაგოგიურ შეხედულებებს და სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაშიაც ცდილობდნენ მის დანერგვასა და გამოყენებას. ამის კონკრეტულ მაგალითს წარმოადგენს ა. ა. გასიევის, კ. ხეთაგუროვის, ხ. ურუშიმაგოვისა და ოსური კულტურის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა შეხედულებანი სწავლების დედაენაზე მოწყობისა და პედაგოგიურს პროცესში მოწინავე დიდაქტიკური პრინციპების რაციონალურად გამოყენების შესახებ, რომელიც კ. დ. უშინსკის, კორფისა და სხვა თვალსაჩინო რუს პედაგოგთა გავლენით ხასიათდება. რუსეთის გამოჩენილ პედაგოგთა (უშინსკის, კორფისა და სხვ.) სახელმძღვანელოები და პედაგოგიური ხერხები ჩრდ. კავკასიის ოსეთის სკოლებში ფართო პოპულარობით სარგებლობდა.

კავკასიის სასწავლო ოლქის სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორების 1903 წლის (2—13 ივნისის) თათბირზე „ინო-

¹ დ. ლორთქიფანიძე, კ. დ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება, 1955, გვ. 377—378.

როდცული“ სკოლების რუსული ენის სხვა სახელმძღვანელოთა შორის დასახელებულია უშინსკის „როდნოე სლოვო“ და „დეტსკი მირ“, რომელიც კავკასიის მთიელთა სკოლებში ძირითად სახელმძღვანელოთა სახით იხმარებოდა. კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო და მისი ადგილობრივი მოხელეები ვერ იტანდნენ უშინსკის მოწინავე დიდაქტიკურ პრინციპებზე შედგენილ სახელმძღვანელოებს და ხშირად ცდილობდნენ მათ შეეცვლათ სხვა წიგნებით (მაგალითად, ვიქტორინის „ანბანით“ ან ლევიცკის „კურსით“), მაგრამ ოსეთის მოწინავე მასწავლებლობა კ. დ. უშინსკის სახელმძღვანელოებს უჭერდა მხარს¹.

მიუხედავად ასეთი მკაცრი და საგანგებო მითითებებისა, ოსეთის სახალხო სკოლები წარმატებით იყენებდნენ უშინსკის წიგნებს.

ჩრდ. კავკასიის ოსეთში არანაკლებ იკიდებდა ფეხს კორფის პედაგოგიური სისტემა და მისი სახელმძღვანელოები, რომელიც ბოლო ხანებში ძირითადად უშინსკის მოწინავე დიდაქტიკურ პრინციპებს ემყარებოდა.

სტატიაში „სასოფლო სკოლების წარმატების პირობების“ შესახებ (გაზ. „კავკაზ“, 1871 წ., № 122), ხაზგასმულია სკოლის მზრუნველთა ინსტიტუტის როლზე, რომლითაც სკოლები თავიანთ მუშაობაში გარკვეულ წარმატებებს აღწევდნენ. სტატიაში ლაპარაკია „სკოლის მზრუნველთა“ ფუნქციებისა და მოვალეობის, მათი მეშვეობით სკოლასა და საზოგადოებას შორის კავშირის უანმტკიცების შესახებ. უშინსკისა და კორფის სისტემა წერა-კითხვის სწავლებისა არა მარტო ოსეთის სახალხო სკოლებში, არამედ ქაროსკაცების მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე და სხვა ტიპის სასწავლებლებშიაც გამოიყენებოდა.

ვლადიკავკავის ოლღას სახელობის ოსური სკოლის მასწავლებლის იოსებ ბიგაევის გადმოცემით, მოსწავლეები „...ორი-სამი კვირის განმავლობაში თვითონ მეცადინეობდნენ წერა-კითხვის სწავლების კორფის მეთოდით“, ხოლო შემდეგ, როდესაც მისი მსმენელები ცოტად თუ ბევრად გაიწვრთნებოდნენ ამ საქმეში, მასწავლებლის ხელმძღვანელობით ცდილობდნენ „...რიგ-რიგობით თვითონ მიეცათ საცდელი გაკვეთილები. ამავე დროს, ყოველი გაკვეთილის შემდეგ ისინი კრიტიკულად არჩევდნენ (მასწავლებლის დახმარებით. ტ. ს.) ერთიმეორის გაკვეთილებს, ე. ი. უენიშნავდნენ ნაკლოვანე-

¹ Журналы собрания директоров и инспекторов народных училищ и директоров учительских семинарии Кавказского учебного округа (2—13 июня 1903 года) в г. Тифлисе, 1903, гл. 53—54.

ბებს, შეცდომებს, გადახვევებს მათ, ვინც საცდელ გაკვეთილებს ატარებდა“¹.

ზემონათქვამიდან ირკვევა, რომ უშინსკისა და კორფის სახელმძღვანელოები და პირველდაწყებითი სწავლების მათ მიერ მიღებული მეთოდები ოსური სკოლებისათვის არ იყო უცხო და იგი, როგორც სახალხო, ისე სხვა ტიპის სკოლებშიაც (არც თუ იშვიათად) გამოიყენებოდა. უშინსკისა და კორფის სახელმძღვანელოები, პედაგოგიური აზრები და პირველდაწყებითი სწავლების სისტემა თერგის ოლქის სტანიცების სკოლებშიაც იკვლევდა გზებს. 1871 წლის 12 ივლისით დათარიღებულ წერილში („ისევ სტანიცების სკოლების შესახებ“) თერგის ოლქში „სასწავლებელთა საბჭოების“ შექმნის, სახალხო სკოლათა ინსპექტორისა და „სკოლის მზრუნველის“ თანამდებობათა შემოღების საკითხთან დაკავშირებით, ლაპარაკია ბარონ კორფის წიგნის გამოყენების შესახებ. ბ-ნ კორფის წიგნი: „რუსსკაია ნაროდნაია შკოლა“, — ნათქვამია წერილში, — რომლითაც უკვე მომარაგებულია სტანიცის ყველა მასწავლებელი.... მზრუნველებსაც უნდა მიეცეს (თუ ისინი იქნებიან დანიშნულნი), როგორც სრული და საფუძვლიანი სახელმძღვანელო, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ დღემდე არ გამოჩენილა ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში“². ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული მაგალითები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ჩრდ. კავკასიის ოსთა სკოლებში (ისე როგორც კავკასიის სხვა მხარეებში) რუსული პედაგოგიური აზრი, მოწინავე რუს პედაგოგთა შეხედულებანი, მათი იდეები და სახელმძღვანელოები საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა, ოსეთის ინტელიგენცია, პროგრესული მასწავლებლობა მკვეთრად განიცდიდა რუსეთის გამოჩენილ პედაგოგთა იდეების კეთილმყოფელ გავლენას და ყოველმხრივ ცდილობდა სასკოლო მუშაობის თეორიასა და პრაქტიკაში მის შემოქმედებითად გამოყენებას. ოსეთის მოწინავე მწერლები, პედაგოგები, სახალხო განათლების და სკოლის მოღვაწეები ყოველმხრივ ცდილობდნენ რუსეთის პროგრესული კულტურის, სკოლისა და მეცნიერების მო-

¹ Статьи неофициальной части «Терских Ведомостей», сб. «Отчет о занятиях с унтер-офицерами, обучавшихся при владикавказской осетинской школе, с 9 числа февраля до 27 июня 1871 года», 1871, Владикавказ, гл. 1—2.

² Газ. «Терские Ведомости», 1871, 12 июля. См. «Статьи неофициальной части «Терских Ведомостей», 1871, Владикавказ.

წინავე გამოცდილებათა შესწავლისა და გამოყენების ნიადაგზე მი-
ელწიათ თავიანთი ეროვნული კულტურისა და სკოლის დემოკრატი-
ულ საწყისზე განვითარებისათვის.

ისე, როგორც სხვა დიდსა და პატარა ქვეყნებში, XIX საუკუნის
ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისი პერიოდის ოსეთშიაც გამოიჩი-
ნა ინტელიგენციის სამი ფენა: ა) რეაქციონერ-შაჰრაზმული
(გაპო ბაევი, ბ. ტულატოვი და სხვ.), ბ) ლიბერალურ-ბურჟუაზიუ-
ლი და გ) დემოკრატიული (კ. ხეთაგუროვი, ა. გასიევი, გ. ცაგოლო-
ვი, ი. კანუკოვი, ხ. ურუიმაგოვი და სხვ.), რომელთაგან პირველი
ადგილობრივ მოსახლეობას უკან — ფეოდალურ-მონარქიული
„კულტურისაკენ“ ეწეოდა, მეორე — შემარიგებლურ, მერყევ პო-
ზიციასზე იდგა, ხოლო მესამე — წინ, დემოკრატიული კულტურის,
აღზრდის ახალი სისტემისა და ახალი სასკოლო განათლებისათვის
იბრძოდა¹.

ოსეთის ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, რომელმაც განათ-
ლება რუსეთში მიიღო და ამ ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიულ
ტრადიციებზე იზრდებოდა, დიდად აფასებდა რუსულ კულტურას,
მის მეცნიერულ მიღწევებს, მოწინავე მწერლობას და სკოლას. ამი-
ტომაც, ისინი ცდილობდნენ დიდ რუს ხალხთან. მის პროგრესულ
კულტურასთან განუწყვეტელი კავშირის გზით მიეღწიათ ეროვნუ-
ლი სკოლისა და სწავლა-განათლების საქმის დემოკრატიულ ნიადაგ-
ზე გაშლა-განვითარებისათვის.

კ. ხეთაგუროვი ხალხის მტრებს არა რუსეთში, არამედ რუსეთის
მემამულეებსა და კაპიტალისტებში, ოს აღდარ-ბადელიათებსა და
ჩინოვნიკებში ხედავდა. ამიტომაც, ჯერ კიდევ 1896 წელს, იგი ხაზ-
გასმით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ კავკასიაში ოსები არასოდეს
არ ყოფილან რუსების წინააღმდეგ მტრულად განწყობილი და ადგი-
ლობრივ მოსახლეობას რუს მშრომელებთან, ყველა სხვა მეზობელ
ხალხებთან ძმური ურთიერთობისაკენ მოუწოდებდა. თავის ვრცელ
სტატიაში „უწესოებანი ჩრდილოეთ კავკასიაში“, კოსტა ხეთაგუ-
როვი მთელი სიმკაცრით ამხელდა თერგის ოლქის ადმინისტრაციას,
რომელიც „ტუზემცებს“ ართმევდა ყველა შესაძლებლობას, რომ
ისინი „...უმუშალოდ აკვირდებოდნენ რუსულ მოქალაქეობრიობას
და ცხოვრებას, აგრეთვე, კულტურული ადამიანების მოღვაწეობას,

¹ М. Тотоев, Передовые деятели Осетии и Великая русская культура (газ. «Социалистическая Осетия», 1951, 4 июля, № 130, (5050).

ისმენდნენ რუსულ ლაპარაკს, მუშაობდნენ რუს პიონერებთან ხელიხელჩაკიდებული, მისცენ ბავშვები რუსულ სკოლებში¹.

სახელოვან ოს პედაგოგს, სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწეს ა. გასიევს „ტუზემცების“ მიერ რუსული ენის შეგნებული შეთვისება ისეთ საშუალებად მიაჩნდა, რომელიც „...გზას გაუხსნის მათ თავიანთ დიდ სამშობლოსთან (ე. ი. დიდ რუსეთთან) სულიერი შეერთებისათვის... მისცემს საშუალებას ისარგებლონ რუსული კულტურისა და, ამასთან ევროპული კულტურის ნაყოფით“².

ამრიგად, განაპირა ხალხების კულტურული დაწინაურებისა და ეროვნულ ნიადაგზე სკოლის განვითარებისათვის გასიევი საჭიროდ სცნობდა მდიდარი და ლამაზი რუსული ენის შეგნებულად დაუფლებას იმ აზრით, რომ ეს უკანასკნელი (ობიექტურად) ხელს შეუწყობდა ადგილობრივ მკვიდრთა რუსეთთან, რუსულ კულტურასთან დაახლოებას და ამ გზით ევროპული ცივილიზაციის ნაყოფის ხალხის სასარგებლოდ გამოყენებას.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისა და პროგრესული კულტურის კეთილმყოფელ გავლენას ოსეთზე ხაზგასმით აღნიშნავდა XIX საუკუნის ოსი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე ა. გ. არდასენოვი, რომლის გამოთქმით, მთიელი ოსები პირით შემობრუნდნენ რუსებისაკენ, რამაც არსებითი გავლენა იქონია მთელთა ცხოვრებაში გარდატეხის შეტანისა და რუსეთთან მათი უფრო მჭიდროდ დაახლოების საქმეზე³.

ოსური კულტურისა და სახალხო განათლების გამოჩენილი მოღვაწის ინალ კანუკოვის შეხედულებით, რუსული „...ცივილიზაციის მძლავრი ნაკადის მოწოლას ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძველი დროის ტრადიციები. ცივილიზაციამ შემოსტყორცნა ჩვენში თავისი სხივები. და, ბოლოს, ჩვენ ვხედავთ რკინიგზასაც: ლოკომოტივის სტვენა, ჩვენი მშვიდობიანი მოქალაქეების უურთაქმენას ფარავს და ყოველდღიურად გვაგონებს, რომ ჩვენც გავერთიანდით ცივილიზებული ევროპის ოჯახში“⁴.

¹ К. Хетагуров, т. 3, гл. 119—120.

² Газ. «Тифлисский вестник», 1878 г., 23. окт. а. а. გასიევის სტატია კავკასიის სკოლებში პროფ. ოლმინსკის სისტემის შემოღების შესახებ.

³ В. Н. Л., Переходное состояние горцев Северного Кавказа, Тифлис, 1896, гл. 15—16 (ინიციალები „В. Н. Л.“—არდასენოვის ფსევდონიმი, რაც ნიშნავს: „ვერა“, „ნადედა“, „ლიუბოვ“).

⁴ Сборник сведений о Кавказских горах, вып. IX, 1876, гл. 111—112.

რუსული ცივილიზაციის ცხოველმყოფელი გავლენის პროგრესულ მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ აგრეთვე ოსური კულტურის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორც იყვნენ სახალხო მასწავლებელი — ხ. ურუიმაგოვი და მწერალი გ. ცაგოლოვი.

ხ. ურუიმაგოვს რუსული ენისა და რუსეთის მოწინავე მწერლობის შესწავლა, რუსეთის მეცნიერებისა და კულტურის მონაპოვართა კრიტიკული შეთვისება ოსი ხალხის გონებრივი და სულიერი განვითარების აუცილებელ პირობად მიაჩნდა. „ჩვენ, ოსებს, — წერდა ურუიმაგოვი, — რომლებიც დიდი ხანია შესული ვართ რუსეთის საზოგადოების კულტურული ოჯახის შემადგენლობაში და ვსარგებლობთ რუსული ცივილიზაციის ნაყოფით, ცხადად გვაქვს შეგნებულნი, თუ სად არის ჩვენი ხალხის ხსნა: ესაა — განათლება რუსულ ენაზე, რომლის მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო ენისა, ყველა ჩვენთაგანისათვის საკმაოდ ცნობილია“¹.

რუსეთის კულტურისა და რუსული ენის გავლენა ოსეთზე განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ოსური სკოლების დაარსებამდე ოსები თავიანთ შვილებს ხშირად რუსეთის სასწავლებლებში გზავნიდნენ, რომ დაუფლებოდნენ რუსულ წერა-კითხვას, მეცნიერებას, კულტურას, მაგრამ ამ სკოლებს არ შეეძლო ოსეთისათვის იმდენი სარგებლობის მოტანა, რასაც ხალხს (ოსურ მოსახლეობას) ეროვნულ ნიადაგზე (ადგილობრივ ენაზე) დამყარებული, დემოკრატიულ საწყისებზე აგებული სახალხო სკოლა მისცემდა. მიუხედავად ამისა, რუსულ სკოლას და მოწინავე რუსულ კულტურას ოსი ხალხის საერთო კულტურული დონის ამაღლებისა და ევროპული ცივილიზაციის კერებთან ოსთა დაახლოებისათვის დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მთავარი მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები. ვლადიკავკავის ოს ქალთა სკოლა-თავშესაფარი, არღონის სასულიერო სასწავლებელი (1895 წლიდან სასულიერო სემინარიად გარდაქმნილი), განათლების სამინისტროს უწყებისა და სხვა ტიპის სკოლები, რომელთა ქსელი რეფორმის შემდგომ, კაპიტალიზმის განვითარების შესაბამისად, იზრდებოდა. აღნიშნული სკოლები მკაცრად განსაზღვრულ კლასობრივ-რელიგიურ და პრივილეგიურ-წოდებრივ ხასიათს ატარებდნენ. ბურჟუაზიის იდეოლოგიები და რეაქციის აპოლოგეტები (გაპპო ბაევი და სხვ.) ყოველმხრივ ცდილობდნენ აღზრდის კლასობრივი ხასიათის მიჩქმალვას და სკოლების ქსელის

¹ Газ. «Казбек», 1899, № 611.

ერთგვარი გაფართოების „ახსნას“ ხალხის განათლების საქმეზე „მთავრობის მამობრივი ზრუნვით“. ბურჟუაზიის იდეოლოგთა ამგვარი გაგების წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდნენ ოსი ხალხის საუკეთესო შვილები (კ. ხეთაგუროვი, ა. გასიევი, ხ. ურუმიანოვი, გ. ცაგოლოვი, გ. ზასოხოვი და სხვ.), რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე ხალხის განათლების პროგრესს და მისი ეთილდღეობის საქმეს შესწირეს.

ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში და სწავლების პირველი კარავის წარმოშობა

ოსეთის დაახლოებას საქართველოსა და რუსეთთან, მრავალ სხვა პროგრესულ მხარეებთან ერთად, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მხრივაც, რომ მან ხელი შეუწყო ოსური დამწერლობის წარმოშობას, ოსებს შორის წიგნიერების გავრცელებას და ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციასთან მათ დაახლოებას.

მეფის თვითმპყრობელობა თავისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ცდილობდა მისიონერული ორგანიზაციების შექმნას. ასეთი მისიონერული ორგანიზაციის დაარსების იდეა წარმოიშვა ჯერ კიდევ 1742 წელს, რომელმაც მთავრობის სანქცია 1743 წელს მიიღო. ორი წლის შემდეგ ქართველ მისიონერთაგან შემდგარი „ოსეთის სასულიერო კომისია“ არქიმანდრიტ პახომის მეთაურობით უკვე ოსეთში იყო და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა მთელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას¹. გარდა კოლონიალიზაციისა და ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებისა, მისიონერული კომისია მიზნად ისახავდა რუსეთის მეფის მხარეზე „უბრალო ხალხის“ გადაბირებას, რისთვისაც „მონათვლის“ ცერემონიის დროს მიმართავდნენ დასაჩუქრებისა (50 კაპიკი ფულად, კვების ხარჯები, ქალებს — სარკე, მაკრატელი და სხვ.) და მოსყიდვის სხვა ხერხების გამოყენებას.

მისიონერული კომისიის ინიციატივით მოეწყო იმპერატორთან (1743 წ.) „სპეციალური დელეგაციის“ გაგზავნა რუსეთის ქვეშევრ-

¹ ამგვარი მისიონერული კომისიის შექმნის იდეა ეკუთვნის მეფე ვახტანგ VI ერთად 1724 წ. მოსკოვში გადახვეწილ ზნამენსკის მონასტრის არქიმანდრიტს — ნიკოლოზს და არხიეპისკოპოს იოსებს.

ეს იდეა მთავრობის სანქციით დამტკიცდა 1743 წელს. 1745 წელს ჩამოყალიბდა „ოსეთის სასულიერო კომისია“, რომელმაც იარსება 1792 წლამდე. მასში უმთავრესად ქართველი საეკლესიო მოღვაწეები შედიოდნენ. 1771 წ. თურქეთის დამარცხების შემდეგ „ოსეთის საეკლესიო კომისიაში“ ქართველები თანდათანობით რუსმა საეკლესიო მოღვაწეებმა შესცვალეს.

დომობაში ოსეთის შეყვანის შესახებ, რაც, ძირითადად, 1774 წელს განხორციელდა.

ჩრდ. კავკასიისა და მეზობელი კუთხეების „ყოველმხრივი შესწავლისათვის“ მთავრობა ოსეთში უცხო ქვეყნების ისეთ ცნობილ სპეციალისტებსაც გზავნიდა, როგორც იყვნენ გ. ი. გიულდენშტეტი (1768—1774), ი. ი. რეინეგსი (1779), პ. ს. პალასი (1793—1794) და სხვები, რომელთა ნაშრომებს მოცემული პერიოდის ოსეთის ისტორიის შესწავლისათვის დღესაც შენარჩუნებული აქვს მნიშვნელობა¹.

რუსეთის გავლენა ოსეთზე (და საერთოდ კავკასიაზე) თანდათანობით გაძლიერდა. ამას ხელს უწყობდა მთავრობის მაღალი ჩინის პოხელეთა მხრივ ოს მამასახლისთა და დიდ ფეოდალთა „მონათვლის“ გახშირება, სხვადასხვა სამხედრო „ჩინებით“ და „სიგელებით“ მათი დაჯილდოება და ადგილობრივ მოხელეთა ყოველმხრივი წახლისება“².

მისიონერული „კომისია“ 1792 წლამდე არსებობდა, ვიდრე მოზღოქში საეპისკოპოსო არ ჩამოყალიბდა³.

სწავლების პირველი კერების წარმოშობა. ცნობილია, რომ კავკასიის მთის ხალხები, მათ შორის ოსები, სწავლა-განათლების მხრივ ბარის მოსახლეობასთან შედარებით მეტად დაბალ საფეხურზე იდგა. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, მეცნიერს და მწიგნობარს ვახუშტი ბატონიშვილს (1696—1772) ოსების იმდროინდელი კულტურული დონის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ „კვალად არიან ვითარცა... უწიგნონი, უცოდინარნი, ენა აქვთ ძველი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად... ვიეთთა შოთაფეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყყიან ქართულნი“⁴.

ამავე ნაშრომის სხვა ადგილას ვახუშტის მითითებული აქვს ოსებით დასახლებული დიდი კოშკოვანი დაბა ჩიმი, რომლის მცხოვრებნი „...არიან მისიცა უმეცარნი“⁵.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ოსი მოსახლეობის ძირითადი მასა (მთის სხვა ხალხებთან ერთად) ფეოდალურ უკულტურობასა და სიბნელეში ცხოვრობდა.

მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა და მძარცველი კლასების

¹ М. Тотоев, Народное образование и педагогическая мысль в дореволюционной Северной Осетии, 1962, гл. 20.

² П. Бутков, Материалы для истории Кавказа, II, гл. 131, 259—262.

³ История Северо-Осетинской АССР, 1959, гл. 155—156.

⁴ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1944, გვ. 110.

⁵ იქვე, გვ. 112.

მიერ მუდმივი ჩაგვრის მიუხედავად, ოსეთის მშრომელები თანდა-
თანობით რწმუნდებოდნენ სწავლა-განათლების აუცილებლობაში
და მოითხოვდნენ სკოლების გახსნას.

ეკლესიების დაარსებასა და ხალხის „გაქრისტიანებასთან“ დაკავ-
შირებით საჭირო გახდა ეკლესიის მსახურთა ადგილობრივი კადრე-
ბის მომზადება. ოსეთის სასულიერო კომისიის ზოგიერთი წევრი
(თავიანთ ბინებზე) მოსწავლეებს (სამ-ოთხ კაცს) „საკუთარ ხარჯ-
ზე“ ასწავლიდა¹. არქიმანდრიტ პახომის ინიციატივით სინოდის წი-
ნაშე (1751 წ.) ოსი ბავშვებისათვის პატარა სკოლის დაარსების სა-
კითხი იქნა აღძრული, მაგრამ არქიმანდრიტს რჩევა მიეცა, ჯერ
დაეზუსტებინა სკოლის შენახვის ხარჯები, მოსწავლეთა და მასწავ-
ლებელთა შემადგენლობა, სკოლის ადგილმდებარეობა, სწავლების
ენა, მშობელთა მიერ სკოლაში ბავშვთა ნებაყოფლობითი გაგზავნის
შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ ეზრუნა ამგვარი სკოლის
გახსნისათვის. 1753 წელს არქიმანდრიტმა პახომმა უფრო დასა-
ბუთებული მოხსენებით მიმართა უწმ. სინოდს, რომლის წინაშე
იშუამდგომლა ქურთათინის ხეობაში 30 ბავშვისათვის სკოლის გახს-
ნის შესახებ. ეს მოსაზრება ეფუძნებოდა იმას, რომ სინოდის 1746
წლის მითითებით ნაბრძანები იყო საღვთისმეტყველო წიგნების ქარ-
თულიდან ოსურად თარგმნა ქართული ანბანის გამოყენებით².

1764 წლის 27 სექტემბერს გადაწყდა აღნიშნული სკოლის და-
არსება მოზდოკში. სკოლაში ძირითადად მამასახლისთა შვილებს
იღებდნენ. ყიზილიარის კომენდანტი 1766 წ. პატაკში წერდა, რომ
სკოლაში ჩარიცხულია ოთხი მოწაფე — ნარის, მამისონის და ზა-
ყინის ხეობების მამასახლისთა შვილები და, რომ ნაბრძანები აქვთ
ყავდეთ ისინი კმაყოფილნი და საუკეთესო პირობებში, რათა ამით
მამასახლისებს აღუძრან სურვილი სკოლაში მიაბარონ თავიანთი
შვილები³.

მოზდოკის სკოლასთან არსებობდა პანსიონი, სადაც მამასახლის-
თა შვილები სახარჯოდ — თვითეული 4 მანეთს იღებდნენ, ბოლო
„მდაბიოთა“ ბავშვები — 2 მანეთს.

¹ История Северо-Осетинской АССР, 1959, гл. 157.

² ი ქ ე ე, გვ. 157. არის ცნობები, რომ ქართულიდან ნათარგმნი საღვთის-
მეტყველო წიგნები ოსურ ენაზე გამოიცა 1853 წელს (იხ. „ცნობის ფურცელი“.
1899 წ., № 780, გვ. 2. აგრეთვე: «Сборник сведений описания местности и
племен Кавказа», иб. მ. ჯანაშვილის ნარკვევი).

³ Материалы по истории Осетии, т. V, № 6.

პანსიონი მეტად ღარიბი, მოუწყობელი და ცხოვრებისათვის შეუფერებელი იყო.

მოზდოკის სკოლაში პირველად სწავლება ქართულად სწარმოებდა (ოსურ ენაზე თარგმნით), მაგრამ შემდეგ, სასულიერო კომისიის ახალი უფროსის — იგუმენ გრიგოლის განკარგულებით, მიღებულ იქნა წინადადება, რომ ესწავლებინათ ბავშვებისათვის რუსულ ენაზე და „...არა რომელიმე სხვა დიალექტზე“¹.

ეს წინადადება ცარიზმის პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, რადგანაც მათ მესვეურთა მოსაზრებით, თუ ოს მოსწავლეებს შეასწავლიდნენ რუსულ ანბანს, მაშინ შვილების ზეგავლენით, მშობლებთან ერთად მათი ნათესავებიც ადვილად მიიღებდნენ რუსეთის ქვეშევრდომობას². სინოდი სიამოვნებით შეხვდა შუამდგომლობას მოზდოკის სკოლაში რუსულ ენაზე სწავლების შემოღების შესახებ, რის განხორციელებაც ფაქტიურად 1767 წლიდან დაიწყო. მოსწავლეთა შემადგენლობა აღნიშნულ სკოლაში საშუალოდ 6—46-მდე მერყეობდა³.

მოზდოკის მისიონერულ სკოლას განაგებდა ყიზილარის კომენდანტი და ასტრახანის გუბერნატორი, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას მასზე „ოსეთის სასულიერო კომისია“ ახორციელებდა. ამ სკოლაში უმთავრესად ნარის, მამისონის, ზაყის, დიგორისა და სხვა სოფლების „თავკაცების“ შვილები სწავლობდნენ. მათ, ქართველი დიაკონი (რომანიშვილი) ასწავლიდა, რომელსაც ყიზილარის კომენდანტი აფრთხილებდა, რომ მთიელი ბავშვების მიმართ არ გამოეჩინა მეტისმეტი სიმკაცრე, ისინი წაუხალისებინა სწავლაში, ბიძგი მიეცა მათთვის კეთილი საქციელისა და სასარგებლო მოქმედებისაკენ.

ოსეთის სასულიერო კომისიის ახალი უფროსის ლებედევის ცნობით, მოზდოკის სკოლის მოსწავლეები მშვიერ-ტიტველი, დაძონძილი, უფეხსაცმლოდ და უხალათოდ სახლებიდან სახლებში, ქუჩიდან ქუჩაზე დაძრწოდნენ, რათა თავი ეხსნათ უკიდურესი გაჭირვებისაგან. სასკოლო შენობაში ზაფხულში წვიმდა, ხოლო ზამთარში კვამლი მოსწავლეებსა და მასწავლებლებს თავბრუს ახვევდა⁴.

¹ История Северо-Осетинской АССР, 1959, гл. 158. сб. Материалы по истории Осетинского народа, т. V, гл. 40.

² Известия Северо-Осетинского Научно-исследовательского института, т. XII, С. О. Госиздат, Дзауджикау, 1947, гл. 184.

³ Материалы по истории Осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, С.О., изд., 1942, гл. 6—7.

⁴ П. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, гл. 83, 273, 440.

ამ სკოლაში სწავლება უაღრესად რელიგიურ ხასიათს ატარებდა. სასწავლო გეგმით, აღნიშნულ სკოლაში ოსური და რუსული ენები, ლოცვები, გალობა, ფსალტირი და წმინდანების ისტორია ისწავლებოდა. პირველდაწყებითი სწავლება სასწავლებელში დედენაზე და ინდივიდუალური წესით მიმდინარეობდა. თითოეული ბავშვი თავისი გეგმით, საკუთარი ნიჭის, უნარის და შესაძლებლობის მიხედვით სწავლობდა. მასწავლებელი ბავშვებს სათითაოდ ასწავლიდა, საკლასო-საგაკვეთილო სისტემა მაშინ არ არსებობდა¹. მოზდოკის სასულიერო მისიონერულმა სკოლამ 1792 წლამდე იარსება². სასწავლო-სააღმზრდელი საქმის ცუდად დაყენებისა და რელიგიური გავლენის მიუხედავად, ამ სკოლამ გარკვეული როლი შეასრულა ოსური კულტურის საფუძვლების განმტკიცებისა და ეროვნული კადრების პირველი წყების მომზადების საქმეში. მისგან გამოვიდნენ იმ დროისათვის განათლებული პირები, რომელთაგან 9 კაცმა ასტრახანის სემინარიაში (დაარსდა 1777 წ.) განაგრძო სწავლა, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გარკვეული წვლილი შეიტანეს ოსურ-რუსული და ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. მოზდოკის სკოლა მისაწვდომი იყო მხოლოდ მთის მცხოვრებთა მაღალი ფენების ბავშვებისათვის, რაც ოსების განათლების დონის ამაღლების საქმეზე შესაძლებელ გავლენას ვერ ახდენდა. მოზდოკის სკოლაში შექმნილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე გაიშალა სასტამბო-საგამომცემლო მუშაობა. რომელიც როგორც ქართულ, ისე საეკლესიო-სლავიანურ გრაფიკს (ანბანს) ემყარებოდა³.

მრავალი ნაკლის მიუხედავად, რომელიც მოზდოკის სკოლას გააჩნდა, მან საკმაოდ შეუწყო ხელი საბალბო განათლების, დამწერლობისა და ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს ოსეთში.

¹ Сборник документов по истории народного образования в Осетии. С. О. изд., Орджоникидзе, 1942, гл. 6—7.

² История Северо-Осетинской АССР, 1959, гл. 159.

³ М. Тотоев, Развитие культуры и общественной мысли в Северной Осетии во второй половине XIX и в начале XX в., Автореферат, С. О., Госиздат, 1950, гл. 8.

III. სკოლა და სახალხო განათლება კავკასიის ორივე მხარის ოსეთში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში

თარიღის საგანგანათლებლო პოლიტიკა ოსეთში

მეფის თვითმპყრობელობა ძალადობის სხვადასხვა საშუალებებთან ერთად, რუსეთის განაპირა მხარეების ხალხთა ინტელექტუალური და სულიერი გარდაქმნის იარაღად ეკლესიასა და სკოლას იყენებდა. წოდებრივ-კლასობრივი სკოლა, რომელმაც რუსეთში ბატონყმურ-ფეოდალური ფორმაციისა და ბურჟუაზიული წყობილების მთელს მანძილზე იარსება, ორღესულ იარაღს წარმოადგენდა, რომელთაგან — უფრო მაღალი საფეხური ჩინოვნიკური სამსახურისათვის ექსპლოატატორთა შვილების მომზადებას ემსახურებოდა, უფრო ელემენტარული კი — ე. წ. „დაბალი ფენები“ ბავშვებისაგან ცარიზმის ტახტის ერთგული მოწოდების აღზრდას. ეკლესია-მონასტრები, სკოლები, მთავრობის მიერ ოფიციალურად შექმნილი მისიონერულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები ძირითად მიზნად ისახავდნენ ქვეყნის მმართველი აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა და სახელმწიფო მანქანის ერთგული მუშა-ხელის აღზრდას.

განათლების მინისტრის აღმირალ შიშკოვის „მტკიცებით“, მთიელი ხალხისათვის მეცნიერებისა და განათლების მიცემას შეუძლია სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენება იმ დროს, როდესაც „...ქრისტიანული სათნოებისა და კეთილზნეობის წესები და დარიგებანი ყველას ესაჭიროება“¹. რელიგიური აღზრდისა და თვითმპყრობელობის ტახტისადმი ერთგული თაობის მომზადების ამ პოლიტიკას ურყევად ატარებდნენ განათლების სამინისტრო, „უწმინდესი სინოდი“ და სასწავლო ოლქთა „მზრუნველები“, რომლებიც ცარიზმის შიერ აღებულ ხაზს განათლების დარგში ერთგულად იცავდნენ. რუსიფიკაცია მეფის თვითმპყრობელობის მთავარ პოლიტიკას წარმოადგენდა, რომელსაც იგი კავკასიაშიც მოუბრუნებლად ახორციელებდა. თავის საკუთარ ენაზე ანბანის სწავლას ცარიზმის მესვეურები კავკასიის იმ ხალხსაც კი უზღუდავდნენ, რომელსაც მდიდარი ენა, თავისი ისტორია და ლიტერატურა გააჩნდათ. ე. წ. „უმწერლობა“ და „უანბანო“ ერებისათვის დედაენაზე სწავლების უფლების წართმევა და

¹ Журнал Министерства народного просв., 1867. იანვარი, დამატება, გვ. 14—15. შტრ. უ შ. ო ბ ო ლ ა ქ ე, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში“, I, 1961, გვ. 22—23.

ბავშვებისათვის გაუგებარ ენაზე უცნობი საგნების ზეპირობა ცარიზმის კლერკეტებს „სამართლიან“ მოქმედებად მიაჩნდათ.

ნიკოლოზ I საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი, რომლის განხორციელება მან ვორონცოვს დაავალა, კავკასიის ხალხის გარუსება იყო. ძირითად ამოცანას ადგილობრივი მოსახლეობის „რუსეთთან შერწყმა“ წარმოადგენდა. რუსული სკოლების მოწყობა, რუსული კლუბებისა და თეატრების დაარსება, ადგილობრივ სახალხო სკოლებში ყველა საგნის რუსულად სწავლება, ეროვნული ენის დაკნინება, ადგილობრივი ახალგაზრდობის „სწავლის მისაღებად“ რუსეთის შიდაგუბერნიებში გავზავნა და მოქმედების სხვა ფორმები — კავკასიაში ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების მიზანს ემსახურებოდა. რუსეთის „კანონთა კრებულის“ 1893 წლის გამოცემის I ტომის 1-ლ ნაწილში 4372-ე მუხლად ჩაწერილია, რომ „პირველდაწყებით სახალხო სკოლებში სწავლა სწარმოებს რუსულ ენაზე“¹.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ჯერ კიდევ 1891 წლის 1 თებერვლის „ცირკულიარით“ ოლქის სკოლებს მიზნად დაუსახა იმპერიის ტაბტიკისადმი ერთგული ახალგაზრდობის აღზრდა. ამ „ცირკულიარის“ მიხედვით:

„სასწავლებელი ბავშვებში უნდა ზრდიდეს და ანვითარებდეს იმის შეგნებას, რომ კავკასიის ყველა ნაწილი უნდა შეეუსისხლხორცდეს რუსეთის სამეფოს. სასწავლებელი ვალდებულია... მოზარდი თაობა მიახვედროს, რომ... ჩაყრილია კავკასიის მრავალტომიან მთიელთა და ბარელთა გონებრივ განვითარებისათვის, მტკიცე საძირკველი...“.

სასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ კავკასიის სკოლის წინაშე დასახული ამოცანა მთლიანად შეეხებოდა ჩრდ. ოსეთს, სადაც პირველდაწყებითი განათლების გავრცელების საქმეში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ „კავკასიაში მართლმ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ და საერთოდ. ცარიზმის მიერ შექმნილი სხვა მისიონერული ორგანიზაციები, რომლებიც „...ჯვართა და სახარებით ამტკიცებდნენ მეფის ეანდარმულ ხელისუფლებას კავკასიაში და სულეერ მონობაში აგდებდნენ თავისუფლებისმოყვარე მთიელ მოსახლეობას“². მეფის ხელისუფლება და ეკლესია („უწმინ-

¹ ეურნ. „განათლება“, 1908, № 2, გვ. 62—63, აღ. ჯავახიშვილის ნარკვევი: „პირველდაწყებითი სასწავლებელი საქართველოში“ (ხაზგასმა ჩვენია).

² გ. თავეზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1801—1870, 1948, გვ. 25.

დესი სინოდის“ სახით) თანმიმდევრულად ატარებდნენ განაპირა მხარეების ხალხთა რუსიფიკაციის, ეროვნული კულტურისა და ენის შევიწროების, ხალხის სულიერი დაკნინებისა და აბუჩად აგდების პოლიტიკას.

კავკასიის მთის მოსახლეობის გარუსების საქმეში მეფის მთავრობა მთელ იმედებს საბალხო სკოლაზე და ეკლესიაზე ამყარებდა. რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I გენერალ ველიამინოვისადმი მიცემულ ინსტრუქციაში აშკარად აცხადებდა: „რუსეთის ინტერესებისათვის საჭიროა, — რომ ეცადოთ მთიულეთი ალერსით მონადირით და შეაკავშიროთ ისინი რუსეთის სახელმწიფოს. ამისათვის ეს ველური ერი უნდა შეაჩვიოთ წესიერებას, კანონებსა და განათლებას, ხოლო მუდმივი ომი მათთან და ბრძოლა უფრო გვაშორებს მათ და უფრო აძლიერებს ამ ერში ომის სურვილს და სისხლისღვრას, რომელიც უამისოდაც უყვართ. საჭიროა დაწესდეს სხვადასხვა ადგილას სკოლები მთიულების შეილებისათვის“¹. მეფე-იმპერატორი არწმუნებდა გენერალს, რომ „...საჭიროა ალერსით მონადირება და შეკავშირება რუსეთთან, რისთვისაც ამ ველურ ერს მან უნდა შეაგონოს, რამდენად გამოსადეგია წესიერება, კანონის სიმტკიცე და განათლება“².

მეფის თვითმპყრობელობის ინტერესს წარმოადგენდა არა ხალხის განათლება და მათი კულტურული ცხოვრების ამაღლება, არამედ, რაც მთავარია, მოსახლეობის რუსიფიკაცია, ეროვნული კულტურის საწყისების ჩანასახშივე მოსპობა, ადგილობრივი ენის დაკნინება, დემოკრატიულ მისწრაფებათა ჩახშობა და ხალხის სულიერი დამონება.

ვ. ი. ლენინი ნაციონალური ჩაგვრის იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა არარუს მოსახლეობაში ახორციელებდა, ამბობდა: „რუსეთში მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თითქმის სამი მეხუთედი (ზუსტად 57%) განიცდის ნაციონალურ ჩაგვრას, ისინი არ სარგებლობენ დედაენის თავისუფლებითაც კი, მათ ძალით არუსებენ“³.

მეფის თვითმპყრობელობა იმპერატორის პირით. აშკარად აცხადებდა — საბალხო სკოლის მიზანს ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება წარმოადგენსო. ნიკოლოზ I კავკასიაში მისი მოგზაურობის დროს ამბობდა: „...მე თვითონ აქვე დაეუწერე ველიამინოვს. ახალი

¹ იურნ. „მწყემსი“, 1903, № 12, გვ. 3.

² იქვე, № 15—16, გვ. 10.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 327—328.

ინსტრუქცია და ვუბრძანე დააწესოს სხვადასხვა ადგილას სკოლები მთიულეების შვილებისათვის, როგორც ყველაზე სარწმუნო საშუალება მათის გარუსებისათვის და მათი კერპუნეჩვეულების მოსაღობად. იმედი მაქვს, რომ ველამინოვმა შეიგნო ჩემი დარიგება და შემდეგში საქმე უკეთ წავა“¹.

განაპირა მხარეების ხალხთა რუსიფიკაციისა და ეროვნული კულტურის საწყისთა ჩააზობაში ერთმანეთს ეკლემბოდნენ საერო განათლების სამინისტრო და „უწმინდესი სინოდი“. ამ უწყებათა ხელმძღვანელობა ეკლესიებსა და სკოლებში ადგილობრივ კადრებს სცვლიდა „რუსულად განათლებული“ პირებით, რომელთაც ადგილობრივი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ენის არაფერი გაეგებოდათ. იმპერიის განათლების მინისტრი დ. ტოლსტოი სიამაყით აცხადებდა, რომ „დაწყებითი სახალხო სკოლების საკითხი მკვიდროდ უკავშირდება ჩვენს ადგილობრივ მკვიდრთა („ინოროდცების“) გარუსების საკითხს“².

ცარიზმი ყოველ ღონეს მიმართავდა კავკასიაში თავისი უფლებების გაძლიერებისა და მისი კოლონიზაციისათვის. კავკასიის კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის საქმეში მთელი ოცი წლის მანძილზე აქტიურ „მოღვაწეობას“ ეწეოდა (1878—1901) სასწავლო ოლქის მზრუნველი — ე. პ. იანოვსკი.

1880 წლის 20 ოქტომბრის განკარგულებით, იანოვსკი თავის ხელქვეითებს კავკასიაში აცნობებდა: „კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მასში სასწავლად უდაოდ, ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად უნდა ჩაითვალოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს ცივილიზაცია, რომელიც მიისწრაფის შეიქრას ხალხში და ვითარდება რაციონალურად მოწყობილი სკოლის საშუალებით, წინათ აქ არსებულ ცივილიზაციაზე უფრო მტკიცე აღმოჩნდება, რომელთა შესაცვლელად ის აქ მოვიდა და რომელნიც დაიღუპნენ უმთავრესად გარემომცველ უვიც ტომებთან და ხალხთან საბრძოლველად კულტურულ საშუალებათა უქონლობის გამო“³.

¹ ეურნ. „მწყემსი“, 1903, № 12—15—16, გვ. 10. „ნიკოლოზ პირველის მოგზაურობა საქართველოში“ (ხაზგასმა ჩვენია).

² უ. შ. ო ბო ლ ა ძ ე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში. I, 1961, გვ. 25. შდრ. „Журнал министерства народного просвещения“, 1867, დამატება, გვ. 23.

³ ტ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951, გვ. 91. შდრ. საქ. ც. არქ., ფ. 107, სერია 3, საქმე № 300.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ცარიზმის კავკასიელ ადებტებს სკოლა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის გარუსების, რუსეთთან მათი „შერწყმისა“ და კავკასიაში „ევროპული ცივილიზაციის“ შემოტანის ერთ-ერთ მთავარ იარაღად მიაჩნდათ.

ამრიგად, მეფის თვითპყრობელობა ოსეთში ყველა საშუალებას მიმართავდა ადგილობრივი მოსახლეობის „სულიერად გარდაქმნისა“ და ოსი ახალგაზრდობის გაბატონებულ კლასთა და წოდებათა ინტერესების სულისკვეთებით აღზრდისათვის.

„თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის განავრცობისათვის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის განავრცობისათვის საზოგადოება“ და მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის განავრცობისათვის საზოგადოება

სახალხო განათლების გავრცელების საქმეს ჩრდილო კავკასიის მხარეში საგრძნობ დახმარებას უწევდა „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის განავრცობისათვის საზოგადოება“.

საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ჩრდ. კავკასიის ხალხთა განათლებისათვის დაუღალავი მებრძოლი, ოსი ხალხის მეგობარი მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი, რომელიც ოჯახით (1871 წლიდან) თერგის ოლქში გადასახლდა და ადგილობრივ მოსახლეობაში ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის განავრცობისათვის საზოგადოების“ მსგავსად, რომელსაც ილია ქაქვაძე მეთაურობდა „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის განავრცობისათვის საზოგადოება“, მ. ყიფიანის წინამძღოლობით, მიზნად ისახავდა თერგის ოლქის მთიელებში პირველად წყებითი სასკოლო ქსელის გაშლას, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სასარგებლო ტექნიკური და ბელოსნური ცოდნის გავრცელებას და სწავლა-განათლების საქმეში მთიელი ახალგაზრდობისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევას.

ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული საზოგადოების „წესდების“ პირველი თავის 1-ელ, მე-2 და მე-3 პარაგრაფებში ნათქვამია: „... 1) საზოგადოება მიზნად ისახავს თერგის ოლქის მთიელ მოსახლეობაში ხელი შეუწყოს სასკოლო განათლების საქმეს და განავრცოლოს მათ შორის სასარგებლო ტექნიკური და ბელოსნური ცოდნა;

2) საზოგადოებას ნება აქვს: დადგენილი წესების მიხედვით ოლქის მოსახლეობისათვის განსწავლოს სკოლები კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ ამიერკავკასიის მხარის „ტუზემცური“ სკოლებისათვის გა-

მოცემული პროგრამების მიხედვით (ბელოსნობის, კითხვისა და წერის პარალელური სწავლებით რუსულ და მშობლიურ ენებზე);

3) სასარგებო ზრდის შესაბამისად, საზოგადოებას შეუძლია ქალაქებსა და სოფლებში დააარსოს დაწყებითი ერთკლასიანი, ორი ან სამკლასიანი სკოლები და აგრეთვე საშუალო სასწავლებლებზე შესვლელთა მოსამზადებელი სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს უწყების სასწავლებელთა ნიშნის მიხედვით¹.

„საზოგადოების“ წევრთა საერთო კრება ირჩევდა „სკოლების მეფელაყურეს“, რომლის მოვალეობას შეადგენდა სკოლის საქმეებზე ყოველმხრივი ზრუნვა-დახმარება და მის საქმირობათა შესახებ სათანადო მოხსენებათა წარდგენა. სასოფლო „სკოლების მეფელაყურეს“ უნდა სკოდნოდა ადგილობრივი მოსახლეობის (სწავლების) ენა. მათი არჩევა 3 წლის ვადით ზღვდებოდა. სკოლების გახსნა შეიძლებოდა სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით. სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის ბელმძღვანელობა სახალხო სკოლების დირექტორს ეკისრებოდა. ღარიბთა შეიძლებს მატერიალური დახმარება და სასწავლო ნივთები „საზოგადოების“ ხარჯზე ეძლეოდა, ხოლო შეძლებულებს აბდევირებდნენ გარკვეულ გადასახადს, „საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სკოლებში მასწავლებლებს (როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს) „საზოგადოების გამკვეობა“ ნიშნავდა; რისთვისაც საქირო იყო სახალხო სკოლების დირექციის დასტური. მასწავლებლად შეიძლებოდა იმ პირთა დანიშვნა; ვისაც სათანადო განათლება, ცენზი და ადგილობრივი (სასწავლო) ენის ცოდნა ჰქონდა².

ჩვეულებრივი საგნების სწავლება „საზოგადოების“ სახალხო სკოლებში კავკასიის სასწავლო ოლქის „სამზრუნველო საბჭოს“ 1880 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით და მის მიერ მოწონებული სასწავლო გეგმების მიხედვით მიმდინარეობდა. ამ საფუძველზე, ელემენტარული განათლების გარდა, სკოლას ბავშვებისათვის უნდა მიეცა ხ ე ლ ო ბ ი ს ც ო დ ნ ა. ამისათვის „საზოგადოებას“ ევალ-

¹ Отчет Правления благотворительного общества распространения образования и технических сведений среди горцев Терской области, за 1883 г., гл. I.

² ადგილობრივი ენის უცოდინარი პირის დაშვება სკოლაში შეიძლებოდა მხოლოდ დროებით და ისიც აუცილებელი საქიროების დროს.

ბოდა სკოლასთან სასწავლო სახელოსნოების მოწყობა და მათი უზრუნველყოფა საჭირო ხელსაწყო-მოწყობილობით¹.

აღნიშნული „საზოგადოების“ მთავარ საზრუნავს შეადგენდა ჩრდ. კავკასიის მთის მრავალტომიან და მრავალერიან მოსახლეობაში წერა-კითხვის დედაენაზე სწავლება, სახალხო სკოლების მეშვეობით ადგილობრივ მკვიდრთა შორის ტექნიკური და სამეურნეო-ხელოსნური შრომის ელემენტარული ცოდნა-ჩვევების დანერგვა და სახალხო განათლების გავრცელება.

ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად „საზოგადოების“ გამგეობა დიდი მონდომებით იბრძოდა სათანადო სახსრების შეგროვებისათვის, რომელსაც ახალსააკოლო შენობათა აგების, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლების კულტურულად მოწყობის, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური დახმარების, სახელმძღვანელოების გამოცემის, სახალხო სკოლების გახსნის, სასწავლებლებთან სახელოსნოების მოწყობისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის იყენებდა.

იმ პერიოდში, როდესაც ჩრდ. კავკასიაში ზემოხსენებული „საზოგადოება“ ჩამოყალიბდა, თერგის ოლქის მცხოვრებთა ძირითად მასას სოფლის მოსახლეობა (532 ათასი მცხოვრები) შეადგენდა, რომელშიაც 112 ათასი ოსი შედიოდა². ამრიგად, კავკასიის ამ მრავალტომიანი მოსახლეობის საერთო კულტურისა და განათლებისათვის სისტემატური ზრუნვა უხდებოდა საზოგადოების „გამგეობას“, რომელსაც 1883 წლის იანვრიდან—გარდაცვალებამდე (1891 წლის მარტამდე) მისი უცვლელი თავმჯდომარე მ. ყიფიანი ხელმძღვანელობდა.

თავისი შემოქმედებითი მუშაობის დასაწყისიდანვე „საზოგადოების“ პირველ საზრუნავს წარმოადგენდა ჩრდ. კავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა ბავშვებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა 1886 წლის ანგარიშის მიხედვით დასტურდება, რომ „საზოგადოების“ ხარჯებიდან ოსებსა და სხვა ეროვნების ბავშვებს არა მარტო ერთდოული დახმარება, არამედ სტიპენდიებიც ეძლეოდათ.

„საზოგადოება“ ერთდროულ დახმარებას უწყევდა იმ ახალგაზრდებსაც, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს და უმაღლეს სასწავლებლებში აპირებდნენ შესვლას. მაგალითად, „საზოგადოების“ ამგვარი მატერიალური მხარდაჭერის შედეგად, აღმასსიტი კანუკოვი (შემდეგში მწერალი) მოსკოვის საიმპერატორო ტექნიკურ სასწავლებელში

¹ იხ. «Устав благотворительного общества для распространения образования и технических сведений среди горцев Терской области», Владикавказ, 1900 г., «წესდება» დამტკიცებულია ქ. თბილისს, 1882 წლის 18 ოქტომბერს.

² ი ქ ვ ე, Отчет, 1905, გვ. 3. იხ. სქოლიო.

შოეწყო, ხოლო ჩეხოვეცი და ბიგაევი.—კინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში¹.

თუ დაარსების პირველ წელს საზოგადოების თანხა 2338 მან. და 66 კაპ. შეადგენდა, ხოლო ხარჯები 120 მან. და 95 კაპ., 1890 წლისათვის ეს თანხა 4425 მან. და 12 კაპ. გაიზარდა, ხოლო ხარჯებმა შეადგინა 1592 მან. და 77 კაპიკი². და ასე გრძელდებოდა ყოველწლიურად. „საზოგადოების“ საშემოსავლო ფონდის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მთის ხალხთა შვილების სტიპენდიების დანიშვნა-სა და ერთდროულ დახმარებაზე გაწეული ხარჯები.

„საზოგადოება“ ერთდროულად დახმარებით „ხელს უმძარტავდა“ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებსაც. მაგალითად, 1905—1910 წლებში „საზოგადოების“ ხაზით ერთდროული ფულადი დახმარება (25—70 მანეთის ფარგლებში) გაეწია 434 მოსწავლეს, მათ შორის 97 სტუდენტს.

ქალაქებსა და ოლქის ცენტრალურ ადგილებში „საზოგადოებას“ თავისი ქვემდებარე ორგანიზაციები ჰქონდა. ერთ-ერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა „ძაუჯიკაუს ჯგუფი“, რომლის ინიციატივით ვლადიკავკაში ბევრი სასარგებლო საქმე (საერთო საცაოვრებლისა და სასკოლო შენობის აგება, სკოლების შეკეთება, მოსწავლეებისათვის ერთდროული დახმარების მიცემა და სხვ.) გაკეთდა.

„საზოგადოება“ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მთიელ მოსწავლე ქალთა მატერიალური დახმარების უზრუნველსაყოფად, რასაც თერჯის ოლქის ადგილობრივ მკვიდრთა კულტურული განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

„საზოგადოების“ ფულადი შემოსავალი ბევრად იყო დამოკიდებული მის მუდმივ და ნამდვილ წევრთა რიცხოვნობაზე და თვისობრივ ზრდაზე.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში „საზოგადოების“ წევრთა რიცხვი იზრდებოდა, რევოლუციის პერიოდში ნამდვილ წევრთა შემადგენლობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 1909—1911 წლებში ზრდის ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლებს (117—181) მიაღწია³, რაც ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული დონისა და შეგნების ზრდა-

¹ იხ. «Отчет правления благотворительного общества распространения образования и технических сведений среди горцев Терской области», за 1886 г.

² იქვე, 1890 წ.

³ იხ. «Отчет общества распространения образования и технических сведений среди горцев Терской области», за 1913, гл. 1—2.

ზე მიგვითითებს. მიუხედავად ამისა, შემდგომ წლებში საზოგადოების წევრთა შემადგენლობის რიცხობრივ ზრდაში ერთგვარი შენელება იგრძნობა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამგვარი მდგომარეობა „გამგეობის“ შემადგენლობიდან პატრიოტულ-დემოკრატიული ელემენტების ნაწილობრივი გასვლით (კ. ხეთაგუროვი და სხვ.), „საზოგადოების“ ხელმძღვანელ კორპორაციაში რუსიფიკაციის მომხრე სამხედრო ჩინოვნიკური ძალების ზრდით და ამ ნიადაგზე შემოსწენებული ორგანიზაციის საზოგადოებრივი ავტორიტეტის რამდენადმე შესუსტებით იყო გამოწვეული. მართალია, რიცხობრივი შემადგენლობის ცვლილებები გარკვეულ გავლენას ახდენდა „საზოგადოების“ მუშაობის ხასიათზე, მაგრამ მისი ნაყოფი ეროვნული კულტურისა და სახალხო განათლების წინსვლაში მაინც მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენდა. 1883—1893 წლებში „საზოგადოების“ მიერ (თერგის ოლქის) მთიელ მოსწავლეებზე და სტუდენტ ახალგაზრდობაზე გაწეული მატერიალური დახმარება 11 568 მან. და 26 კაპ. შეადგენდა, ხოლო 1894—1903 წლებში ამავე დანიშნულებით დახარჯული თანხა — 10 159 მან. და 85 კაპიკს. 1904 წლიდან — 1912 წლის ჩათვლით „საზოგადოებამ“ მოსწავლე ახალგაზრდობის მატერიალური დახმარებისათვის 13 130 მან. და 13 კაპიკი გაიღო. ამრიგად, 1883—1912 წლებს მანძილზე „საზოგადოების“ მიერ (მარტო ერთდროული დახმარების სახით) ოლქის მთიელ მოსწავლეთა დასახმარებლად გაღებულ იქნა 34 858 მანეთი და 24 კაპიკი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთიელთა რიგებიდან ახალი ინტელიგენციის შემადგენლობის ზრდას.

თერგის ოლქის მთიელებზე ამგვარი ხასიათის დახმარება „საზოგადოების“ არსებობის მთელ მანძილზე (1917 წლამდე) გრძელდებოდა. მოსწავლეებსა და სტუდენტებზე გაწეული მატერიალური დახმარების გარდა, „საზოგადოება“ საკმაო ყურადღებას აქცევდა ეროვნულ უმცირესობათა (ჩეჩნები, კუმიკები და სხვ.) მოსახლეობისათვის სკოლების დასაარსებლად საჭირო თანხების გამოყოფას, სკოლებთან სახელოსნოების მოწყობას, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლების აშენებას, ქალთა პედაგოგიური განათლების რეორგანიზაციას, საშუალო სასწავლებლთა მოსამზადებელი სკოლის გახ-

1 იხ. «Краткий обзор деятельности общества распространения и технических сведений среди горцев Терской области за время его существования, с 1883 г. по 1909 год», Владикавказ, 1910, гл. 10—11.

სნისა და ეროვნულ საფუძველზე საგამომცემლო საქმის ორგანიზაციის საკითხების მოგვარებას.

შავალითად, „საზოგადოების“ 1899 წლის 26 მაის ადრამაზე (პუშკინის იუბილეს დღეს) დასმულ იქნა საკითხი ქ. ვლადიკავკაეში მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლის დაარსების, ამ დანიშნულებითათვის ახალი შენობის აგებისა და სასწავლებელთან მოსამზადებელი სკოლის გახსნის შესახებ.

„საზოგადოების“ საერთო კრებამ მოიწონა 40 მთიელი ბავშვისათვის საერთო საცხოვრებლის აგების პროექტი, რომელსაც შეუძლია მთიელთა ყველა ტომს ერთნაირად მოუტანოს საჩუკებლობა შვილების აღზრდა-სწავლების საქმეში. საერთო კრებამ „საზოგადოების“ გამგეობას მიანდო საერთო საცხოვრებლის „დებულების“ შემუშავება, შენობის აგებისა და 40 მოსწავლის შენახვისათვის საჭირო ნარჩთარტიცების შედგენა. კრებამ ერთბაშად მიიღო დადგენილება მომავალი საერთო საცხოვრებლისათვის „მთიელ პუშკინელთა“ სახელის მიკუთვნების შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე გადაწყდა საერთო საცხოვრებელთან საშუალო სასწავლებელში შემსვლელთა მოსამზადებელი სკოლის გახსნა.

„თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი ქველმოქმედებითი საზოგადოება“ მოითხოვდა მათ წინაშე დასმული ამოცანების განხორციელებაში იმ მოქალაქეთა და, საერთოდ, პროგრესული ინტელიგენციის ფართო მონაწილეობას „...ვისთვისაც ძვირფასია მხარის მოსახლეობის მომავალი და ხალხის ცხოვრების წინსვლა“¹.

არა ნაკლებ საინტერესოა „საზოგადოების“ აღმზრდელობითი იდეალები, რომელიც რუსეთის მოწინავე სკოლებისა და პროგრესულ პედაგოგიურ გამოცდილებას ემყარება. ეს „აღმზრდელობითი იდეალები“ უმთავრესად მთიელთა ვლადიკავკაეის საერთო საცხოვრებლის „დებულებაში“ და ნაწილობრივ „საზოგადოების“ ოქმებში, მოხსენებებსა და სხვა დოკუმენტებშია ფრამენტირებული². ამ დოკუმენტებიდან იგრძნობა, რომ ახალ პირობებში საეიმნახიო ფორმალური (კლასიკური) განათლება საზოგადოების დემოკრატიულ ინტერესებს ვეღარ აკმაყოფილებს. პრივილეგიურ-კლასობრივი აღზრდის ტრადიციული სისტემა დრომოკმეული ხდება. როგორც რუსეთ-

¹ იქვე, გვ. 6.

² იხ. «Объяснительная записка к денежному отчету благотворительного общества распространения образования и технических сведений среди горцев Терской области», 1905, გვ. 35—36.

ში, ისე საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში ყალიბდება პროგრესულ-დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციები („ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება“, „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი ქველმოქმედებითი საზოგადოება“ და სხვ.), რომლებიც მიზნად ისახავენ 'სწავლა-განათლების საქმეში მთიელი მოსახლეობის დახმარებას. ამიტომაც „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ ოფიციალურ „ანგარიშში“ ვკითხულობთ: „...სოფელს ესაჭიროება ახალი ძალები, მუშაეთა ახალი შენაკადები, რომლებიც გამოსული იქნებიან იმავე სოფლის წრიდან და სოფლის ცხოვრება ეცოდინებათ არა წიგნებიდან, არა ვაგონების ფანჯრებიდან დანახვით, არამედ პრაქტიკულად“¹.

აქ ნაზღასმულია სოფლის ახალგაზრდობის მასობრივად აღზრდის ამოცანის სასწრაფოდ გადაჭრის საჭიროება დაგმობილია მხოლოდ „წიგნური ცოდნა“, ფორმალიზმი. წინა პლანზეა წამოწეული ცხოვრების ცოდნა, ისეთი თაობის მომზადება, რომელსაც საგნების ცოდნასთან ერთად ექნება სოფლად პრაქტიკულად მუშაობის უნარ-ჩვევები.

„საზოგადოებას“ ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნდა, ხელი შეეწყოს თერგის მხარის მცხოვრებთათვის, „...მიეცათ თავიანთი ბავშვებისათვის საუკეთესო განათლება“².

მოსწავლეთა მოწესრიგებული გარემო „საზოგადოებას“ ბავშვთა ყოველმხრივი აღზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდა. „ძვირფასია წესების გზა, მოკლე და კემშარიტია მაგალითების გზა“. — ჯონ ლოკის ამ გონებამახვილ დებულებაზე დამყარებით „საზოგადოება“ ცდილობდა ჩრდ. კავკასიის მთიელ ხალხებში შეეტანა გარემოს აქტიური ზეგავლენის შეგნება და მისი მოწესრიგების პედაგოგიური მნიშვნელობის გაგება. ბავშვის კლასგარეშე თავისუფალი დროის პედაგოგიური ორგანიზაცია მით უფრო საჭიროდ იქნა ცნობილი, რაც უფრო ცხადი გახდა სასკოლო მეცადინეობის მცირე მონაკვეთში (გაკვეთილებზე) ბავშვის ყოველმხრივი აღზრდისათვის გამოყენებულ საშუალებათა უქმარობა და არასრულყოფილობა³.

„საზოგადოების“ პროგრესული ნაწილი გმობდა ბავშვებზე „მეთვალყურეობის“ იმ იეზუიტურ „სისტემას“ რომელიც არსებულ „ინ-

¹ «Объяснительная записка к денежному отчету благотворительного общества распространения образования и технических сведений среди торцев Терской области», 1905, გვ. 36.

² იქვე, გვ. 36.

³ იქვე, გვ. 37.

ტერნატებში“, „საერთო საცხოვრებლებში“, „პანსიონებში“ ან თვით გაკვეთილებზე სკოლის ფარგლებში იყო გაბატონებული და თავისი შინაარსით უფრო „.....დამცველი, პოლიციური ხასიათი აქვს, ვიდრე აღმზრდელობითი“¹. „საზოგადოების“ ხელმძღვანელობას საერთო საცხოვრებლის მოსწავლეებზე მიზანშეწონილად მიაჩნდა ისეთი აღმზრდელის მიმაგრება, რომელსაც „.....აბასიათებს... დინჯი, და მტკიცე ხასიათი. აქვს განათლება, არის მამაცი, კეთილმოსურნე და ბავშვების მოყვარული“².

„საზოგადოებას“ მოსწავლეთა საცხოვრებელი მიაჩნდა არა მოსწავლეთა „დამის გასათევ“ ბინად, არამედ „აღმზრდელობით სახლად“. რომელშიაც სპეციალურად შერჩეული პედაგოგის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მეტად შინაარსიანი, მრავალფეროვანი, საინტერესო. ორგანიზებული და ბავშვებისათვის წარმტაცი აღმზრდელობითი მუშაობა.

მოსწავლეთა ახალი ტიპის „საერთო საცხოვრებელში“ „სამეურნეო კომიტეტს“ სცვლის „სამზრუნველო კომიტეტი“, რომელშიც, პედაგოგების გარდა, შეყვანილი უნდა იქნეს მოსწავლეთა ისეთი მშობლები (ან და-ძმები), რომლებიც საუკეთესოდ ფლობენ მუსიკას, ცეკვას, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებს, ეხერხებათ ბავშვებთან ლიტერატურული საუბრების მოწყობა, ჰაინტერესო ამბების თხრობა, წარმოდგენების გამართვა, სეირნობა, მხატვრული საღამოს ჩატარება და საბავშვო გართობა-თამაშობათა მოწყობა.

მოსწავლეთა ზნეობრივ-ეთიკურ და სხვა მხარეზე დადებითი გავლენის მოსახდენად „საზოგადოებას“ მიზანშეწონილად მიაჩნდა საერთო საცხოვრებლის დასუფთავებაში, ოთახების დალაგებაში, საჭმლის მომზადებაში, ფეხსაცმელების შეკეთება-დაკვრებაში, ტანსაცმლის გაკერვა-დაუთოვებასა და საერთოდ (40—50 წუთიან) თვით-მომსახურეობით შრომაში მოსწავლეთა სისტემატური მონაწილეობა.

„გაკვეთილების“ შემდგომი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო საცხოვრებლის აღსაზრდელებმა უნდა მოახმარონ ფიზიკურ ვარჯიშობებს, თამაშობებს და სიმღერა-მუსიკაში მეცადინეობას. ეს ვარჯიშები, თამაშობანი და გართობანი — საუკეთესო საშუალებაა არა მარტო ფიზიკური. არამედ ზნეობრივი აღზრდისათვისაც“³.

საერთო საცხოვრებელში რეკომენდებული იყო უფროს კლასელების უმცროს კლასელებზე დახმარება. პატარებზე ზრუნვა, თვით-მომსახურება, რაც, რამდენადმე, ბურჟუაზიული „ახალი სკოლის“

¹ ი ქ ვ ე, გვ. 38.

² ი ქ ვ ე, გვ. 39.

³ ი ქ ვ ე, გვ. 40.

ერთგვარი ზეგავლენით აიხსნება: ამგვარი ზეგავლენის დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: „ეფიქრობ, — ამბობს ფრანგი პედაგოგი დემოლენი, — რომ სკოლის მინდობა თვით აღსაზრდელთათვის ყველაზე კეშმარიტი საშუალებაა ბავშვების განათლებისათვის“. როდესაც მათთან მუდმივი ურთიერთობით დამრიგებლები ზემოქმედებას ახდენენ აღსაზრდელებზე, ზოლო უფროსი აღსაზრდელები გავლენას ახდენენ უმცროსებზე ნდობის გამოყენებით, რომლითაც მათ ეხმარებიან აღზრდელები; იქნება განსაკუთრებული სულიერი განწყობილება, რომელიც თვითეულს აქეზებს სრულყოფისაკენ, რომ გაზდეს ნამდვილი ადამიანი“¹. უფროსი მოსწავლეების უმცროსებზე ზრუნვა, თვითმომსახურება, სამჭედლოში, სახარატო და საზინკლო სახელოსნოებში ასაკთან შეფარდებული (ნორმირებული) ნაყოფიერი შრომა, საზოგადოებრივ-სასარგებლო დავალებათა შესრულება — შეიცავენ იმ ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი ადამიანების ყოველმხრივ აღზრდას. ამიტომ, სწორად უნდა მივიჩნიოთ „საზოგადოების“ პრაქტიკული ნაბიჯი და ის იმედები, რომლებსაც იგი მთიელთა ახალი ტიპის საერთო საცხოვრებლის მოქმედებაზე ამყარებდა.

„საზოგადოების“ მესვეურთა კეშმარიტი ცვაებით, ასეთი საერთო საცხოვრებელი ცხოველყოფელი კერაა „...მთიელი ახალგაზრდობის კეთილდღეობისა და ჩვენი მხარის კულტურული წარმატებისათვის, რადგანაც ბავშვებშია ჩვენი ნამდვილი მომავალი“¹.

„საზოგადოების“ პრაქტიკულ მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა ჩრდ. კავკასიის კულტურულად ჩამორჩენილი, პერიფერიული და ღარიბი მოსახლეობისათვის სკოლები დაარსებისა და მათი შვილების აღზრდა-განათლების ორგანიზაციის საქმეს.

1900 წლის 12 ივლისს „საზოგადოების“ საერთო კრებამ განიხილა ხასავ-იურთისა და ვედენსკის „ტუშემცური“ მოსახლეობისათვის სკოლების გახსნის საკითხი. გამოითქვა აზრი, რომ „საზოგადოების“ მიერ შეგროვილი თანხებით, კუმიკების, ჩეჩნებისა და სხვა მთიელთა ტომებისათვის დაარსდეს ისეთივე ტიპის სკოლები, როგორიც ნალჩიკის, ნაზრანოვსკისა და გროზნოს სკოლებია. „საზოგადოების“ წევრთა ერთ ნაწილს ნალჩიკ-ნაზრანოვსკისა და გროზნოს სკოლები უკიდურესად მოძველებული ტიპის სასწავლებლებად მიაჩნდა, რომლებშიც მთიელთა განათლების საქმეს მეტისმეტად

¹ «Объяснительная записка к денежному отчету благотворительного общества распространения образования и технических сведений среди горцев Терской области», 1905, гл. 41.

² იქვე, გვ. 44.

მკირე სარგებლობა მოუტანეს. დასახელებულ საეკლესიო-სამრევ-
ლო სკოლებში ადგილობრივ მცხოვრებთა სასკოლო ასაკის ბავშვთა
მეტად უმნიშვნელო პროცენტი სწავლობდა. ადგილობრივ ნიადაგს
მოწყვეტილი სკოლები (კურსის ხანგრძლივობისა და მშობლიური
ენის უგულვებელყოფის გამო) ბავშვებს არ აძლევდნენ არა თუ სხვა
სკოლებში სწავლის გაგრძელების საშუალებას, არამედ არც სხვა
რაიმე უფლებას¹. ამ შეხედულებათა ავტორების აზრით. ხასავე-იურთ-
სა და ვედენსკის მოსახლეობაში განათლების დანერგვას უფრო შეუ-
წყობს ხელს სახალხო განათლების სამინისტროს სასოფლო ტიპის
სკოლები; რადგან, როგორც „საზოგადოების“ ანგარიშებიდან ირ-
კვევა, ამ სკოლებმა ოსეთში საკმაო როლი შეასრულეს ადგილობრი-
ვი მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროში და ბევრ კურადამთავ-
რებულ ახალგაზრდას გაუბნენს გზა უფრო მაღალი განათლებისაკენ.
„ათასობით ბავშვებმა გაიარეს ეს სკოლები. 30 ოსური სასოფლო
სკოლის ბარჯები არ დამჯდარა უფრო ძვირი, ვიდრე მთიულთა... სა-
მი სკოლის შენახვა“².

„საზოგადოების“ გამგეობის ბიუროკრ:ტიული ნაწილი (რომელ-
შიაც ოლქის უფროსიც შედიოდა) კუმიყევის, ჩეჩნებისა და სხვა
„ინოროდცული“ ტომებისათვის რუსული ტიპის ოფიციალური სა-
სოფლო სკოლების გახსნას მოითხოვდა, რომელიც ხელს შეუწყობდა
„...მხარეში სიმშვიდის შეტანას და რუსული მოქალაქეობ-
რიობის განმტკიცებას“³.

აზრთა წინააღმდეგობანი „საზოგადოების“ წევრთა შორის იმას
ადასტურებს, რომ მისი „გამგეობა“ სხვადასხვა კლასებთა და სო-
ციალური ფენების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. რომელ-
თაგან თითოეული ჯგუფი „საზოგადოების“ ავტორიტეტის გამო-
ყენებას ცდილობდა თავიანთი ინტერესებისათვის.

ხელისუფლების ადგილობრივი უწყების (ოლქის უფროსი, საეკ-
ლესიო სკოლების მეთვალყურენი, სამხედრო „ჩინოსნები“ და სხვ.)
წარმომადგენლები მთიელი ტომებისათვის რუსული სკოლების გახ-
სნისა და ამ გზით მხარის სრული რუსიფიკაციის კურსს იცავდნენ.

მაშასადამე, აღნიშნული „საზოგადოების“ რეაქციული ჯგუფი
ცდილობდა ეს კეთილშობილური საზოგადოებრივი ქველმოქმედები-
თი ორგანიზაცია ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის რუსიფიკაციის იარა-
ღად გამოეყენებინა. მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება მკვიდრი

¹ იხ. «Отчет благотворительного общества... за 1900 г., გვ. 6—7.

² იქვე, გვ. 7.

³ იქვე.

მოსახლეობის სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ადგილობრივი საზოგადოების სხვადასხვა სოფლების მცხოვრებნი უარს აცხადებდნენ თავიანთ აულებში ოლქის ხელმძღვანელობის მიერ „შემოთავაზებული“ ოფიციალური ტიპის სკოლების გახსნაზე. სახალხო კრებების დადგენილებებიდან აშკარაა, რომ რუსული სკოლების ნაცვლად საჭიროდ მიაჩნიათ „მშობლიურ ნიდაგზე“ დამყარებული სწავლა-განათლება და ისეთ მასწავლებელთა მომზადება, ვინც გამოხატავს და დაციკავს ადგილობრივი ხალხების ინტერესებს¹. ეს აზრი „საზოგადოების“ პროგრესული ნაწილის საბრძოლო ლეიტმოტივს შეადგენდა, რომელსაც ჩრდ. კავკასიაში მხარს უჭერდა ხალხის უმრავლესობა.

როგორც ზემო თავებში გავეცანით, „საზოგადოება“ რიგ დონისძიებებს ატარებდა არა მარტო სახალხო სკოლების ქსელის გაშლისათვის, არამედ არსებული სკოლების შეკეთების, გაფართოების, რეორგანიზაციისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ჯერ კიდევ 1900 წლის 1 ოქტომბერს „საზოგადოების“ წევრთა საერთო კრებამ მტკიცედ გაილაშქრა „კავკასიაში მართლმად. ქრისტიანობის აღმდგ. საზოგადოების“ საბჭოს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც ვლადიკავკავის ქალთა ოსური სამკლასიანი სკოლა-თავშესაფარის გაუქმებას მოითხოვდა. „საზოგადოების“ გამგეობამ „სინოდის“ წინაშე აღძრა დასაბუთებული შუამდგომლობა აღნიშნული სკოლის აღვილზე დატოვების შესახებ, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო.

„საზოგადოების“ ინიციატივით შეიქმნა სკოლა-თავშესაფარის რეორგანიზაციისა და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლად მისი გარდაქმნის პროექტი. მისივე მონაწილეობით დამუშავდა რეორგანიზებული სკოლა-თავშესაფარის ახალი სასწავლო პროგრამები, რის ნიდაგზედაც „საზოგადოება“ ცდილობდა ოსეთში შეექმნა კერა განათლებული ოსი ქალების მომზადებისა, რომლებიც, როგორც სახალხო მასწავლებლები, შესძლებდნენ სარგებლობა მოეტანათ მხარისათვის².

„საზოგადოების“ ნაყოფიერ მუშაობას დიდად შეუწყო ხელი მისმა პირველმა თავმჯდომარემ მიხეილ ყიფიანმა. მან თერგის ოლქში მოღვაწეობის პერიოდში (1871—1891) კიდევ უფრო გააღრმავა

¹ იხ. «Отчет благотворительного общества», за 1900 г., გვ. 7—8.

² იქვე, გვ. 17—18. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ „საზოგადოების“ 1902 წლის „ანგარიშს“, როგორც გამგეობის წევრი, ხელს აწერს კ. ლ. ხეთაგუარი, რომელმაც შემდეგი წლიდან „საზოგადოებას“ თავი მიანება.

ორი მეზობელი ერის შესანიშნავ წინაპართა (გაიოზისა და იალლუზიდის) კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა და მისივე ინიციატივით 1890 წლიდან საფუძველი ჩაუყარა დედაენაზე ოსური საანბანო წიგნების გამოცემას. ოსეთის ნაციონალური კულტურისა და საგამომცემლო საქმის განვითარებისათვის ნიადაგის მომზადების საქმეში მ. ყიფიანის დიდ ღვაწლთან დაკავშირებით, მისი გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ (1905 წ.), საზოგადოების მუშაობის „ანგარიშში“ ვკითხულობთ:

„...მთიულების ენაზე საზოგადოების მიერ წიგნების გამოცემის საკითხი პირველად აღძრა საზოგადოების პირველმა თავმჯდომარემ— მიხეილ ზაალის ძე ყიფიანმა.

მისი უგანათლებლესი ზეგავლენით 1890 წელს საზოგადოების ხარჯზე გამოცემულ იქნა ალმასიტ კანუკოვის მიერ პირველდაწყებითი სწავლებისათვის შედგენილი წიგნი: „ოსური ანბანი“¹.

გაიოზ ბარათაშვილისა და იალლუზიდის მიერ გამოცემული საანბანო წიგნების შემდეგ, ოსი მწერლისა და პედაგოგის ალმასიტ კანუკოვის „ოსური ანბანი“ იწყება რსეთში ეროვნულ ნიადაგზე გამომცემლობის შექმნისათვის ბრძოლის ნამდვილი ისტორია.

1903 წლიდან „საზოგადოების“ ინიციატივით დაიწყო ამავე საზოგადოების“ ყოველწლიური „ანგარიშების“ გამოცემა, რომელიც თერგის ოლქის ოს ინტელიგენციას მოუწოდებდა ეროვნული ბეჭდვითი სიტყვის შექმნისა და განვითარებისაკენ.

„მოთხოვნილება მშობლიური ბეჭდვითი სიტყვისა, უკვე დიდი ხანია მომწიფდა მთიელთა შორის, განსაკუთრებით ოსებში, რომლებმაც უკვე შექმნეს ეროვნული ლიტერატურული ნაწარმოებნი, ჰყავთ მწერლები... ამრიგად, არის სრული იმედი იმისა, რომ ეს საქმე... ერის ქეშმარიტ განათლებაზე დაფუძნებით, მატერიალური მხარდაჭერის პირობებში შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს“².

ოსი ხალხი „საზოგადოების“ დახმარებას განსაკუთრებით საჭიროებდა სასკოლო სახელმძღვანელოთა შედგენისა და კერძოდ, პირველდაწყებითი სწავლებისათვის აუცილებელი საწავლო წიგნების შექმნა-გამოცემის საქმეში. „საზოგადოების“ 1905 წლის „ანგარიშის“ მიხედვით: „განსაკუთრებით აუცილებელია სახელმძღვანელოები ბავშვთა პირველდაწყებითი განათლებისათვის და საერთოდ,

¹ იხ. «Объяснительная записка к денежному отчету благотворительного общества для распространения образования и технических сведений среди горцев Терской области» за 1905, გვ. 51.

² იქვე.

სასკოლო ლიტერატურის გამოცემა. რომლის გავრცელება ჩვენი საზოგადოების უშუალო ამოცანას წარმოადგენს¹.

ამრიგად, ჯერ კიდევ მ. ზ. ყიფიანის მოღვაწეობის დროს, მისივე ინიციატივით და მხარდაჭერით ჩაეყარა საფუძველი ოსეთში ეროვნული მწერლობის, საბავშვო ლიტერატურისა და გამომცემლობის შექმნა-განვითარების საქმეს.



მიხეილ ყიფიანი (1833—1891)

ვლადიკავკაეში მოქმედი „საზოგადოების“ დაუჭიკაუს ჯგუფის ინიციატივით გადაწყდა წიგნების გამოცემისათვის სათანადო საგამომცემლო ორგანიზაციის შექმნა. მაგრამ 1906 წლამდე ეს საქმე მოუგვარებელი დარჩა. 1906 წლის 7 ოქტომბერს ჩამოყალიბდა ოსური „საგამომცემლო ჯგუფი“ ჯერ ქ. თბილისში, ხოლო ამავე წლის 8 ნოემბერს — დაუჭიკაუში².

ამრიგად, „განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გავრცელებელმა საზოგადოებამ“ და მისმა პირველმა თავმჯდომარემ მ: ყიფიანმა

გარკვეული ბიძგი მისცა ჩრდ. კავკასიის ოსეთში დედაენის სახელმძღვანელოების გამოცემას და ეროვნულ-ნიადაგზე საგამომცემლო საქმის შექმნა-განვითარებას. ამითაც აიხსნება ის, რომ ოსი ხალხის განმანათლებელი — კოსტა ხეთაგუროვი მ. ყიფიანის გარდაცვალების გამო დაწერილ ლექსში („მეგობრის კუბოსთან“) წერდა:

დედასებრ ჩვენი მხარე შეიტკბე;
შენს გულში ჰქონდა მაშვრალს ალაგი;
ჩვენ რა პატივით გადაგიხადოთ,
რით დავაფასოთ შენი ამაგი?
მაშები ბეშეებს ანდერძს გადაეცემთ:
გულში ატაროს შენი სახელი,
ჩვენ კი ვაი, რომ შენს შემდეგ დაგვრჩა
მწუხარება და მწარე ნალევი³.

¹ ი ქ ე უ, გვ. 51.

² დაუჭიკაუს „ოსური წიგნის“ საგამომცემლო ჯგუფის ა. კუბალოვი ხელმძღვანელობდა.

³ ქ. ხეთაგუროვი, რჩეული, სამხრეთ ოსეთის სახელგამი, 1949, გვ. 38. ლექსი თარგმნილია ს. შანშიაშვილის მიერ.

ოსი ხალხი, მისი მოწინავე ინტელიგენცია, კავკასიის მთის ხალხები მ. ყიფიანში ხალხის „განათლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს“, ბნელეთში მყოფი მთის ხალხების „მანათობელ ლამპარს“, მხარის მაშვრალთა „თანამგრძობელს“, „გულშემატკივარსა“ და „გულწრფელ მეგობარს“ ხედავდა, რომელმაც „დედაებზე შეიტკბო“ თერგის მხარე და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ ხალხებისავე წინსვლა-კეთილდღეობის საქმეს მოახმარა.

მიხეილ ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე წერდა: „სულ ორი დღის წინად, მინამ სიკვდილი სამუდამოდ დააღუპებდა ამ დაუღუპებელ, ქვეყნისათვის პატიოსან კაცს, იგი იწერებოდა ტფილისში: „სტეფანწმინდაშიაც ვახერხებთ სკოლის გამართვასაო, იქაურ ყმაწვილებისათვის თქვენ მიერ გამოგზავნილი წიგნები მივიღეთ და დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“.

„დიდად გავახარეთ პატარა მოხევენიო“, — სიტყვა აქ იმაში კი არ არის, რომ პატარა მოხევენი გაახარა, იმაშია, რომ თვით გაახარებია ბავშვების სიხარული, იმიტომ, რომ ვისაც იგი მადლი ღვთისა არა აქვს, რომ სხვის სიხარულით გაიხაროს, სხვის სიხარულს ვერც შეამჩნევს, ვერც აღბეჭდავს“¹.

მ. ყიფიანი სწორედ ისეთი სახალხო მოღვაწე იყო, რომელიც „სხვისი სიხარულით“ ხარობდა, ყველა ხალხის მომავალი თაობის ყოველმხრივი აღზრდა-განვითარების, მათი წიგნიერების ამაღლებისა და საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის იბრძოდა.

ამიტომაც, კ. ხეთაგუროვმა მ. ყიფიანს თავისი ფუნჯის და ყალმის ნაყოფი — ყიფიანისვე პორტრეტი და ორი ლექსი უძღვნა, რომელშიაც ამ ქართველი კაცის ნამაგარს „უკვდავება“ უწინასწარმეტყველა.

სასკოლო კვალი, მოსწავლეთა კონტინენანტი, სასწავლო ხარკვაზი და სკოლის მატერიალური მდგომარეობა XIX საუკ. 70-იანი წლებიდან 1906 წლის რევიზიისამდე პერიოდში

კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო და სასულიერო უწყება თერგის ოლქის მოსახლეობაში განსაკუთრებული „მზრუნველობით“ ეკიდებოდა „რუსული ცივილიზაციის“ დანერგვას. მთავრობა ხსნიდა სხვადასხვა ტიპის სკოლებს. ჯერ კიდევ 1863 წელს, როდესაც ქალაქი ვლადიკავკავი საოლქო ადმინისტრაციულ ქალაქად დამტკიცდა, მის ტერიტორიაზე 4 საშუალო სკოლა, 8 დაბალი სას-

¹ „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, კრებული I, თბ., 1953, გვ. 70-71. მის. კეკელიძის ნარკვევი: „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი“.

წავლებელი, 1 თეატრი, 2 კლუბი და თითოთროლა სხვა კულტურული დაწესებულებანი არსებობდა¹.

ქ. ვლადიკავკაის ვაჟთა და ქალთა სასწავლებლებში 1877 წელს სულ 1265 ქალ-ვაჟი სწავლობდა. გარდა ამისა, ქალაქში მომსვლელ მოსწავლეთათვის (для приходящих) გახსნილ 3 კერძო სკოლაში 26 ვაჟი და 16 გოგონა (სულ 42 მოსწავლე) ირიცხებოდა. ამრიგად, ვლადიკავკაის სკოლების მოსწავლეთა მთელი შემადგენლობა 1877 წლისათვის 1 307-ს უდრიდა.

როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, მოსწავლეთა რიცხვისა და სკოლების რაოდენობის ზრდა 1874—1877 წწ. პერიოდში სრულიადაც არ შეესაბამება ადგილობრივი მოსახლეობის სწავლავანათლებისადმი ლტოლვას და ცოდნის შეძენისადმი მათ გაზრდილ მოთხოვნილებებს. სულ თერგის მხარეში 1878 წლის 1 იანვრისათვის 168 სკოლა არსებობდა, მათ შორის: ვაჟთა სკოლა — 71, ქალთა — 14, შერეული ტიპისა — 83. თერგის მხარეში შემავალ ქალაქებში ითვლებოდა: 17—ვაჟთა, 9—ქალთა და 3 — შერეული ტიპის (სულ 29) სკოლა, რომელშიც 1805 ვაჟი და 696 ქალი (სულ 2 501) სწავლობდა.

ამავე მხარის „ოკრუგებში“ იყო: 54—ვაჟთა, 5 — ქალთა, და 80—შერეული ტიპის სასწავლებელი (სულ 139 სკოლა), რომელიც 5 863 მოსწავლეს (4 822 ვაჟს და 1 041 ქალს) აერთიანებდა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თერგის მხარეში სულ (ჯარიანად) ითვლებოდა 610 773 მცხოვრები (ქალაქებში ჯარის ჩათვლით — 70 644, ოლქებში კი — 540 129 სული), რომელშიც პრივილეგიური წოდების ოსები 1 087 სულს შეადგენდა, ბოლო ე. წ. „დაბალი წოდებისა“ — 60 361-ს, მაშინ ცხადი გახდება, რომ სკოლათა აღნიშნული რაოდენობა განათლების მხრივ მხარის „დაბალი ფენების“ მოსახლეობის მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ქალთა განათლების მდგომარეობა: მხარის 168 სკოლიდან 142 სკოლა ვაჟების აღზრდას ემსახურებოდა, გოგონებისათვის კი მხოლოდ 28 სკოლა იყო განკუთვნილი. გოგონების რიცხვი სკოლებში ვაჟების $\frac{1}{4}$ — ძლივს შეადგენდა².

ძალიან მცირე ყურადღება ექცეოდა სასოფლო და სადაბო სკოლების ქსელის გაშლას. აულებში ქალები მოკლებული იყვნენ სწავ-

¹ Список населенных мест Терской области по сводке к 1-му января 1895 г., Владикавказ, 1885, гл. 1—2.

² Сборник сведений Терской области, вып. I, Владикавказ, 1878, гл. 64, 160, 140—142.

ლის მიღების შესაძლებლობას, ხოლო თერგის მხარის 8364 ბავშვთა შორის მოსწავლე გოგონების რიცხვი დაახლოებით 124-ს შეადგენდა. ვლადიკავკაის „ოკრუგის“ 98265 ოსურ მოსახლეობას მხოლოდ 16 საეკლესიო-სამრევლო სკოლა ემსახურებოდა, რომელიც მხოლოდ 831 ბავშვს აერთიანებდა. აღნიშნული ფაქტები მოწმობენ იმაზე, რომ მეფის თვითმპყრობელობა კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის „დაბალი ფენების“ განათლებაზე ნაკლებად ზრუნავდა, თუმცა, მისივე ინტერესებისათვის (ადგილობრივი მოსახლეობის „იდეოლოგიური“ და მორალური „დამუშავებისათვის“) „ინოროდცული“ სკოლების ქსელის გაფართოება მისთვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა. როგორც კავკასიის სხვა ადგილებში, თერგის ოლქშიაც საშუალო განათლებით უმთავრესად კოლონიზატორთა, მემამულეთა, აღდარ-ბადელიაშთა, მაღალი ჩინის სამხედროთა და, საერთოდ, შეძლებულთა შვილები სარგებლობდნენ.

რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას აღნიშნულ ოლქში უმთავრესად ვლადიკავკაის რეალური სასწავლებელი, ოლღას ქალთა გიმნაზია, სამხედრო პროგიმნაზია და პიატიგორსკის კლასიკური პროგიმნაზია ემსახურებოდა.

სტანიცის სკოლები ადგილობრივ საზოგადოებას ექვემდებარებოდა, რადგანაც სახსრებს ამ სკოლებზე აღნიშნული „საზოგადოება“ ხარჯავდა. 1876 წლიდან ეს სკოლები სახალხო განათლების სამინისტროს გამგებლობაში გადავიდა, ხოლო მასზე ზედამხედველობის ფუნქციას მხარის სახალხო სკოლების დირექცია ახორციელებდა.

სტანიცების მმართველობის ცნობებით თერგის ოლქში იყო:

	1875 წ.	1876 წ.	1877 წ.
1. სკოლების რიცხვი	67	69	72
2. მასწავლ. რაოდენობა	75	77	80
3. ორივე სქესის მოსწავლეთა რიცხვი .	3075	3426	3696

მთავრობის ოფიციალური ცნობებით, თერგის ოლქის სტანიცებში საშუალოდ 40 მცხოვრებზე მოდიოდა ერთი მოსწავლე, ხოლო 1953—2000 მცხოვრებზე — 1 სკოლა.

კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს (მეფის მიერ აღდგენილ იქნა 1867 წ. 9 დეკემბერს) და ეგზარქატის „ხელმძღვანელობა“ თავიანთი ადგილობრივი „სადირექციოების“, „საინსპექციოებისა“ და „სკოლების მეთვალყურეების“ მეშვეობით, თვითმპყრობელობის ერთგული თაობის აღზრდის პოლიტიკას ახორციელებდა.

1880 სასწ. წლის დასაწყისში „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენ. საზოგადოების“ 20 სკოლაში სულ 1578 მოსწავლე ირიცხებოდა. მათ შორის — 1203 ვაჟი და 375 ქალი. წლის ბოლოს მოსწავლეთა საერთო რიცხვი 1757-მდე გაიზარდა. მოსწავლეთა რიცხვის საგრძნობ ზრდას უმთავრესად ადგილი ჰქონდა ვლადიკავკავის ოკრუგისა და მთის სხვა რაიონების სკოლებში¹.

ეროვნულ-ტომობრივი შემადგენლობის მიხედვით „ქრისტ. აღმდგ. საზოგადოების“ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში 1880 წელს სწავლობდა: რუსი — 79, ბერძენი — 7, ქართველი — 317, ფშაველი — 53, ხევსურთა — 15, ინგილო — 91, იმერელი და გურული — 6, მეგრელი და სამურძაძეანელი — 190, ოსი — 855, სომეხი — 26, ქურთი — 7. ებრაელი — 10, აისორი — 0, აფხაზი — 36².

მოსწავლე გოგონების შემადგენლობიდან 54 გოგონა ვლადიკავკავის ქალთა თავშესაფარში ცხოვრობდა. 1885 წელს იმავე საეკლესიო უწყების ყველა 21 სკოლაში ჩრდ. ოსეთში სულ 986 ბავშვი და მოზარდი სწავლობდა. მოსწავლე გოგონების რაოდენობა 379-ს აღწევდა. 1895 წელს 1871 წელთან შედარებით საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა. მაგრამ სასკოლო ასაკის ოს ბავშვთა მაქსიმალური უმრავლესობა (ცხრა მეათედზე მეტი) მაინც სკოლის გარეთ იმყოფებოდა. 1898 წელს საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი ოსეთში 37-მდე იქნა აყვანილი, რომელშიაც ვლადიკავკავის სკოლის ჩათვლელად 3355 ვაჟი და 469 გოგონა (სულ 3824 მოსწავლე) სწავლობდა. ამავე პერიოდში ვლადიკავკავის „ოკრუგში“ წერა-კითხვის მკოდნე ოსების რიცხვი 6062 უდრიდა. ცოდნისადმი დიდი წყურვილის დასაკმაყოფილებლად ამავე საუკუნის ბოლო წლებში მთის აულებსა და შორეულ ოსურ სოფლებში ყალიბდებოდა ე. წ. „ველური სკოლები“ („Дикие школы“), რომლებიც ყოველგვარი გეგმებისა და პროგრამების გარეშე, კერძო ბინებში ან ხეების ქვეშ ეწყობოდა, სადაც სხვადასხვა ასაკის 10—12 ენთუზიასტს სოფლის მწერალი, მნათე ან წერა-კითხვის მკოდნე სხვა პირი ასწავლიდა³.

¹ Отчет Обществѣ восстановления православнаго христіанства на Кавказе за 1880 г., изд. 1884 г., გვ. 75.

² ქართველთა ტომების (მეგრელების, იმერლების, გურულების, ინგილოებისა და სხვ.) ცალკე ერებად გამოცხადებას მეფის მოხელეები ქართველი ერის დაქუცმაცება-დასუსტების მიზნით აკეთებდნენ.

³ X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, 1958, С. О. изд., გვ. 12.

აღსანიშნავია ისიც, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მთავარ კონტინგენტს (855 მოსწავლეს) ოსები შეადგენდა, რადგანაც ცარიზმის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სკოლების საშუალებით ოსეთის „მიმხრობა“ და თვითმპყრობელი რუსეთის მმართველობისადმი მისი დამორჩილება წარმოადგენდა. სწავლების ელემენტარული ხასიათის მიუხედავად აღნიშნულ სკოლებში პრივილეგია ცდუნოდა შეძლებულთა შვილების აღზრდას.

85834 მცხოვრებს კავკასიის მთიანეთში ემსახურებოდა „ქრისტიანობის აღმდგ. საზოგადოების“ 35 ვაჟთა და 7 ქალთა სკოლა. 42 სკოლიდან 31 სასწავლებელი მთის მოსახლეობის „გაქრისტიანებისათვის“ იყო გამიზნული¹. საქართველოს ეგზარქოსის შეხედულებით, ეკლესიებისა და სკოლებისათვის შერჩეული უნდა ყოფილიყო ისეთი პირები, რომლებიც „აღზრდილნი არიან მშობლიურ სასულიერო სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში... აქვს რა მიზნად ღვთისადმი ერთგულება და სამსახური, მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელება პოლიტიკურ მიზანსაც უნდა ისახავდეს“². ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთშიაც სკოლა მეფის თვითმპყრობელობის კოლონიალური მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა. 1898 წელს ვლადიკავკავის ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს თანამშრომელი საეკლესიო სკოლებს „მისიონერულ ბანაკს“ უწოდებდა. მისი აზრით, „...ოსეთში, მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო სკოლა უნდა იქნეს დანერგილი.....“

ამრიგად, ოსეთში უმთავრესად, საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელი ფართოვდებოდა, რაც „ოსების გაქრისტიანების“ პოლიტიკას შეესაბამებოდა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელის გაფართოების მიუხედავად, XIX საუკუნის 90-იან წლებში თერგის საბალხო სკოლების დირექციის უწყებაში ჩამოყალიბდა საბალხო პირველადწყებითი სკოლები, რომელიც მრსახლეობაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა. ასეთი სკოლები პირველად სოფელ შანაევოსა და ნოგჯაუში გაიხსნა. ოსეთის ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელთა კერძო ინიციატივით ანალოგიური სკოლები ჩამოყალიბდა ბრუტეში, დურ-დურეში და სხვა ადგილებში, სადაც უმთავრესად გლეხთა ბავშვები სწავლობდნენ.

1898 წელს ვლადიკავკავის ოლქის სახ. სკოლების დირექციის

¹ Отчет деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г., გვ. 98—101.

² იქვე, გვ. 146.

პირველდაწყებით სასწავლებელში სწავლობდა. 42 მოსწავლე, საშუალო სკოლებში — 48, უმაღლეს სასწავლებლებში კი — 17¹. როგორც ვხედავთ, მისიონერული ორგანიზაციების გვერდით, კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოც თავის მხრივ ცდილობდა ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც მეფის ხელისუფლებას ხელს შეუწყობდა „ტახტისა“ და „ღვთის“ ერთგული ახალი თაობის აღზრდაში. სწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაც.

განათლების საქმისადმი სოფ. როკის გლეხობის გაზრდილი ინტერესის შესახებ (1890 წ.) მიუთითებდა სასკოლო ინსპექტორი, რომელიც, ამავე დროს ბაზს უსვამდა იმასაც, თუ, როგორ წინააღმდეგობას აწყდებოდა გლეხობა სკოლების გახსნისათვის. ბრძოლის გზაზე². საეკლესიო უწყება და კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო გვერდს უვლიდა სახელმწიფოს ხარჯზე სკოლების გახსნას და სწავლა-განათლებისათვის საქირო ხარჯების გაღებას სიღარიბისაგან ქანცმიღეულ ოს მოსახლეობას აკისრებდა. სწორედ ამგვარი მთავრობის შესახებ ლენინი ამბობდა: „.....ართმევს ფულს ზალბის ცხრა მეთათედს ყველა სახის სკოლებისა და სასწავლებლებისათვის და ამ ფულით ასწავლის თავადაზნურთ, ხოლო მდაბიო. მოქალაქეებს და გლეხებს გზას უღობავს!“³.

იმის შიშით, რომ ცოდნის გზით მშრომელ გლეხობას არ შეეგნოთ თავისი ბედშავი ცხოვრების ნამდვილი მიზეზი, მთავრობა ბევრ შემთხვევაში ადგილობრივი სახსრებით სკოლის გახსნაზედაც იკავებდა თავს, ხოლო ზოგჯერ, გლეხობის პრაქტიკულ ნაბიჯებს აშკარა წინააღმდეგობასაც უწყევდა. ამგვარ შემთხვევებს სხვადასხვა დროს ადგილი ჰქონდა როკის, ედისის, ორტევის, ხვწეს, ქემერტის და ზოგიერთ სხვა სასოფლო ადგილებში, სადაც გლეხები კისრულობდნენ სასკოლო შენობის აგებას, გათბობა-განათებისა და სხვა ხარჯებს, მაგრამ მეფის კავკასიელი კლვერეტები გლეხობის ამ განზრახვის განხორციელებას ყოველმხრივ აფერხებდნენ⁴.

თერგის ოლქში 1891—93 წწ. სკოლების რიცხვი მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით შემდეგ სურათს იძლევა⁵:

¹ Материалы по истории Осетии, т. VI, гл. 164.

² საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 107, სერია ბ, საქმე № 539, ფურც. 2—4.

³ ლენინი ახალგაზრდობის შესახებ, 1956, გვ. 61.

⁴ საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 1121, ფურც. 7—8, საქმე № 1127, ფურც. 9.

⁵ იხ. «Кавказский календарь», 1897, отд. V, гл. 156—157.

წლები	მცხოვრებთა რაოდენობა	სკოლების რიცხვი	მოსწავლეთა რაოდენობა	რამდენ სულზე მოდის ერთი მასწავლებელი
1891	798 145	199	11 538	4011
1892	798 808	195	11 426	4007
1893	211 618	222	14 000	3771

გამოდის, რომ მოსახლეობის რიცხვის ერთგვარი ზრდის პარალელურად სკოლის რაოდენობა (2—3 წლის მანძილზე) 17 ერთეულით გაიზარდა, მაგრამ ფაქტიურად ეს სკოლები ძირითადად არა „ტუზემცური“ მოსახლეობის შვილების სწავლების საქმეს, არამედ ადგილობრივი მაღალი ფენების (აღმსარებელთა და ბადელიატების) და რუსი კოლონისტების ბავშვების აღზრდას ემსახურებოდა. 1894 წელს 15 248 მოსწავლეში 10 836 ვაჟი და 4 412 ქალი სწავლობდა. მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა თერგის ოლქში 1893 წელთან შედარებით 1894 წლისათვის 1284-ს შეადგენდა. ფაქტიურად, ეს მეტისმეტად გაზარდილი ციფრია, რომელიც სინანდელივს არ შეესაბამება. ამასთან, მოსწავლე ქალთა რაოდენობაც გადაჭარბებულადაა ნაჩვენები და არ იძლევა ქალთა განათლების ნამდვილი მდგომარეობის ასახვას მაშინდელ თერგის ოლქში.

როგორც ირკვევა, თერგის ოლქში 1891—93 წწ. იყო 5 საშუალო სასწავლებელი. დანარჩენ 234 სკოლიდან ადგილობრივი სახალხო სკოლების დირექციის გამგებლობაში შედიოდა 137 სკოლა, სასულიერო-ეპარქიალურ საბჭოში — 73, „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგ. საზოგადოების“ გამგებლობაში კი — 24.

ამრიგად, 15284 მოსწავლიდან გიმნაზიებში, ქალთა და ვაჟთა რეალურ სასწავლებლებში, პროგიმნაზიებსა და 1894 წ. გახსნილ ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში ირიცხებოდა — 1436 მოსწავლე (9,4%), სახელოსნო სკოლებში, სასულიერო სასწავლებლებში. ქალთა ორკლასიან და მთიელთა სკოლებში — 1821 (11,9%), სტანიცების და სადამო-საგარეუბნო დაწყებით სკოლებში — 6430 (42,1%), ზოლო დანარჩენებში — 5597 (36,6%) მოსწავლე.

მკვიდრი („ტუზემცური“) მოსახლეობის სკოლები უპირატესად სხვადასხვა ეროვნებათა მაღალი და საშუალო წოდების ბავშვებს აერთიანებდა.

ზემოთქმულს ადასტურებს 1895 წლის ციფრობრივი მონაცემები მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობის შესახებ. აი ეს ციფრებიც:

1. ვლადიკავკაის გიმნაზიაში ირიცხებოდა სულ 457 მოსწავლე: რუსი — 315, ქართველი — 10, სომეხი — 53, თათარი — 1, მთიელი — 27, ებრაელი — 10, სხვა — 41.

2. ვლადიკავკავის რეალურ სასწავლებელში — 372; აქედან: რუსი — 221, ქართველი — 2, სომეხი — 25, მთიელი — 101, ებრაელი — 1, სხვა — 22.

8. ვლადიკავკავის ქალთა გიმნაზიაში — 500, აქედან: რუსი — 363, ქართველი — 15, სომეხი — 49, თათარი — 0. მთიელი — 10, ებრაელი — 13, სხვა — 50.

4. ვლადიკავკავის სახელოსნო სასწავლებელში — 84; რუსი — 67, ქართველი — 1, მთიელი — 12. ებრაელი — 1, სხვა — 3.

5. თერგის ოლქის 119 დაწყებით სკოლაში — 8 519 მოსწავლე. აქედან: რუსი — 6910, ქართველი — 78, სომეხი — 83, მთიელი — 250, თათარი — 93, ებრაელი — 95; სხვა — 1010 მოსწავლე¹.

თერგის ოლქის დაწყებითი სკოლების ჩათვლით ქ. ვლადიკავკავის ზემოჩამოთვლილ სკოლებში გაერთიანებულ 9932 მოსწავლეთა შორის იყო: რუსი — 7876 (79,33%), ქართველი — 106 (1,06%), სომეხი — 210 (2,11%), მთიელი — 400 (4,13%), თათარი — 94 (0,91%), ებრაელი — 120 (1,31%) და სხვები კი 1126 (12,15%). მაშასადამე, ფაქტია, რომ ოლქის დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა მთელი შემადგენლობის 3/4-მეტს (81,1%) შეადგენდა რუსები, მაშინ, როდესაც მკვიდრი მოსახლეობის (განსაკუთრებით ოსების) შვილები სკოლის გარეშე რჩებოდა.

რუსი მოსახლეობა 1897 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, თერგის ოლქში 33,69% შეადგენდა, მაშინ, როდესაც ადგილობრივი ოსების მთლიანი შემადგენლობიდან 91,35% მხოლოდ ვლადიკავკავის „ოკრუგში“ ცხოვრობდა. მაშასადამე, ოსი ბავშვების მცირე პროცენტის ჩაბმა სკოლებში უნდა აიხსნას სასკოლო ქსელის სიმცირით, მშობლიურ ენაზე სწავლების უგულებელყოფით, სწავლების დოგმატურ-ვერბალური მეთოდების გაბატონებით და დიდმპყრობე-ლური პოლიტიკის გატარებით.

წარმოდგენილი ცნობებიდან აშკარაა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა ლტოლვა ცოდნის შექენისადმი დაუკმაყოფილებელ რჩებოდა. სახალხო განათლების სამინისტროს უწყების მართო დაბალ სასწავლებლებში თერგის ოლქში 1894 წელს „ადგილის უქონლობის გამო“ სკოლაში მიღებაზე უარი ეთქვა 1143 ბავშვს.

განათლების მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებოდა ოლქის მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც „კავკასიის კალენდრის“ ცნობით: „...აქამდე კულტურული განვითარებით საკმაოდ დაბალ საფეხურზე დგას და ამიტომაც, მით უფრო მეტად საჭიროებს განათლებას“¹.

იმავე მონაცემებით, დაბალ სასწავლებელთა მთელი შემადგენ-

¹ იხ. «Кавказский календарь», 1897, отд. V, гл. 196—199.

ლობიდან ადგილობრივი მოსახლეობისათვის განკუთვნილი სკოლების რიცხვი 30-ს შეადგენდა, საიდანაც 24 სკოლა (1921 მოსწავლით) ოსებით დასახლებულ სოფლებს ემსახურებოდა იგი, „კავკასიაში ქრისტ. აღმდ. საზოგადოების“ ხარჯზე იმყოფებოდა.

მხოლოდ 6 სკოლა (458 ბავშვით) იყო განკუთვნილი დანარჩენი „ტუზემცური“ მოსახლეობისათვის (მაგ. ყაბარდოელების, ჩეჩნების, ინგუშების, კუმიკებისა და თათრულ-მუსულმანური ტომებისათვის), რომელთა საერთო რიცხვი 421 128 სულს აღწევდა.

წარმოდგენილი ფაქტები ცნადპყოფენ განათლების მხრივ ჩრდილო კავკასიის მთიელი ტომების უკიდურეს ჩამორჩენილობას, გონებრივი სიბნელისა და უმეცრების ბატონობას, რომელსაც რუსიფიკაციის პოლიტიკა კიდევ უფრო აღრმავებდა.

თერგის ოლქის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1893 წელს ვაე მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარს (10495-დან 5167-ს) სამხედრო წოდების პირთა ბავშვები შეადგენდნენ. ხოლო პირველდაწყებით სკოლებში სამხედროთა შვილების რიცხვი (5035) სამოქალაქო მოსახლეობის ბავშვთა რაოდენობას (4517) 518-ით აღემატება. ქალთა განათლების მხრივ რიცხობრივი უპირატესობა სამოქალაქო მოსახლეობას ანასიათებს, მაგრამ შეფარდებით მაინც ჩამორჩება მოსწავლეთა იმ შემადგენლობას, რომელიც სამხედრო უწყების შოსამსახურეთა ბაზით სკოლებშია ჩამული. თერგის ოლქის დასახელებულ სკოლებს 1893—1894 წწ. სულ 788 (687 კაცი და 101 ქალი) მასწავლებელი ემსახურებოდა. აქედან საშუალო სკოლებს — 107, საქალაქო, სახელოსნო, სასულიერო, ქალთა ორკლასიან და მთიელთა სკოლებს—149, სტანიცების დაწყ. სკოლებს და სადაბო სასწავლებლებს — 302, ხოლო სხვებს — 230. საშუალო სკოლაში 1 მასწავლებელზე დაახლოებით მოდიოდა — 14 მოსწავლე; დასახელებულ 16 დაბალ სასწავლებელში — 12-ზე მეტი, სტანიცების და დაწყ. სკოლებში—21, დანარჩენებში—24 მოსწავლე. თითოეული მასწავლებლის ასეთი არასაკმარისი დატვირთვა მოსწავლეთა შემადგენლობით აიხსნება არა პედაგოგთა შრომის შემსუბუქებისათვის მთავრობის ზრუნვით, ან საერთოდ, მოსახლეობის სწავლა-განათლებისადმი ინტერესის შესუსტებით, არამედ განათლების მოძველებული სისტემით, სწავლების შინაარსის სიყალბით და უვარგისი სასწავლო მეთოდებით, რომელსაც მთავრობის ოფიციალური მონღელები რუსეთის განაპირა მხარეების ხალხებში ნერგავდა.

თერგის ოლქის სასკოლო ბიუჯეტს შეადგენდა: კერძო პირთა შემოწირულებანი, სახელმწიფო სახსრები, სამხედრო უწყების, საქა-

ლაქო და სასოფლო საზოგადოებათა. საქველმოქმედო ორგანიზაციათა, სტანიცებისა და სხვა უწყებათა მიერ გაღებული სახსრები. 1894 წელს თერგის ოლქის სკოლების შესანახად დაიხარჯა:

ა. სახელმწიფო ხაზინიდან	128 205 მან.
ბ. სამხედრო ნაწილებიდან	46 414
გ. სხვა სახსრები	283 980 „
სულ.	458 599 მან.

თითოეულ სულზე (სულ 837 282 სული) წლიურად სახალხო განათლების ხაზით იხარჯებოდა 53,5 კაპიკი.

ამ ციფრობრივი მონაცემებითაც დასტურდება, რომ მთავრობა ხალხის განათლებისათვის მინიმალურად მცირე სახსრებს ხარჯავდა, იმ დროს, როდესაც სკოლის შენახვის ხარჯების დიდ ნაწილს იგი მშრომელ მასებს აკისრებდა. ასე მაგალითად, სახალხო განათლების საქმეზე მთავრობა ხარჯავდა მთელი ფაფისი თანხების 28,5% -ს, სამხედრო უწყება — 10,4%, ხოლო სხვა დანარჩენი — 61,1%. ცხადია, მოსახლეობა, ეგრძე პირები და „საზოგადოებანი“ განათლების საქმეზე გაცილებით უფრო მეტ სახსრებს ხარჯავდნენ, ვიდრე სახელმწიფო ხაზინა. რომელიც შემოსავლის დიდ ნაწილს სამხედრო დანიშნულებისათვის, სატუსალოების შენახვისა და საეკლესიო საქმეებზე ახანდებდა. სასკოლო ხარჯების თითქმის 70%-ზე მეტს ქალაქისა და სოფლის „საზოგადოებანი“ და ადგილობრივი მოსახლეობა იხდიდა, ხოლო სახელმწიფო ხაზინა ძლივს იმეტებდა თავისი შემოსავლის 30%-მდე. სამხედრო ხარჯებიდან 134 სტიპენდიის გარდა, თერგის ოლქის ხელმძღვანელობის განკარგულებაში, ყოველწლიურად, სამხედრო ოლქის კაზაკთა ჯარების ბიუჯეტიდან ასიგნებული იყო 2500 მანეთი („თერგის ოლქის მთიელთა ბავშვებზე სტიპენდიების გასაცემად“). სტიპენდიები სასწავლებელთა მიხედვით ასე ნაწილდებოდა: ა) მოსკოვის უნივერსიტეტში — 2; ბ) სტავროპოლის გიმნაზიაში — 1; გ) ვლადიკავკავის რეალურ სასწავლებელში — 2; დ) ვლადიკავკავის გრაფ ლორის-მელიქოვის სახელოსნო სასწავლებელში—8; ე) ნაზრანოვსკის სამთო სკოლაში—3. სტიპენდიანტები, როგორც ცნობილია, უმთავრესად პრივილეგიურ წოდებათა ოჯახიდან იყვნენ. ამ გზით მთავრობა ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ზედაფენებიდან მეფის ტახტის ერთგული მსახურები მოეშაღებინა.

ცარიზში ჩრდ. კავკასიის მიწებზე განხრახ აფუძნებდა შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულ კოლონიზატორთა მთელ სოფლებს, ყოველ მხრივ აქეზებდა და ხელს უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობა-

ში „რუსული სულის“, იმპერიის ოფიციალური საგანმანათლებლო იდეების, რელიგიური წეს-ჩვეულებების, რუსული „მოქალაქეობრიობისა“ და გაბატონებული კულტურის გავრცელებას, რისთვისაც, უმთავრესად ეკლესიებსა და რუსულ ყაიდაზე მოწყობილ სკოლებს იყენებდა. ძირითადად, ამით შეიძლება აიხსნას, რომ თერჯის ოლქის სკოლების მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს სამხედრო უწყების, რუს კოლონიზატორთა და ადგილობრივ პრივილეგიური წოდების ოჯახთა შვილები შეადგენდა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სკოლების რიცხვი კავკასიაში თანდათანობით იზარდებოდა, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობისა და სწავლა-განათლებისადმი მათი ინტერესების ზრდასთან შეფარდებით, იგი ხალხის მოთხოვნილებებს მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა. კავკასიაში 1901 წლისათვის ოფიციალური ცნობებით 10 159 748 მცხოვრები იყო. 1 მილიონ მცხოვრებზე მოდიოდა 280 სკოლა, ხოლო 3625 მცხოვრებზე — 1. ყოველ 100 მცხოვრებზე კავკასიაში საშუალოდ 2 მოსწავლე მოდიოდა, ხოლო 4120 მცხოვრებზე 1 დაწყებითი სასწავლებელი. სკოლების განაწილება კავკასიის ეროვნებათა შორის 1901 წლისათვის ასეთ სახეს იღებდა: ერთი დაწყებითი სკოლა:

- | | |
|-----------------------|-------------------|
| 1. რუსებისათვის ყოველ | 3 600 მცხოვრებზე; |
| 2. ქართველებისათვის „ | 4 800 |
| 3. სომხებისათვის „ | 5 400 |
| 4. მთიელთათვის | 11 400 |
| 5. თათრებისათვის | 17 300 |

როგორც ვხედავთ, კავკასიის მცხოვრებთა შორის მთიელები (მათ შორის, ოსები) ელემენტარული განათლების მხრივაც-თითქმის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა.

სასკოლო განათლების მხრივ კავკასიის მთის ხალხების ამგვარი ჩამორჩენა, სხვა მიზეზებს გარდა, მთავრობის მიერ ამ დანიშნულებით ვალდებული ხარჯების „მომჭირნეობით“ აიხსნება. XX საუკუნის დასაწყისში ყოველ 100 მანეთზე ბაზინა სახალხო სკოლაზე ყოველწლიურად მხოლოდ 11 მან. 90 კაპ. ხარჯავდა. 1901—1903 წწ. ხარჯთაღრიცხვით საერთო შემოსავლის 3 666 081 მანეთიდან სახალხო განათლების ხარჯებისათვის მხოლოდ 121324 მანეთი, ე. ი. საერთო ბიუჯეტის 3,06% იყო გაღებული. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებ-

¹ უფრ. „კვალი“, № 31, 1903, გვ. 508—516.

ში ოსი ხალხი ელემენტარული განათლების დარგშიაც ძლიერ ჩამორჩენას განიცდიდა.

1887—1902 წლებში კავკასიის ვაჟთა გიმნაზიებში რუს მოსწავლეთა კონტინგენტი თითქმის 1,5—2-ჯერ გაიზარდა, იმ დროს, როდესაც ადგილობრივ მკვიდრ „მთიელთა“ ბავშვების რიცხვი 1887 წლიდან 1902 წლამდე 57-დან 148-ს ძლივს უახლოვდება¹.

ანალოგიურ სურათს იძლევა კავკასიის ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ჩაბმულ მოსწავლე ქალთა ეროვნული შემადგენლობა:

კავკასიის ქალთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (1887—1902 წლებში) მთიელი გოგონების რიცხვმა 11-დან 142-მდე ძლივს მიაღწია².

როგორც ცნობილია, მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობის მხრივ კავკასიის არც სხვა ტიპის სასწავლებლებში იყო ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვთა სწავლა-განათლებისათვის ბელსაყრელი მდგომარეობა.

მოუხედავად იმისა, რომ რეალური განათლება კავკასიის მთიელებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, ბავშვთა კონტინგენტი ამ ტიპის სკოლებშიაც 170-დან XX საუკუნის დასაწყისში მხოლოდ 277-მდე გაიზარდა, ეს იმ დროს, როდესაც ამავე პერიოდში რუს ბავშვთა რაოდენობა რეალურ სასწავლებლებში თითქმის გაორჯეცდა და 1902 წლისათვის 2385-ს მიაღწია³.

კავკასიის მთიელებს არც სამასწავლებლო სემინარიებში ეჭირა შესაფერი ადგილი. სამასწავლებლო სემინარიებში რუს მოსწავლეთა რიცხვი 15 წლის მანძილზე (1887—1902 წწ.) საგრძნობლად იზრდებოდა (მაგ. 64-ით გადიდდა), ეს იმ დროს, როდესაც ამავე პერიოდში კავკასიის მთიელთა რიცხვი მხოლოდ 1 ერთეულით (16-დან 17-მდე) გაიზარდა, ხოლო დანარჩენ ადგილობრივ მკვიდრთა (მაგ. სომხების, ქართველებისა და სხვ.) შვილების შემადგენლობა თვალსაჩინოდ შემცირდა.

სამასწავლებლო სემინარიებში მსმენელთა კონტინგენტის ასეთი მკვეთრი შემცირება (XIX საუკუნის უკანასკნელ წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში) აიხსნება არა მარტო რუსიფიკატორულ-შაერაზმული პოლიტიკით და ყაზარმული რეჟიმით, რომელიც აღნიშნულ ეტაპზე ამ სასწავლებელთა კედლებში მკაცრად ხორციელდე-

¹ ეურნ. „მოამბე“, 1904 წ., № 4, განყ. II, გვ. 131.

² იქვე, გვ. 125—153.

³ იქვე, გვ. 135.

ბოდა, არამედ დოგმატურ-ვერბალური მეთოდების გამოყენებით. სწავლების რელიგიური შინაარსით და ცხოვრებისაგან სკოლის მოწყვეტით, რაც სახალხო განათლების ოფიციალურ სისტემას ახასიათებდა.

კავკასიის სამასწავლებლო ინსტიტუტებში რუსი ბავშვების რიცხვი 1887—1902 წლებში 41-დან 58-მდე გაიზარდა, ხოლო ამავე პერიოდში ქართველ მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 30-დან 23-მდე, სომეხ მოსწავლეთა — 11-დან — 1-მდე, თათრებისა — 4-დან მთლიანად, ხოლო „მთიელებს“ ინსტიტუტში მხოლოდ 1 ბავშვი დაჰყავდა. რუს მოსწავლეთა რიცხვი კავკასიის საშუალო სასწავლებლებში ორჯერ მეტად (5364-დან — 11 112-მდე) იზარდება, ხოლო „მთიელთა“ ბავშვების რაოდენობა ექვს ათეულსაც ვერ აღწევს, რადგანაც ისინი მოკლებულნი არიან საჭირო პირობებს საშუალო განათლების მიღებისათვის. გარდა მატერიალური საშუალებებისა და დიდაქტიკის რაციონალური პრინციპების გამოყენებისა, სწავლისათვის „შესაფერ პირობებში“ ჩვენ ვგულისხმობთ მშობლიური ენის (მაგალითად, ოსებისათვის — ოსურის, ჩერქეზებისათვის — ჩერქეზულია და სხვ.) გამოყენებას, რომელზედაც ნორმალურ ვითარებაში სწავლების მთელი პროცესი უნდა იქნეს დამყარებული. ექვი არ არის, ყოველივე ეს, სხვა ფაქტორებთან ერთად წარმოადგენდა სერიოზულ მიზეზებს, რაც ხელს უწყობდა ადგილობრივ მკვიდრთა ბავშვების რიცხვის შემცირებას საშუალო სკოლებში.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ე. წ. დაბალ სასწავლებლებშიც¹, რომელიც მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობის მხრივ ასეთ სურათს იძლეოდა:

მოსწავლეთა შემადგენლობა დაბალ სასწავლებლებში

წლები	რუსი	ქართველი	სომეხი	მთიელი	თათარი	ებრაელი	სხვა ეროვნ.
1887	1991	1619	1914	352	279	96	220
1902	6259	4386	4521	591	961	306	648

როგორც ზემომოყვანილი მასალები ადასტურებენ, 1887—1902 წლების მანძილზე „დაბალ სასწავლებლებშიც“ რუს მოსწავლეთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა (1991-დან მიაღწია 6289-ს), იმ დროს, რო-

¹ უკრ. „მოამბე“, 1904 წ., № 4, განყ. II, გვ. 142. „დაბალ სასწავლებლებში“ იგულისხმებოდა სამოქალაქო სასწავლებლები, მთიელთა სკოლები, სამრეწველ-სასწავლებლები, მარიაშის სახ. საქალაქო სკოლები და სხვ.

დესაც მთიელთა ბავშვების რაოდენობა დასახელებული კონტინგენტის 0,1³/₄-საც ვერ აღწევდა.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი კავკასიის პირველდაწყებით სკოლებში, სადაც სასკოლო ასაკის მთიელ ბავშვთა უმნიშვნელო ნაწილი ხვდებოდა.

წლების მიხედვით მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა კავკასიის დაწყებით სკოლებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

წლები	რუსი	ქართველი	სომეხი	მთიელი	თათარი	ებრაელი	სხვა
1887	27709	9123	5293	574	3719	391	4615
1897	51919	16581	8312	2584	3078	422	6348
1902	79210	25671	22835	4033	5491	1163	8213

ზემოაღნიშნული ცხრილიდან ცხადად ჩანს, რომ პირველდაწყებითი სკოლები უმთავრესად კავკასიაში შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულ რუს მოსახლეობას ემსახურებოდა. რუს მოსწავლეთა რიცხვი დაწყებით სკოლებში 1887 წლის 27709-დან 1902 წლისათვის 79 ათასამდე გაიზარდა, ხოლო კავკასიის მთიელთა რაოდენობა კი (ამავე პერიოდში) 574-დან — 4038-მდე. ამრიგად, დაწყებით სკოლებში გაერთიანებულ რუს მოსწავლეთა რაოდენობა მთიელთა კონტინგენტს თითქმის 20-ჯერ აღემატებოდა.

ასევე შეიძლება ითქვას კერძო სკოლების შესახებაც, სადაც მთიელთა ბავშვები მეტად მცირე რაოდენობით სწავლობდნენ.

პირველდაწყებით სახალხო სკოლებსა და კერძო სასწავლებლებში კავკასიის მთიელ ბავშვთა ყველაზე მინიმალური რიცხვი ახსნილ უნდა იქნას: ა) პირველ შემთხვევაში იმით, რომ (სხვა ხალხებთან ერთად) მთის მცხოვრებლები (ოსები, ყივჩაღები, ჩერქეზები, ადიღები და სხვ.) ექვის თვალთ უტყუარდნენ სკოლის ნაყოფიერებას, რომელშიაც სწავლება ბავშვთათვის გაუგებარ ენაზე, დოგმატურად, უაზროდ, ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად, სინამდვილისაგან მოწყვეტით, ბავშვთა ბუნებისა და ფსიქიკის ანგარიშგაუწევლად მიმდინარეობდა, ბ) მეორეს მხრივ, სკოლის უნაყოფობის მიზეზს წარმოადგენდა სასკოლო შენობების კეთილმოწყობლობა, სწავლებაში მოძველებული მეთოდების გაბატონება, რელიგიური დოგმატების უაზრო ზეპირობა, როზგის, შიშის, სიმშობის და ყაზარბული რეჟიმის გაბატონება და პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურად მომზადებულ მასწავლებელთა საკმაო კადრების უყოლობა. ყოველივე ამას ემატებოდა სკოლის შენახვის ხარჯები, რომ-

ლის ანაზღაურებას ცარიზმის მოხელეები „ინოროდცულ“ მოსახლეობას აკისრებდნენ.

სკოლის მდგომარეობა არც სამხრეთ-ოსეთში იყო დამაკმაყოფილებელი. 1899 წლის 28 სექტემბერს, სასწავლებელთა ზედამხედველს როკის სკოლაში 30 მოსწავლის მაგიერ მხოლოდ 12 მოსწავლე დახვდა. სკოლების ზედამხედველმა ზემოროკელებს აღნიშნული სოფლიდან ქვემო როკაში სკოლის გადატანა შესთავაზა, ხოლო ქვემო როკელებს ავალბდა: ა) კანცელარიის შენობის სკოლისათვის გადაცემას და შეკეთებას; ბ) კანცელარიისათვის სხვა შენობის გამოყოფას; გ) უახლოეს მომავალში ახალი სასკოლო შენობის აგებას; დ) ბავშვთა თავშესაფარისათვის ერთი ოთახის მომატებას; ე) დარაჯის დაჭირავენებას; ვ) სკოლისა და მასწავლებლისათვის შეშის დაუგვიანებლად მიტანას; ზ) სკოლის ხარჯების დროულად გაღებას, რამდენიმე წლით ზემოროკელების განთავისუფლებას სკოლის შენახვის ხარჯებისაგან და სხვ. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სოფ. ზღუბირშიაც¹.

სამხრეთ ოსების უმეტესი სოფლები სკოლის ვარეშე იყო დატოვებული. მთავრობის ადგილობრივი მოხელეები პირველ რივში ეკლესიების აშენებისა და ზალხის გონების დაბნელებისათვის ზრუნავდნენ. მაგალითად პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებნი „...არც მონაწილეობას იღებდნენ აქამდე რომელსაჲე სასწავლებელში, არც თვითონ ხსნიდნენ თავიანთ სასწავლებელს და არც ბავშვებს აძლევდნენ სასწავლებელში“².

მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, სამხრეთ ოსთა ზოგიერთ სოფელში არსდებოდა პირველდაწყებითი საეკლესიო-სამრევლო სკოლები. 1898 წ. მეორე ნახევარში კირიონის მეცადინეობით და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით გახსნილ იქნა აწერისხევის ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სადაც გაკვეთილებზე 30 მოსწავლის ნაცვლად მხოლოდ 20-მდე ბავშვი ცხადდებოდა³.

1899 წელს საცხენოსის მცხოვრებლებმა სასკოლო ინსპექტორებს სთხოვეს თავიანთი სოფელი მიეწერათ ვანათის სკოლაზე, იმ პირობით, რომ: ა) ადგილობრივი მცხოვრებნი გადაიხდიდნენ მასწავლებლის ჯამაგირის ნაწილს; ბ) თითო ურემ შეშას მიუტანდნენ მასწავლებლებს; გ) სკოლის აპაკის ყველა ბავშვს ჩააბამდნენ სწავლაში;

¹ გაზ. „ნობის ფურცელი“, 1899 წ., № 939, გვ. 2.

² იქვე, № 775, გვ. 2.

³ იქვე, № 770, გვ. 2.

დ) გაიღებდნენ სკოლის ხარჯებს და ა. შ. ამავე პერიოდში ბელოთის მოსახლეობამაც მიიღო დადგენილება აწერისხევის სკოლასთან შეერთებისა და აღნიშნულ სკოლაში მათი შვილების გაგზავნის შესახებ, რისთვისაც სკოლას აღუთქვეს ხარჯების ნაწილის გადახდა¹.

მთავრობის წარმომადგენელთა წინადადებას თავიანთ ხარჯზე სკოლების გააანისი შესახებ ოსები სიამოვნებით თანხმდებოდნენ, მაგრამ თვითმპყრობელობა თავისი სახსრებით სკოლების გახსნაზე თავს ნაკლებად იწუხებდა.

1898 წლის მეორე ნახევარში სოფელ გერში მოწვეული 8 სოფლის მკვიდრი ოსების შეკრება აღფრთოვანებით შეეგება („მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორის — მამინაიშვილის) წინადადებას სოფ. გერში ერთკლასიანი სკოლის გახსნის შესახებ. კრებამ მიიღო დადგენილება: ა) ყოველწლიურად სკოლის შესანახად შეაგროვონ და ზემოხსენებულ „საზოგადოებას“ გადასცენ ოცი თუმანი; ბ) დაიქირაონ ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს სკოლას; გ) ყოველწლიურად მიუზიდონ სკოლას საჭირო რაოდენობით შეშა; დ) ვალდებულებად აიღონ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ყოველწლიურად (3 წლის ვადით) გზავნა სკოლაში². სკოლისათვის ხალხმა მოითხოვა ჰვრივის სამრევლოს კრებულისათვის. თლილი ქვით აშენებული ოთხთაპიანი (იმჟამად თავისუფალი) შენობის გადაცემა, რომლის შეკეთებას თვით ხალხი ივალდებულებად. ადგილობრივი მღვდლის ინიციატივით ეკლესიის შემოსავლიდან სკოლას ყოველწლიურად ათ-ათი თუმანი დაენიშნა, ხოლო სკოლის ინვენტარ-მოწყობილობა, ასევე, კერძო პირთა ხარჯზე იქნა შეძენილი. გაზ. „ცნობის ფურცელი“ მოუწოდებდა ქართლის სხვა სოფლების ოსებს, სკოლების გახსნის საქმეში მიებაძათ „ამ სასიქადულო სოფლებისათვის“ და თუ ყოველ სოფელს არ შეეძლებოდა ცალ-ცალკე სკოლების გახსნა, ბუთექვს სოფელს ერთად მაინც დაეარსებინათ თავიანთი სასწავლებელი.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ საუკლესიო უწყების კურსი განათლების დარგში მიმართული იყო თვით მოსახლეობის ხარჯზე სკოლების გახსნისაკენ, რათა „დანაზოგი“ სახსრები ეკლესიების ქსელის გაშლაზე ყოფილიყო გამოყენებული.

საეკლესიო უწყება არავითარ ზომებს არ იღებდა მისდამი დაქვემდებარებულ სკოლებში მეცადინეობის ნორმალური პირობების შექმნისათვის. 1899 წლის ზამთარში ჯავის სკოლაში ინსპექტორებმა

¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., № 775, გვ. 2. მართალაძის კორესპონდენციიდან.

² იქვე, 1899 წ., № 777, გვ. 2.

ვერ შეძლეს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება, რადგანაც მასწავლებლებს შეგირდები დაეთხოვათ ქორწილებისა და სხვა ადგილობრივ „დღეობებში“ მონაწილეობის გამო!

„კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ხელმძღვანელობა სკოლის შეკეთებას და კეთილმოწყობას თვით მოსახლეობისაგან მოითხოვდა. სკოლების მატერიალური მდგომარეობა სავალალო იყო, ხოლო მისი გამოსწორებისათვის ზრუნვა — ინდიფერენტული. „როკის სკოლის ხის შენობა იმე დაძველებულა და დაფუცუნებულა, — წერდა „ცნობის ფურცელი“, — რომ უოველი დიდი გრიგალის დროს წაქცევას ლამობს. შეგირდების მაგიდები სულ მიმტვრეულ-მომტვრეულია, სკოლას არც ერთი ფანჯარა აღარა აქვს. მთელი კედლები მინგრეულ-მონგრეულია, ბუბარი — უკან გადაწოლილა, ერთი სიტყვით, აქ მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელია. მასწავლებლისათვის არც შეშა და არც მოსამსახურე“. ამგვარი მდგომარეობიდან გამოსაყვას „საეკლესიო საქმეთა“ ხელმძღვანელობა „სკოლის დახურვის“ მუქარაში ან ადგილობრივ მოსახლეობაზე სკოლის ხარჯების დაკისრებაში ხედავდა.

ჯავის ზეობის ოსები, მათივე გამოთქმით რომ ვთქვათ: „სიკვდილს ამჯობინებდნენ სკოლის დაკეტვას“². „მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ წარმომადგენლები და მთავრობის სხვა ადგილობრივი მოხელეები კი, ოსებს სკოლების დახურვით ემუქრებოდნენ. ოსებმა იცოდნენ, რომ მთავრობის გულგრილობის შედეგად უახლოეს წლებში ედისის სასოფლო სკოლა დაიხურა. თავიანთი შვილების აღზრდის სურვილი ოსებში იმდენად ძლიერი იყო, რომ ზემო როკის მცხოვრებმა ჯამასპი თომაშვილმა (თომაევი) სკოლას თავისი საკუთარი (სამოც თუმნად ღირებული) სამოთახიანი სახლი შესწირა.

ზღუბირის, ჯომალის, ქვემო როკისა და სხვა პატარა სოფლების მცხოვრებლები მოითხოვდნენ ზემო როკიდან ამ სოფლების ცენტრში სკოლის გადმოტანას, რათა იგი თანაბრად მისაწვდომი ყოფილიყო მახლობელი სოფლების ყველა ბავშვისათვის. ამ სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სოფლებისაგან მოითხოვეს: ა) ხალხს, სკოლის შესანახად „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისათვის“ ყოველწლიურად ეხადა 30 თუმანი; ბ) მოსახლეობას თავიანთი ხარჯით აეგოთ სასკოლო შენობა, იმ გეგმის მიხედვით, რომელიც „ცენტრიდან“ იქნებოდა დაშვებული; გ) სკოლისათვის დაე-

¹ ი ქ ვ ე, № 778, გვ. 2.

² ი ქ ვ ე, № 778, გვ. 2.

ქირავებინათ ტექნიკური მომსახურე პერსონალი; დ) სასწავლებელი მოემარაგებინათ საკმაო შეშით; ე) ეტარებინათ სკოლაში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და ა. შ., რაზედაც სასოფლო ყრილობა და-თანხმდა¹.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ცხინვალელი მოსახლეობა ყოველ ღონეს ხმარობდა სკოლის გახსნისა და ხალხის კულტურული წინსვლისათვის. ხალხი სკოლის აგებას თავისი სახსრებით ცდილობდა. 1880 წელს 24 თებერვალს გაზეთი „დროება“ მხურვალედ გამოეხმაურა ადგილობრივ ქველმოქმედ ქალს, რომელსაც „ცხინვალის სკოლის სასარგებლოდ“, ხალხში ფულები შეუგროვებია.

ქართული პრესა აღფრთოვანებით შეხვდა ცხინვალში სკოლის გახსნას. გაზ. „დროება“ 1880 წლის 1 აგვისტოს წერდა, რომ „...ცხინვალში სექტემბრიდან დაარსდება ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომლისთვისაც საკუთარ (რვაოთახიან) შენობას აშაადებენ, რომელიც იჯარით უნდა გაკეთდეს შვიდას თუმნად“.

მართლაც, 1881 წლის 22 იანვარს „დროებამ“ (№ 15) მკითხველებს აუწყა იმავე წლის 6 იანვარს სოფ. ცხინვალში ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის გახსნისა და სკოლის ზედამხედველად ს. ჭაფარიძის დანიშნვის შესახებ. გაზეთი იმასაც იტყობინებოდა, რომ „გახსნისთანავე სასწავლებელში შესვლის სურვილი ას ყმაწვილს გამოუცხადებია“. ცხინვალის ორკლასიან რეალურ სასწავლებელზე ადგილობრივი მოსახლეობა დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ მთხოვნელთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ სკოლის ხელმძღვანელობისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა ცოდნის მიღების ყველა მსურველთა დაკმაყოფილება. „ამ სკოლის დაარსება ნათლად გვიმტკიცებს, თუ რა დიდი სურვილი აქვს ჩვენს საზოგადოებას, რომ თავის შვილებს განათლება მისცეს. როგორც კი შეიტყო საზოგადოებამ, რომ შეგირდების მიღება ამა და ამ დღეს იქნებაო, მაშინ შეიკრიბა სკოლის წინ და ბ. ჭაფარიძეს — ამ სკოლის ზედამხედველს მოსვენება არ ჰქონდა თხოვნების მიღებით, ყველას უნდოდა იმის შვილიც მიეღოთ. მსურველი ბევრი აღმოჩნდნენ, მაგრამ ადგილები კი შეგირდებისათვის არ იყო საკმარ“².

როგორც ირკვევა, 1881 წლის 1 აპრილისათვის ცხინვალის ორკლასიანი ნორმალურ სასწავლებელში 82 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის — 76 ვაჟი და 6 ქალი. სწავლის მსურველი ორ-სამჯერ მეტი იყო, მაგრამ შენობის სივიწროვე არ იძლეოდა სკოლაში სწავლის ყველა მსურველთა მიღების შესაძლებლობას.

¹ იქვე, № 779, გვ. 2.

² გაზ. „დროება“, 1881 წ., № 15, გვ. 2.

ცხინვალის ორკლასიან ნორმალურ სკოლაში სწავლა პირველ ხანებში კარგად იყო დაყენებული. „დროება“ ამ წარმატებას სკოლის ზედამხედველის — ჯაფარიძის საუკეთესო ცოდნას, მდიდარ გამოცდილებას და პედაგოგიურ დაბელოვნებას მიაწერდა. „დროების-გამოთქმით: „სამი თვეა, რაც სკოლა გაიხსნა და ამის შეგირდები ენაზე აკვირვებენ მნახველს ცოდნით, სწავლით... ბ. ჯაფარიძეს ეტყობა, რომ ის „ახალი პედაგოგი“ არის, არც ერთ საქმეს არ დიპქერს საზოგადოების დაუქითხავად და ცდილობს სკოლა შეაყვაროს ხალხს“¹.

სკოლასთან ბალხის დაბლოებას, ზრუნვას საქსკოლო საქმიანობაში ცხინვალელი მოსახლეობის აქტიურად ჩაბმისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკოლის წარმატებისა და ბალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ცხინვალში კერძო სკოლებიც არსებობდა. სკოლები გაუხსნია რომელიღაც დიაკვანსა და მონაზონს. მაგრამ სწავლება ამ სკოლებში დახვეწებული „სისტემით“ წარმოებდა. „ეს პატივცემული მოღვაწენი განათლებისა, ძველებურად „ანუბანუს“ ასწავლიდნენ შეგირდებს“². ამავე პერიოდში, სომხებისათვის ცხინვალში გახსნილი ყოფილა აგრეთვე საანგარიშო სკოლა (ეკლესიის ხარჯზე), რომლის მასწავლებელი ხშირად ორკლასიანი ნორმალური სკოლის მუშაობას ესწრებოდა და ცდილობდა მისი გამოცდილება სომხურ სკოლაში გამოეყენებინა.

გორის მაზრის ხელმძღვანელობა სკოლების გახსნის საქმეში პრაქტიკული დახმარების ვაწევის მაგიერ ცხინვალელებში სახალხო განათლების მნიშვნელობის „ახსნა-განმარტებით“ კმაყოფილდებოდა. ამის შედეგად, მოცემულ პერიოდში ცხინვალში სკოლების გაუმჯობესების დარგში ბევრი არაფერი გაკეთებულა.

ცხინვალელ მოქალაქეთა უმრავლესობა უკულტურობისა და გონებრივი სიბნელის ბურუსში ცხოვრობდა. განათლების მესვეურები იფიწყებდნენ იმას, რომ „სკოლის საქმეს... უფრო მეტის ენერგიით, მეტის სურვილით და თავგამოდებით უნდა ხელის მოკიდება, ვიდრე სხვა საქმეს“³.

გაზ. „დროება“ ხაზგასმით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ „ორმოცამდე სხვადასხვა სასოფლო გადაწყვეტილება შესდგა სკოლებს“

¹ იქვე, № 73, გვ. 2.

² იქვე, 1881 წ., № 73, გვ. 3.

³ იქვე, 1885 წ., № 167, გვ. 2.

გახსნაზე ამ ორი წლის წინათ და ჯერჯერობით არც ერთი იმათგანი არ შესრულებულა. არც არავინმა იცის შესრულება თუ არა...¹.

1884—1885 წწ. ცხინვალში გამოჩნდნენ ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა: მომრიგებელ-მოსამარხოეები, ექიმები, მასწავლებლები, გამომძიებლები და სხვ. მაგრამ ადგილობრივი ხალხის განათლებისათვის თავს არავინ იწუხებდა. ბავშვების აღზრდის, მათი გარემოს მოწესრიგების საქმე თვითდინებაზე იყო მიხედობილი.

ცხინვალის ქუჩებსა და ბაღებში უქმად მოხეტიალე ბავშვების რიგების ზრდა ე.ვ. იარალოვას კერძო სკოლის დახურვითაც იყო გამოწვეული. პრესის გამოთქმით: „დიდი ხანი არ არის, რაც ესენი (ბავშვები) ამშვენებდნენ ადგილობრივ სკოლას, სადაც წერა-კითხვის გარდა, ისეთ მშვენიერ ხელსაქმეს ასწავლიდნენ, რომ ბევრ მოწაფეთაგანს ეხლავ შეეძლო თავის მარჯვენით ხელი გაემართა ოჯახისათვის. არა ერთი იმათგანი შოიგონებს სიყვარულით და მადლობით თავის „პაპეჩიტელნიცას“, სკოლის სამაგალითო მოღვაწეს და მზრუნველს ქ. ეკატერინე იარალოვისას ამ ხელსაქმის სწავლების გამოძლიერ დააკლდა ეს სკოლა ცხინვალელებს“².

1885 წლის აგვისტოში ცხინვალში რამდენჯერმე იყვნენ გუბერნიისა და მაზრის თავკაცები რომლებმაც ყურადღება მიაქციეს „...აქ გამართულ ნორმალურ სკოლას, რომელიც არასანატრელ მდგომარეობაშია ნივთიერის მხრივ. დაძველებული შენობა სკოლისა, კარგა ძვირად ნაყიდი, იმყოფება მყრალ, უწმინდურ... უბანში და დღე-დღეზედ ჩამოქცევას აპირებს“. გუბერნიისა და მაზრის უფროსების მრავალგზის დაპირების მიუხედავად სკოლის საქმე მაინც ძველებურად მიდიოდა. ხალხის განათლებისათვის რეალურად არაფერი კეთდებოდა³.

„ცხინვალს ერთადერთი სასწავლებელი აქვს, რომელსაც წლისა და წლის თავზე მოწაფეები ემატება. ასე რომ, ტყვა არ არის და სკოლის კედლები კი განზედ არ იწევენ, რომ საწყალი მოწაფეები ხალვათად დასხდნენ. მოვიცადოთ, ცხინვალელებო, ენკენისთვემდის, იქნება ღმერთმა გვიპრიანოს და კედლებმა თვითონ განზედ დაიწყოს წევაო“. — ირონიულად წერდა გაზეთი „ივერია“, რომელიც, ხალხს, სასკოლო საქმეებისადმი ყურადღების გამახვილებას გადაუღებელ ამოცანად უსახავდა⁴.

¹ იქვე.

² იქვე.

³ იქვე, № 176, გვ. 1.

⁴ გაზ. „ივერია“, 1888 წ., № 153, გვ. 2.

ცხინვალის ორკლასიანი სკოლის კეთილმოწყობაზე პრენესი ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ მდგომარეობა კვლავინდებურად გრძელდებოდა. გაზ. „ივერია“ 1891 წლის 8 იანვრის ნომერში აღნიშნული სკოლის შესახებ წერდა: „ჩვენს სკოლაში დღეს 96 ყმაწვილი სწავლობს, სკოლის შენობა კი ისეთია, რომ ამოდენა რიცხვი ყმაწვილებიანა შიგ ვერ თავსდება და ძალიან ვიწროობაში არიან. თანდათან კი მატულობს ეს რიცხვი. სკოლის შენობა რომ გაფართოვდეს, იმედია, მსურველი სწავლისა უფრო მეტი იქნება“¹.

XIX საუკუნის მიწურულს საქალაქო ცხოვრების განვითარება ცხინვალელ მოსახლეობის გონებრივ და სულიერ ყოფაზე თავისებურ გავლენას ახდენდა. ადგილობრივ მცხოვრებთა გონებრივი პორიზონტი შეუმჩნევლად, მაგრამ თანდათანობით იზრდებოდა. გაზ. „ივერია“ 1892 წლის № 143-ში წერდა: „ჩვენი ცხინვალი დაბა კი არ არის, ქალაქია. რაც გორისათვის ქალაქია, ის ცხინვალისათვის გორიაო“.

გასული საუკუნის ბოლოა ცხინვალში გადაუწყვეტიათ: ა) წიგნსაცვა-სამკითხველოსა და საქალებო სასწავლებლის გახსნა; ბ) ლიახვის პირად გასართობი ბაღის გაშენება; გ) საკუთარი გაზეთის დაარსება და ა. შ. ამის შესახებ გაზ. „ივერია“ წერდა: „გონების სავარჯიშებლად ვაარსებთ წიგნსაკითხავს და ქალების სასწავლებელს“². გასართობად ვაკეთებთ ლიახვის ნაპირას ბაღს და შემდეგში შეიძლება ჩვენი გაზეთიც ექიპონოთ³.

ამგვარი ნაბიჯების მიუხედავად, კულტურისა და განათლების „მთელი სიკეთით“ გაბატონებული კლასები სარგებლობდნენ. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო დიდი ლიახვის ბეობის ოსებით დასახლებულ სოფლებში, სადაც ახალგაზრდობის აღზრდას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი (სამზრეთ ოსეთში) 1865—66 წწ. 11-დან XIX საუკუნის 80—90-იან წლებში რამდენადმე შეიკვეცა, ბოლო მოსწავლეთა რაოდენობა 187-დან 134-მდე შემცირდა.

არაზუსტი ცნობებით, 1903—1904 წწ. გაიხსნა გუჯარეთის. აბანოს და ლუდის საეკლესიო-სამრევლო სკოლები, მაგრამ სამაგიეროდ სასულიერო უწყებამ ედისის, როკისა (1900 წ.) და ზოგიერთი სხვა სასწავლებლები დახურულად გამოაცხადა.

¹ იქვე, 1891, № 5, გვ. 2.

² ერთკლასიანი ქალთა სასწავლებელი ცხინვალში 1886 წ. დაარსდა, 1896 წლიდან გადაკეთდა ცხინვალის ქალთა ორკლასიან სასწავლებლად.

³ გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 145, გვ. 3.

სწავლების არსებული უეარგისი სისტემა, ლოკებისა და საეკლესიო საგალობელთა დაუსრულებელი ზეპირობა გონებას უხშობდა სწავლას მოწყურებულ ოს ახალგაზრდობას და ადგილობრივ მონახლეობას საეკლესიო-სამრევლო სკოლებზე გულს უტრუებდა. ამგვარი მდგომარეობის გამო „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ იძულებული იყო თავისი 1888 წლის „ანგარიშში“ ვანათის საეკლესიო-სამრევლო სკოლის შესახებ ეთქვა:

„ოდესღაც სკოლის საჭიროების ინტერესით მეტად გამსჭვალული ადგილობრივი მცხოვრებნი, ახლა სავსებით გულცივი გახდა მის მიმართ, ნაკლებად აქცევენ მას ყურადღებას და ნაკლებად გრძნობენ ასეთი სკოლის საჭიროებას...“¹. იგივე „საზოგადოება“ ჯავის საეკლესიო-სამრევლო სკოლის შესახებ აღნიშნავდა, რომ ჯაველებისათვის მეტად დამახასიათებელი თვისება — სწავლისადმი ინტერესი — ამჟამად შეცვლილია სკოლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებით, განათლებისადმი გულგრილი განწყობილებით².

ნამდვილად, ჯავის მშრომელები ინდიფერენტულად უყურებდა მხოლოდ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, რომლებიც მოსწავლეების ნორჩ გონებას ტვირთავდა ცხოვრებისათვის უზარკებლო „ცოდნის“ ნაგავით.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სამხრეთ ოსეთში კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველომ დაიწყო ე. წ. სამინისტრო სკოლების გახსნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1881 წ. გაიხსნა ცხინვალის ორკლასიანი ნორმალური სკოლა. შემდეგში დაარსებულ იქნა ახალგორის (ეხლანდელი ლენინგორის) დაწყებითი სასოფლო სკოლა (1884 წ.), ცხინვალის ერთკლასიანი ქალთა სასწავლებელი (1886 წ.), ახალგორის ქალთა ერთკლასიანი სკოლა (1888 წ.) და კუდარის ერთკლასიანი დაწყებითი სკოლა (1889 წ.), რომლებშიც (1887—88. წწ.) სულ 185 მოსწავლე (მათ შორის — 136 ვაჟი და 49 გოგონა) სწავლობდა³. ზალხი მოითხოვდა სოფელ ჯაეაში ორკლასიანი სამინისტრო სკოლის ოთხკლასიანად გადაკეთებას⁴, მაგრამ მშრომელთა ეს მოთხოვნა განუხორციელებელი დარჩა.

სამხრეთ ოსეთში არსებობდა ჯავის, მსხლებისა და ვანათის ორ-

¹ საქ. სსრ ცსს საისტ. არქივი, ფონდი 141, საქმე № 49, ფურც. 12—15.

² იქვე, საქმე № 796, ფურც. 2—9.

³ Отчет попечителя Кавк. учебн. округа, за 1887 г., გვ. 262, 266—288.

⁴ ჟურნ. „განათლება“, 1910 წ., № 1, გვ. 35.

კლასიანი და ურის, ყორნისის, ორტევის, კოშკის, როკის, ზღუბირის, შუა ერმანისა და კეშელთის ერთკლასიანი სკოლები¹.

ამევე პერიოდში გახსნილ იქნა ზაყორის (1891 წ.), ჩასავლის (1895 წ.), ცხინვალის ქალთა ორკლასიანი (1896 წ.) და ძარისა და ედისის (1896 წ.) — სამინისტრო სკოლები².

სასულიერო და საერო განათლების უწყებაში ცარიზმის დამხობამდე სამხრეთ ოსეთის სოფლებში (არაზუსტი მასალების მიხედვით) 32-მდე სამინისტრო და საეკლესიო-სამრევლო სკოლა ითვლებოდა, რომლებშიაც სულ 1415-მდე ბავშვი სწავლობდა³.

სასკოლო შენობებისა და დგამ-ავეჯის სიმცირე და უვარგისობა, სასწავლო ხელაწყოებისა და სახელმძღვანელოების უქონლობა, სწავლების შინაარსის ცხოვრებისაგან მოწყვეტა და სწავლა-აღზრდის მთელი პროცესის რელიგიისადმი დამორჩილება, სკოლების ერთ-ერთი მეთვალყურის გამოთქმით რომ ვთქვათ, იწვევდა სკოლების წინსვლის სრულ შეჩერებას, ძილისა და გაყინვის მდგომარეობას, ახშობდა ბავშვის სულსა და ცხოვრებას, რომელიც ძლივს-ძლიობით ინარჩუნებდა თავის არსებობას. სპეციალური სასკოლო შენობები სამხრეთ ოსეთში 1860 წლამდე თითქმის არ ყოფილა. ჯავის, ორტევისა და როკის სკოლებს ხის მცირე ფართობიანი შენობა ჰქონდათ, მაგრამ იმდენად დაძველებული, რომ 1864 წელს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ინსპექტორი მიუთითებდა მათი დანგრევის საშიშროებასა და მარცხის მოსალოდნელობაზე⁴.

პრესის მასალებიდან ცნობილია, რომ ვორონცოვის დროს ჯავის ხეობაში დაბანაკებული ჯარის სადგომები შემდეგში სკოლებს გადაეცა. მაშინდელი ჯარის ნადგომ ყაზარმებს, როგორც „დროება“ წერდა, XIX საუკ. ბოლოსაც შეხვდებოდით ჯავაში, როცა და სხვა ადგილებში, რომლებშიც სკოლები იყო გამართული.

ზოგიერთ სოფლებში სკოლისათვის ადგილობრივ მცხოვრებთა ხარჯზე ხის 1—2 ოთახიანი შენობები იგებოდა, ხოლო ზოგიერთი სკოლები ყაზარმებში იყო მოთავსებული.

„ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ სკოლის კეთილმოწყობის ხარჯების გაღებაზე უარის თქმის გამო ვანათის სკოლას არც ავეჯი გააჩნდა, არც სახელმძღვანელო წიგნები. სკოლის მასწავლებლის (ნ. საძაგლიშვილის) თაოსნობით გორისა და ცხინვა-

¹ საქ. ცსს საისტ. არქივი, ფონდი 93, საქმე № 399, ფურც. 3—5, 7—9.

² იხ. დოკ. ვალიევის საკანდიდატო ნაშრომი (ხელნაწერი), გვ. 127. შდრ. საქ. ცსს ხაისტ. არქივი, ფონდი 93, საქმე № 399, ფურც. 7—9.

³ იქვე, ფონდი 141, საქმე № 82, ფურც. 65—81.

⁴ გაზ. „დროება“, 1876 წ., № 128, გვ. 4.

ლის საზოგადოებაში შეგროვილი თანხებით შექმნილ იქნა სკოლი-სათვის საჭირო ნივთები¹.

ერთ- და ოროთახიანი სასკოლო შენობები თავიანთი ხარჯით ააგეს მსხლების, ზავდეს, კოშკის, ქეშელტის, ჯომალის, თრისის, საბასლუბირის, შამბიათის, სოქინის, კვრივის, ბესტავანთ სოფლის, ლეკოვანის და ზოგიერთი სხვა სოფლის მოსახლეობამ, მაშინ, როდესაც მთავრობის მოხელეები ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს სკოლების მოწყობისა და ოს ხალხში სწავლა-განათლების შეტანის საქმეს.

სამინისტრო სკოლებიდან საკუთარი სასკოლო შენობა ჰქონდა გვერცევის, გუფთის, ზეწეს, ცხინვალის (ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელს), ედისის და ცონის სკოლებს. სამინისტროს დანარჩენი 13 სკოლა მოსახლეობის მიერ დაქირავებულ ბინებში იყო მოთავსებული².

სამხრეთ ოსთა სკოლების კეთილმოწყობაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა სახალხო სკოლების ინსპექტორის მოხსენება, რომელშიაც ტბეთის სკოლის შესახებ ნათქვამია: „ვინახულე ტბეთის სკოლა და მივიღე ყოველად უნუგეშო მდგომარეობის შთაბეჭდილება. სასწავლებელი მოთავსებულია პატარა ბნელ ოთახში, თითქმის ყოველგვარი მოწყობილობის გარეშე“³.

ცხადია, სასკოლო შენობების ფართობის სიმცირე, ბნელი ოთახები და სასწავლო მოწყობილობის უქონლობა უარყოფითად მოქმედებდა არა მხოლოდ მოსწავლეთა მომზადების დონეზე, არამედ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზედაც. სასკოლო შენობების ნაწილი პირადი სარგებლობიანობისათვის მღვდლებს ეჭირათ.

„კავკასიაში მართლმ. ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ანგარიშში აღნიშნულია: „სწავლის მდგომარეობა მაშინ გაუმჯობესდება, როდესაც ადგილობრივ მღვდლებს ბინებს აუშენებენ და ისინი გაათავისუფლებენ მათ მიერ ამჟამად დაკავებულ სასკოლო ოთახებს“⁴. მისიონერული „საზოგადოება“ მღვდლებისათვის ბინების აშენებაზე უფრო მეტად ზრუნავდა, ვიდრე სასკოლო შენობების აგების საქმეზე.

დგამ-ავეჯის სიმცირის გამო მოსწავლეები ხშირად იატაკზე ან ფანჯრის რაფაზე მსხდარნი წერდნენ და კითხულობდნენ⁵. ანალოგიური

¹ გაზ. „ღრობა“, 1883 წ., № 118, გვ. 2.

² საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 1001, ფურც. 2—8, საქმე № 495, ფურც. 14—19.

³ იქვე, ფონდი 103, საქმე № 373, ფურც. 89.

⁴ იქვე, ფონდი 141, საქმე № 645, ფურც. 12—15.

⁵ იქვე, ფონდი 141, საქმე № 896, ფურც. 2—9.

მდგომარეობა იყო ვანათის სკოლაში, რომლის შესახებ საქართველოს ეპარქიალურ სასწავლებელთა საბჭო წერდა: „სკოლა უღვაძოდანა. ასე, რომ მოსწავლეებს იატაკზე ჯდომა.... და ისე მეცადინეობა უბედება“¹.

როგორც გაზეთი „ივერია“ წერდა, მღვდელ-მონაზონი ლეონიდი იძულებული გამხდარა დაეტოქსა ელისისა და ვანათის მამააბლანკები. რომელთაც „....გაზაფხულზედვე უნდა გაეკეთებინათ ედისიულების სკოლის შენობა და ვანათელების სკოლის გალავანი. ამიტომ მ. ლეონიდი სრული ორ-ორი დღე დარჩა იქ და სანამ თავის თვალწინ არ დაასრულებინა ედისაში სკოლის სახლი და ვანათაში გალავანი, ფეხიც არ მოუცვლია იქიდან. სასიამოვნო იყო, როდესაც ოთხი სოფლის საზოგადოება ვანათის სკოლას გალავანს არტყამდა. რიგი ქვას ეზიდებოდა იქვე ღიახვის პირიდან, რიგი მარგილებს, რიგი ჯალჯას და რიგი კიდევ ტკბილი სიმღერით გალავანს ავლებდა“².

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ მთავრობა და ეკლესიის ხელმძღვანელობა სკოლის ხარჯების გაღების მხრივ დიდ მომჭირნეობას იჩენდა. სასკოლო შენობათა აგება, მათი კეთილმოწყობა, ინვენტარის შეძენა, გათბობა-განათება და მომუშავე პერსონალის შენახვის ძირითადი ხარჯები ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი ბეგარის შესრულებით ან ფულადი სახსრების გაღების გზით სრულდებოდა.

შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდათ სამინისტრო სკოლებს. მაგრამ სახარბიელო და მეცადინეობისათვის სრულიად ნორმალური მდგომარეობა არც იქ ყოფილა³.

სკოლები ურთიერთისაგან 15—25 კილომეტრით იყვნენ დაცილებულნი. საცხოვრებელი ადგილიდან შორეულ მანძილზე ფეხშიშველა და ნახევრად მშვიერი ბავშვების გზავნა ღარიბ ოსებს ძლიერ უტკირდათ.

ამგვარი პირობების შედეგად (ჯერ კიდევ 1864 წ.) დაისვა საკითხი ზოგიერთ სკოლასთან პანსიონატის მოწყობის შესახებ.

როკის სკოლასთან 30 ბავშვისათვის განხრახული იყო პანსიონატის მოწყობა. თითოეულ პანსიონარს უნდა გადაეხადა (თვეში) 4 მანეთი. ნახევრად პანსიონარს კი—2 მანეთი. ამგვარივე პანსიონატების მოწყობა გათვალისწინებული იყო ჭავია, ორტევის, ვანათის, ელისისა და ზოგიერთ სხვა სკოლებისათვის, მაგრამ, მხოლოდ ოთხი ათეული წლის შემდეგ ვანათის სკოლასთან გაიხსნა „ბავშვთა ღამის

¹ იქვე, ფონდი 109, საქმე № 37, ფურც. 89.

² გაზ. „ივერია“, 1891 წ., № 297, გვ. 2—3.

³ საქ. ცსს საისტ. არქივი, ფონდი 141, საქმე № 810, ფურც. 5, საქმე № 1694, გურც. 2, საქმე № 1591, ფურც. 66, 67, 92, 96.

გასათევი სახლი“, როკისა (1902 წ.) და კოშკინის (1910 წ.) სკოლებთან ე. წ. „პრიუტები“. მთის განსაკუთრებული პირობებით გამოწვეული პანსიონატების გახსნა-შენახვის ხარჯების მთელი სიმძიმე ისევ გლეხებს აწევებოდა. სამღვდლოება კი პანსიონების გახსნაზე ოს გლეხობას „სათანადო სახსრების“ უქონლობის მომიზეზებით მუდამ უარით ისტუმრებდა¹.

როგორც ჩრდ. ოსეთში, ისე სამხ. ოსთა სოფლებშიაც მწვავედ იდგა სკოლებთან ბავშვთა თავშესაფარების მოწყობის საკითხი. სოფ. გერის მოსახლეობის კრებამ მიიღო დადგენილება ვანათის სკოლასთან ბავშვთა თავშესაფარის მოწყობის შესახებ. ვანათის სკოლა ოსურ სკოლად ითვლებოდა, მაგრამ ორმოცდაათი ბავშვიდან 1885—86 წწ. მასში მხოლოდ 11 ოსი სწავლობდა. გაზეთი „ივერია“, რომელიც მთის ხალხთა შვილების სწავლა-განათლების საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ამის ერთ-ერთ პირველ მიზეზს იმაში ხედავდა, რომ „...ოსები შორს ცხოვრობენ სკოლაზე და ბავშვებს არ შეუძლიათ სიარული სკოლაში. მეორედ, რომ ოსები სიღარიბისა გამო ვერ უქერენ თავის შვილებს ცალკე სახლსა, თავშესაფარი რომ გაკეთდეს, — „ივერიის“ აზრით, — ორივე დამაბრკოლებელი მიზეზი მოისპობა და ოსებს ადვილად შეეძლებათ თავიანთი შვილები სკოლაში გამოზარდონ ხოლმე“².

ამრიგად, ოსების სოფლებიდან სკოლების დაშორებულობა, სკოლებთან ბავშვთა თავშესაფარების უქონლობა, სასწავლებელთა მოუწყობლობა, მოსახლეობის სიღარიბე და ხალხის განათლებისადმი მთავრობის მოხელეთა გულგრილობა მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზებს წარმოადგენდა, რაც ხელს უშლიდა ოს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას.

ქალთა განათლება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მემამულეები და ბურჟუაზია ქალთა აღზრდა-განათლებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ერთგვარ განათლებას დიდგვარიანთა წარმოშობის ოსი ქალები ოჯახში იღებდნენ.

დადასტურებულად ითვლება, რომ ოსთა მეფის — ხუდანის ასულმა — ბურდუხანმა (რომელიც ვიოროგი მესამეზე დაქორწილდა), არა მარტო სხვადასხვა ენები, არამედ კრა-კერვა, ქსოვა-ქარგვა, ოქრომკედი და წერა-კითხვის სწავლების წესებიც მშვენივრად იცოდა³, თუ ეს ცნობები ოს მეფეთა და დიდგვარიანთა შთამომავლობას ეხება, სამაგიეროდ, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფოსი — ვახუშ-

¹ საქ. ცსს საისტ არქივი, ფონდი 141, საქმე № 812, ფურც. 9.

² ვახ. „ივერია“, № 214, გვ. 3. იხ. კ. ცხ-ძეს სტატია.

³ გ. კ. ი. ნ. ა. ძე; ოსეთის ისტორია, გვ. 160.

ტი ბატონიშვილი, საერთოდ, ოსი ოჯახების შესახებ აღნიშნავდა რომ „ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმინდა და კეთილნი“¹.

ძველთაგანვე აღიარებულია, რომ ოსი ქალები შრომისმოყვარენი, ნიჭიერნი და გამრჩენი არიან. „ოსი ქალები, — წერდა „დროება“, — კარგს ყველს და ერბოს ამზადებენ, აგრეთვე კარგს შალებს ქსოვენ და ჩოხა-შარვლებსაც ჰკერავენ“². მაგრამ ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ ოსი ხალხის შვილები, განსაკუთრებით ქალები, ფეოდალიზმის ეპოქაში კარჩაკეტილად და მძიმე მდგომარეობაში ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ოსი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა ინიციატივით ჩრდილოეთ კავკასიის ოსეთში ქალთა სკოლის მოწყობის საკითხიც წამოიჭრა. 1862 წელს პროტოიერ კოლიევის მიერ დაარსებულ ქალთა კერძო სკოლაში 20 ოსი გოგონა სწავლობდა. 1863 წ. აღნიშნულ სკოლაში 23 მოსწავლე ქალი ირიცხებოდა. 1865 წ. ჩამოყალიბდა ვლადიკავკაეის ოს ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი პანსიონით. ამ უკანასკნელში 24 პანსიონერი გოგონა ცხოვრობდა.

1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფ. ჩირისტონყაუში და ხუმალაგში გაიხსნა ქალთა ერთკლასიანი სკოლები. 1871 წელს ჩრდილოეთ ოსეთში (გარდა ვლადიკავკაეის ქალთა სკოლებისა) 2 ქალთა სკოლა არსებობდა 27 მოსწავლით, 1880 წ. — 7 ქალთა სკოლა — 197 ბავშვით, ხოლო 1881 წ., — 175 გოგონათი, რომელთაგან 54 კავკაეის ქალთა თავშესაფარში ცხოვრობდა. 1895 წ. მოსწავლე გოგონების რიცხვი ჩრდ. კავკასიის ოსეთში უდრიდა 379-ს. 1898 წ. (ვლადიკავკაეის ქალთა სკოლების ჩათვლელად) — 469 და სხვ. ამრიგად, ცხოვრების გადაუდებელი მოთხოვნილებების ნიადაგზე საეკლესიო სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ პრაქტიკული ცხოვრებისაგან სკოლების მოწყვეტის, სწავლებაში დოგმატიზმისა და ვერბალიზმის გაძლიერების გამო ოს ქალთა განათლების საქმე სასურველ ნიადაგზე მაინც ვერ მიმდინარეობდა.

სამხრეთ ოსეთში ქალთა სწავლება შემოღებულ იქნა (1866 წ.) ჯავისა და ბესტავაანთ სოფელში, პირველში 13 გოგონა სწავლობდა, მეორეში კი — 7. 1864 წ. სამღვდელოებას „წესდებით“ გათვალისწინებული ჰქონდა სკოლებში ან კერძო აღზრდის გზით გოგონებისათვის მიეცათ წერა-კითხვის ცოდნა, მაგრამ ამ მიზნის განხორ-

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 111.

² გაზ. „დროება“, 1876 წ., № 128, გვ. 3.

ციელებას (სხვა მიზეზებთან ერთად) სწავლის ქირა (15 მანეთი) აბრკოლებდა. როგორც ჩრდ. კავკასიის ოსეთში, ისე საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობა სიხარულით ხედებოდა ქალთა სკოლების გახსნას და ყოველმხრივ ცდილობდა მიეცა თავიანთი გოგონებისათვის ელემენტარული განათლება.

ქართული პრესა აღფრთოვანებით მიესალმებოდა ოს ქალთა სკოლების დაარსების საუკეთესო ინიციატივას და მოსახლეობას აცნობდა მის მნიშვნელობას ოსი ხალხის კულტურული განვითარების საქმეში.

1890—1891 სასწავლო წელს სამხრეთ ოსეთში არსებული ჯავის, ვანათის, როკისა და ედისის სკოლების რიცხვს მიემატა სოფ. კოშკის ახლად დაარსებული საქალეზო სასწავლებელი, რომლის მასწავლებლად დანიშნულ იქნა თბილისის საეპარქიო სასწავლებლის კურსდამთავრებული ქალი — ა. სანაკოშვილი. „საქალაქო სასწავლებლის დაარსება. — როგორც გაზ. „ივერია“ წერდა, — ოსეთში საყურადღებო და სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს, რადგან დღეს ამ ქვეყანაში ქალი მეტად დუხჭირს მდგომარეობაში იმყოფება“¹.

გოგონების სწავლის მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ მათ უმრავლესობას ნახევრად ჩაუცმელ-დაუხურავს და მშვიერს უხდებოდა სკოლებში სიარული.

„განსაკუთრებით ცუდად არიან ჩაცმულნი გოგონები, რომლებიც ზამთარში თოვლზე ფეხშიშველები და მხოლოდ ჩითის კაბით დადიან, კლასში 3—4 საათს ფეხმოკეცილნი სხედან. მეტად სამწინელია ამ უბედურთა მდგომარეობა, როდესაც კლასები ცუდად ინთება“². სკოლის მოუწყობლობა, შიმშილი, სიტიტველე, დუხჭირი და აუტანელი ცხოვრება ქალთა განათლების გზაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა, მაგრამ გოგონების რაოდენობა სკოლებში შედარებით მაინც იზრდებოდა.

სამხრეთ ოსთა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლობდა: 1876 წ. 20 გოგონა; 1880 წ. — 12; 1900 წ. — 20; 1904 წ. — 65. სამაგვიროდ ქალ მოსწავლეთა რიცხვი სამინისტროს უწყების სკოლებში სამხრეთ ოსეთის მასშტაბით იზრდებოდა: 1887 წ.—31 ქალი მოსწავლე; 1890 წ. — 32; 1900 წ. — 115, ხოლო 1904 წ. — 139 მოსწავლე. აქედან ცხინვალის ორკლასიან სამინისტრო სკოლაში

¹ გაზ. „ივერია“, 1891 წ., № 227, გვ. 2—3.

² Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1880 г., гв. 78.

1887 წ. 5 გოგონა სწავლობდა. ახალგორის ერთკლასიან სასოფლო სკოლაში—2. მსხლების (1903 წ.) და კოშკინის (1892 წ.) ქალთა სკოლები ჩქარა შერეული ტიპის სასწავლებლად გადაკეთდა. 1885 წელს განათლების სამინისტროს ბაზით გაიხსნა ცინვალის ქალთა ერთკლასიანი სკოლა, რომლის ბაზაზე 1896 წელს ქალთა ორკლასიანი სკოლა ჩამოყალიბდა. 1888 წელს დაარსდა ახალგორის ქალთა სასწავლებელი, მაგრამ მოსწავლე ქალების რიცხვი ამ სკოლებში შეუმჩნეველად იზრდებოდა.

ასეთი იყო ვითარება (1870—1900 წწ.) პირველდაწყებით სახალხო სკოლების განვითარების დარგში კავკასიის ორივე მხარის ოსეთში. როდესაც ჯავის ბეობის ოსთა წრიდან სახალხო განათლების სარბიელზე გამოვიდა მასწავლებელი გიორგი თომას ძე ჩოჩიევი (ლიახველი).

გ. ჩოჩიევი (ლიახველი) XIX საუკ. მეორე ნახევრის ოსი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მოწინავე წრეს მიეკუთვნება, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიის შესწავლის, მთის ხალხებში გავრცელებულ ძველ ადათ-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის, სასოფლო სახალხო სკოლების ქსელის გაშლის საპარაგებლოდ საზოგადოებრივი აზრის მომზადების, ოსთათვის ქართული ენისა და ქართული კულტურის შესწავლის დადებითი მნიშვნელობის გაშუქებით, მონაწილეობაში რუსულ დემოკრატიულ ინტელიგენციასთან და რუსულ კულტურასთან განუყრელი კავშირის აუცილებლობის შეგნების ამადლების, ეროვნული ენის, მწერლობისა და კულტურის განვითარების საქმეში.

სოფლის მეურნეობის, კონტინენტი და მატერიალური მდგომარეობა
XX საუკუნის ოსეთში ორი ბარჯაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში

ა. სახალხო სკოლები

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის (1905—1907 წწ.) პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ბაზით არსებობდა 11 ორკლასიანი და 6 ერთკლასიანი სკოლა, მათ შორის 4 ქალთა სასწავლებელი. ამავე უწყების სისტემაში სამხრეთ ოსეთში იყო 1 ორკლასიანი და 7 ერთკლასიანი სასწავლებელი. ზულ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში 12 ორკლასიანი და 13 ერთკლასიანი (25) სამრევლო სკოლა

მოქმედებდა, რომელშიაც 1906 წ. სულ 1833, ხოლო 1907 წ. — 2138 სწავლობდა. მათ შორის 1906 წ. — 365, ხოლო 1907 წ. — 391 მოსწავლე ქალი¹.

მარტო ვლადიკავკაის საეპარქიოში 1906—1908 წწ. არსებობდა 11 ორკლასიანი და 7 ერთკლასიანი სკოლა.

ეს ციფრები ადასტურებენ იმას, რომ 1906 — 1908 წლებში საეკლესიო-სამრევლო სკოლების შემადგენლობაში ქსელის ზრდის თვალსაზრისით არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

I მსოფლიო ომის წინ ვლადიკავკაის ეპარქიაში ორკლასიანი სკოლები არსებობდა არღონსა, ვლადიმირსკსა და ხუმალაგში, რომელშიაც სულ—1455 მოსწავლე სწავლობდა. ამ სკოლებში 32 მასწავლებელი (მათ შორის 18 კაცი და 14 ქალი) და 9 მღვდელი (საღვთო სჯულის მასწავლებელი) ასწავლიდა². გარდა ამისა, ერთკლასიანი სკოლები მოქმედებდნენ ალაგირში, არღონში, ბესლანში, ვლადიმირსკში, ვალიატში, გიზელში, გულარში, დავომში, დალაკაუში, დარგავში, დარჯკოზში, ჩემარაჟში, დუნტაში, ზაკში, ზარომავში, ზგიდში, კადგარონში, კამულტაში, კანნში, კობანში, ლაცში, ლისრიში, მახჩესკში, მიზურში, ოლგინში, საღონში, სანიბა-ნოვში, სანიბა-სტარში, სტირ-დიგორში, ტიბში, უნალში, ნოვი-ურუხში, სრედნი-ურუხში, ზედიკუსში, ზოდში, ბრისტინანოვსკში, ზუმალაგში და ეცნაში. მსმენელთა რაოდენობა ამ სკოლებში უდრიდა 2413 მოსწავლეს, მათ შორის იყო 1494 ვაჟი და 919 ქალი. ერთკლასიანი სკოლები არსებობდა ავრეთვე არღონისა და არზონაკის აულებში და ზუტორებში. სადაც სულ 168 მოსწავლე (40 ვაჟი და 128 გოგონა) სწავლობდა³.

I მსოფლიო ომის დასაწყისში საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი ოსეთში ერთგვარად გაიზარდა. 1915 წელს ოსეთის საეპარქიოს 11 ორკლასიან სკოლაში 1827 მოსწავლე (1678 ვაჟი და 149 ქალი) სწავლობდა. აღნიშნულ წელს ორკლასიანი სკოლის კურსი დაამთავრა სულ 51 მოსწავლემ (45 ვაჟმა და 6 გოგონამ), ერთკლასიანი სკოლისა — 125 მოსწავლემ, რომელთა შორის იყო ვაჟი — 116, ხოლო გოგონა — 9. მოსწავლეთა ამ შემადგენლობას 38 მასწავლებელი ასწავლიდა. ვლადიკავკაევში 1915 წელს მოქმედებ-

¹ Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг., Тифлис, 1909, გვ. 42.

² Архив СОНИИ, фонд Владикавказского окр. отделения епархиального училищного совета, депо 1913 г., № 115.

³ Материалы по истории Осетинского народа, т. IV, Сборник документов по истории народного образования в Осетии, С. О. Госизд., 1942, гл. 199—200.

და „საზოგადოების“ 9 ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სულ 626 ბავშვი (299 ვაჟი და 327 გოგონა) სწავლობდა. ამთავან ერთკლასიანი სკოლის კურსი დაამთავრა (41 ვაჟმა და 43 გოგონამ) სულ—84 მოსწავლემ. მოსწავლეთა ამ შემადგენლობას 15 მასწავლებელი ასწავლიდა.

ვლადიკავკაჯის ოლქის 39 სკოლაში სულ 2389 მოსწავლე (მათ შორის ვაჟი — 1341 და გოგონა — 1048) ირიცხებოდა, რომელთაგან ერთკლასიანი სკოლის კურსის დასრულება შეძლო 77 ვაჟმა და 65 გოგონამ, სულ 142 მოსწავლემ. საეკლესიო-სამრევლო სკოლების ამ შემადგენლობას 51 მასწავლებელი ემსახურებოდა. სუნეევსკის განყოფილების სკოლებში სულ 265 მოსწავლე იყო გაერთიანებული, საიდანაც ერთკლასიანი სკოლის კურსი მხოლოდ 15 გოგონამ დაამთავრა. მთელს ოლქში სწავლობდა: ვაჟი — 3389, ქალი — 1740, სულ — 5129. მათ შორის: ორკლასიანი სკოლის კურსი დაამთავრა 52 მოსწავლემ (მათ შორის ვაჟი — 47, ქალი — 5), ერთკლასიანი სკოლისა — 443 მოსწავლემ (ვაჟი — 255, ქალი — 136). მოსწავლეთა მთელ შემადგენლობას სულ 109 მასწავლებელი ასწავლიდა, აქედან 72 იყო პედაგოგი ქალი¹.

XX საუკუნის დასაწყისში ოსეთის სხვადასხვა სოფლებში დაიწყო სახალხო განათლების სამინისტროს ერთკლასიანი და ორკლასიანი სახალხო სკოლების გახსნა, რომელთა რიცხვი 1913 წლის დასაწყისში 13-ს აღწევდა. თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის ცნობით, 1913 წლის 1 იანვრისათვის სასოფლო ორკლასიანი სკოლები იყო ალაგირის (1909 წ.), ზამალკულის (1904 წ.), ზილგინის (1911 წ.), მაგომეტანის (1911 წ.), ნარის (1911 წ.); ტულატოვის (1910 წ.), ხრისტიანოვსკის (1908 წ.), ელხოტოვის (1908 წ.) და ზოგიერთ სხვა სოფლებში, ხოლო ერთკლასიანი — კარჯინის, ნოვიურუხის (1911 წ.), ნოგკაუს (1897 წ.), შანაევოსა (1896 წ. და 1904 წ.) და სხვებში. მხოლოდ ამ სკოლებში სწავლობდა 1151 ვაჟი და 190 ქალი, სულ 1341 მოსწავლე².

ორივე მხარის ოსეთში ძირითადად დაწყებითი სახალხო სკოლების ქსელი ფართოვდებოდა. ჩრდ. ოსეთში 1913—14 სასწავლო წელს

¹ Архив СОНИИ, фонд Владикавказского окружного отд. епархиального училищного совета, дело № 112, л. 335—338. შედ. «Сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат С. О., 1942, გვ. 211—222.

² Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, дело 1912 г., 697, л. 80. შედ. «Сборник документов по истории народного образования в Осетии, 1942, გვ. 284.

მოქმედებდა 41 ერთკლასიანი, 9 ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო და განათლების სამინისტროს ანალოგიური ტიპის 13 სკოლა.

ამრიგად, სულ ჩრდ. ოსეთში ორივე უწყების 63 დაწყებითი სკოლა არსებობდა. ოსეთის ისტორიის ერთ-ერთი მკვლევარის სიტყვებით: „ეს სკოლები ატარებდნენ უალრესად საეკლესიო ხასიათს. ისინი წარმოადგენდნენ პატარა ეკლესიებს მოზარდებისათვის“¹. მიუხედავად იმისა, რომ „ეს სკოლები მთის ხალხთა შეგნების ამაღლებაზე, გაღრმავებასა და გაფართოებაზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა“, მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსი ხალხის კულტურული განვითარებისა და მომავალი ახალგაზრდობის აღზრდასათვის.

სამხრეთ ოსთა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქალ-მოსწავლეთა რიცხვი შეადგენდა: 1905 წ. — 65; 1906 წ. — 70; 1907 წ. — 81; 1908 წ. — 127; 1909 წ. — 93; 1912 წ. — 90, ხოლო 1916 — 17 წწ. კიდევ უფრო ნაკლებს. ქალ-მოსწავლეთა რიცხვი სამინისტროს სკოლებში შედარებით უფრო მეტად იზრდებოდა. განათლების სამინისტროს უწყების სკოლებში სამხრეთ ოსეთის მასშტაბით ირიცხებოდა: 1904—1905 სასწ. წელს — 139, ხოლო 1914—15 წწ. — 387 ქალი მოსწავლე.

„კავკასიაში მართლმ. ქრისტიანობის აღმდგ. საზოგადოების“ უწყებაში სამხრეთ ოსეთში ითვლებოდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებშიც ირიცხებოდა:

1905—1906 წწ. — 9 სკოლაში 417 ვაჟი, 67 ქალი;

1909—1910 წწ. — 11 „ 633 „ 93

1911—1912 წწ. — 10 „ 495 „ 90 „

1916—1917 წწ. — 12-მდე სკოლა მოსწავლეთა შემცირებული რაოდენობით.

როგორც ირკვევა, ბავშვები გაუზრდობდნენ უაზრო ზეპირობის, ცხოველური წვრთნისა და რელიგიური დოგმატების უპარგებლო ზუთხვის სისტემას, რომელიც ამ სკოლებში იყო გაბატონებული.

1914 წელს სამხრეთ ოსეთში არსებობდა განათლების სამინისტროს ჯავის, მანღლებისა და ვანათის ორკლასიანი და ერთკლასიანი, ყორნისის, ორტევის, კოშკის, როკის, ზღუბირის, შუა-ერმანის და კეშელთის ერთკლასიანი სკოლები.

გახსნილ იქნა აგრეთვე ცხინვალის I, II, III (1909 წ.), გვერცევის, ხვწეს, წონისის (1910 წ.), გუპტინის, ჭავისთავის, ქუერთის,

¹ «Журнал Министерства народного просвещения», 1917 г. Январь, № 93, С. О. Фарфаровский, «Народное образование у Осетин», გვ. 88.

ტბეთის (1911 წ.), გერის, კვერნეთის, ფრინევის (1912 წ.) და შუ-
შითყანის სამინისტრო სკოლები¹.

სამინისტრო სკოლებისა და მოსწავლეთა შემადგენლობის დინა-
მიკა სამხრეთ ოსეთში 1905—1917 წწ. პერიოდში შემდეგ სურათს
იძლევა:

1904—1905 წწ. — 8 სამინისტრო სკოლა, 415 ვაჟი, 139-ქალი;
1914—1915 წწ. — 20 " " 920 " 387 "

სამინისტრო სკოლების რიცხვი 1917 წელს (1915 წელთან შე-
დარებით) ერთით გაიზარდა².

სტატისტიკური მასალების მიხედვით, ჩრდ. კავკასიის ოსეთში
1913 წელს ითვლებოდა 52 სახალხო სკოლა (10—ორკლასიანი), მათ
შორის ვაჟთა — 18, ქალთა — 12 და შერეული ტიპის—22. სულ ამ
სკოლებში ირიცხებოდა 4116 მოსწავლე (მათ შორის 2905 ვაჟი და
1211 ქალი). დასახელებულ სკოლებს ემსახურებოდა 143 მასწავლე-
ბელი (99 კაცი და 44 ქალი). მასწავლებელთა ამ შემადგენლობი-
დან განათლება მიღებული ჰქონდა: სასულიერო სემინარიაში — 58
კაცს, სასულიერო სასწავლებლებში — 11-ს, ვლადიკავკაის ოსურ
ქალთა თავშესაფარში — 22-ს, სამასწავლებლო სკოლასა და ეპარ-
ქიალურ სასწავლებლებში — 11-ს, გიმნაზიაში — 18-ს, საბელოსო,
სამოქალაქო სასწავლებლებსა და სხვა დაბალი ტიპის სკოლებში — 19,
ბოლო სხვადასხვა სკოლებში — 4-ს³.

მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ სტატისტიკური მონაცე-
მები სკოლის ცხოვრების სურათს გავზიადებულ და ერთგვარად „შე-
ლამაზებულ“ ფორმებში წარმოგვიდგენს, მაშინ ცხადი გახდება, რომ
ეს სკოლები სწავლა-განათლების მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის
მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა.

ბ. საქალაქო და უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლები

დ. ტოლსტოის სარეფორმო ღრნისძიებანი განათლების დარგში
საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და, კერძოდ, საქალაქო სასწავ-

¹ იხ. დოკ. გა დ ი ე ე ი ს დასახელებული ნაშრომი (ხელნაწერი), გვ. 127-130.

² 1961 წლის ივლისში გაიხსნა ჯაყის უმ. დაწყებითი სასწავლებელი (იხ. ფონ-
დი 109, საქმე 416, ფურც. 89, 91, 1917 წ.).

³ საინტერესოა ვიცოდეთ, რომ მახინსკის ორკლასიან სკოლას ხელმძღვა-
ნელობდა ლაერენტე წერეთელი (სემინარიის კურსდამთავრებული). ალა-
გირის ოსურ სკოლაში ასწავლიდა კლავდია მაისურაძე. არხონის სა-
სოფლო სკოლაში მასწავლებლობას ეწეოდა მატრონე ჭაფარიძე, მიზურის სკო-
ლაში — ფილაპე უნგიაძე, ოლგინსკის ქალთა სკოლაში მასწ. — ნადია ვახოციძე
და სხვები (ოსური ეურნ. „ქრისტიანული ცხოვრება“, 1913 წ., № 2, გვ.
146—154).

ლებლების ქსელის გაფართოებაშიაც გამოიხატა. საქალაქო სკოლების ქსელი თავისი სტრუქტურით და შინაარსით კარებს უზუზობდა არა მარტო დაბალი სკოლებიდან გამოსულ მოსწავლეებს, არამედ საშუალო სკოლებში შესვლის მსურველ მშრომელთა ბავშვებსაც.

საქალაქო სასწავლებლების ქსელის გაშლა თერგის ოლქში 1870-იან წლებში იწყება. 1908 წლის ბოლოს ვაჟთა საქალაქო სასწავლებლის რიცხვი ჩრდ. კავკასიაში 21-მდე გაიზარდა, შერეული ტიპისა კი — 6-მდე (სულ 27), რომელშიაც (4645 ვაჟი და 68 ქალი) 4713 მოსწავლე ირიცხებოდა. მათ შორის ეროვნული შემადგენლობის მხრივ სწავლობდა: რუსი — 4151, ქართველი — 47, სომები — 170, თათარი — 7, მთიელი — 169, ხოლო სხვა ეროვნებათა ბავშვები — 169¹.

როგორც ვხედავთ, ჩრდ. კავკასიაში საქალაქო სკოლა თითქმის წმინდა რუსულ სკოლას წარმოადგენდა, სადაც „ინოროდცებთ“ შვილებს კარი დახშული ჰქონდათ. ამ სკოლებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა (წილადები, პროპორციები და სხვ.), ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია და ისტორია, ხატვა-ხაზვა და სიმღერა-მუსიკა, მაგრამ ადგილობრივი ენისა და მწერლობის, კავკასიის ბუნების, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საჭირო ცოდნის შეძენას ნაკლები ყურადღება ექცეოდა². სწავლება მათში რელიგიური და შავრაზმულ-რუსიფიკატორული სულით იყო გაყენებული.

1913—14 სასწ. წელს უმაღლეს-დაწყებითი და საქალაქო სასწავლებელთა რიცხვი და მოსწავლეთა კონტინგენტი თერგის ოლქში ერთგვარად გაიზარდა. მოცემულ პერიოდში ოლქში არსებობდა ორი (კალინოვსკისა და სეიატოკრესტოვსკოეს) ოთხკლასიანი უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი 216 მოსწავლით, რომელსაც 15 მასწავლებელი ასწავლიდა. წლიურად ამ სკოლის ბარჯები 16 6-17 მანეთს შეადგენდა. თერგის ოლქში მოქმედებდა აგრეთვე გეორგიევსკის, კისლოვოდსკის (ვაჟთა), მარინსკის (შერეული), მოზდოკის (ვაჟთა), პროხლანაიას (შერეული) და პიატიგორსკის (ვაჟთა) საქალაქო სასწავლებლები. ზემოაღნიშნული საქალაქო და უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლები (8 სკოლა) 38 კლასს აერთიანებდა 1291 მოსწავლით, რომელთაც 60 მასწავლებელი ასწავლიდა. წლიურად ამ სკოლებზე 80252 მანეთი იხარჯებოდა. ამ სკოლების თითოეულ ბავშვზე სასწავლო გადასახადის რაოდენობა სხვა სკოლებთან შედარებით ნაკ-

1 Н. Рудольф, Образ деятельности Кавказского учебного округа 1908—1912 гг., Тифлис, 1914 г., табл. IV, гз. 11.

2 Очерки по истории педагогики, Сборник статей под редакцией профессора Н. А. Константинова, изд. АПН РСФСР, 1952, гз. 324.

ლები იყო, რაც ხელს უწყობდა (ნაწილობრივ დემოკრატიული ფენების ხარჯზე) მოსწავლეთა კონტინენტის ზრდას, უმაღლეს-დაწვებით და საქალაქო სასწავლებლებში. გლეხებისა და მეშჩანების შვილების რიცხობრივი ზრდა სკოლებში არ შეიძლება იმე წარმოვიდგინოთ, თითქოს საზოგადოების ამ წრის მთელი შემადგენლობა უღარიბესთა ფენას ეკუთვნოდა. გლეხობასა, მეშჩანებსა, ამქრებსა და საზოგადოების სხვა ფენებში ამ დროს აშკარა დიფერენციაცია არსებობდა, რომელთა შეძლებული ნაწილი სასწავლებლებში მოხვედრას უფრო ადვილად ახერხებდა.

უმაღლეს დაწვებით და საქალაქო სასწავლებელთა მატერიალურ სახსრებს (1913—14 სასწ. წელს) შეადგენდა¹:

1. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები	—24 416 მან.—30,87 %
2. სწავლის გადასახადი	— 7 876 „ — 9,81 %
3. საზოგადოებრივი და წოდებრივი თანხები	—12 224 —15,43 %
4. ქალაქის თანხები	—30 429 „ —37,91 %
5. საერობო თანხები	— 8 000 „ — 0,99 %
6. სხვადასხვა შემოწირულებანი	— 255 — 0,99 %
7. სხვა წყაროებიდან	— 1 593 — 1,46 %
8. სპეციალური სახსრები	— 2 259 „ — 3,16 %
სულ:	80.252 მან.— 100 %

1914—1915 სასწავლო წელს თერგის ოლქში უმაღლეს-დაწვებითი სასწავლებლები გაიხსნა ბეკეშევსკოეში (94 მოსწავლისათვის), ვოროვსკოლესკოეში (85 მოსწ.), ნოვოალექსანდროვსკოეში (67), პრასკოვეისკოეში (63) და სუვოროვსკოეში (95 მოსწავლისათვის). საქალაქო სკოლები თანდათანობით უმაღლეს-დაწვებით სასწავლებლებად გადაკეთდა, რომელთა ძირითად მიზანს შეადგენდა უფრო გაფართოებული და ნამდვილი ცოდნის მიცემა საზოგადოების ყველა ფენის ახალგაზრდობისათვის. ცარიზმის პირობებში ეს სასწავლებლები მაინც პრივილეგიურ-კლასობრივი აღზრდის კერად რჩებოდნენ, რადგანაც იგი ადგილობრივ მოსახლეობაში მეფის თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა.

¹ Сборник «Терский округ»... под общей редакцией М. Михеева и Н. Викторова, Пятигорск, 1927, гл. 265—266.

გ. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები

საეკლესიო-სამრევლო, საქალაქო და უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლების გვერდით კავკასიის განათლების სისტემაში ძირითად როლს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, პროგიმნაზიები და რეალური სასწავლებლები, რომლებიც უპირატესად შექმნილ და პრივილეგიურ ოჯახთა შვილებს ზრდიდნენ.

ვლადიკავკავის ვაჟთა გიმნაზიაში 1911 წელს ირიცხებოდა 613 მოსწავლე. ვლადიკავკავის ქალთა I გიმნაზიაში კი იმავე წელს სწავლობდა 765 მოსწავლე; ქალთა II გიმნაზიაში — 360 მოსწავლე; ვლადიკავკავის ქალთა პროგიმნაზიაში — 249 მოსწავლე; ვლადიკავკავის პირველ რეალურ სასწავლებელში — 498 მოსწავლე; მეორე რეალურ სასწავლებელში — 351 მოსწავლე.

განათლების სამინისტროს 12 კერძო სკოლა თერგის ოლქში აერთიანებდა 489 (283 ვაჟი და 206 ქალი) მოსწავლეს; ვლადიკავკავის რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი — 93 მოსწავლეს; ვლადიკავკავის კადეტთა კორპუსი — 594 მოსწავლეს; ამ უკანასკნელში მოსწავლეთა თვალაზრით ნაწილს (215 კაცი) შეადგენდა ტახტის აზნაურთა შვილები. პირადი აზნაურებისა და ჩინოვნიკთა ოჯახებიდან სწავლობდა — 306 ბავშვი, სხვა წოდებიდან — 4, საპატიო მოქალაქეთა და ვაჟების — 53, მეშჩანებიდან — 1, ხოლო კაზაკებიდან — 15.

გარდა ამისა, ვლადიკავკავში მოქმედებდა ვ. ნ. პოლიტოვსკის საექრო სკოლა 38 მოსწავლით, მისივე საბუბჰალტრო კურსები 63 მოსწავლით, ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი 177 მოსწავლით.

ვლადიკავკავის სასულიერო სასწავლებელში 1911 წლისათვის ითვლებოდა 147 მოსწავლე. ამრიგად, 1911 წლის სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ მართო ვლადიკავკავის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში ჩაბმული იყო 2836 მოსწავლე. მათ შორის, ეროვნებათა მიხედვით ირიცხებოდა: რუსი — 1841, ქართველი — 95, სომეხი — 208, თათარი — 25, მთიელი — 320 და სხვები — 347. სოციალური მდგომარეობის მიხედვით: ტახტის აზნაურთა შვილები — 114, პირადი აზნაურებისა და ჩინოვნიკების — 805, სასულიერო წოდებისა — 79, საპატიო მოქალაქეთა და ვაჟებისა — 230, მეშჩანებისა და ამქრების — 792, კაზაკებისა — 219, გლეხების — 508 და სხვების — 89¹.

ასე, რომ ეროვნებათა მიხედვით მოსწავლეთა მაქსიმალურ უმ-

¹ Кавказский календарь, 1913, стр. 168—169, 410—430.

რავლესობას შეადგენდნენ რუსები (1841 მოსწავლე), ხოლო წოდების მხრივ, თავადაზნაურობის, სასულიერო წოდებისა და ვაქართა წრის ახალგაზრდობა (1227), რომელიც საშუალო სკოლებშიც სხვადასხვაგვარი პრივილეგიებით სარგებლობდა.

რაც შეეხება მუშათა შვილებს, პროლეტარიატს. ასეთი სტრატეგიურ ანგარიშებში სრულიადაც არ იხსენიება, ხოლო მეშინა' ე. ი. ამქრებისა და გლეხების შვილებს. რომელთა ერთი ნაწილი ექსპლუატირებულ ფენას მიეკუთვნებოდა, აღნიშნულ სასწავლებლებში მკირე ადგილს იკავებდა.

ეჭვი არაა, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობა, რომელიც კავკასიის შთის ბალხების მღვლვარებას ტონს აძლევდა, განათლების დარგში მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს აუენებდა; რომელიც ბალხისაგან რევოლუციურ-მარქსისტულ გადაწყვეტას მოითხოვდა.

რევოლუციური მოძრაობის განვითარება სასკოლო ქსელისა და მოსწავლეთა შემადგენლობის ზრდა-გაფართოების საქმეზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა. ნელა, მაგრამ მინც, ზოგადასაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი და მოსწავლეთა რაოდენობა იზრდებოდა.

1913--1914 წლებში თერგის ოლქში არსებობდა: ვაქთა გიმნაზია -- 2 (კისლოვოდსკისა და პიატიგორსკის), პროგიმნაზია--2 (24 კლასით, რომელშიც სულ 848 მოსწავლე ირიცხებოდა. ამ სკოლებს 79 მასწავლებელი ემსახურებოდა. ამ სასწავლებელთა წლიური ხარჯები 148.003 მანეთს შეადგენდა.

არსებობდა აგრეთვე 3 რეალური სასწავლებელი (გეორგიევსკის, მინერალური წყლებისა და მოზდოკის) — 19 კლასით, 695 მოსწავლით და 47 მასწავლებლით ამ სკოლების წლიური ხარჯები 1150001 მანეთს უდრიდა.

ვარდა ამისა, ოლქში მოქმედებდა — გეორგიევსკის, კისლოვოდსკის, მინერალური წყლების, პიატიგორსკის, ვორონცოვ-ალექსანდროვსკის ქალთა გიმნაზია და მოზდოკის ქალთა პროგიმნაზია 37 კლასით, 1283 მოსწავლით და 101 მასწავლებლით, რომელზედაც წლიურად 109217 მანეთი იხარჯებოდა¹.

აღნიშნულ სკოლებში. როგორც წესი. უმთავრესად მაღალი წოდების შვილები სწავლობდნენ.

თერგის ოლქის ვაქთა 3 გიმნაზიასა და 1 პროგიმნაზიაში 848 მოს-

¹ Терский округ; Очерки по истории, экономике и советскому строительству Округа, ч. I, Пятигорск, 1927, гл. 261—262.

წელიდან სასწავლო გადასახადის სახით (1913—1914 სასწ. წელს) წლიურად 60—100 მანეთამდე იხდიდა 798 მოსწავლე. გადასახადის მძიმე ტვირთი უმთავრესად „დაბალი“ ფენების შვილებს აწევებოდა. რეალურ სასწავლებელში ირიცხებოდა 659 მოსწავლე, აქედან 622 ბავშვი სასწავლო გადასახადის სახით წლიურად 75—100 მანეთამდე იხდიდა.

ქალთა ექვს გიმნაზიასა და პროგიმნაზიაში სწავლობდა 1283 მოსწავლე. ამ სასწავლებლის თითოეული მოსწავლის სასწავლო გადასახადი წლიურად 30-დან 200 მან. აღწევდა¹.

1914—1915 სასწ. წელს თერგის ოლქში საშუალო სკოლებზე გასაწევი ხარჯების რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან	99 243 მან. 21 კაბ.—20,15 %;
2. სასწავლო გადასახადებიდან აღებული თანხები	172 401 მან. 48 კაბ.—55,23 %;
3. საზ. ორგანიზაციებისა და წოდებრივი თანხები	34 410 მან. 36 კაბ.— 8,32 %;
4. საქალაქო შემოსავალი	23 164 მან. — 6,2 %;
5. შეწირული თანხები	4 384 მან. 25 კაბ.— 1,3 %;
6. ერთდროული შემოწირულება	2 960 მან. 76 კაბ.— 0,6 %;
7. სახ. გან. სამინისტროს სპეც. სახსრები	1 126 მან. — 0,3 %;
8. სხვადასხვა წყაროებიდან შემოსული	31 077 მან. 01 კაბ.— 7,4 %;
9. სასწავლებელთა, სპეც. სახსრები	2 455 მან. 75 კაბ.— 0,5 %;

სულ 371. 222 მან².

წარმოდგენილი ციფრობრივი მაჩვენებლებიდან საკლებით ცხადია, რომ სახელმწიფო ხაზინა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე გაცილებით იმაზე ნაკლებ სახსრებს ხარჯავდა (მაგ. 20, 15%), ვიდრე მოსწავლეთა სასწავლო გადასახადებიდან შეგროვილი თანხები (55,23%) შეადგენდა, რაც სკოლების კეთილმოწყობას და მის სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ხმარდებოდა. სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის საკმაო სახსრებს იღებდნენ აგრეთვე საზოგადოებრივ-ქველმოქმედებითი ორგანიზაციები, სხვადასხვა წოდებანი (8,32%) და კერძო პირები, მაგრამ ეს სახსრე-

¹ ი ქ ვ ე.

² ი ქ ვ ე, გვ. 263.

ბი უმეტეს შემთხვევაში სასკოლო ბინების დაჭირავებას (2.94%), დამატებითი ხელფასების გაცემას (4.1%), მოსამსახურეებზე ერთდროულ დახმარებას (0,7%) და თანამშრომელთა შენახვას (69.1%) ხმარდებოდა.

თერგის ოლქში მასობრივი წერა-კითხვის უცოდინარობა და უმეცრება ბატონობდა. მთავრობის ოფიციალური ცნობებით, 1903 წლისათვის ჩრდ. კავკასიის მამაკაცთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მთელი მოსახლეობის 11,1%-ს შეადგენდა, ხოლო ქალების რიცხვი — 2,1%-ს¹.

საერთოდ, რევოლუციამდელ ჩრდ. რეთში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი დაახლოებით 10—12%-ს შეადგენდა. თერგის ოლქის მოსახლეობის სწავლა-განათლების საერთო ხარჯები 1913 წ. უდრიდა 2 717 094 მანეთს, რომელშიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები მხოლოდ 41,2% შეადგენდა. დანარჩენ თანხებს, როგორც ცნობილია, ჯარის ნაწილები (სამხედრო უწყება), სტანიცები, ქალაქებისა და სოფლების საზოგადოება-თვითმმართველობანი. მოსწავლეთაგან შეგროვილი სასწავლო გადასახადები და სხვადასხვა შეწირულებანი ავსებდა². განათლების ხარჯები მოსახლეობის ყოველ სულზე წლიურად 2 მან. 14 კაპიკს უდრიდა, ხოლო 1 მოსწავლეზე — 44 მან. და 60 კაპიკს, რაც თითოეული ბავშვისგან მიღებული ხარჯების მინიმუმსაც ვერ ანაზღაურებდა. ამრიგად, სახელმწიფო ხაზინა საბალზო განათლებაზე გაცილებით ნაკლებს ხარჯავდა, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც შვილების სწავლა-განათლებისათვის ყოველ ღონეს ხმარობდა.

ქართული სკოლაში ჩრდილოეთ ოსეთში

ქართულ-ოსური კულტურული კავშირის გაღრმავების და კავკასიის ხალხებს შორის საგანმანათლებლო ურთიერთობის განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდ. ოსეთში ქართული სკოლების დაარსებას და გამოჩენილ ქართველ პედაგოგთა მოღვაწეობას.

ძველი ცხოვრების სიღუბჭირე და გარეშე მტრის ხშირი თავდასხმები ბევრს ქართველს აიძულებდა მიეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი, საკუთარი კერა დაეთმო და სხვაგან უძებნა ოჯახის საარსებო პირობების გაუმჯობესების წყარო. საქართველოდან ყმა-გლე-

¹ Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 года, Терская область, 1905, გვ. 11.

² Терский округ, Очерки по истории, экономике и советскому строительству округа, 1, 1927, გვ. 270.

ხოზა ხშირად ჩრდილო-კავკასიაში გარბოდა და უმეტესად, ყიზილ-არში ან მოზდოკის მახლობლად საბლდებოდა. დაქსაქსულად დასახლებულ ქართველებს თავიანთი ბავშვები, ნაწილობრივ რუსულ ან ოსურ სკოლებში შეჰყავდათ, მაგრამ სასკოლო ასაკის ბავშვთა დიდი ნაწილი სკოლის გარეთ რჩებოდა.

გ. ნათაძის მოგონებიდან ცნობილია, რომ „შეძლებული მშობლებიც კი, ღარიბებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბავშვებს თავისი უბნის რუსულ ან ოსურ სკოლებში აბარებდნენ, სადაც ქართულ ენასაც კი ივიწყებდნენ“¹.

ქართული სკოლა დაარსების აუცილებლობა ჩრდ. ოსეთში ცხოვრებია მოთხოვნილებით მომწოდდა. ქართველ მოსახლეთა შეკავშირება და მათ შორის ცოდნის გავრცელება სკოლას შეეძლო.

კავკავის ქართული სკოლის დაარსება წილად ხვდა გამოჩენილ ქართველ პედაგოგს, ილია ჭავჭავაძის პროგრესული ჯგუფის აქტიურ მოღვაწეს. „თერგის ოლქის მთიულთა შორის განათლებისა და ტექნიკური

კური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამაარსებელსა (1883) და ამავე საზოგადოების პირველ თავმჯდომარეს მიხეილ ზაალის ძე ყიფიანს (1833—1891), რომლის უშუალო ხელმძღვანელობით, აღნიშნული სკოლა 1888 წლის 23 ნოემბერს გაიხსნა. ქართული სკოლა კავკავში ოთხკლასიანი უფასო სასწავლებელი იყო, რომელშიაც პირველად 32 ბავშვი სწავლობდა. ეს სასწავლებელი დაქირავებულ ოროთაბიან, სწავლისათვის შეუფერებელ და კეთილმოწყობელ ბინაში გაიხსნა, მაგრამ კავკაველი ქართველები ყოველ ღონეს ხმარობდნენ სახსრების შეგროვებისა და კეთილმოწყობილი სასკოლო შენობის აგებისათვის.



ლუარსაბ ბოცვაძე (1865—1919)

1892 წელს კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლად მიწვეულ იქნა ქართული სკოლისა და კულტურის დიდი მოამბაგე — ლუარსაბ

¹ გაზ. „სახალხო განათლება“, 1963 წ., № 47(1783), 20 ნოემბერი.

გერანიმეს ძე ბოცვაძე (1865---1919). იგი მ. ყოფიანის ღირსეული მემკვიდრე იყო. რომელიც 14 წლის მანძილზე, მთელი თავისი ცოდნა-ენერჯით ემსახურებოდა ჩრდ. ოსეთში ქართული ეროვნული კულტურის შესანიშნავი კერის აღორძინებისა და კავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეს. ამგვარი მუშაობის შედეგად კავკავის ქართული სკოლის მოსწავლეთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. გ. ნათაძის გადმოცემით: „1892 წელს ლ. ბოცვაძე რომ მოვიდა კავკავში, ქართულ სკოლაში მხოლოდ 48 მოწაფე იყო, ხოლო როცა წავიდა—300 მოწაფეზე მეტი. ლუარსაბმა აქაც თავისი უნარიანობითა და მოვალეობის სიყვარულით სკოლის საქმე აუვავებისა და განვითარების გზაზე დააყენა. მოწაფეთა რიცხვმა იმატა, ქართული სკოლის პრესტიჟმა აიწია, ისე კარგა წავიდა სკოლაში სწავლების საქმე, რომ ყველა ქართველი — წოდების განურჩევლად ხალხიანად აბარებდნენ თავიანთ შვილებს ქართულ სკოლაში“¹.

ბოცვაძის ინიციატივითა და მონდომებით კავკაველი ქართველებმა სკოლის ახალი შენობის აგების სამზადისს შეუდგა. „მართლაც მოკლე ხანში, — წერს დამსახურებული პედაგოგი ნინო ბოცვაძე, — კავკავის ერთ მაღლობ ადგილზე ქართული სკოლის ღამაში შენობა წამოიჭიმა. ამ შენობაში მოთავსებული იყო აგრეთვე ქრა-კერვის პროფესიული სკოლა ქალთათვის და სათეატრო დარბაზი, სადაც ქართულ ენაზე იმართებოდა ლიტერატურული საღამოები. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკაველი ქართველებისათვის, რომ მათ პირი ებრუნებინათ ქართული ენისაკენ“². კავკავის ქართული სკოლის განმტკიცებისა და კეთილმოწყობისათვის საკმაო ღონისძიებებს ატარებდა ადგილობრივი, „სამზრუნველო კომიტეტი“, რომელიც მოსახლეობაში აგროვებდა სკოლის შესანახ თანხებს, თვალყურს ადევნებდა სასკოლო საქმის მიმდინარეობას და საჭირო ზომებს იღებდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის.

„კავკავის სკოლა, — „საქართველოს კალენდარის“ ცნობით, — საუკეთესოდ არის დაყენებული. აქვს კარგად მოწყობილი საკუთარი შენობა, ეკლესია, შარშან აიშენა მშვენიერი სათეატრო დარბაზიც. სკოლისათვის თავგამოდებული არიან კავკაველი ქართველები, რო-

¹ გ. ნათაძის „მოგონებიდან“ (გაზ. „სახალხო განათლება“, 1963 წ., № 47. (1783).

² ნინო ბოცვაძე, ნორჩ მეგობრებთან ერთად, „ნაკადულის“ გამოცემა, თბ., 1960, გვ. 177, შდრ. ი. ქკუასელი, ლუარსაბ ბოცვაძე, 1954, გვ. 5—6.

შელთათვისაც იგი ნამდვილი ეროვნული ტაძარია. სკოლაში დაარსებიდან სწავლობდა 1466 მოსწავლე¹.

კავკავის ქართულ სკოლაში სასწავლო გეგმით ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, ზატვა-ზაზვა, სიმღერა და სხვა საგნები.

რუსული ენის ლექსიკურად (ანუ ზეპირსიტყვაობით) შესწავლა პირველი წლის მეორე ნახევრიდან იწყებოდა და გრძელდებოდა წლის ბოლომდე; რუსული წერა-კითხვის სწავლება მეორე წლის დამდეგიდან იწყებოდა².

ლ. გ. ბოცვაძის პედაგოგიური ოსტატობის სახელი იმდენად გაიზარდა, რომ თვით სასწავლო ოლქის მზრუნველი და ინსპექტორ-დირექტორები მასწავლებლებს რჩევისა და მუშაობის მაგალითის მისაღებად ბოცვაძესთან გზავნიდნენ. კავკავის ქართულ სკოლაში ბოცვაძე ბრწყინვალედ ასწავლიდა არა მარტო ქართულს, არამედ რუსულ ენასაც. გამოჩენილი ქართველი პედაგოგის გ. ნათაძის „მოგონებიდან“ ცნობილია, როდესაც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი „სარევიზიოდ“ კავკავის ქართულ სკოლას ეწვია, იგი ბოცვაძის რუსული ენის გაკვეთილებს დაესწრო და დიდი კმაყოფილება გამოთქვა სწავლის საუკეთესოდ დაყენების გამო. რეალური სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს პატივსაცემად მან განაცხადა — გამაკვირვა ქართული სკოლის მოწაფეთა რუსული ენის კარგად ცოდნამო. თერგის ოლქის სკოლების დირექტორი გრუმეცკი სუსტ რუხ მასწავლებლებს ბოცვაძის გაკვეთილებზე დასასწრებლად გზავნიდა³.

კავკავის ქართული სკოლა იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიელ ქართველთა და ოს ხალხთა მეგობრობის სამკედლოს და საერთო კულტურის დიდ კერას წარმოადგენდა.

კავკავის ქართულ სკოლაში ლ. ბოცვაძემ ბევრი გამოჩენილი, ნიჭიერი და საბელჯანთქმული პედაგოგი მიიწვია, რომელთა თავდადებულმა შრომამ ამ სკოლას შორს გაუთქვა სახელი.

კავკავის სკოლაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობდნენ გ. ნათაძე, გ. მიქაბერიძე, ვ. გიორგობიანი და სახალხო განათლების სხვა მოღვაწენი⁴.

ლ. გ. ბოცვაძის ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ კავკავის ქარ-

¹ „საქართველოს კალენდარი“, 1905, გვ. 278.

² იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. 4, გვ. 79—80.

³ გ. ნათაძე, მოგონება ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძეზე, სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერი, № 253.

⁴ ს. ელიაშვილი, „ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლა 75 წლისა“ (ვაზ. „სახალხო განათლება“, 1963 წ., 20 ნოემბერი).

თულ სკოლაში. იაკობ გოგებაშვილი წერდა, რომ იგი (ე. ი. ბოცვაძე) „.....ჩინებული მოღვაწე გამოდგა, სკოლა მშვენიერ ფეხზედ დაყენა, კავკაიის ქართველების გული მოინადირა, კარგი სახალხო ბიბლიოთეკა დააარსა და ქართული ენის გავრცელებას იმ შორეულს ქალაქში ფეხი ააჩქარებინა... წარსულს იენისს კავკაიიდან ჩამოვიდა ბ-ნი ტიტე კახიძე, ჩვენი იქაური სკოლის მზრუნველი, დაგვარწმუნა, რომ ბ-ნი ბოცვაძეს სვინდისიერად, მარჯვედ და მხნედ მიჰყავს საქმე....“¹.

იაკობ გოგებაშვილის თქმით: „...ბ-ნი ბოცვაძე ხშირად ბექდავს გონიერს პედაგოგიურს სტატიებს „მწვემსში“ და ამითი ეხმარება სახალხო და სამრევლო სკოლებს დაყენებას რიგიანსა და ნაყოფიერს გზაზედ. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ბ-ნი ბოცვაძე თავის სკოლაში უფასოდ ასწავლის ქართულს გალობასა და მშვენიერი ქართული ხორა დააარსა. ამისთანა მასწავლებელი სანთლით არის საძებნელი, ქებისა და წაქეზების ღირსია“².

ქართული სკოლის მასწავლებელთა მონაწილეობით ლ. ბოცვაძემ კავკაიში მოაწყო საკვირაო სკოლები, გახსნა სამკითხველო, დააარსა მუზეუმი, შეუძინა მათ წიგნები და ექსპონატები, გააჩაღა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

ბოცვაძის ხელმძღვანელობით სკოლის სათეატრო დარბაზში ხშირად იმართებოდა საღამო-წარმოდგენები და კონცერტები, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასა და მოსწავლე ახალგაზრდობაზე დიდ აღმზრდელით ზეგავლენას ახდენდა³. გამოჩენილი ოსი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი ქართული სკოლის ლიტერატურულ-მხატვრულ საღამოებზე ხშირად კითხულობდა თავის ლექსებს⁴.

ლ. ბოცვაძის ენერგიული შრომით კავკაიის ქართული სკოლა უკვე პირველი რევოლუციის წინ ჩრდ. კავკასიაში ერთ-ერთ მძლავრ ეროვნულ-კულტურულ კერად გადაიქცა.

ეს სკოლა ემსახურებოდა ჩრდილო კავკასიის მთის ხალხებში მშრომელთა კულტურული პროგრესისა და ინტელექტუალურად განვითარების საქმეს. ლ. ბოცვაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის შინაარსიანად და დიდაქტიკის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართავს. 1895 წლის აგვისტოს ცირკულარში სასწავლო ოლქის მზრუნველს მოხსენებული

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. 2, 1954, გვ. 369.

² იქვე, გვ. 369.

³ ი. კეკელიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, თბ., 1964, გვ. 9—10.

⁴ ვახ. „სახალხო განათლება“, 1963 წ. 20 ნომბერი (იხ. ს. ელიაშვილის სტატია: „ორჯონიძის ქართული საშუალო სკოლა 75 წლისა“).

აქვს თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორის აზრი: „ქართული სასწავლებელი ისეთ წესიერ და კარგ ნიადაგზე დგას, რომ ის არა თუ მარტო ასწავლის ბავშვებს, არამედ ზრდის კიდევაც, რასაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს“.

ლ. ბოცვაძეს აქტიურ დახმარებას უწევდნენ მასწავლებლები — გ. ნათაძე, პ. ა. გოთუა, ტ. ვ. კახიძე და სხვები, რომლებიც კავკავის ქართულ სკოლაში ეწეოდნენ პედაგოგიურ მუშაობას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და კეთილმოწყობის საქმეში ქართულ სკოლას დიდ დახმარებას უწევდა კავკავის ქართველ ქალთა „სკოლის დამხმარე კომიტეტი“, რომელშიაც თავდადებული შრომით გამოირჩეოდნენ დ. ხიმშიაშვილისა, ბ. კარგარეთელისა და დ. მოზლო-კელოვის ქალები.

1895 წლის 18 ივნისს მათი ინიციატივით ქართული სკოლის დარბაზში გაიმართა წლიური აქტი. „თუმცა ცუდი ამინდი დაგვიდგა, — წერდა ჟურნალი „კვალი“, — მაგრამ საზოგადოება ისე ბლომად დაესწრო, რომ დარბაზში ვეღარ მოთავსდა, ნახევრობა გარედ იდგა. ნივთები სულ გაიყიდა და შემოვიდა 150 მანეთზე მეტი. წლიური აქტი დაიწყო 12 საათზე. სკოლის ანგარიში წაიკითხა ამავე სკოლის მასწავლებელმა ლ. გ. ბოცვაძემ. მოსწავლეების გუნდმა მასწავლებელ ბოცვაძეს ლოტბარობით მშვენივრად იმღერა ქართული და რუსული სასიმღეროები. ამან კი დიდად ასიამოვნა საზოგადოება. რამდენიმე მოსწავლემ საუცხოოთ წაიკითხა ქართული და რუსული ლექსები. პატარა ლექტორებს საზოგადოება „ვაშას“ ძახილითა და ტაშით აჭილდობდა. კურსდამთავრებულ მოწმობები დაურვიდათ. რამდენიმე მოსწავლეს კი საჩუქრები მიეცა. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა“¹.

სხვა მასალებიდან ირკვევა, რომ „კავკავის ქართული სკოლის ქალთა კომიტეტი“ ჩრდ. ოპეთში სისტემატურად მართავდა საღამო-წარმოდგენებს, კონცერტებს, სახალხო სეირნობას და სხვა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს, რომლის შემოსავალს სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებას ახმარდა.

სკოლის მატერიალური მოღონიერებისა და კეთილმოწყობის გარდა, ამგვარ საქმიანობას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა, რამდენადაც საღამო-წარმოდგენები იზიდავდნენ სხვადასხვა ეროვნებათა ადამიანებს, ხელს უწყობდნენ ქართველების, ოსების,

¹ ჟურნ. „კვალი“, 1895, № 33 გვ. 4—5, იხ. ი. აფანაშვილის კორესპონდენცია: „კიდევ გაუმარჯოს კავკავის მანდილოსნებს“.

² იქვე, № 15, გვ. 11—12.

რუსების, სომხების, თათრების და მთიელთა ტომების ურთიერთდა-
ახლოებას, მათ შორის კულტურული კავშირისა და ძმური ურთიერ-
თობის განმტკიცებას.

კავკავის ქართული სკოლა თავის ირგვლივ იკრებდა არა მარტო
ქართველთ, არამედ მასთან დაახლოებულ სხვა ეროვნებათა შვილებ-
საც. 1901 წლის 26 დეკემბერს სკოლის სასარგებლოდ გამართულ
სადამოს, რომელსაც ლოტბარი კუხიანიძე ხელმძღვანელობდა, შე-
მოსავალმა 1200 მანეთს გადააქარბა. ამასთან დაკავშირებით ჟურ-
ნალი „მწყემსი“ წერდა: „ხალხიცი დიდძალი დაესწრო და უფრო
ს.ხ.ვ.ა.და.ს.ხ.ვ.ა.ო.ბ.ა.ც ეტყობოდა. სადამო დაიწყო ადგილობრივ
სიმღერის მოყვარულთაგან შემდგარ გუნდის სიმღერით, რომელსაც
ლოტბარობდა ბ-ნი კუხიანიძე, სხვაფრივ მორთულობა და მოწყობა
წარსულ წლებს სჭარბობდა. სწორედ რომ აქაურ ქართველთ მცხოვ-
რებთა ძარღვი ამ სკოლაში ფეთქავს, და ღირსეული დაწესებულება
ღირსეულ მოთავეებისა და ხალხის დახმარებით სასურველად ასრუ-
ლებს თავის დანიშნულებას“¹.

ამ ამონაწერში ჩვენს ყურადღებას იქცევს დამსწრეთა
ს.ხ.ვ.ა.და.ს.ხ.ვ.ა.ო.ბ.ა., რაც იმას ადასტურებს, რომ ქართული სადა-
მო-წარმოდგენები და კონცერტები სკოლის გარშემო მრავალ ეროვ-
ნებათა შვილებს აერთიანებდა. ეს სკოლა კავკავის მოსახლეობის
ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა, რო-
მელიც მასებში ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას
ეწეოდა.

ქართული სკოლის დიდ წარმატებებზე, მის მიღწევებსა და ავტო-
რიტეტის ზრდაზე მეტყველებს სახალხო სკოლების ინსპექტორის
მიერ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვები: „...მთელს ღირექციაში ეს
ქართული სასწავლებელი სამაგალითო სასწავლებლად არის მიჩნე-
ული, როგორც სწავლა-აღზრდის მხრივ, აგრეთვე ეკონომიურა-
დაც“².

მართლაც, კავკავის ქართულმა სკოლამ ჩრდ. ოსეთში თავის კედ-
ლებიდან ბევრი ახალგაზრდა გამოუშვა, რომელმაც უდიდესი წვლი-
ლი შეიტანა. ეროვნული კულტურის განვითარებისა და ჩვენს ხალ-
ხებს შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. სკოლის
ამგვარ წარმატებას (ადგილობრივი მოსახლეობის ყოველმხრივ მხარ-
დაჭერასთან ერთად) განაპირობებდა მისი ხელმძღვანელის — ლ. ბო-

¹ ჟურნ. „მწყემსი“, 1902 წ., № 1—2, გვ. 5—6 (გადმობეჭდილია „ცნობის
ფურცელიდან“).

² ჟურნ. „მწყემსი“, 1902 წ., № 1—2, გვ. 5.

ცვაძის დაუღალავი, ენერგიული და თავდადებული მუშაობა. ბოცვაძემ საუკეთესო მუშაობისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში გაწეული დიდი შრომისათვის ქ.შ.წ.კ.გ.ს. გამგეობისა და მისი თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის მადლობა დამსახურა¹.

ქართული სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მთელი კოლექტივი 1905 წლის რევოლუციას თანაუგრძნობდა, რისთვისაც სკოლა პოლიციელებმა ცოტა ხნით კიდევ დახურეს. სკოლის სარდაფში ერთხანს არალეგალური სტამბაც მუშაობდა, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს ბეჭდავდა. კავკავის ქართული სკოლა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ჩრდ. ოსეთში ქართველთა ერთ-ერთ თვალსაჩინო ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებად იქცა.

1908 წლის პირველი იანვრის ცნობებით, ჩრდილო კავკასიაში 8-ათას ქართველ მცხოვრებზე სასკოლო ასაკის 640 ბავშვი მოდიოდა, რომელთაგან ყველა ტიპის სკოლებში სწავლობდა 509 მოსწავლე².

1909 წლის ბოლოსათვის ქართველ ბავშვთა რაოდენობამ აღნიშნულ სკოლებში 509 მოსწავლიდან 679-მდე მიაღწია³, მაგრამ შემდეგ წლებში (1911—1912) კონტინგენტი ქართულ სკოლებში 210 მოსწავლემდე შემცირდა⁴.

პირველი რევოლუციის შემდგომ პერიოდში კავკავის ქართული აკოლა (ჩრდ. კავკასიის სხვა სკოლებთან ერთად), რეაქციის სუსხს განიცდიდა. მშობელთა არასახარბიელო ეკონომიური მდგომარეობა, ბავშვებისათვის ტანისამოსისა და ფეხსაცმელის უქონლობა, ავადპყოფობა, ბავშვთა საცხოვრებელი ადგილის სიშორე და მშობლების „მოუცლელობა“ ხშირად მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენით, სწავლისაგან ბავშვთა ჩამოშორებაში, ცუდათ სწავლასა და აკადემიურ ჩამორჩენილობაში ვლინდებოდა⁵. მოსწავლეთა აკადემიური წარმატება საშუალოდ 83% უდრიდა.

ამ პერიოდში კავკავის ქართულ სკოლას ხელმძღვანელობდა გა-

¹ საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუზეუმის ხელნაწერი, № 28, № 42.

² Н. Ф. Рудольф, Обзор деятельности Кавказского учебного Округа, 1908—1912 гг., Тифлис, 1914, გვ. 14.

³ იქვე, გვ. 22

⁴ ეურნ. „განათლება“, 1913 წ., № 7, იხ. დამატება, გვ. 97—105. ვ. ბურჯანაძის სტატია.

⁵ იქვე, გვ. 97—98.

მოჩენილი ქართველი პედაგოგი ვარლამ ბურჯანაძე, რომელსაც გვერდში ედგნენ მასწავლებლები: გრ. რაზმაძე, ი. რუხაძე, ნ. იოსელიანი, გ. ნათაძე და სხვები. მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობა არასახარბიელო იყო, მაგრამ მთელი კოლექტივი სკოლას თავდადებით ემსახურებოდა.

რუსული ენისა და ქართულის სწავლება ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოთი“ და „დედა ენის“ სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა. ხაზვის სწავლება „ბუშეს“ მეთოდით წარმოებდა¹.

მასწავლებლები უფროს კლასელებს კვირაში ერთხელ ქართულ-რუსულ მოთხრობებს უკითხავდნენ. „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ კავკაზის ქართული სკოლის მოსწავლეთა საყვარელ საკითხავ ჟურნალებს წარმოადგენდნენ. მასწავლებლები აღსაზრდელებს ტექსტის გამომეტყველებით კითხვასა და რებუსების ამოხსნაში ავარჯიშებდნენ. ბავშვები ექსკურსიაზე დაჰყავდათ. ბავშვების მონაწილეობით ეწყობოდა სალიტერატურო საღამოები, იმართებოდა საბავშვო წარმოდგენები („ტყეში“, „ნაძვის ხე“ და სხვ.) და კონცერტები.

სკოლას კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა, რომელიც „განათლებას“, „თემს“, „კოლხიდას“, „სახალხო გაზეთს“, „ჯეჯილს“, „ნაკადულს“, „რუსსკაია სკოლას“, „ნაროდნი უჩიტელს“, „სეობოდნოე ვოსპიტანიის“, „ტერეკს“, „რუსსკოე სლოვოს“, „ზაკავკაზსკი რეჩს“ და სხვ. ჟურნალ-გაზეთებს იღებდა. სკოლა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს საჭირო ლიტერატურითა და სხვა წყაროებით ამარაგებდა.

კავკაზის სკოლასთან მოქმედებდა საკვირაო სკოლაც. 1911 — 1912 სასწ. წლის დასაწყისში საკვირაო სკოლაში 60 მოსწავლე (52 ვაჟი და 8 ქალი) ირიცხებოდა. აქ, მასწავლებლობას ეწეოდნენ: ალ. სვანიძე, ნინო ავალიშვილის ასული, ვ. ბურჯანაძე და ზერეკიძე. მოსწავლეებს სასწავლო ნივთები უფასოდ ეძლეოდათ. აქვე, ქართულ სკოლასთან ქალთა პროფესიული (ჭრა-კერვის) სკოლაც არსებობდა, რომელიც 18 მოსწავლეს აერთიანებდა. ჭრა-კერვას სოფიო გოლას ასული ჩიტაძე ასწავლიდა. პროფესიულ სკოლაში ენერგიულად მუშაობდნენ აგრეთვე ფეოქტისა მიხ. ბაკუნოვას ასული და სოფიო კალანდარაშვილი, რომლებიც კავკაზის სკოლას ყოველმხრივ დახმარებას უწყევდნენ.

მოსწავლეთა ჯანმრთელობის შემოწმებას და სანიტარულ-ჰიგიენ-

¹ ფრანსუა ბუშე (1703—70) ფრანგი გრაფიორი და ფერმწერი, რომლის ფერწერის უდიდესი წარმომადგენელი საფრანგეთში („Большая Советская Энциклопедия, изд., II, т. 6, стр. 415).

ნური რეჟიმის შესრულებას კონტროლს უწევდნენ ექიმები: პავლე გედევანიშვილი, ალექსანდრე ნაუმოვი და მოსე კალანდარაშვილი.

მასწავლებელთა კორპორაციას შეემატნენ: გრ. გორდელაძე, ტრ. შუბლაძე და შემცველი მასწავლებელი ივ. ჩხუბიანი. სკოლის მუშაობაში ექსკურსიების გამოყენებას და კლასგარეშე კითხვას კვლავ ფართო ადგილი ეთმობოდა.

საკვირაო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი — 15 მოსწავლემდე შემცირდა, რის გამოც აღნიშნული სკოლა ე. წ. თ ვ ი თ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს წ რ ე დ გადაკეთდა. ამ წრეში ასწავლიდნენ: ქართველთა ისტორიას (ვ. ჯაფარიძე), ქართულ ლიტერატურას (ვ. ბურჯანაძე), პოლიტიკურ ეკონომიას (გ. გორდელაძე) და სახელმწიფო უფლებას (ელიოზიშვილი).

ჩრდ. კავკასიის მოსახლეობაში ქართული კულტურის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სკოლასთან არსებული ქართული თეატრი. ვლადიკავკავის ქართული თეატრის სცენაზე 1913 წელს წარმოდგენები გამართეს ქართული თეატრის ისეთმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა, როგორც იყვნენ მსახიობი ვალერიან შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ჯავახიშვილი-შალიკაშვილისა და სხვები.

ამავე პერიოდში კავკავის ქართული დრამატული წრის მიერ განხორციელდა ისეთი დადგმები, როგორცაა: ტ. რამიშვილის „მეზობლები“, შიუჯაშვილის „მეგობრობა“, ა. ცაგარელის „ლეკის ქალი გულჯავარ“, გულისაშვილის „ცხოვრება ბრძოლა“, ბალანჩივაძის „კუდიანი ვარსკვლავი“, „საცოლე ერთი საათით“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, აგრეთვე „ორი მშვიერი“ და „პატარა კახიდან“ ერთი მოქმედება¹.

ამ დადგმების განხორციელებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდ. კავკასიის ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების, პატრიოტული გრძნობების გაძლიერებისა და მეზობელ ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. იგი ხელს უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას.

ამ მიზნით ვლადიკავკავის ქართულ თეატრში მასწავლებელთა მონაწილეობით ტარდებოდა ლექციები და სალიტერატურო სადამოყვები. მოხსენებათა თემატიკა მრავალფეროვანი და აქტუალური იყო. მათ შორის წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „ალექსი მესხიშვილის მოღვაწეობა“ (დბადებიდან 30 წ. თავის გამო); ბ) „შოთა რუს-

¹ უფრ. „განათლება“, 1913 წ., № 10, გვ. 150—151.

თაველი“; გ) „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა“ (ვ. ბურჯანაძე); დ) „შანშიაშვილის პოეზიის შესახებ“ (ვ. აბაშიძე); „არჩილ ჯორჯაძე“ (ვ. აბაშიძე); „ქართული სიმღერები“ (ვ. ბურჯანაძე); ზ) „ეგნატე ნინოშვილი, როგორც რეალისტი მწერალი“ (ვ. ბურჯანაძე); თ) „ი. გრიშაშვილის პოეზია“ (ვ. აბაშიძე) და სხვ¹. ამგვარი შინაარსის ლექცია-მოსხენებები კავკავის ქართველ მოსახლეობაზე და მოსწავლე ახალგაზრდობაზე, მათ კულტურულ ზრდასა და შეგნების განვითარებაზე კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენდა. სკოლის მუშაობა ხშირად მოწმდებოდა ზემდგომი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ, მაგრამ მათი „დახმარების“ შედეგი ნაკლებად იგრძნობოდა².

ქ. კავკავიდან დასაუღეთით, დაახლოებით 50—52 კმ. მანძილზე, სოფელ ალაგირის მიდამოებში (1880-იან წლებიდან) ქართველი გლეხები დასახლდნენ. ალაგირში მცხოვრებ 4550 სულიდან ქართველობა თითქმის 114 ოჯახს შეადგენდა.

¹ კავკავის გიმნაზიის მასწავლებელმა გ. კახიძემ მთავრობის წინაშე საკითხი აღძრა ალაგირში ქართული სკოლის გახსნის შესახებ. აღნიშნული სკოლა ფაქტიურად 1897 წელს გაიხსნა. სკოლის ოფიციალურ გამგედ მღვდელი ანდრეევსკი დაინიშნა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა. იგი ფორმალურად საღვთო სჯულის მასწავლებლად ითვლებოდა, მაგრამ, საერთო საგნებთან ერთად, ამ საგანსაც ქართულის მცოდნე სხვა მასწავლებელი ასწავლიდა. ამ სკოლაში სხვადასხვა დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ პავლე ლომთათიძე, ერმილე სირბილაძე, გ. რაზმაძე, ლუდუშაური და მიქიაშვილი. ადგილობრივ მოსახლეობაში სწავლა-განათლების ინტერესის გაძლიერებისა და ქართული სკოლის გახსნის საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის გრ. რაზმაძეს, რომელიც 1912 წლიდან კავკავის ქართულ სკოლაში ასწავლიდა. ვ. ბურჯანაძის გადმოცემით: „პირველი ქართული ხორო ალაგირში მან შეადგინა და პირველი ქართული წარმოდგენები მან გამართა“³.

1912 წელს ალაგირის ქართულ სასწავლებელში 2 მასწავლებელი (გიორგი უთურაშვილი და აგრაფინა ფოცხვერაშვილი) ასწავლიდა;

¹ ეურნ. „განათლება“, 1914 წ., № 1.

² კავკავის ქართულ სკოლაში შემოწმებაზე ყოფილან სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცი, საზოგადოების მთავარ-გამგეობის თავმჯდომარე გ. ყაზბეგი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი და სასკოლო კომისიის წევრი ს. თ. ხუნდაძე, ცნობილი მოგზაური ემანუილ ლაონი, ყოვლად სამღვდლო ეპისკოპოსო დადიანი და სხვები (ეურნ. „განათლება“, 1913 წ. დამატება, № 7, გვ. 97—105).

³ ეურნ. „განათლება“, 1912, № 1, გვ. 58.

ამ პერიოდში აღნიშნულ სკოლაში 100 მოსწავლე (ქალ-ვაჟი) იზრდებოდა.

როგორც ცნობილია, 1911 წლამდე ალაგირის ქართული სკოლა ნაჭირავებ შენობაში იყო, რაც ხელს უშლიდა სწავლა-აღზრდის ნორმალურ წარმართვას. 1912 წელს მოსახლეობამ სკოლისათვის საკუთარი სახსრებით აგურის ახალი შენობა ააგო.

1913 წლის „ანგარიშის“ მიხედვით, ალაგირის ქართულ სკოლაში სულ 98 ქართველი ბავშვი (74 ვაჟი და 24 გოგონა) სწავლობდა ქართულ სკოლას მღვდელი ანდრეევსკი (თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული) განაგებდა. სკოლაში საგნებს გიორგი უთურაშვილი და ნ. ხატისკაცია ასწავლიდა¹.

მეფის რუსიფიკაციის პოლიტიკის განხორციელების პირობებში ქართულ სკოლებს ოსეთში უჭირდა მუშაობა. როგორც ირკვევა, ქართული სკოლის დაარსება ნალჩიკელ ქართველებსაც სურდათ.

გრ. ბურჭულაძის გადმოცემით: „ნალჩიკში სახლობენ რუსები, ყაბარდოელები და ოსები, რომელთაც ამ რამდენიმე წლის წინად შეხიზნებიანთ რაჭიდან მამულის სივიწროვის გამო გადმოსახლებული 10 კომლი“. იმაჟამად (1914 წ. 1 თებერვლისათვის) ნალჩიკში დამის მიდამოებში ყოფილა 47 კომლამდე ქართველი, რომლებიც მტკიცედ ინახავდნენ მამა-პაპურ ქართულ ზნე-ჩვეულებას, მშობლიურ ენას. სასკოლო ასაკის (8—11 წ.) 50 ბავშვისათვის, რომელიც მათ ჰყავდათ, თითოეული კომლი წელიწადში (ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ) ხუთ-ხუთ მანეთს იხდიდა, მაგრამ რუსულ სკოლაში ბავშვები ვერაფერს იგებდნენ და სწავლის გარეშე რჩებოდნენ. ზოგიერთ ქართველს ადგილობრივი სკოლიდან თავისი ბავშვი გაჰყავდა. ამიტომ, წ. კ. გ. საზოგადოების სკოლების მეთვალყურე „საზოგადოების“ ხელმძღვანელობის წინაშე ქართული სკოლის გახსნის საკითხს აყენებდა. შარტო ერთი მასწავლებლის შენახვისათვის იგი „საზოგადოებისაგან“ (ხელფასის სახით) წლიურად 600—700 მანეთს მო-

¹ მაშინდელი ტრადიციის შესაბამისად ახლად აგებული ქართული სკოლის კურთხევის ცერემონიალი 1912 წლის 13 ნოემბერს, დღის 12 საათზე შედგა: ქართულმა ხორომ უთურაშვილის ლობთარობით ქართული „მრავალეამიერი“ შეასრულა. კავკავიდან მიიღეს ოსებ შეილოევის (წ. კ. გ. ს. თავმჯდომარე), მასწავლებლების — ი. ლორთქიფანიძის, გ. ბურდულის, ზ. კიკნაძის, გ. ნათაძის, სარაქიშვილის, ი. სხირტლაძის, იმედაძის (ყაზბეგიდან), ბ. ლუღუშაურისა და ტ. კახიძის (კავკავიდან) მისალოცი დეპეშები. მასწ. ტ. კახიძემ ალაგირის ქართულ სკოლას თვალსაჩინო (სასწავლო) საგნების სურათები შესწირა (ყურნ. „განათლება“, 1912 წ., № 1, გვ. 52—60).

ოთხივედა. რადგანაც ადგილობრივი ქართველობა სკოლის შენაშენის სხვა ხარჯებს თვითონ კისრულობდა¹.

ცარიზმის მოხელეები ადგილობრივი მოსახლეობის „პატარა ერთათვის“ ეროვნული სკოლების გახსნას ყოველმხრივ დაბრკოლებას უქმნიდა. განათლების ზოგიერთი ოფიციალური ისტორიკოსი უახლოეს პერიოდში რუსული სკოლის გამოყენებით ადგილობრივი მოსახლეობის გადაგვარებას წინასწარმეტყველებდა.

„...და აი, რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ ყურს მიაპყრობს მგზავრი კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში ლაპარაკს და უკვე ველარ გაიგონებს სხვადასხვა ენებს, რაც მას დღეს აქ აოცებს... როდესაც კავკასიის განაპირა მოსახლეობა კულტურით გაერთიანდება და სულით შეედინება ცენტრალური რუსეთის მოსახლეობას².

მეფის ტანტის მეხობებე ისტორიკოსებს იმედები არ გაუმართლდათ. კავკასიის ხალხებმა თავიანთი ეროვნული თვითმყოფობა, მშობლიური ენა და კულტურა შეინარჩუნეს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ორჯონიკიძის ქართული სკოლა, რომელმაც 1963 წლის 23 ნოემბერს დაარსების 75 წლისთავი იზეიმა. ოთხკლასიან სკოლიდან ორჯონიკიძის სკოლა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჯერ შეიღწლიან და შემდეგ (1926—27 სააწ. წლიდან) საშუალო სკოლად გადაკეთდა, რომელიც ჩრდ. ოსეთში ინტერნაციონალური აღზრდის მძლავრ კერას წარმოადგენს.

IV. სწავლების შინაარსი, ორბანიზაცია და მეთოდები.

სასწავლო გეგმა

თვითმპყრობელური სკოლა ოსეთში გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების ყურმოჭრილ მონებს ზრდიდა. აქ ყველაფერი შეგუებული იყო გაბატონებული პოლიტიკისა და რელიგიის საჭიროებებთან. ასე, რომ მშრომელთა ბავშვებს ესმოდათ „...მხოლოდ ქადაგება მორჩილების, პასიურობის და ბედის წინაშე ქედმობრილობისა“³. ენგელსის ეს დებულება მთლიანად და სავსებით გამოხატავს არა მარტო XIX საუკუნის ინგლისში მოქმედი სკოლების მუშაობის შინაარსს, არამედ მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ დამონებული პატარა ერების სწავლა-განათლების მდგომარეობასაც.

¹ ეურნ. „განათლება“, 1912 წ., № 1, გვ. 116—117.

² Журн. «Русская школа», 1901, გვ. 76—77, ციტირებულია პროფ. ტ. ხუნდაძის ნაშრომიდან: „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში“, 1939, გვ. 162.

³ ქ. მარქსი და ფ. ენგელსი სახალხო განათლების შესახებ, 1948, გვ. 60.

ცხადია, კ. მარქსი მართალი იყო, როდესაც ამგვარი ბურჟუაზიული მთავრობისა და სკოლებზე ეკლესიის გავლენის შესახებ ამბობდა: ბურჟუაზიული „მთავრობისა და ეკლესიის უოველგვარი გავლენა სკოლაზე თანაბრად გამოსარიცხავიაო“¹.

რუსეთის იმპერიის სხვა კოლონიებისა და, კერძოდ, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ასწავლიდნენ საეკლესიო-სლავიანური წიგნების კითხვას, საღვთო სჯულს, გალობას და წერას ფსალმუნის მიხედვით. უმრავლეს სკოლებში (მაგ.: 1847—1863 წწ.) შემოღებული იყო ქრისტიანული მოძღვრება, მოკლე კატეხიზმი, საეკლესიო გალობა, ანგარიში (ოთხი მოქმედების ფარგლებში) და რუსული ანბანი².

1869 წ. სასწავლო გეგმაში მცირეოდენ ცვლილებათა შეტანის მიუხედავად, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, „ტუზემცური“ ენა, არითმეტიკა, გეომეტრია. ტექნიკური ხაზვა, ე. წ. „თვალსაჩინო სწავლება“ (ცნობები ბუნებისმეტყველებიდან, სუფთა წერა, გალობა, გიმნასტიკა, ხეზე მუშაობა, ხელსაქმეობა) და სხვ., მაგრამ ამ საგნების სწავლებაც ცუდად იყო დაყენებული.

კავკასიის სასწავლო ოლქის სახალხო სკოლების დირექტორების, ინსპექტორებისა და სამასწავლებლო სემინარიებზე დირექტორების თათბირმა, რომელიც კ. თბილისში 1903 წლის 2—13 ივნისის რიცხვებში ჩატარდა, კავკასიის „ტუზემცური“ მოსახლეობის დაწყებითი სამგანყოფილებიანი სახალხო სკოლებისათვის (რომელსაც თითო მასწავლებელი ჰყავდა) გაკვეთილების შემდეგი ცხრილი მიიღო:

1. საღვთო სჯული — 6 სთ;
2. მშობლიური ენა წერით — 4 სთ;
3. რუსული ენა წერით — 12 სთ;
4. არითმეტიკა (რუს. ენაზე) — 6 სთ;
5. სიმღერა — 1 სთ.

ს უ ლ: — 29 სთ.

ამ სასწავლო გეგმიდანაც ცხადია, რომ საერთოდ კავკასიისა და კერძოდ, ჩრდ. კავკასიის „ინოროდცულ“ სახალხო სკოლებში საათების სამმაგი რაოდენობა რუსული ენის შესწავლას ეთმობოდა, ხო-

¹ კ. მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, 1932, გვ. 35—36.

² Истор. Архив ЦАУ ГССР, ф. 139, дело № 12026, лист 5.

³ Журналы собрания директоров и инспекторов народных училищ и директоров учительских семинарий Кавказского учебного округа (2—13 июня 1903 г.), Тифлис, 1903, გვ. 50.

ლო საღვთო სჯულს გამოყოფილი ჰქონდა მშობლიური ენისათვის განკუთვნილ გაცვეთილებზე ერთნახევარჯერ მეტი. არითმეტიკისათვის გამოყოფილი 6 საათი ანგარიშის რუსულ ენაზე სწავლებას ხმარდებოდა.

1903 წლის ივნისის თათბირმა არითმეტიკის სწავლებასთან დაკავშირებით ანტიპედაგოგიური დადგენილება მიიღო: „ინოროგულ სკოლებში არითმეტიკა უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ და მხოლოდ რუსულადო...“ ამისთვის, ანგარიშის სწავლება, მაგალითებისა და ამოცანების გადაწყვეტა მჭიდროდ უნდა დაეკავშირებინათ რუსული ენის სწავლებასთან, რის ნიმუშადაც დასახელებული იყო ლევიცკის „კურსი“¹.

მამასადამე, ოსურ სკოლებში სწავლება ფაქტიურად, თითქმის მთლიანად რუსულად მიმდინარეობდა, რადგანაც ლოცვებიცა და სიმღერა-გალობაც, ადგილობრივი ენის უცოდინარი მასწავლებლის მიერ, რუსულად ტარდებოდა. საერთოდ, საბაზო პირველდაწყებით სკოლებში სწავლების მთელი შინაარსი მხარის რუსიფიკაციისა და ახალგაზრდობის რელიგიური აღზრდის მთავარ მიზნებს ექვემდებარებოდა.

საღვთო სჯული. ყველა საფეხურისა და ტიპის სკოლებში საღვთო სჯული სწავლების „ძირითად საგნად“ იყო აღიარებული. ამ „საგნის“ გადაცემა მასწავლებლის მიერ, უმთავრესად, რელიგიური დოგმატიკის, ე. წ. „წმინდანებისა“ და „სააწულმოქმედთა ცხოვრების“ გაზეპირებას ემყარებოდა, რაც გონებას უხშობდა. სულს უხუთავდა ცოდნისმოყვარე, ნიჭიერ ოს ახალგაზრდობას. სკოლების შემოწმების დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა არა სამეცნიერო დისციპლინების ძირითადი ელემენტების შეთვისების მდგომარეობის გამორკვევას, არამედ იმის გამოვლინებას, ატარებდნენ თუ არა ოსი ბავშვები (ყელზე და მკერდზე) ჭვრებსა და ხატებს. პირველ პლანზე იდგა საღვთო სჯულის სწავლება, რომელიც, როგორც ცალკე საგანი, მორალისაგან დამოუკიდებლად ისწავლებოდა. მაშინ, როდესაც რუსულ ენასა და არითმეტიკაში გამოცდები ორისამი „მფრინავი კითხვით“ თავდებოდა, საღვთო სჯულში ცოდნის შემოწმებას მღვდელი (ან მისი შემცვლელი პირი) 5—6 საათს ანდომებდა². ოსეთის სკოლებში საღვთო სჯულის სწავლას მოსწავლეების ინდიფერენტულად ეპყრობოდნენ. მაჰმადიან ოსთა სკოლებში არც

¹ იქვე, გვ. 59.

² «Журнал Министерства просвещения», 1917, Январь, гв. 98.

მღვდლებმა და არც ბავშვებმა არ იცოდნენ, რას ასწავლიდნენ და რას სწავლობდნენ.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი ოლქის 1908—1912 წწ. „ანგარიში“ დიდ შეშფოთებას გამოთქვამდა მოსწავლეთა სასულიერო-ზნეობრივ აღზრდაში (კერძოდ, საღვთო სჯულის სწავლებაში). სისტემატურად მზარდი „ზარვეზების“ გამო, რომელიც ბოლო დროს თვალსაჩინო მოვლენა გახდა კავკასიის სკოლების ცხოვრებაში¹.

რუდოლფმა მოსწავლეთა მასაში „შექრილ“ ათეისტურ შეხედულებათა წინააღმდეგ საჭიროდ მიიჩნია საღვთო სჯულის სწავლების ხარისხის ამალება, ამ საგნის გაკვეთილების „საინტერესოდ“ და „ცხოვრებასთან კავშირში“ ჩატარება, საღვთო წიგნების კლასგარეშე კითხვის გაძლიერება, საღვთო სჯულის სწავლების მეთოდოლოგიური მხარის გაუმჯობესება და ამ გზით ბავშვებში „ღვთის მიმართ შერყეული რწმენის აღდგენა“².

საღვთო სჯული ყველა სკოლის ყველა კლასში ისწავლებოდა, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ბავშვების ინტერესი მისი შესწავლისადმი თანდათანობით სუსტდებოდა.

მოკლე კატეხიზმი და საეკლესიო გალობა. ეს საგნები ხელს უწყობდა ბავშვთა აღზრდას რელიგიური სულისკვეთებით და მოსწავლეებში ქრისტიანული სარწმუნოების დანერგვას. ამ „საგნების“ სწავლება ლოცვებისა და საღვთისმეტყველო ღაღადის სისტემაზე იყო აგებული. როგორც ვლადიკავკავის მაზრის ბარისა და მთის ოსების სკოლებში, ისე გორის, დუშეთისა და საქართველოს მთიანეთის სხვა მაზრების ოსებში 1880—90 წლებში გაძლიერებულ იქნა საეკლესიო გალობის სწავლება. ვლადიკავკავის ეპისკოპოსის — იოსების წინადადებით „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ გალობის ორი მასწავლებელი იქნა გამოყოფილი, რომელთაგან ერთი (ვლადიკავკავის ტაძრის მთავარი დიაკვანი) ბარის ოსების სკოლებზე იქნა მიმავრებული, ხოლო მეორე — (სალუგარდანის სკოლის მასწავლებელი) — მთის ოსების სასწავლებლებზე. სოფ. ოლუინსკში, ზუმალაგსა და მთის სხვა სოფლის სკოლებში, საეკლესიო საგალობელთა სწავლებას იმდენად დიდი ყურადღება ექცეოდა, რომ ბავშვებს ადვილად შეეძლოთ წარმოეთქვათ: „უფალო შეგვიწყალო“, „წმიდაო ღმერთო“, „მეფეო ზეცათაო“,

¹ Н. Рудольф, Обзор деятельности Кавказского учебного округа, 1908—1912 гг., Тифлис, 1914, гл. 101.

² იქვე.

„ღირს არს კეშმარიტად“ და საერთოდ, საეკლესიო სიმღერებიც: „მრავალყამიერ“ რუსულად და ოსურად. ამგვარი საშუალებებით მეფის თვითმპყრობელობა ცდილობდა ოს ახალგაზრდობაში ქრისტიანობის დანერგვას, ბავშვებში მეფის ერთგულების სულსკვეთების გაღვივებას და მათგან ცარიზმის ერთგულ მსახურთა მომზადებას. ამავე გზით, მთავრობის მოხელეები ცდილობდნენ ოსი ხალხის გაღაბირებას და მეფის ტახტისადმი თავდადებული შინაყმების აღზრდას. ეკლესიისა და სკოლის ზოგიერთ მოღვაწეს მეტად სასიამოვნოდ მიაჩნდათ „ყმაწვილებისაგან ოსურად ოქმული უფალო შეგვიწყალო, წმინდაო ღმერთო და მრავალყამიერ...“¹ მიუხედავად ამისა, ოს ბავშვთა დიდი ნაწილი და მშობელთა უმრავლესობა რელიგიური წესების დაცვის საქმეს, წირვა-ლოცვებსა და საეკლესიო საჯაროებელთა შესრულებას გულგრილად ეკიდებოდა. თვით „საზოგადოებებს“ წარმომადგენელთა აღიარებით: „...სავსებით გასაგებია, კატეხიზმისა და ქრისტიანულ მოძღვრებაში ღვთისმსახურების შესახებ პროგრამების ქრონიკული შეუსრულებლობა“². მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობა იძულებული იყო ეთქვა, რომ საღვთო სჯულის სწავლება, როგორც „...აღზრდის უძლიერესი საშუალება, ოსეთში ვერ არის სათანადოდ გამოყენებული“³. მათი გაჯებით, ოსეთის სკოლებში უფრო საჭიროა რელიგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გაძლიერება, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა გულცივად ეკიდება ღვთისმსახურებას. „ასეთი გულციობა სარწმუნოებაზე, ასეთი რელიგიური ინდიფერენტობი — არა ხალხში არ უნდა იყოს, როგორც ოსებშიაო“, — წერდა გ. ლიხაველი⁴, რომელიც ადგილობრივ ენაზე ლიტერატურის შექმნას, მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღებას ოსი ხალხის ეროვნული კულტურის ვანვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად აღიარებდა.

ოსეთის სკოლებში, ეკლესიის მსახურთა მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რელიგიური დოგმატების ზუთხვას, ქრისტიანულ საგალობელთა გაზეპირებას და სარწმუნოებრივი იღეთების შესრულებას.

პირველდაწყებით სკოლებში მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ

¹ გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 33, გვ. 2.

² Отчет состоявшего под августейшим покровительством ея императорского величества государыни императрицы Марии Федоровны общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907, 33. 70.

³ იქვე, გვ. 71.

⁴ უარნ. „მწვემსი“, 1885 წ., № 2, გვ. 4—5.

საღვთო სჯულის დოგმატებს, წმინდანების მოკლე ისტორიას, რწმენის სიმბოლოებს და ლოცვებს (წიგნაკით: „ქრისტიანული მოძღვრების შესავალი“), საგალობლებს: „სლავსია, ჰლავსია“. „მრავალყამიერ. მრავალყამიერ, მრავალყამიერ, ერთმორწმუნე რუსეთის მეფეს“, „უფალო შეგვიწყალო“, „ბოჟე ცარია ხრანი“ და სხვ.¹ რაც სწავლის-მოყვარე ოს ახალგაზრდობას სკოლას აძულებდა.

არითმეტიკის სწავლება. ამ საგანში მეცადინეობა რიცხვებისა და ციფრების წერა-კითხვით და მექანიკური ვარჯიშებით ამოიწურებოდა. არითმეტიკის პროგრამით ბავშვებს უბრალო 4 მოქმედების, ნუ-მერაციის, სახელდებული რიცხვებისა. გეომეტრიული ნაკვთებისა და საეულები² ელემენტარული ცოდნა მოეთხოვებოდა.

ოსურ ენაში ბავშვებს მარცვლებით თვლას ასწავლიდნენ, მაგრამ სწავლებაში დოგმატური „წესისა“ და რელიგიურ-ვერბალური „მეთოდის“ დანერგვის გამო. ისინი რეალურ ცოდნას ვერ იღებდნენ. მშობლიური ენა ოსთა სკოლებში იშვიათად ისწავლებოდა.

გიმნასტიკა, ხაზვა, ე. წ. „თვალსაჩინო სწავლება“ (ბუნებისმეტყველების ელემენტების გაცნობა) გეგმაში ფორმალურად არსებობდა, ნამდვილად. ამ საგნებში მეცადინეობა უხარისხოდ ტარდებოდა.

რუსული ენა არა მარტო ძირითად სასწავლო საგნად. არამედ ყველა საგნის სწავლების საფუძვლად ითვლებოდა. რუსული ენის პროგრამის მისდევით სწავლობდნენ წერა-კითხვას, ატარებდნენ პრაქტიკულ ვარჯიშს (ე. წ. „ლექსიურ“ გაკვეთილებს), როდონეესკის „როდინადან“ ხდებოდა ადგილების კითხვა და გაზეპირება, წარმოებდა წერიითი კარნახები. მაგრამ სწავლების უვარგისი სისტემისა და უაზრო ზეპირობის გამო. მოსწავლეები საფუძვლიან ცოდნას მაინც ვერ იღებდნენ. „რუსულ ენაში მოსწავლეებმა ისე ცოტა იციან. — ვკითხულობთ „საზოგადოების“ ანგარიშებში, — რომ დამხმარე კითხვების მიცემის დროსაც კი არ შეუძლიათ ორი-სამი წინადადებიდან აზრის გადმოცემა“³.

„რუსულ ენაში... მოსწავლეებმა თითქმის არაფერი არ იციან“, — აღნიშნულია მაშინდელ ოფიციალურ წყაროებში³. აქედან ნათელია,

¹ Известия Северо-Кавказского пед. института, им. М. Ю. Гаднева; т. XIII, 1937, გვ. 274.

² ზემოხსენებულ შეხედულებისა იყო იოსებ იაღლუზიძე, იმ იოანე იაღლუზიძის ნათესავი, რომელმაც ჭართულიდან ოსურად თარგმნა და დაბეჭდა სახარება. ჭართული ანბანის საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი და სხვა წიგნები.

³ საქ. ცსს არქივი, ფონდი 141, საქმე № 896, ფურც. 2—4, საქმე № 649, ფ. 12—15.

რომ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მოსწავლეებს გონებას უხშობდნენ საეკლესიო დოგმატების რუსულ ენაზე ზეპირობით. ამგვარი სკოლების საშუალებით მეფის თვითმპყრობელობა და მისი ეკლესია „...ახალგაზრდა ადამიანის მენსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი — დამახინჯებული“¹.

საეკლესიო-სლავიანური ენა. ოსეთის სახალხო სკოლებში საპატიო ადგილი ეკირა საეკლესიო-სლავიანური ენის სწავლებას. კვირეული საათების რაოდენობა ამ საგანში შეადგენდა:

III განყოფილებაში — 6 გაკვეთილს;

IV	„	—6	„
V	„	—4	„
VI	„	—3	„

I და II განყოფილებაში ისწავლებოდა ოსური ენა, მაგრამ ადგილობრივ ენაზე სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, ხშირად ეს საგანი საეკლესიო-სლავიანური ენის გაკვეთილებით (მაგ. დიგორის სკოლაში) იცვლებოდა². ერთკლასიან სკოლაში საეკლესიო-სლავურ ენას კვირაში 26 გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი, ორკლასიანში—28. თუ ბავშვებს რუსულ სკოლებშიაც ეძნელებოდათ საეკლესიო-სლავიანური ენის შესწავლა, მითუმეტეს რთული იყო მისი შეთვისება ოსი ბავშვებისათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ ელემენტარულადაც არ იცოდნენ რუსული ენა. ოსურს სკოლებში „მოსწავლეები ზეპირად, ყოველგვარი გაგების გარეშე სწავლობდნენ ლოცვებსა და სლავიანურ ტექსტებს“, რაც ბავშვებში სწავლების ამგვარი სისტემისადმი სიძულვილის გრძნობებს აძლიერებდა.

ქართული ენა. 1864—1870 წწ. ქართული ენა ოსეთის ზოგიერთ სკოლაში შემოღებული იყო, როგორც არასავალდებულო საგანი. მეფის თვითმპყრობელობის ცენტრსა და პერიფერიებში მოპარპაშე რუსიფიკატორები ჩვენი ქვეყნის ვერც ერთ კუთხეში ვერ ითმენდნენ ადგილობრივ ენებზე სწავლებას და მითუმეტეს — ოსეთის სკოლებში — ქართულ ენას.

„მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქციაში მოკალათებული შოვინისტები ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ ოსურ სკოლებში ქართული ენა რუსულის გვერდით ისწავლებოდა. აღნიშნული „საზოგადოების“ სელმძღვანელობა დიდმპყრობელ შოვინისტებს მობოდიშებით პასუ-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, 1952, გვ. 344.

² «Журнал Министерства народного просвещения», Январь, 1917, გვ. 98—99.

ხობდა, რომ „ზოგიერთებთან. როგორც მაგალითად, სამხრეთ ოსებთან — ჯავის, კუდარის, მამისონისა და სხვა ხეობებში მტკიცედ სჭარბობს ქართული ენა“¹. მეფის თვითმპყრობელობის ადგილობრივი მმართველობა შეეცადა ოსეთის სკოლებიდან განედევნა ქართული ენა, ოსებს შორის გაეღვივებინა ქართველებისა და ქართული კულტურისადმი სიძულვილი, მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდამდე (ზოგიერთ შემთხვევაში — შემდეგაც) თვითმპყრობელ-კოლონიზატორთა ეს მიზანი დაუბრკოლებლად არ ყოფილა განხორციელებული. ოს ხალხს და მის მოწინავე ინტელიგენციას თავისი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის საჭიროდ მიაჩნდა როგორც დიდი რუსი ხალხის ენის დაუფლება, ისე, მასთან ხანგრძლივ ისტორიულ მეგობრობაში მყოფი ქართველი ხალხის ენისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-გამოყენება, ქართველებთან ძმური კავშირის განმტკიცება.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების ანალოგიური მდგომარეობა იყო სამინისტროს სკოლებშიც. რომლის საშუალებითაც „სასწავლებელთა ხელმძღვანელობა“ ცდილობდა ახალგაზრდობაში შთაენერგა „შიში ღვთისა“, „სიყვარული წმინდისა ეკლესიისა“ და „ერთგულება მეფისა და მამულისა“. ამიტომ ერთკლასიან და ორკლასიან სამინისტრო სკოლებში ისწავლებოდა: 1) საღვთო სჯული (კვირაში — 4 საათი); 2) რუსული ენა (12 საათი); 3) მშობლიური ენა; 4) არითმეტიკა; 5) სიმღერა-გალობა; 6) რუსეთის ისტორია (ორკლასიან სკოლებში); 7) გეოგრაფია; 8) ბუნებისმეტყველება (მოკლე ცნობეზი); 9) ხატვა და 10) გეომეტრიული ცნობები (ორკლასიან სკოლებში).

XX საუკუნის დასაწყისში ოსური პირველდაწყებითი სკოლების სასწავლო მუშაობას საფუძვლად ედო კავკასიის მეფისნაცვლის მიერ 1881 წლის 13 იანვარს დამტკიცებული სასწავლო გეგმა, რომელიც კლასების მიხედვით შემდეგი პროგრამული საკითხების შესწავლას ითვალისწინებდა:

პირველი განყოფილება (ჯგუფი). მ შ ო ბ ლ ი უ რ ე ნ ა შ ი: ლექსითური გაკვეთილების ჩატარება იმ საგნების შესახებ, რასაც ბავშვები თავის ირგვლივ ხედავენ და იმის გარშემო, რაც საანბანო წიგნშია მოცემული; მშობლიური ენის უფრო ადვილად დასაწერი ასოების ნაწილ-ნაწილ წერა, უბრალო სურათების ხატვა; ბავშვისათვის დანახულ და ნაცნობ საგნებზე (ნივთებზე). ან, რომელიმე სურათის შესახებ საუბარი მშობლიურ ენაზე; დედაენაზე კითხვის სწავლების და-

¹ ვახ. „კავკასი“, 1868, № 24.

წყება (მეცადინეობიდან ერთი თვის შემდეგ) ბგერითი მეთოდით. წერის დაწყება იმ საგნებთან და ნივთებთან დაკავშირებით, რაც ბავშვებმა პირველ გაკვეთილებზე ისწავლეს; დედაენის საანბანო წიგნის კითხვაში თანმიმდევრობითი ვარჯიში და წერა-კითხვის სწავლება (4—5 თვეში ანბანის შესწავლა, სოლო სასწავლო წლის ბოლომდე უშეცდომოდ წერისა და კითხვის ჩვევების შეთვისება). გავლილი მასალის ირგვლივ შეკითხვებზე სრული პასუხების გაცემა.

ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა შ ი: ჩხირებისა და სხვადასხვა ნაცნობი საგნების თვლაში მეცადინეობა (100-მდე); იმავე საგნებზე ამოცანების შედგენა 10-ის ფარგლებში და ოთხივე მოქმედებაზე ზეპირი ვარჯიში; ზეპირად ნავარჯიშევე ამოცანებზე (1—20-ის ფარგლებში) წერითი მუშაობა.

რ ე ლ ი გ ი ა შ ი: რელიგიის ისტორიიდან სხვადასხვა ამბებისა და ზღაპრების თხრობა. მშობლიურ ენაზე რელიგიური სურათების აღწერა.

რ უ ს უ ლ ე ნ ა შ ი: სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან რუსული ენის ლექსიური გაკვეთილების ჩატარება (ყოველდღიურად 30—45 წუთი); ნაცნობი საგნების რუსულად ჩამოთვლა, რუსულად თვლა.

ამრიგად, მეორე განყოფილებაში (ჩგუფში) გადასვლისას ბავშვებს უნდა სცოდნოდათ: წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, ზოგიერთი სიტყვების რუსული მნიშვნელობა და ნაცნობი საგნების რუსული სახელწოდებანი, 100-ის ფარგლებში თვლა, ოცამდე უბრალო ამოცანების ამოხსნა, რელიგიური შინაარსის ამბებისა და ზღაპრების დედაენაზე თხრობა და მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა.

მეორე განყოფილება. დ ე დ ა ე ნ ა შ ი: წერა-კითხვის ცოდნა-ჩვევების განმტკიცება. ბავშვის ირგვლივ არსებულ საგნებსა და მოვლენებზე დაკვირვების შთაბეჭდილებათა (მშობლიურ ენაზე) თხრობა-გადმოცემა; წიგნში წაკითხული და შესწავლილი მოთხრობების, ლექსების და იგავ-არაკების უშეცდომოდ მოყოლა. ზეპირად თქმა და ასევე უშეცდომოდ დაწერა.

ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა შ ი: 100-ის ფარგლებში 4 მოქმედებაზე ამოცანების შედგენა-გადაწყვეტა, მიღებული ცოდნა-ჩვევების გაღრმავება და განმტკიცება (მშობლიურ ენაზე); იოლი ამოცანების გამოყვანა და რუსულად ახსნა.

რ ე ლ ი გ ი ა შ ი (ქრისტიანებისათვის საღვთო სჯული) სარწმუნოების (რელიგიის) ისტორიიდან სწავლების პირველ წელს მიღებული ცოდნა-ჩვევების გაღრმავება და განმტკიცება (მშობლიურ ენა-

ზე). რელიგიის მოკლე ისტორიის სწავლება და შესწავლის შინაარსის გადმოცემა.

რუსულ ენაში: წერა-კითხვის სწავლება; პირველსაკითხავ რუსულ საანბანო წიგნში წაკითხული ადვილი ტექსტის შინაარსის მოყოლა (რუსულად).

ამრიგად, მეორე განყოფილების დამთავრებისას ბავშვებს მოეთხოვებოდათ: კარგად და უშეცდომოდ კითხვა (მშობლიურ ენაზე), უშეცდომოდ და ლამაზად წერა; წაკითხულის შინაარსის თხრობა (მშობლიურ ენაზე); რელიგიის (საღვთო სჯულის) ისტორიის მთავარი მომენტები (მშობლიურ ენაზე), ასის ფარგლებში ოთხი მოქმედების წარმოება. ამოცანების გამოყვანა, მაგალითების გადაწყვეტა (მშობლიურ ენაზე) და ახსნა-მსჯელობა როგორც დედაენაზე, ისე რუსულადაც.

მესამე განყოფილება: რუსული წერა-კითხვის ცოდნა-ჩვევების გაღრმავება და განმტკიცება; სწრაფად კითხვა და წერა (ცალ ხაზზე) რუსულად; რუსულ სახელმძღვანელოში წაკითხულის თარგმნა, შინაარსის გადმოცემა და დაწერა მშობლიურ ენაზე. წაკითხულის შინაარსის (რუსულად და მშობლიურ ენაზე) მოყოლა. ადვილად გასაგები წიგნების კითხვა (მშობლიურ და რუსულ ენაზე). რელიგიის სიმბოლოების, „10 მცნების“, ლოცვებისა და „სადღეგრძელოების“ სწავლება (ქრისტიანულ სკოლებში) და მშობლიურ ენაზე ზეპირად წარმოთქმა. „სადილის ლოცვა“ მშობლიურ ენაზე. ჩვეულებრივ და სახელდებულ რიცხვებზე სხვადასხვა ამოცანების გამოყვანა (რუსულად და მშობლიურ ენაზე ახსნით) მთელის დაყოფა ნაწილებად.

ამრიგად, III განყოფილების (ჯგუფის) დამთავრებისას ბავშვებს მოეთხოვებოდათ წერა-კითხვის ცოდნა, როგორც რუსულ. ისე მშობლიურ ენაზე, მათ მიერ შესწავლილი და რუსულად წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა და თარგმნა მშობლიურ ენაზე და პირიქით, დედაენაზე შესწავლილი მასალის რუსულად თარგმნა; წაკითხულის შინაარსის გადმოცემა და დაწერა (მშობლიურ და რუსულ ენაზე); „სადღეგრძელოების“, „სადილის ლოცვისა“ და სხვა ლოცვების ზეპირად წარმოთქმა და მათი მნიშვნელობა; რელიგიური ანდაზები (კატეხიზმიდან) მშობლიურ ენაზე; არითმეტიკის 4 მოქმედებაზე ამოცანებისა და მაგალითების გამოყვანა; წარმოდგენა $\frac{1}{2}$ -ზე და მისი უფრო წვირილ ნაწილებად დაშლა¹.

როგორც ვხედავთ, ოსეთის სახალხო პირველდაწყებით სკოლებ-

¹ ვაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 221, გვ. 2—3 იხ. ვინელის სტატია: „კავკასიის დაწყებითი სახალხო სკოლების 1881 წლის გეგმა“, თარგმნილი ძიბოს მიერ.

ში (1881 წლის სააწავლო გეგმის საფუძველზე) ვათვალისწინებული იყო მშობლიური ენის სწავლება, მაგრამ სინამდვილეში, მის მაგიერ რუსული ან ძველი სლოვიანური ენა ისწავლებოდა. გარდა ლოცვებისა და მოკლე კატეხიზმის დოგმატიკებისა, თვით არითმეტიკის გაკვეთილებიც რუსულად ტარდებოდა, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა სკოლებში სწავლის ხარისხის დაცემას, მოსწავლეთა მორალურ დაქვეითებას, სკოლისადმი მოსახლეობის ინტერესის შესუსტებას და ჩრდ. კავკასიის მთის ხალხების უწიგნურობასა და სიბნელეში დატოვებას.

ერთკლასიან სკოლაში რუსული ენის მართლწერის ელემენტარული წინადადებების სინტაქსურად და უბრალო სიტყვების ეტიმოლოგიურად გარჩევას ასწავლიდნენ.

1909 წელს თერგის ოლქის სახალხო სკოლების მეორე საინსპექციო რაიონის ცხრავე ოსურ სკოლაში საღეთო სჯული, რუსული ენა, საეკლესიო სლავიანური ენა, „ტუზემცური“ (ე. ი. ადგილობრივი) ენა, სუფთა წერა და კალიგრაფია, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია-გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება და სიმღერა-გალობა ისწავლებოდა¹.

საეკლესიო-სლავიანური ენის შესწავლა გუსევის წიგნით ბავშვებს ძლიერ უძნელდებოდათ. ადგილობრივ ენაზე სწავლება (ინსპექტორის მიერ გამორკვეულ 25 სკოლიდან 4 სკოლაში იყო) სკოლების საერთო რიცხვის მეხუთედ ნაწილშიაც ძლივს ხერხდებოდა. აღნიშნულ სკოლებში პირველ წელს სწავლება მშობლიურ ენაზე იწყებოდა. მეორე წელს — პარალელურად (ადგილობრივ და რუსულ ენაზე), ხოლო მესამე წელს — რუსულ ენაზე, სადაც ადგილობრივი ენა ერთ-ერთ სასწავლო საგნად რჩებოდა. უმრავლეს სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა².

მოსწავლეთა ჯგუფი ცალკეულ ფრაზებს ან სიტყვებს ზეპირად სწავლობდა და მასწავლებელს გუნდურად პასუხობდა. პირველ ხანებში დასწავლა მშობლიურ ენაზე წარმოებდა, ხოლო შემდეგ იმავე ფრაზების ან წინადადებათა წარმოთქმა რუსულად ხდებოდა. სასწავლო მასალის (ტექსტის) წაკითხვა და დამახსოვრება, ბავშვებს, როგორც მშობლიურ, ისე რუსულ ენაზეც უხდებოდათ.

მოსწავლეები ძნელად ეუფლებოდნენ რუსულ. სალაპარაკო ენას, უჭირდათ წერა, სასვენო ნიშნების გამოყენება და თავის დროზე ხმის

¹ Материалы по истории Осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат СОНИИ, 1942, стр. 274—279.

² იქვე, გვ. 277.

ამაღლებს, რადგანაც პედაგოგიურ პროცესში უგულვებელყოფილი იყო ვარჯიშის, თვალსაჩინოებისა და სხვა დიდაქტიკური პრინციპებისა და რაციონალური მეთოდების გამოყენება. რუსული ენის სწავლებაში გამოყენებული იყო ორი მეთოდი: ა) თარგმნითი — გრამატიკული და ბ) ნატურალური. პირველი სწავლების ფუნდამენტად დედაენისა და მისი გრამატიკის კანონების ცოდნას აღიარებდა, მეორე კი — ენის უცოდინარობას, მშობლიური ენის გამოუყენებლობას, თვალსაჩინოებაზე და ხმის მსგავსებაზე სწავლების აგებას.

სკოლაში მეტად უხარისხოდ ისწავლებოდა კალიგრაფია და სუფთა წერა. გეომეტრიაში სწავლების სათანადო დონეზე დაყენებას ხელს უშლიდა სახაზავის, ტრანსპორტირის, ცირკულის, ეკერის, საზომი ლენტისა და სხვა გეომეტრიული თვალსაჩინო ხელსაწყოების უქონლობა და მასწავლებელთა დაბალი მომზადება. ისტორიასა და გეოგრაფიაში ორკლასიან სკოლებში (ახსნითი კითხვის მეთოდით) მეფეთა ცხოვრების, მათი ბრძოლებისა და დაბადება-გარდაცვალების ამბები (როჟდესტვენსკის ან პუციკოვიჩის სახელმძღვანელოებით) ისწავლებოდა. გეოგრაფიის გაკვეთილებზე მოსწავლეებს ფიზიკური და მათემატიკური გეოგრაფიის მოკლე ცნობები ეძლეოდათ. ბუნებისმეტყველების სწავლება იმ პროგრამის მიხედვით წარმოებდა, რომელიც ორკლასიანი სკოლებისათვის 1903 წელს სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორების ყრილობამ დაამტკიცა¹.

ბუნებათმეცნიერების სწავლება მოწყვეტილი იყო გარემომცველი ცოცხალი ბუნების გაცნობას, ვინაიდან „ყმაწვილების გონებრივი განვითარებისათვის ... გარემომცველი ბუნების საგნების გაცნობაზე არავითარი ყურადღება არ ყოფილა მიქცეული“².

სიმღერის სწავლება საეკლესიო საგალობელთა შესრულებით ხასიათდებოდა. ოსურ სკოლებში ამგვარ სიმღერებს 1 ან 2 მოსწავლე ან (გუნდური წარმოთქმით) მთელი კლასი ასრულებდა. ხელგარჯილობის სწავლება ვიწროსაქმოსნურ, უტილიტარულ ხასიათს ატარებდა.

მოსწავლეთა ერთ და იმავე კლასში დატოვების ფაქტები არაიშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ხშირად, არც კურსდამთავრებულთა გამოშვება ეწყობოდა. ასე, მაგალითად, ვლადიკავკავის ეპარქიალურ

¹ Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Терской области, зз. 23—30.

² Газ. «Кавказ», № 24, зз. 2.

სასწავლო საბჭოს დადგენილებით. 1900 წელს, 12 საეკლესიო-სამრევლო სკოლიდან მოსწავლეები მხოლოდ 5 სკოლამ გამოუშვა. ასე მაგალითად:

1) არღონის	სკოლამ--250	მოსწავლიდან გამოუშვა	— 7;
2) გიზელის	---	110	--- 3;
3) გადგარონის	---	102	---10;
4) მახჩენაყის	---	122	--- 3;
5) ხრისტიანოვსკის	---	184	--- 4;
სულ		—768	—27 მოსწ.¹

ცხადია, დაწყებითი განათლების სისტემაში ამგვარი სამარცხვინო მდგომარეობა არც სხვა ეპარქიებისათვის იყო უცხო და იგი იმპერიის განაპირა მხარეებში თვითმპყრობელური რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკის მთავარ „ნაყოფს“ წარმოადგენდა.

1912—1913 სასწავლო წელს ჩრდ. ოსეთის 43 ერთკლასიან სკოლიდან სულ გამოშვებულ იქნა 240 მოსწავლე, ხოლო 9 ორკლასიანი სკოლიდან — 30 (მათ შორის 1 ქალი). კიდევ უფრო ნაკლები იყო გამოშვებულ მოსწავლეთა რაოდენობა ქ. ვლადიკავკავის სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომ აქ სკოლების რიცხვი საკმაოდ იზრდებოდა. 1913--1914 სასწავლო წელს ქ. ვლადიკავკავში მოქმედებდა სხვადასხვა ტიპის დაწყებითი სკოლა — 40, რეალური სასწავლებელი — 2, გიმნაზია — 3 (მათ შორის — 2 ქალთა), თერგის კაზაკური სამხედრო ნაწილის სამასწავლებლო სემინარია, მასწავლებელთა ინსტიტუტი, კადეტთა კორპუსი და სხვ., მაგრამ ამ სკოლებში ოსთა ბავშვები ერთეულებს შეადგენდა.

მთიელთა სკოლები. თერგის ოლქში მოცემულ პერიოდში მთიელთა სკოლები არსებობდა ნალჩიკში (დაარსდა 1851—60 წწ.), გროზნოსა (1863 წლის 28 ნოემბერს) და ნაზრანოვსკში (1870 წლის 27 აგვისტოს), რომელიც მოსამზადებელი და ძირითადი კლასებისაგან შედგებოდა.

ასეთი ტიპის ერთ-ერთ სკოლას წარმოადგენდა ვლადიკავკავის მთიელთა საოლქო სკოლა, რომლის სასწავლო გეგმა, საგნებისა და საათების შემდეგ განაწილებას ითვალისწინებდა:

¹ X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, Орджоникидзе, С. О. изд., 1958, გვ. 13.

² Известия Северо-Кавказского педагогического института им. И. Ю. Гадиева, т. XIII, 1937, გვ. 265.

№ №	საგნების დასახელება	მოსამზადებელი კლასები			ძირითადი კლასები			შენიშვნა
		1	2	3	1	2	3	
1	საღვთო სჯული და მუსულმანური ყურანი	1	1	1	2	2	2	ტარდებოდა 2 მასწ. მიერ
2	რუსული ენა: ა) საუბარი ბ) კითხვა გ) სტატიების შესწავლა	5	5	2	—	—	—	
3	არითმეტიკა	3	3	2	5	4	3	
4	გეომეტრია	—	—	—	—	—	2	
5	მათემატიკის ისტორია	—	—	—	—	2	2	
6	რუსეთის ისტორია	—	—	—	3	2	2	
7	გეოგრაფია	—	—	—	—	—	2	
8	ზოოლოგია	—	—	—	—	—	3	
9	ფრანგული ენა	—	—	—	—	—	2	
10	ლათინური ენა	—	—	—	—	—	2	
11	პედაგოგია	—	—	—	—	—	3	
12	ხ ა ტ ვ ა	—	—	—	2	2	1	
13	სუფთა წერა	5	5	3	4	3	—	
14	სიმღერა	3	3	3	3	3	3	
ს უ ლ		17	17	17	23	22	29	

ვლადიკავკავის მთიელთა საოლქო სკოლა (ისე, როგორც სხვა ანალოგიური სასწავლებლები) მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობის ადგილობრივ მოხელეთა კადრების მომზადებას. ამ მიზნით, აღნიშნული ტიპის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საღვთო სჯულის, რუსული ენის, რუსეთის ისტორიის, ფრანგული და ლათინური ენებისა და საეკლესიო გალობის შესწავლას. ბავშვებს ასწავლიდნენ მათემატიკას და რუსეთის ისტორიას, მაშინ, როდესაც მათ არაფერს არაფერს უამბობდა საკუთარი სამშობლოსა და მისი ხალხის ისტორიაზე. მოსწავლეებს აწვდიდნენ მოკლე ცნობებს რუსეთის გეოგრაფიის შესახებ, მაგრამ წარმოდგენასაც არ აძლევდნენ კავკასიის გეოგრაფიაზე და ა. შ.

მთიელთა სკოლებს სამხედრო უწყება განაგებდა. სახალხო სკოლათა დირექტორები, სამხედრო ოლქის უფროსის შეუთანხმებლად ვერც მასწავლებელს ნიშნავდა და ვერც მათ თათბირებს ატარებდა.

მოსწავლეები სკოლაში ყოველდღიურად 8—10 საათს მუშაობდნენ. სასწავლო მასალა ტრაფარეტული, რელიგიურ-დოგმატური, უწინაარსო, მოსაბეზრებელი და არასაინტერესო იყო, რაც მოსწავლეებს სკოლაზე გულს უცრუებდა. რუსულიდან თარგმნილი „უწმინ-

დესი ღვთისმშობელი“. „ლოცვა წმინდისა სულისა“, „ღირსეულ არს“ და სხვა მსგავსი რამ, ცხადია, როგორც ოსი, ისე შთის სხვა ხალხთა ბავშვებისათვისაც გაუგებარი რჩებოდა.

იანე, როგორც მთელს რუსეთში, ჩრდ. კავკასიაშიც საშუალო სკოლებში სწავლება უაღრესად კლასობრივ ხასიათს ატარებდა. ამას ხელს უწყობდა სასწავლო ოლქის მზარუნველის — ნევეროვის პოლიტიკა, რომელიც 1864—1865 წლიდან შეუდგა კავკასიაში 1864 წლის სასწავლო გეგმების პრაქტიკულად განხორციელებას. კავკასიის გიმნაზიის ეს გეგმა გარკვეული ცვლილებებით (1871 წ. 30 ივნისის, 1902 წლის 20 ივლისის და 1915 წლის გეგმები) მეოცე საუკუნის ოქტომბრის რევოლუციამდეც ოსეთშიაც მოქმედებდა.

კავკასიის გიმნაზიის სასწავლო გეგმა¹

№ №	ს ა გ ნ ე ბ ი	კ ლ ა ს ე ბ ი							სულ
		I	II	III	IV	V	VI	VIII	
1	საღვთო სჯული . . .	2	2	2	2	2	2	2	14
2	რუსული ენა . . .	7	7	4	4	5	4	4	35
3	ლათინური ენა . . .	4	5	6	6	6	6	6	39
4	ფრანგული ენა . . .	—	2	2	3	4	4	4	19
5	გერმანული ენა . . .	—	—	—	—	—	—	—	—
6	მათემატიკა . . .	3	3	3	3	4	4	4	24
7	ისტორია . . .	—	—	2	3	4	4	4	17
8	გეოგრაფია . . .	2	2	2	3	—	—	—	9
9	ბუნებისმეტყველება . . .	2	2	2	—	—	—	—	6
10	ფიზიკა-კოსმოგრაფიით . . .	—	—	—	—	2	3	3	8
11	სუფთა წერა, ხაზვა, ხატვა . . .	4	3	3	2	—	—	—	12
12	ადგილობრივი ენა . . .	2	2	2	2	1	1	1	11
ს უ ლ		26	26	23	28	23	23	23	191

იმ დროს, როდესაც გიმნაზიებში რუსულ ენას 35 საათი, ლათინურს — 39, ხოლო ფრანგულს — 19 საათი ეთმობოდა, დედაენას ამ ტიპის სკოლებში კვირაში მხოლოდ 11 საათი ჰქონდა გამყოფილი და ჩრდ. კავკასიის სინამდვილეში მის სწავლებას მინიმალური ყურადღებაც არ ექცეოდა. ამავე დროს, ბუნებისმეტყველებას და ფიზიკა-კოსმოგრაფიისათვის ერთად (8—6) მხოლოდ 14 კვირეული საათი იყო განსაზღვრული, როდესაც მარტო საღვთო სჯულს 14 საათი ჰქონდა დათმობილი. მთელი სასწავლო დროის ნახევარზე მეტი ენების შესწავლას ეთმობოდა, რომელშიც ადგილობრივი ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია სრულიად მივიწყებული იყო.

¹ ს. ს. გ უ ა, საშუალო განათლების ისტორია საქართველოში, 1950, გვ. 65. შტრ. Материалы по реформе средней школы, Примерные программы и объяснительные записки, Петроград, 1915, გვ. 9.

სწავლების მისაწვდომობისა და შეგნებულობის დიდაქტიკური პრინციპების წინააღმდეგ, მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების დონის გაუთვალისწინებლად, სასწავლო გეგმა სწავლების პირველი წლებიდანვე ბავშვებისათვის სამი უცხო ენის (1 კლასში რუსულისა და ლათინურის და მეორეში — ფრანგულის) შესწავლას ითვალისწინებდა. ენების სწავლების ასეთი ანტიპედაგოგიური სისტემა კავკასიის ორივე მხარეში არა მარტო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ თვით ცარიზმის დამხობამდეც გრძელდებოდა¹.

გიმნაზიის 1902 წლის 20 ივლისის სასწავლო გეგმა, როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში, ტიპიურ თავისებურებათა მიხედვით განსხვავდებოდა გიმნაზიის წინანდელი გეგმისაგან და იგი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:²

№ №	ს ა გ ნ ე ბ ი	კ ლ ა ს ე ბ ი			უბერძნულად	ბერძნულით
		I	II	III	IV	IV
1	საღვთო სჯული	2	2	2	2	2
2	რუსული ენა	5	5	4	4	4
3	ლათინური ენა	—	—	5	5	4
4	ბერძნული ენა	—	—	—	—	4
5	მათემატიკა	4	4	4	4	4
6	ისტორია	2	2	2	3	3
7	გეოგრაფია	2	2	2	2	2
8	გერმანული ენა	5	3/3	3	3/4	2
9	ფრანგული ენა	—	3/6	3	4/3	2
10	ბუნებისმეტყველება	2	2	2	—	—
11	სუფთა წერა	2	—	—	—	—
12	ხატვა-ხაზვა	2	2	1	—	—
ს უ ლ .		26	23	28	27	27

როგორც ვხედავთ, ეს გეგმა ითვალისწინებს I კლასის მაგიერ ლათინური ენის III კლასში დაწყებას, მაგრამ სამაგიეროდ პირველ კლასში შეტანილია რუსული და გერმანული ენები, ხოლო II კლ. ფრანგული ენა, რომელსაც IV კლასიდან (ზოგიერთ კლასიკურ გიმნაზიაში შერჩევით) ბერძნული ენაც ემატება.

ამრიგად, 1902 წლის 20 ივლისის გეგმის მიხედვით, I კლასებში სამი უცხო ენა ისწავლება, ამასთან, როგორც პირველ, ისე მეორე კლასშიც (თითოეულში) 9-9 საგნის სწავლებაა გათვალისწინებული, რაც სწავლების დიდაქტიკურ წესებს ყოველმხრივ ეწინააღმ-

¹ ს. სიგუი, საშუალო განათლების ისტორია საქართველოში, 1950 წ., გვ. 58.

² ურნ. „მწყემსი“, 1902 წ., № 15—16, გვ. 15—16.

დეგება. უფროს კლასებში (საგანთა რაოდენობისა და მათი სწავლებისათვის განსაზღვრული საათების მიხედვით) შედარებით უფრო ნაკლები დატვირთვაა დაგეგმილი (მაგ. 8 საგანი), ვიდრე დაბალ კლასებში.

აღნიშნულმა გეგმამ 1905—1915 წლებში გარკვეული ცვლილებები განიცადა. რუსეთის რევოლუციური მოძრაობა და I მსოფლიო ომის მიმდინარეობა გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა სასკოლო ცხოვრებაზეც.

1915 წელს მოქმედი გაკვეთილების ცხრილი კავკასიის გიმნაზიებისათვის ითვალისწინებდა საგნებისა და საათების შემდეგ განაწილებას:¹

№ №	ს ა გ ნ ე ბ ი	კ ლ ა ს ე ბ ი								სულ
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	საღვთო სჯული	2	2	2	2	2	2	2	2	16
2	რუსული ენა	5	5	4	4	3	5	5	4	34
3	ლათინური ენა	—	—	5	5	5	5	5	5	30
4	ფილოსოფ. პროპედევტიკა	—	—	—	—	—	—	2	1	3
5	კანონმცოდნეობა	—	—	—	—	—	—	—	2	2
6	მათემატიკა	4	4	4	4	5	4	4	2	30
7	ფიზიკა	—	—	—	—	—	3	4	3	10
8	ისტორია	2	3	2	4	4	3	2	2	22
9	გეოგრაფია	2	2	2	2	2	—	—	—	10
10	გერმანული ენა	4	3	3	3	3	2	3	2	24
11	ფრანგული ენა	—	5	3	4	3	3	3	3	24
12	ბუნებისმეტყველება	2	2	2	—	—	—	—	—	6
13	ხატვა	2	2	1	—	—	—	—	—	5
14	სუფთა წერა . . .	2	—	—	—	—	—	—	—	2
ს უ ლ .		25	23	28	23	27	27	24	26	217

ამ გეგმის ძირითადი ხარვეზები თითქმის ისეთივეა. რაც კლასიკური გიმნაზიის წინანდელ გეგმებს ახასიათებდა: გიმნაზიის პირველ სამ კლასში ბავშვთათვის უცნობი ოთხი ენის (რუსული — I კლასში, ლათინურის — III-ში; გერმანულისა — I-ში და ფრანგულის — IV კლასში) სწავლებისათვის 111 საათია გამოყოფილი (ე. ი. მთელი სასწ. საათების ნახევარზე მეტი) მაშინ, როდესაც ფიზიკას (10 სთ.), გეოგრაფიას (10 სთ.) და ბუნებისმეტყველებას (6 სთ.) კვირეულად მხოლოდ 26 გაკვეთილი აქვს დათმობილი. გეგმაში საღვთო სჯულს

¹ Материалы по реформе средней школы, Примерные программы и объяснительные записки, изданные по распоряжению министра народного просвещения, Петроград, 1915, гл. 9.

წინანდებურად სავატიო (პირველი) ადგილი უკავია. პირველი სამი კლასისათვის მრავალსაგნიანობაა (8—9 საგანი) და მეტი სასწავლო ტვირთია დამახასიათებელი, ვიდრე უფროსი (V, VI, VII, VIII) კლასებისათვის.

ამ გეგმის დადებით მხარეებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათემატიკაში (30 სთ.), ისტორიასა (22 სთ.) და რუსულ ენაში მეცადინეობისათვის (34 სთ.) საათების მნიშვნელოვანი რაოდენობაა გამოყოფილი, მაგრამ კლასების მიხედვით საგნების არაპროპორციული და ანტიპედაგოგიური განაწილება შესაძლებლობას არ იძლევა გამოყოფილი დროის რაციონალურად და სრულყოფილად გამოყენებისათვის.

რეალური გიმნაზია, როგორც ცნობილია, 1872 წლის 27 თებერვლის გეგმით, რეალურ სასწავლებლად (ექვსწლიანი კურსით) ე. ი. არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა.

1902 წლის 20 ივლისის გეგმით. რეალური სასწავლებლების დასაწყის კლასებში ისწავლებოდა: ¹

№ №	ს ა გ ნ ე ბ ი	I	II	III	IV უბერძნელოდ
1	საღვთო სჯული .	2	2	2	2
2	რუსული ენა	5	5	4	4
3	მათემატიკა	4	4	4	6
4	ისტორია	2	2	2	2
5	გეოგრაფია	2	2	2	2
6	გერმანული ენა	5	8/3	5	4
7	ფრანგული ენა	—	3/6	5	4
8	ბუნებათმეცნიერებები	2	2	2	2
9	სატყუარაზნა	2	2	2	2
10	სუფთა წერა	2	—	—	—
11	ხანძარი	—	—	2	2
ს უ ლ .		26	23	30	30

ეს ის სასწავლო გეგმაა, რომელიც უგულვებელყოფდა ადგილობრივი ენის, ლიტერატურის, მხარის ბუნების, ისტორიისა და გეოგრაფიის ცოდნას და უცხო ენების სწავლებასთან ერთად, სკოლას პრაქტიკულ-უტილიტარულ გეზს და მიზანდასახულებას აძლევდა.

1915 წლისათვის რეალური სასწავლებლების ცხრილი ქვემოთჩამოთვლილი დისციპლინების სწავლებას ითვალისწინებდა: ¹

¹ ურნ. „მწყემსი“, 1902., № 15—16, გვ. 15—16.

² Материалы по реформе средней школы, Петроград, 1915, გვ. 10.

№№	ს ა ზ ნ ე ბ ი	მოხან- ხალებ.	კ ლ ა ს ე ბ ი						დამა- ტება	ჯამი ძ- ლითად კლასებში
			I	II	III	IV	V	VI		
1	საღვთო სჯული	2	2	2	2	2	2	2	14	
2	რუსული ენა	6	5	5	4	4	4	4	20	
3	გერმანული ენა	—	5	4	4	3	3	3	21	
4	ფრანგული ენა (ან სხვა ენები ენა)	—	—	5	5	4	3	2	21	
5	გეოგრაფია	—	2	2	2	2	2	2	12	
6	ისტორია	—	2	2	2	3	3	4	19	
7	კანონმცოდნეობა	—	—	—	—	—	—	2	2	
8	მათემატიკა	6	4	4	4	6	6	6	25	
9	ფიზიკა	—	—	—	—	3	4	3	10	
10	ბუნებისმეტყვე- ლება	—	2	2	2	2	3	2	15	
11	ხატვა	2	2	2	2	2	2	2	14	
12	მუსიკა	—	—	—	2	1	—	—	3	
13	სუფთა წყობა	4	2	—	—	—	—	—	2	
14	საქმის წარმოება და დაეთარმცოდ- ნეობა	—	—	—	—	—	—	—	—	
ს უ ლ . .		22	26	23	20	30	30	30	203	

საღვთო სჯულის გაძლიერებულ კურსთან ერთად, რეალური სკოლის სასწავლო გეგმა, ძირითად მიზნად, ფიზიკა-მათემატიკური, ბიოლოგიური, ახალი ენებისა და სხვა რეალურ მეცნიერებათა სწავლას ისახავდა. მიუხედავად ამისა, ბუნებისმეტყველების საათების რიცხვი (წინანდელთან შედარებით) 23 საათიდან 15-მდე შემცირდა, ისტორიას მხოლოდ 19 საათი გამოეყო, ხოლო მხატვრული ლიტერატურა (რუსეთის, ადგილობრივი და მსოფლიო მწერლობა), ქიმიკა, ადგილობრივი (მშობლიური) ენა და მხარეთმცოდნეობითი სავანებო მთლიანად იქნა მივიწყებული.

ამგვარი სკოლა უმთავრესად პრაქტიკულ-უტილიტარულ მიზნებს ისახავდა, მაგრამ საგიმნაზიო კურსის მნიშვნელოვანი შეკვეცა-შემცირების გამო, იგი ამ ამოცანის შესრულებასაც თავს ვერ ართმევდა. სწავლების ამგვარი სისტემა, ცხადია, მოსწავლეთა საერთო წარმატების დონეზე, მათი მორალური და ფიზიკური აღზრდის საერთო მხარეზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა.

სასწავლო პროგრამები

შესაბამისად სასწავლო გეგმებისა, პროგრამებშიც გარკვეული ცვლილებები მოხდა.

„ახალი საშუალო სკოლის ძირითადი დებულებანი“, რომელიც

XX საუკუნის დასაწყისში „სარეფორმო კომისიამ“ შეიმუშავა, საშუალო სკოლის ძირითად ამოცანად თვლიდა ახალგაზრდობის მომზადებას და აღზრდას (დასრულებული საშუალო განათლებით) უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის. ამასთანავე, საშუალო სკოლის პირველი სამი კლასის კურსი უნდა ყოფილიყო ერთი მთლიანი და დასრულებული სახისა, რათა იმ დაბალი სკოლის მოსწავლეებს, რომელთა პროგრამა საშუალო სკოლის პირველ სამ კლასს უახლოვდებოდა, შესაძლებლობა ჰქონდა მე-4 კლასში შესვლისა, თუ გამოცდებს დაიპყრდნენ იმ საგნებში, რომლებიც დაბალი სკოლების პროგრამაში არ შედიოდნენ და, აგრეთვე, ძირითად საგნებშიაც გამოიჩინდნენ საჭირო მომზადებას.

საშუალო სკოლა აღიარებულ იქნა შვიდკლასიან სკოლად, რომლის პირველი სამი კლასი საერთო და სავალდებულო უნდა გამხდარიყო ყველა მოსწავლეთათვის. აქ, გეგმით გათვალისწინებულ იქნა საღვთო სჯულის, რუსული ენის, სამშობლო და საზოგადო ისტორიის, გეოგრაფიის, არითმეტიკის, ბუნებისმეტყველების, ახალი ენების, ხატვა-ხაზვისა და სუფთა წერის სწავლება.

მ ე ო თ ხ ე კ ლ ა ს ი დ ა ნ , ამ გეგმით, საშუალო სკოლის მოსწავლენი იყოფოდნენ ორ ნაწილად, რომელთაგან ერთნი გაივლიდნენ ბუნებისმეტყველებას და გრაფიკული ხელოვნების დამატებით კურსს, ხოლო მეორენი — ამ საგნების მაგიერ და იმავე საათებში შეისწავლიდნენ ლათინურს. ორივე ჯგუფისათვის საერთო-სავალდებულო საგნებს წარმოადგენდა: საღვთო სჯული, რუსული ენა და ლოგიკა. მშობლიური და საზოგადო ლიტერატურა, კანონმდებლობა, ფრანგული და გერმანული ენები, მათემატიკა, ფიზიკა, კოსმოგრაფია, მშობლიური და საზოგადო ისტორია, გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება. ბერძნული ენა დატოვებულ იქნა არასავალდებულო საგნად მსურველთათვის. „ძირითად დებულებათა“ მიხედვით: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას და სასკოლო დისციპლინას; ამასთანავე, წინანდელზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გიმნასტიკას და ფიზიკურ ვარჯიშობებს, ექსკურსიებს და სეირნობას“¹. ამ გეგმით გათვალისწინებული იყო აგრეთვე სიმწიფის ატესტატის გაუქმება და უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა სათანადო მოწმობებით. ვინც ორივე ძველ ენას შეისწავლიდა, მას უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე უკამოცლოდ შესვლის უფლება ჰქონდა, ხოლო, ვინც მარტო ლათინური იცოდა, მას დამატებით უნდა ჩაებარებინა ბერძნული ენა. არსებული ოთხ-

¹ ურნ. „მწყემსი“, 1901 წ., № 14, გვ. 7-8.

კლასიანი პროგიმნაზიები დაბალ სამკლასიან სკოლებად უნდა ყოფილიყო გადაკეთებული, ხოლო ექვსკლასიანი კი — შვიდკლასიან სკოლებად¹.

„ახალი საშუალო სკოლის სასწავლო პლანის კონსპექტი“ ზოგადსაგანმანათლებლო ტიპის საშუალო სკოლებისათვის, საგნების მიხედვით ითვალისწინებდა შემდეგი უმთავრესი საკითხების შესწავლას:

სადეთო სჯული. სამ უმცროს კლასში შეისწავლებოდა ძველი და ახალი აღქმა, მოკლე კატეხიზმი (დაბალო სასწავლებლის პროგრამის მიხედვით) და ღვთისმსახურების წესები. უფროს კლასებში უცვლელად რჩებოდა კატეხიზმის გაფართოებული კურსი, საერთო და რუსეთის ეკლესიის ისტორია, მართლმადიდებელი ეკლესიის რჯულის მოძღვრება, ხოლო უფროს კლასებში — მართლმადიდებელი ეკლესიის ზნეობრივი მოძღვრება².

რუსული ენა, სიტყვიერება და ლოგიკა. ამ საგნის სწავლების უმთავრეს მიზნად დასახულ იქნა ის, რომ შეაჩვიოს ბავშვები აზრის ცხადად და გარკვევით გამოთქმას (როგორც ზეპირად, ისე წერით), შეასწავლოს მათ (ასაკის შესაბამისად) მოთხრობების (ტექსტის) სწორად და გამოთქმით (გამომსახველობით) წაკითხვა, წაკითხულის თხრობა და დაწერა, მისცეს ბავშვებს მშობლიური ენის გრამატიკის ისეთი ცოდნა. რომელიც უზრუნველყოფს IV კლასში შესაფერისი წერითი სამუშაოს უშეცდომოთ შესრულებას. IV კლასში გათვალისწინებულია სინტაქსისა და ეტიმოლოგიის სისტემატური გამეორება, კითხვა და თარგმნა ოსტომირის სახარებისა, გარჩევა სლავიანური ფორმებისა და რუსულ ფორმებთან მათი შედარება.

მ ე ხ უ თ ე კ ლ ა ს ი დ ა ნ — სიტყვიერების კურსი ითვალისწინებდა რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა კითხვასა და გარჩევას, ყოველ კლასში უცხოეთის ლიტერატურის რჩეული თხზულებების შესწავლას. მეხუთე კლასში შესწავლილ იქნებოდა კანტემირი, ლრნონოსოვი, დერჟავინი, ფონვიზინი, კრილოვი, კარამზინი, უუკოვსკი; დანტეს რამდენიმე ნაწყვეტი და სხვ.

მ ე ე ქ ვ ს ე კ ლ ა ს შ ი — ისწავლებოდა გრიბოედოვი, ზავოსკინი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, გონჩაროვი, ზლაპ-

¹ ურნ. „მწყემსი“, 1901 წ., № 14, გვ. 7—8.

² ი ქ ვ ე. გვ. 10—15. იხ. „ახალი საშუალო სკოლის სასწავლო პლანის კონსპექტი“. შტრ. აგრეჟე: „Материалы по реформе средней школы. Прихер-ные программы и объяснительные записки по каждому предмету, Петроград, 1916, გვ. 1.

რები. ბილინები და ხალხური ლექსები; შილერის, გოეთეს და ბაირონის რჩეული ნაწარმოებები.

მე შვიდე კლასში — ოსტროგორსკი. ლ. ტოლსტოი, ა. ტოლსტოი, დალი, დოსტოევსკი, კირილე და მეთოდე, ნესტორის მატიაწე, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, სოფოკლე, სერვანტესი, შექსპირი, მოლიერი;

ლოგიკიდან: აზროვნების ძირითადი წესებისა და მეთოდების გაცნობა (სინთეზი, ანალიზი, ცნებათა წარმოშობა), სილოგიზმები (ზოგადად, არადაწერილებით);

წერითი სავარჯიშოები (V კლასიდან), განყენებული ხასიათის თეპები (VIII კლასში მოსწავლეებმა თვით უნდა შეადგინონ და დაწერონ ორი თემა).

ლათინური ენა. IV და V კლასში შეისწავლება ეტიმოლოგია, მოკლე სინტაქსი. თარგმნებში ვარჯიშობა და ქრესტომათიის კითხვა.

მე ექვსე კლასში — სინტაქსის გამეორება, საჭირო დამატებით და ქრესტომათიის კითხვა, კორნელი ლეპოტის ადვილი ადგილები კითხვა.

მე შვიდე კლასში — პროზაიკოსებისა და ოვიდუსის „მეტამორფოზების“ ნაწყვეტების კითხვა.

ახალი ენების (გერმანულისა და ფრანგულის) შესწავლა მშობლების სურვილის გათვალისწინებით (ერთისა — პირველი კლასიდან, ხოლო მეორისა — III კლასიდან). პირველ-კლასში საგნების სახელების შესწავლა, ზოგიერთ მოქმედებათა და განყენებულ ცნებათა სახელების შეთვისება, მოკლე წინადადებათა შედგენა, სიტყვებისა და პატარა ტექსტების დაფიდან გადმოწერა (პირველ კლასში უცხო ენის სწავლება სწარმოებდა ე. წ. „ბუნებრივი მეთოდით“).

მე ორე კლასში — უფრო მეტი საგნების სახელების შესწავლა, ნაწყვეტის კითხვა, ადვილ წინადადებათა ზეპირად დასწავლა.

მე სამე კლასში — უფრო რთული პროზაული ნაწყვეტების კითხვა, მოკლე და შედარებით ადვილი ნაწყვეტების ზეპირად დასწავლა (აქვე, პირველ სამ კლასში ბავშვები გზადაგზა ეცნობიან გრამატიკის უსაჭიროეს მასალას — კანკლედობას და ბრუნვას).

მე ოთხე კლასში — კითხვა და თარგმნა უფრო ვრცელი ტექსტებისა. წაკითხული მასალის მოკლე შინაარსის თარობა და ზეპირად გადმოცემა.

მე ხუთე კლასში, იგივე მასალის გაღრმავება და გაფართოება, რაც IV კლასში.

მე ექვსე კლასში — ისტორიული შინაარსის წერილებისა

და მოთხრობების კითხვა და თარგმნა. — წაითავლება შინაარსის თხრობა.

მეშვიდე კლასში — კითხვა და თარგმნა ისეთი წერალებისა და თხზულებებისა, რომლებიც მოსწავლეთა განვითარებას შეეფერებიან; საჭირო გრამატიკული ცნობების შედგენა IV, V და VI კლასებში.

მეორე ახალ ენას III კლასიდან ისევე ასწავლიან. როგორც პირველ ენას I კლასში, IV კლასში გადიან იმავე მასალას. რასაც II და III კლასებში ერთად, ხოლო IV კლასში ორივე ენას თანაბრად.

ისტორია. I და II კლასებში რუსეთის ისტორიის ეპიზოდური კურსის სწავლება. III კლასში მოკლე სისტემატური კურსი რუსეთის ისტორიისა. IV კლასში ძველი და საშუალო საუკუნეების ისტორია კარლოს დიდამდე; V კლასში საშუალო საუკუნეების ისტორია XV საუკუნის ბოლომდე და რუსეთის ისტორია მონგოლების შემოსევამდე; VI კლასში XVI—XVII საუკუნეთა საზოგადო და რუსეთის ისტორიის მთავარი მოვლენების შესწავლა. პროგრამაში ხაზგასმულია მახწავლებლების მიერ ისტორიის არსებითი საკითხების შესწავლისადმი მეტი ყურადღების მიქცევის საჭიროება და „...არა წვრილმანებსა და ქრონოლოგიურ ცნობებზე“ შეჩერება¹.

მათემატიკა. იმავე კურსით და საკითხების მიხედვით ისწავლება, როგორც წინათ. მხოლოდ 8-წლიანი კურსის პროგრამული მასალა შეიდაღ (ე. ი. 7 წელზე) არის განაწილებული.

გეოგრაფია. პირველ კლასში — გეოგრაფიული ტერმინებისა და ცნებების გაგება, რუკის კითხვა, გლობუსი; მეორე კლასში — ევროპული ქვეყნების მოკლე მიმოხილვა (აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია, ოკეანია). ჰიდრო და ოროგრაფია, ჰავა და ხალხი. III კლასში (3 საათი) ევროპის ნაწილები, რომლებიც რუსეთს ესაზღვრებიან, ეკონომიური კავშირით შეერთებული ქვეყნები (საფრანგეთი, ინგლისი, სკანდინავია, ავსტრო-უნგრეთი, სლავიანთა ქვეყნები, ბალკანეთი, ოსმალეთი, გერმანია — 1 საათი), ევროპისა და აზიის რუსეთის მიმოხილვა (2 საათი); IV კლასში — ევროპის გეოგრაფიისა და V—VI კლასებში რუსეთისა და სამშობლოს გეოგრაფიის შესწავლა.

კანონმცოდნეობა ანუ სამართალი. VI კლასიდან იწყება თანმიმდევრობითი ახსნა საკითხებისა: სამართლის ცნება. სამართლის ენციკლოპედია, ზნეობასთან მისი კავშირი: ჩვეულება და კანონი; საკანონმდებლო, სამოსამართლო და ადმინისტრაციული სამართალი; სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები; მეშვიდე კლასში —

¹ ეურნ. „მწეგმისი“, 1901, № 15, გვ. 10—11.

რუსეთის სახელმწიფო სამართალი, მისი დადგენილებანი, ძირითადი კანონები, მართვის ორგანოები. სამოქალაქო სამართალი, პროცესი, სისხლის სამართალი და პროცესი.

ბუნებისმეტყველება. პირველ სამ კლასში სწავლება იმისა, რასაც ბავშვები ხედავენ. ამ კლასებში ბუნებისმეტყველების სწავლება არასისტემატურ ხასიათს ატარებს. მეოთხე კლასში — მინერალოგიისა და ქიმიის (პრაქტიკულ-გამოცდილებით მასალაზე აგებული) მოკლე კურსი;

V კლასში — მოკლე, მაგრამ სისტემატური ყურსი ბიოლოგიისა და ბოტანიკისა; VI კლასში — შემოკლებული კურსი საზოგადო ბიოლოგიისა და VII კლასში — ანატომია და ჰიგიენა¹.

ამ პროგრამის დადებით მხარეებად მიჩნეულ უნდა იქნეს ის, რომ მასში გარკვეული ყურადღება ეთმობა რუსულ და ახალ ენებში გრამატიკულ ვარჯიშებს, რუსული ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებათა, საზღვარგარეთული ლიტერატურის დიდ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლას. ნაკლად მიჩნეული უნდა იქნეს ის, რომ მოსწავლეებს ამ ნაწარმოებთა შესახებ ეძლეოდა არასისტემატური, არა მთლიანი, არა მტკიცე ცოდნა, არამედ ცოდნათა ფრაგმენტები, ნაწარმოებთა ნაწყვეტები და ენის ცალკეული გაზეპირებული კანონები. ფორმულები და წესები, რომელიც რელიგიურ-მისტიკური „საკანონით“ არის „შეზავებული“; ამ საგნის სწავლებას კიდევ უფრო ართულებდა ლოგიკის, ფსიქოლოგიის კანონებისა და განყენებული წერითი სამუშაოების მთელი ტვირთი, რომელიც მოსწავლეთა შეგნებული ცოდნის მაგიერ, სასწორს ფორმალური განათლების მხარეზე ხრიდა.

რუსული ენის პარალელურად ორი უცხო ენის (გერმანულისა და ფრანგულის) სწავლება ნიშნავდა ბავშვებისათვის სრულიად უცხო ენის საშუალებით სხვა ახალი უცხო ენების შესწავლის ანტიპედაგოგიურ საშუალებათა გამოყენებას, მოსწავლეების ინტელექტუალურ შეზღუდვებლობათა გაუთვალისწინებლობის ნიადაგზე ამ საგნების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესუსტებას, რაც თავის მხრივ, აღსაზრდელთა შორის გულგატეხილობას, სკოლისადმი სიძულვილსა და სწავლისაგან მათ ჩამოშორებას იწვევდა.

ჩრდილო კავკასიის სინამდვილეში ამას ხელს უწყობდა ე. წ. „მუნჯური მეთოდი“. რომლის გამოყენებას განათლების სამინისტრო ყველა სკოლას ავალებდა.

ისტორიის სწავლებისას პროგრამის მიხედვით დარღვეული იყო

¹ ჟურნ. „შეყენი“, 1901 წ., № 15, გვ. 10—11.

დიდაქტიკის ელემენტარული წესები, რომლითაც სწავლება ახლობელიდან შორეულსააქენ, ნაცნობიდან — უცნობისაქენ უხდა მიიმართებოდეს. ჩრდ. კავკასიის სკოლებში ისტორიის შესწავლა რუსეთის ისტორიით იწყებოდა. მაშინ. როდესაც (თუნდაც ეპიზოდურ კურსში) ერთი სიტყვითაც არ იხსენიებოდა იმ მხარის ისტორიის შესახებ, რომლის გარემოშიაც ბავშვი ცხოვრობდა და მოქმედებდა. ისტორიის პროგრამებში მივიწყებული იყო ხალხი (როგორც საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა), ისტორიული მოვლენები დაყვანილი იყო ცალკეულ პირთა: — მეფეთა და გმირთა სათავედასავლო ამბების მშრალ თხრობამდე. რომელშიც მიჩქმალული იყო მშრომელთა კლასობრივ ბრძოლებთან დაკავშირებული ისტორიულ-ქრონოლოგიური თარიღები.

პროგრამის მიხედვით „არსებით საკითხებად“ ითვლება მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა და არა ხალხის შრომობასთან დაკავშირებულ „...წვრილმანებსა და ქრონოლოგიურ ცნობებზე“, „შენიერება“. მაშინ როდესაც ხალხის რევოლუციური მოძრაობისა და ქრონოლოგიის გარეშე ნამდვილი ისტორია და ისტორიის კვებარითი ცოდნა არ არსებობს.

გეოგრაფიის შესწავლა სათანადო ტერმინებისა და რუკის წაკითხვით იწყებოდა, მაგრამ დავიწყებული იყო ბავშვის მშობლიური მხარე და მთავარი ყურადღება ევროპისა და სხვა ქვეყნების მოკლე მიმოხილვას ექცეოდა.

საერთოდ ეს პროგრამები რელიგიური სულით იყო გაყდენილი, ემსახურებოდა მხარის რუსიფიკაციის მიზნებს, რომელიც ანჟარიშს არ უწყევდა „ინოროდცული“ ახალგაზრდობის თავისებურებებს და პედაგოგის ელემენტარულ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, სწავლება ბავშვის დედაენაზე უნდა იყოს დამყარებული.

1905 წლის ჯურჟუაზიულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ და რევოლუციის შემდგომმა მოვლენებმა მთავრობა იძულებული გახდა 1915 წლის აპრილში საგანგებო სხდომაზე ემსჯელა რუსეთის ახალი სკოლის, შენებისა და სწავლების საქმის ანლებურად მოწყობის შესახებ¹. 1916 წლიდან მოქმედებაში შევიდა ახალი საწავლო გეგმები და „სანიმუშო პროგრამები“. ზოგადსაგანმანათლებლო

¹ ჟურნ. „მწყემსი“. 1901, № 15. გვ. 10—11.

² ეს სხდომები გრაფ. პ. ნ. ივანტიევის თავმჯდომარეობით ჩატარდა. ახალი სკოლის მშენებლობისა და სწავლების ანლებურად მოწყობის საკითხებზე 1915 წ. 10—27 მაისამდე მუშაობდნენ ცალკე სექციები და კომისიები. მათ მიერ შედგენილი სასწ. გეგმები, პროგრამები და მეთოდური მითითებანი (სათანადო განხილვადმტკიცების შემდეგ) ძალაში შევიდა 1916 წლიდან.

სკოლის ძირითად (უშუალო) მიზნად დასახული იქნა მოსწავლე-თავის საშუალო ზოგადი განათლების მიცემა და არა უმაღლეს სასწავლებელთათვის მათი მომზადება. აღიარებულ იქნა, რომ ახალი სკოლა უნდა იყოს: 1) ეროვნული; 2) თვითსაკმარის (საშუალო) განათლების მიმწოდებელი; 3) შეიღწლიანი და 4) ორი საფეხურისაგან შემდგარი: პირველი — სამწლიანი და მეორე ოთხწლიანი სწავლების კურსით.

საშუალო სკოლებში მისაღებთა ასაკი განისაზღვრება 10--11 წლით, სასწავლო წელი — 32 კვირით, სოლო საზაფხულო არდადეგების ხანგრძლიობა — არა უმეტეს 2½ თვისა. საშუალო სკოლაში შესასწავლი საგნები დაყოფილ იქნა ორ ჯგუფად: ა) საგანმანათლებლო (სადეთო სკული, რუსული ენა, მათემატიკა, გეოგრაფია, ისტორია, ბუნებისმეტყველება) და ბ) აღმზრდელობითი (ფიზიკური ვარჯიში, ხატვა, სიმღერა, პრაქტიკული მეცადინეობა ბუნებისმეტყველებაში).

საგანმანათლებლო საგნებს პირველ სამ კლასში 55 საათი ეთმობოდა, აღმზრდელობითს კი — 22. გარდა ამისა, გეგმის ზევით, საჭირო შემთხვევაში ნებადართული იყო კვირაში 3 საათიანი კურსის დამატებით მიცემა სიმღერა-მუსიკისა, ცეკვისა და ხელგარჯილობისათვის¹. საგნების კლასიფიკაცია—საგანმანათლებლო და აღმზრდელობით დისციპლინებად ანტიპედაგოგიურია, რადგანაც არ არსებობს ისეთი სასწავლო საგანი, რომელსაც სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულების გარდა, არ შეეძლოს აღმზრდელობითი ფუნქციის შესრულება და ამ მიზნისათვის ზეგავლენის ფაქტორად არ იყოს გამოყენებული.

გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის 1915 წლის პროგრამები თავისი შინაარსით ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს უფრო ითვალისწინებდა, ვიდრე წინანდელი სასწავლო პროგრამები..

რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში საკითხების შერჩევა-დალაგების მხრივ იგრძნობა მეტი კონკრეტულობა, სისტემატურობა და ბავშვის საცხოვრებო გარემოს სიახლოვე, გრამატიკული ფორმების, წესებისა და კანონების სწავლების პროცესში სინამდვილის საგნებთან და მოვლენებთან უფრო მჭიდრო კავშირი და ფორმალიზმის დაძლევისაკენ მიზანსწრაფულობა.

მიუხედავად ამისა, რუსული ენისა და ლიტერატურის „სანიმუშო პროგრამები“ ძირითადად მაინც ხასიათდებიან ფორმალიზმის ელე-

¹ Материалы по реформе средней школы, Петроград, 1915, гл. 25.

მენტეობით. ზავშეის ბუნებისადმი ანგარიშგაუწევლობით (სასწავლო მასალით მისი ზედმეტად გადატვირთვით).

ისტორიის ახალი პროგრამებით მეცადინეობის დასაწყისი ითვისებისწინებდა მოსწავლეთათვის „მშობლიური ადგილისა“ და „სამშობლო მხარის“ შესახებ ელემენტარული ცოდნის მიცემას, მაგრამ, იგი ახალგაზრდობას უფრო რუსეთისა და სხვა ქვეყნების მეფეთა ისტორიის, მათი დაბადება-გარდაცვალებისა და ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების ცოდნას აძლევდა, ვიდრე ხალხისა და საზოგადოების კლასობრივი ბრძოლის განვითარების სწორ გაშუქებას, მის მეცნიერულ ახსნას და ქეშმარიტ გაგებას. ასეთივე აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ სხვა საგნების პროგრამების შესახებაც, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ პროგრამებს წინანდელთან შედარებით ცხოვრებასთან სიახლოვე ახასიათებდა. განსაკუთრებით, ეს შეიძლება ითქვას მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიისა და სხვა ისეთ საგანთა პროგრამების შესახებ, რომელთა მიხედვითაც სწავლების პროცესში თეორიული საკითხების გაშუქება საჭიროებდა მრავალსახოვანი ცდების დაყენებას, პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, სხვადასხვა თვალსაზირო ხელსაწყო-მოწყობილობათა გამოყენებას და სასწავლო ვარჯიშების მოწყობას, რაც ხელს უწყობდა სკოლასა და ცხოვრებას შორის არსებულ „ნაპრალის“ ერთგვარ შემცირებას.

ოსური სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები

XVIII საუკუნის 50—60-იანი წლებიდან ელემენტარული სკოლების წარმოშობა-განვითარებამ ოსეთში წიგნების გამოცემის აუცილებლობა გამოიწვია. წიგნები ეკლესიას ჩრდილოეთ კავკასიის მთისა და ბარის მოსახლეობაში „მართლმად. ქრისტიანობის აღდგენისა“ და „მეფისა და ღვთის ერთგულ მსახურთა“ აღზრდისათვის სჭირდებოდა. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ოსეთში სახელმძღვანელოთა გამოცემის პირველი ინიციატორები უმთავრესად სასულიერო (საეკლესიო) მოღვაწენი იყვნენ. ქართულიდან პირველი ხელთაწერი სასკოლო სახელმძღვანელოების ოსურად თარგმანის ინიციატივა (1747—1753 წწ.) ილუმენ გრიგოლს მიეკუთვნება. ამ სახელმძღვანელოებს, რა თქმა უნდა, რელიგიური შინაარსი, პრიმიტივიზმი და დიდაქტიკური გაუმართაობა ახასიათებდათ.

I. ოსურ ენაზე პირველი ბეჭდური სახელმძღვანელოს შექმნის ისტორია გამოჩენილი ქართველი მწერლის, მეცნიერის, კულტურის დიდი მოღვაწის, თელავის სემინარიის ყოფილი რექტორის (1782), მოზდოკში ქართული სტამბის ფუძემდებლის (1796—1801) ეპისკო-

პოს — გაიოზის (გაის) სახელთან არის დაკავშირებული. მან, ოს მღვდელ პავლე გენცაუროვთან ერთად, საეკლესიო-სლავიანურ გრაფიკზე დაფუძნებით შეადგინა ოსური ანბანი, რომლის შედგენისას გამოიყენა კატეხიზისი. და ოსურად თარგმნა „Начальное учение человека христія учиться книгъ божественности писанія“ (მოს-



41

გაიოზ რეჭორი — ბარათაშვილი (1796—1801)

კოვი, 1798 წ.), რომელსაც რელიგიური შინაარსისა და მიზანდასახულობის მიუხედავად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ოსური დამწერლობის, წიგნიერების და კულტურის აღმავლობისათვის¹. ამ წიგნის

¹ პროფესორ ბ. ალბოროვის ცნობით, ოსური ენის პირველი სახელმძღვანელო გაიოზ ბარათაშვილმა (მღვდელ გენცაუროვის მონაწილეობით) შეადგინა (Б. А. Лобров, Осетинские знаки письма, Дзауджикау, 1929).

მეორე გვერდზე ანბანური რიგით წარმოდგენილია 45 საეკლესიო-სლავიანური და სამოქალაქო რუსული 39 ასო. მესამე და მეოთხე გვერდზე მოთავსებულია ორასოიანი ღია მარცვალთა ტაბულა, სადაც ყოველი თანხმოვანი ბგერა შეერთებულია ხმოვანი ანბანის რიგთან — Ёа, Ёа. Га.. Ёс, Ёс. Ге.. და სხვ. ამავე წესით, მე-5, მე-6. და მე-7 გვერდებზე სამასოიანი ღია მარცვლებია წარმოდგენილი: Бра, Бра. Гра... Бре. Вре. Гри... და ა. შ. მე-8 გვერდზე მოცემულია სლავური ანბანი ასოების რიგის მიხედვით. მე-9 და მე-10 გვერდებზე ახსნილია შემოკლებულად დაწერილი სიტყვები, მე-11 და მე-12 გვერდებზე ასოების ციფრობრივი მნიშვნელობა, ხოლო მე-13 გვერდზე წარმოდგენილია 8 ასო (მათ შორის ექვსი — ორმნიშვნელოვანი), რომლებიც ოსური ენის საკუთარ თანხმოვან ბგერებს აღნიშნავენ. მე-14 გვერდზე „მოკლე კატეხიზისია“ მოცემული. ხოლო ამის შემდეგ ქრისტიანული რელიგიიდან რუსულად დასმული კითხვები და პასუხები, რაც მე-15 გვერდზე თარგმნილია ოსურად. ტექსტის რუსული (მარცხნივ) და ოსური (მარჯვნივ) დალაგება — ხმის ამაღლების, მახვილის, რბილი გამოთქმებისა და სხვა გრამატიკული ნიშნების დართვით ბოლომდე (56 გვერდის ჩათვლით) გრძელდება. გაი-

ბ. ბ. ბიგულაევის მცდარი გაგებით, პირველი ოსური საანბანო წიგნის ავტორობა არა გაიოზ ბარათაშვილს, არამედ გაი ტოკაოვის მიეკუთვნება (К. Бигулаев, Краткая история осетинского письма, Орджоникидзе, 1932, გვ. 17). ასეთივე არასწორი მოსახრებას გამოთქვამს ა. ბიხროვი, რომელიც დასახელებული წიგნის ავტორობას მღვდელ გენცაფროვს მიაწერს, ხოლო მისი გამოცემის ხელნაწილს — გაიოზ ბარათაშვილს (А. Бихров, Методика преподавания осетинского языка, 1960, გვ. 20).

ენისაც საფუძვლიანად შეუსწავლია გაიოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა (იხ. პროფ. ე. აბაევის, პროფ. ბ. ალბოროვის, პროფ. ნ. ტოტოევის და სხვათა გამოკვლევები), არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა რუსულ და ოსურ წყაროებში მოხსენიებული არქიმანდრიტი გაიოზი, გაი ტოკაოვი და გაი ერთი და იგივე პირი — გაიოზ ბარათაშვილია, რომლის საანბანო წიგნმა (პირველი გენაცაფროვის მონაწილეობით), ახალგაზრდა მკვლევარის — გ. ა. შამიევის სიტყვებით რომ ვთქვათ, უდიდესი როლი შეასრულა ოსური კულტურისა და წიგნიერების განვითარებაში (Г. Мамиев, Принципы составления первоначального учебника осетинского языка „ИРОН АЕВЗАГ“, იხ. საქანდიჯატო დასჯრტაცია, 1962, გვ. 20—21. ნაშრომი იხსნება ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის არქივში).

ოზის სახელმძღვანელო ასოთმეერთების მეთოდით არის შედგენილი, რაც დასწავლის მხრივ დიდ სირთულეს შეიცავს. მიუხედავად ამისა, მან მოკემულ ეტაპზე პროგრესული როლი შეასრულა ოსურ ენაზე წიგნიერების დაფუძნება-გავრცელებისა და ოსური კულტურის განვითარების საქმეში¹.



გაიოზ ბარათაშვილის მიერ შედგენილი
კატეხიზისის თავფურცელი

1824 წელს (ქართულ-ოსური პარალელი ტექსტებით) „გამო-

¹ Г. А. Мамиев, Принципы составления первоначального учебника осетинского языка «ИРОН АЕВЗАГ», кандидатская диссертация, 1962. გვ. 20—21.

² „ცნობის ფურცელი“, 1899 წ., № 779, გვ. 3. № 780, გვ. 2.

³ ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1941, გვ. 90—91.

სკოლებში სახმარ დაშ-
მარე წიგნთა შორის აღსა-
ნიშნავია მოსკოვის ქართულ
სტამბაში გამოცემული „ოს-
ური ანბანი ქართული ასო-
ებით“. 1786 წელს მოზდოკ-
ში დაბეჭდილი „ოსურ-ქარ-
თული ლოცვანი“, აგრეთვე
ფსალმუნი ოსურ ენაზე და-
ბეჭდილი ხუცური ასოებით
(1794 წელს), რომელთაც
გარკვეული მნიშვნელობა
ქონდა ოსური დამწერლო-
ბის განვითარებისათვის².

11. 1836 წლამდე ოსეთის
სკოლებში იალღუზიძის მი-
ერ თარგმნილი სახელმძღვა-
ნელოები იხმარებოდა.


1820 წელს ქ. თბილისში
გამოქვეყნებულ იქნა „სა-
ციკრონი ლოცვანი“ ანუ
„წიგნი ესე ლოცვანი, კატე-
ხიზმოსი და მოკლე ქრისტი-
ანიზმი-ზნეობითი სწავლა“
პარალელური (მარცხნივ ქარ-
თული და მარჯვნივ ოსურ-
რი) ტექსტებით, რომელიც
იოანე იალღუზის ძის მიერ³
იყო თარგმნილი³. 1821 წ.
მოსკოვის სტამბაში (ნუსხა-
ხუცურით) ქართულ-ოსური
პარალელური ტექსტებით
დაიბეჭდა „კონდაკი“, ხოლო

კრებილი კუროთხევანი“. იალღუზიძემ 1802 წელს შეადგინა ოსური ანბანი, რომელსაც საფუძვლად ქართული (აბუჯური) შრიფტი დაედო. 1821 წელს გამოცემულ იქნა მისი ოსური ანბანი, რომელიც კავკასიის ორივე მხარის ოსურ სკოლებში იხმარებოდა. როგორც სასწავლო სახელმძღვანელო. ეს წიგნი თავისი რელიგიური შინაარსით, ბავშვებისათვის ძნელად დასაძლევია მასალით პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ მოთხოვნილებებს ნაკლებად აკმაყოფილებდა, მაგრამ თავისი დროისათვის ის მნიშვნელოვან წვლილს შეადგენდა ოსი ხალხის ეროვნული კულტურისა და სკოლის განვითარებაში.

ამ წიგნის 1-ელ გვერდზე ქართული სამოქალაქო ანბანის საფუძველზე გარკვეული თანმიმდევრობით წარმოდგენილია 29 ასო. მეორე გვერდზე გადმოცემულია ოსური სამოქალაქო ანბანი. სადაც რამდენიმე ქართული ასო შეცვლილია რუსული ან ლათინური ასოთი. მე-3 და მე-4 გვერდებზე (ზემოდან ქვემოთ) წარმოდგენილია ქართული საეკლესიო და სამოქალაქო ანბანი: ნაცვლად 29-სა ეს „ანბანი“ 32 ასოსაგან შედგება. შემდეგ მიჰყვება ქართული საეკლესიო ორასოიანი მარცვლები. ყოველი თანხმოვანი ასო შეთანხმებულია ყოველ ხმოვან ასოსთან. მე-7 გვერდზე ჩამოთვლილია სამბგერიახილია მარცვლები.

იალღუზიძის ოსურ ანბანში შეტანილია რელიგიურ-ქარსტიანული საკითხავი ტექსტები, ლოცვები და სხვა სარწმუნოებრივი დოკუმები. იგი დამარცვლისა და გაზეპირების მეთოდზეა შედგენილი, რომელსაც უდიდეს ნაკლთა მიუხედავად, ოსური სკოლებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

III. XIX საუკუნის 30-იან წლებიდან ოსეთში (რუსეთის ძალაუფლების განმტკიცებისა და რუსული კულტურის გავლენის გაძლიერების გზით) ქართული წიგნები უმთავრესად რუსულმა სა-



იალღუზიძის მიერ ქართული ზუსტური ანბანით შედგენილი „ლოცვების“ წიგნის პირველი გვერდი (1820 წ.)

1 იქვე, გვ. 96.

ხელმძღვანელობმა შეცვალეს. 1830 წელს ვლადიკავკაის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა შიო დვალიშვილმა (რომელმაც მშვენივრად იცოდა ოსური ენა), რუსულ ანბანზე გადასვლასთან დაკავშირებით, საეკლესიო უწყებისაგან ნებართვა მოითხოვა რუსული ანბანის ბაზაზე ოსური სახელმძღვანელოების შედგენის შესახებ, რაზედაც შესაფერი თანხმობაც მიიღო.

შიო დვალიშვილის ინიციატივით შეიქმნა რუსული ანბანის მიხედვით შედგენილი ოსური სახელმძღვანელოები და სხვა დამხმარე წიგნები, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ოსური კულტურის განვითარებას. როგორც ზემოთ ითქვა, ოსეთის ეკლესიებსა და სკოლებში პირველ ხანებში გამოყენებული იყო ქართული შრიფტით ნაბეჭდი ოსური საანბანო და სხვა საეკლესიო წიგნები. ამასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადო მოღვაწე ილ. ალხაზიშვილი გაზს „დროებაში“ (1876 წ. № 128) წერდა: „რადგანაც ოსებს ალფაბეტი არა აქვთ, ქართული ასოებით საღმთო წიგნები ოსურ ენაზე გადათარგმნეს და ეხლა თითქმის ყველა ეკლესიაში წირვა-ლოცვა და ქადაგება ოსურ ენაზეა“. ამრიგად, ოსებში თანდათანობით იკიდებდა ფეხს „საეკლესიო განათლება“, ვითარდებოდა მშობლიური სიტყვა და მწერლობა, რაც მეტად ნელა. მაგრამ მაინც, ქრისტიანული რელიგიის დანერგვასთან ერთად, ხელს უწყობდა მთის ამ ხალხთა საერთო კულტურის ამაღლებას.

IV. ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენდა აკადემიკოს ა. შეგერენის „ოსური ანბანი“ და რუსული სამოქალაქო ანბანის საფუძველზე შედგენილი „ოსური გრამატიკის“ (1844 წ.) სახელმძღვანელო, რომელსაც თან ახლდა მოკლე რუსულ-ოსური და ოსურ-რუსული ლექსიკონი. ამით, საფუძველი ჩაეყარა ოსური ენის მეცნიერულ შესწავლას¹. შეგერენის „ოსური გრამატიკის“ დასაწყისშივე მოცემულია ოსური ანბანი, რომელიც 25 ასოსაგან შედგება: წიგნში გარჩეულია მეტყველების ნაწილები, ბრუნვები, უღვლილების მაგალითები, წინადადებათა შედგენილობა და ნაწილები. თავისი „ოსური გრამატიკის“ გამოქვეყნებით შეგერენი მიზნად ისახავდა ცარიზმის ადგილობრივი მოხელეებისათვის „სამაგიდო წიგნის“ შექმნას. ამ წიგნს იგი „თარჯიმან-მთარგმნელის“ შემცვლელ და ოსური სკოლების მასწავლებელთა „დამხმარე სახელმძღვანელოს“ ფუნქციას აკისრებდა.

¹ ამ საქმეში შეგერენს დიდ დახმარებას უწევდნენ ვლადიკავკაის ოსური სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მკედლოვი (მკედლიშვილი), ამავე სკოლის ოსური ენის მასწავლებელი შიო დვალიშვილი, პეტრე ტუსკაევი და სხვები..

ოსური ენის სწავლების ასეთი საშუალება, შეგვრენის აზრით, თვალსაჩინო დახმარებას გაუწევდა „...მასწავლებლებს კავკასიის იმ სკოლებში, რომლებშიაც ოსთა ბავშვებმაც იწყეს შესვლა და რომელთა რიცხვი ეხლანდელთან შედარებით მომავალში კიდევ უფრო გამრავლდება“¹.

შეგვრენი ცდილობდა „ინოროდცებისათვის“ მიეცა იმის მაგალითი, თუ რამდენად სასარგებლოა რუსულ ანბანზე შედგენილი წიგნები განაპირა მხარეების ადგილობრივი ხალხების რუსულ კულტურასთან დაახლოებისათვის. ფაქტია, რომ შეგვრენის გრამატიკას, გარკვეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსური მწერლობის, ენისა და კულტურის განვითარებისათვის. ვ. მილერი შეგვრენის გრამატიკას ენათმეცნიერების დარგში თანამედროვე პერიოდის „ბრწყინვალე მონაპოვარს“ უწოდებდა. მწერალი-პუბლიცისტი გ. ცაგოლოვი შეგვრენს „თანამედროვე ოსური ანბანის მამად“ აღიარებდა, რომლის წიგნებზე აღიზარდა „ოსი ინტელიგენციის ძველი თაობა“².

ოსური ენის შესწავლის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს აგრეთვე როზენმა და შლეიხერმა, მაგრამ ოსური კულტურის განვითარებისათვის შეგვრენის ნაშრომებს გაცილებით მეტი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ამ უკანასკნელთა მეცნიერულ გამოკვლევებს³.

შეგვრენის გრამატიკას იყენებდა კოსტა ხვთაგუროვი, რომელსაც აღნიშნული სახელმძღვანელო ოსური ლიტერატურული ენის განვითარებისა და ოსური კულტურის რუსულ კულტურასთან დაახლოვების მნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნდა.

V. XIX საუკუნის 50—60-იან წლებში ოსურ ენაზე უმთავრესად საეკლესიო წიგნები შეიქმნა. ამ საქმეში თავი გამოიჩინა არქიეპისკოპოსმა იოსებმა (ი. ჩეპიკოვსკიმ, წარმოშობით უკრაინელმა), რომელიც სინოდის ბრძანებით 1857 წელს ოსეთის ეკლესიის მრევლისა და ოსეთის სამხ. ოლქის სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველად იქნა დანიშნული.

1860 წელს პროგრესულ მოღვაწეთა (კოლევი, სუბიევი, ალაგიკოვი, უუსკაევი, კორაევი, კარაევი და სხვები) მონაწილეობით ჩამოყალიბდა „სახელმძღვანელოთა მთარგმნელი კომისია“, რომლის მიზანი იყო ოსეთში ქრისტიანობის გავრცელება და ახალგაზრდობაზე

1 А. Шегрен, Осетинская Грамматика, 1844, гл. 17.

2 Газ. «Терские ведомости», 1915 г., 240.

3 М. Тотоев, Народное образование и педагогическая мысль в до-революционной Северной Осетии, Орджоникидзе, 1952, гл. 40—42.

მაჰმადიანური სარწმუნოების გავლენის შესუსტება. ეპისკოპოს იოსების ხელმძღვანელობით, შეგარენის მიერ შექმნილი „ანბანის“ საფუძველზე (ეკლესიის მოთხოვნათა შესაბამისად) 1861 წელს დაიბეჭდა „ოსური ანბანი“, რომელიც ხუთჯერ გამოიცა და რუსულის დახმარებით ისწავლებოდა. აღნიშნული სახელმძღვანელოს მესამე გვერდის მარცხნივ ოსური ასოებია მოთავსებული, მარჯვნივ კი -- რუსული. მე-5 გვერდიდან იწყება ერთმარცვლიანი ოსური სიტყვები: Аа (წელიწადი), һа (მე), ნок (დღე), ნхрү (ლობე) და სხვ. 43--44 გვერდებზე ანბანის შესაბამისად ათეულ-ოცეულობით ანგარიში (20 ათასის ფარგლებში) და გამრავლების ტაბულაა წარმოდგენილი. რელიგიური სულით გაყენებული ეს სახელმძღვანელო ვერბალურ-დამარცვლითი სწავლების მეთოდზეა აგებული. XIX საუკუნის II ნახევარში იოსების მოძველებული საანბანო წიგნი აღმ. კანუკოვის გაუმჯობესებულმა სახელმძღვანელომ (90-იან წლებში) შეცვალა.

VI. აღმ. კანუკოვის „ნაჩაღნაია კნიგას“ („დაწყებითი წიგნი“) შესავალ გვერდზე ოსურისათვის დამახასიათებელი სათანადო ნიშნებით 36 ასოა გამოსახული, რომლის ძირითად საფუძველად ვ. ფ. მილერის „ოსური ეტიუდების“ (1881—1887 წწ. გამოცემული) სამტომეულია გამოყენებული. ეს სახელმძღვანელო კ. დ. უშინსკის გავლენითაა დამუშავებული. მასში ნაკლებადაა შეტანილი უაზრო მარცვლები (ნა. ва. га და სხვ.), და რელიგიური ლოცვები. სამაგიეროდ, წიგნში საკმაოდ ფართოდაა შეტანილი ცოცხალი ბუნებისა და ხალხის ცხოვრების ამსახველი მასალები, მათ შორის ლექსები: „გაზაფხული“, „შემოდგომა“, „პეპელა“, იგავ-არაკები: „შურიანი“, „ხარაბუზა“; თქმულებები, სიმღერები და გამოცანები. აქვე ჩამოთვლილია ტანსაცმლის, სათამაშოების, ფრინველების და თევების ძველი ოსური სახელები. აქვეა მეთოდური მითითებანი მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის: „როგორ უნდა ასწავლო და როგორ უნდა ისწავლო“, რომელშიაც სწავლების რაციონალურ ხერხ-საშუალებათა გამოყენებაზე ჭეროვანი ყურადღებაა გამახვილებული. მიუხედავად ამისა, წიგნი რელიგიური მასალისა და ზოგიერთ მეთოდურ ნაკლოვანებებისაგან მაინც არაა დაზღვეული.

ა. კანუკოვის სახელმძღვანელო წერა-კითხვის სწავლების ბგერით მეთოდზეა აგებული.

აეტორის თქმით, თავის საანბანო წიგნის შედგენისას, იგი ითვალისწინებდა აღზრდა-განათლების მთავარ მიზანს — ადამიანის განვითარებას. მისი გაგებით, ბავშვი სამყაროში და საერთოდ — გარემომოცველი ბუნების სამეფოში გრძნობათა ორგანოებისა და აღქმის მეშვეობით შედის. სწორედ ამ ორგანოების გზით მოქმედებს ბუნე-

ზა აღამიანზე. გრძნობათა ორგანოების განვითარება — ეს, ყოველი აღმზრდელისა და მასწავლებლის უმთავრესი ამოცანაა. აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა. მოსწავლემ უნდა ისწავლოს „ბუნების წიგნის“ წაკითხვა, ხოლო შემდეგ კი ნამდვილი წიგნისა. ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით¹. ამ სახელმძღვანელოს სასწავლო მასალის დალაგება და მისი აგების საერთო მიმართულება ცხადია ის, რომ ავტორს ბგერითი მეთოდი (ანალიზისა და სინთეზის გამოყენებით) ოსური კითხვა-წერის სწავლებლა ყველაზე რაციონალური საშუალებად მიიჩნდა.

დასახელებული წიგნის მიხედვით, წერა-კითხვის სწავლების საფუძველია ბგერა. მოსწავლე და მასწავლებელი ბგერიდან გამომდინარეობენ, როდესაც ბგერებს მარცვლებად და მარცვლებს სიტყვებად აერთებენ. ასოს შესწავლა გენეტიკური წესით მიმდინარეობს. ბავშვი ამ გზით სწავლობს ოსურად კითხვას. ამის შემდეგ პირველ პლანზე დგას მოთხოვნილება, რომ წაკითხულის შინაარსი შეესაბამებოდეს ეროვნული აღზრდის სისტემას².

ამ სახელმძღვანელოს მთავარ ნაკლად მიგვაჩნია მისი ცალკეული შესასწავლი მონაკვეთისათვის შესაბამისი ილუსტრაციების უქონლობა, მკრთალი და უხეირო გაფორმება, ენობრივი უზუსტობანი, ზოგიერთი მეთოდური, კორექტურული და ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომები.

VII. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ხ. ურუშიმაგოვის მიერ (1890-იან წწ.) შედგენილი (რუსულიდან გადმოკეთებული და ადგილობრივი მასალით შევსებული) ოსური (ანბანის შემდეგ საკითხავი) წიგნი, რომელშიც შეტანილია კოსტა ხეთაგუროვის საბავშვო ლექსე-

¹ Исторический Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, об. «Протокол заседаний Всеосетинского учительского Съезда, происходившего в гор. Владикавказе 10—16 июня, 1917 года», გვ. 8 (ოსური საანბანო წიგნის ბეტრონის აღმახსიტ კანუკოვის გამოცლიდან).

² აღმახსიტ კანუკოვის ოსური ანბანის გამოცემის მთავარი ინიციატორი იყო „თერგის ოლქის მთელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც ოსი ხალხის გულწრფელი მეგობარი მ. ხ. ყიფიანი ხელმძღვანელობდა.

ა. კანუკოვის ოსურ ანბანზე სკოლებში დიდი მოთხოვნილება იყო, რადგანაც იგი ტირაჟის სიმცირის გამო მსურველთა მთელ შემადგენლობას ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ, თერგის ოლქის საეკლესიო სკოლებს ხელმძღვანელობის წინაშე არა ერთხელ დაიხსა ამ წიგნის შესწორებულ-შეესებული სახით ხელმეორედ გამოცემის საკითხი.

ბი: „ყვავი და მელა“, „ბატები“ და სხვ.¹, რაც ოს ბავშვებში ადგილობრივი ბუნების შესწავლისა და სამყაროს სწორი შემეცნების ინტერესს აღვიძებდა.

VIII. 1907 წელს ზემოჩამოთვლილ საანბანო წიგნებს შეემატა ოსეთის სახალხო განათლების და კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის — ბიძინა კოჩიევის „ოსური ანბანი“².

კოჩიევის „ანბანი“ კ. დ. უშინსკისა და ი. ს. გოგებაშვილის გარკვეულ ზეგავლენას განიცდიდა. სახელმძღვანელოს სათაური „ოსეთინსკოე სლოვო“ თითქმის ისეთივეა, როგორც უშინსკის „როდნოე სლოვო“ ან გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ და „დედა ენა“. კოჩიევის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენდა ასოების დალაგებაში სიძნელე-სიადვილის და თანმიმდევრობის დიდაქტიკური წესების დარღვევა, სიტყვების ნაცვლად, ზოგჯერ წერტილებისა და ნახატების გამოყენება, რაც ბავშვებს ტექსტის შინაარსის გაგებას უძნელებდა.

ეს საანბანო წიგნიც ბგერით მეთოდზეა შედგენილი და ითვალისწინებს კითხვისა და წერის ერთდროულად (ერთი მეორესთან შეთავსებით) სწავლებას.

ავტორი, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, ცდილობდა ბავშვებისათვის ბგერითი მეთოდით „გაეადვილებინა“ მოხერხებულად შერჩეული სიტყვებიდან წინადადებების შედგენა და გადაბმულ კითხვაზე გადასვლა³. ბ. კოჩიევის „ოსური ანბანის“ არსებით ნაკლს წარმოადგენს ზოგიერთი ბუნდოვანი სიტყვების გამოყენება, ბავშვთათვის გაუგებარი და მიუწვდომელი გამოთქმების ხმარება, ტექსტის შინაარსობრივი სიღარიბე, ნაკლებმიმზიდველობა და სათანადო ილუსტრაციების უქონლობა⁴.

IX. 1908 წელს ქ. ბათუმში გამოვიდა სტეფანე მამიტოვის „დეტსკაია კნიგა“, ეს „საბავშვო წიგნი“ სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი განკუთვნილი იყო „სასკოლო და საშინაო კითხვი-

¹ М. Тотоев, Очерки истории культуры и общественной мысли в Северной Осетии, 1957, гл. 343. შტრ. შ. ტ ო ტ ო ე ვ ი ს სტატია. «Передовые деятели Осетии и великая русская культура (газ. «Северная Осетия», 1951 г., 4 июля).

² ბიძინა კოჩიევი XIX საუკ. უკანასკნელი წლების და XX საუკუნის დასაწყისი პერიოდის ოსეთის სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწეა. ადრე სოფელში მასწავლებლობდა, ხოლო შემდეგ ქ. ცხინვალის პედაგოგიურ სასწავლებელსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში.

³ Ист. Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, гл. 8.

⁴ ი ქ ვ ე, გვ. 8. იხ. „სრულიად ოსეთის მასწავლებელთა I ყრილობის ოქმები და მასალები“.

სათვის“. მიუხედავად მისი ავტორის სასულიერო განათლებისა და სამსახურებრივი მდგომარეობისა (იგი პოლკის მღვდელი იყო), ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო რელიგიური მასალისაგან თითქმის სრულიად თავისუფალია. სამაგიეროდ, მასში საკმაოდაა შეტანილი შერჩეული ლექსები (მათ შორის კ. ხეთაგუროვის საბავშვო ლექსები), სიმღერები, ზღაპრები, მოთხრობები, თქმულებები, იგავ-არაკეზი, გამოცანები და გონების სავარჯიშო სხვა მასალები. ამ წიგნში ჩასწავლო მასალა სიძნელ-სიადვილის გათვალისწინებით არაა შერჩეული. სახელმძღვანელოს პირველი გვერდი იწყება სიტყვით „XOX“, სადაც ბავშვს ერთდროულად ორი უცნობი ასო: „X“-სა და „O“-ს შესწავლა (ორი სიძნელის დაძლევა) უიღება, რაც პედაგოგიურად გაუმართლებელია¹.

XIX საუკუნის 60-იან წლებში კოჩიევმა ხელი მოჰკიდა I რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენას, რომელიც 80-იან წლებში გამოიცა. იმავე მოღვაწის ავტორობით, ოსური სკოლებისათვის გამოქვეყნებულ იქნა რუსული და ოსური ენების გრამატიკა და სხვა წიგნები, რომელთა გამოცემას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ოსეთში წიგნიერების განვითარებისა და სასკოლო საქმის გაუმჯობესებისათვის.

ოსეთის ეკლესიების რწმუნებული არხიმანდრიტი იოსები მხარს უჭერდა ყველა საგნის ოსურ ენაზე სწავლების შემოღებას. მითუმეტეს, რომ იმ დროისათვის არსებობდა ოსური წიგნები და შეგარენის გრამატიკა, რომელსაც იგი ოსური წიგნიერების განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა².

პროფ. ალ. ხახანაშვილს სრულებითაც არ აკმაყოფილებდა განათლების მხრივ მოძმე ოსი ხალხის მდგომარეობა. ქართველი მეცნიერი მიუთითებდა რომ „...ამ უკანასკნელ დრომდის განათლებამ ფეხი ვერ მოიკიდა ოსეთში. მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა, — პროფ. ხახანაშვილის შეხედულებით, — ის იყო, რომ არ არსებობდა ოსურს ენაზედ საკითხავი წიგნი საღმრთო წერილის გარდა და სკოლიდან გამოსული ბავშვი ადვილად ივიწყებდა იმასაც, რაც შეიძინა სასწავლებელში რუსულს ენაზედ შედგენილ სახელმძღვანელოების შემწეობით“³. იგი მიუთითებდა გამოჩენილი ოსი სახალხო მოღვაწეების უდიდეს ზრუნვაზე ისეთი სასწავლო წიგნების შედგენისათვის, რომლებიც „...ერთსა და იმავე დროს ასწავლიდეს რუსულსა და ოსურს ენებს. ამისათვის, — ხახანაშვილის აზრით, — საჭიროა გვერდი-

¹ Г. М а м и е в, Принципы составления первоначального учебника осетинского языка, 1962, гл. 29.

² Материалы по истории осетинского народа, т. V, 1942, гл. 86.

³ გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 136, გვ. 2—3.

გვერდ მოყვანილი იყოს რუსული და ოსური ტექსტი, ანუ მოთხრობა. შემდეგ საჭიროა შედგენილ იქნას ოსურს ენაზედ გეოგრაფიული, ისტორიული, სამეურნეო და სხვა საკითხავი წიგნები, რადგანაც სასწავლებელში რუსულს იმდენად არა სწავლობენ, რომ ამ ენაზედ შეითვისონ საჭირო ცნობანი. ერთი სიტყვით: საჭიროა სამშობლო ენაზედ მწერლობის შექმნა¹.

ოსურ სკოლებში სწავლებისა და აღზრდის საქმის სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის პროფ. ხახანაშვილს საჭიროდ მიაჩნდა ოსურ ენაზე (სასწავლო საგნებში) სახელმძღვანელოების გამოცემა. ოსური ლიტერატურის განვითარება და მთის ხალხებში სასარგებლო ცოდნის გავრცელება. რამდენადაც, კავკასიის მთის ხალხებმა (თავიანთ ენებზე) საუკუნეების მანძილზე შექმნეს ლექსები, ლეგენდები, არაქები და ანდაზები, ამდენად, ხახანაშვილის შეხედულებით, სახელმძღვანელოების შედგენისა და მწერლობის განვითარებისათვის — აღნიშნული მასალა საგანგებოდ უნდა იქნეს შერჩეული და გამოყენებული.

„ოსებში მწერლობის დასაწყისი შეიტანეს ქართულის ანბანით. შემდეგ ეს ანბანი შესცვალეს რუსულის ანბანით, ზოგიერთის ასოების დამატებით. ამ ახლად, აკადემიკოსის შეგარენის მიერ შექმნილი ანბანით, — როგორც ხახანაშვილი წერდა, — ჩსარგებლეს აკად. შიფრენმა, პროფ. მილერმა, სხვადასხვა ცვლილებებით 1890 წ. გამოიცა ამ ანბანით ოსური პირველი საკითხავი წიგნი. მოკლედ რომ მოვახსენოთ, ამ ანბანმა მოიკიდა მაგრა ფეხი და ახლა პირველად ოსურს ენაზედ საეკლესიო წიგნების გარდა, საერო ნაწერებიც იბეჭდება“².

ოსური სახელმძღვანელოების შექმნის ისტორიისა და ენის სწავლების დარგში მომხდარი ცვლილების მეცნიერულად დასაბუთებული შესედელებანი, რომელიც ზემომოყვანილ ამონაწერშია განვითარებული, ადასტურებენ ქართველი მეცნიერის განსაკუთრებულ ზრუნვას ოსი ხალხის კულტურული ზრდისა და მეზობელი ხალხების კულტურასთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის. კოსტა ხეთაგუროვის „ირონ ფანდირის“ კრიტიკული გარჩევისას პროფ. ხახანაშვილი ხაზს უსვამს ამ ნაწარმოების მრავალფეროვნებას, პატრიოტულ ხასიათს და მის უდიდეს მნიშვნელობას ოსი ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

¹ გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 136, გვ. 2—3.

² ამ წიგნებს შორის პროფ. ა. ხახანაშვილს დასახელებულ აქვს კოსტა ხეთაგუროვის ლექსთა კრებული „ირონ ფანდირი“ და სხვები (იხ. გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 136, გვ. 2—3).

შიო დვალიშვილის შემდეგ ოსური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოთა და დამხმარე ლიტერატურის შექმნის საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებდა დ. კონჭაძე. იგი დიდ ენერჯიას ბარჯავდა ოსთა შორის წერა-კითხვის გავრცელებისათვის. როგორც ქართულ-რუსულ-ოსური ენების კარგი მცოდნე, ადგენდა სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს და სხვა ნაშრომებს, რაც ესოდენ საჭირო იყო ოს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებისათვის.

ოსური სკოლებისათვის ზოგიერთი წიგნები შეადგინა. თარგმნა და გამოსცა ოსმა საზოგადო მოღვაწემ — ვასილ ცორაევმა (1827—1884). ამ მხრივ აღსანიშნავია დ. კონჭაძესთან ერთად მის მიერ შედგენილი და აკადემიკოს შიფნერის მიერ პეტერბურგში გამოცემული „ოსური ტექსტები“ (1868 წ.), რომელიც სკოლასა და რჯახში საკითხავ წიგნად. ზნეობრივი აღზრდის მდიდარ წყაროდ ითვლებოდა ოსი ახალგაზრდობისათვის.

ერთგვარი დადებითი როლის მიუხედავად, რომელიც აღნიშნულმა სახელმძღვანელოებმა შეასრულეს, ისინი თავისი უაღრესად რელიგიური ხასიათის გამო, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის განხორციელების მიზნებს ემსახურებოდნენ.

XIX საუკუნის უკანასკნელ წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში ოსი განმანათლებლისა და პედაგოგის — ა. ა. გასიევის კალამს ეკუთვნის — ოსური ენის გრამატიკა და ლექსიკონი, „ოსური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ და სხვა, რომელთა გამოქვეყნება ავტორის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა.

ა. რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები

რუსული ენის სწავლებისათვის კავკასიის ინოვაციურ სკოლებში სხვადასხვა დროს შემოღებული იყო ვოლპერის „რუსსკაია რეჩ“, გრიგორიევის, დავისის, ლევიცის, გოგებაშვილისა და სხვა ავტორთა წიგნები, ხოლო რუსული სკოლებისათვის — უშინსკის, ტიხომიროვის, ბუნაკოვის, ბარანოვისა და სხვათა სახელმძღვანელოები. იაკობ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოს“ გამოცემა 1887 წლიდან დაიწყო. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ისე სამხრეთ ოსთა ბევრ სკოლაში რუსულ ენას. ოსი ბავშვები გამოჩენილი ქართველი პედაგოგის — იაკობ გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოთი“ სწავლობდნენ. ოსი მშრომელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ სამღვდლოებამ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს სასტიკი ბრძოლა გამოუტყადა.

¹ ა. რ. ხ. უ. ნ. დ. ა. ე. დანიელ კონჭაძე, 1932, გვ. 27—33, 44, 45, 50—58.

ეკლესიის მმართველობა სასტიკად კიცხავდა ყანობის, ნაგორევის, ღუღის და ყაზბეგის საეკლესიო-სამრევლო სკოლებს იმის გამო, რომ აღწიშნულ სკოლებში შემჩნეული იყო გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი „განსაზღვრულობა“ და ბავშვებზე მისი უდიდესი ზეგავლენა¹.

გოგებაშვილის სახელმძღვანელო ხელს უწყობდა ოსი ბავშვების მიერ; როგორც რუსული, ისე ქართული ენისა და წერა-კითხვის საფუძვლიან შესწავლასაც. ოსი მშრომლები გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს დამსახურებულ შეფასებას აძლევდნენ და მოითხოვდნენ ოსეთის სკოლებში მის დატოვებას. უცნობი ავტორის მიერ 1907 წ. ოსურ ვაზ. „ნოვ ცარდში“ (№ 46) გამოქვეყნებულ წერილში („ჩვენი მასწავლებლები“) ნათქვამია:

„ჩვენს სკოლებში არ არის რუსული ენის არც ერთი კარგი სახელმძღვანელო. რაგინდ გულმოდგინე და ხელოვანი მუშაკი არ უნდა იყოს, თუ მას არ ექნება კარგი იარაღი, არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მისი მუშაობა წინ ვერ წავა. საქართველოში გამოჩნდა მეტად ნიჭიერი ადამიანი. სკოლების მცოდნე, გვარად გოგებაშვილი. მან ქართული სკოლებისათვის შექმნა რუსული ენის სახელმძღვანელო. ეს წიგნი ძალიან კარგია, შედგენილია ოსტატურად (საუცხოოდ). სხვა მსგავს წიგნებთა რიგში, ის ისე ბრწყინავს, როგორც მზე ვარსკვლავთა შორის. ყველა სხვა წიგნები მუნჯურადაა შედგენილი, ხოლო გოგებაშვილის სახელმძღვანელო კი — გონივრულად, მიზნოდველი და გასაგები ენით. როდესაც გამოჩნდა გოგებაშვილის წიგნი, მის შესახებ ჩვენს სკოლებსაც მიუთითეს. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, რომლებმაც ნახეს ეს წიგნი, გახარებულეებმა შვებით ამოისუნთქეს. მაგრამ ხელმძღვანელობას არ მოეწონა, რომ ისინი (ბავშვები) ალაპარაკდნენ. გოგებაშვილი განდევნეს ჩვენი სკოლებიდან. მის მაგივრად შემოიღეს ის, რაც მათ მიაჩნდათ უფრო მუნჯურად და ჩვენი სკოლებიც დამუნჯდნენ. ოსურ ოჯახში მსიარული, მოტიტინე ბავშვი დღეს სკოლაში გარინდულია და... ველარ მეტყველებს. რა შეიძლება იყოს ამაზე საბრალო“².

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ აფასებდნენ ოსი პედაგოგები, ერთის მხრივ, გოგებაშვილის სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპზე დამყარებულ „რუსსკოე სლოვოს“, ხოლო მეორეს მხრივ. ლევიცკის „მუნჯურ მეთოდზე“ აგებულ „რუსული ენის

1 Отчет общества восстановления православного христианства на Кавказе за 1906—1907 гг., изд. 1909 г., в. 50—51.

² ვაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 46.

„კურსს“, რომელმაც ბავშვებში ამ ენის შესწავლისადმი ინტერესის შესუსტება და მოსწავლეების დამუნჯება გამოიწვია.

ოსი პედაგოგები წინააღმდეგობას უწევდნენ ე. წ. „მუნჯურ“ მეთოდს, გმობდნენ უვარგის სახელმძღვანელოებს და მოითხოვდნენ ოსეთის სკოლებში მოწინავე პედაგოგების მიერ გონივრულად შედგენილი სახელმძღვანელოების გამოყენებას.

ოსეთის სკოლებში რუსულ (სახელმწიფო) ენას უვარგისი, პედაგოგიურ-მეთოდურად გაუმართავი სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ, რაც ძლიერ აბრკოლებდა ოსი ბავშვების მიერ რუსული ენის შესწავლას. ამიტომ იყო, რომ ოსეთის მოწინავე ინტელიგენციას და შეგნებულ ოს მასწავლებლობას საჭიროდ მიაჩნდა რუსული ენის შესასწავლად ოსურ სკოლებში გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოს“ შენარჩუნება.

მოწინავე ოსი ინტელიგენციის აზრს გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ოსეთის სკოლებში გამოყენების შესახებ, ნათლად გვიჩვენებს გაზ. „ნოვ ცარდში“ (1907 წ., № 24) გამოქვეყნებული „დილოგი“, სადაც მასწავლებელი სასკოლო საქმით დაინტერესებულ ნაცნობს მიმართავს: „... ამ 24 წლის განმავლობაში ბავშვებს ვასწავლიდი გოგებაშვილის სახელმძღვანელოთი, რომელიც ყოველმხრივ სრულყოფილია. ვასწავლიდი იქამდე, ვიდრე ამ სკოლაში მოვეწყობოდი. აქაც კიდევ ოთხი წელი ვამეცადინებდი გოგებაშვილის წიგნით. შემდეგ მე გამომიგზავნეს ვილაც კორხანიდის წიგნი „ჟივოე სლოვო“, რომელშიაც... გაუგებარი სიტყვები ან მთელი გაუგებარი ტექსტები თარგმნილია ბერძნულად. მოსწავლეებს დაუფრივე ახალი წიგნები. მათ დაათვალიერეს იგი და უკან მომიტანეს. მაჩვენებდნენ რა თითებით ბერძნულ წარწერებს, მეკითხებოდნენ:

— ეს რა ენაზეა დაწერილი?

— ბერძნულად, — ვპასუხობდი მე.

— წაგვიკითხეთ რაიმე, რომ გავიგოთ, რა წერია იქ?

— რამდენიც თქვენ გესმით და იცით, — ვპასუხობ მათ, — იმდენი ვიცი მეც.

— რაც თქვენ თვითონ არ იცით, ჩვენ როგორ აგვისხნით მას? — კვლავ მეკითხებიან ბავშვები.

— როგორ? რასაც ვერ გავიგებთ, იმას დავტოვებთ, დანარჩენს შევისწავლით.

— მაშინ, ეს წიგნები ჩვენ არ გვინდა. რომელ წიგნებსაც წინათ ვკითხულობდით, ესლაც ის წიგნები დაგვიბრუნეთ. იმ წიგნებით, ჩვენ როგორც რუსულად, ისე ქართულადაც კარგად ვსწავლობდით. „ნაც-

ნობმა: შენიშნა, რომ ისიც იცნობდა კორხანიდის წიგნს, რომელიც დაწერილია ბერძნული სკოლებისათვის... შეკითხვაზე, თუ, რატომ არ გამოგზავნეს სახელმძღვანელო ქართული წარწერებით, მასწავლებელმა უპასუხა: „იმიტომ, რომ ქართულ წარწერებიან სახელმძღვანელოთი მოსწავლეები ქართულ ენასაც შეისწავლიან. ორი მეზობლად მცხოვრები ხალხი ერთმანეთისას ვერ უნდა იგებდნენ. ეს მთავრობისათვის ხელსაყრელია“¹.

რეაქციის ხელახალი აღმავლობის პერიოდში ქართველი პედაგოგის გონივრულად შედგენილ „რუსსკოე სლოვოს“ მეფის თვითმპყრობელობამ (ეკლესიის მესვეურთა დანშარებით) სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, რაც ოსი მოსახლეობის დაბალ ფენებში ცარიზმის მოხელეებისა და მათი მფარველი ხელისუფლებისადმი უნდობლობის გრძნობებს აღვივებდა.

მიუხედავად დიდი დევნისა, გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვომ“ გზა გაიკაფა არა მარტო ოსეთში, არამედ რუსეთში — ყაზანისა და მოსკოვისაკენაც. ჩრდ. კავკასიაში კი იგი რუსული ენის საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა.

გოგებაშვილის მიერ სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი წარდგენილი მოხსენებიდან დასტურდება, რომ: „...თერგის ოლქის სახალხო სკოლათა დირექტორმა, გაიცნო რა დაწვრილებით „რუსსკოე სლოვოს“ უკანასკნელი გამოცემანი, მის შესახებ შემდეგი წერილობითი დასკვნა გააკეთა: გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოს“ მე ვცნობ მეტოდურად სწორად და სავსებით მიზანშეწონილად შედგენილ სახელმძღვანელოდ და მოვალედ ვთვლი ჩემდამი რწმუნებულ სხვა ეროვნებათა სკოლებში ვურჩიო მისი ხმარება, როგორც პირველად საკითხავი წიგნისა“². „რუსსკოე სლოვოს“ მიმართ ამგვარი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ ჩრდ. ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ (რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში) გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელო ოსური სკოლების სახელმძღვანელოდაც გამოაცხადა.

კავკასიის სასწავლო ოლქის „ინოროდცებისათვის“ (1899—1900 წლიდან) რუსული ენის შესასწავლად ზოგიერთ „სადირექციოებში“ შემოღებული ლევიციის „კურს რუსსკოეო იაზიკა“ (აღგი-

¹ გაზ. „ნოვ ცარლ“, 1907 წ., № 24.

² ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951, გვ. 112—113. შტრ. საქართველოს სსრ ცენტრარქივი, ფონდი № 107, სერია გ., საქმე № 737, გვ. 1—2.

ლობრივი ენების სწავლების წინააღმდეგ) ე. წ. „მუნჯურ მეთოდზე“ იყო აგებული.

ლევიცკის „კურსი“ უარყოფდა თარგმნით მეთოდს („შორს თარგმნა, არაფერი თარგმნის საშუალებით“), კერძოდ, დედაენის გამოყენებას რუსული ენის სწავლებაში და სწავლების მთელ პროცესს „თვალსაჩინოებასა“ და გრძნობად აღქმაზე ამყარებდა. იგი ივიწყებდა იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ „ეჭამ, ვსვამ, ადვილი სათქმელია თვალსაჩინოდ, მაგრამ ვკამდი, შევსვამდი, თვალსაჩინოებას არ უშვებს, ან დიდი წვალებით... თვალსაჩინოება.— მშვენიერი დანართი საშუალებაა მშობლიური მეტყველებისათვის — სხვა არაფერი“¹.

ლევიცკის სახელმძღვანელოს მთავარ ნაკლთა შორის, გოგებაშვილის მიხედვით: აღსანიშნავია, რომ: ა) მასში სრულიად გამოტოვებულია ლექსიური გაკვეთილები; ბ) დარღვეულია ადვილიდან — ძნელზე გადასვლის დიდაქტიკური პრინციპი; გ) „კურსის“ სფუფძვლად აღებულია სკოლის პრაქტიკის მიერ უარყოფილი „მუნჯური“ მეთოდი, ნაცვლად კითხვა-წერის მეთოდისა; რაც პროგრესულ მოღვაწე-პედაგოგთა მიერ ერთადერთ სწორ გზად არის აღიარებული; დ) უარყოფილია დედაენის გამოყენება რუსული ენის შესწავლის პროცესში; ე) ანბანის სწავლებაში უგულვებელყოფილია სურათების გამოყენება და თვალსაჩინოების ელემენტები; ვ) წინა პლანზეა წამოწეული ფრაზებით სწავლება, ნაცვლად სურათებთან შეკავშირებული სიტყვების სწავლებისა; ზ) ტექსტში დაშვებულია უზუსტობანი, შეცდომები, სასვენი ნიშნების არასწორად ხმარება; თ) დამცირებულია მასწავლებლის ცოცხალი სიტყვის მნიშვნელობა; ი) გამოყენებულია ანტიპედაგოგიური პრინციპი უცნობის გაგებისა ისევე უცნობის საშუალებით და ა. შ.²

ლევიცკის „კურსით“ სწავლება მოითხოვდა მშობლიური ენის დაუზმარებლად მასწავლებლის მიერ ყველა ფრის მოქმედებაში გამოხატვას, რაც შესასწავლ საგანს ეხებოდა. ლევიცკის „მეთოდური რჩევის“ მიხედვით, მასწავლებელი ცურვის გამოსახატავად და ამ სიტყვის დასასწავლად მოსწავლეების წინ იატაკზე გართმული ხელეზს ასავსებდა; იმის „გასათვალსაჩინოებად“, რომ „ქათამი კვერცხს დებს“, ზოგიერთ მასწავლებელს კლასში შეჰქონ-

¹ იქვე, გვ. 113—114. ციტატი გამოყენებულია ი. გოგებაშვილის „რაზობრიდან“, გვ. 61—63.

² იაკობ გოგებაშვილი, თხ., ტ. III, გვ. 362—397.

და ბუღე (კვერცხებთან ერთად) და საილუსტრაციოდ ქათმის როლს თვითონ ასრულებდა!

ამრიგად, ლევიცკის მეთოდის მიხედვით, გაკვეთილებზე მასწავლებელი და მოსწავლეები „...აუცილებლად ჰამენ, სვამენ, ასხამენ წყალს, ადუღებენ მას, ამსხვრევენ ჭურჭელს, ყვირიან, ღრიალებენ, ხმაურობენ, აფურთხებენ, ძინავთ, იღვიძებენ, იბანენ, რბიან, ხტუნავენ, იკოცნებიან, ეხვევიან. სვრინავენ, ყეფენ. კნავიან, კაკანებენ, სურდოთი ავადდებიან, ავადმყოფდებიან სხვადასხვა სენით, ცრუობენ, ამას ის „ბუნებრივ“ მეთოდს უწოდებს. ამ მეთოდს მხოლოდ ერთი შედეგის მოცემა შეუძლია: სასაცილო გახადოს სახელმწიფო ენა... მოსახლეობის ბავშვებისა და მოზრდილთა თვალში. და ეს მხოლოდ იმიტომ. რომ ბავშვების მშობლიურ ენას არ ჰქონოდა ადგილი სკოლაში, რომ მშობლიური ენიდან ბავშვები რუსული ენით აზროვნებაზე გადაეყვანათ. ამის შემდეგ, სასწავლო ოლქის მზრუნველს გამბედაობა ეყო ეთქვა, რომ „ტუხემცების სკოლებში რუსული ენის სწავლება ბუნებრივი მეთოდით ლევიცკის სახელმძღვანელოს მიხედვით, ყოველმხრივ საუკეთესო შედეგებს იძლევაო“².

ამგვარი „მუნჯური“ გაკვეთილების ჩატარებას და ე. წ. „ნატურალურ მეთოდზე“ აგებული სახელმძღვანელოების გამოყენებას ოსურ სკოლებში უარყოფითად ეკიდებოდნენ გამოჩენილი ოსი პედაგოგები: ა. ა. გასიევი, ხ. ურუიმაგოვი და სხვები, რომლებიც სწავლების ამგვარ მახინჯ მეთოდების დანერგვას სასტიკ ბრძოლას უცხადებდნენ.

1890 წელს თბილისში გამოცემულ იქნა ოსი პედაგოგისა და სახალხო განათლების დიდი მოღვაწის ა. ა. გასიევის „Учебник начальной русской грамматики для практического обучения новым методом составленный“, ხოლო 1891 წელს მისივე „Руководство к изучению русского языка. Етимология русская, изложенная отдельно и сравнительно с славянским,“ რომლებიც თავისი შინაარსით და სასწავლო მასალის მეთოდური განლაგებით, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ არაკავკასიელ ავტორთა წინააღმდეგ გამოცემულ ანალოგიურ სახელმძღვანელოებისაგან და ხელს უწყობდნენ ჩრდ. კავკასიის არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლე-

¹ ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951, გვ. 114.

² Журналы собрания директоров и инспекторов народных училищ и директоров учительской семинарии Кавказского учебного округа, 1903.. გვ. 53.

ბის უკეთ დაყენებას. ჩრდ. კავკასიის ზოგიერთ „სადირექციონა“ და ეპარქიის სკოლებში რუსი მწერლების შესაწავლად დაშვებული იყო აგრეთვე მარტინოვსკის ქრესტომათია, მაგრამ ეს სახელმძღვანელო ინოროდულ სახალხო სკოლებში მეთოდურად გამართული სწავლების ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა.

ქერ კიდევ 1901 წელს, ჟურნალი „კვალი“ (№ 14) გაზ. „ტერსკიე ვედომოსტში“ გამოქვეყნებული მასალის მიხედვით წერდა: „ამჟამად ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სახელმწიფო ენას იმისთანა სახელმძღვანელოებით ასწავლიან, რომელნიც ავტორებს ადგილობრივ მკვიდრთა (არარუსთა) სკოლებისათვის არ შეუდგენიათ. ამის გამო მოსწავლენი ცუდად ითვისებენ რუსულ ენასა და 5—6 წლის სწავლების შემდეგ არამც თუ წაკითხულის გაგება, თავისუფლად ლაპარაკიც კი რუსულ ენაზედ არ შეუძლიათ. ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაცილებლად, საეპარქიო საბჭოს არდონის განყოფილებას განუზრახავს ოსეთის სკოლებში ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელო შემოიღოს, რომელიც სპეციალურად ადგილობრივ მკვიდრთა (არარუსთა) სკოლებისათვის არის შედგენილი და რომელიც უკვე შემოღებულია არამც თუ კავკასიაში, არამედ ყაზანის გუბერნიის სკოლებშიაც“¹.

ოსი ხალხისა და ოსეთის პროგრესული ინტელიგენციის დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად, კავკასიის მთის ხალხთა ზოგიერთ სკოლებში საეკლესიო-სლავიანური წერა-კითხვა ილმინსკის სახელმძღვანელოს (I და II ნაწილი) მიხედვით ისწავლებოდა. რუსული ენის ზეპირი შესწავლისათვის მიხევეის სახელმძღვანელო იხმარებოდა, ხოლო, სადაც ეს წიგნები არ იყო, იქ ეს სახელმძღვანელო ლექსიური გაკვეთილებით იცვლებოდა. ამიტომ, კავკასიის მთის სოფლებში რუსული ენის „ქრონიკული უცოდინარობა“ იყო გავრცელებული².

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ოსეთის სკოლებიდან იღვენებოდა მოწინავე პედაგოგთა მიერ გონივრულად შედგენილი წიგნები, მათ შორის კ. უშინსკის „როდნოე სლოვო“ (რომელიც ვიქტორინის „ანბანით“ შეცვალეს) და სხვ.

ბ. ისტორია-გეოგრაფიისა და ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოები

XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილო-კავკასიის სკოლებში სახმარებლად არ არსებობდა „ინოროდცი“ ბავშვებისათვის სპეციალურად

¹ ჟურნ. „კვალი“, 1901 წ., № 14, გვ. 223.

² «Журнал Министерства народного просвещения», 1917 г. Январь, гв. 98, შედ. С. В. Фарфоровский: «Народное образование у осетин».

შედგენილი, ცოტად თუ ბევრად მეთოდურად გამართული სახელმძღვანელოები. თერგის ოლქის პირველდაწყებით ერთკლასიან და ორკლასიან სასწავლებლებში სახმარებლად შემოღებული იყო: როჟდესტვენსკის „Краткая отечественная история в рассказах“, ტიხომიროვის „Из истории родной земли“, ვოსკრესენსკის „Краткая отечественная история в очерках и биографиях“, პუტიკოვიჩის „Русская история для народных и других начальных школ“ და სხვა, რომლებშიაც კავკასიისა და კერძოდ, ოსი ხალხის ისტორიაზე სიტყვაც არ ყოფილა თქმული¹. გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველებაში სახალხო სკოლებში 1913 წლიდან გამოყენებაში შევიდა: „მოთხრობები რუსეთის ისტორიიდან“ (საშუალო სკოლების I და II კლასებისათვის), რომელიც თბილისის საშუალო სკოლების ისტორიის მასწავლებელთა მიერ იყო შედგენილი. ბუნებისმცოდნეობისა და გეოგრაფიის კურსი, ე. წ. „საკითხავი წიგნებით“ შემოიფარგლებოდა. მასწავლებელთა დასახმარებლად დაშვებული იყო ლანსბერგის „В царстве лесов и полей“ და კაიგოროდოვის „ფრინველთა სამეფოდან“, სევრიუკის „ბუნებისმეტყველებისა და მეთოდების დაწყებითი კურსი“, პ. შამიევის „Знакомство с жизнью растений путем наблюдений и опытов“, პ. მაღჩევსკის და ი. იაკობსონის „Ряд простейших опытов для начального обучения“ და სხვ. წიგნები, რაც ორკლასიან სახალხო სკოლებსა და სამასწავლებლო სემინარიებშიც იყო რეკომენდებული. გარდა ამისა, 1908—1912 წლებში დაწყ. სკოლის მასწავლებელთათვის სახელმძღვანელოდ დაშვებული იყო აგრეთვე ნ. ელჩანინოვის „Сборник простейших опытов по природоведению“, მაგრამ მას, როგორც ირკვევა, ფართო გამოყენება არ ჰქონია.

გ. ფიზიკა-მათემატიკის სახელმძღვანელოები

როგორც სხვა საგნებში, ასევე ფიზიკა-მათემატიკურ დისციპლინებში ოსური სკოლებისათვის სპეციალურად შედგენილი სახელმძღვანელოები არ იყო. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კავკასიის სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორების საოლქო თათბირს ურჩევდა არითმეტიკის სწავლებისათვის გამოყენე-

¹ Журналы собрания директоров и инспекторов народных училищ и директоров учительских семинарий Кавказского учебного округа (2—13 июня 1903 года), Тифлис, 1903, გვ. 52—53.

ბინათ ლევიცკის „კურსი“ და სწავლების მისი „ნატურალური“ მეთოდი. ეს იმას ნიშნავდა, რომ „ინოროდცი“ ბავშვებისათვის არითმეტიკის კურსი ესწავლებინათ მშობლიური ენის დაუხმარებლად. სწავლების ეს ანტიპედაგოგიური მეთოდი კავკასიის მოწინავე მასწავლებლობის მიერ დაგმობილ ჩქნა.

ამრიგად, ჩრდ. კავკასიის „სადირექციოებში“ არითმეტიკა პირველდაწყებით სასწავლებლებში უსპენსკის (ბაქოს სკოლების ინსპექტორის) სახელმძღვანელოს, კომაროვის (IV--V კლასები), ვეტუშევსკის, მალინისა და ბურენინის (ორკლასიანი სკოლები) წიგნებით ისწავლებოდა. 1897 წლიდან (ფ. ბორისოვისა და ვ. სატაროვის რედაქციით) დაწყებითი სახალხო სკოლებისათვის ხმარებაში შემოვიდა „არითმეტიკულ ამოცანათა კრებული“, რომელიც სამ ნაწილად გამოიცა¹.

გეომეტრიის სახელმძღვანელოს სახით ჩრდ. კავკასიის სკოლებში ისწავლებოდა ვულისხის „გეომეტრიის მოსამზადებელი კურსი“ და გლავინსკის „წრფოვანი ხაზვა“. ფიზიკაში განათლების სამინისტროს მიერ მიღებული იყო ტომილინის „ფიზიკის კურსი“, კავუნის „პრაქტიკული მეცადინეობა ფიზიკაში“² და სხვა, რომლებშიაც ეროვნული სკოლების მუშაობის, სპეციფიკური თავისებურებანი არ ყოფილა ასახული.

დ. ფილოსოფიური საგნების სახელმძღვანელოები

კავკასიის ორივე მხარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო ოლქის მიერ რეკომენდებული იყო ი. ნ. გოროდენსკის „ზოგადი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის“ (1907 წ.) და მისივე „ლოგიკის სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისა და თვითგანათლებისათვის“ (1907 წ.), რომლებიც, როგორც ამიერკავკასიაში, ისე თერგის ოლქის საშუალო (ზოგადსაგანმანათლებლო) სკოლებშიაც გამოიყენებოდა. გარდა ამისა, 1909 წელს გამოქვეყნებულ იქნა ი. ნ. გოროდენსკის მიერ შედგენილი „ფსიქოლოგიური ქრესტომათია“, რომელიც კავკასიის სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელოდ იყო მიღებული³, ცხადია, აღნიშნულ წიგნებს თერგის ოლქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიც იყენებდნენ.

¹ იქვე, გვ. 59—62.

² Материалы по реформе средней школы. Петроград, 1915, гл. 227.

³ Н. Рудольф, Обзор деятельности Кавказского учебного округа, 1908—1912 гг., Тифлис, 1914, гл. 143.

ე. უცხო ენების სახელმძღვანელოები

XIX საუკუნის 90-იან წლებიდან კავკასიის მთის მოსახლეობის მაღალ ფენებში უცხო ენების შესწავლისადმი ინტერესი თანდათანობით იზრდებოდა. რაც შეეხება უქონებელთა მასებს, მათ მშობლიური ენის შესწავლის პირობებიც არ გააჩნდათ.

ოსური სკოლებისათვის უცხო ენების სახელმძღვანელოების დაწერა-გამოქვეყნების ფაქტი ოქტომბრის რევოლუციამდელ ოსეთში, ჭერჭერობით უცნობია. ცხადია, ის თითო-ორი (ან თუნდაც ათეულობით) ოსი ბავშვი, რომელიც ქ. ვლადიკავკავის ან თერგის ოლქის სხვა ქალაქების გიმნაზიებში სწავლობდა, უცხო ენების ცოდნას იმ სახელმძღვანელოებით იძენდა, რომელიც საერთოდ იმპერიის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში იხმარებოდა. ამგვარ დამხმარე სახელმძღვანელოთა რიცხვს 1908—1912 წწ. მიეკუთვნება: 1. Osterloff., E.—Deutsche Hauslektüre, Bändchen I. 1908; 2. მისივე, Deutsche Hauslektüre Bändchen II, 1909. გარდა ახალი ენებისა, ზოგიერთ სკოლებში სხვა უცხო ენებიც (მაგალითად, ლათინური და ბერძნული) ისწავლებოდა, მაგრამ ჩრდილო კავკასიის მთიელთათვის რომელიმე უცხო ენაში რაიმე სპეციფიური სახელმძღვანელოს შედგენა-გამოყენების უცდას აქამდე ადგილი არ ჰქონია.

სწავლავის მეთოდები

როგორც ჩრდ. კავკასიის, ისე ამიერკავკასიის ოსთა სკოლებში, ჩვეულებრივ, სწავლების ისეთ მეთოდებს იყენებდნენ, რაც რუსეთისა და კავკასიის სხვა ხალხთა სასწავლებლებში იყო მიღებული. პირველ ხანებში, როდესაც ოსურ სკოლებში ქართული წერა-კითხვა და ქართული ანბანი ისწავლებოდა, ანბანისწავლების წესიც ისეთივე იყო, როგორც ქართულ სასწავლებელთა მუშაობის „წესს“ ახასიათებდა. ეს „წესი“ პირველ რიგში გულისხმობდა ანბანის მოხაზულობის გაცნობას და შემდეგ ასოების „რიგზე“ გაზეპირებას: „ა“-ს დასაზებირებლად „ანი“-ს გამოთქმით, „ბ“-ს დასასწავლად „ბანი“-ის დაზებირით და ა. შ. ვფიქრობ, ამასვე უნდა ადასტურებდეს კოსტა ხეთაგუროვის ლექსის ის ადგილი, სადაც მოსწავლის პირით, ანბანის შესწავლის ამ „წესის“ შესახებ ნათქვამია:

იქ დავდივარ ყოველდღე, იქ ბევრი რამ შევიტყუე,
იქ ვისწავლე წერა-კითხვა, ანი, ბანი, განი, დონი,
გადავაბი სიტყვა სიტყვას, მოვაკრიფე კჳა, გონი;
შინდა სწავლას დავეწაფო, გავიწერთა და გავიწაფო¹.

¹ კოსტა ხეთაგუროვი, რჩეული ნაწერების კრებული, 1939, გვ. 567—568.

ამრიგად, ბავშვები (ჩვეუფ-ჩვეუფად) ზეპირად 4—5 ბგერას სწავლობდნენ, შემდეგ ცდილობდნენ მათ შეერთებას სიტყვებად და სიტყვის-სიტყვასთან გადაბმას, რაც წერტილისა და სისტემატური ვარჯიშის წესით სრულდებოდა. ანა-ბანას სწავლების ეს მეთოდი გამოიყენებოდა არ მარტო მაშინ, როდესაც ოსურ სახალხო სკოლებში გაიოზის სლავური ანბანისა და იალლუზიძის ქართული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი საანბანო წიგნები იხმარებოდა. არამედ მაშინაც, როცა შეგრენმა რუსულ გრაფიკზე დამყარებით ბიძგი მისცა ოსური საანბანო წიგნებით სწავლების შემოღებას.

ევარაუდობთ აგრეთვე, რომ XIX საუკ. 60—80-იან წლებამდე კავკასიის ორივე მხარის ოსური მოსახლეობის სკოლებში წერაკითხვის სწავლების პროცესში ხარის ბეჭი, ფიქალი და ფიცარიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასეთი დამხმარე „სასწავლო მოწყობილობა“ მთაშიც ადვილად მოიპოვებოდა, რომელიც არც ძვირი ჯდებოდა და მათი გამოყენების თვალსაზრისითაც „ოსტატისაგან“ განსაკუთრებულ „დახელოვნებას“ არ მოითხოვდა.

პროფ. გ. თავზიშვილის თქმით, წერის სწავლებისას ფიქალის გამოყენებას მთათუშეთშიაც მიმართავდნენ¹, რასაც პროფ. სერგი მაკალათიას მოპოვებული მასალებიც ადასტურებს².

მაშასადამე, ფიქალის, ფიცრისა და ხარის ბეჭის გამოყენება კავკასიის მთიელთათვისაც უცხო არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმიტომაც, რომ სასულიერო და საერო მოღვაწეთა საკმაო ნაწილი ახლოს იცნობდა საქართველოში შემოღებულ სწავლა-აღზრდის ძველ წესებს, ხოლო ზოგსაც ამგვარივე ტრადიციებზე მიუღია ჩვენში განათლება და თავისივე მშობლიურ მთებში უცდია მისი პრაქტიკულად განხორციელება.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან (განსაკუთრებით 60-იან წლებიდან), როგორც ამიერკავკასიაში, ისე ჩრდ. კავკასიის სკოლებშიც გავრცელდა ე. წ. თვალაჩინო სწავლების მეთოდი. ამ მეთოდის შემოღების პირველი ინიციატივა ეკუთვნის თბილისის ქალთა პროგინაზიის (შემდეგში კლასიკური გიმნაზიის) დირექტორს — ეელიხოვსკის, რომელიც მზრუნველის დავალებით (ადგილობრივ სკოლების პედაგოგებთან ერთად) დაწყებით კლასებში თვალაჩინო სწავლების მეთოდის პრაქტიკულად გამოყენებისათვის ჩრდილკავკასიელ მასწავლებლებსაც ამზადებდა.

¹ გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ აზროვნების ისტორია საქართველოში, 1801—1870, 1948, გვ. 247.

² ს. მაკალათია, დუშეთი, გვ. 107.

თვალსაჩინო სწავლების მეთოდი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მისი სწორად გამოყენების პირობებში ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მოსწავლეთა მტკიცე ცოდნით შეიარაღებისა და საფუძვლიანი მომზადებისათვის.

მაგრამ როგორც ცნობილია, ეელიხოვსკის თვალსაჩინო სწავლების მეთოდმა მოქმედების მსვლელობაში მიიღო ე. წ. „მუნჯური მეთოდის“ სახე, რომელიც პედაგოგიურს პროცესში მასწავლებლის ცოცხალი სიტყვის იგნორირებას ახდენდა.

„ნატურალური“ ანუ ე. წ. „ბუნებრივი მეთოდი“, რომელიც თანდათანობით „მუნჯურ მეთოდში“ გადაიზარდა, საგნისა და მოვლენის ახსნისას, რუსული (ე. ი. ბავშვებისათვის უცნობი) ენის შესწავლის პროცესში უარყოფს დედაენის გამოყენებას. ასეთი ანტიპედაგოგიური დევიზი ბოლო ხანებში გადაიქცა „...განგრენად, რომელმაც გახრწნა მთიელთა სკოლების ორგანიზმი“¹.

ამრიგად, თვალსაჩინო სწავლების მეთოდი თანდათანობით „მუნჯურ მეთოდად“ იქცა, რომელმაც პირველდაწყებითი განათლების სისტემას გამოაცალა ბუნებრივი საყრდენი, უარყო დედაენის გამოყენება სწავლების პროცესში, გააძლიერა ფორმალიზმი მოსწავლეთა ცოდნაში, გამოიწვია ინდიფერენტიზმი და რუსული ენის შესწავლისადმი გულგრილი დამოკიდებულება. სრულიად ბუნებრივია, რომ ამგვარ „უღლეურ“ მეთოდებს სკოლებში დიდხანს გაძლება არ ეწერა. ი. გოგებაშვილის წინამძღოლობით გამართული შეურიგებელი ბრძოლა ზახაროვ-კორხანიდ-ლევიცკის ყალბი მეთოდების წინააღმდეგ, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს სახალხო განათლების ოსი მოღვაწეები — კ. ზეთაგუროვი, ა. ა. გასიევი, ხ. ურუი-მაგოვი და სხვები, ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა.

ორი საუკუნის მიჯნაზე ოსეთის სკოლებში სწავლების ყველაზე გავრცელებულ მეთოდად დაზეპირების ხერხი, ტექსტის ზუბრიებისა და დაზუთხვის მეთოდი ითვლებოდა. ძველი სკოლა „...აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუჟაღეგარი, ზედმეტი მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენავდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა“².

ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში დაზეპირებისა და უაზრო წერთნის ამგვარი სისტემა მეტ-ნაკლებად კავკასიის ყველა სკოლაში ბატონობდა.

ზეპირობისა და მექანიკური ზუთხვის ხერხების გამოყენებას

¹ იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, 1952, გვ. 157.

² ლენინი ახალგაზრდობის შესახებ, სახელგამი, 1956, გვ. 305.

საპატიო ადგილი ეკავა განსაკუთრებით რუსული, ძველი სლავური და კლასიკური (ბერძნული და ლათინური) ენების სწავლების პროცესში. დედაენის გამოყენების აკრძალვა (ან მისი მოცულობის შემცირება) პედაგოგიურა პროცესში (ბავშვების მიერ უცხო ენის შესწავლისას) გაზეპირების მეთოდს წინა პლანზე აყენებდა. საშუალო და უმაღლესი სკოლა, ოსი მწერლის — გიორგი ცაგოლოვის აზრით, ახალგაზრდობას არაფერს არ აძლევდა, გარდა სამი რამისა: „...ღამლომისა, აკადემიური სამკერდე ნიშნისა და საშინლად ქედმაღალი, ნახევრად ცარიელი თავისა“¹.

ჩრდილო-კავკასიის ოსურ სკოლებში საეკლესიო თართო გამოყენება ქმონდა სწავლების ე. წ. პრაქტიკულ მეთოდს. რომელიც ძირითადად ახალი ენებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, საეკლესიო-სლავიანური ენის სწავლების დროსაც იხმარებოდა. ამ მეთოდის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა უცხო ენის გრამატიკის სწავლება საკითხავ ტექსტებთან ერთდროულად (ეტიმოლოგიურად და სინტაქსურად) გარჩევის პროცესში. ლიტერატურის გაკვეთილებზე პრაქტიკული მეთოდით რომელიმე ლექსის სწავლება მასწავლებელს ავალდებულებდა ეს მასალა სიტყვიერების თეორიის შესაბამის საკითხებთან კავშირში აეხსნა, მოცემული ლექსის რაობა, საბეფორმა და შინაარსი ბავშვებისათვის გაეცნო სხვა ენების ნაწარმოებებთან შეპირისპირების გზით. ეს მეთოდი, განათლების ზემდგომი ორგანოების მითითებით მხოლოდ ახალი ენების სწავლების პროცესში უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ სისტემატურობის დიდაქტიკური პრინციპის დარღვევა (რაც ამ მეთოდის გამოყენებასთან ახლდა) სწავლების პროცესში მის ეფექტურობას საგრძნობლად ამცირებდა².

ოსურ სახალხო სკოლებში სწავლების სხვა ხერხთა შორის გამოიყენებოდა აგრეთვე ევრიტიკული ან კითხვა-პასუხის მეთოდი, რომელსაც მასწავლებელი ზოგჯერ წინა დავალების შესრულების შემოწმებისა და ახალი გაკვეთილის მასალის შეთვისების ხარისხის გამოსარკვევად მიმართავდა. გარდა ამისა, გაკვეთილებზე აუცილებელი ხდებოდა ახსნითი კითხვის მეთოდის გამოყენება (შესასწავლი ტექსტის კლასში წაკითხვა), უცნობი სიტყვების, ტერმინებისა და ძნელად გასაგები ადგილების გზადაგზა ახსნა. ტექსტის შინაარსის ყოველმხრივი განხილვა, კატეხიზაცია, მოსწავლეთა მიერ ახლად

¹ Г. Цаголов, Избранные стихотворения, проза. Северо-Осетинское изд-во, Орджоникидзе, 1959, стр. 144.

² ს. სიგუა, საშუალო განათლების ისტორია საქართველოში, 1950, გვ. 99—120.

ახსნილი მასალის განმეორება, მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეთა მთელს კლასში გაკვეთილის გუნდურად წაკითხვა, შინაარსის თხრობა (მოყოლა), ლექსის ნაწილ-ნაწილ (სტროფებად) ან მთლიანად (ზეპირად) წარმოთქმა, ამა თუ იმ წესის, კანონის, ლექსის ან პატარა მოთხრობის კლასში დასწავლა-დაზეპირება და ა. შ.

ამრიგად, ოსურ სახალხო სკოლებში სწავლების ერთ-ერთ მთავარ მეთოდს (თითქმის ყველა საგნის გაკვეთილებზე) ახსნილი კითხვის მეთოდი წარმოადგენდა.

ოსურ სკოლებში არაიშვიათად ცდილობდნენ მასწავლებლის საუბრის პარალელურად (მასთან კავშირში) სათანადო ცდების ჩატარებას. საილუსტრაციო მასალების ჩვენებას, მაგრამ სახალხო პირველდაწყებით სკოლებში ამის შესაძლებლობა (მატერიალური ბაზის სიღარიბისა და ხელსაწყო-მოწყობილობათა უქონლობის გამო) იშვიათად გააჩნდათ. ამიტომ, სწავლება ამ სკოლებში უპირატესად, ზეპირსიტყვიერი მეთოდების სხვადასხვა ხერხზე დამყარებით სწარმოებდა.

საბუნებისმეტყველო-ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა ხასიათის ცნობები „ბავშვთა სამყაროდან“ ბავშვებს ეძლეოდა, როგორც ახსნილი კითხვის, ისე „...საუბრის გზითაც... ეს უკანასკნელი ხერხი, განსაკუთრებით, თუ საუბარს თან ერთვის ცდები და საერთოდ, გამოყენებულია თვალსაჩინოება, იძლევიან უფრო უკეთეს შედეგს, ვიდრე კითხვა „ბავშვთა სამყაროს“ მიხედვით“¹.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ სკოლის დირექტორების თათბირს (XX საუკუნის დასაწყისში), სახალხო სკოლებში ახსნილი-კითხვისა და საუბრის მეთოდებთან ერთად, საჭიროდ მიაჩნდა შესაბამისი ცდებისა და თვალსაჩინოების სხვადასხვა სახის გამოყენება.

ამრიგად, რევოლუციამდელ ოსეთში თანდათანობით საგრძნობი ხდება სწავლებაში თვალსაჩინოებისა და ცდების გამოყენების საჭიროება. სკოლის მუშაკთა შეგნებაში ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ სასწავლო მასალის თხრობას თან უნდა ახლდეს (განამტკიცებდეს, აღრმავებდეს და თვალსაჩინოს ხდიდეს) მარტივი სახის ცდები, რომლებიც მასალას მისაწვდომს გახდიან ბავშვებისათვის.

სწავლების სხვა მეთოდებთან ერთად, ოსეთის სახალხო სკოლებში წერითი მუშაობის მეთოდიც საკმაოდ ადგილს იკავებდა. დაბალ კლასებში წერით მუშაობაში კარნახს ან შინაარსის გადმოცემის ხერხს მიმართავდნენ, ხოლო უფროს კლასებში — თხზულების წე-

¹ Журналы собрания директоров и инспекторов народных училищ и директоров учительских семинарий Кавказского учебного округа (2—13 июня 1903 года), Тифлис, 1903, გვ. 55.

რას. ჟერჯერობით სავსებით ნათელი როდია, რა ხასიათის თემები ეძლეოდათ ბავშვებს საწერად, რამდენ დროს უნდებოდნენ მოსწავლეები მათ შესრულებას, როგორი წესით ხდებოდა ნამუშევართა გასწორება, როგორი კრიტერიუმებით ფასდებოდა მოსწავლეთა ცოდნა და სხვა. რაც მომავალში უნდა გაირკვეს.

წერითი სამუშაოები უმთავრესად რუსულ ენაში, არითმეტიკაში, ძველსა და ახალს ენებში, ისტორიასა და გეოგრაფიაში ტარდებოდა. წერით სამუშაოთა სახეები ინსტრუქციით ზუსტად იყო განსაზღვრული, მაგრამ ოსეთის სახალხო სკოლებში კონტროლის უდიდესი დრო საღვთო სჯულის სწავლების მდგომარეობის გამოკვეცას ეთმობოდა, ხოლო წერითი სამუშაოების ნორმების შესრულებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. არც ექსკურსიის მოწყობაზე შეიძლება გარკვევით ლაპარაკი, რამდენადაც ოსეთის სკოლებში სწავლების ამგვარ ღონისძიებათა გამოყენების შესახებ წერილობით ძეგლებში ათიქმის არაფერია ნათქვამი, გარდა იმისა, რომ ექსკურსია-ლაშქრობანი უმთავრესად ომის მიზნებისათვის გამოიყენებოდა.

შესაძლებელია აპრიორულად ითქვას, რომ საერთოდ, კავკასიის ათიქმის ყველა მხარის სკოლებში კასწავლო ხასიათის ექსკურსიები იშვიათად ეწყობოდა.

სწორედ სწავლების ამგვარი ანტიპედაგოგიური სისტემის შედეგად XX საუკუნის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის მდგომარეობა თერგის ოლქში არასახარბიელო სურათს იძლეოდა.

1864 წლის წესდებით გამოცდას ყოველი სკოლა (გიმნაზია) თავიანთ პედაგოგიურ საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე ატარებდა. ეს უფლებები სკოლებს სასწავლო ოლქის გაუქმების პერიოდშიაც ჰქონდა, მაგრამ 1871 წლის წესდებით იმპერიის სკოლებისათვის გამოცდების, საერთო-სავალდებულო წესები შემუშავდა. განათლების სამინისტროს კომპეტენციის საშუალო სკოლებისათვის (გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისათვის). ამგვარა წესები 1872 წ. 8 სექტემბერს დამტკიცდა. ხოლო რეალურ სასწავლებელთათვის — 1875 წლის 20 აპრილს. ამ წესდებით გამოსაშვები გამოცდები სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდებით შეიცვალა. სიმწიფის მოწმობის გაცემა გიმნაზიის მოსწავლის არა მარტო „აკადემიურ მომზადებას“, არამედ მის ყოფაქცევასა და „მორალურ სიმწიფესაც“ გულისხმობდა. გამოცდები სპეციალურ კომისიაში (დირექტორის თავმჯდომარეობით და ინსპექტორის, მასწავლებლების. ასისტენტების მონაწილეობით) ტარდებოდა. მოსწავლეთა შეფასებაში გადამწყვეტი უფლება დირექტორს ჰქონდა და არა საგნის მასწავლებელს,

რომელიც მოსწავლეს ასწავლიდა და ზრდიდა. საწერი თემები (და-
ლუქული კონვერტით) სასწავლო ოლქიდან იგზავნებოდა. წერა სას-
ტიკ კონტროლქვეშ ტარდებოდა. დაახლოებით, ანალოგიური წესით
ენუობოდა კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

1881 წლის 28 აპრილის ცირკულარით მოსწავლის აკადემიური
წარმატების წლიური ნიშანი საშუალო არითმეტიკულით განისაზღვ-
რებოდა. წერის ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. ცოდ-
ნის შეფასებაში ხუთბალიანი ციფრობრივი სისტემა ბატონობდა.
სწავლის იდეალი კარგი „ბალის“ (ნიშნის) მიღებაში გამოიხატებო-
და. როგორც სწავლების მთელს პროცესს, ისე გამოცდების მსვლე-
ლობას ფორმალიზმი განსაზღვრავდა. ყოველივე ეს, გამოცდის შე-
დეგებში თავისებურ გამოხატულებას პოულობდა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ხუთზე“ დაბალი შეფასება ყო-
ფაქტევაში მოსწავლეთა დასჯის გარკვეულ ფორმას წარმოადგენდა.
მაშინ, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის „წესები“, რომელიც
მაშინდელ გიმნაზიაში მოსწავლეთა აღზრდის დარგში ბატონობდა.

სწავლებისა და აღზრდის ანტიპედაგოგიური სისტემა ბატონობ-
და არა მარტო თერგის ოლქის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო
სკოლებში, არამედ საქალაქო და სასოფლო სახალხო სასწავლებ-
ლებშიც.

მოსწავლეთა ცოდნის დონე მთიელთა სკოლებში, შედარებით
სხვა სკოლებთან. უფრო მაღლა იდგა, რაც ჩვენის აზრით, სწავლების
შინაარსის ცხოვრების მოთხოვნილებებთან მიახლოებით აიხსნება.
საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ სკოლებში (თუ მხედველობაში არ
მივიღებთ საღვთო სჯულს ან მუსულმანურ ყურანს), უფრო რეალუ-
რი საგნები (არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ზოოლოგია, ის-
ტორია, რუსული და ფრანგული ენები, ხატვა, ხოლო ზოგიერთ მათ-
განში — ხარატობა, ღურგლობა. მებოსტნეობა, მუსიკა და გიმნას-
ტიკაც კი) ისწავლებოდა. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშ-
ნულ სასწავლებლებში მოსწავლეები სწავლას მეტი ხალისით ეკი-
დებოდნენ. ხოლო ხელმძღვანელობის მხრივ, მასწავლებელთა შერ-
ჩევაც, უფრო მეტად, კვალიფიკაციის, მოწოდებისა და საქმის ცოდ-
ნის მიხედვით ხდებოდა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ გამორი-
ცხავს სწავლებდს სისტემაში არსებულ იმ საერთო ხარვეზებს, რაც
ამ სკოლების მუშაობას ახასიათებდა.

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა

სასწავლო-აღმზრდელი მიზნების განსაზღვრის მიხედვით
მეფის მთავრობა ოსთა სკოლებში სხვადასხვა მეთოდებს იყენებდა.
ამავე მიზნებს ისახავს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით შეზღოვებულ მევი-
თვითმწყობლობას, „ქუჩის გავლენისაგან“ მოსწავლეთა ყურად-
ღების ჩამოსაშორებლად, სკოლისგარეშე პრაქტიკული მუშაობის
(რეფერატების მომზადება, რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის საუბ-
რების ჩატარება, კლასგარეშე კითხვის ორგანიზაცია, სხვადასხვა
სასწავლო ხელსაწყოთა დამზადება, გრაფიკული ნახაზების შედგენა,
ხატვის, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელსაქმობის ფართოდ შე-
მოღება) მოწყობა და ბავშვთა თავისუფალი დროის ბიუჯეტის გო-
ნიერულად გამოყენება (ლიტერატურულ-მუსიკალური დილა-საღა-
მობის, სპექტაკლების, ლექციებისა და სხვ. გამართვა) გადაუღებელ
საპირობად მიაჩნდა.

კლასგარეშე მუშაობის რაციონალურ-პედაგოგიურ ღონისძიება-
თა ნაცვლად, სკოლათა ხელმძღვანელობა; უმთავრესად, მოსწავლეთა
რელიგიურ-ეთიკური „დამოძღვრისა“ და ახალგაზრდობის „მეამბოხე
სულის“ „დამორჩილება-მოთვინიერების“ ნაცად ხერხებს იყენებ-
და. სასკოლო ბიბლიოთეკები სავსე იყო საეკლესიო-მორალური ხა-
სიათის წიგნებით, რომლებიც ათეული წლების მანძილზე თაროებზე
ხელუხლებლად ეწყო¹. ამგვარი წიგნებით ცდილობდნენ მოსწავ-
ლეთა გონებასა და სულში ღვთისადმი რწმენის გაძლიერებას. მოს-
წავლეებისაგან ადგენდნენ მგალობელთა გუნდებს, რომელთაც სას-
კოლო დილა-საღამოებზე და რელიგიური დღესასწაულებების დროს
(ეკლესიებში) ავალდებულებდნენ საეკლესიო საგალობლებისა და
სხვა ცერემონიალების შესრულებას. „კავკასიაში მართლმადი-
დებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მიერ დამ-
ტკიცებული განაწესით საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებ-
ლებს ევალებოდათ:

ა) ეკლესიებში ღვთისმსახურებისათვის (კვირა-უქმე დღეებში)
მოსწავლეთა სისტემატური ტარება;

ბ) საეკლესიო კითხვასა და გალობაში მოსწავლეთა პრაქტიკუ-
ლი ვარჯიშების მოწყობა;

გ) გაკვეთილების დაწყებამდე (საღვთო სჯულის მაწავლებლის
მონაწილეობით) მოსწავლეთა მიერ დილის ლოცვების შესრულება;

დ) საეკლესიო დღესასწაულების წინ და ყოველ შაბათობით, უქ-
მე დღეების მნიშვნელობაზე ბავშვებთან საუბრების ჩასატარებლად
საღვთო სჯულის ნახევარი გაკვეთილის გამოყენება, საუბრების
დროს „წმინდანებზე“ განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება;

¹ საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 141, საქმე № 649, ფურც. 12—
15, საქმე № 970, ფურც. 14, 37—38, გვ. 64—67.

ე) ბავშვებისათვის არაქრისტიანული სახელების ტარების აკრძალვა, მშობელთა მიმართ შვილებისადმი ამგვარი სახელწოდების მინიჭების წინააღმდეგ ზომების მიღება, მოსწავლეთა მიერ თავიანთი სახელწოდების დღის უქმობა და ამ დღის აღსანიშნავად მეცადინეობისაგან განთავისუფლება;

ვ) მშობელთა დავალებულება, რომ სახლში ჰქონდეთ ხატები, მკერდზე კი ყველას ეკიდოს ჯვრები.

ამავე მიზნით ეკლესიის კარებთან მღვდლების მორიგეობის დაწესება და ა. შ.

ამგვარი „მორალური კოდექსებით“ ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის მესვეურები მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ ჰგეშავდნენ.

ამასთან „...ღმერთის სახელით ლაპარაკობდა სამღვდლოება, ლაპარაკობდა ბურჟუაზია, რათა დაეცვათ და გაეტარებინათ თავისი ექსპლოატატორული ინტერესები“ (ლენინი). საღვთო სჯულში საგნობრივ-მეთოდური საქმიანობის ცენტრი უმთავრესად აღსაზრდელებთან გაყვეთილგარეშე მუშაობისაკენ იხრებოდა. საღვთო სჯულის ან სხვა საგნების მასწავლებელი ხშირად მოსწავლეებთან რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათის თხრობა-საუბრებს მართავდა. ამგვარი რელიგიურ-ეთიკური საუბრის ერთ-ერთ საილუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს სახალხო განათლების გამოჩენილი ოსი მოღვაწის — ხ. ურუმიანოვის პედაგოგიურ ნარკვევში („დაწყებითი სკოლები ოსეთში“) წარმოდგენილი თქმულების მოკლე ჩანაწერი, რომლის თემაა: „ასეთი ჯვარი ატარე, რაც ღმერთმა გარგუნა“.

ამ საუბრის მსვლელობა მსმენელებთან მასწავლებელმა შემდეგნაირად წარმართა: „იყო ერთი ღარიბი გლეხი, რომელიც თავისი მძიმე შრომით ცხოვრობდა. ცოლშიც კლივისდა არჩენდა. ერთხელ ზღვის ნაპირად ქვაზე ჩამოჯდა და ნავსადგურს დაუწყო ცქერა, სადაც გემებს დიდძალი ძვირფასი საქონლით ტვირთავდნენ. ღარიბს შეეხარბა ამ საქონლის პატრონის მდგომარეობა. იგი ფიქრობდა: ღმერთს სამართალი არა აქვს, რომ ერთს ასეთი სიმდიდრით აჯილდოებს, ხოლო მეორეს კი — სიღარიბითო. ამ ფიქრში მას ჩაეძინა. სიზმრად გამოეცხადა თეთრწყვერა მოხუცი, რომელმაც მასთან ერთად წასვლა სთხოვა. ღარიბი გლეხი მოხუცმა ერთ ველზე მიიყვანა, სადაც ბევრი ჯვრები ეწყო: ზოგი ჯვარი ოქროსი იყო, ზოგიც ვერცხლისა, რკინისა, ქვისა, ხისა და ა. შ. — აიღე, რომელიც გინდაო, — უთხრა მოხუცმა. ღარიბმა სცადა ოქროს ჯვრის აღება. მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა. ასევე შეეცადა ვერცხლის, სპილენძის, რკინის, ქვის ჯვრების აღებას, მაგრამ ვერც ეს მოახერხა. ბოლოს ისევ ხის

ჯვარი აიღო, მხარზე ადვილად გაიდო და წაიღო. მაშინ მოხუცმა ღარბის შემდეგი აუხსნა:

1. მეფის ჯვარი ოქროსია, ბრწყინავა. მაგრამ ძალიან მძიმეა, რომლის დაძვრა ადგილიდან მხოლოდ მეფეს შეუძლია:

2. ვერცხლის ჯვარი მეფის მინისტრებისა და ხელმძღვანელებისაა, მათთვის საზიღია, მაგრამ სხეები ვერ ზიდავენ;

3. სპილენძის ჯვარი მდიდრებისაა, რომელთაც გაკოტრების ეშინია, მაგრამ ესეც მძიმე და ძნელი საზიდავია;

4. რკინის ჯვარი სამხედროებისაა, რომელთაგან ბევრი განწირულია და ომში კვდება;

5. ქვის ჯვარი — ვაჭრობის სიმბოლოა, მათ სწორად უწევთ ისეთი მძიმე საქმე, როგორც არის მოტყუილება. შიტაცება; წაგლეჯა, რაც აგრეთვე ძნელი და მძიმეა;

6. ხის ჯვარი — გლეხის, მიწის მუშისათვის ადვილად საზიდი ჯვარია, რომელიც ამტანობით სხეებს სჯობიან. ამიტომ ღმერთმა ყველას თავის ჯვარი შეახვედრა, თავისი ხვედრი არაჯუნა.

ასეთი სიზმრის შემდეგ გამოღვიძებულ ღარბს გლეხს თავისი სიღარიბის შესახებ არც წუწუნი დაუწვია და არც ღმერთის საყვედური უთქვამს.

მასწავლებელმა ნაამბობს გაუკეთა დასკვნა, რომ ღმერთს ამ ქვეყნად ყველა უყვარს, ყველასათვის ყველაფერს შესაფერისად აკეთებს და ამიტომ ყველანი მისი მადლიერი უნდა იყოს: „უღმერთოდ — კარებამდე ვერ მიხვალ“¹.

ზემონათქვამიდან ცხადი ხდება, რომ სკოლის მასწავლებელს რელიგიისა და ზნეობის მქადაგებელ-მასწავლებლის მოვალეობაც ჰქონდა დაკისრებული. ასეთი „ეთიკური საუბრებით“ იგი ცდილობდა ხალხისათვის შთაეგონებინა. რომ კმაყოფილი ყოფილიყო თავისი აუტანელი ცხოვრებისა, ბოლომდე ეტარებინა მისთვის განკუთვნილი „მჩატე ხის ჯვარი“, მაღლობა შეეწირა „ღმერთისათვის“ ამ ქვეყნად თავისი ცხოვრების ასეთი „ხვედრის“ გამო. „უღაოა აღზრდის ეს პრინციპი. — როგორც ურუმიმაგოვი წერდა, — მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სკოლებშიაც გამეფდა. აღზრდის ასეთ გაგებასთან ერთად, სკოლები, ბუნებრივია, მეორე პლანზე აყენებდნენ თავიანთი აღსაზრდელების თავისუფალი და შეგნებული აღზრდის მოთხოვნილებებს“².

საერო და სასულიერო სკოლების ხელმძღვანელობა ყოველ

1 Журн. «Утро гор», 1910 г., зб. 49.

2 იქვე, зб. 49.

ხერხს ხმარობდა, რომ ხალხისათვის „განათლებული მღვდლები“ და ლეთისმორწმუნე მასწავლებლები მოემზადებინა.

ამისათვის მოსწავლეებს სახლში „ზნეობრივი მოძღვრების“ მისაღებად საგანგებოდ შერჩეული კლასგარეშე საკითხავი წიგნები ეძლეოდათ. ხ. ურუშიაგოვის მიერ დასახელებული მაგალითის მიხედვით ირკვევა, რომ 480 წიგნიდან, რომელიც („სახლში წასაკითხად“) ერთ-ერთი სასწავლებლის აღსაზრდელებს მიეცათ, საერო შინაარსის წიგნი ერთადერთი აღმოჩნდა. მომავალ მასწავლებელთა „დასამოძღვრად“ გაცემულ წიგნებთა შორის აღსანიშნავია: „ცხოვრება ნიკოლოზ სასწაულმოქმედისა“, „წმინდანების ცხოვრება“, „ნუგეშისცემა სიკვდილში“, „სამების ფურცლები“, „იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრება“ და სხვები¹. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩრდ. კავკასიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახალხო მასწავლებელთა რელიგიურად გადამზადებას, ადგილობრივ მოსახლეობაში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა-გავრცელებას და მეფისა და ეკლესიის ერთგულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას.

როგორც მომზადება სახალხო მასწავლებლებისა, ისე მათი გადამზადებაც (რევოლუციამდელ ოსეთში) ზემოაღნიშნული დევიზის ქვეშ მიმდინარეობდა. ამიტომაც იყო, რომ მასწავლებელთა საკურსო მუშაობაში საგნობრივ-მეთოდური კომისიებისა და გაკვეთილგარეშე კითხვის პროცესში მთავარი ყურადღება მოსწავლეთა რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდის საკითხებს ექცეოდა.

ამავე მიზნებს ემსახურებოდა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ 1905 წლის დეკემბრის ბრძანების საფუძველზე ზოგიერთ სკოლასთან ჩამოყალიბებული ე. წ. „მშობელთა წრეები“ (ნაცვლად „მშობელთა კომიტეტებისა“). რომელთა მთელი საქმიანობა ფულადი სახსრების შეგროვებით და მოსწავლეთა „წესრიგის დამყარებისათვის“ ზრუნვით შემოიფარგლებოდა.

მშობელთა კომიტეტები სკოლებთან სრულებით არ იყო. მხოლოდ ზოგიერთ საშუალო სკოლასთან არსებობდა მშობელთა წრე, რომელიც სკოლის ცხოვრებაში უმნიშვნელო როლს ასრულებდა. ამ წრის ზოგიერთი წევრების მიერ გაკვეთილებზე დასწრების მოთხოვნა პირადი ინტერესებით განისაზღვრებოდა.

1905 წლის მანძილზე ჩრდ. კავკასიის საშუალო სკოლებთან მშობელთა არც ერთი წრე არ მოქმედებდა. 1909 წელს ამავე მხარის 36 საშუალო სკოლიდან მშობელთა წრეები მხოლოდ 12 სკო-

¹ Журн. «Утро гор», 1910 г., гл. 50.

ლაში არსებობდა, ხოლო 1910 წლისათვის ეს რიცხვი 2-ით შემცირდა. 1912 წელს 50 საშუალო სკოლიდან მშობელთა წრეები (ისიც ფორმალურად) მარტოდ-მარტო 11 სკოლაში „მოქმედებდა“, მაგრამ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მათი როლი თითქმის არარაობას წარმოადგენდა. ამ ციფრების ღრმა ანალიზის გარეშედაც ნათელია, რომ სკოლასა და ოჯახს შორის ცარიზმის ბატონობის პერიოდში ღრმა უფესკრული არსებობდა. სკოლებთან ჩამოყალიბებულ მშობელთა წრეებს კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობა სკოლის მატერიალური დახმარების, ქუჩის „გამხარწველი გველენისაგან“ ბავშვთა იზოლირების, ახალგაზრდობაში „წესრიგის დანერგვისა“ და მოსწავლეებში „მონამორჩილების“ სულისკვეთების დანერგვის ფუნქციას აკისრებდა.

V. პედაგოგიური აზროვნების განვითარება და ხალხის ბრძოლა ახალი სკოლისათვის ოპოზიციის რევოლუციური ფორმის

სახალხო მოძრაობა და სკოლა

რუსეთის განაპირა მხარეების სხვა ხალხების მსგავსად, ოსი ხალხი სიღარიბის, უმეცრებისა და სიღატაკის აუტანელ პირობებში ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ XIX-საუკუნის ბოლო წლებში და XX საუკუნის დასაწყისში (განსაკუთრებით საეკლესიო-სამრევლო) სკოლების ქსელი ოსეთში ერთგვარად გაფართოვდა, ზოგიერთ კუთხეს არც სკოლა ჰქონდა და არც სხვა კულტურული დაწესებულებანი. ხოლო ზოგიერთ პროვინციაში არსებული დაწყებითი სკოლები სწავლას მოწყურებულ ბავშვთა შემადგენლობის ნახევარსაც ვერ იტევდა. პრესის მასალებიდან ცნობილია, რომ სოფ. ხუმალაგში 1891 წლის თებერვლის დასაწყისში გაიხსნა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ დედათა სკოლა, სადაც ალაგი 50 მოსწავლისათვის იყო მომზადებული. გამოცხადდა მსურველი სწავლისა ასზე მეტი ქალი. ნახევარი უკან დააბრუნეს. ამაზე მოხდა უსიამოვნება დედ-მამათა შორის. ყველას უნდოდა, რომ მისი შვილი მიეღოთ“¹.

ცხადია, ამგვარი მდგომარეობა ადგილობრივ მოსახლეობაში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ოს ხალხში სწავლის სურვილი და ცოდნისადმი მისწრაფება იმდენად გაიზარდა, რომ ზოგიერ-

¹ გაზ. „ივერია“, 1891 წ., № 40, გვ. 2.

თი მათგანი სკოლისათვის სრულიად უსასყიდლოდ საკუთარ საცხოვრებელ შენობასაც თმობდა. 1890 წელს „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ ინსპექტორს და სხვა ხელმძღვანელ პირებს ბათაყოსა და დარკოსში „ერთმა ოსმა ...დაანახვა ერთი მშვენიერი სასკოლო სახლი და აღუთქვა, მუქთად დაეუთმობ სკოლასაო. ამას გარდა, სკოლისათვის საჭირო ავეჯის შეძენა ემ ოსმა იტვირთა“¹.

1891 წელს ბესლანელმა ოსმა გაკა გუთიევმა „საზოგადოებას“ სკოლისათვის გადასცა თავისი ხარჯით აგებული მშვენიერი შენობა“².

ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა გორის მაზრის ოსურ-სოფლებშიაც. მაგრამ მთავრობა ხალხის განათლებაზე ნაკლებად ზრუნავდა. XIX საუკუნის 80—90-იან წლებში ქსნის ხეობის მოსახლეობაც (კულტურის მხრივ) მეტისმეტად ჩამორჩენილი იყო. როგორც გაზ. „ივერია“ წერდა, 90-იან წლებში „ეს ამოდენა მხარე, პატარ-პატარა გორაკებზედ და თითქმის მთის წვერებზედ გაშენებული, მოკლებულია ყოველნაირ სახსარს წარმატებისას. დღევანდლამდე ქსნის ხეობამდე არ მიუღწევია განათლების მაღლიან სხივს. დღევანდლამდე ამ ხეობაში არ არსებობს არც ერთი სასოფლო სასწავლებელი“³.

მთავრობა მოსახლეობის განათლების საქმეს ყოველნაირად აფერხებდა. ადგილობრივი მოხელეები სკოლებისათვის ხალხში შეგროვილ სახსრებს პირადი დანიშნულებისათვის იყენებდა. ისინი ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს სკოლების გახსნას და ნორმალურ სწავლებას.

ასეთივე მდგომარეობა იყო ჩრდ. კავკასიის სოფ. ზაყაში, სადაც 1895 წლის იანვარში მღვდელ ჯანუევის ინიციატივით გაიხსნა „...წერა-კითხვის სასწავლო სკოლა“. ამ სკოლის „ერთ პატარა უბრალო ოთახში... წვალებით“ პირველად 30 ბავშვი სწავლობდა. ისე, როგორც სხვებში, აღნიშნულ სასწავლებელში ბავშვებს არ ჰქონდათ „...დასასხდომი ადგილი და სხვა საჭირო საგნები, მაგრამ თავისი მეცადინეობით (მასწავლებელ ჯანუევმა) მშვენიერად შეასწავლა ამ ცოტა ხანში უბირი ხალხის შვილებს წერა-კითხვა, ლოცვები და ზოგიერთი საგალობელი“, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა მის მიმართ მაღლიერების გრძნობებს გამოხატავდა⁴.

¹ გაზ. „ივერია“, 1890 წ., № 112, გვ. 3.

² გაზ. „ივერია“, 1891 წ., № 23.

³ გაზ. „ივერია“, 1888 წ., № 125, გვ. 2.

⁴ ეურნ. „მწვემსი“, 1895 წ., № 11, გვ. 5—6.

მთიელთა შორის უკმაყოფილების ზრდას ხელს უწყობდა არა მარტო ეკონომიური სიდუხჭირე, პოლიტიკური ჩაგვრა და თვითნებობა. არამედ ხალხის სწავლა-განათლების საქმისადმი ცარიზმის ადგილობრივ მოხელეთა გულგრილი დამოკიდებულება. ცნობილია მაგალითად, რომ 1888 წელს ქუთაის, კეხვის, ქვემო და ზემო აჩაბეთის მოსახლეობა, რომელიც ორიათას კომლს ითვლიდა, მოითხოვდა თავიანთ ხარჯზე სკოლის გახსნას, მაგრამ მთავრობის ადგილობრივ მოხელეთა მხრივ უზრუნველობისა და სკოლის შესანახი ხარჯების სიმძიმით მოსახლეობის დაშინების გამო, ხალხის ეს თხოვნა დიდხანს არ ყოფილა დაკმაყოფილებული¹. იყო შემთხვევები. როდესაც მდიდრები (აღდარები და ბადელიატები) თავიანთი ბავშვებისათვის მოითხოვდნენ ცალკე სკოლის გახსნას. ამ საფუძველზე 1903 წლის 28 აგვისტოს სოფ შანაევოს ღარიბი მოსახლეობის მიერ არჩეული „სასკოლო კომისია“ თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორს თხოვდა არააღდართა ბავშვებისათვის ცალკე სკოლის დაარსებას. ღარიბი სოფლელების ეს თხოვნა იმით იყო დასაბუთებული, რომ მდიდარი აღდარები და მათი შვილები დასცინოდნენ ღარიბთა ბავშვებს. არ სურდათ, რომ მათი შვილები ღარიბთა ბავშვების გვერდით მსხდარიყვნენ; ამის გამო ღარიბი მშობლები, მათ მიერ (3000 მანეთად) აგებულ სკოლის შენობაში სოფლის ღარიბი ბავშვებისათვის მოითხოვდნენ ცალკე სკოლის გახსნას და განათლების სამინისტროს ხარჯზე (600 მან. წლიური ხელფასით) მასწავლებლის მოწვევას. მათი გაგებით, არსებულ პირობებში გამორიცხულია ღარიბებსა და მდიდრებს შორის შერიგების მიღწევა და აღდარების მხრივ მშრომელებისადმი ადამიანური დამოკიდებულების გამოჩენა².

მიუხედავად იმისა, რომ „ღარიბთა კომისიის“ მოტივები სწორად იქნა მიჩნეული, მშრომელი მოსახლეობის კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ ყოფილა გადადგმული. მთავრობის მოხელეები სკოლების გახსნის მაგიერ ხალხის ხარჯზე ეკლესიებს და ეკლესიის მსახურთა ბინებს აგებდნენ. 1903 წლის 17 სექტემბერს თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა მიიღო ოლქის უფროსის მიმართვა, რომლითაც სოფ. ხრისტიანოვსკის ზემო მხარის მცხოვრებლებს უარი ეთქვა საქალაქო სკოლის გახსნაზე იმის გამო, რომ მოსახლეობამ ვერ შეძლო ეკლეს-

¹ გაზ. „ივერია“, 1888 წ., № 167, გვ. 2.

² Архив СОНИИ, фонд дирекции народных училищ Тергской области, дело 1903 г., № 39, Л. 1 и 29.

სიის მეორე შენობისა და ეკლესიის მსახურთა საცხოვრებელი ბინების აშენება.

დასახლებული სოფლის მცხოვრებთა სამართლიანი მოთხოვნის დაუქმყოფილებლობას კავკასიის „სასწავლო ოლქის მზრუნველი“ კავკასიის მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისადმი 1907 წლის 28 მარტს გაგზავნილ მიმართვაში იმით ასაბუთებდა, თითქოს ხრისტიანოვსკის მცხოვრებნი „თავიანთი ყოფაქცევით“ არ იმსახურებენ საქალაქო სკოლის გახსნას. თავის მხრივ, „სასწავლო ოლქის მზრუნველი“ თერგის ოლქის უფროსის ანალოგიურ მოტივირებას ემყარებოდა, რომ „ეს სოფელი საკმაოდ მდიდარია და გარდა ამისა, თავისი ყოფაქცევით და მცხოვრებთა საერთო განწყობილებით არ იმსახურებს „... ორკლასიანი სკოლის გახსნასო“¹.

მშრომელი ხალხის ამგვარი „ყოფაქცევა“ და მათი „განწყობილება“ ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკით იყო გამოწვეული, რამდენადაც მეფის თვითმპყრობელობა მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნილების დაქმყოფილებაზე უარს აცხადებდა². მოსახლეობაში უქმყოფილების გაძლიერებას ხელს უწყობდა უვარგისი სასკოლო სისტემა, სწავლების ყაზარმული რეჟიმი და აღზრდის იეზუიტური მეთოდების გამოყენება. სწავლება სახალხო სკოლებში დოგმატური მეთოდით მიმდინარეობდა. ბავშვებს სკოლებში სხვადასხვა დროს იღებდნენ, რადგან სწავლის დრო არ იყო ზუსტად განსაზღვრული. უმთავრეს შემთხვევაში გაკვეთილები მთელ დღეს გრძელდებოდა. სასწავლო საგნების სწავლებაში დარღვეული იყო თანმიმდევრობის პრინციპი. სასწავლო ცხრილებში ბევრს შემთხვევაში სიძნელე-სიადვილე და დიდაქტიური წესების დაცვას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

მოსწავლეთათვის განსაზღვრული იყო საკითხავი წიგნების რაოდენობა: რეკომენდებული სიის მიხედვით ერთკლასიან სკოლაში ბავშვებს წლის მანძილზე უნდა წაეკითხათ (საშუალოდ) 20—25 წიგნი, ხოლო ორკლასიან სკოლაში — 45—50. ასეთი გზით. ცოდნასთან ერთად, მოსწავლეებს უნდა „შეეთვისებინათ“ რელიგიური რწმენა და კითხვის ჩვევები³.

¹ Материалы по истории Осетинского народа, т. V, сборник документов по истории народного образования в Осетии, Госиздат СОНИИ, 1942, гл. 271.

² იქვე, გვ. 272—273.

³ «Журналы собрания директоров и инспекторов народных училищ и директоров учительских семинарии Кавказского Учебного округа 1—10 июня 1904 года», Тифлис, 1904, гл. 9, 72—73.

საკითხავი წიგნების დიდ ნაწილს საეკლესიო-რელიგიური შინა-არსის ნაწარმოებები შეადგენდა.

1890-იანი წლებიდან ოსური სახელმძღვანელოების გამოცემა ერთგვარად გახშირდა, მაგრამ „...ფაქტიურად ოსური ენა სკოლებში არც შესწავლის საგნად ითვლებოდა და არც სწავლების ენად. ოს მასწავლებლებს, საერთოდ, აკრძალული ჰქონდა მოსწავლეებთან ლაპარაკი ოსურ ენაზე“¹.

ამგვარი მდგომარეობა ბევრვითა სწავლებასა და აღზრდაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა. რელიგიური დოგმატების ზუბრიჩება და ვერბალური სწავლება მოსწავლეთა ინიციატივას ახშობდა. მასწავლებელთა მიმართებებსა და დახასიათებებში მოსწავლეები ხშირად „მხეცებად“, „უხეშებად“, „უზრდელებად“ და „უკულტუროებად“ იწოდებოდნენ. აღზრდის მთავარ დევიზად მიღებული იყო მთის მცხოვრებთა ახალგაზრდობაში „ველური სულის ჩაღწობა“².

სკოლების მატერიალური ბაზა უაღრესად ჩამორჩენილი და ღარიბი იყო. თავშესაფრებსა და პანსიონებში მყოფი მოსწავლეთა უმრავლესობა მათხოვრულ მდგომარეობაში ცხოვრობდა. ისინი ეკონომიურ და უფლებრივ შევიწროებას განიცდიდნენ. პროტესტებს უკმაყოფილებას, მასობრივ გამოსვლებს (თვითმპყრობელობის ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ) ადგილი ჰქონდა როგორც ცენტრალურ რუსეთში, ისე კავკასიის თითქმის ყველა კუთხეში (მათ შორის თბილისში, ბაქოში, გროზნოში, ვლადიკავკავში, არდონში და სხვ.).

ოსებზე ძლიერ გამარეგოლუციონერებელ გავლენას ახდენდა მარქსისტული იდეები. 1905—1907 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილოეთ ოსეთის სკოლის მოწინავე პედაგოგები (ხარიტონ ურუიმაგოვი, ანდრო ცაგოლოვი და სხვ.) და მოსწავლეები, რომელთა ნაწილი „მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებისათვის“ დასჯილ იქნენ. მთავრობა აჯანყების მონაწილეებს სასტიკი ტერორით, ხოცვა-კლევით, საღრჩობელებით, კარცერებით, როზგებით და დასჯის სხვა ზომების გამოყენებით უმასპინძლებოდა. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულ მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა მოითხოვდა:

ა) სწავლა-აღზრდის არსებული სისტემის რადიკალურად შეცვლას ახალი, სახალხო-დემოკრატიულ საფუძვლებზე აგებული სასკოლო სისტემით;

¹ X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северо-Осетии, Орджоникидзе, 1958, გვ. 9.

² Известия Сев. Кавк. пед. института, т. XIII, 1937, გვ. 275—276.

ბ) საყოველთაო-სავალდებულო — უფასო სწავლების შემოღებას და სახელმწიფოს ხარჯზე ბავშვების აღზრდას;

გ) მშობლიურ ენაზე სწავლების დამყარებას და რუსული ენის ერთ-ერთ სასწავლო საგნად შემოღებას;

დ) სკოლის დაახლოებას ცხოვრებასთან და ოჯახის აქტიურად ჩაბმას განათლების საქმეში;

ე) როგორც სახალხო პირველდაწყებითი, ისე საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ადგილობრივ დაარსებას და სკოლის საფეხურებს შორის წინააღმდეგობათა მოსპობას;

ვ) სკოლებიდან რელიგიისა და ფიზიკური სასჯელების უკუგდებას და ბავშვის პიროვნების პატივისცემას და ა. შ.

კავკასიის ორივე მხარის ოსეთში მშრომელი მასების, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ ანალოგიური ხასიათის მოთხოვნების წამოყენება და მზარდი ბრძოლა აღნიშნულ მოთხოვნილებათა განხორციელებისათვის რუსეთის სდმპ რევოლუციურ-მარქსისტული, ბოლშევიკური ორგანიზაციების განუხრელი ორგანიზატორული ხელმძღვანელობის შედეგს წარმოადგენდა. რუსეთისა და კავკასიის სხვა კუთხეების მსგავსად, ოსეთის სკოლების მასწავლებელთა ნაწილი ბოლშევიკების მხარეზე იდგა, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშებზე და გლეხებში რევოლუციური იდეების დაწერგვასა და მარქსისტულ-ლენინური შეხედულებათა გავრცელების საქმეში. ამ იდეების გავრცელებისათვის ოსეთში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ვ. კურნატოვსკი, მ. კალინინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, ა. მიქოიანი, ს. შაუმიანი, ს. ორჯონიკიძე, ს. სპანდარიანი, კამო და სხვ. ოსების მხრივ მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელებასა და მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ — ვანო ჭატიევი, ანტონ დრიაევი, ოსიფ ფუხაევი, შაქრო ვალიევი, ვასო და ოლა ფუხაევი, მეფის ოხრანკის მიერ სიკვდილით დასჯილი ზნაურ აიღაროვი, ისაკ ხარებოვი, 13 ოსი კომუნარი და სხვები, რომლებიც მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ ილაშქრებოდნენ¹.

1905 წელს აჯანყდნენ დიგორელი გლეხები, რომელთა მხარდამხარ იბრძოდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები. ისინი, არსებული სახელმწიფოებრივი წყობის დამხობასთან ერთად, ცარიზმის სასკოლო სისტემის ძირეულად შეცვლას მოითხოვდნენ. 1905 წლის ივლისში მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაცემულ იქნა განკარ-

¹ В. Д. Абасев, Тбилиси и Осетия, 1959, гл. 12—13.

გელემა რევოლუციურად განწყობილ მასწავლებელთა სამსახურიდან გადაყენებისა და მათ ადგილებზე (ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში) მღვდლების მოწვევის შესახებ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი¹. 1905 წლის 30 ივლისს სოფელ ალაგირში ეპისკოპოსის ნებართვით შეიკრიბა ჩრდ. ოსეთის სამღვდლოების კრება, რომელმაც მთავრობის სახელზე შეიმუშავა შემდეგი მოთხოვნილებანი:

1) მოისპოს ყოველგვარი სასყიდელი, რომელსაც ამჟამად მათ ოსები აძლევენ და დაენიშნოთ მთავრობისაგან ჯამაგირები: ბარში მღვდლებს — წელიწადში 1200 მან., დიაკვნებს 400 მანეთი; მთაში მღვდლებს — 1308 მან., დიაკვნებს — 450 მან.; 2) ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლები გადაეცეთდეს სახალხო სკოლებად და მშობლიურ ენაზე სწავლებას სავალდებულო, იყოს; 3) შემოღებულ იქნას საყოველთაო სწავლა სახელმწიფო ხარჯზე; 4) სასულიერო პირთა ტანისამოსი შეცვლილ იქნას ევროპულ ტანისამოსზე; 5) ნება მიეცეს სასულიერო პირთ ს:მსახურიდან თავისუფლად გადადგომის და სხვ.² ამგვარი ლიბერალური მოთხოვნები ოსი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის რევოლუციისაგან ჩამოცილებისა და სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის შესუსტებისაკენ იყო მიმართული.

მასწავლებელთა მასებზე რევოლუციური იდეების ზეგავლენის გაძლიერების შედეგად, 1905 წლის აგვისტოში არღონში მოწვეულმა მასწავლებელთა ყრილობამ ვლადიკავკავის და მოზდოკის ეპისკოპოსის სახელზე პეტიცია გაგზავნა, რომლითაც მოითხოვდა:

- 1) საეკლესიო-სამრევლო სკოლას ეწოდოს სახალხო სკოლა;
- 2) შეიკვეცოს საღვთო სჯულის პროგრამა, მშობლიური ენა შემოღებულ იქნას, როგორც სავალდებულო სასწავლო საგანი;
- 3) გაუმჯობესდეს მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობა;
- 4) შეტანილ იქნას საპირო ცვლილებანი სკოლის ცხოვრებაში;
- 5) სასწავლო საგანთა რიცხვიდან გამოირიცხულ იქნას ძველი სლავიანური ენა;

6) სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ იქნას ბუნებისმეტყველების, მშობლიური ისტორიისა და სოფლის მეურნეობის საფუძვლების სწავლება; სხვა საგნების (მაგ. რუსული ენის, არითმეტიკის, გეომეტრიის, ხაზვის, ფიზიკის, გეოგრაფიის) პროგრამებში შეტანილ იქნეს საპირო შესწორებანი და დამატებანი;

¹ История Осетии (макет), ч. 1-ая, 1954, вв. 234.

² ურნ. „მწყემსი“, 1905 წ., № 15—6, ვვ. 21.

7) სკოლის გარეშე (ე. ი. ფაკულტატური) საგნების სახით ქალთა სკოლებში შემოღებულ იქნას ხელგარჯილობისა და მეოჯახეობის გაკვეთილები, ზოლო ვაჟთა სკოლებში — გიმნასტიკა, სიმღერა და ხატვა;

8) სახალხო სკოლების უფრო დეტალური და ზუსტი პროგრამების შესამუშავებლად და სათანადო სახელმძღვანელოების შერჩევის მიზნით, სპეციალისტებისა და გამოცდილ მასწავლებელთა მონაწილეობით შეიქმნას კომისიები;

9) სკოლებზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს ოსური სასწავლებლების არდონის განყოფილების სასკოლო საბჭოს გადახალისება, ამ მიმართულებით, რომ მასში ნამდვილ წევრთა უფლებით შეყვანილ იქნან მასწავლებელთა კორპორაციიდან 3 კაცი და 2 ქალი, 1 საღვთო სჯულის მასწავლებელი, ხალხის წარმომადგენელი და მთავრობის მიერ გამოყოფილი — 3 კაცი;

10) განყოფილების სასკოლო საბჭოს თავმჯდომარე არჩეულ იქნას წევრთა რიგებიდან გარკვეული ვადით, ფარული კენჭის ყრით, ხმის უმრავლესობით;

11) სკოლებზე კონტროლი დაევალოს სასკოლო ინსპექტორს, რომელიც თავის მოქმედებაში დაემორჩილება ოსეთის სასკოლო საბჭოს განყოფილებას;

12) მღვდლები გადაყენებულ იქნან სკოლათა გამგის თანამდებობიდან; მათ მაგივრად სკოლებთან ჩამოყალიბდეს სასკოლო საბჭოები, რომლებშიც შეყვანილ იქნებიან მასწავლებლები, სკოლის მზრუნველები და ადგილობრივი საზოგადოების ორი წარმომადგენელი;

13) პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლის წლიური ხელფასი განისაზღვროს 750 მანეთით, ხუთწლიანი დამატება — 60 მანეთის ფარგლებში; ზოლო მუშაობის მაქსიმალურ ვადად ჩაითვალოს 25 წელი;

14) მასწავლებელი ქალები, როგორც ხელფასით, ისე უფლებრივად გათანაბრებულ იქნან მამაკაც მასწავლებლებთან;

15) ახლად დამწყებ მასწავლებელს სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან მიეცეს არდადეგების ხელფასი;

16) სოფლის საზოგადოებანი გათავისუფლდეს მასწავლებელთა ხელფასის გადასახადისაგან;

17) ყოველწლიურად მოეწყოს მასწავლებელთა პედაგოგიური და საერთო-საგანმანათლებლო კურსები;

18) გაიხსნას ცენტრალური, პედაგოგიური ბიბლიოთეკა (საწყობო

ბით), სადაც წიგნებთან ერთად თავმოყრილ იქნება თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-მასალები;

19) შეიქმნას სათადარიგო მასწავლებელთა ინსტიტუტი, რის მოგვარებაც დაევალოს ოსური სკოლების საბჭოს;

20) დანიშნულ იქნას ერთი სასკოლო ინსპექტორი სასოფლო მეურნეობის ხაზით;

21) უუფლებო მასწავლებლებს (რომლებმაც წარმატებით და ნაყოფიერად იმსახურეს 5 წელი) მიეცეს სახალხო მასწავლებლის ყველა უფლება¹ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები არ არის წმინდა პროლეტარული, ბოლომდე თანმიმდევრულ-დემოკრატიული, რამდენადაც მასში საეკლესიო-სამრევლო სკოლების შრომის სკოლებად უბრალო „გადაკეთებაზე“, „საღვთო სჯულის პროგრამის შეკვეცაზე“ და არა მათ უკუგდებაზეა ლაპარაკი. ამ მოთხოვნებს უფრო ლიბერალურ-ბურჟუაზიული ხასიათი აქვს, რომლის ფარგლები სწავლების მთელი სისტემის რადიკალური შეცვლის, მისი შინაარსობრივი და საფუძვლიანი გარდაქმნის ნაცვლად სასკოლო საქმეში „ნაწილობრივი რეფორმების გატარებით“ განისაზღვრება. მიუხედავად ამისა, შეიძლება გადაკრით ითქვას, რომ ყრილობის მიერ მიღებულ მოთხოვნილებებს ოსეთის სასკოლო ცხოვრების რევოლუციურ-დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნის თვალსაზრისით პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც პროფესორ ტოტოვის თქმით, რევოლუციურ-მარქსისტული იდეოლოგიის მძლავრი გავლენით ხასიათდებოდა².

1905 წლის ნოემბერში შეიკრიბა „ჩრდილოეთ ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლების“ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთდამხმარე საზოგადოების“ წევრთა საერთო კრება, რომელმაც აქტუალური საკითხები წამოაყენა სახალხო განათლების საფუძვლიანი რეორგანიზაციისა და პოლიტიკური ცხოვრების დარგში საჭირო გარდაქმნების შესახებ. კრებამ გადაუდებელ ამოცანად დასახა „მასწავლებელთა ურთიერთდამხმარე საზოგადოების“ ჩამოყალიბება, რუსეთის მასწავლებელთა კავშირის ორგანიზაციასთან კავშირის დამყარება, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, ეპარქიალური უწყების რეაქციონურ-ჩინოვნიკური ხელმძღვანელების გადაყენება, მაგრამ თერგის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა „მაენე

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 128 дело № 46, гл. 1—3.

² СОГПИ им. К. Хетагурова: «Ученые записки», т. XXI, вып. 2-ой, Серия общественных наук, Орджоникидзе, 1956, гл. 10.

იდეების“ ქადაგების გამო ეს „საზოგადოება“ დახურა, ხოლო მთავრობის წინააღმდეგ „ხალხის წაქეზებაში“ შემჩნეულ სახალხო მასწავლებლებს — ხ. ურუიმაგოვს (ბესლანის სკოლა) და მ. გარდანოვს (ხუმალაგის სკოლა) პატიმრობა მიუსაჯა¹.

ჩრდ. ოსეთის მასწავლებელთა ყრილობამ 1905 წლის 22 ნოემბერს მიიღო რეზოლუცია, რომლითაც: 1) მიზანშეწონილად ჩათვალა ჩრდილოეთ-ოსეთში მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთდამხმარე საზოგადოების საქმიანობის განგრძობა; 2) აღიარა ოსეთის მასწავლებელთა კავშირის დაარსების საჭიროება, რომელიც სრულიად რუსეთის მასწავლებელთა პროფესიულ კავშირთან იქნებოდა დაკავშირებული და თავის შემდგომ მოქმედებაში იხელმძღვანელებდა რუსეთის მასწავლებელთა პროფკავშირის პოლიტიკური პროგრამით, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა პოლიტიკურ გაფიცვებში; არსებული მომენტისათვის ყრილობამ საჭიროდ სცნო ზეპირი პროპაგანდის გაძლიერება საზოგადოების მავნე წევრების წინააღმდეგ, რომლებიც ოსეთში ხელს უშლიან განმათავისუფლებელ მოძრაობას; 3) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოსეთის მასწავლებელთა გაფიცვის გადადების შესახებ სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირთან შეერთებამდე და მასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებამდე; 4) არჩეულ იქნა „მასწავლებელთა ურთიერთდამხმარე საზოგადოების“ თავმჯდომარე (მ. გარდანოვი), წევრები, საჩევიზიო კომისია, მოლარე და საზოგადოების მდივანი; 5) გადაწყდა დეპეშის გაგზავნა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისათვის იმის შესახებ, რომ თანამდებობიდან გადააყენოს ეპარქიალური საბჭოს არდონის განყოფილების თავმჯდომარე — არხიმანდრიტი არსენი (არდონის სემინარიის რექტორი) და მეთვალყურე — კოძიევი პროკაციების გამო. რაც გამოიხატა მასწავლებელთა წინააღმდეგ ხალხის წაქეზებაში. გარდა ამისა, ყრილობის დადგენილებით კოძიევს 1905 წ. 22 ნოემბრიდან გამოეცხადა ბოიკოტი; 6) მასწავლებელ სტ. ცაბოლოვს, როგორც ამ საზოგადოების მავნე წევრს, ურთიერთდამხმარე საზოგადოების მიტოვებისათვის გამოეცხადა გაკიცხვა; 7) გაკიცხვა გამოეცხადა აგრეთვე არდონის სემინარიის VI კლასის აღსაზრდელებს ოქტომბრის კონტრაქანუების მოწყობის ცდისათვის; 8) ყრილობამ მადლობით აღნიშნა მ. ზანგიევისა და მისი

¹ X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, Орджоникидзе, 1958; გვ. 17, 18.

ამხანაგების თავგანწირული ბრძოლა მშობლიურ ენაზე საგამომცემლო აპარატის ორგანიზაციის საქმეში¹.

ამ მოთხოვნილებათა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ლიბერალური ხასიათი იმაშიაც გამოიხატა, რომ იგი სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის პოლიტიკურ პროგრამას ოსეთის მასწავლებელთა კავშირის მოქმედების საფუძვლად აღიარებდა, რითაც ამ უკანასკნელს სხვადასხვა პოლიტიკურ-კლასობრივი მიმდინარეობის წარმომადგენელთაგან შემდგარ სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის პლატფორმის მიმდევრად აცხადებდა. აქედან გამომდინარეობდა ისიც, რომ ყრილობა საეპარქიო საბჭოს სკოლების ცალკეულ ხელმძღვანელთა გადაყენებით, მვენე ელემენტების მიმართ ბოიკოტის გამოცხადებით, გაფიცვების „სხვა დროისთვის“ გადადებით და მთავრობის წინააღმდეგ „სიტყვიერი აგიტაციით“ კმაყოფილდებოდა. ყრილობის დადგენილებას მასებში რევოლუციური შეგნების ამოღებისა და სახალხო განათლების დემოკრატიზაციის დარგში მშრომელთა აქტიურად ჩაბმისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში, ხშირ შემთხვევაში, ოსეთის სკოლებში მეცადინეობა არარეგულარულად სწარმოებდა. მასწავლებელთა მოწინავე ბირთვი დაპატიმრებულ ან განდევნილ იქნა, ზოგიც, გაფიცვების გამო სკოლებს ჩამოსცილდა, ხოლო ნაწილი გაიფანტა. მასწავლებლებს აღარც ხელფასი ეძლეოდათ და არც რაიმე სახის დახმარება. სასკოლო შენობებს ჭარი იკავებდა. სოფლებსა და ქალაქებში შავი ჭირი, ხოლერა და სხვა ავადმყოფობანი მძვინვარებდა. სენისა და შიმშილისაგან უთვალავი ბავშვი დაიხოცა. მოსწავლეები სკოლებს მასობრივად ჩამოშორდნენ².

გაფიცულ მოწინავე მასწავლებელთა ადგილებს არდონის სასულეირო . სემინარიის I კურსიდან ან ვლადიკავკავის ქალთა ოსური თავშესაფარიდან გასული პირები იკავებდნენ, რომლებიც ყოველთვის „სიცარიელის ამოვსებისაკენ“ მიილტვოდნენ. მათი წყალობით სასკოლო საქმე ოსეთში შეფერხებას განიცდიდა, რადგანაც მათ მიერ

¹ იხ. «Съезд учащихся в школах Осетии» (газ. «Казбек», 1905 г., № 2360). შტრ. Ист. Архив СОНИИ, фонд № 128, дело № 46, გვ. 4—6. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას, შემდეგი ყრილობის მოწვევის თარიღად დანიშნა 1905 წ. 26 XII, შეკრების ადგილად სოფელი ალაგირი.

² X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, С. О. изд., 1958, გვ. 18.

გაფიცულ მასწავლებელთა ადგილების დაკავება აქტიურად უშლიდა ხელს ოსეთში სასკოლო რეფორმების განხორციელებას.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ოსეთის ინტელიგენცია სამ ნაწილად იყოფოდა: ა) რევოლუციურ-დემოკრატიული ნაწილი, რომელიც მუშათა კლასთან ერთად ბოლშევიკური პარტიის იდეური ზეგავლენით მოქმედებდა; ბ) ლიბერალურ-ბურჟუაზიული (მერყევი) ნაწილი და გ) რეაქციონურ-შავრაზმული ნაწილი, რომელიც ანტიხალხურ, ანტირევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა.

ინტელიგენციის პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდნენ: ც. გადიევი, გ. საზოხოვი, ნ. გატუევი, მასწავლებელი ხ. ურუიმაგოვი, გ. კესაევი, ჩ. ბაევი, მწერალი გ. ცაგოლოვი და სხვები, რომლებიც სახალხო რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ და მშრომლებს ცარიზმის დამხობის, სახალხო განათლების დარგში ძირეული ცვლილებების გატარებისა და დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებისაკენ მოუწოდებდნენ¹. რევოლუციური ინტელიგენციის დემოკრატიულ ძალებს უერთდებოდნენ მწერლები, პოეტები, ექიმები, პედაგოგები, იურისტები, აგრონომები და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებმაც აღდარ-ბადელიატური ინტელიგენციის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ოსეთში კულტურის დემოკრატიული ელემენტების გაძლიერებისა და პროგრესული პედაგოგიური იდეების დანერგვა-განვითარების საქმეში.

აღდარ-ბადელიატების რეაქციონურ-შავრაზმულ იდეოლოგთა ჯგუფის ანტიხალხური, რეაქციონურ-შავრაზმული საქმიანობა ოსეთში პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დასაწყისიდანვე (ნაწილობრივ ადრეც) გახდა ცნობილი. აღდარ-ბადელიატების იდეოლოგთა ინიციატივით, ორჯერ (1905 წლის 15 მარტს და 1906 წლის 27 მარტს) სოფელ ტულატოვოში (ახლანდელ ბესლანში) მოწყობილმა საიდუმლო შეკრებამ 15 მუხლიანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც რევოლუციის ჩახშობას, რევოლუციონერთა მოსპობას, აღდარ-ბადელიატთა ძალა-უფლების განმტკიცებას და ღარიბ მასებთან კავშირის გაწყვეტას ითვალისწინებდა. დადგენილების მეოთხე მუხლით, საიდუმლო კრება აღდარ-ბადელიატებს ავალ-

¹ М. Тотоев, Из истории Осетинской культуры в годы первой русской революции (Северо-Осетинский гос. педагогический институт им. К. Хетагурова, Ученые записки, т. XXI, выпуск II, Орджоникидзе, 1956, гл. 4—5).

დებულებდა გლეხები მუდმივ სიბნელესა და უვიცობაში ჰყოლოდათ, ხოლო მათი ბავშვები არ დაეშვათ სკოლებში¹.

თავადაზნაურული ინტელიგენციის ანტიხალხური მოქმედებას მშრომელებში აღშფოთებას იწვევდა. მშრომელ მასებში მარქსისტული იდეების გავრცელება ოს ხალხზე გამარევიოლუციონერებელ ზეგავლენას ახდენდა. მარქსისტული იდეების გავრცელება ოსეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ბატირბეგ ტუგანოვმა სცადა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თარგმნა². ტუგანოვი 90-იან წლებშივე ჩადგა მუშათა კლასის მოწინავე მებრძოლთა რიგებში. მან დასახლებული ნაშრომი გამოსაცემად 1906 წლის ბოლოსათვის მოამზადა. თარგმანის 3/4 შესრულებას შავი რეაქციის სუსხი, რევოლუციონერ-დემოკრატ მრღვეაწეთა დევნა-დაპატიმრება და პოლიციური კონტროლის გაძლიერება დაემთხვა, რამაც ოსეთიდან ტუგანოვის წასვლა, გამოქვეყნება „ირის“ მემარცხენე ფრთისა და ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობის სერიოზული შეფერხება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მარქსისტული იდეების გავლენა კავკასიის ორივე ნაწილის მოსახლეობაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ რევოლუციური ქარიშხლებით დაშინებული ქართული ნაციონალურ-თავადაზნაურული ინტელიგენციის რეაქციონური ჯგუფის წარმომადგენელი „ბერიკაცი“ თავის „წერილებში“ უდიდესი შეშფოთებით ამბობს: „გაუგებარი დრო და ეამი დადგა და მარქსიკი არა — ჩვენს ქვეყანას ეშმაკებიც რომ დაეპატრონონ, საკვირველი არ იქნებაო“³. იგი საქართველოდან სხვადასხვა ეროვნებათა წარმოშობის მშრომელთა გაძევებას და თავადაზნაურულ-მემამულური ძალაუფლების ხელუხლებლად დატოვებას მოითხოვდა „...ჩვენში — ქართლში თუ კახეთში, — ვკითხულობთ „ბერიკაცის წერილებში“, — ერთი სოფელი არ არის, რომ უცხო არავინ ერიოს, წმინდა ქართველებიდან შესდგებოდეს. ყველგან უთუოდ ურევია სომეხი, ურია, ოსი, მალაქანი, მულალო, რუსი, ესტონელი...“ და სხვ.⁴.

„ბერიკაცის წერილებიდან“ ირკვევა, რომ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის უმთავრეს მიზანს შეადგენდა საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ძველი მიწათმფლობელობის შე-

¹ იქვე, გვ. 5.

² იქვე, გვ. 9.

³ უერნ. „მოგზაური“, 1905 წ., № 5 და 6, გვ. 337. იხ. „ბერიკაცის წერილები“.

⁴ იქვე.

ნარჩუნება, რევოლუციის ჩახშობა, მემამულეთა ძალაუფლების განმტკიცება, კავკასიელ ხალხთა შორის შუღლისა და მტრობის გაღვივება, ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის გატარება, ხალხის შეგნების დაბნელება და სასკოლო საქმის ძველ კალაპოტში ჩაყენება.

როგორც ცნობილია, მეფის თვითმპყრობელობის შავრაზმული ინტელიგენციის მომხრეთა და რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებს შორის განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა. როგორც ჩრდ. კავკასიაში, ისე სამხრეთ-ოსეთშიაც. ოსი მშრომელები ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი დემოკრატიული ძალების მხარდამხარ იბრძოდნენ. ამავე დროს, 1905 წლის რევოლუციის მსვლელობაში გამოჩნდნენ საზოგადოების ე. წ. მერყევი ჯგუფები, რომლებიც სიტყვით რევოლუციას თანაუგრძობდნენ, მაგრამ საქმით მის სასარგებლოს ძალიან ცოტას აკეთებდნენ. მათ ორ სკამზე ჯდომა, ლაქუცი, მომენტის შესაბამისად „შეგუება“ და „შემარიგებლური ტაქტიკა“ ახასიათებდათ.

ამგვარი ლიბერალურ-ოპორტუნისტული მოთხოვნები დამახასიათებელი იყო მასწავლებელთა პრივილეგიური ნაწილისათვის (ე. წ. პოლიტიკანებისათვის), რომელიც მთავრობის მოხელეთა ნასუფრალით ცხოვრობდა. პედაგოგთა პროგრესული ნაწილი, კავკასიის მთელ მშრომელ მასებთან ერთად, ცარიზმის დამხობისა და სწავლა-აღზრდის დემოკრატიული სისტემის შემოღებისათვის იბრძოდა.

1905—1907 წწ. რევოლუციურ მოძრაობაში ფართოდ ჩაება კავკასიის მოწინავე ახალგაზრდობა. კავკასიის ახალგაზრდობის გამოსვლა მეფის ტახტის წინააღმდეგ მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. „რუსეთისა და კერძოდ კავკასიის სკოლა, — წერდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე სიმონ ქვარიანი, — სრულიად დაშორებულთა ჭეშმარიტ პედაგოგიურ ნიადაგს როგორც სწავლის სისტემაში, ისე აღზრდაში. ოვი გაუღნთილია ვიწრო პოლიტიკური ტენდენციით... ბიუროკრატიზმის დამხშობელ ატმოსფეროთი. აქ გამეფებულთა პოლიციური სისტემა და ყაზარმული დისციპლინა. სასტიკი რეჟიმი ხუთავს ახალგაზრდობის სულს, ჰკლავს მის ინტელექტში შექმნილ ძალას და ინიციატივას, უღუნებს ხასიათს, ენერჯიას და უსეტყევავს ზნეობას... დღეს დროა შეიცვალოს ძირიანად სკოლის მავნე სისტემა, დროა დაარსდეს სასწავლებელი, რომელთაც უნდა მოგვცენ საჭირო თა-

ნამედროვე ცოდნით აღჭურვილი მხნე, ფხიზელი, საქმიანი და მართლმოყვარე მოქალაქენი“¹.

არსებული უვარგისი სასკოლო სისტემის ძირეულად შეცვლას, სწავლების დემოკრატიზაციას, მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მოწყობას, მოსწავლეთა პირადი ღირსების დაფასებას, ფიზიკური სასჯელის აღკვეთას და აღზრდა-განათლების დარგში სხვა რეფორმების გატარებას მოითხოვდნენ, როგორც ჩრდილო ოსეთის, ისე გორისა და დუშეთის მაზრების ოსური სოფლების მშრომელები, ოსი ახალგაზრდობა:

ქსნის, ლიახვის და არაგვის ხეობების ოს გლეხთა მიტინგებზე მშრომელებმა მოითხოვეს:

ა) სკოლების ქსელის გაშლა; ბ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღება; გ) სკოლების რეორგანიზაცია; დ) მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღება; ე) რუსული ენის ერთ-ერთ სავალდებულო სასწავლო საგნად დატოვება; ვ) ოთხკლასიანი სასწავლებლის დაარსება სამეურნეო განყოფილებით; ზ) ქალთა სკოლების დაარსება პროფესიული განყოფილებით; თ) დაბალ და საშუალო სკოლებს შორის კავშირის განმტკიცება; ი) საშუალო სკოლებში სტაიენდიათა რიცხვის (20-მდე) გადიდება და სხვ.²

ცხადია, აღნიშნულ მოთხოვნათა განხორციელება პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაზე, ცარიზმის დამხობაზე და მშრომელი მასების მიერ ძალაუფლების მოპოვებაზე იყო დამოკიდებული.

ცარიზმის წინააღმდეგ ხალხის პირველ რევოლუციაში აქტიურად ჩაება სამხრეთ-ოსეთის მშრომელი მოსახლეობა. 1905 წლის 9 მარტს ცხინვალში ლიახვის მოედანზე შეიკრიბა 1500-მდე კაცი. „...აქვე აირჩიეს 16 დეპუტატი, რომელთა შორის 4 ქართველი, 4 სომეხი, 4 ოსი და 4 ებრაელი. ამ პირებს დაავალეს: ამ დღეებში მომავალ კომისიას გამოუცხადონ ყოველივე ხალხის გაჭირვება და შეიმუშაონ ის კითხვები, რომელთა განხორციელებას რუსეთის იმპერიაში თხოვლობენ. შემდეგ ამისა, ხალხი გამოემართა ბაზრისაკენ, გამოიტანეს... დროშები და... ქუჩები სიმღერითა და „ძმობა-ერთობის“ ძახილით მშვიდობიანათ ჩამოიარეს“³.

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ სამხრეთ ოსეთშიაც ქართველი, ოსი, სომეხი და ებრაელი მშრომელი მოსახლეობა ცარიზმის წინააღმდეგ შეერთებული ძალით იბრძოდა. ამ ბრძოლაში იგი მჭიდროდ

¹ გაზ. „ივერია“, 1905 წ., № 6, გვ. 2-3.

² გაზ. „ენობის ფურცელი“, 1905 წ., № 2796, გვ. 2.

³ ეურ. „მოგზაური“, № 11, 1905 წ., გვ. 160.

იყო დაკავშირებული რუსეთის მშრომელთა რევოლუციურ ძალებთან და იმავე მოთხოვნილებებს აყენებდა, რასაც რუსეთის მშრომელი მასები.

1905 წლის 12 მარტიდან გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობა დღი-თი-დღე მწვავე ხასიათს იღებდა. მაშინდელი გორის მაზრის დასავლეთ და შუაგული ნაწილის ოსებმაც იწყეს მთის სოფლებიდან ჭგუფ-ჭგუფად ჩამოსვლა და ადგილობრივ გლეხებთან ერთად მემამულეთა საბლკარსა და ადგილებში „უწესოების მოწყობა“¹.

1905 წლის 13 მარტს სოფელ დგვრისის ეკლესიასთან მოეწყო გლეხთა მიტინგი, რომელსაც 15 ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა.

გლეხობის მოთხოვნილებანი რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. ქართველთა და ოსთა საერთო კრების დადგენილებაში ნათქვამია: „იყო დრო, ყურებში ბამბა გექონდა, სიბნელის მორევში ვცურავდით, ქვეყანა ჩალით დახურული გვეგონა და მთავრობაც ჩვენი უვიცობით სარგებლობდა, მაგრამ ახლა გამოვფხიზლდით. მოვითხოვთ ყოველივე იმას, რაც ჩვენსავით სხვა ქვეყნებში ტანჯულებს მიენიქებათ... ძალიანაც რომ გვინდოდეს ჩვენი შვილების სწავლა-განვითარება, საიდან უნდა ვასწავლოთ, როდესაც ჩვენ ნაოფლარს ხელიდან გეტაცებენ მებატონე, მღვდელი, აქციზი, მამასახლისი, მწერალი და ნალოვები! რომელ ერთს მოთხოვნილებას გასცეს პასუხი ჩვენის ოფლით მონაწურმა? გვინდა სკოლა უფასო, სამშობლო ენაზე სწავლა, თვითმმართველობა! გვინდა თავისუფლება, მშვიდობიანობა, სულის მობრუნება! „...გაუმარჯოს თავისუფლებას, ერთობას, მეგობრობას!“².

ქართველი და ოსი ხალხის ამ ერთობლივ მოთხოვნილებებში ასახულია არა მარტო ამ ხალხების ურღვევი მეგობრობა, არამედ საერთო რევოლუციურ-დემოკრატიული ამოცანები, რომელიც კავკასიის მშრომელებს რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საერთო ინტერესებთან აკავშირებდა.

მეფის თვითმპყრობელობის, წინააღმდეგ ქართველ და ოს მშრომელთა ერთობლივ გამოსვლებს საქართველოს სხვა კუთხეებშიაც ჰქონდა ადგილი. გლეხთა შეკრებებზე, უფლებრივ-მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად, მოითხოვდნენ: „მღვდლებს დრამა მოუხსპოთ. სკოლა სახელმწიფო ხარჯზე იყოს“ და სხვ.³.

¹ იურნ. „მოგზაური“, № 11, 1905 წ., გვ. 160.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 161.

ქართველ და ოს გლეხთა მოთხოვნებიდან სკოლის დემოკრატიზაციის, სახელმწიფოს ხარჯზე განათლების ორგანიზაციის, დედანაზე სწავლების, რელიგიური აღზრდის უკუგდებისა და რიგ სხვა აქტუალურ საკითხს საპატიო ადგილი ეჭირა. ქართველი მოსახლეობის მხარდამხარ ოსი ხალხი სასკოლო ცხოვრების ძირეული გარდაქმნისათვის იბრძოდა.

მემამულეები, თავადაზნაურობა, მსხვილი ბურჟუაზია და შავრაზმული ინტელიგენცია ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რათა ჩაეხშოთ დემოკრატიული მოძრაობა, შეეჩერებინათ ძირმომპალი საზოგადოების რღვევა, შეენარჩუნებინათ აღზრდის წოდებრივ-კლასობრივი ხასიათი და სწავლების დრომოკმული სისტემა. შავრაზმელები ამგვარ მოღალატურ საქმეს „ნაციონალური აღმით“, და „პატრიოტული ლოზუნგებით“ აკეთებდნენ.

ცნობილია, რომ 1905 წლის მაისში ცხინვალისაკენ „შავი რაზმი“ დაიძრა, რომელსაც წინ შავი დროშა მიუძღოდა წარწერით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა. სიკვდილი სახელოვანი“, „გაუმარჯოს საქართველოს“. შავრაზმელები ქართველების, ოსების, სომხების, რუსებისა და სხვა ეროვნებათა ურთიერთწაყიდების პოლიტიკას ატარებდნენ, აჯანყებულ გლეხობას სჯიდნენ და აპატიმრებდნენ.

ქართველ გლეხობასთან საუბარში შავრაზმელთა იდეოლოგები ეროვნებათა შორის ზიზღილის, თვალის აბვევისა და გათიშვის პროპაგანდას ეწეოდნენ. ქართველ გლეხობასთან მათი საუბრის შინაარსი ასეთ ფორმაში ვლინდებოდა: „თქვენთვის არა გვშურს მამული, თქვენ მოგცემთ ჩამდენიც გინდათ, მაგრამ როგორ არ გვეწყინოს, როცა თქვენს გარდა, ოსებიც და სომხებიც გვართმევენ. ისინი დიდი ხანა ჩვენი მტრებია; ახლა ჩვენ — თავადები და გლეხები უნდა შევერთდეთ და ჩვენი საერთო მტრები — სომხები და ოსები უნდა დავაპარცხოთ“¹.

როგორც ვხედავთ, შავრაზმელთა ამ „პროგრამულ“ გამონათქვამებში ისეთივე გამთიშველი აზრებია გატარებული, როგორც „ბერიკაცის წერილებში“, რომელიც ნაციონალიზატური იდეების პროპაგანდას, ეროვნებათა და ხალხთა შორის შუღლის პოლიტიკას ექსპლოატატორული მიზნების განხორციელებისათვის იყენებდა.

ქართველ შავრაზმელთა ანტიდემოკრატიული საქმიანობა სავსებით ემთხვევა ტულატოვის (1905—1906 წწ.) შეთქმულთა (აღდარბადელიატების) ანტიხალხურ საქმიანობას, რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას აჩაღებდა.

¹ იურნ. „მოგზაური“, 1905 წ., № 21, გვ. 331.

1905—1907 წწ. რევოლუციურმა ტალღებმა ოსეთის საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სემინარიის კედლებშიაც შეაღწია. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, როდესაც „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“ 1906—1907 წწ. „მოქმედების ანგარიშში“ წერდა: „1906 წლის პირველი ნახევარი სწავლის მხრივ უნდა ჩაითვალოს დაღუპულად. ცნობილმა განმათვისუფლებელმა მოძრაობამ ჩაითრია აგრეთვე საეკლესიო-სამრევლო სკოლებიც. შეიტანა მათში სრული განადგურება და არევე-დარევა“¹.

ასეთივე „არევე-დარევა“ და „უწესობანი“ 1905 წ. ფართოდ ვრცელდებოდა არდონის სასულიერო სემინარიაში, სადაც სემინარისტებმა უარი თქვეს მეცადინეობის გაგრძელებაზე და მოითხოვეს სასწავლებელში „საჭირო რეფორმის“ განხორციელება.

1905—1906 წწ. ქ. ვლადიკავკავში და საერთოდ, თერგის ოლქში ფართოდ ვრცელდებოდა რადმკ კავკასიის კავშირის პროკლამაციები, რომელიც მშრომლებს ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

„ოსებით დასაბნელებულ მრავალ სოფელში, უმთავრესად სოფ. არდონის გარშემო და იქ, სადაც ოსური მისიონერული სემინარია არსებობს, — თერგის ოლქის ქანდარმთა სამმართველოს უფროსი უპატაკებდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსს, — საგრძნობი რაოდენობით იყო გავრცელებული რუსულად დაბეჭდილი პროკლამაციები, გამოცემული „რუსეთის სდმკ კავკასიის კავშირის კომიტეტის“ მიერ, სათაურით: „ოსებისა და კავკასიის მთიელებისადმი“². ცხადია, ეს და ამგვარი პროკლამაციები მოსწავლეებზე ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა, ხელს უწყობდა მათ ჩაბმას ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ყოველივე ამის შედეგად, თუ 1905 წლის ნოემბერში საქმე „მშვიდობიანად“ დათავრდა, 1906 წლის დასაწყისში მღელვარებამ კვლავ იჩინა თავი და უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

ადმინისტრაციის ცნობით. აღნიშნული წლის 22 მარტს სემინარისტებმა ე. წ. „წმინდა ფინჯანი“ საწამლავით შეავსეს, ხოლო 20 აპრილს არდონის სემინარიის შენობის კოშკს ბანძარი გაუჩინეს იმ მიზნით, რომ „მიეღწიათ სემინარიის დახურვისა და ხელმძღვანელობის გარეკვისათვის“³. რა თქმა უნდა, სემინარისტების მოძრაობა რე-

¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2796, გვ. 2.

² История Осетии (макет), часть I, 1954, გვ. 236.

³ იქვე, გვ. 84—85.

ვოლუციის მოთხოვნილებათა დონემდე არ ამალლებულა, მაგრამ იგი არც ისე შუზღუდულ ხასიათს ატარებდა, როგორც მას შემინარის ხელმძღვანელობა ხატავდა.

ჯერ კიდევ 1906 წლის 6 მარტს არდონის მსიონერული სასულიერო სემინარიის რექტორი არაენი სასწავლო კომიტეტისადმი წარდგენილ „მოხსენებით ბარათში“ მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ თერგის ოლქის სამხედრო-სამოქალაქო და ეპარქიული ხელისუფლება მას ბრალს სდებდა რევოლუციური იდეების პროპაგანდაში. არსენის აზრით, სემინარიაში არავითარ რევოლუციურ გამოსვლებს არ ჰქონია ადგილი, თუმცა გენერალ-გუბერნატორის მტკიცებით, დაპატიმრებული რამდენიმე მასწავლებელი ოსები იყვნენ, რომელთაც არდონის სემინარია ან ოსური სასულიერო სასწავლებელი ჰქონდათ დამთავრებული. სემინარიის ხელმძღვანელთა განცხადებით, იმჟამად მოსწავლეთა შორის არ იყო შემჩნეული არავითარი მოძრაობა. ამის საბუთად სემინარიის ადმინისტრაცია ასახელებდა იმ ფაქტს, რომ 1905 წელს, როდესაც სემინარიის კედლებში მასიურად ჰყრიდნენ პროკლამაციებს, სემინარიელებს იგი ინსპექციაში მიჰქონდათ.

„მართალია, ოსეთში ენერგიული პოლიტიკური პროპაგანდა მიმდინარეობს და მასში არდონის სასულიერო სემინარიიდან გამოსული ოსეთის სკოლების ბევრი მასწავლებელი იღებს ფვალსაჩინო მონაწილეობას, მაგრამ ასეთი პირები წინადაა გამოშვებული და უცნობია სემინარიის ახლანდელი შემადგენლობისათვისო, — „არწმუნებდა“ თერგის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციას და სასწავლებელთა ხელმძღვანელობას სემინარიის რექტორი¹.

მიუხედავად ამგვარი „მტკიცებისა“, 1907 წლის 7 მაისს თერგის ოლქის კანცელარიის უფროსი თავის ხელმძღვანელობას „სრულიად საიდუმლოდ“ აცნობებდა არდონის სემინარიაში მომხდარი გაფიცვებისა და მღელვარების სასწრაფოდ ჩაქრობის აუცილებლობის შესახებ.

ჯერ კიდევ 1907 წლის 3 მაისს სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ გედეონის წინადადებით სემინარისტების მღელვარების გამო მიიღო დადგენილება ახალ წლამდე III—IV კლასების დახურვისა და I კლასის იმ მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვის შესახებ, რომლებიც „...შემჩნეულ იქნენ უწყსრიგობისაყენ ამხანაგების წაქეზებაში“².

¹ Архив СОНИИ, фонд прокуратуры окружного суда, дело № 30. 1906 г.

² Сборник по истории народного образования в Осетии, С.О. изд. 1942, гл. 25'—253.

ამასთან, სემინარიაში „ჩხრეკის ჩასატარებლად“, მოსწავლეთა „მღელვარების ჩასაქრობად“, სასწავლებლიდან დათხოვნილ სემინარისტთა „საცხოვრებელ ადგილებზე“ გავზავნის უზრუნველსაყოფად და „წესრიგის აღსადგენად“ ალაგირის სამხედრო ნაწილებიდან გამოწვეულ იქნა ყაზახთა რაზმები. გარიცხულ მოსწავლეთა შორის ბელისუფლებისათვის „ყველაზე საშიშ პირებად“ გამოცხადებულ იქნენ: იაკობ ალაჯიკოვი (სოფ. ნუზალიდან), სიმონ ახშაცავა (სოხუმელი — სოფ. ლიხნიდან), გრივოლ კოჩიევი (გორის მაზრის სოფ. ჭავიდან) და სხვები, რომელთაც აკრძალული ჰქონდათ სემინარიაში დაბრუნება.

როგორც ვლადიკავკავის ოლქის გენერალ-გუბერნატორის 1907 წლის 9 მაისის „რეპორტიდან“ ირკვევა, სემინარიაში ადგილი ჰქონდა: ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს სემინარისტების მიერ „უწესოპოზის“ მიღების გამოვლინებებს; მოსწავლეთა არალეგალურ სხდომებს, რომელზედაც სემინარიის ადმინისტრაციისათვის „გაურკვეველი საკითხები“ ირჩეოდა და სხვ.¹

სემინარიელთა მღელვარება წარმოადგენდა არა მარტო მათი აუტანელი ეკონომიური შევიწროებისა და ყაზახრეული სასკოლო რეჟიმის გაძლიერების შედეგს, არამედ იმ უდიდესი იდეოლოგიური მუშაობის ნაყოფსაც, რომელსაც ჩრდ. ოსეთში რსდმპ რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაცია ატარებდა.

1905 წლის ბოლოს, როგორც ცნობილია, ვლადიკავკავში ჩავიდნენ ქართველი ბოლშევიკები: ნოე ბუაჩიძე და ნიკოლოზ კიკნაძე, რომლებმაც უზრუნველპყვეს ამიერკავკასიისა და თერჯის ოლქის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს შორის კავშირის განმტკიცება. ვლადიკავკავის ბოლშევიკური ორგანიზაცია ნოე ბუაჩიძისა და სხვათა ხელმძღვანელობით ოსეთის მშრომელთა შორის დიდ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა მშრომელთა რევოლუციური შეგნების ამაღლებისა და ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევის მომზადებისათვის.

1905 წლის 18 და 19 ოქტომბერს ვლადიკავკავში მეფის მანიფესტის წინააღმდეგ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი მოსწავლე ახალგაზრდობა. 6 მოკლულსა და დაჭრილებს შორის იყო რეალური სასწავლებლის მოსწავლე ვიქტორ ძუწევი, რომელიც 1906 წლის ივნისში გარდაიცვალა. მოსწავლე ძუწევის დაკრძალვის დღეს (1906 წ. 26 ივნისს) ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის — ნ.ე ბუაჩიძის წინამ-

¹ Сборник по истории народного образования в Осетии, С. О. изд., 1942, зб. 253—254.

ძლოლობით, მეფის ხელისუფლების ვანდალური მოქმედების წინააღმდეგ, უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაცია ჩატარდა. ამგვარი მანიფესტაციები და რევოლუციური გამოსვლები რეაქციის პერიოდშიაც გრძელდებოდა.

1905—1906 წლების მანძილზე გაფიცვები ოსეთის თითქმის ყველა ტიპის სასწავლებელს მოედო. 1905 წლის ნოემბერში გაფიცვებში ჩაებნენ ვლადიკავკავის ოს ქალთა „თავშესაფარის“ მოსწავლეები, რომლებმაც, ამ სასწავლებლის რეორგანიზაციასთან ერთად მოითხოვეს: ა) აღნიშნული „თავშესაფარის“ სასწავლო პროგრამების შეცვლა და გაფართოება; ბ) მშობლიური ენის სწავლების შემოღება; გ) საღვთო სჯულის პროგრამის შემცირება; დ) მასწავლებელთათვის თვითგანვითარებითი წრეების ჩამოყალიბების უფლების მინიჭება და სხვ¹.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნები მეტად შეკვეცილ, შეზღუდულ ხასიათს ატარებს (პეტიცია შემოფარგლულა მშობლიური ენის შემოღებით და არა დედაენაზე სწავლების დამყარების მოთხოვნით, საღვთო სჯულიც, შეკვეცილი პროგრამით, ძალაშია დატოვებული და სხვ.), მას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა სკოლის უფრო სრული და საფუძვლიანი რეორგანიზაციისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადების საქმეში. რევოლუციურ მოძრაობაში, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ოსეთში აქტიურად ჩება მასწავლებელთა და მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა. ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ ოსეთის სახალხო მასწავლებელთა არმია მთელს ხალხთან ერთად იბრძოდა ცარიზმის მოსპობის, მშრომელთა ძალაუფლების დამყარებისა და სახალხო განათლების დემოკრატიული სისტემის შემოღებისათვის. ოსეთის მოწინავე მასწავლებლობა კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე გაგზავნილ პეტიციაში სასოფლო საზოგადოებისათვის სამინისტრო სკოლების თავისუფლად გახსნის უფლების მინიჭებას მოითხოვდა.

სწავლა-განათლების საქმე ოსეთში უკიდურესად არახელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა. 1905 — 1906 წწ. რევოლუციურად განწყობილი სახალხო მასწავლებლობა მთავრობის მოხელეების მხრივ სასტიკ დევნა-შევიწროებას განიცდიდა. „დაბალი სასოფლო ადმინისტრაცია, — ნათქვამია ერთ-ერთ მოხსენებაში 1906 წელს სკოლის მდგომარეობის შესახებ, — ხედავდა რა უმადლეს საოლქო ადმინის-

¹ М. Тогоев, Из истории Осетинской культуры в годы первой русской революции (иб. Северо-Осетинский государственный педагогический институт им. К. Л. Хетагурова. «Ученые записки», т. XXI, вып. II, 1956, 33. 11).

ტრაციის მხრივ სკოლისა და მისი საჭიროებისადმი უგულვებელყოფელ დამოკიდებულებას... ყოველგვარ უმსგავსოებას სჩადიოდა სკოლებისა და მასწავლებლობის მიმართ. იყო მასწავლებელთა ცემა-ტყეპისა და კარცერში ჩაგდების შემთხვევები, აიძულებდნენ მათ ნატურალური ბეგარის მოზდას¹.

ამგვარი პირობები მასწავლებელთა შორის კიდევ უფრო აძლიერებდა მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილებას და ბიძგს იძლეოდა სახალხო რევოლუციაში მათი აქტიურად ჩაბმისათვის.

ადგილობრივი პრესა

ჩრდ. კავკასიისა და ამიერკავკასიის ოსურ მოსახლეობაში ახლო პედაგოგიური იდეების გავრცელების, ეროვნული სკოლისა და კულტურის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის: 1) გაზ. „ტერსკიე ვედომოსტი“ (1867—1917 წწ. მთავრობის ოფიციალური ორგანო); 2) გაზ. „ტერეკ“ (1883 წლიდან ინდრიგ შანაევის რედაქტორობით და სხვა პროგრესულ ინტელიგენტთა თაოსნობით გამოდიოდა, რომელიც ჩქარა დახურეს); 3) „სევერნი კავკაზ“ (1884 წლიდან სტავროპოლში იცემოდა; მასში 90-იან წლებში კ. ხეთაგუროვი თანამშრომლობდა; იყო პროგრესული მიმართულების ორგანო, რომელიც უმთავრესად მთიელთა ინტერესებს იცავდა); 4) გაზ. „კაზბეკ“ (1895 წლიდან—1905 წლამდე გამოდიოდა; კრიტიკული წერილების გამოქვეყნების გამო რეპრესიები განიცადა. შემდეგში „ტერეკის“ სახელწოდებით იცემოდა, რომელშიაც 1909—1917 წწ. ს. მ. კიროვი თანამშრომლობდა) და სხვ.² 5) რევოლუციის პერიოდში და შემდეგაც აქვე გამოდიოდა და ვრცელდებოდა: „ისკრა“, „ეპერიოდ“, „პრავდა“, „გორეც“, „ჟიზნი სევერნოგო კავკაზა“, „ეზო კავკაზა“ და სხვა, რომელნიც მთავრობის მიერ ხშირად დახურვა-დარბევის ობიექტი ხდებოდნენ³. ოსური პრესა მხოლოდ პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში წარმოიშვა. პირველი ოსური გაზეთი „ირონ გაზეტ“ („ოსური გაზეთი“) 1906 წლის 23 ივლისს გამოვიდა (სულ 9 ნომერი გამოიცა, რომლის ფუძემდებლები იყვნენ ც. გადიევი, ექიმი გაზდანოვი, მწერალი-პედაგოგი ალმ. კანუკოვი და სხვ.), მეორე ოსური გა-

¹ X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, 1958, გვ. 19.

² Ученые записки XXI, вып. II, Серия общественных наук, г. Орджоникидзе, 1956, გვ. 13.

³ ი ა მ, გვ. 12—13.

ზეთი „ნოვ ცარდ“ („ახალი ცხოვრება“), 1907 წელს თბილისში და-
არსდა, რომელიც მასალებს კავკასიის ორივე მხარის ოსთა ცხოვრე-
ბაზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე აქვეყნებდა. სულ გამოვიდა
70 ნომერი, რის შემდეგ იგი დახურეს. 1909 წლის 24 ოქტომბრიდან
ვლადიკავკაეში გამოვიდა მესამე ოსური გაზეთი „ხაბარ“ („ახალი
ამბავი“), რომელშიაც წერილები რუსულ და ოსურ ენებზე იბეჭ-
დებოდა¹.

1907 წელს პირველად დაიბეჭდა ოსური ეურნალი „ზონდ“
(„ცოდნა“), რომელსაც ალმ. კანუკოვი რედაქტორობდა. მის დამა-
არსებელთა ჯგუფში შედიოდნენ ს. გადიევი, ზ. გადიევი, ბ. ურუი-
მაგოვი, რ. კოჩისოვა და სხვები. პროგრესულ-დემოკრატიული მიმარ-
თების ოსური ეურნალი „აფსირ“ („თავთავი“) 1910 წლის 14 თებერ-
ვალს გამოვიდა. ამ ეურნალში მასწავლებელი-პუბლიცისტი ხ. ურუ-
იმაგოვი, მწერალი დ. ყოროევი და სხვა პროგრესული მოღვაწეები
თანამშრომლობდნენ. მისი ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი იყო ოსუ-
რი მხატვრული პროზის ფუძემდებელი არსენ კოცოევი. ეურნალ
„აფსირში“ ქვეყნდებოდა მხატვრულ-პუბლიცისტური და სხვა ხა-
სიათის საინტერესო წერილები. ზემოაღნიშნული ეურნალი 1910
წლის 18 აპრილამდე გამოდიოდა (სულ გამოვიდა 13 ნომერი), მან
ოს ხალხში საკმაო ავტორიტეტი მოიპოვა.

ამის შემდეგ (1911—1917 წწ.) ოსურ ენაზე გამოცემულ იქნა სა-
სულიერო უწყების ეურნალი „ჩირისტონ ცარდ“ („ქრისტიანული
ცხოვრება“), რომელშიაც, როგორც დემოკრატიული მიმართულების
მოღვაწენი (ა. ტოკაევი, ს. გადიევი, დ. ყორაევი და სხვ.), ისე რეაქ-
ციონურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამცველებიც თანამშრომ-
ლობდნენ. მეოთხე ოსური ეურნალი „ხური ტინ“ („მზის სხივი“) 1912
წლიდან პეტერბურგში ატამბა „იაკორის“ მიერ იცემოდა. მისი რე-
დაქტორი იყო დრამატურგი ე. ბრიტაევი, ხოლო უახლოესი თანამ-
შრომლები — ამ პერიოდის თვალსაჩინო მწერლები: დ. ყოროევი,
ს. გადიევი და სხვები. საერთოდ ეურნალი პროგრესულ იდეურ პო-
ზიციებზე იდგა, მაგრამ ზოგჯერ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული
ხასიათის შეხედულებებსაც საკმაო ადგილს უთმობდა. მისი გამოცე-
მა სამი ნომრის შემდეგ შეწყდა².

ოსური ეურნალ-გაზეთების გამოცემის. ეროვნული ენის, კულ-
ტურის, სკოლისა და წიგნიერების განვითარებაში თვალსაჩინო როლს
ასრულებდა გამოცემლობა „ირ“ („ოსეთი“), რომელიც სამხრეთ

1 იქვე, გვ. 12—15.

2 იქვე, გვ. 15.

ოსეთის, ვლადიკავკავისა და ბაქოს ფილიალებს აერთიანებდა. ოსური გამომცემლობის დაარსების იდეა ჯერ კიდევ XIX საუკ. 90-იან წლებში წარმოიშვა, როდესაც „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი თავმჯდომარის მ. ზ. ყიფიანის ინიციატივით, ოსურ ენაზე აღნიშნული „საზოგადოების“ ანგარიშებისა და ოსური სახელმძღვანელოების გამოცემა დაიწყო. როგორც ცნობილია, აღნიშნული წამოწყების განხორციელება პირველ რევოლუციამდელ პერიოდში ვერ მოხერხდა. 1905 წლის სახალხო მოძრაობის დროს ოსური გამომცემლობის შექმნის იდეა კვლავ მთელი სიმწვავეით წამოიჭრა. ამავე პერიოდში შემუშავდა მისი წესდება, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ 1906 წელს დამტკიცდა.

გამომცემლობა „ირ“-ის ხელმძღვანელობით არსებობის მანძილზე 20-მდე სახელწოდების სხვადასხვა სახელმძღვანელო და ჟურნალ-გაზეთი გამოიცა. დასახელებულ გამოცემათა შორის ოსური კულტურისა და სკოლის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს კ. ხეთაგუროვის „ირონ ფანდირი“ („ოსური ჩანგი“), „ფატიმა“ და ლექსები, აღმ. კანუკოვის „ოსური ანბანი“, „კედლის კალენდარი“, გურჯიბეკოვის „ლექსების კრებული“, ს. გადიევის „ოსეტინსკი პასტუხ“ გ. მ. ცაგოლოვის „გორაკიე მოტივი“ და სხვ.

სამხრ. ოსეთის გამომცემლობა თბილისში არსებობდა, რომელმაც ოსური გაზეთი „ნოვ ცარდ“ და დაწყებითი სკოლის ოსური სახელმძღვანელო გამოსცა. ბაქოს საგამომცემლო წრის ინიციატივით 1910 წლიდან დაიწყო ჟურნალ „უტრო გორის“ გამოცემა.

ოსური გამომცემლობა თავის საქმიანობას (ფილიალებით) არა მარტო ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემით ფარგლავდა, არამედ მოსახლეობაში ეწეოდა ახალი პედაგოგიური აზრების პროპაგანდას, ხელს უწყობდა ხალხში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას, ცდილობდა წერა-კითხვის სკოლების დაარსებას, აყალიბებდა დრამატულ წრეებს, დგამდა სადამო-წარმოდგენებს, იტარებდა საჯარო ლექცია-მოსხენებებს, აარსებდა თვითგანვითარებით სკოლებს, რითაც აქტიურად უწყობდა ხელს ოსი ხალხის გონებრივ ამაღლებას და სულიერ გამოფხიზლებას¹. კულტურულ-აღმზრდელი მუშაობის მასშტაბის ზრდის შესაბამისად მტკიცდებოდა მუშათა კლასის რიგები. „გამოფხიზლება დაეტყო გლებობასაც. ქალაქებისა და მათი მოსახლეობის ზრდის შედეგად გაიზარდა ინტელიჯენციის რიგები, შეიცვალა მისი თვალსაზრისი, იგი თან-

¹ Ученые записки XXI, вып. II, Серия общественных наук, г. Орджоникидзе, 1956, кн. 16.

დათან დემოკრატიული გახდა. საზოგადოებრივ აზროვნებასა, ლიტერატურასა და ხელოვნებაში მძლავრად შეიჭრა დემოკრატიული ნაკადი, გაიზარდა ფართო მასების მოთხოვნილება ცოდნაზე, განათლებაზე, სკოლაზე¹. ამგვარი მოვლენები რევოლუციამდელი პერიოდის რუსეთის ყველა განაპირა ხალხის ცხოვრების სიმპტომატურ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა და ამდენად, იგი თანაბრად ეხება ოს ხალხს, მის ეკონომიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას.

ოსი ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და ადგილობრივ მოსახლეობის შეგნების განვითარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალური თეატრის დაარსებას, რომლის შექმნა კოსტა ხეთაგუროვის სახელთან არის დაკავშირებული. მშობლიურ ენაზე პირველი თეატრალური დადგმებისა და დრამატურგიის ფუძემდებელია შ. ი. ტოტროვი (ჩრდ. ოსეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), რომლის ხელმძღვანელობით ანაღგაზრდა ძაღების მიერ ოსეთის საქალაქო და სასოფლო კლუბების სცენაზე დაიწყო ოსი დრამატურგების ეროვნულ ნაწარმოებთა ჩვენება.

ოსური დემოკრატიული პრესა, ეურნალ-გაზეთები, თეატრი, წიგნები და გამომცემლობანი ადგილობრივ მოსახლეობაში აღვიძებდა ცოდნა-განათლებისადმი ინტერესს, ხელს უწყობდა მათში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, დემოკრატიულ მისწრაფებათა გაღვივებას და თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთების გაძლიერებას. ამიტომაც, მთავრობა თავის დამსჯელ მავზილს სწორედ ასეთ პროგრესულ გამომცემათა, რევოლუციურ დაწესებულებათა და ცალკე მოღვაწეთა დემოკრატიული საქმიანობის წინააღმდეგ მიმართავდა.

სახალხო განათლების პროგრესული იდეაზისათვის გაძლად რეპრესიისა და პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში

1907—1909 წწ. რეაქციის ძალები რევოლუციური ფრონტის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. მთავრობამ ხელთ იგდო იატაკქვეშეთის სტამბა. დაიწყო მუშათა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რბევა, მათ ხელმძღვანელთა (ნ. ბუაჩიძე და სხვ.) დევნა და გასამართლება, მუშების, ცლუბების, ინტელიგენციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოწინავე ძალების მასობრივი შევიწროება და დაპატიმრება. დაბურეს რევოლუციურ-პროგრესულ

¹ უშანგი ობოლაძე, სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1961, გვ. 6.

„უტრო გორ“, „ირონ გაზეტი“, „ნოვია ეიზნ“, „ზონდ“ და სხვა ჟურნალ-გაზეთები. სკოლებში დამკვიდრდა მათრახი და ყაზარმული დისციპლინა.

რევოლუციის დაცემისა და რეაქციის აღმავლობის ხანაში ოსური სკოლები მძიმე პირობებში აღმოჩნდა. მწვავე მატერიალური მდგომარეობისა და მასწავლებელთა დევნა-შევიწროების გამო მოსწავლეთა კონტინგენტი ბევრ სკოლაში შემცირდა.

სწავლების პროცესს ზელს უშლიდა სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების, რეეულებისა და აუცილებელი ზელსაწყობების მეტისმეტი სიმცირე, სასკოლო შენობების უფარგისობა, შესაფერისი დგამ-ავეჯის უქონლობა, სასკოლო ბიბლიოთეკის სიღარიბე და კეთილმოუწყობლობა. ბავშვების დიდი უმრავლესობა საოჯახო საქმეებში (მიწის სამუშაოებში) იყო ჩაბმული, რაც სასწავლო წლის (8—9 თვიდან 5—6 თვემდე) შეკვეცას, მეცადინეობის გაცდენას და სასწავლო პროცესის მოშლას იწვევდა. მასწავლებლობა მძიმე მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. ხელფასები 5—6 თვეობით იგვიანებდა. ფულის სყიდვითი უნარიანობა დაეცა, რის გამოც სახალხო მასწავლებლები საშინელ შიმშილსა და სიღარიბეს განიცდიდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება მოწინავე პედაგოგებს სდევნიდა.

მიუხედავად ასეთი მძიმე უფლებრივ-მატერიალური და პოლიტიკური შეზღუდულობისა, ოსეთის მშრომელი მასები და მოწინავე ინტელიგენცია (საეკლესიო-რელიგიური განათლების წინააღმდეგ) მხარს უჭერდა საერთო სახალხო სკოლების ქსელის გაფართოების კურსს. ზოგიერთი ოსური სოფლები (მაგ. სოფ. სალუგარდანის მოსახლეობა) საეკლესიო-სამრევლო სკოლებს ბოიკოტს უცხადებდა. გაფიცულები (1911 წ. ნოემბრიდან) საეკლესიო-სამრევლო სკოლის ნაცვლად სამინისტროს უწყების ორკლასიანი სახალხო სკოლის გახსნას მოითხოვდა¹.

თერგის ოლქის ადმინისტრაციისა და საეკლესიო უწყების ხელმძღვანელთა მხრივ საწინააღმდეგო მოქმედების მიუხედავად, ხალხის დაჟინებითი მოთხოვნის ნიადაგზე 1913 წელს თერგის ოლქში მოქმედებდა სამინისტროს უწყების სახალხო სკოლები. საერთო ხასიათის ნაკლოვანებათა მიუხედავად, მათ ოსი ხალხი მეტი ნდობით ეპყრობოდა, ვიდრე საეკლესიო-სამრევლო სკოლებს.

სტოლიპინის რეაქციის პერიოდში ინტელიგენციის წრეში ზოგიერთ ჩოღვაწეს „მერყეობის სენი“ შეეპარა. ზოგიერთი ინტელიგენტი (მათ შორის მ. გარდანოვი), რომელიც პირველი რევოლუციის

¹ Архив СОНИИ, Материалы по народному образованию, папка № 17.

წინ და სახალხო მოძრაობის პერიოდში საეკლესიო-სამრევლო სკოლების წინააღმდეგ ილაშქრებდა, რეაქციის ზანაში საეკლესიო უწყების სკოლების „გაჯანსაღების“ ლოზუნგს იცავდა.

მ. გარდანოვის „სახალხო განათლების რეფორმის“ იდეა არსებითად ძველი სისტემის ჩარჩოებს არ გასცილებია. მას მიაჩნდა, რომ „ჩრდილოეთ ოსეთის თანამედროვე საეკლესიო სკოლა უძღვრია უშველოს... სახალხო უბედურებას“, ასეთი სკოლები „...არ შეესაბამება თავის დანიშნულებას, არ პასუხობს თანამედროვე მთიელთა მოთხოვნილებებს, რომელიც თავის ხსნას სკოლაში ეძიებს“... და სხვ¹.

გარდანოვი სავსებით სწორი იყო თანამედროვე საეკლესიო სკოლების ხარვეზთა შეფასებაში. ეს სკოლები მართლაც ვერ პასუხობდნენ მთიელი ხალხის საცხოვრებო ინტერესებს. ისინი მოწყვეტილი იყვნენ მშრომელთა სასიცოცხლო მოთხოვნილებებს და ნაცვლად ნამდვილი ცოდნის საფუძვლებისა (აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო, სახელოსნო-სადურგლო და ხელსაქმობის ელემენტარული ცოდნა-ჩვევებისა) ბავშვებს აძლევდნენ აფსტრაქტულ ცალმხრივ, ცირკულარულად შეღვენილი მშრალი პროგრამული „მასალის“ ცოდნას. მაგრამ, გარდანოვი, რაც მთავარია, ივიწყებდა იმას, რომ ვერც „იდეალურად განწყობილი... მღვდლების მომზადება“, ვერც „ორკლასიანი სამასწავლებლო საეკლესიო სკოლები“, ვერც ამ სკოლების მასწავლებელთა პროპაგანდა და „ბავშვებში რელიგიურ რწმენის შეტანა“ წინ ვერ წასწევდა ოსეთში „ხალხის რელიგიური აღზრდის საქმეს“, რადგანაც ცარიზმის დრომოკმული სასკოლო სისტემა თავისი შინაარსით აღარ შეესაბამებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ პირობებს, აღმავალი კლასების (მუშებისა და გლეხობის) პედაგოგიურ იდეალებს, რომელსაც რევოლუციონური სოციალ-დემოკრატიკა მშრომელთა უახლოეს საბრძოლო ამოცანად სახავდა.

ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებათა წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდა ინტელიგენციის რევოლუციური ნაწილი (ხ. ურუიმაგოვი და სხვ.). ხ. ურუიმაგოვი მოითხოვდა სწავლების დახვედრული სისტემის რადიკალურ შეცვლას „...უფრო გონივრულ საწყისებზე, რომელიც უპასუხებს თანამედროვე სულიერ განწყობილებას, ხალხისა და ჯანსაღი პედაგოგიის მოთხოვნებს“².

ხ. ურუიმაგოვი სწორად შენიშნავდა, რომ გარდანოვის „სარეფორმო პროექტი“ საეკლესიო სკოლებისა, მიმართულია „რაციონალუ-

¹ Газ. «Терек», 1909 г., 7 мая.

² იქვე.

რო პედაგოგიკის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ, მხოლოდ ამახინჯებს სახალხო სკოლების კემპარიტ აზრსა და იდეას¹. ცხადია, მოწინავე ინტელიგენციის ობიექტურ კრიტიკას რეაქციის გავლენით იდეოლოგიურად მერყევე ელემენტთა მცდარი გაგების წინააღმდეგ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური გამოფხიზლებისა და სახალხო განათლების დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში ოსი ხალხის ფართოდ ჩაბმისათვის.

ამავე პერიოდში დასმულ იქნა არდონის სემინარიის რეორგანიზაციის საკითხი. მოწინავე მასწავლებლობა სემინარიის ძირეულ გარდაქმნას მოითხოვდა. „უწმინდესი სინოდის“ 1908 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულებით მისიონერული სასწავლებელი „ნორმალურ სასულიერო სემინარიად“ გადაკეთდა, მაგრამ სახელწოდების შეცვლას სწავლების მიზნებსა და შინაარსში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მოჰყოლია.

ოსი ხალხი ნორმალურ სასულიერო სემინარიასთან ბავშვთა მოსამზადებლად ორი კლასის გახსნას მოითხოვდა, რაზედაც მთავრობა დათანხმდა.

ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში ვ. ი. ლენინის მოწაფის ს. მ. კიროვის სამუშაოდ გადასვლას, მის ბრძოლას დაქსაქსული რსდმპ ბოლშევიკური ორგანიზაციების გაერთიანებისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის ახალ რეღსებზე განვითარებისათვის. კიროვი მასებში რევოლუციურ-მარქსისტულ პროპაგანდას განუყრელად უკავშირებდა პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობას, კულტურულ-მასობრივ მუშაობას. ალაგირის ქარხანაში მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა საკვირაო სკოლა, სადაც მუშებს „რუსულ ენას“ ასწავლიდა, ხოლო ასეთი გაკვეთილები ზშირად პოლიტიკურ ჯაუბრებად იქცეოდა. იგი გაზ. „ტერეკში“ ათავსებდა ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილებს, კავკასიის შთის ხალხებში (და კერძოდ ინტელიგენციაში) აწარმოებდა ფართო მასშტაბის რევოლუციურ-მარქსისტულ მუშაობას, რაც თავის მხრივ, როგორც მასწავლებლებზე, ისე მოსწავლე ახალგაზრდობაზე გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა.

კიროვი ჩრდ. კავკასიაში მისი პარტიულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში სკოლისა და სახალხო განათლების საკითხებზე მეტად ჭაინტერესო ტატტიებს წერდა. ამგვარ

¹ ხ. ურუმიშაგოვის მკაცრი და პრინციპული კრიტიკის შემდეგ, გარდანოვმა უარყო მცდარი შეხედულებები და სხვა მოწინავე პედაგოგებთან ერთად ჩაება ახალი სკოლისათვის ბრძოლაში (გაზ. „ტერეკ“, 1909 წ., 7 მაისი).

წერილებს შორის აღსანიშნავია: „პოლიტიკის წინააღმდეგ უმაღლეს სკოლაში“, „უნივერსიტეტების წინააღმდეგ“, „თეორია და პრაქტიკა“, „სკოლის რეფორმებისაკენ“, „სინათლისაკენ“, „აბალი სკოლა“, „აკრძალული კურსები“, „უნივერსიტეტის საკითხისათვის“, „განათლების დღესასწაული“ და სხვა, რაც თანამედროვე პრესაში ქვეყნდებოდა¹. მეფის თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკის შამხილებელი წერილები ჩრდ. კავკასიის მასწავლებლობას ცარიტული სკოლის ნამდვილ ბუნებაზე გონების თვალს უხელდა, სწორ წარმოდგენას აძლევდა მის რეაქციულ-ბურჟუაზიულ მიზანდასახულებასა და მასწავლების შინაარსზე, მასებს აჩვენებდა გზებს სახალხო განათლების მოძველებული სისტემის შეცვლისა და აბალი დემოკრატიული სასკოლო სისტემის შემოღებისათვის.

კიროვი მკაცრად ამხელდა „სახალხო დაბნელების სამინისტროს“ (ლენინი) ორკოფულ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც გაბატონებული იდეოლოგია უმაღლეს სასწავლებელს პოლიტიკის გარეშე აცხადებდა. სინამდვილეში, როგორც ცნობილია, უმაღლესი სკოლა სტუდენტობას უკიდურესად რეაქციულ-ბურჟუაზიული (კლასობრივი) სულისკვეთებით ზრდიდა.

სახალხო განათლების ოფიციალური ხელმძღვანელობა, უნივერსიტეტის პროფესორების ვაკანტურ ადგილზე ან პროფესორობისათვის. მოსამზადებლად შესაფერისი კანდიდატების შეხარჩევად, ხშირად, „თავისუფალ კონკურსს“ აცხადებდა, მაგრამ ფაქტიურად ასეთ ადგილებზე მხარს უჭერდა ისეთ პირებს, რომლებიც, თავიანთი მოქმედებით ცარიზმის ინტერესებს იცავდა. კიროვი სამართლიანად მიუთითებდა უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებულ იეზუიტურ მეთოდებზე, რომლის გამოყენებითაც, მეფის მოხელეები „ქუჩის არეულობის“ გავლენისაგან დასაცავად „პოლიტიკურად არასაიმედო“ პროფესორ-მასწავლებლებს სკოლებიდან ერეკებოდა.

მეფის მმართველ აპარატს, ეშინოდა რომ „...სკოლა საერთოდ და კერძოდ უმაღლესი სასწავლებელი, არ გადაქცეულიყო რომელიმე პოლიტიკური რწმენის სანერგედ“². სინამდვილეში მთავრობის ლოზუნგი სკოლის აპოლიტიკურობის შესახებ, სიცრუეს, თვალის ახვევას წარმოადგენდა, რომელიც შენიღბულად უაღრესად რეაქციულ-ბურჟუაზიული აღზრდის კლასობრივ ხასიათს ატარებდა.

¹ М. Тогоев, Народное образование и педагогическая мысль в до-революционной Осетии, 1962, გვ. 154—155.

² Гав. „Терек“, 1913 წ., 13 აგვისტო. იხ. ს. შ. კიროვის სტატია: „თეორია და პრაქტიკა“.

კიროვი მთელი სიმკაცრით აკრიტიკებდა განათლების სამინისტროს იმისათვის, რომ იგი განაპირა მხარეების ახალგაზრდობას უმაღლეს სკოლებში შესასვლელ კარს უხშობდა.

იგი აქტიურად ეხმარებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რაც სახალხო განათლების რეფორმის მომწიფებულ პრობლემებს ეხებოდა.

კიროვი 1915 წელს — „სასკოლო რეფორმების“ პერიოდში მოითხოვდა ახალი, დემოკრატიული ტიპის ერთიანი სასკოლო სისტემის შექმნას, სასწავლებელთა ცალკე საფეხურებსა და ტიპებს შორის მტკიცე თანმიმდევრობის დამყარებას, სწავლების პრივილეგიური (წოდებრივ-კლასობრივი) ხასიათის გაუქმებას, მაწავლებელთა კურსების და შეკრებების სრულ თავისუფლებას.

კიროვის სტატიებს, მის ლექციებს, გამოსვლებსა და კრიტიკულ წერილებს თერგის ოლქის მასწავლებლობასა და ინტელიგენციაში სიცხოველე, რევოლუციური აღტკინება, სიფხიზლე, რწმენის სიმტკიცე, პერსპექტივების სიციხადე და დარაზმულობა შეჰქონდა. კიროვის შეხედულებების სახით, კავკასიის მთის ზღვებში (კერძოდ კი — ოსებში) ფესვებს იდგამდა მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიური იდეები, რსდმ პარტიის ბოლშევიკური ლოზუნგები თანდათანობით ცხადი და მასებისათვის სისხლხორაკეულად გასაგები ხდებოდა.

ს. კიროვი, ნ. ბუაჩიძე, ს. ორჯონიკიძე და სხვები, ოსი ზღვის საუკეთესო შვილებთან ერთად, ჩრდილო კავკასიის მშრომელებს რაზმავდნენ თვითმპყრობელობის დამხობისათვის, რევოლუციის გამარჯვებამდე მიყვანისა და მუშათა კლასის საგანმანათლებლო იდეალების ბოლომდე განხორციელებისათვის.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას, როგორც ცენტრალურ რუსეთში, ისე მის პერიფერიულ მხარეებში, პედაგოგიური აზროვნების სფეროშიაც სიახლე და გამოცოცხლება მოჰყვა. გაბატონებულ პედაგოგიურ იდეებს რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული. პედაგოგიური იდეები დაუპირისპირდა, რომელიც იმპერიის ყველა მხარის ე. წ. „დაბალ ფენებში“ ღრმა ფესვებს იდგამდა. სახელმწიფოებრივ-ეკლესიური პედაგოგიური „ტრაქტატები“ ხალხთა მასების შეგნებაში ავტორიტეტს ჰკარგავდა. გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, უშინსკის, კორფის, კომენსკის, პესტალოცისა და სხვა დიდ კლასიკოსთა პედაგოგიური იდეები მოსახლეობაში გზებს ფართოდ იკვლევდა და თავის შომხრეებს იძენდა.

მართალია, ოსეთის ინტელიგენცია რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული პედაგოგიის მოწინავე იდეებს ძირითად სამოქმედო

პროგრამად იღებდა, მაგრამ სწავლა-აღზრდის ბევრ აქტუალურ საკითხს, იგი არატრადიციულად, არამედ სოციალური ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებთან შეფარდებით და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით წყვეტდა. როგორც რუსეთში, ისე კავკასიის ხალხებში დაგროვილი პედაგოგიური გამოცდილება საფუძვლიან შესწავლას, ანლებურად მიდგომას და რუსეთის პირველი ხალხური მოძრაობის ნიადაგზე წამოჭრილი პედაგოგიური პრობლემების რევოლუციურად გადაჭრას მოითხოვდა. ეს პერიოდი ოსეთის პედაგოგიის ისტორიაში მიჩნეულ უნდა იქნას პროგრესული პედაგოგიური აზროვნების აღორძინების პერიოდად, როდესაც სხვა შეხედულებათა და აზრთა კიდილში მაგისტრალურ ხაზს რევოლუციურ დემოკრატიული მიმართულება იკავებდა.

ა. სახალხო სკოლისა და მასწავლებლის ადგილი საზოგადოების განვითარებაში

ხალხის მოწინავე შეილები გადაუღებელ ამოცანად სახავდნენ სკოლების საშუალებით კავკასიის მთის მოსახლეობაში ცოდნა-განათლების გავრცელებას, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას მათი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ამაღლებისათვის.

რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული პედაგოგიის წარმომადგენელთა მსგავსად, XIX საუკუნის 80—90-ანი წლების ოსეთის პროგრესული მოღვაწეები (ა. გასიევი, კ. ხეთაგუროვი, ხ. ურუშიაგოვი და სხვ.) ხალხში ცოდნის შეტანას მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძვლად აღიარებდნენ.

რევოლუციურ-დემოკრატიულ პედაგოგიურ შეხედულებათა ერთ-ერთი გამოჩენილი პროპაგანდისტი — ა. გასიევი სახალხო სკოლის ძირითად მიზნად აღიარებდა ხალხის გონებრივი, ზნეობრივი და საერთო კულტურული დონის ამაღლებას. „ინოროდცული“ სკოლის მიზანი, ისევე, როგორც საერთო სახალხო რუსული სკოლისა, გასიევის თქმით, იმაში მდგომარეობს, რომ „...მოსახლეობაში შეიტანოს ცოდნის სინათლე, განაპეტაკოს ხალხის რწმენა, აამალოს მისი უფლებრიობა“¹. ოსი განმანათლებელი სკოლას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის კულტურული დაწინაურების საქმეში. განათლება, ცოდნა, მას უმთავრეს წყაროდ. მიაჩნდა ეკონომიური სიდუხჭირისა და უფლებრივი შევიწროებისაგან მოსახლეობის თავისუფლების გზაზე გამოყვანისათვის.

¹ Газ. «Терские ведомости», 1878, № 23.

XIX საუკ. 80—90-იანი წლების ოს მოაზროვნეებს ღრმად სწამდათ, რომ განათლება და თავისუფლება, კულტურა და ცივილიზაცია საზოგადოებაში თავისთავად არ განვითარდება და არ მოიტანს სასურველ ნაყოფს. ამისათვის საჭიროა სკოლა, მომზადებული მასწავლებელი და ხალხის ენერჯიასთან პროგრესული ინტელიგენციის ენთუზიაზმის შეერთება. ოსი სახალხო მასწავლებლის — ხ. ურუჟიმაგოვის აზრით, ცივილიზაცია ხალხში თავისთავად არ შეიქრება, იგი „.....აუცილებლად მოითხოვს შრომასა და ენერჯიას ხალხთა მატებში მისი დანერგვისა და განვითარებისათვის“.

ხ. ურუჟიმაგოვი სახალხო სკოლას უდიდეს როლს ანიჭებდა მოსახლეობაში ცივილიზაციის დანერგვისა და მოზარდი თაობის ყოველმხრივი განვითარების საქმეში. მისი გაგებით, სკოლის უმთავრესი დანიშნულებაა „.....ადამიანის ყოველმხრივი ნიჭის ჰარმონიული განვითარება“¹.

1905—1907 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც სკოლა ოსეთში სრულიად მოშლილი იყო, ხოლო ნიჭიერი, მკოდნე და ხალხის ერთგული მასწავლებელი — დევნილი და შევიწროებული, ურუჟიმაგოვი მასებს სახალხო სკოლის როლის ამადლებისა და მასწავლებელთა ავტორიტეტის განმტკიცებისაკენ მოუწოდებდა².

„სკოლა, — წერდა ურუჟიმაგოვი, — ეს ლამპარია ღამის წყვედიღმში, რომელიც აშუქებს ჩა ბავშვთა ღარიბ გონებას, თავის თავში მინიატურულად ასახავს მთელს სამყაროს. სკოლა გამოსკვდს ისეთი ხასიათის ადამიანებს, რომელთაც უნარი ექნებათ მომავალში უშიშრად გამოვიდნენ ცხოვრების მრავალგვარი სიდუხჭირის, მისი უბადრუკობისა და სხვა მახინჯი მხარეების წინააღმდეგ ბრძოლის არენაზე“³.

მოწინავე, პროგრესული მასწავლებლობა, როგორც პირველი რევოლუციის დროს, ისე რეაქციის პერიოდშიც გამოხატდა ძველ სკოლას, აღზრდის დრომოქმულ სისტემას, რომელიც მთავრობის ხელში მცირე ეროვნებათა და ხალხთა ასიმილაციისა და რუსიფიკაციის ნაცად იარაღს წარმოადგენდა. ამხელდა რა ძველი სკოლის მანკიერ მხარეებს, ხ. ურუჟიმაგოვი ასეთ სასწავლებელს „სატუსაღოს“, „საპოლიციო უბანს“, „მშრალი და უსულო ჩინოვნიკების ფაბრიკას“, „სკოლა-საპატიმროს“, „მანეჟნების ქარხანას“ უწოდებდა⁴. მისი

¹ М. Тогоев, Очерки по истории культуры и общественной мысли в Северной Осетии, 1957, гл. 344.

² Журн. «Утро тор», 1910 г., № 1, гл. 1.

³ იქვე, გვ. 31.

⁴ Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, гл. 3.

შებენდნებით, ძველი სკოლის ადგილი უნდა დაიკაოს ახალი ტიპის სკოლამ, რომელმაც „...განსაკუთრებულ მიზნად უნდა დაისახოს მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება და არა ასიმილაცია“¹.

პირველი რევოლუციის ხანაში პროგრესული მასწავლებლობა მოითხოვდა სკოლის დემოკრატიზაციას, მის ხალხურ ნიადაგზე აგებას, ზეპირობისა და დოგმატური სწავლების მაგიერ სკოლებში შეგნებული ცოდნისა და რეალური აღზრდა-განათლების პრინციპების განხორციელებას. ოსი ხალხის საუკეთესო შვილთა პედაგოგიურ იდეალს წარმოადგენდა ხალხურ ნიადაგზე „...ცოცხალი, შეგნებული და ყოველმხრივად განვითარებული მშრომელი ადამიანების აღზრდა...“². არც ისაა შემთხვევითი, რომ სკოლის ძირეული რეორგანიზაციისა და ხალხურ ნიადაგზე მოზარდი თაობის ყოველმხრივი აღზრდა-განვითარების საკითხები სათანადო ასახვას პოულობდა. 1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში მასწავლებელთა ყრილობების მიერ მიღებულ „პეტიციებ-სა“ და მშრომელთა მოთხოვნებში.

სახალხო სკოლის ძირეული რეორგანიზაციის საკითხი პირველი რევოლუციის პერიოდში ერთ-ერთ ძირითად საკვანძო პრობლემას წარმოადგენდა. არსებულ საეკლესიო-სამრევლო სკოლები ელემენტარულადაც ვერ პასუხობდა იმ მოთხოვნილებებს, რასაც მეცნიერული პედაგოგია და მშრომელთა საარსებო ინტერესები აყენებდა. ხ. ურუშიაგოვის გამოთქმით რომ ვთქვათ: „... ეს იყო არა სკოლები, არამედ იგივე ეკლესიები, მხოლოდ მინიატურაში და იმ განსხვავებით, რომ ეკლესიებში საღვთო სჯულს მოზრდილი ადამიანები სწავლობდნენ, სკოლებში კი მოზარდები“.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების ფორმალური „გადაკეთება“ „სახალხო სკოლებად“ სწავლების შინაარსში არსებით ცვლილებას არ ნიშნავდა. ამგვარი რეფორმები უფრო ბურჟუაზიულ-ლიბერალური კლასების ინტერესებს შეესაბამებოდა, ვიდრე რევოლუციური მშრომელი მასების მოთხოვნილებებს ამიტომ, ოსეთის მშრომელები მოითხოვდნენ: სახალხო სკოლების რეალურ ნიადაგზე აგებას, მისთვის დამოუკიდებელი, დასრულებული სახის მიცემას, საგნების თანმიმდევრულად, შინაარსიანად და თვალსაჩინოდ სწავლებას, სასწავლო გეგმიდან რელიგიის უკუგდებას, პედაგოგიური პროცესის დედაენაზე დამყარებას, ქალ-ვაჟთა საყოველთაო, უფასო, თანასწო-

¹ Журн. «Утро гор», 1910 г., № 1, стр. 36.

² იქვე, გვ. 45.

რი აღზრდის შემოღებას და სხვა დემოკრატიულ ღონისძიებათა გატარებას.

ეურნალი „უტრო გორ“ 1910 წელს (№ 1) სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ „სკოლა არ უნდა მისდევდეს ასიმილაციისა და რუსიფიკაციის მიზნებს, — იგი უნდა შეიქმნას მარტოდმარტო მოსახლეობის კულტურული აღმავლობის მიზნებისათვის..... მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეასრულებს ის თავის უმაღლეს მისიას.... ხალხის ცხოვრებაში“¹.

ეურნალი მკაცრი პროტესტით ილაშქრებდა კავკასიელი „ინოროდების“ დამცირების, მათი ადამიანური ღირსების შელახვისა და უფლებობის წინააღმდეგ და სკოლის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად სახავდა ჭაღხებს შორის ძმობისა და შეგობრული გრძნობების განმტკიცებას.

რუსეთის პირველი ხალხური რევოლუციის პერიოდში, მეტად მწვავე პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე მასწავლებლის პედაგოგიური ფუნქციების, მისი დანიშნულების სწორი გაგებისა და უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები. ოსი განმანათლებლის — კოსტა ხეთაგუროვის გაგებით, სახალხო მასწავლებელი „ხალხის მსახური“, მისი „სულის მესაზღვრელე“, მოსახლეობაში „ცოდნის სხივების გამავრცელებელი“, მოსწავლეებში „მეცნიერებისა და ბელოვნების სიყვარულის აღმძვრელი“, თავისი ქვეყნის ღირსეული პატრიოტი, ახალგაზრდობისა და შრომისმოყვარე თაობათა აღმზრდელი ძალაა². კ. ხეთაგუროვის პროგრესული შეხედულებანი ხელს უწყობდა ოს ხალხში სახალხო მასწავლებლის როლისა და დანიშნულების სწორ გაგებას.

სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწის — ა. გასიევის აზრით, მასწავლებლობას უნდა ეწეოდნენ მშრომელი მოსახლეობის წრიდან გამოსული, სპეციალური — პედაგოგიური განათლების მქონე ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობენ ხალხს, მათ ცხოვრებას, თავდადებულად იშრომებენ ხალხის განათლების. მისი სიკეთისა და ინტერესებისათვის.

რევოლუციამდელი სკოლა, როგორც კლასთა შორის ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური იარაღი, გაბატონებული იდეოლოგიის დაცვა-განმტკიცებას ემსახურებოდა. „ბუნებრივია, რომ მთელი ძველი სკოლა, — ვ. ი. ლენინის გამოთქმით, — მთლიანად და სავსებით კლასობრივი სულით იყო გაჟღენთილი, ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის

¹ Журн. «Утро гор», 1901 г., № 1, стр. 85.

² კოსტა ხეთაგუროვი, რჩეული ნაწერების კრებული, გვ. 332—334. იხ. მისი ლექსი „სტავროპოლის გიმნაზიის მოსწავლეებს“.

შვილებს აძლევდა. ყოველი მისი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესები-სადმი იყო შეგუებული. ამ სკოლებში მუშათა და გლეხთა აბალგაზრ-და თაობას იმდენად არ ზრდიდნენ, რამდენადაც იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ გეშავდნენ¹.

ოსური ჟურნალ-გაზეთები, სწავლა-განათლების დარგში, უმთავ-რესად ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს გამო-ხატავდა. გაზ. „ნოვ ცარდს“ (1907 წ. № 49) სასწავლებელთა „ავად-მყოფობის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად მასწავლებლის შრომის შეუფასებლობა მიაჩნდა. გაზეთის მიხედვით, ცარიელი სი-ტყვეებით კი არ უნდა ვაჭებდეთ მასწავლებლის შრომას, არამედ საქ-მით უნდა ვზრუნავდეთ მისი მატერიალური პირობების გაუმჯობე-სებისათვის. ცარიელი სიტყვებით არც რაიმე გაკეთებულა ოდესმე და არც მომავალში გაკეთდება².

ამრიგად, გაზეთი „ნოვ ცარდ“ რევოლუციის დაღმავლობის პე-რიოდში სახალხო განათლების დარგში მშრომელი მასებისა და მო-წინავე ინტელიგენციის მიერ წამოყენებულ დემოკრატიულ მო-თხოვნილებათა განხორციელებისა და მთავრობის მხრივ მისი დაკმა-ყოფილებისათვის შეუწელებელი ბრძოლის პროპაგანდას ეწეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის ბატონობის პირობებში მშრო-მელთა რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფი-ლება შეუძლებელი აღმოჩნდა, თვითმპყრობელობის საგანმანათლებ-ლო პოლიტიკის წინააღმდეგ ზალხის ამგვარ შეკავშირებას მაინც უდიდესი მათრგანიზებელი და ოსეთის მშრომელი მასების შეგნე-ბაში რევოლუციური გარდატეხის შემტანი ძალის³ მნიშვნელობა ჰქონდა, რომელთაც, უეჭველია, საკმაო ფავლენა იქონიეს სასკოლო განათლების დარგში მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ოსეთში.

ბ. აღზრდის ახალი იდეებისათვის ბრძოლა

რუსეთის სდმპ თავის პედაგოგიკურ მოღვაწეობაში უმთავრეს ამოცანად ისახავდა დაქირავებული მუშათა კლასის აღზრდას ყო-ველგვარი ჩავერისაგან მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათ-ვის მებრძოლთა როლის შესასრულებლად⁴, რითაც იგი ერთხელ კი-დეც ხაზგასმით მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ არ არსებობს პოლი-ტიკისაგან იზოლირებული პედაგოგიკა. ისევე, როგორც არც ერთი მომენტი პედაგოგიური საქმიანობისა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ

¹ ლ ე ნ ი ა აბალგაზრდობის შესახებ, 1956, გვ. 304.

² გაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 49, გვ. 2—3. ნ. ხ.—ს სტატია: „კიდევ ჩვენი სკოლების შესახებ“.

³ ვ. ი. ლ ე ნ ი ა თხზ., ტ. 8, გვ. 534.

პოლიტიკის ელემენტების გარეშე. რა თქმა უნდა, პედაგოგიკისა და პოლიტიკის ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება არც მათ იგივეობას ამტკიცებს და არც ამ ცნებათა შინაარსის ურთიერთისაგან მოწყვეტის საჭიროებას. ამიტომ, რსდმპ კავკასიის კომიტეტი მოსწავლე ახალგაზრდობასთან პარტიის დამოკიდებულების საკითხში ყოველთვის ემყარებოდა მეორე ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მიერ განვითარებულ დებულებას იმის შესახებ, რომ რევოლუციური პარტია მთავარ მიზნად ისახავს მოზარდ თაობაში „...მთლიანი რევოლუციური მსოფლმხედველობის შემუშავებას“¹.

აქედან გამომდინარეობდა რევოლუციური მუშათა კლასისა და პროგრესული ინტელიგენციის ბრძოლა სკოლებიდან ყოველგვარი რელიგიის განდევნის, საღვთო სჯულის გაუქმებისა და სწავლების რეალურ ნიადაგზე დამკვიდრებისათვის.

ლენინი ჯერ კიდევ რსდმპ პროგრამის პროექტში (რომელიც 1903 წელს, მეორე ყრილობაზე დამტკიცდა) სდმპ უაბლოგეს პოლიტიკურ ამოცანად სახავდა თვითმპყრობელობის დამხობას და რესპუბლიკით მის შეცვლას დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს: ა) მოსახლეობის უფლებას — მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ხარჯზე ამ მიზნებისათვის დაარსებული სკოლების მეშვეობით; ბ) ეკლესიის გამოყოფას სკოლისაგან და სკოლის—ეკლესიისაგან; გ) უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური განათლების გატარებას ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 16 წლამდე; დ) ღარიბ ბავშვთა მომარაგებას საჭმლით, ტანსაცმლითა და სასწავლო ნივთებით სახელმწიფოს ხარჯზე; ე) მეწარმეების მიერ 15 წლის ასაკამდე ბავშვთა დაქირავებული შრომის აკრძალვას და ა. შ.²

ჩრდილო-კავკასიის მშრომელთა დემოკრატიული მოთხოვნილებანი და ამ მოთხოვნილებათა მკვეთრად განსაზღვრული რევოლუციურ-მარქსისტული ხასიათი აშკარად ცხადყოფენ იმ ცხოველმყოფელ გავლენას, რომელსაც ლენინის პედაგოგიური იდეები ხალხთა მასების შეგნებაზე და მოძრაობის მიმართულებაზე ახდენდა.

თუ სამღვდელოების კრებები და ოსეთის საზოგადოების ზოგიერთი სხვა წრეები (1905—1907 წწ.) საღვთო სჯულის სასწავლო მასალის შექვეცით, პროგრამებში ცვლილებების შეტანით, სკოლის რეფორმებითა და ბურჟუაზიულ-ლიბერალური მოთხოვნებით კმა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 631.

² ლენინი სახალხო განათლების შესახებ (კრებული), თბ., 1936, გვ. 71, შტრ. КПСС в резолюциях и решениях, часть 1, изд. 7, гв. 40—41-

ყოფილდებოდნენ, რევოლუციური პროლეტარიატი, პროგრესული ინტელიგენცია და მშრომელი ახალგაზრდობა, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით, არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების დამხობას, მშრომელთა ძალა-უფლების დამკვიდრებას, სახალხო განათლების დემოკრატიზაციას და სასკოლო საქმის ძირეულ გარდაქმნას მოითხოვდა.

სკოლის ღრმა გარდაქმნებში, ცხადია, სწავლების შინაარსის საფუძვლიანი შეცვლა იგულისხმება. ოსეთის პედაგოგიკის ნიჭიერი მოღვაწეები სახალხო სკოლაში წინა პლანზე აყენებენ მოსწავლეთა გონებრივ აღზრდას, სინამდვილის განვითარების მოვლენებზე, სამყაროსა და მის კანონებზე მოსწავლეებში სწორი წარმოდგენის შემუშავებას. მაგალითად, ზეთაგუროვის პედაგოგიურ იდეალს წარმოადგენდა მოზარდ თაობაში წიგნიერების გავრცელება, მათში ბეჭითი შრომის ჩვევებისა და მეცნიერული ცოდნის დანერგვა, მოსწავლე ახალგაზრდობაში მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების, ობიექტური განსჯისა და ქეშმარიტი აზროვნების უნარის განვითარება-ჩამოყალიბება¹.

ოსი პედაგოგი ა. გასიევი ხაზგასმით მიუთითებდა მოსწავლეთა გონებრივი აღზრდის ძირითად ნაკლზე: მეცნიერებათა ელემენტარული საწყისების უცოდინარობაზე, საკუთარი აზრებისა და მსჯელობის უნარის უქონლობაზე, წერა-კითხვის ცოდნა-ჩვევების შეუთვისებლობასა და ცხოვრებისათვის უვარგისი, მექანიკურად შეთვისებული და გაზეპირებული ცოდნის ნაფლეთების მაგიერ — ნამდვილი, ცხოვრებისათვის აუცილებელი ქეშმარიტი მეცნიერული განათლების შექმნის აუცილებლობაზე.

გამოჩენილი ოსი პედაგოგები; რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა და საერთოდ, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების საგრძნობ გავლენას განიცდიდნენ, მომავალ სკოლას მიზნად უსახავდნენ მოსწავლეთა მეხსიერების გამდიდრებას მეცნიერების ძირითადი ფაქტების ცოდნით, მომავალი თაობის აღკვერტას ცხოვრების პროგრესულად გარდაქმნისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით. ოსი დიდპტიკოსი ურუიმაგოვი რევოლუციამდელი სკოლის მიერ მოსწავლეთათვის მიწოდებულ ცოდნას „ნისლის ბურუსს“ უწოდებდა, რომელიც აბნელებდა ბავშვთა გონებას. არ აძლევდა მათ არავითარ საზრდოს — არც სულიერს და არც გონებრივს². იგი ახალი სკოლის უმთავრეს ამოცანად სახავდა მოსწავლეთათვის საფუძ-

¹ კ. ზეთაგუროვი, ჩიხული ნაწერების კრებული, 1939, გვ. 211.

² ეურნ. „უტრო გორ“, 1910 წ., № 1, გვ. 44.

ვლიანი ცოდნის მიწოდებას, ბავშვთა გონებრივი, ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიულად და სრულყოფილად განვითარებას. მას საჭიროდ მიაჩნდა მომავალი თაობისათვის სისტემატური, საფუძვლიანი, შეგნებული და მტკიცე ცოდნის მიწოდება¹.

ოსი მოაზროვნენი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოზარდი თაობის ზნეობრივი აღზრდისა და მოსწავლეებში მაღალი მორალური თვისებების ჩამოყალიბებას.

კ. ხეთაგუროვი მომავალი თაობის მორალურ თვისებებს შორის წინა პლანზე აყენებდა მოსწავლეებში თავისი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის უღრმესი სიყვარულის, მამაცობის, გმირობის, შრომისმოყვარეობის, პუმანიზმის, პირდაპირობის, პრინციპულობის და სხვა ზნეობრივი თვისებების გამომუშავებას. პოეტის პედაგოგიურ იდეალს წარმოადგენდა მშობლიური ხალხისათვის თავდადებული ისეთი თაობის აღზრდა, რომელსაც უნარი შესწევს გაუფრთხილდეს სიცოცხლეს იმისათვის, რომ საჭიროების დროს „სამშობლოს მისცეს სიცოცხლე მთელი“.

კოსტა ხეთაგუროვს ადამიანთა მორალური სიწმინდის წყაროდ მიაჩნდა ნაყოფიერ შრომაში მონაწილეობა. გონებრივ და ფიზიკურ (ძალის შესაბამის) შრომაში ბავშვების მონაწილეობას მწერალი-განმანათლებელი ისეთ საშუალებად თვლიდა, რომლითაც ჩვენ ყოველთვის შევძლებთ ახალგაზრდობა „.....გამოვზარდოთ... შრომისმოყვარე მუშაკებად და პატიოსან ადამიანებად“².

ანალოგიურ აზრს ანვითარებდა ა. გასიევი, რომელსაც გონებრივ და ფიზიკურ შრომაში ბავშვთა მონაწილეობა მათი მორალური სრულყოფის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიაჩნდა. მორალიზების იტარეში, მხოლოდ შრომითი ზემოქმედებით შეუძლია მასწავლებელს ქმედით და ცოცხალ განვითარებაში მოსწავლეთ შეათვისებინოს „.....შინაგანი განათლების ძირითადი იდეა: სიყვარული შრომისა და შრომაში ერთგულება, სიყვარული ცოდნისა და სიკეთისადმი“³. ამრიგად, გასიევი შრომას მოსწავლეებში ცოდნისადმი ინტერესის გაძლიერების, კეთილშობილური გრძნობების გაღვივებისა და სხვა საუკეთესო ადამიანურ თვისებათა განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, гв. 2. შდრ. გაზ. „კახბეკ“. 1899 წ., № 1011.

² კ. ხეთაგუროვი, რჩეული ნაწერების კრებული, ტ. III, 1939, გვ. 306—307. რუსული გამოცემა.

³ А. Гаснев, Методическое пособие к учебнику начальной русской грамматики, Тифлис, 1890 г., гв. 4.

ՎԱՅՈՒՆ 1906 թ. Կոնգրեսի անդամները իր սրահում: Ընդհանուր ֆոտոգրաֆ



მწერალ ინალ კანუკოვის შეხედულებით, შრომა ყველა ადამიანის ზნეობრივი მოვალეობაა. იგი შრომას სავსებით სამართლიანად აკუთვნებს ეფექტურ როლს ადამიანის აღზრდისა და მასში საუკეთესო მორალური თვისებების ჩამოყალიბების საქმეში.

შრომის აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ოსეთის კულტურისა და საბალხო განათლების ცნობილი მოღვაწე გუცირ შანაევი. ნარკვევში „სამი დღე აულში“ ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ოსურ სოფლებში სიღარიბის, კულტურული ჩამორჩენილობის, კეთილმოუწყობლობისა და გონებრივი სიბნელის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს შრომაზე ყალბი წარმოდგენა, რომ „...ყოველგვარი შრომა, გარდა ცხენით ხეტილისა, ამცირებს ნამდვილი აზნაურის ღირსებას“¹.

შრომის დანაწილების შედეგად ბავშვთა და მოზარდთა წრეშიაც განმტკიცდა ყალბი შეხედულება, თითქოს ღარიბთა ბავშვები უნდა სწავლობდნენ სახელოსნო სასწავლებლებსა და სხვა დაბალ პროფესიულ სკოლებში, რადგანაც ეს უკანასკნელნი, მხოლოდ ფიზიკური შრომისათვის არიან მოწოდებულნი.

შრომისადმი სიძულვილის გრძნობების დანერგვა ბავშვებში თავიდანვე იწვევდა სიზარმაცის, უქნარობის, მუქთამკამელობის, უზნეობისა და მორალური გახრწნის ელემენტების გაძლიერებას, რაც ოს მოღვაწეთა პროგრესულ ნაწილში, ასეთი წყობილების წინააღმდეგ პროტესტისა და აღშფოთების გრძნობებს აძლიერებდა.

გუცირ შანაევის შეხედულებით „...რასაკვირველია ნორმალურ და ჯანსაღ საზოგადოებაში... შრომისადმი დაუდევარი დამოკიდებულება არავითარი პატივისცემის უფლებით არ სარგებლობს, რადგანაც გაურკვეველი საქმიანობისა და მდგომარეობის ადამიანებიც კი, თუ დღეს არა, მომავალ საზოგადოებაში მაინც, ბოროტმოქმედებად ჩაითვლებიან“².

იმისათვის, რომ უსაქმო, ზარმაცი, მავნე ელემენტები, რომლებიც ძალადობის, წამგლეჯაობისა და საზოგადოებრივი წესების დარღვევის გზით მიისწრაფებიან სხვისი შრომის ხელყოფისაკენ, ნეიტრალიზებულ იქნან და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად გახდნენ, გ. შანაევის აზრით, საჭიროა თითოეული მათგანი „...წინასწარ მომზადებულად ჩაბმულ იქნას რომელიმე საბის საწარმოს შრომაში“³.

¹ «Статьи неофициальной части Терских Ведомостей», 1871 г.

² იქვე, იხ. Гуцыр Шанаев «Три дня в ауле».

³ იქვე.

3. შანაევი XIX საუკ. მეორე ნახევრის ოსი ინტელიგენციის იმ მოწინავე ჯგუფს მიეკუთვნება, რომელმაც (ერთ-ერთმა პირველთაგანმა) ამ ეტაპზე სწორად შეაფასა საწარმოო შრომის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის მორალურ აღზრდაში, ახალგაზრდობას მოუწოდა საწარმოო შრომაში, საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობაში მონაწილეობისაკენ, ხოლო მშრომლებს — ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისაკენ, რომელშიაც ნამდვილად შესაძლებელია დაფასდეს როგორც შრომა, ისე, თვით მშრომელი ადამიანები. ოსი მოაზროვნის შეხედულებით, ყოველმხრივ მოწესრიგებულ მომავალ საზოგადოებაშიაც, შესაძლებელია დარჩეს უშრომლობის, სიზარმაცისა და სხვისი შრომის მითვისების ცალკეული შემთხვევები, შრომითი მოვალეობის წუნდებულად შეჩარულების მაგალითები, მაგრამ მომავალ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში ასეთები ცოტანი იქნებიან, რომელთაც მკაცრად გაეცხადეს მშრომელთა წრე, მშრომელი საზოგადოებრიობა.

გ. შანაევის შეხედულებით, ხალხის მასებთან და პრივილეგირებული ფენების შეგნებაში გარდატეხის მოსახდენად, საჭიროა შევასწავლოთ მათ მუშაობა, ვასწავლოთ შრომა.

შანაევის შეხედულებებს შრომის აღმზრდელობითი და საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობის შესახებ მკიდრო იდეური კავშირი აქვს ჩვენს თანადროულობასთან. ოსი მოღვაწე არ ივიწყებს იმას, რომ ადამიანი მთავარი მწარმოებელი ძალაა, რომელიც თავისი ბუნებით და შეგნებით ნაყოფიერი შრომის პროცესში იცვლება.

გ. შანაევი აღდარ-ბადელიაქთა პრივილეგიური ფენების შეგნებაში ძირეული გარდატეხის შეტანას, მათ მშრომელ ადამიანებად გარდაქმნას ფიქრობდა იმავე საზოგადოების შიგნით უსაქმურ ადამიანთა მწარმოებლურ (საზოგადოებრივ-სასარგებლო) შრომაში მონაწილეობის გზით, არსებული ექსპლოატატორული წყობილების ევოლუციური გაუმჯობესების ნიადაგზე. კავკასიის მთის ხალხებში სამეურნეო-ტექნიკური ცოდნის შეტანის მიმართულებით ცარიზმის ადგილობრივ მოხელეთა მიერ გადაღმული უმნიშვნელო ნაბიჯები (მაგ. სკოლებთან სამეურნეო განყოფილებების გახსნა, სახელოსნო სასწავლებლების, დაბალი პროფესიონალური სკოლებისა და სპეციალური) მას „ინოვაციური“ მოსაზრებობაზე მთავრობის „დიდი ზრუნვის“ ნაყოფად მიაჩნდა. იგი, ჯერ ერთი, ვერ ამჩნევდა, რომ აღდარ-ბადელიაქთა შეხედულებებსა და, საერთოდ, მასების შეგნებაში ძირეული გარდატეხის შეტანა საზოგადოებრივ-ეკონომიური

¹ «Статьи неофициальной части Терских Ведомостей», 1871 г., № Гущер Шанаев: «Три дня в ауле».

წყობის ძირეულ ცვლილებებზეა დამოკიდებულა; მეორეც, ექსპლოატატორული წყობილების პირობებში, სადაც საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე კერძო საკუთრება ბატონობს და დაკანონებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მასებში შეუძლებელია შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდის პრინციპის ბოლომდე განხორციელება, რადგანაც შრომა ასეთ საზოგადოებაში მოსახლეობის მძიმე ტვირთს წარმოადგენს. რომლის ნაყოფი არამშრომელთა ფუფუნებით ცხოვრებას ხმარდება; მესამეც, სამეურნეო-ტექნიკური ცოდნის შეტანის ყოველგვარი ცდა მთის მოსახლეობაში გამოწვეული იყო არა ამ ხალხებზე მთავრობის „მამობრივი ზრუნვით“, არამედ გაბატონებული კლასების ინტერესებით, რომელსაც თავიანთი წარმოებისათვის კვალიფიციური („თავისუფალი“ პროფესიის) მუშა-ბელი სჭირდებოდა.

გ. შანავეი მზარს უჭერდა მასებში სამეურნეო-ტექნიკური ცოდნის გავრცელებას, სახელოსნო სკოლის საქაველო პროგრამაში საფეიქრო ხელობის შეტანას, რადგანაც მისი აზრით, კავკასიის მთიელებს თავის სამეურნეო ცხოვრებისათვის არაფერს ცოდნა ისე არ სჭირდება, როგორც ფეიქრობის პრაქტიკულად შესწავლა.

„...რომ ჩავეკლათ ბალხის უმრავლესობაში აზნაურულ ჩვევათა შეთვისების სურვილი, თვით ადგილობრივ აზნაურთა ბავშვები უნდა მივიზიდოთ სახელოსნო სკოლებში და ბალხის შვილებთან ერთად ვასწავლოთ ერთი საქმე. ასეთი მოქმედება დაგვეხმარება, ერთის მხრივ, ორივე წოდების ბავშვთა ურთიერთ დაახლოებაში... მეორეს მხრივ, ბალხის მასები, დაინახვენ რა პრივილეგიური ტუზემცების ბავშვებს, მეტი სიხალისით მისცემენ თავიანთ შვილებს სკოლაში“¹, — წერდა იგი.

შრომისა და სწავლების პროცესის შეერთების იდეა, რომელსაც შანავეი ანვითარებდა, საერთო ასპექტში პროგრესულია, მაგრამ უნაკლო არ არის, რამდენადაც სოციალური უთანასწორობის საფუძველზე დამყარებულ საზოგადოებაში მოწინააღმდეგე კლასების ბავშვთა ერთად სწავლება ვერ უზრუნველყოფს ამ კლასებს შორის წინააღმდეგობის დაძლევას და მათ შორის ჰარმონიისა და მეგობრული კავშირის განმტკიცებას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გუციერ შანავეის პედაგოგიურ შეხედულებათა მნიშვნელობა უდიდესია მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის, სწავლების ნაყოფიერ შრომათთან შეერთებისა და ამ ნია-

¹ «Статьи неофициальной части Терских Ведомостей», 1871 г., № Гу-л.ыр Шанаев: «Три дня в ауле».

დაგზე ახალგაზრდობაში საუკეთესო ზნეობრივ თვისებათა განვითარების საქმეში.

ოსეთის პროგრესული ინტელიგენციის რევოლუციურ-დემოკრატიულმა შეხედულებებმა თავის გამოხატულება კპოეის რუსეთის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის პირველ რევოლუციაში იმ მოთხოვნით დასახით, რომელთაც მოძრაობაში ჩაბმული მშრომელი მოსახლეობა შთაფრობის წინაშე აყენებდა.

გონებრივი, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის გარდა, რევოლუციამდელ ოსეთის სკოლებში საკმაოდ მწვავედ იგრძნობოდა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

მართალია, ოსურ ოჯახში ბავშვი პატარობიდანვე სპარტანულ „წესზე“ იღებდა სათანადო წვრთნას, მაგრამ ამგვარ „წესებს“ არ შეეძლო შეეცლა აღზრდის რაციონალური სისტემისა, რომელიც სკოლის უმთავრეს მიზნად მოზარდი თაობის ყოველმხრივ განვითარებას სახავდა.

სპარტანული აღზრდისა და საერთოდ, ბავშვების ფიზიკური წვრთნის ძველი „მეთოდები“ ოსეთის ოჯახური აღზრდის სისტემაში XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისშიაც გრძელდებოდა. მაგრამ შემდეგში, სასკოლო განათლების ნიადაგზე ახალი თაობის ყოველმხრივი განვითარების მოთხოვნებს „ფიზიკური წვრთნის“ ტრადიციული წესები სრულებითაც ვეღარ აკმაყოფილებდა.

1861—64 წწ. საერთო საგნების გვერდით ჩრდ. კავკასიის გიმნაზიებში მსურველთათვის „მუსიკა, გიმნასტიკა და ცეკვა“ (განსაკუთრებული გადასახადით) ისწავლებოდა. 1865—1866 წლებში მასწავლებელთა დემოკრატიული ძალებისა და ხალხის გავლენით ფიზკულტურის გაკვეთილები ჩრდ. კავკასიის ზოგიერთ სკოლებში სასწავლო გეგმის გარეშე იქნა შემოღებული¹.

სამხედრო სამინისტრო კავკასიის ოლქის ჯარების მეთაურისადმი გაგზავნილ მიმართვაში სახელმწიფოს ინტერესებისა და კერძოდ, არმიის საჭიროებისათვის ოლქის სკოლებში სამხედრო-ფიზკულტურული სწავლების კარგად დაყენებას მოითხოვდა. ამისათვის სამხედრო გიმნასტიკის სწავლების საქმის მოსაგვარებლად სკოლებზე სპეციალური ინსტრუქტორებიც კი იქნა მიმაგრებული².

¹ იხ. „Ученые записки“, XXI, 1956, გვ. 114. ფ. ა. აგაპოვის ნარკვევი.

² იქვე, გვ. 115. შტაბ. Центральный Госархив Северо-Осетинской АССР, фонд Военского штаба Терского Кавказского войска. Связка 2, дело № 499, лист 1, 1899.

90-იან წლებში ჩრდ. კავკასიის სკოლების უმეტესობას არ გააჩნდა კეთილმოწყობილი სასპორტო და რბაზები და სპორტული ინვენტარ-მოწყობილობა. ფიზკულტურული და სამწყობრო მეცადინეობის შინაარსიანად ჩატარებისათვის სკოლებს არც სათანადოდ მომზადებული მასწავლებელთა კადრები ჰყავდა.

1902 წლის 15 აგვისტოს ცირკულიარით (№ 21000) განათლების სამინისტრო კავკასიის სასწავლო ოლქს ავალებდა სკოლებში ფიზკულტურის აღზრდის გაუმჯობესებას.

როგორც ცნობილია, ოსეთის სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილებს ურიადნიეები, ჭარისკაცები, ოფიცრები და სხვა ასეთი პირები ატარებდნენ. სკოლებში სამხედრო წვრთნაზე და როზგის დისციპლინაზე დამყარებული ფიზკულტურული სწავლება ხორციელდებოდა. მასწავლებელთა ნაწილი სკოლებში „შევარდენისტული გიმნასტიკის“ შემოღებას მოითხოვდა. რეაქციის აღმავლობის წლებში ამგვარი მოთხოვნები მთავრობის ადგილობრივი ორგანოების მხრივ მხარდაჭერას პოულობდა.

„ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია, — წერდა გაზეთი „ტერსკიე ვედომოსტი“, 1909 წლის 16 ოქტომბერს (№ 120), — როვორ ტარდებოდა გიმნასტიკა ძველი სისტემით. ის იყო უსიცოცხლო. ჰკლავდა ადამიანის სულსა და სხეულს. „შაგისტიკა“ — თავის მიტრიალება მარჯვნივ და მარცხნივ, ნელი ჩაცუტკვა ფეხის წვერებზე, ფეხის აწევა ზევით და ქვევით და სხვა. ყველაფერი ეს უსიცოცხლოთ კეთდებოდა და მოსწავლეებს თავისდაუნებურად მხოლოდ მოწყენილობას ჰკვირდა“¹.

თერგის ოლქის სკოლების დირექცია ცდილობდა ჩრდ. ოსეთის სასწავლებლებში ფართოდ დაენერგა მოსწავლეთა სამხედრო-სამწყობრო მომზადება. სამხედრო-სამწყობრო კლასების შექმნა განზრახული იყო ქ. მოზდოკში, არხონის, არდონის, ზმეიკის სტანიცებში და სხვ. ადგილებში.

მაგრამ სათანადოდ მომზადებული „ინსტრუქტორთა კადრების“ უყოლობის გამო, ეს ღონისძიებაც ვერ გატარდა, რითაც ადგილობრავი მოსახლეობა და მოწინავე მასწავლებლობა კმაყოფილებას ვერ მოთქვამდა.

1903 წელს თერგის ოლქის სამხედრო ხელმძღვანელობისა და სკოლების დირექციის შეთანხმებით შეიქმნა გიმნასტიკისა და სამხედრო სამწყობრო საქმის სასწავლო პროგრამების შემმუშავებელი კომისია, რომელმაც სწავლების წლების მიხედვით სათანადოდ დებუ-

¹ Газ. «Терские Ведомости», 1909 г., № 120.

ლებათა პროექტები და „თეორიული კურსის“ სასწავლო პროგრამები შეადგინა.

სკოლის გარეთ „სალაღობო გართობათა“ მოწყობის ცდებმა ოლქის სკოლებში გასაქანი ვერ ჰპოვა. განათლების სამინისტრო 1911 წლის შემდეგ უფრო აქტიურ ზომებს იღებდა სკოლებში სასპორტო-ფიზკულტურული სწავლებისა და აღზრდის საქმის უკეთ დაყენებისათვის, პერიოდულად აწყობდა ფიზკულტურის მასწავლებელთა გადამამზადებელ კურსებს, სადაც ყურადღების ცენტრში იდგა მსმენელთა მიერ ფიზკულტურული დისციპლინების თეორიული და პრაქტიკული სწავლების მეთოდის საკითხები.

ფიზკულტურის მასწავლებელთა თეორიული მეცადინეობის კურსი ითვალისწინებდა პედაგოგიკის ძირითადი ცნებების შეთვისებას, დიდაქტიკის, სკოლაში ცოდნეობის, პირველდამზარების ჰიგიენისა და დაწყებითი სკოლების სასწავლო საგანთა მეთოდის ცნების ძირითადი საფუძვლების შესწავლას.

პრაქტიკული მეცადინეობის პროგრამა ითვალისწინებდა დაწყებითი სკოლის სასწავლო საგანთა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წყაროების გამოყენების ჩვევების დაუფლებას, საბავშვო თამაშობათა და ფიზიკურ ვარჯიშობათა პრაქტიკულად გაცნობასა და შეთვისებას¹.

სამუშალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა თბილისის კურსებზე ოსეთიდან ორი მასწავლებელი სწავლობდა. 1912 წელს ფიზკულტურის მასწავლებელთა მოსამზადებელ ვლადიკავკაის კურსებს ოსეთის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი უსწრებოდა. კურსების ამოცანას შეადგენდა სამწყობრო საქმის, გიმნასტიკური ვარჯიშობებისა და სიმღერით საბავშვო თამაშობათა ჩატარებისათვის ორივე სქესის მასწავლებელთა მომზადება².

ამგვარ ღონისძიებათა გატარების ცდის მიუხედავად, ფიზიკური აღზრდის საქმე ჩრდ. კავკასიის სკოლებში მაინც დაბალ დონეზე იდგა. სპორტულ-ფიზკულტურული ზელსაწყობიარადები და სასპორტო დარბაზები სკოლებს არ გააჩნდა. ამ საგნის სწავლება ღუნედ და არასაინტერესოდ მიმდინარეობდა.

ოსეთის მოწინავე ინტელიგენცია ფიზიკურ აღზრდას განიხილავდა, როგორც ახალი თაობის ყოველმხრივი აღზრდის შემადგენელ

¹ «Ученые записки», СОГПИ им. К. Л. Хетагурова, т. XXI, вып. II, 1956, гл. 122; Ф. А. Агапов, «Физическое воспитание в учебных заведениях Северной Осетии до Великой Октябрьской Социалистической революции».

² Газ. «Терские Ведомости», 1912 г., № 100.

ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომავალი თაობის ინტელექტუალურ, ზნეობრივ და სულიერ სრულყოფაში, მის სხეულებრივ წრთობასა და ესთეტიკური გრძნობების განვითარებაში.

გ. მშობლიური ენის ადგილი და მნიშვნელობა მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში

მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხი რევოლუციამდელი პერიოდის ოსურ პრესაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა.

როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პედაგოგ-კლასიკოსთა შორის, ისე ოსურ მწერლობასა და სახალხო განათლების დარგშიაც ამ საკითხთან დაკავშირებით მწვავე დავა სწარმოებდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსეთში საკუთარი ანბანის უქონლობის გამო წიგნიერების განვითარება გვიან დაიწყო. ოსური საეკლესიო წიგნების ბეჭდვა ჯერ ძველსლავიანური შრიფტით (გაიოზი), შემდეგ ქართული (ხუცური) ანბანით (იალლუზიძე), ხოლო ბოლოს რუსული ალფაბეტით (შეგარენი) მიმდინარეობდა.

„პურიშევიჩები“ რუსეთის არაველიკორუსი მოსახლეობის (მცხოვრებთა 60%) ენას „ძალღურ ენას“ უწოდებდნენ და რუსულ ენას „ყველასათვის სავალდებულო“ ენად აცხადებდნენ.

ვ. ი. ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა რომელიმე ერისათვის მეორე ეროვნების ენის თავზე მოხვევის ყოველგვარ ცდას და მოითხოვდა ენის პრივილეგიების მაგიერ, ხალხებისათვის მისი შესწავლის სრული თავისუფლების მინიჭებას, იმ ენაზე სწავლას, რომელზედაც ცოდნის შექმნა ყოველ მათგანს ყველაზე მეტად ეადვილებდა.

ლიბერალების წინააღმდეგ, რომლებიც პატარა ერებისა და ტომებისათვის რუსული ენისა და კულტურის შეთვისების უდიდეს როლზე მიუთითებდნენ, ლენინი შენიშნავდა: „...ჩვენ ვიცით, რომ ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიდია და მძლავრი. ჩვენ თქვენზე მეტად გვსურს, რომ რუსეთში მოსახლე უკლებლივ ყველა ერის ჩაგრულ კლასთა შორის დამყარდეს რაც შეიძლება მკიდრო ურთიერთობა და ძმური ერთიანობა. და ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს შეისწავლოს რუსული ენა.

ჩვენ არა გვსურს მხოლოდ ერთი რამ: იძულების ელემენტი. ჩვენ არა გვსურს კეტით ვერეკებოდეთ ვინ-

მეს სამოთხეში... ჩვენ ვფიქრობთ. დიად და მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას ჯოხის შიშით სწავლობდეს ვინმე¹.

ლენინის ამ დებულებიდან ნათელია, რომ იგი ენის სწავლების საკითხში სასტიკად ილაშქრებდა ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ, ხაზგასმით მიუთითებდა რა იმაზე, რომ „არაად მსოფლიოში მარქსისტები (თვით დემოკრატებიც კი) არ უარყოფენ დედაენაზე სწავლებას“².

თუ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები და პედაგოგიკის კლასიკოსები სწავლების დედაენაზე მოწყობას საბაზო სკოლისა და აღზრდა-განათლების წარმატების საფუძვლად აღიარებდნენ, წინააღმდეგ ამისა, რუსეთის საზოგადოების ერთ ნაწილში იყვნენ „მოაზროვნეები“, რომლებიც უცხო ტომთა ენის დამცირებით ცდილობდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ პირველი იარაღის დაჩლუნგებას და ეროვნული კულტურის ჩახშობას.

„...დედაენა იყო სოციალური და ეკონომიური პრობლემების კვანძი. დედაენის შევიწროება მიზნად იწახებოდა ხალხის შევიწროებას ნივთიერად და პოლიტიკურად, მისი სასიცოცხლო ძალების პარალიზებას“³.

რუსიფიკაციის პოლიტიკით ცარიზმი ნიადავს აცლიდა თავისი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების გზაზე ახლად ფეხადგმულ ოს ხალხს, რომელიც ის-ის იყო ეროვნული მწერლობის, საბაზო სკოლისა და ცოდნის აღორძინების დასაწყის სტადიაში იმყოფებოდა.

მეფის მოხელენი ილაშქრებდნენ არა მარტო კავკასიის იმ ეროვნულ ენებზე სწავლების წინააღმდეგ, რომელთა ენა და დამწერლობა ახლად ფეხადგმული იყო (ოსები, აფხაზები და სხვ.), არამედ იმათ წინააღმდეგაც (მაგ. ქართველების, სომხებისა და სხვ.), რომელთაც მრავალსაუკუნოვანი კულტურა, მწერლობა და მდიდარი სალიტერატურო ენა ამშვენებდათ. ამიტომაც, მთავრობის პოლიტიკანები თავიანთ მახვილს სწორედ დედაენის წინააღმდეგ მიმართავენ და ყოველი ხერხით ცდილობდნენ კავკასიის „ინოროდცულ“ სკოლებში აღეკვეთათ მშობლიური ენა.

ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენცია ადგილობრივი პრესა წინ ეღობებოდა სკოლებში სწავლების ანტიპედაგოგიური მეთოდების

¹ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ. სახელგამო, თბ., 1957, გვ. 203—204 (ხაზგასმა ჩვენი).

² იქვე, გვ. 221.

³ უშანგი ობოლაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში, I, 1961, გვ. 37.

გამოყენებას და მტკიცედ შოითხოვდა პედაგოგიური პროცესის დედაენაზე დამყარებას.

ურუმიმაგოვის აზრით: „საფუძველი ოსური სახალხო სკოლებისა უნდა იყოს ოსური ენა, რომელზედაც სასკოლო პროგრამების მიხედვით, იწარმოებს საგნების სწავლება“¹. ანალოგიურ თვალსაზრისზე იდგნენ ოსეთის სხვა მოწინავე პედაგოგები, პროგრესული მწერლობისა და სახალხო განათლების რევოლუციურად განწყობილი მოღვაწენი, რომლებიც მთელი თავიანთი ძალებით აღსდგნენ ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ. ისე, როგორც ყველა სხვა ხალხი, ოსი ხალხიც თავის ეროვნულ თვითმყოფობას, მის კულტურას ასაზრდოებდა თავისი დედაენით, რომელშიაც ვლინდება ამ ხალხის ტრადიციები, მისწრაფებანი, მომავლის იდეალები, სულიერი მზარეები; მიზნები და იმედები. ცხადია, კავკასიისა და რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებთან ერთად, ოსი ხალხი ყველა საშუალებას (მიტინგებზე და პრესაში გამოსვლა, მთავრობისათვის პეტიციების წარდგენა, გაფიცვები, დემონსტრაციები) ზიმართავდა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების, დედაენაზე სწავლა-განათლების მოწყობის, ხალხურობის, საკუთარი ენისა და თავისი ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის.

მშობლიური ენის გადარჩენის, მისი სიწმინდის დაცვის, დედაენაზე მწერლობის შექმნისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის გაშლილი ბრძოლა, რომელმაც 1905—1907 წლების პერიოდში მწვავე ხასიათი მიიღო I რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. მშობლიურ ენაზე სწავლების პედაგოგიური მნიშვნელობის მეცნიერული პოპულარიზაციის მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა ოსური გაზეთი „ნოგ ცარდ“, რომელიც 1907 წლის მარტში (№ 2) „საკუთარი ენის“ შესახებ ბევრ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა. გაზეთის აზრით, პირველ რიგში საჭიროა საკუთარი ენის ცოდნა, რომ ამ გზით ადამიანს გაუადვილდეს სხვა ენების შესწავლა და სხვა ერის ადამიანთა ცხოვრების, იდეალების, აზრებისა და მისწრაფებების გაგება. „ბავშვმა თუ დაბადებიდანვე მშობლიური ენა შეითვისა, სხვა ენებსაც უკეთ ითვისებს, ვინაიდან, რაც მან იცის. ახალ გაგებულს იმას უდარებს და კარგად იმახსოვრებს“².

გაზ. „თერგის“ 1907 წლის № 61-ში გამოქვეყნდა წერილი, რომლის პასუხად, იმავე წლის გაზეთ „ნოგ ცარდის“ 27 მაისის ნომერში დაბეჭდილია „ქიზელის“ სტატია, რომელშიაც ავტორმა მიერ რე-

¹ ურნ. „უტრო გორ“, 1910 წ., გვ. 45—46.

² გაზ. „ნოგ ცარდ“, 1907 წ., № 2, გვ. 2—3.

ლიტერატურადაა ხაზგასმული მშობლიური ენის დიდი შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობაში. მშობლიური ენა უდიდესი სიმდიდრეა ადამიანისათვის. ის, ვინც ხალხის ფაჩენიდან — წიგნისა და სკოლის გაჩენამდე ასწავლიდა ხალხს და საუკუნეების მანძილზე ასწავლის მას, ეს დიდი სწავლული და მასწავლებელი — მშობლიური ენაა. იგი სარკეა ადამიანთა ცხოვრებისა, რომელშიაც ყველაფერი აისახება. ამიტომაც მიაჩნია ავტორს, რომ სწავლება ყოველ სკოლაში დედაენაზე უნდა იქნას დამყარებული¹.

ავტორი სავსებით სამართლიანად ილაშქრებს რუსული ენის სწავლებლაში ე. წ. „ბუნებრივი მეთოდის“ შემოღებისა და „მუნჯური მეთოდის“ გამოყენების წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, „მუნჯური მეთოდით“ რუსული ენის გაკვეთილის ჩატარების მეცნიერული კრიტიკა მოცემულია ი. გოგებაშვილის ცნობილ ნარკვევში „რაზბორ უჩებნიზ რუკოვოდსტვ“², რომელმაც იმ დროისათვის არა მარტო ქართველი საზოგადოებრიობის, არამედ რუსეთისა და კავკასიის მოწინავე ინტელიგენციის ყურადღება მიიქცია. ოსური ურნალ-გაზეთებიც აქტიურად გამოეხმაურა დიდი ქართველი პედაგოგის წერილებს, რომელმაც ხელი შეუწყო ოსი ხალხის საუკეთესო ძალების დარაზმვას სკოლებში მშობლიური ენის განმტკიცების, სწავლების სწორ დიდაქტიკურ პრინციპებზე აგებისა და ჩრდ. კავკასიის სკოლებიდან სწავლების ანტიპედაგოგიური მეთოდების განდევნისათვის. ოსეთის ინტელიგენცია და ოსური პრესა შემოქმედებითად იყენებდა ქართული პედაგოგიის კლასიკოსთა მეცნიერულ ანალიზზე დამყარებულ დასკვნებს ყოველგვარ ანტიპედაგოგიურ შეზღუდვებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ოსური სკოლების უნაყოფობის მიზეზს, გაზეთი „ნოვ ცარდ“ ერთი მხრივ, უდღეაენო სწავლებაში, ხოლო, მეორე მხრივ, კარგი ოსური სახელმძღვანელოების უქონლობაში ხედავდა. იგი სწორად შენიშნავდა, რომ ბავშვს, რომელმაც ჯერ ოსურადაც არ იცის ლაპარაკი და სიტყვებს ვერ იგებს, როგორც კი სკოლის კარებს შეაღებს, დედის ენაზე კი არ ელაპარაკებიან, კი არ ეაღერებიან, არამედ მასთან მკაცრად იწყებენ რუსულად ლაპარაკს. ასე ფიქრობენ, თითქოსდა, ცოდნა თავში მხოლოდ რუსული სიტყვებით შედის. ეს თუ ასეა, მაშინ თვითონ რუსები რატომღა სწავლობენ?

გაზეთი „ნოვ ცარდ“ სახალხო სკოლების ზემოაღნიშნულ ნაკ-

¹ გაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 22.

² ი ა კ ბ გ ა გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თბზ., ტ. 8, 1861, გვ. 140.

ლოვანებათა დასაძლევად მასწავლებლებს შემდეგი მოწოდებით მიმართავს: „ჩვენი მასწავლებლებო! მტერი თავის მტერს ყოველთვის ჰკლავს, მაგრამ თქვენ ჩვენები ხართ და ნუ იქნებით ჩვენი მტრის მომხრენი. შეგიძლიათ დაწყებით კლასებში ოსურ ენაზე ასწავლოთ ჩვენს ბავშვებს. შეგიძლიათ ყველგან გამოიყენოთ გოგებაშვილის ქებული საბელმძღვანელო, გამოიწეროთ იგი და იმით ასწავლოთ რუსული ენა. გოგებაშვილმა წელს შესწორებით გამოსცა თავისი წიგნი... იცოდეთ, ოსების სული და გული თქვენს ხელშია. მივალწვეთ რაიმეს, თუ დავიღუპებით, ეს მხოლოდ თქვენით იქნება...“¹.

ამ „მოწოდების“ შემოკლებული ამონაწერიც ცხადყოფს, რომ ოსური პრესა მშობლიური ენის სწავლებას სახალხო სკოლებში, ბავშვთა შემეცნებით-ინტელექტუალური და მორალური განვითარების თვალსაზრისით პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, ხოლო გოგებაშვილის „რუსსკოე ზლოვოს“ ოსური სასწავლებლები-სათვის რუსული ენის შესწავლის მთავარ წყაროდ აცხადებდა. ეს უეჭველს ზღის იმ ფაქტს, რომ ოსეთ-საქართველოს პედაგოგიურ-საგანმანათლებლო ურთიერთობა ამ პერიოდში კიდევ უფრო მტკიცდებოდა, რაც ოსეთის საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე კეთილმოყოფელ გავლენას ახდენდა.

ოსური ჟურნალ-გაზეთები ადგილობრივ მოსახლეობაში ეწვეიან მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მოწყობის, ეროვნული კულტურის განვითარების, ოსური მწერლობისა და წიგნიერების გავრცელების საქმეების პროპაგანდას.

ყოველკვირეული ოსური ჟურნალი „აფსირ“ სარედაქციო წერილში ხაზგასმით მიუთითებდა ოსური დამწერლობისა და წიგნიერების განვითარების უდიდეს მნიშვნელობაზე ეროვნული კულტურის წინსვლაში. სარედაქციო წერილი მოუწოდებს ოს ინტელიგენციას, უფრო მეტად იზრუნონ ეროვნულ ენაზე წიგნიერების გავრცელების, მართლწერისა და მართლმეტყველების ნორმების შემუშავებისა და მისი დაცვისათვის.

ოსური ჟურნალი „ბური ტინ“ 1912 წლის პირველი ნომრის სარედაქციო წერილში კვლავ მწვავედ აყენებდა მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხს და მტკიცედ მოითხოვდა ოსურ სკოლებში დედანის საფუძველზე სწავლების მოწყობას.

ჟურნალის მიხედვით, არ არსებობს ისეთი ზალბი, — ვინც თავისი ენა უარყო, სხვისი ენა მიიღო და ვინც მასზე წინ მიდის ან მიდიო-

¹ გაზ. „ნოვ ცარდ“, 1907 წ., № 40. სარედაქციო სტატია (ხაზგასმა ჩვენია).

და ოდესმე. ყველა ზალს აქვს თავისი გონება, აზრი, ზნე-ჩვეულებანი, სარწმუნოება. ამიტომაც არის, რომ სხვადასხვანაირად მიდიან ისინი ცოდნის, ძმობის, თავისუფლებისა და ცხოვრების გზაზე. ინგლისელი იმით მიაყობს, რომ ინგლისელია. იგი, წინ მიდის თავის ენაზე, თავისი გზით. აქ იქცევა ფრანგი, გერმანელი, რუსი... ასე იქცევიან პატარა ზალბებიც: ქართველები, სომხები და სხვები. სტატიის მთავარი მახვილი მიმართულია იქითკენ, რომ აუხსნას ოს ზალს მშობლიურ ენაზე სწავლების მოწყობის უპირატესობა, სხვა ქვეყნებისა და ზალბების მაგალითზე აჩვენოს მას, რომ ეროვნული კულტურის, ძმობის, თავისუფლებისა და კეთილდღეობის განვითარების გზაზე ოსი ზალბის წინსვლა, უპირატესად, საკუთარი ენის შენარჩუნება-გამდიდრებაზე და ამ ნიადაგზე სასკოლო მუშაობის სწორად აგებაზეა დამოკიდებული. სწავლის ნაყოფი და სიკეთე მით უფრო მეტად გაიზრდება, რაც უფრო დიდი და მცირერიცხოვანი ზალბები იაზროვნებენ თავიანთ მშობლიურ ენაზე¹.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ენაზე სწავლების მოწყობის იდეა არც იყო და არც არის რაღაც განკერძოებული და სხვა მტკივნეული სასკოლო საკითხებისაგან იზოლირებული. ოსეთის რევოლუციური ინტელიგენცია, დემოკრატი მწერლები, პუბლიცისტები, მასწავლებლები და მოსწავლე ახალგაზრდობა კმაყოფილდებოდა არა მარტო დედაენის სწავლების შემოღებით სკოლებში, არამედ მოითხოვდნენ სასკოლო სისტემის დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნას, განათლების საქმის რაციონალურ პედაგოგიურ საფუძველზე მოწყობას, სწავლების შინაარსის (სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების) საზოგადოების ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად შეცვლას და პრაქტიკული ცხოვრებისათვის უფრო შეგნებული, მკოდნე და ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის მომზადებას.

ოსურ ქურნალ-გაზეთებში სკოლისა და სწავლა-განათლების საკითხებზე ფამოქვეყნებული წერილების მთავარი იგები — სახალხო სკოლების გარდაქმნის, მშობლიური ენის საფუძველზე სწავლების აგებისა და სახალხო განათლების სისტემის ძირეული რეორგანიზაციისაკენაა მიმართული. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს მაინც ემჩნევა რეაქციის გავლენის კვალი, „მოკრძალებული ტონი“ და რევოლუციური შემმართველობის ერთგვარი შენელება. მშრომელთა ინტერესებისათვის საჭირო იყო არა „რეორგანიზაცია“, არამედ მთელი ძველი სახელმწიფოებრივი შექანიზმის

¹ ქურნ. „ხური ტინ“, 1912 წ., № 1, გვ. 19—20.

შეცვლა, ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარება, რომელიც უზრუნველყოფდა სახალხო განათლების დარგში ძირეული (რევოლუციური) ტასიათის ცვლილებათა განხორციელებას.

პროლეტარული რევოლუციისათვის „...საჭიროა“ მასების ხანგრძლივი აღზრდა იმ აზრით, რომ მათ უაღრესად გადაჭრით, თანმიმდევრულად, გაბედულად, რევოლუციურად დაიცვან ველიკორუსების მიერ დაჩაგრული ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება“¹.

ცარიზმის ადგილობრივი მოხელენი და მათი მესვეურები ყოველგვარი მეცნიერული არგუმენტაციის გარეშე უარყოფდნენ მშობლიური ენის მნიშვნელობას მოსწავლეთა გონებრივი, სულიერი და ფიზიკური ძალების სრულყოფაში და ყველა ამ ფუნქციის შესრულებას რუსულ ენას აკისრებდნენ. ისინი ივიწყებდნენ იმ ფაქტს, რომ, როგორი პატარაც არ უნდა იყოს ერი, მის ენას, კულტურას, მწიგნობრობას, სკოლას და ეროვნულ თავისებურებებს, როგორც დიდი მდინარის პატარა შენაკადს, გარკვეული წვლილი შეაქვს საერთო-საკაცობრიო კულტურის საგანძურში.

ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე თავის საინტერესო პოლემიკურ სტატიამი: „წერილი გიორგი მუხრან ბატონთან“, ჰერ კიდეც 1914 წელს მიუთითებდა, რომ დიდი სახელმწიფოს კულტურული ენა არ გულისხმობს პატარა ერების ენების მოსპობას. მისი აზრით, არიან მცირე ხალხები (მაგალითად, ქართველები, სომხები და სხვ.) თავიანთი მწერლობის, ისტორიისა და კულტურის მქონენი და არიან უმწერლობო და საკუთარი ანბანის არმქონებიც (აფხაზები, ოსები და სხვ.), მაგრამ „...მავნებელი იქნება რომ ენები მცირე ხალხისათვის სულ განქარდეს და დიდი ხალხების დარჩეს“². ამრიგად, თუ მთავრობის მოხელეები ადგილობრივი ენების მოსპობას და სკოლებიდან მათ უკუგდებდნენ ლამობდნენ, წინააღმდეგ ამისა, უშინსკები, ჭავჭავაძეები, გოგებაშვილები, ხეთაგუროვები, გასიევეები, ურუშიმაგოვები, ქიქოძეები და ხალხის სხვა მოწინავე შვილები თავგამოდებით იცავდნენ მცირე ეროვნებათა ენებზე სწავლების უფლებას და ამით ნიადაგს ამზადებდნენ ამ ხალხების დემოკრატიულ კულტურათა განვითარებისა და მათ შორის სასკოლო-საგანმანათლებლო და პედაგოგიურ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის.

ე. წ. „პატარა ერის“ ენის რაობისა და მისი მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით გ. ქიქოძე სწორად შენიშნავდა, რომ „ხალ-

¹ ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, სახელგამი, 1957, გვ. 227.

² ურნ. „განათლება“, 1914 წ., IV, გვ. 280.

ხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა; მაშასადამე, ისიც საჭირო არის ადამიანის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისათვის, რომლის ენას მცირე ხალხები მიიღებს, არის სასურველი. მცირე ხალხი რომ შეერთდება დიდ ხალხთან, რამე მცირე მანძილს საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე, როგორც რომ კარგ მუშა, მშრომელ ოჯახს ეშვილოს უღონო, ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მისცემს, გარდა იმისა, რომ ოჯახის ნაოფლარ პურს შესჭამს“¹.

აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ეროვნული ენების შევიწროების, დაკნინების, დაუსტებისა და უკუგდების ყოველგვარი ცდა ინტიგონიკრული, ანტიპედაგოგიური და ანტიხალხურია, რისთვისაც მშობლიური ენის მტრებს ხალხი მუდამ შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდა.

რელიგიური მრწამსისა და მიზანდასახულების მოუხედავად, ოსური ეურნალი „ჩირისტონ ცარდ“ („ქრისტიანული ცხოვრება“) ადგილობრივ მოსახლეობას დედაენის სიწმინდის დაცვისა და სწავლებაში მისი გამოყენებისაკენ მოუწოდებდა.

სტატიაში („ოსური ენა“) წერილის ავტორი მშობლიურ ენას მოსწავლეთა პატრიოტულ აღზრდაში უდიდეს როლს ანიჭებდა. მისი შეხედულებით, ხალხები ერთმანეთისაგან თავიანთი ენით და ზნეჩვეულებით განსხვავდებიან. ვინც საკუთარი ენის სიწმინდეს და წინაპართა საუკეთესო ზნეჩვეულებებს იცავს, ის ყოველთვის წინსვლას განიცდის, „რომ ენა და წინაპართა ზნე-ჩვეულება არ დაჰკარგოთ, ამისათვის საჭიროა წიგნი და სწავლება თავის მშობლიურ ენაზე“².

ოსური პრესის აზრით, ხალხს, რაც მეტი წიგნი ექნება მშობლიურ ენაზე, იგი მუდამ წინ იღვრება სხვა ხალხებს შორის, ასეთი ხალხი უფრო ძლიერი და სახელოვანი გახდება.

ოსურ ენაზე სწავლების შემოღების დადებითი მნიშვნელობის დასაბუთების ცდებს სხვა ოსურ ეურნალ-გაზეთებშიაც ვხვდებით. 1917 წლის 14 ოქტომბერს „ირონ გაზეტ“ („ოსური გაზეთი“) ზაზგასმით მიუთითებდა ოსური მართლწერის, მართლმეტყველების ნორმების დაცვის გადაუდებელი საჭიროებისა და სკოლებში დედაენაზე სწავლების შემოღების აუცილებლობის შესახებ³.

¹ ეურნ. „განათლება, 1914 წ., IV, გვ. 290.

² ეურნ. „ჩირისტონ ცარდ“, 1916 წ., № 6, გვ. 122—131.

³ „ირონ გაზეტ“, 1917 წ., № 24, იხ. ს. მამიტოვის სტატია.

მშობლიურ ენაზე სკოლის მოწყობის საკითხი ზშირად ზღებოდა. ოს მშრომელთა საერთო კრებების მსჯელობის საგნად. 1918 წლის 13 იანვარს „ირონ გაზეტ“ (№ 1) იუწყება 1917 წლის 15 დეკემბერს ჩატარებული „კრების შესახებ სამხრეთ ოსეთში“, რომელსაც ჩრდ. ოსეთის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ¹. კრებამ განიხილა ეროვნულ ნიადაგზე სკოლის მოწყობის საკითხი და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. ანალოგიური კრებები ჩატარდა ქ. მოზდოკში, რომელმაც დაადგინა: „ყველა ხალხს თავის დედაენაზე უნდა ჰქონდეს სკოლაო“². მაშასადამე, სკოლის ეროვნულ ნიადაგზე მოწყობა, დედაენაზე სწავლების შემოღება, სწავლა-განათლების დემოკრატიზაცია ხალხის საბრძოლო იდეალს წარმოადგენდა, რაც მაშინდელს ოსურს პრესაში შესაფერ გამოხატულებას პოულობდა.

მუშათა კლასის ინტერესებისათვის მებრძოლი, გამოჩენილი ოსი მოღვაწე ცომაყ გადიევი (1883—1931) „ირონ გაზეტის“ 1917 წლის 14 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში („სახალხო განათლების შესახებ“) ოსი ინტელიგენციის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად სახაზავდა კავკასიის მთის ხალხებში სწავლა-განათლების გავრცელებას.

მისი შეხედულებით, როგორც საბრძოლო იარაღია საჭირო ამ ამღვრეულ ეპოქაში, ისევე აუცილებელია სწავლა-განათლება, რადგან მტერზე გამარჯვება მხოლოდ ცოდნით შეიძლება. ცხოვრების უკეთეს პირობებს აღამიანი გონებით ქმნის, მომავლის აღამიანი ცხოვრებაში ჭკუით, გონებით და სწავლით გაიმარჯვებს.

ქალაქებში მცხოვრებ სწავლულ ახალგაზრდობას ც. გადიევი მოუწოდებდა უფრო ზშირ-ზშირად ენახათ სოფლები, განემარტათ ადგილობრივი მშრომელებისათვის ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკის ამბები³.

ამრიგად, ოსი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები, ეკონომიური ჩაკერისა და ეროვნული შევიწროებისაგან ადგილობრივი მოსახლეობის განთავისუფლებისათვის ხალხის მოძრაობას უკავშირებდნენ ბრძოლას სახალხო განათლების ძირეულად გარდაქმნის, სკოლის ნამდვილი დემოკრატიზაციისა და მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებისათვის, რასაც მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ოსური პრესა ადგილობრივ ინტელიგენციას სისტემატურად მოუწოდებდა მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნისა და წიგ-

¹ „ირონ გაზეტ“, 1918 წ., № 1 (33).

² იქვე, № 5 [37].

³ „ირონ გაზეტ“, 1917 წ., № 25, გვ. 1—2. იხ. ცომაყ გადიევის სტატია-

ნიერების გავრცელებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისაკენ. ჯერ კიდევ 1915 წელს ოსური ჟურნ. „ჩირისტონ ცარდ“, აღფრთოვანებით შეეგება ოსურ ენაზე წიგნების გამოსვლას, მაგრამ, ამასთან ერთად, მიუთითა სახელმძღვანელოებში დაშვებულ ენობრივ შეცდომებსა და უზუსტობებზე, რომელიც შემდეგში თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული.

სტატიის ავტორის შეხედულებით, როდესაც პიროვნება წერას იწყებს, ზოგჯერ ამა თუ იმ სიტყვის მართლწერაზე ფიქრობს, მაგრამ ოსურ ენაზე არ მოიპოვება ისეთი წიგნი, რომლის გამოყენებითაც ადამიანს შეეძლოს შეცდომის თავიდან აცილება. წერილის ავტორი მცოდნე ოსებისაგან მოითხოვს იმუშაონ ოსური ენის ორთოგრაფიის საფუძვლების შექმნაზე, რომ ამით კიდევ უფრო შეუწყონ ხელი მშობლიური ენის ნორმების დაცვას და ოსური მეტყველების კულტურის ამაღლებას¹.

„ირონ გაზეტი“ 1917 წლის 26 მაისის ნომერში ოსურ ენაზე სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, გამოთქმულია მოსაზრება ოსური შრიფტის გაუმჯობესებისა და წიგნების უფრო კულტურულად, მხატვრულად, ლამაზად და სრულყოფილად გამოცემის საჭიროებაზე².

იგივე გაზეთი, ეწება რა ძაუჭიკაუსა და არდონის სკოლების მასწავლებელთა კრების დადგენილებას (მშობლიური ენის შემოღებასთან დაკავშირებით), იმ აზრს იცავს, რომ პირველ 2 წელს სახალხო სკოლებში სწავლება დედაენაზე მოეწყოს, ხოლო შემდეგ კლასებშიც გავრძელდეს მისი სწავლება. გაზეთის აზრით, ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილება და მშვენიერი აზრია, მაგრამ არ არის ოსური წიგნები, რის გამოც გაძნელდება მშობლიური ენის სწავლება³.

ოსურ ენაზე დაბეჭდილ წიგნების სიაში დასახელებულია ალმასხიტ კანუკოვის „ოსური ანბანი“, მამიევის — „პირველდაწყებითი სახელმძღვანელო“, აგრეთვე სხვა ავტორთა მიერ შედგენილი (ნათარგმნი და ორიგინალური) დამხმარე წიგნები („ოთხი დღე ბრძოლის ველზე“ — თარგმანი პ. გათიკოევისა, „ოსური მოტივები“ — გ. ცაგოლოვისა, „ბუღბული“ — ცაცკო ამბალოვისა, „შეუხედავი იზვის წიწილა“ — თარგმანი პ. ყარაევისა, მისივე თარგმანი: „ვარსკვლავი“, „ქავილა“ — ექიმ ვ. ყულიაევისა და სხვები)⁴, რაც იმის უდაო საბუთია, რომ ოსი ხალხი დაადგა თავისი ეროვნული კულტურის,

¹ ჟურნ. „ჩირისტონ ცარდ“, 1915 წ., № 3, გვ. 143.

² გაზ. „ირონ გაზეტი“, 1917 წ., № 5, გვ. 1.

³ იქვე.

⁴ იქვე, № 9, შდრ. ჟურნ. „ჩირისტონ ცარდ“, 1915, № 3, გვ. 148—149.

მწერლობისა და სკოლის დემოკრატიულ ნიადაგზე განვითარების გზას. ყოველივე ეს მოსახლეობას უნერგავდა რწმენას, რომ მათი ბრძოლა უახლოეს მომავალში მშრომელებს სათანადო ნაყოფს მოუტანდა.

დ. რუსული ენის სწავლებისა და რუსულ კულტურასთან ურთიერთობის საკითხები

ცარიზმი, კავკასიის კოლონიზაციასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის დენაციონალიზაციის პოლიტიკას ანზორციელებდა. ექსპლოატირებული მასები 1905 წელს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ აღსდგნენ, რომლებმაც, თვითმპყრობელობის დამხობასთან ერთად, სახალხო განათლების ახალი სისტემის განხორციელება მოითხოვეს. ამ მოთხოვნებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დედაენის უფლებებში აღდგენას, მშობლიურ ენაზე უფასო სწავლების შემოღებას, სკოლის ეროვნულ ნიადაგზე აგებას და სწავლების დემოკრატიზაციის გატარებას. 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში ხალხის ეს მოთხოვნები, რომლებიც მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნილებებთან მჭიდრო კავშირში იყო, თავისი შინაარსით და მიზანდასახულობით ეროვნულ ჩარჩოებს სცილდებოდა და ინტერნაციონალურ ხასიათს იღებდა. ამით იგი მკაცრად ემიჯნებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონცეფციას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის რევოლუციური მოძრაობის არსს და მიზანდასახულობას „მშობლიურ ენაზე“ სწავლების შემოღების მოთხოვნით განსაზღვრავდა. ოსეთის მშრომელი ხალხი და დემოკრატიული ინტელიგენცია მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღების, დედა ენის უფლებებში აღდგენისა და სკოლის დემოკრატიზაციის მოთხოვნით არა თუ არ ემიჯნებოდა დიდ რუსეთს, მის რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებს, არამედ ეროვნული კულტურის განვითარების, ხალხის პოლიტიკური განთავისუფლებისა და ეკონომიური ცხოვრების აღორძინების იმედს, სწორედ მათს მხარდაჭერასა და ხელმძღვანელობაზე ამყარებდა.

ოსეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ინტელიგენციის სულის ჩამდგმელები მშრომელ მასებში მოწინავე რუსული კულტურის, მეცნიერების, რუსული ენისა და მწერლობის გაუფასურების პროპაგანდას ეწეოდნენ, მაშინ, როდესაც ოსეთის დემოკრატიული ინტელიგენცია რუსულ კულტურას ადგილობრივი ენისა და ეროვნული კულტურის განვითარების მთავარ წყაროდ აღიარებდა. რუსული ენის სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობის მეცნიერულ-პედაგოგი-

ურ დასაბუთებას ოსეთში საინტერესო წერილები მიუძღვნეს კ. ლ. ხეთაგუროვმა, ა. გასიევმა, ხ. ურუიმაგოვმა და სხვებმა.

ხეთაგუროვს რუსული ენის საფუძვლიანი შეთვისებისა და რუსული მწერლობის გაცნობა-შესწავლის გარეშე ეროვნული კულტურის, ენისა და მწერლობის აღორძინება განუხორციელებელ ოცნებად მიაჩნდა.

ა. გასიევის აზრით, ადგილობრივი ენის საფუძველზე რუსული ენის სწავლება „ტუზემცებს“ გაუადვილებს მოწინავე რუსეთის მდიდარი ენის საფუძვლიან შეთვისებას, ხოლო „...ცოდნა რუსული ენისა მას გზას გაუხსნის თავის დიდ სამშობლოსთან (ე. ი. რუსეთთან) სულიერი შეერთებისათვის, —მისცემს საშუალებას ისარგებლოს რუსული კულტურისა და, ამასთან, ევროპული კულტურის სიკეთით“¹.

ანალოგიურ შეხედულებებს ანვითარებდა ხ. ურუიმაგოვი, რომელიც დედაენის ნიადაგზე რუსული ენის შესწავლას მოსწავლეთა ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული განვითარების მთავარ პირობად აცხადებდა.

ოსური პრესა და პედაგოგიური აზრი, სასწავლო დისციპლინებს შორის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული ენის სწავლებას (დაფუძნებულს დედაენის საფუძველზე), როგორც ეფექტურ საშუალებას, მოსწავლეთა მიერ ამ საგნის შეგნებულად შეთვისებისა და ბავშვთა ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივი გაშლისათვის.

გაზ. „ნოვ ცარდ“ სწორად შენიშნავს, რომ ბევრნი თავიანთ ბავშვებს რუსულად ასწავლიან და მაინც, აღსაზრდელებს წლების მანძილზე არ ესმით რუსული ენა. ასე სძულდებათ მოსწავლეებს, როგორც საგანი, ისე თვით სკოლაც. ბავშვები სკოლაში ხალისით უნდა დადიოდნენ, მათ ახალი ამბები და გულით სავსე სიტყვები უნდა მოჰქონდეთ სკოლიდან. გაზეთის აზრით, ეს მაშინ მოხდება, როდესაც ოსურ სკოლაში, პირველ რიგში, შესწავლილ იქნება ოსური სიმღერები („მრავალყამიერ“), ნართების ზღაპრები, კოსტას „ირონ ფანდირი“ და ოსურ ნიადაგზე მოეწყობა სხვა საგნების სწავლება².

აქაც ის აზრია გატარებული, რომ რუსული ენის სწავლება შესაბამისი საგნების მშობლიური მასალის მტკიცე ნიადაგზე უნდა იქნას დამყარებული. ბავშვები, პირველ წელს, ყველა საგანს ოსურ ენაზე უნდა სწავლობდნენ იმ აზრით, რომ ადვილად და სწრაფად დაეუფ-

¹ Газ. «Тифлиссский вестник», 1876 წ., № 23.

² იქვე.

ლონ ჰწორ კითხვას და მართლმეტყველებას. ამის შემდეგ, მოსწავლეებს გაუადვილებათ რუსული კითხვის შესწავლა, რადგანაც ასოების ერთგვარობა ამის საშუალებას იძლევა¹.

ოსი ხალხი და ადგილობრივი პროგრესული ინტელიგენცია მოითხოვდა არა რუსული ენის უკუგდებას სასწავლო ფეგმიდან და მხოლოდ მშობლიური ენით შემოფარგვლას, არამედ რუსული ენის სწავლების საფუძვლად ადგილობრივ მკვიდრთა დედაენის გამოყენებას, როგორც რაციონალურ საშუალებას, რუსეთის მოწინავე კულტურისა და მდიდარი რუსული ენის შეგნებულად შეთვისებისათვის.

ოსეთის მოწინავე ინტელიგენცია ადგილობრივ ჰკოლებში ვერ ეგუებოდა არა რუსულ ენას და რუსულ კულტურას, არამედ სახალხო განათლების რუსიფიკატორულ პოლიტიკას, კოლონიზაციის გეზს, ეროვნულ და კლასობრივ ჩაგვრას, ძალდატანებისა და დამცირების ზომებს, რომელსაც ცარიზმი თვალთმაქცურად, პატრიოტული „მოტივით“ განაპირა ქვეყნების „პატარა ხალხების“ მიმართ იყენებდა.

მეფის თვითმპყრობელობა ნაკლებ ანგარიშს უწევდა იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში იწვევდა ერების ურთიერთ დაახლოებას, ხელს უწყობდა ადამიანთა სწრაფ ადგილგადანაცვლებას, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელეს, განქრობებულებისა და ეროვნული კარჩაკეტილობის რღვევას, რაც თავის მხრივ მოქალაქეებს ბიძგს აძლევდა თავისი სურვილით შეესწავლათ ის ენა, რომელიც მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვ. ი. ლენინი წერდა: „...ძალდატანება (ჯონი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს: იგი დააბრკოლებს დიდი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია, — გაამწვავებს მტრობას, შექმნის ათასგვარ ახალ უთანხმოებას, გააძლიერებს შუღლს, ურთიერთგაუგებრობას და სხვ.“²

ლენინის ეს წინასწარგანჭვრეტა რბიექტურად ასახავს რევოლუციამდელ პერიოდში რუსული ენის მიმართ სხვადასხვა ეროვნებათა ხალხების განწყობილებას და ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკისადმი მათ დამოკიდებულებას. როგორც ზემოთ ითქვა, ოსები არა თუ წინააღმდეგნი არ იყვნენ რუსული ენის შესწავლისა, არამედ ყოველმხრივ ცდილობდნენ, თავიანთი შვილებისათვის მიეცათ რუსული ენის ცოდნა. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებო-

¹ Газ. «Тифлиссский вестник», 1876 წ., № 23.

² ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, თბ., 1957, გვ. 204.

და „ხელოვნურ რუსიფიკაციას“, რომელსაც ცარიზმი „ტუზემცებში“ მათრახის ძალით ანხორციელებდა.

ესეც აშკარა საბუთია იმისა, რომ კავკასიის ერებში, სადაც თვით-მპყრობელობის ერთგული მსახურები ძალდატანებით ნერგავდნენ რუსულ ენას, მოძალადეებისა და რუსული ენის სწავლების უკულ-მართი მეთოდების წინააღმდეგ ხალხის საბრძოლო განწყობილება თანდათანობით იზრდებოდა, რაც ბუნებრივად ერწყმოდა მასების საერთო მოძრაობას, რომლის მიზანს ცარიზმის დამხობა და მშრომელთა ხელისუფლების დამყარება შეადგენდა.

VI. სახალხო განათლების დემოკრატიული სისტემისათვის ბრძოლა ოსეთში ცარიზმის დამხობიდან საბჭოთა წუოგილების დამყარებამდე (1017—1021)

მეფის ძალაუფლების დამხობის შემდეგ (1917 წ. თებერვალი) კავკასიის ე. წ. „სოციალისტური პარტიები“ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, მეფის თვით-მპყრობელობის პოლიტიკას ანხორციელებდა.

„...ცარიზმის მთელი ცენტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი ნაციონალურ რაიონებში სრულიად ხელუხლებლად იქნა დატოვებული. სახელმწიფო ენას წინანდებურად რუსული ენა წარმოადგენდა. სახელმწიფო სკოლადაც რუსული სკოლა რჩებოდა“¹.

ბურჟუაზიულ-მემამულური დროებითი მთავრობის სათავეში მენშევიკების, ესერებისა და სხვა თბორტუნისტული პარტიების ჩადგომას, შედეგად არა თუ არ მოჰყოლია ეროვნული ჩაგვრის მოსპობა და მშრომელთა ეკონომიურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ პირიქით, „...ნაციონალური ჩაგვრის ძველი, უხეში ფორმა შეიცვალა ახალი, მოქნილი, მავრამ ჩაგვრის უფრო საშიში ფორმით“.

კავკასიის ყველა კუთხისა და მათ შორის ოსეთის მშრომელი მოსახლეობა თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ მისი განთავისუფლება და კულტურული წინსვლა შეუძლებელია ადგილობრივი ნაციონალური ბურჟუაზიის დამხობისა და თვით მშრომელი მასების მიერ ხელისუფლების ხელში აღების გარეშე.

„კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ რეაქციონური „პროგრამის“ მესვეურები, განთავისუფლების, სკოლისა და სწავლა-განათლების მაგიერ, ოსეთის მშრომელებს სისხლიანი ზოცვა-ქლევით, სას-

¹ სამოქალაქო ისტორია სსრ კავშირში, გვ. 208.

წავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ნგრევით, საპატრიოტობითა და სახარჩობელებით უმასპინძლდებოდნენ¹.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ოსი ხალხი, რუსეთისა და კავკასიის მთელ მშრომელ მასებთან ერთად, განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ნაციონალისტურ-შოვინისტური საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ. თვითგამორკვევის მინიჭების, სკოლების გახსნისა და სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგების ნაცვლად, მენშევიკური მთავრობა აჯანყებულ ოსებს „გადასახლებით“ ემუქრებოდა.

თებერვლის რევოლუციას ოსი ხალხის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მოუხდენია. 1916—1917 სასწავლო წელი გვიან დაიწყო. მეცადინეობა სკოლებში არანორმალურად მიმდინარეობდა². ზოგიერთი არაოფიციალური მონაცემებით, ოქტომბრის რევოლუციამდელ ჩრდ. ოსეთში სულ 131 სკოლა იყო. აქედან — 124 დაწყებითი და 7 — საშუალო. ამ სკოლებში 14 576 მოსწავლე სწავლობდა. მოსწავლეთა ამ კონტინგენტიდან დაწყებითი სკოლები 11 194 ბავშვს აერთიანებდა, საშუალო კი — 3382 მოსწავლეს. 84 დაწყებითი და 1 საშუალო სკოლა (6550 მოსწავლით) ოსთა სოფლებს ემსახურებოდა, ხოლო 46 სკოლა — ქ. ძაუჯიკაუს (ეხლანდელი ქ. ორჯონიკიძე) მოსახლეობას. ქალაქის სკოლების ამ რიცხვში შედიოდა: დაწყებითი სკოლა — 40, პროგინაზია — 1, რეალური სასწავლებელი — 2, ქალთა გიმნაზია — 2 და ვაჟთა, გიმნაზია — 1. ჩამოთვლილ სკოლებში 8020 მოსწავლე სწავლობდა. მოსწავლეთა ამ შემადგენლობიდან დაწყებით-სასწავლებლებში ირიცხებოდა 4766 მოსწავლე, ხოლო საშუალო სკოლებში — 3254. ამ სასწავლებელთა გარდა ძაუჯიკაუში არსებობდა მასწავლებელთა ინსტიტუტი, კაზაკთა სამხედრო სამასწავლებლო სემინარია, საგზაო ტექნიკური სასწავლებელი, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სასწავლებელი და ქალთა ეპარქიალური სკოლა.

სამხრეთ ოსეთში მეფის თვითმპყრობელობის დროს დაარსებული საეკლესიო-სამრევლო და სამინისტრო სკოლების ნაწილი განადგურდა. ორივე უწყების 32 სკოლის ნაცვლად 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდელ პერიოდში სკოლათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო მოსწავლეთა შემადგენლობა 1415-დან ორი მესამედით განითესა³. აუტანელი ეკონომიური მდგომარეობისა და

1 ს. ბერიძე, 1917—1921 წლები საქართველოში, 1941, გვ. 244.

2 X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, Орджоникидзе, С. О. изд., 1958, გვ. 23.

³ საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 18, საქმე № 311, ფურც. 121.

სიღარიბის გამო სხვა მშრომელებთან ერთად მასწავლებლებიც შიმშილობდნენ. 1916—1917 წელს საეკლესიო ხელმძღვანელობამ საღვთო სჯულის მასწავლებლებს ხელფასი 100%-ით გაუდიდა. სხვები კი ისევ მათხოვრულ პირობებში დარჩა, რის გამოც საქმის მცოდნე მუშაკები სკოლებს გაუბრუნდნენ. უპატრონოდ მიტოვებული სასკოლო შენობები დანგრეულ-გაძარცული იყო. ოქტომბრის რევოლუციამდელ სამხრეთ ოსეთში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 5%-საც ძლივს აღწევდა. ოლქში 28 დაწყებითი სკოლა იყო, რომელიც ჭაღალდზე 1812 ბავშვს აერთიანებდა, მაგრამ სინამდვილეში მესამედიც არ სწავლობდა¹.

ამგვარი მდგომარეობა მოსახლეობაში ღრმა უკმაყოფილებას იწვევდა. მოწინავე ინტელიგენცია სასკოლო სისტემაში საფუძვლიან გარდაქმნებს მოითხოვდა.

1917 წლის 15 ივნისს ქ. ვლადიკავკავში შეიკრიბა დროებითი მთავრობის ადგ. ორგანოების სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის დელეგატების I ყრილობა, რომელიც ვლადიკავკავის ოლქის კომისრის ხელმძღვანელობით გაიხსნა. ყრილობას ოსეთის ბურჟუაზიულ-რეაქციული ინტელიგენციის მსხვილი მოღვაწე ვაპო ბაევი თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდა 81 დეპუტატი. გარდა საანგარიშო მოხსენებისა (ვლადიკავკავის ოლქის სამოქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის შესახებ) ყრილობაზე მოსმენილ იქნა მ. გარდანოვის მოხსენება, რომელიც სამხრეთ და ჩრდ. ოსეთის სკოლების გაერთიანებას მოითხოვდა. მოხსენების საფუძველზე ყრილობამ მიიღო დადგენილება: „...დაუყოვნებლივ გატარდეს დაბალი სკოლების ნაციონალიზაცია, ხოლო საშუალო და უმაღლესი სკოლების ნაციონალიზაცია განხორციელდეს თანდათანობით, შენაძლებლობის მიხედვით“. საჭიროდ იქნა ცნობილი ერთიანი სკოლის ტიპის შექმნა სამი საფეხურის მიხედვით.

ყრილობის დადგენილებით გადაწყდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის სკოლების ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანება. როგორც მართვის, ისე სასკოლო პროგრამების მხრივაც. ყრილობამ ამ საკითხის დაწვრილებითი შესწავლა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მასწავლებელთა და საზოგადო მოღვაწეთა სპეციალურ კომისიას მიანდო, რომელსაც დაავალა „გაერთიანების გეგმის“ ყოველმხრივი დამუშავება. ამავე დროს, საკითხის საბოლოოდ განხილვისათ-

¹ დ. ბ ე კ ე ე ვ ი, სახალხო განათლება სამხრეთ ოსეთში (იხ. კრებული „სახალხო განათლება და პედაგოგიკის მეცნიერებანი საქოთა საქართუელოში“, 1962 წ., გვ. 155).

ვის ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გადაცემა მასწავლებელთა I ყრილობისათვის.

ყრილობის ამავე სხდომაზე რუსული ენის სწავლება სკოლის ყველა საფეხურზე სავალდებულოდ იქნა მიჩნეული¹.

ცნობილია, რომ რევოლუციური მარქსიზმი უარყოფს, როგორც ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფას, ისე, რომელიმე ენის სავალდებულო სახელმწიფო ენად გამოცხადების ტრადიციულ მოთხოვნას. ჰერ კიდევ 1913 წელს რუსულ სკოლაში მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობის საკითხის გარკვევისას, ლენინი მტკიცედ აცხადებდა, რომ „ჩვენ ფრიად გადაჭრით უნდა გავილაშქროთ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით ყოველგვარი დაყოფის წინააღმდეგ“². სასკოლო საქმის ეროვნული ნიშნების მიხედვით დაყოფა და სახელმწიფოს ხელიდან კულტურული საქმიანობის ცალკე ჩამოყალიბებულ „ნაციონალურ კავშირებზე“ გადაცემა ნიშნავდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, კლერიკალიზმისა და შოვინიზმის ქადაგებას, რაც ერების გათიშვის, მუშათა კლასის ინტერნაციონალური კავშირის შესუსტებისა და მათი ძალების დაქსაქსევა-დაჩლუნგებისაკენ იყო მიმართული. ამიტომაც, რუსეთის პროლეტარიატი და რევოლუციური სოციალ-დემოკრატია სასკოლო საქმის ამგვარი დანაწილების წინააღმდეგ იბრძოდა.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება უარყოფს „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ ყალბ თეორიას და მისი განხორციელების ნაირსახოვან პროექტებს, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კლასობრივი გაერთიანების იდეას, მშრომელთა ინტერნაციონალურ დარაზმულობას, ხელს უწყობს მშრომელ მოსახლეობაში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეების გავლენის გაძლიერებას. წინააღმდეგ ამისა „ინტერნაციონალური კულტურა, რომელსაც უკვე ახლა სისტემატურად ქმნის ყველა ქვეყნის პროლეტარიატი, ითვისებს არა „ნაციონალურ კულტურას“ (ამა თუ იმ ნაციონალური კოლექტივისას) მთლიანად, არამედ ყოველი ნაციონალური კულტურიდან იღებს მხოლოდ და მხოლოდ მის თანმიმდევრულად დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს“³. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ოსი მოსახლეობის გაერთიანება ნაციონალურად ერთიან კავშირში, რომელიც თავის ნაციონალურ საქმეებს „საცვებით ავტონომიურად წყვეტს“, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ლოზუნ-

¹ Ист. архив СОНИИ, фонд № 171, дело № 53, გვ. 1—4.

² ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, სახელგამი, თბ., 1957, გვ. 181.

³ იქვე, გვ. 169.

გის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია, რომელსაც ოსეთის ორივე მხარის მთავრობის ორგანოების წარმომადგენელთა I ყრილობა ქადაგებდა.

ლენინის გამოთქმით რომ ვთქვათ: „ყოველი ნაციონალური კულტურისათვის“ განსაკუთრებული ეროვნული სკოლების მოთხოვნის ქადაგება რეაქციულია. მაგრამ, ნამდვილი დემოკრატიის პირობებში სავსებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სწავლების ინტერესები მშობლიურ ენაზე, მშობლიური ისტორიისა და სხვა ეროვნებათა მიხედვით სკოლების დაუყოფლად“¹.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მთავრობის ადგილობრივი ორგანოების დელეგატთა I ყრილობის დადგენილება რუსული ენის სავალდებულო სასწავლო საგნად გამოცხადების შესახებ, როგორც სახელმწიფო ენისა, ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის, ენათა სრული თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას, რომელიც უარყოფს აგრეთვე „სასკოლო საქმის ერებისათვის გადაცემას“, ეროვნებათა მიხედვით, სასკოლო საქმის დაყოფას“².

ოსეთის წარმომადგენელთა პირველი ყრილობა ამგვარი „დადგენილებებით“ მასებში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სულისკვეთების გავლევებას ცდილობდა.

ყრილობამ განიხილა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის საეკლესიო საქმეთა გაერთიანების საკითხიც. ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა დადგენილება ოსეთის ორივე მხარის სამრევლო გაერთიანების წიადაგზე დამოუკიდებელი ეპარქიის შექმნის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა „...ოსების რელიგიოზურ-ზნეობრივი ცხოვრების გაუმჯობესებას“³.

ყრილობამ საჭიროდ სცნო ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, მაგრამ უგულვებელჰყო და გვერდი აუარა ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ყოველთაზე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ თერგის ოლქის დროებითი ხელისუფლება რელიგიისა და ხუცობის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის“ თეორიის წიადაგზე, ახალი „ეპარქიის“ შეკოწიწებას ცდილობდა, რომლის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ოსეთის მშრომელი მოსახლეობისა და მოზარდი თაობის რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდა.

¹ ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957, გვ. 182.

² იქვე, გვ. 186.

³ Ист. Архив СОНИИ, фонд № 171, дело № 57, гв. 7.

ყრილობამ გარკვეული ღონისძიებანი დასახა ოსეთში გავრცელებულ მანე ზნე-ჩვეულებათა (ყალიმი, ქელუხი, სისხლის აღება და სხვ.) წინააღმდეგ, რაც მოსახლეობას უდიდეს მატერიალურ ზარალს და სულიერ ტანჯვას აყენებდა. გარდა ამისა, ყრილობამ ზაზგასმით მიუთითა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთში ხალხის მასების პოლიტიკური აღზრდის დაბალ დონეზე და საჭიროდ მიიჩნია მასების პოლიტიკური შეგნების ამაღლება. ყრილობა ოსეთის ინტელიგენციას მოუწოდებდა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვენ სოფლად მოსახლეობაში საჭირო პროპაგანდის გასაწევად¹.

მართალია, მასობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარებას, ოსი ინტელიგენციის მიერ ადგილობრივ მოსახლეობაში გაშლილ საპროპაგანდო-აღმზრდელობით მუშაობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მასების პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებისა და ტრადიციულ (მანე) ადათ-ჩვეულებათა დაძლევის საქმეში, მაგრამ ყრილობის მესვეურებს მხედველობიდან „გამორჩათ“ ყველაზე არსებითი და ძირითადი, სახელდობრ, ამ მაზინჯ სოციალურ მოვლენათა წარმომშობი მიზეზების მოსპობა, რის გარეშეც ადამიანთა ყოფაქცევაში, მათ შეგნებაში, ფსიქოლოგიასა და მორალურ მხარეში სასურველი ცვლილებების გამოწვევა შეუძლებელია. პირველ რიგში საჭირო იყო ბაზისის შეცვლა, საზოგადოების ეკონომიურ წყობაში რადიკალური ცვლილებების შეტანა, რომ ამას ზედნაშენურ კატეგორიებში შესაბამისი ცვლილებები გამოეწვია და ხელი შეეწყო ოსი მოსახლეობის ზნეობრივი და პოლიტიკური შეგნების ამაღლებისათვის.

ყრილობის გარკვეული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ჰან ერთგვარი ყურადღება მიაპყრო მასწავლებელთა კადრების მომზადებას, დააყენა საკითხი ოსეთში სამასწავლებლო სემინარიის, სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის გახსნის შესახებ, ინტელიგენციის ყურადღება მიაქცია მოსახლეობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაშლას. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის დელეგატების I ყრილობის გადაწყვეტილებებმა, მისმა მოწოდებებმა და დადგენილებებმა გარკვეული ასახვა ჰპოვეს სრულიად ოსეთის მასწავლებელთა I ყრილობის მუშაობაში.

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 171, дело № 57, გვ. 12.

ა. სრულიად ოსეთის მასწავლებელთა პირველი ყრილობა

ოსეთის სკოლისა და პედაგოგიკის ისტორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „სრულიად ოსეთის მასწავლებელთა I ყრილობა“, რომელიც 1917 წლის თებერვლის ბურჯუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ (ამავე წლის 10—16 ივნისს) შეიკრიბა და სასკოლო საკითხებზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიიღო. ყრილობა მოიწვია „საინიციატივო ჯგუფმა“, რომელიც (ცნობილ პედაგოგის ხ. ურუიმაგოვის ხელმძღვანელობით) 11 კაცისაგან შედგებოდა.

„საინიციატივო ჯგუფის“ მიერ ყრილობის წინა პერიოდში ოსეთის ორივე მხარის მასწავლებლებისადმი რუსულ და ოსურ ენებზე გამოქვეყნებულ იქნა მიმართვა, რომელიც სკოლის მუშაკებს მოუწოდებდა:

„ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მოქალაქე მასწავლებლებო! დადგა დრო ახალი, უკეთესი ცხოვრების მშენებლობისა. უდიდესი სასოებით და იმედით შემოგაყურებთ თქვენ, მშობლიური მხარე, ჩვენი ბეჩავე ხალხი და კიდევ უფრო მეტად — დანგრეული მშობლიური სახალხო სკოლა.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ უკანასკნელში ყველაფერი შოწესრიგებული არაა, ბევრი რამ კეთილმოუწყობელია, რომ კურსდამთავრებულებს ის აძლევს ძლიერ ცოტას.

თქვენთვის ცნობილია აგრეთვე, რომ დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობა განათლებას არ აგრძელებს და ჩქარა ივიწყებს თითქმის ყველაფერს, რაც სწავლის წლებში შეუძენია. თქვენთვის, ალბათ, არც ისაა უცნობი, დამატებით რამდენი შრომა და ენერჯია უნდა დახარჯონ კურსდამთავრებულებმა, რომ შეცნიერებაში ისევე მოიპოვონ წარმატება, როგორც ასწრებენ უფრო კეთილმოწყობილი სახალხო სკოლის კურსდამთავრებულები.

ეს მდგომარეობა აიხსნება... ჩვენი დაწყებითი სკოლების პროგრამების არასრულყოფილობით, იმათი არასაკმაო მომზადებით, ვინც მათ ასწავლის.

აქამდე, როგორც ჩვენი სკოლების ნაკლოვანებათა მიზეზს, ჩვენ ბრალს ვდებდით საქულველ ძველ რეჟიმს, რომელიც არ იძლეოდა ინიციატივის გამოჩენის საშუალებას სკოლის განახლების საქმეში. ახლა ამ მიმართულებით არავითარი დაბრკოლება არ გვხვდება. დროა მიუთითოთ ჩვენს ხალხს სუსტ, მტკივნეულ ადგილებზე და მოუშუშოთ წყეული წარსულის მიერ მიყენებული ძველი იარები, რომ ნათ-

ლად გამოვამყდავნოთ ჩვენი ეროვნული ფიზიონომია კულტურულ ხალხებს შორის“...¹

ამ მოწოდების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან სახალხო სკოლის მტკივნეული საკითხების კურსში შეიყვანა კავკასიის ორივე მხარის ოსი მასწავლებლობა და ხელი შეუწყო მათ დარაზმვას მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მომწიფებელი პრობლემების გადასაწყვეტად.

სრულიად ოსეთის მასწავლებელთა პირველი ყრილობა 1917 წლის 10 ივნისს გაიხსნა. ყრილობას 80-მდე დელეგატი დაესწრო, მათ შორის—სამხრეთ ოსეთიდან ორი კაცი². სწავლა-აღზრდის ბევრ აქტუალური საკითხი გაჩნდა ყრილობის დელეგატთა მსჯელობის საგნად.

ამგვარ საკითხთა რიგს მიეკუთვნება:

1. კრიტიკული განხილვა სასწავლო პროგრამებისა ოსურ დაწყებით სკოლაში: ა) სასწავლო საგნები; ბ) ცალკეული საგნების მოცულობა და შინაარსი; გ) მათი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა; დ) სწავლებისა და აღზრდის მეთოდები.

2. დაბალი ოსური სკოლების სასურველი ტიპი: ა) სასწავლო საგნები; ბ) ცალკეული საგნების მოცულობა და შინაარსი; გ) მათი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა; დ) სწავლებისა და აღზრდის მეთოდები.

3. დაბალი სკოლების მასწავლებელთა მომზადება: ა) ოლღას სახელობის ქალთა თავმჯდომარისა და არდონის სასულიერო სემინარიის გარდაქმნა; ბ) ახალი პედაგოგიური სასწავლებლისა და კურსების გახსნა; გ) პედაგოგიური ყრილობები, მუზეუმები, ჟურნალები და ბიბლიოთეკები.

4. მოცულობა და შინაარსი ოსეთმცოდნეობის კურსისა დაბალ; საშუალო და პედაგოგიურ სასწავლებლებში: ა) ოსური ენა; ბ) ოსური დამწერლობა და სიტყვიერება; გ) ოსი ხალხის ისტორია; დ) ოსეთის გეოგრაფია; ე) ეთნოგრაფია; ვ) არქეოლოგია; ზ) საადათო სამართალი.

5. კრიტიკული განხილვა სახელმძღვანელოებისა და საკითხავდ

¹ Исторический архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, გვ. 1.

² ყრილობაზე დელეგატთა მცირე რიცხვის გამოცხადების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო 1917 წლის 5—6 ივნისს ელადიკავკავში მომხდარი შრომელთა გამოსვლები, რომელთა წინააღმდეგ მთავრობის მიერ მიღებული რეპრესიების შედეგად, ყრილობის მუშაობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. შეოარეს მხრივ, ქვეყნის შიგნით დიდი „არეულობისა“ და ეკონომიური სილატაკის გაძლიერების გამო, ყრილობის მონაწილეთა თავმოყრა გარკვეულ სიძნელეებს აწყდებოდა.

წიგნებისა ოსურ და რუსულ ენებზე: ა) საანბანო წიგნები; ბ) ანბანის შემდგომ საკითხავი წიგნები; გ) გრამატიკის სახელმძღვანელოები; დ) ლექსიკონები; ე) ბელეტრისტიკა და მეცნიერული შინაარსის წიგნები; ვ) თვალსაჩინო ხელსაწყოები.

6. ერთიანი გრაფიკის დაწესება.

7. ერთიანი ორთოგრაფიის დადგენა.

8. სკოლამდელი და სკოლისშემდგომი აღზრდა. და განათლება: ა) საბავშვო ბაღები; ბ) მოედნები; გ) თხრობის საათები; დ) ბიბლიოთეკები; ე) კურსები მოზრდილთათვის; ვ) კითხვა; ზ) ლექციები; თ) სახალხო სახლები; ი) თეატრები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები; კ) ექსკურსიები.

9. გახსნა ახალი დაბალი და საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისა კავკასიისმცოდნეობით და ოსეთმცოდნეობის კათედრით;

10. ოსური სკოლების მმართველობა;

11. საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები¹.

ყრილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმაში მდგომარეობს, რომ მან მკაცრად დაკგმო სწავლების ძველი სისტემა, საქვეყნოდ აშხილა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში გაბატონებული დოგმატურ-რელიგიური აღზრდის რეაქციული არაი, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ზუთხვისა და დრესირების ტრადიციული ფორმები, ხოლო ძველ სკოლას უწოდა „უსულო ჩინოვნიკების სამქედლო“, რომელიც ახალგაზრდობას მთავრობის ყურმოჭრილ მოხელეებად ამზადებდა.

ყრილობამ ოსურ სკოლებში სწავლების საფუძვლად აღიარა დედანა, რომელზედაც სწავლება უნდა მოწყობილიყო ოფიციალური პროგრამების მიხედვით². მიუხედავად ამისა, დედანის სწავლებასთან დაკავშირებით ყრილობის დადგენილების განმარტებითი მუხლი, რომელმაც მშობლიურ ენად გამოაცხადა — ირონელებისათვის ირონული ენა, დიგორელებისათვის კი — დიგორული³, ჩვენის აზრით უკან გადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება, რამდენადაც იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების, სრულყოფისა და ზრდის პროცესში მყოფი ოსური ენის დაქსაქსვის, მისი დანაწილებისა და დასუსტებისაკენ

¹ X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, Орджоникидзе, С. О. изд., 1958, გვ. 22—23.

² Ист. архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, გვ. 2. შდრ. ხ. ჩერჯიევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

³ იქვე, საარქივო ფონდი № 170, საქმე 57, გვ. 2, შდრ. ხ. ჩერჯიევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

იყო მიმართული. ერთიანი ოსური ენის ჩამოყალიბების, ამ ენაზე ლიტერატურის შექმნისა და სწავლების საფუძვლად მისი გადაქცევის მაგიერ, ყრილობის დადგენილების ეს მუხლი ოსებს თავიანთ სკოლებში „დიგორულ“ და „ირონულ“ დიალექტებზე სწავლების შემოღებისაკენ მოუწოდებდა, რაც დედაენაზე სწავლების ჯანსაღ პედაგოგიურ მოთხოვნას, ოსური ენის ბუნებრივი განვითარების გზას და მის სამწერლობო სრულყოფას შეფერხების საშიშროებას უქმნიდა.

ყრილობის დადებით ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ სასწავლო დისციპლინათა ამ ნომენკლატურის შეესება-გაფართოება ისეთი საკირო საგნებით, როგორცაა სიმღერა, გიმნასტიკა და ხელგარჯილობა. ყრილობამ აღნიშნა რუსული ენის განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსეთთან ოსეთის კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში და შოთხოვა ოსურ სახალხო სკოლებში ამ საგნის სწავლების შესაფერ დონეზე დაყენება, მეორეს მხრივ, უარყოფილ იქნა საღვთო სჯულის სავალდებულო სასწავლო საგანთა წრეში დატოვების პროექტი და გადაწყდა მისი ფაკულტატურ საგნად შემოღება, რაც ამ ყრილობის ლიბერალურ ნაბიჯს წარმოადგენს და ბურჟუაზიასთან მისი შემარბებლური დამოკიდებულებით აიხსნება.

სასწავლო საგნების მოცულობის, საგნების შინაარსისა და საერთო-საგანმანათლებლო მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით ყრილობაზე ცხარე მსჯელობის საგანს წარმოადგენდა: ა) საზოგადოებრივი აღზრდის; ბ) შრომითი აღზრდის და გ) „ოსურ ტრადიციებზე“ აღზრდის საკითხები. ყრილობამ სამართლიანად უარყო „ოსურ ტრადიციებზე აღზრდა“, როგორც დრომოკმული ადამ-ჩვევებისაკენ უკან დაბრუნების ცდა და ოსურ სახალხო სკოლებს ძირითად მიზნად დაუსაბა ბავშვის პიროვნების თავისუფალი განვითარება, მისი სულიერი და ფიზიკური ძალების ჰარმონიული სრულყოფა აღსაზრდელთა მომზადება ცხოვრების სპეციფიკურ პირობებში არსებობისათვის საბრძოლველად, გონებრივ და ფიზიკურ შრომაში მონაწილეობის მისაღებად; ბავშვებს აღზრდა საზოგადოებრივი სულისკვეთებით, საერთოდ მთელი კაცობრიობისა და, კერძოდ, თავისი ხალხის სიყვარულით გამსჭვალულ, ერის ერთგულ და თავდადებულ მოქალაქეებად¹.

ურუმიგაგოვის „პროექტის“ მიზნდევით, ოსურ დაწყებით სკოლას, რომელიც მოსწავლეებს ცოდნის დასრულებულ კურსს მისცემდა, მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა სკოლის შემდგომ საფეხურთან იმ

¹ Ист. архив СВОНИИ, фонд № 170, дело 57, зв. 2. შდრ. ხ. ჩ ერ ე ი ე ვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

ვარაუდით, რომ ბავშვებს თავისუფლად შეძლებოდათ მომდევნო საფეხურზე სწავლის დაუბრკოლებლად გაგრძელება. ამგვარი მუხლი დებულებისა გულისხმობდა განათლების ძველი სისტემის რგოლებს შორის არსებული ტრადიციული წინააღმდეგობის დაძლევას და ზოგადასაგანმანათლებლო სკოლის საერთო ჯაჭვში ცალკეულ საფეხურებს შორის თანმიმდევრობისა და ურთიერთკავშირის განმტკიცებას.

ყრილობამ ოსური დაწყებითი სკოლა დააწესა ექვსწლიანი სწავლების კურსით, ხოლო 1 კლასში მისაღებ ასაკად — 7 წელი. მაქსიმალური ასაკი არ ყოფილა განსაზღვრული. კლასში ჩასარიცხთა კონტინგენტი 30—40 ბავშვით განისაზღვრებოდა. თითოეულ ასეთ კლასს უნდა ჰყოლოდა თითო მასწავლებელი, რომელიც პედაგოგიური მოსაზრებით თავის კლასს ბოლომდე გაჰყვებოდა. ყრილობამ დაწყებითი სკოლა შერეული ტიპის სკოლად გამოაცხადა. სწავლების ასეთი ორგანიზაცია პროგრესული იყო და შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, რომელსაც ჩრდ. კავკასიის მშრომელი მოსახლეობა I და II ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში აყენებდა.

ყრილობის დადგენილებებში გამოხატულება ჰპოვეს ცოდნის შეფასების ნიშნების უგულვებელყოფის ანტიპედაგოგიურმა ტენდენციებმა, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების დადგომის მცდარმა შეხედულებებმა.

ამ გადაწყვეტილებით „...ახალ ოსურ სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც გამოცდებს, არც ჩილოებს, არც სასჯელებს და არც არავითარ მოწმობებს ნიშნებით... მოწმობა ან იარლიყი, მოსწავლის მიერ ამა თუ იმ სკოლის კურსის გავლის შესახებ — აი მთელი დოკუმენტი, რაც ეძლევა მოსწავლე-მოქალაქეს სკოლიდან ცხოვრებაში გამოსვლისას“¹.

ყრილობაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განხილულ იქნა ოსური ენის ერთიანი გრაფიკის შემოღება-დაწესების საკითხი, რომელმაც დიდი დავა გამოიწვია. საკითხი სათანადო შესწავლისათვის ყრილობის მიერ გამოყოფილ კომისიას გადაეცა.

ყრილობამ ოსური ანბანის ყველა სახეთა შორის, დედაენის ბუნებრივ თავისებურებათა ნოუანსების გამომხატვისათვის, ყველაზე სრულყოფილ ანბანად რუსულ გრაფიკზე შედგენილი ანბანი მიიჩნია.

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, зб. 3—4. сб. «Протокол заседаний Всесоветинского Учительского съезда, происходившего в г. Владикавказе 10—16 июня 1917 года».

ოსური ანბანის საკითხი კავკასიურ პრესაში ხშირად მწვავე დავის საგანს წარმოადგენდა. ზოგიერთები ოსური ანბანის საფუძვლად ქართული შრიფტის შემოღებას მოითხოვდა, ზოგიერთები კი რუსულს ან ძველ სლავიანურს. ზოგიერთი მოღვაწე კავკასიელი ხალხებისათვის ერთი საერთო—კავკასიური ანბანის შექმნის იდეას ქადაგებდა, რომლის ჩამოყალიბებაზე აგებდა ამ ერთა შორის საერთო კულტურული მუშაობის გაშლის იმედსა და პერსპექტივებს. ურნალი „კვალი“ ჯერ კიდევ 1895 წელს (№ 17, გვ. 3—5) „კავკასიური ანბანის შესახებ“ გამოქვეყნებულ წერილში ქართულ ენას კავკასიური ფესვის ენებში საკუთარი ანბანისა და მწერლობის მქონე ერთადერთ ენად აღიარებდა, რომელსაც ოდითგანვე „თავისად“ თვლიდნენ კავკასიის მთიელი ხალხები. „კავკასიის სხვადასხვა მთიელნი, რომლებთანაც ისტორიულ წარსულში რამე კავშირი ჰქონია ქართველობას.... თვლიდნენ ქართულ ანბანს, ქართულ წერა-კითხვას თავისად“¹.

სტატიის ავტორს ქართული ენა და ქართული კულტურა მიაჩნდა მთავარ ფაქტორად, რომელიც კავკასიის ხალხებს თავის ირგვლივ იკრებდა და ამჟღავნებდა. სტატიის მიხედვით, რაც არ უნდა სუსტად იყოს გამოკვლეული კავკასიურ ენათა ურთიერთდამოკიდებულება „...მიანიც საფიქრებელია, რომ ყველა ისინი მონათესავენი არიან და ვერც ერთი დღევანდელი ალფავიტი ისე კარგად და დაახლოებით ვერ გამოხატავს ხოლმე კავკასიურ ენაზე სხვადასხვა ბგერებს, როგორც ქართული“².

შემოადინიშნულ მოსაზრებათა დასაბუთებისათვის ავტორი იმოწმებს სახელოვან ფილოლოგს გ. როზენს, რომელმაც XIX საუკუნის 40-იან წლებში კავკასიის მთიელთა (მაგ. ოსების, აფხაზების და სხვ.) ანბანის შედგენისას ქართული შრიფტი გამოიყენა³.

ავტორი მკაცრად აკრიტიკებს კავკასიოლოგ პ. უსლარს, რომელიც ქართულ ანბანს ერთ-ერთ ყველაზე უსრულეს ანბანად აღიარებს, მაგრამ კავკასიური ენებისათვის, ნაცვლად ქართულისა, მოითხოვს რუსული ანბანის გამოყენებას.

დასახელებული წერილის ძირითად აზრს წარმოადგენს ის, რომ მცოდნე პირთაგან შემდგარმა კომისიამ იზრუნოს ისეთი ანბანის შედგენისათვის, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველა კავკასიურ

¹ ურნალი „კვალი“, 1895 წ., № 17, გვ. 3.

² იქვე.

³ იხ. როზენის, *Ossetische sprachlere Hets einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abshasische*, 83.

ენებზე ტექსტების ჩაწერისა და კავკასიურ-მთიულურ ენათა ყველა ბგერის სრულყოფილად გამოხატვისათვის. ამისათვის გამოყენებული იქნეს ყველა ძველი და ახალი ქართული ასოები¹.

კავკასიის ხალხთა კულტურული ერთობისა და ენათა ნათესაობის საკითხს ბევრი უცხოელიც არკვევდა. გერმანელი მეცნიერი ადოლფ დირი 1922 წელს (ქ. იენაში) თავისი „კავკასიური ზღაპრების“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში გარკვევით მიუთითებდა, რომ კავკასიაში უამრავი ენა და დიალექტი დასტურდება². მათ შორის შენიშნულია ექვსამდე თათრული კილოკავი, სამი-ოთხი ირანული, ოსური, სომხური, ბერძნული და სხვები. ქართულ ენას თავის მონათესავე ენებთან ერთად, ზოგმა სემიტურთან მოუნახა ნათესაობა, ზოგმაც კი ფინიკიურ-მადიარულ ენებთან.

„ასეა თუ ისე, ყველაფერი იმას შიანიშნებს, რომ კავკასია ხალხთა ისტორიის მდინარეებში ერთგვარ კუნძულს წარმოადგენდა; მის ხეობებსა და ველებში შემორჩენილია უამრავი ძველი ხალხის ნაშთები, მათი თქმულებისა და რწმენის, ზნე-ჩვეულებებისა და ენის ნარჩენები. ამით აიხსნება აგრეთვე კავკასიელთა ზეპირსიტყვიერების სიჭრელე. აქ ვხვდებით მსოფლიოში გავრცელებულ ყველა ზღაპარსა და სიუჟეტს“³.

კავკასიის მთისა და ბარის ხალხთა ამგვარი კულტურული სიახლოვე და მათი ენათა წარმოშობის ნათესაური ურთიერთობა ზოგიერთ მოღვაწეში კბადებდა აზრს ამ ხალხთა საერთო-სალაპარაკო ენის და ერთიანი ანბანის შექმნა-ჩამოყალიბების შესაძლებლობის შესახებ. ეს იწვევდა კავკასიურ, რუსულ და უცხოურ პრესაში სხვადასხვა შეხედულებათა გაჩენას, აზრთა კიდილს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი ანბანისა და ეროვნული მწერლობის მქონე ერებსა და უმწერლობო, შედარებით კულტურულად ჩამორჩენილ ერებს შორის (კავშირ-ურთიერთობაში) „ზზარის“ გაჩენის ნიადაგს ქმნიდა.

მიუხედავად ამგვარი შეხედულებებისა, ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, პროგრესული მოაზროვნენი ყოველთვის უარყოფდნენ კავკასიის მთიელებსა და სხვა ხალხებში ქართული ან-

¹ უკრ. „კვალი“, 1895 წ. № 17, გვ. 3—5. პეტრე შარკოვის სტატია: „კავკასიური ანბანის შესახებ“.

² *Kaukasische Märchen, ausgewählt und Übersetzt Von A. Durr, Verlegt bei Eugen Diederichs, Lena. 1922. (Die Märchen der Welt literatur. Herausgegeben von der Friedrich von der Leuen und Paul Zannert (ob. ნოდარ კაკაბაძე, ნოდარ რუხაძე, კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, 1963, გვ. 121—125).*

³ იქვე.

ბანის ხელოვნურად გავრცელების ყოველგვარ ცდას, ცდილობდნენ აქტიური დახმარება გაეწიათ უანბანო და უმწერლობო ერებისათვის საკუთარი ენისა და კულტურის, მწერლობისა და ხალხური შემოქმედების აღმავლობა-განვითარების საქმეში. ქართული ანბანის, ქართული ენისა და კულტურის გავრცელებას ოსურ მოსახლეობაში ხელს უწყობდნენ თვით ოსი მოღვაწეები (ი. იალღუზიძე, გ. ჩოჩიევი და სხვ.), რომლებმაც თავიანთ ოსურ საანბანო სახელმძღვანელოებს და სხვა წიგნებს საფუძვლად ქართული შრიფტი დაუდეს.

ოს ხალხს კარგად ესმოდა კულტურულად შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხებისათვის მდიდარი რუსული ენის, პროგრესული მწერლობისა და მოწინავე რუსული კულტურის კოლოსალური მნიშვნელობა. ამგვარი გაგების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა სრულიად ოსეთის მასწავლებელთა ყრილობის მიერ, ოსური გრაფიკის კომისიის მოხსენების შედეგად მიღებული დადგენილება, რომლითაც:

1. ოსური გრაფიკის საფუძვლად გამოცხადებულ იქნა რუსული ანბანი;

2. სავალდებულოდ და სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნა, რომ შრიფტი აკმაყოფილებდეს სილამაზის, შეთვისებისა და წერის სიადვილის პედაგოგიურ მოთხოვნილებებს.

ოსური ენის ერთიანი ორთოგრაფიის დაწესებასთან დაკავშირებით ყრილობამ მშობლიური ენა ოსური სკოლის ფუნდამენტად აღიარა. ამასთან, ერთიანი ოსური გრაფიკისა და ორთოგრაფიის შემოღება მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად, რის გარეშედაც შეუძლებელია სასკოლო საქმის სათანადო დონეზე დაყვება¹.

სრულიად ოსეთის მასწავლებელთა ყრილობამ განიხილა ოსური საეკლესიო-სამრევლო სკოლების რეორგანიზაციის საკითხი, ოსეთის სასოფლო საზოგადოებათა ხელმძღვანელებს დაავალა ოსური ს ა ე კ ლ ე ს ი ო სკოლების — სამინისტრო სკოლებად გარდაქმნის განხორციელება.

ყრილობის განხილვის საგანს წარმოადგენდა აგრეთვე ხ. ურუი-მაგოვის მოხსენება „ოსური სკოლების მართვის შესახებ“. მოხსენების ძირითად დებულებათა მიხედვით, განახლებულ ოსეთში სკოლების ხელმძღვანელობის სათავეში უნდა იდგეს ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა ს ა ბ ჰ ო, რომლის შემადგენლობაში შევლენ განათლების მინისტრი

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, гв. 5, შდრ. ნ. ს. ჩერეივის დასახელებული ნაშრომი, გვ. 26—27.

და საგუბერნიო ორგანიზაციებისაგან არჩეული პირები. სასწავლებელთა საბჭოს ფუნქციებში შედის სასკოლო და სკოლისგარეშე განათლების საკითხების შესწავლა-გამორკვევის შედეგებზე მთავრობის წინაშე თავისი წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა. სკოლის საქმეს გუბერნიაში განაგებს სასწავლებელთა საბჭო, რომელიც საგუბერნიო გამგეობასთან არსებობს. მაზრაში სასკოლო საქმეებს უნდა განაგებდეს სამაზრო გამგეობა და მასთან არსებული სასწავლებელთა საბჭო, რომელიც „სამაზრო გამგეობის“ წევრთა გარკვეული რაოდენობისა და მაზრის სასწავლებელთა დელეგატების თანაბარი რიცხვითი შემადგენლობით განისაზღვრება. მსგავსად ამისა, ადგილებზე განათლების საქმეს ხელმძღვანელობას გაუწევს სასწავლებელთა საბჭო, რომელშიც შევლენ თვითმმართველობის წევრები, ექიმი და ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლები.

„პროექტის“ მიხედვით, სასკოლო გამგეობაში ერთიანდებიან ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის სკოლები. სასკოლო-საგანმანათლებლო საქმის ხელმძღვანელობის უმაღლეს ორგანოდ ითვლება ოსეთის სკოლებისა და მშობელთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება და ირჩევს 5 წევრისაგან შემდგარ ინსპექციას (ან პედაგოგიურ კოლექტივს) 3—5 წლის ვადით. სკოლისა და სკოლის გარეშე განათლების საქმეს ყრილობებს შორის „ინსპექცია“ ან „პედაგოგიური კოლექტივი“ ხელმძღვანელობს¹.

ყრილობამ „სკოლის მართვისა“ და „ხელმძღვანელობის“ შესახებ წარმოდგენილი „პროექტები“ შესწორებებით მიიღო. მან ყურადღებით განიხილა წინადადება დროებითი მთავრობის ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოში (საოლქო-სამოქალაქო კომიტეტში) სკოლის მმართველობის თავმოყრის შესახებ. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვლადიკავკავის საოლქო-სამოქალაქო კომიტეტთან შეიქმნას სასწავლებელთა საბჭო. უკუგდებულ იქნა აზრი ოსური სკოლების მმართველობის თავმოყრისა თერგის ოლქში მომქმედ სახალხო სკოლების ინსპექციისა და დირექციის ხელში, მაგრამ ყრილობამ მაინც საჭიროდ ჩათვალა სასწავლებელთა საბჭოს მიერ თავის წრიდან ინსპექციასა და დირექციაში წარმომადგენელთა გაგზავნა, მათთან კონტაქტის დამყარებისათვის, რაც დროებითი ბურჟუაზიული მთავრობისა და ძველი ხელისუფლების ორგანოებს შორის „მორიგებისა“ და „შეთანხმების“ ძიების ახალ აქტს წარმოადგენდა².

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 57, гв. 5. შტრ. 5. ს. ზერეივის დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6.

² იქვე, გვ. 6.

ყრილობის დადგენილებით გადაწყდა სასწავლებელთა საბჭოს ჩამოყალიბება, რომელიც მასწავლებელთა ყრილობის მიერ არჩეული 3 წევრისა და სამოქალაქო-საგუბერნიო კომიტეტის 2 წევრისაგან შედგებოდა.

ოსეთში სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის მიმართულების განსაზღვრისა და კოორდინაციის საკითხების გადაწყვეტა ხალხისა და სახალხო განათლების მუშაკთა წარმომადგენლების ყრილობას დაევალა. ყრილობის მოწვევა საჭიროების მიხედვით „სასწავლებელთა საბჭოს“ ინიციატივით შეიძლებოდა.

ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ სასკოლო მმართველობის ორგანოები უმოკლეს დროში შეუდგნენ ოსეთში უფასო, საყოველთაო და სავალდებულო სწავლების პრინციპის ცხოვრებაში გატარებას.

ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხი ვლადიკავკავის ოლღას სახელობის ოს ქალთა ორკლასიანი სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. ყრილობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი მოითხოვდა აღნიშნული სკოლის მაგიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გახსნას 6 საერთო განათლებისა და 2 სპეციალური (პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო) კლასით¹.

დელეგატების მეორე ჯგუფი ორკლასიანი სკოლის სამასწავლებლო სემინარიად გადაკეთებას ფიქრობდა. მესამე ჯგუფს საჭიროდ მიაჩნდა მისი ექვსკლასიან ნორმალურ სკოლად გადაკეთება, ხოლო ზოგიერთებს—უმალღეს-დაწყებით სასწავლებლად გარდაქმნა—პედაგოგიური კლასებით. საკითხი გადაეცა სპეციალურად გამოყოფილ კომისიას, რომელსაც მიენდო. საქმის საფუძვლიანად შესწავლა და სკოლის რეორგანიზაციის პროექტის დასაბუთებულად შემუშავება.

პირველდაწყებითი სახალხო სკოლების მასწავლებელთა მომზადების საკითხთან დაკავშირებით ყრილობამ საჭიროდ სცნო 2 სამასწავლებლო სემინარიის დაარსება. მათ შორის — ერთი ჩრდ. ოსეთში, ხოლო მეორე, — ცხინვალში. გარდა ამისა, მიღებულ იქნა დადგენილება ჩრდ. ოსეთში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნის შესახებ. ყრილობამ მიზანშეწონილად სცნო ქ. ვლადიკავკავში მასწავლებელთა მოკლევადიანი გადამამზადებელი კურსების გახსნა, პედაგოგიური მუზეუმებისა და თსური პედაგოგიური ჟურნალის დაარსება. ამავე დროს, ყრილობამ შეიმუშავა ღონისძიებანი პედაგოგიური ბიბლიოთეკის გახსნისა და არსებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გადიდება-შეესებისათვის.

¹ აღნიშნული სკოლის დაარსების ადგილად მიჩნეულ იქნა სოფ. ალაგირი.

სრულიად ოსეთის მასწავლებელთა ყრილობამ განიხილა აგრეთვე ოსური სკოლების სახელმძღვანელოების საკითხი, მათ შორის ოსური საანბანო წიგნების ავტორების — ალ. კანუკოვისა და ბ. კოჩიევის სახელმძღვანელოების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

ყრილობის გადაწყვეტილებით, ოსური სკოლების სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის საკითხი შესასწავლად და სათანადო რეკომენდაციების შესამუშავებლად სასწავლებელთა საოლქო საბჭოს გადაეცა. ოლქის ოსური სკოლების მასწავლებლებს მიმდინარე სასწავლო წელს ნება მიეცათ იმ სახელმძღვანელოთა გამოყენებისა, რომელიც მათ უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდათ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის რაციონალური მიზნების განსახორციელებლად.

ყრილობაზე განხილულ იქნა საშუალო სკოლებში ოსეთმცოდნეობის სწავლების საკითხი. აღინიშნა, რომ მარტის გადატრიალებამდე ოსურ ენას არა თუ საშუალო სასწავლებლებში, არამედ პირველდაწყებითი სახალხო სკოლებშიაც არ ჰქონია ადგილი. ყრილობა გაეცნო ოსური ენის, ოსური ლიტერატურის, ოსეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პროგრამებს, რომლებიც შეიცავდნენ ოსეთმცოდნეობის საშუალო სკოლის ცოდნათა მოცულობის მთავარ საკითხებს ზემოჩამოთვლილ დაჩვენებში. გამოითქვა მოსაზრება, რომ ოსეთმცოდნეობის სწავლება სასწავლო წლის დასაწყისიდანვე შემოღებულ იქნას ვლადიკავკაის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებელში (თვით სკოლის ხარჯზე), სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ხალხური შემოქმედებისა და დამწერლობის ისტორიის საკითხების გაცნობასა და შესწავლას. ყრილობამ ყურადღება გაამახვილა ოსური ზეპირსიტყვიერების, ხალხური პოეზიის მდიდარ და შესანიშნავ მონაპოვარზე, რომელიც უამრავ და მრავალფეროვან მასალას იძლევა სასკოლო მუშაობისათვის. ოსური ხალხური შემოქმედების შესწავლა, ამ მასალიდან საშუალო სკოლის პროგრამულ კურსში შერჩეული ნიმუშების შეტანა და მოსწავლეთათვის მათი მეთოდურად მიწოდება, — ყრილობაზე გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით, — აღზრდის საქმეში შესაფერ ნაყოფს გამოიღებს. აღსანიშნავია, რომ ყრილობა გულგრილად მოეკიდა სკოლებში ოსური სამწერლო (მათ შორის კოსტა ხეთაგუროვის) შემოქმედების სწავლებას, რაც საგრძნობ საფრთხეს წარმოადგენდა ეროვნულ ნიადაგზე სკოლის განვითარებისათვის ოსეთში.

ყრილობამ ურჩია საოლქო სასწავლებელთა საბჭოს, რათა ვლადიკავკაის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უახლოეს დროში შემოიღოს ოსური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება.

ყრილობამ ფართო მასშტაბით განიხილა სკოლის გარეშე განათლების საკითხი, აღნიშნა დაწყებითი განათლების დარგში დემოკრატიის სწრაფვა საყოველთაო, სავალდებულო, უფასო სწავლების შემოღებისა და გატარებისაკენ, მაგრამ ხაზგასმით მიუთითა იმაზედაც, რომ ამით ჯერ კიდევ არ ამოიწურება სახალხო განათლება. არსებობს სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის შემდგომი განათლების მთელი სისტემა, რომელიც მოითხოვს მოწესრიგებას, ჯანსაღ-ნიადაგზე აგებას და სწრაფ განვითარებას ოსეთში. სკოლამდელი აღზრდის მთავარი რგოლებიდან ყურადღება გამახვილებულ იქნა (უახლოეს პერიოდში) საბავშვო ბაღებისა და დედობრივი სკოლების ქსელის გაშლის აუცილებლობაზე, რადგანაც ოსი დედა-ქალი მშობლისებრი ოჯახური კარჩაყეტილობის გზით, ამ საქმეში განსაკუთრებული ჩამორჩენილობა იგრძნობოდა. სკოლების კურსდამთავრებულთათვის ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია დამატებითი სკოლების გახსნა, საჯარო კითხვისა და ლექციების ჩატარება, ექსკურსიების მოწყობა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებათა განხორციელება.

მასწავლებელთა ყრილობამ დელეგატების ყურადღება მიაპყრობუნებასთან სიახლოვის უდიდეს მნიშვნელობას ადამიანთა ყოველმხრივი აღზრდის, ფიზიკური წრთობისა და საერთო განვითარების საქმეში. სკოლის ერთ-ერთ მოვალეობად მიჩნეულ იქნა ექსკურსიებისა და მოგზაურობათა გამოყენება ბუნებათმცოდნეობის, გეოგრაფიის, სამშობლო მხარის ისტორიისა და სხვა საგანთა სწავლების პროცესში. დაისვა საკითხი ამ საქმის ხელმძღვანელობისათვის „საექსკურსიო საზოგადოების“ შექმნის შესახებ. ყრილობამ ერთბეშს მოუწოდა — გახსნან სახლები, რომლებიც როგორც ოლქის ცენტრში, ისე პერიფერიებშიაც, სათავეში ჩაუდგებიან სკოლისგარეშე განათლებისა და აღზრდის საქმეს.

ყრილობამ მოუწოდა მთელი ოსეთის კულტურულ და საზოგადო მოღვაწეებს — დაუყოვნებლივ; გააჩაღონ მუშაობა ხალხის პოლიტიკური შეგნებულობის გაფართოების, მათი განათლებისა და აღზრდის ამალეებისათვის, სხვადასხვა კურსების ორგანიზაციის, სახალხო ლექციების ჩატარების, საგანმანათლებლო ექსკურსიების მოწყობისა და სხვა ღონისძიებათა გამოყენების გზით¹.

ყრილობამ მიიღო დადგენილება კავკასიელ მთიელთა მუზეუმის გახსნის შესახებ, რომელთანაც უნდა ჩამოყალიბებულიყო არქეო-

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, гв. 9—10.

ლოგიური, ეთნოგრაფიული, ბოტანიკური, ზოოლოგიური და მიმდინარე რევოლუციის ძეგლების განყოფილებები¹.

ყრილობაზე განხილულ სხვა საკითხებს შორის მნიშვნელოვანია ახალი სკოლების ქსელის გაშლა-გაფართოების საკითხი. ყრილობამ მოითხოვა დაბალი სკოლების მშენებლობის გეგმის დეტალური დამუშავება იმ აზრით, რომ რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელი გამხდარიყო დაწყებით საყოველთაო სწავლებაზე გადასვლა. გადაწყვედა პერსპექტიული გეგმის საფუძველზე უმაღლეს-დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოება, რომელიც ხელს შეუწყობდა პირველ-დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ მომდევნო საფეხურის სკოლაში სწავლის გაგრძელებას. საშუალო, ზოგადი და პროფესიული განათლების მიღებისათვის ყრილობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოსეთში რამდენიმე საშუალო სასწავლებლის, პროფსკოლისა და საფერშლო სასწავლებლის დაარსება. მიღებულ იქნა დადგენილება უნივერსალური ტიპის უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ, სადაც შექმნილ იქნებოდა ოსეთმცოდნეობის კათედრა.

ყრილობამ ოსური დაწყებითი სკოლებისათვის დაამტკიცა სასწავლო გეგმა და სასწავლო პროგრამები.

დაწყებითი ექვსწლიანი ოსური სახალხო სკოლის სასწავლო გეგმის უმთავრეს დადებით მხარეებად მიჩნეულ უნდა იქნას ის, რომ მასში: ა) მშობლიურ და რუსულ ენებს მთავარი ადგილი დაეთმო; ამასთან რუსული ენის სწავლების შემოღება გათვალისწინებული იყო მეორე წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც ბავშვებს მშობლიური წერა-კითხვის ჩვევები ასე თუ ისე შეთვისებული აქვთ და შრიფტის ერთიანობის გამო მშობლიურის დახმარებით მათთვის შედარებით ადვილი ხდება ახალი ენის შესწავლა-დაუფლება; ბ) ცენტრალური ადგილი ეკირა რეალური დისციპლინების (არითმეტიკის, გეომეტრიის, ხატვისა და სხვ.) სწავლებას, რაც იმათთვის, ვისაც რაიმე მიზეზის გამო არ შეეძლო შემდეგი საფეხურის სკოლაში სწავლის გაგრძელება, უზრუნველყოფდა ცხოვრებისათვის აუცილებელ დასრულებულ ცოდნა-ჩვევათა მინიმუმის მიწოდებას; გ) საკმაოდ იყო წარმოდგენილი ბუნებათმცოდნეობის, გეოგრაფიისა და ისტორიის (8, 8, 6) საათები, რომელთა სწავლება ხელს შეუწყობდა ბავშვებში ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე სწორი წარმოდგენის შემუშავებას, მოვლენათა განვითარების კანონზომიერების ჭეშმარიტი შემეცნებისა და გაგებისათვის ნიადაგის მომზადებას, აღსაზრდელთა ბუნებასთან დაახლოებას

¹ Ист. Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, зб. 10.

და ცხოვრების სინამდვილეზე მათი დაკვირვების უნარის განვითარებას; დ) ხელგარჯილობას, სიმღერასა და გიმნასტიკას მიეჩინა შესაფერისი ადგილი; გათვალისწინებულ იქნა, რომ ამ საგნების შინაარსიანად სწავლება უზრუნველყოფს არა მარტო მოსწავლეთა ფიზიკური ძალების განმტკიცებას, არამედ მათში პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დანერგვას და ამავე ნიჟარაზე ბავშვების ინტელექტუალური და სულიერი ძალების ჰარმონიულად გაშლა-განვითარებას.

ყრილობამ სასწავლო გეგმის შესაბამისად განიხილა და დაამტკიცა ოსური დაწყებითი სახალხო სკოლის ცალკეული საგნის პროგრამები. ეს პროგრამები ითვალისწინებდა:

I განყოფილება

ა) ოსური ენა: 1) ანბანის სწავლება (კითხვა და წერა);

2) საანბანო წიგნის შემდგომი კითხვა (დამოუკიდებელი პატარა სტატიების ზეპირად დასწავლა);

3) ოსური წერა-კითხვის შესწავლის მიზნით სწავლების I წელს სასურველი და აუცილებელია წერითი სავარჯიშოების შემოღება წიგნიდან გადაწერის გზით.

ბ) არითმეტიკა: არითმეტიკული ოთხი მოქმედება 50-ის ფარგლებში. ათეულობით ანგარიში 500-ის ფარგლებში. გაცნობა საზომი ერთეულებისა, რომელთა შეფარდება არ აღემატება 50-ს; მაგალითებისა და მარტივი ამოცანების გადაწყვეტა მითითებულ ფარგლებში. ამოცანები შესაძლებლობისდაგვარად უნდა იყოს პრაქტიკული, ცხოვრებასთან დაკავშირებული.

ამ კურსის გავლის დროს მხედველობაში უნდა ექონიოთ აუცილებელი და ფართო გამოყენება თვალსაჩინო ხელსაწყოებისა, როგორცაა: სათვლელი, კუბიკები, ჩხირები, საზომები და ა. შ.

II განყოფილება

ა) ოსური ენა: 1) დამოუკიდებელი სტატიების კითხვა და ზეპირი თხრობა, ლექსებისა და იგავ-არაკების ზეპირად შესწავლა.

2) ელემენტარული ცნობები გრამატიკიდან;

3) წერითი სავარჯიშოები: წიგნებიდან გადმოწერა; თხრობა შეკითხვების მიხედვით და გადაბმული თხრობა.

ბ) რუსული ენა: 1) ლექსიური გაკვეთილები; 2) ანბანის სწავლე-

ბა (კითხვა და წერა); 3) პატარა სტატიების ახსნითი კითხვა; 4) წიგნებიდან გადმოწერა.

გ) არითმეტიკა: რიცხვითი მოქმედება 1000-ის ფარგლებში. რუსული ყველა საზომების თვალსაჩინოდ გაცნობა. მარტივი სახელდებული რიცხვების გაცნობა. ამოცანების გადაწყვეტა.

III განყოფილება

ა) ოსური ენა: 1) ახსნითი კითხვა, ზეპირად დასწავლა; 2) ელემენტარული ცნობები გრამატიკაში; სიტყვის ცვალებადი ნაწილები; გაცნობა ბრუნვებისა და უღლებისა; 3) წერითი სამუშაოები; ახსნითი კარნახი; აზრების დამოუკიდებელი და დინჯი გადმოცემა მოკლე თხრობის ფორმაში (კითხვების მიხედვით და უიმისოდ).

ბ) რუსული ენა: 1. დამოუკიდებელი სტატიების ახსნითი კითხვა; 2. წიგნებიდან გადმოწერა და თხრობა კითხვების მიხედვით (ზეპირი და წერითი).

გ) არითმეტიკა: მოქმედებანი ნებისმიერ მთელ რიცხვებზე. რთული სახელდებული რიცხვები. კვადრატული და კუბური ზომები. მთელი გავლილი კურსის გამეორება ამოცანებში.

დ) ოსეთის გეოგრაფია: ზოგადი ცნობები ფიზიკური გეოგრაფიიდან. ოსეთის საზღვრები. ნიადაგის ზედაპირი, კლიმატი და მორწყვა ოსეთში. მოსახლეობა.

IV. განყოფილება

ა) ოსური ენა: 1) ახსნითი კითხვა და ტექსტების ზეპირად დასწავლა;

2) ელემენტარული ცნობები გრამატიკიდან: მეტყველების უცვლელი ნაწილები და მარტივი წინადადების ნაწილები;

3) წერითი სამუშაოები: კარნახი, თხრობა (სურათების მიხედვით და უიმისოდ).

ბ) რუსული ენა: 1) ახსნითი კითხვა; 2) თხრობა კითხვების მიხედვით და შინაარსის მთლიანი მოყოლა; 3) ახსნითი კარნახი; 4) ელემენტარული ცნობები გრამატიკიდან. მეტყველების ნაწილები (ბრუნვებისა და უღვლილების გაცნობა).

გ) არითმეტიკა: ჩვეულებრივი წილადები. ათწილადები. წესიერი და არაწესიერი წილადები. მთელი რიცხვების გამოყოფა არაწესიერ წილადიდან. შერეული რიცხვის გადაქცევა არაწესიერ წილადად. წილადის შეკვეცა. წილადების გაერთმნიშვნელობა. შეკრება, გა-

მოკლება, გამრავლება და გაყოფა. მოქმედება სახელდებულ წილა-
დებზე.

დ) ოსეთის ისტორია: 1) შესავალი საუბარი; 2) ოსები (ზნე-ჩვეუ-
ლება და ადათები); 3) ოსეთის ისტორია ახლა და წარსულში; 4) ოსე-
ბის დასახლება დღევანდელ ტერიტორიაზე.

ე) ოსეთის გეოგრაფია: ოსების საქმიანობა. ოსეთის ღირსშესა-
ნიშნობანი.

V განყოფილება

ა) ოსური ენა: იგივე პროგრამით სწავლება, რაც IV კლასში, მაგ-
რამ უფრო გაღრმავებით და საფუძვლიანად.

ბ) რუსული ენა: იგივე პროგრამა, რაც IV განყოფილებაში, გრა-
მატიკის გამოკლებით, რომლითაც მოსწავლეებს უნდა მიეცეს ცნო-
ბები მეტყველების უცვლელი ნაწილების შესახებ. საგნის უფრო
გაღრმავებულად შესწავლა.

გ) მათემატიკა: მარტივი სამთა წესი. პროცენტები. მარტივი ამო-
ცანების გადაწყვეტა პირდაპირ და უკუპროპორციულობაზე. პრო-
ცენტის ცნება. პროცენტის პოვნა მთელიდან და პროცენტის მიხედ-
ვით მთელის პოვნა. სარგებლის გამოანგარიშება, ნამატი კაპიტალი,
პროცენტული ნიხრი. თამასუქი. განაღდება. განაღდების გამოან-
გარიშება.

დ) ოსეთის ისტორია: ამ ტერიტორიაზე მოსვლიდან დღემდე.

ე) გეოგრაფია: თერგის მხარე და კავკასია.

VI განყოფილება

ა) ოსური ენა: 1) ახსნითი კითხვა; 2) მარტივი და რთული წინა-
დადებების მოკლე ეტიმოლოგია და სინტაქსი; 3) წერიითი სამუშაოე-
ბი: ყოველგვარი სახის კარნახი და თხრობა.

ბ) რუსული ენა: 1) ახსნითი კითხვა; 2) მარტივი და შეძლების-
დაგვარად რთული წინადადების ელემენტარული ეტიმოლოგია და
სინტაქსი; 3) წერიითი სამუშაოები: კარნახი და თხრობა (კითხვებით
და მათ გარეშე).

გ) არითმეტიკა: პროპორციული გაყოფა. მოცემული რიცხვის-
პროპორციულად გაყოფა 2, 3, 4 რიცხვების მიმართ. მარტივი ამო-
ცანები უკუ და რთულ პროპორციულ გაყოფაზე. განვლილი მასალის
გამეორება ამოცანებზე.

დ) ისტორია: 1) ოსეთის ისტორია (ოსურ ენაზე), უფრო დაწვრი-
ლებით საზოგადოებათმცოდნეობის ელემენტების დართვით.

2) რუსეთის ისტორია (კულტურული მიმოხილვა) შესაძლებლობისდამიხედვით რუსულ ენაზე.

3) გეოგრაფია (რუსულ ენაზე): რუსეთი და ზოგადი ცნობები მსოფლიო გეოგრაფიიდან¹.

დანარჩენი საგნების პროგრამები ყრილობაზე არ ყოფილა განხილული მათი დაუზუსტებლობის, მეცნიერული და პედაგოგიურ-შეთოდური გაუმართაობის გამო.

დაწყებითი სახალხო სკოლის ექვსწლიანად გადაკეთება, ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავება და დამტკიცება (რომელიც პირველი ოთხი წლის მანძილზე ყველა საგნის სწავლების დედაენაზე აგებას, უახლოესი წლების მანძილზე საყოველთაო, უფასო, სავალდებულო აღზრდასა და ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების პრინციპის გატარებას ითვალისწინებდა) ოსეთის სახალხო განათლების ისტორიაში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რომელიც სრულიად ოსეთის მასწავლებელთა I ყრილობის მუშაობის წარმატების ნაყოფს წარმოადგენდა. ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა ჩრდ. ოსეთის მასწავლებელთა კავშირის შექმნას, რომელმაც ოსი ზალხის კულტურულ ცხოვრებაში გარკვეული როლი შეასრულა². ყრილობამ მიიღო დადგენილება 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შედეგად რეაქციის პერიოდში დახურულ „ოს მასწავლებელთა ურთიერთდამხმარე საზოგადოების“ აღდგენის შესახებ.

გადაწყდა აგრეთვე მასწავლებელთათვის (ავვისტოში) მოკლევადიანი საზაფხულო კურსების გახსნა. კურსების სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა ისეთი საგნების სწავლებას, როგორცაა: 1) ოსური ენა (ირონული და დიგორული); 2) თეორია და პრაქტიკა; 3) ოსური ენის მეთოდოლოგია; 4) ოსური ზეპირსიტყვიერება; 5) ოსური დამწერლობა და ლიტერატურა; 6) ოსეთის გეოგრაფია; 7) ოსეთის ისტორია. გარდა ამისა, გათვალისწინებულ იქნა კურსებზე საერთო ხასიათის რამდენიმე თემის წაკითხვა მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით.

სრულიად ოსეთის მასწავლებელთა ყრილობა სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობისადმი გაგზავნილ მისალმებაში რწმენას გამოხატავდა, რომ საეკლესიო სკოლების სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობა მიიღებდა დადგენილებას საერო განათ-

¹ Истор. Архив СОНИИ, фонд № 170, дело № 57, გვ. 7—9.

² მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირის ხელმძღვანელ ორგანოდ გამოცხადებულ იქნა კავშირის ბიურო (5 კაცის შემადგენლობით), ხოლო მის ადგილსამყოფელად (ცენტრად) — არღონი. ბიუროში არჩეულ იქნენ: ტ. ჯაბუევა, თ. ტუკაევა, ამბალოვა, ა. ურუშიშაგოვა და ტიტროვი.

ლების შემოღებისა და სახალხო განათლების საქმის თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და სახელმწიფო დემოკრატიული ხელისუფლების ხელში გადასვლის შესახებ.

ყრილობამ სერიოზული ყურადღების საგნად აქცია ოს ქალთა უფლებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი.

ცხადია, ამგვარი აქტუალური საკითხების წამოყენება და ნაწილობრივ, მათი დადებითად გადაწყვეტა ყრილობის მიერ, მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისა და დროებითი მთავრობის ორგანოებზე დემოკრატიული ძალების გავლენის ზრდის შედეგს წარმოადგენდა.

მიუხედავად, „სრულიად ოსეთის მასწავლებელთა ყრილობის“ მიერ მიღებულ რიგ ღონისძიებათა პროგრესული ხასიათისა და მათი დადებითი პედაგოგიური მნიშვნელობისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მისი მუშაობა სერიოზული ხარვეზებით ხასიათდებოდა. ჯერ ერთი, დადგენილების ზოგიერთ მუხლს (მაგალითად, უფასო, საყოველთაო და სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ და სხვ.) საავიტაციო-დეკლარაციული ხასიათი ჰქონდა, რომელიც მიზნად ისახავდა მშრომელთა „დამშვიდებას“ და ახალ-ახალი მღელვარების თავიდან აცილებას. ეკლესიის ხელმძღვანელობა სკოლების „პატრონობაზე“ ხელს არ იღებდა.

ყრილობის დადგენილებიდან ირკვევა, რომ სკოლის ახლებურად მოწყობაში ხელმძღვანელ ძალად აღიარებული იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“, მაშინ, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის როლი სახალხო განათლების რევოლუციურ-დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნის საქმეში სრულიად არ სჩანდა.

ოსი მკვლევარი ხ. ჩერქიევი სწორად შენიშნავს, რომ ყრილობის მიერ განათლების ზოგიერთი საკითხი განხილულია ვიწრო ნაციონალიზმის თვალთახედვით. ამის მაგალითს წარმოადგენს ადგილობრივი სკოლის შექმნის საფუძვლად „ოსური ტრადიციების“ აღიარება, როგორც სახელმძღვანელო პრინციპისა ოსი ხალხის მომავალი თაობის აღზრდაში.

ხალხში „ნაკლებ პოპულარობის“ საბაბით ყრილობამ ნიღილისტურად (და არა ობიექტურად) შეაფასა ოსური მწერლობის მიღწევები, მისი როლი და მნიშვნელობა ეროვნული კულტურის განვითარებისა და მოზარდი თაობის ყოველმხრივ აღზრდაში¹. ყრილობის

1 X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, Орджоникидзе, 1958, გვ. 26.

დადგენილებებში „თავისუფალი აღზრდის“ ბურჟუაზიული თეორიის გავლენით თავი იჩინა ცოდნის აღრიცხვა-შეფასების უგულვებელყოფის მანე პრაქტიკით გატაცებამ, კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების უარყოფის ცდებმა, წახალისებისა და დასჯის ზომების პედაგოგიური მნიშვნელობის შეუფასებლობამ და სკოლადამთავრებულთა ყოველგვარი უპირატესობის გაუქმების ტენდენციებმა, რაც, უეჭველია, პრაქტიკულად რომ განხორციელებულიყო, სკოლის დემოკრატიზაციის შეფერხებას და სწავლა-აღზრდის დეგრადაციის გზაზე დაყენებას გამოიწვევდა. ყრილობამ შემარიგებლობა გამოიჩინა საეკლესიო აღზრდისადმი, როდესაც სრულიად უკუგდების მაგიერ, საღვთო სჯული ოსური სკოლებისათვის არასავალდებულო სასწავლო საგნად გამოაცხადა.

ჩამოთვლილ ნაკლთა მიუხედავად, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სრულიად ოსეთის მასწავლებელთა ყრილობა ერთგვარ მობრუნების პუნქტს წარმოადგენდა ოსეთის სახალხო განათლების ისტორიაში, საიდანაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უფრო ორგანიზებულად დაირაზმა მშრომელი მასები ახალი სკოლისა და სახალხო განათლების დემოკრატიული სისტემის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

დროებითი მთავრობის პოლიტიკა ვლადიკავკაეის ოლქში და საქართველოს ბურჟუაზიული ხელისუფლების მმართველობის ნაცადი ხერხები, როგორც ყველგან, ისე სამხრეთ ოსეთშიც ოს მოსახლეობას გადაშენებას, კულტურულ დეგრადაციას, ეკონომიურ სიდუხჭირეს და გონებრივ სიბნელეს უქადდა. თერგის ოლქისა და საქართველოს დროებითი მთავრობის წარმომადგენლობა სრულიად ოსეთის მასწავლებელთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას უმნიშვნელო ყურადღებას აქცევდა. სახალხო განათლებისა და სახელმწიფო ხელისუფლების აპარატებში ძველი წყობილების მომხრეებმა მოიკალათეს, რომლებიც ყოველგვარი საშუალებით უშლიდნენ ხელს ხალხის პროგრესული ნაწილის რევოლუციურ მოთხოვნილებათა განხორციელებას. ამ პერიოდში სახალხო განათლების საქმე ოსეთში საგრძნობ მოშლა-დაქვეითებას განიცდიდა. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი უმნიშვნელო პროცენტს აღწევდა. ჩრდ. კავკასიის ოსურ სოფლებში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მომენტში მხოლოდ 67 დაწყებითი სკოლა არსებობდა, რომელშიაც სულ 7 ათასამდე მოსწავლე ითვლებოდა¹.

¹ X. Черджиев; Очерки по истории народного образования в Северной Осетии, Орджоникидзе, 1958, გვ. 26.

გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა და სხვა ტიპის საშუალო სკოლებში კვლავ პრივილეგიურ წოდებათა და კლასთა შვილები სწავლობდნენ. ღარიბ ოსთათვის ამგვარ სასწავლებელთა კარები დახ- შული იყო. რუსეთის ქალაქებსა და სხვადასხვა გუბერნიებში ოს- თაგან ერთგულები იღებდნენ ამა თუ იმ სახის განათლებას. კავკასი- ის სხვა ხალხებთან ერთად ოსეთის მშრომელები მძიმე მდგომარე-ობაში ცხოვრობდნენ.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ჩრდ. კავკასიაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ თერ- გის ოლქში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. ამ საქ- მეში გარკვეული წვლილი მიუძღვის ოსეთის მასწავლებელთა მეო- რე ყრილობას, რომელმაც თავის სხდომებზე სწავლა-განათლების მეტად აქტუალური და მომწიფებული საკითხები განიხილა.

ოსეთის მასწავლებელთა II ყრილობა

1918 წლის 9—11 მაისს ვლადიკავკაში შედგა ოსეთის სახალხო სკოლის მასწავლებელთა II ყრილობა. ყრილობის მსჯელობის სა- განს წარმოადგენდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აქტუა- ლური საკითხები, რომლებიც ცხოვრების მოთხოვნებით იყო ნაკარ- ნახევი და სწრაფ გადაჭრას მოითხოვდა. ამგვარ საკითხებს მიეკუთვ- ნებიან:

1) ჩრდ. ოსეთის სახალხო საბჭოსთან არსებული „სასწავლებელ-თა საბჭოს“ ანგარიში და საკითხი ამ უკანასკნელის გამგებლობაში ყველა სკოლის გადაცემის შესახებ; 2) მოსწავლეთა ორგანიზა- ციების შესახებ; 3) მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის წი- ნააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ; 4) თავისუფალი და ნა- ციონალური აღზრდის შესახებ; 5) ოსეთის მთიან ადგილებში ბავშვ-თა თავშესაფარების მოწყობის შესახებ; 6) სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით ოსური სკოლების მომარაგების შესახებ; 7) სასკოლო ბიბლიოთეკების მოწყობის შესახებ; 8) მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; 9) მასწავ-ლებელთა მოკლევადიანი საზაფხულო კურსების მოწყობის შესახებ და სხვ.!

გარდა ზემოჩამოთვლილი საკითხებისა, ყრილობამ განიხილა აგ- რეთვე: ა) სასწავლო წლის დაწყება-დამთავრების, ბ) ოსური სკო-

1 Ист. Архив СОНИИ, фонд № 9/2, дело № 1, гв. 1—4, об. «Резолюции и пожелания II Съезда учителей осетинских школ 26—28 апреля (9—10 мая) 1918 года».

ლებისათვის სათადარიგო თანხების გამოყოფის, გ) მასწავლებელთა კავშირის ბიუროს არღონიდან ვლადიკავკაჟში გადმოტანის, დ) ოსური სკოლებისათვის ინსპექტორების არჩევა-გამოყოფის, ე) ჩრდ. ოსეთის „სასწავლებელთა საბჭოს“ გადარჩევის, ვ) ნაციონალურ ენაზე სწავლების, ზ) სკოლამდელი და სკოლის გარეშე განათლების, თ) სკოლებში „ტყის დღის“ ჩატარების, ი) უმაღლეს-დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესების, კ) მასწავლებელთა შეცვლა-გადაყვანისა და დანიშვნის, ლ) სკოლის გათბობა-განათებისა და სხვა საკითხები, რომელთა შესახებ ყრილობამ გარკვეული გადაწყვეტილებანი მიიღო. მასწავლებელთა ამ შეკრებაზე დასმული საკითხები, მიღებული ღონისძიებანი და მათ შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები ყრილობის ნაყოფიერ მუშაობაზე და მისი საქმიანობის რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათზე მიგვიჩვენებს.

პირველ საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა ჩრდ. კავკასიის ყველა ოსური სკოლის გადაცემა — ჩრდ. ოსეთის სასწავლებლების საბჭოსათვის. მოზდოკის რაიონის ოსური სკოლებიც საბჭოს შეუერთდა. ყრილობამ სწორად შეაფასა მოსწავლეთა ორგანიზაციების როლი და სასწავლო-აღმზრდელობითი დანიშნულება ოსურ სკოლებში. ამ საკითხის სერიოზული ხასიათის, მისი ფუნქციების დაზუსტების საჭიროების გამო, შემდეგ ყრილობაზე მისი საფუძვლიანად განხილვა ოს პედაგოგსა და პუბლიცისტს ხ. ურუმიშვიტს მიენდო.

ყრილობა მიესალმა მოსწავლეთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებას ყველა ტიპის სასწავლებელში, მაგრამ მისი ფუნქციების არასაკმაო გარკვეულობის გამო, საკითხის გადაწყვეტა გადასდო მორიგი ყრილობისათვის¹.

მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების წინააღმდეგ მასწავლებელთა ფორუმმა ზოგიერთი ღონისძიება დასახა. მათ შორის: ა) მასწავლებელთა პერიოდული გასაუბრება მშობლებთან, მათთვის გაცდენა-დაგვიანების საზიანო მნიშვნელობის ახსნა-განმარტება; ბ) როგორც უკიდურესი ზომა, სკოლაში მოსწავლის არააკურატული გამოცხადებისათვის მშობლების დაჯარიმება.

ყრილობამ სასწავლო წლის დამთავრების ვადად განსაზღვრა 1 ივნისი (ახალი სტილით), მაგრამ მასწავლებლებს ნება დაერთო ადგილობრივი პირობების მიხედვით ამ თარიღის შეცვლისა. ყრი-

¹ Ист. Архив СОННИИ, фонд № 9/2, дело № 1, гв. 1—4, об. X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, 1952, гв. 29.

ლობის დადგენილებით აღდგენილ იქნა „ოსური სკოლების მასწავლებელთა ურთიერთდამხმარე საზოგადოება“, გადაწყდა მასწავლებელთა საზაფხულო ზოგადსაგანმანათლებლო მოკლევადიანი კურსების გახსნა. ყრილობამ მკვეთრად განსაზღვრა სასკოლო ინსპექტორის ფუნქციები და მისი როლი მასწავლებელთა მუშაობაზე მეთოდური ხელმძღვანელობის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლისა და პრაქტიკაში მისი დანერგვის საქმეში. ინსპექტორი აღიარებულ იქნა სკოლებთან, მასწავლებელთან და მათ მუშაობასთან ცოცხალი კავშირის რეგულატორად, მათი საუკეთესო გამოცდილების განზოგადების მთავარ ინიციატორად, რაც ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა მასწავლებელთა მასებში მათი ავტორიტეტის ზრდისა და ამ გზით სასკოლო მუშაობის დონის ამაღლებისათვის¹.

მართალია, „ნაციონალური და თავისუფალი აღზრდის“ საკითხის განხილვა შემდეგი ყრილობისათვის გადაიდო, მაგრამ ყრილობამ ამ მიმართულებით ერთგვარი ნაბიჯის გაკეთება მაინც სცადა. მიიღო დადგენილება ვლადიკავკავის ერთ-ერთი ვაჟთა საშუალო სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ, რომელშიც სხვა სავალდებულო საგნების გვერდით სამაგალითოდ იქნებოდა დაყენებული ოსური ენის სწავლება.

ყრილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დადებით ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ დადგენილება — შორეული სოფლების ბავშვებისათვის (ზამთრობით მაინც) სკოლებთან „თავშესაფარების“ მოწყობის შესახებ, რაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების თავიდან აცილების, ან ამგვარ შემთხვევათა მინიმუმამდე შემცირებისათვის.

ყრილობამ უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელთა ქსელის შემდგომი გაშლის გეგმის შემუშავება ჩრდ. ოსეთის სასწავლებლების საბჭოს მიანდო; ამასთან შეიმუშავა დონისძიებანი მოზრდილთა ზოგადსაგანმანათლებლო კურსების, საკვირაო სკოლების, წერაკითხვის სკოლების, სახალხო სახლების, მოძრავი ბიბლიოთეკებისა (ლექტორიუმებით) და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაშლისათვის, რასაც ოსი ხალხის ეროვნული

¹ ინსპექტორის თანამდებობის დაკავებისათვის დაწესდა განათლების ცენზი: საშუალო განათლების მქონე პირს შოთხოვებოდა არანაკლებ 5 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, ხოლო უმაღლეს განათლების მქონეს — 3 წელი. იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ინსპექტორის კანდიდატურა გამოირჩეოდა პედაგოგიურ სარბიელზე განსაკუთრებული დამსახურებით, თავისი საქმის ცოდნით და ნაყოფიერა შრომით, განათლების ცენზი სავალდებულოდ არ ითვლებოდა. ყრილობამ აირჩია 4 ინსპექტორი.

კულტურისა და მასების შეგნების ამალღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ცნობილია, წიგნების სიმცირე და ერთნაირი ტიპის სკოლების მსგავს კლასებში სხვადასხვა სახელმძღვანელოების შემოღება ყრილობის მიერ ოსურ სკოლებში მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქნა აღიარებული.

ყრილობის რეკომენდაციას ოსური სკოლების ანალოგიურ კლასებში ერთნაირი საგნის მსგავსი სახელმძღვანელოების გამოყენების შესახებ, მოსწავლეთა ცოდნაში ზემოაღნიშნული ხარვეზების დაძლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ყრილობამ სკოლების მოწინავე გამოცდილების განზოგადობისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამალღებისათვის მიზანშეწონილად სცნო პედაგოგიური ყურნალის დაარსება. საჭირო სახსრების გამოძებნა და მისი დროულად გამოცემა ჩრდილოეთ ოსეთის „სასწავლებლების საბჭოს“ მიანდო. ოსეთის უმაღლეს სასწავლებელთათვის პედაგოგთა კადრების დაჩქარებით მოსამზადებლად ყრილობამ ვლადიკავკავის სამასწავლებლო ინსტიტუტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი — ინსტიტუტში საშუალო სკოლის კურსდაუმთავრებელი ოსი მასწავლებლების (სამწლიანი პედაგოგიური სტაჟით) უგამოცდრად ჩარიცხვის შესახებ.

მასწავლებელთა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას ოსეთში ყოველმხრივ ხელს უშლიდა საზოგადოების რეაქციონური ნაწილი. მიუხედავად ამისა, ოსეთის მუშათა კლასისა და მოწინავე ინტელიგენციის ინიციატივით, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით სახალხო განათლების დარგში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მათ შორის: ა) გაუქმდა ვლადიკავკავის ეპარქიალურ სასწავლებელთა საბჭო; ბ) სკოლებიდან უკუგდებულ იქნა საღვთო სჯული, ლოცვები და რელიგია; გ) შემოღებულ იქნა ქალვაჟთა ერთად სწავლება; დ) სახალხო განათლების აპარატებიდან და სკოლებიდან განდევნილ იქნენ მონარქისტები და ყველა ჭურის კონტრარევოლუციური ელემენტები; ე) სკოლებში დაიწყო გეგმიანი მუშაობის დანერგვა; ვ) პრაქტიკაში შემოღებულ იქნა სკოლების გამგეთა და სახალხო განათლების ინსპექტორთა არჩევის წესი; ზ) შემოღებულ იქნა სასწავლო გეგმების, ოფიციალური სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მასწავლებელთა კრებებზე განხილვა; თ) გადაიდგა პირველი ნაბიჯები სკოლის დემოკრატიზაციისა და სწავლების მშობლიურ ენაზე შემოღებისათვის და სხვ.¹

¹ X. Черджиев, Очерки по истории народного образования в Северной Осетии, 1958, გვ. 28.

თერგის ოლქის მინისტრთა საბჭოს 1918 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვლადიკავკავში მშრომელთა 500 ბავშვისათვის სახელმწიფო ხარჯზე გაიხსნა I სახალხო გიმნაზია (ინტერნატი), სადაც ჩარიცხვის დროს, უდელმამო და ომში დაღუპულთა შვილებს მეტი უპირატესობა ჰქონდათ. ვლადიკავკავის ამ სახალხო გიმნაზიას ცნობილი ქართველი ბოლშევიკის ნ. ბუაჩიძის სახელი მიეკუთვნა¹. მტრის ძალების განუწყვეტელი შემოტევების მიუხედავად, თერგის ოლქის განათლების კომისრის ი. მარკუსის ინიციატივითა და წინადადებით ჩრდ. კავკასიაში დაარსდა პირველი უმაღლესი სასწავლებელი — ვლადიკავკავის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახით განაგრძობდა სახალხო მეურნეობისათვის საჭირო კადრების მომზადებას. 1919 წლის თებერვალში ჩრდ. ოსეთში საბჭოთა წყობილება დროებით დამარცხდა. რეაქციული ელემენტები რევოლუციის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ. სკოლები განადგურდა. მასწავლებლები გაიფანტნენ. პედაგოგთა მოწინავე შემადგენლობას ციხე-გადასახლებაში სჯიდნენ. გაანადგურეს ოსი ხალხის რჩეული შვილები: გ. ცაგოლოვი, ჩერმენ ბაევი, ხაზიმეტ რამონოვი და სხვები. მოსახლეობა სიმშვილმა და მწვავე ეპიდემიამ მოიცვა, ბავშვები სკოლებს მასობრივად ჩამოსცილდნენ. 1920 წლის 24 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა ს. კიროვისა და ს. ორჯონიკიძის მეთაურობით ჩრდილოეთ კავკასია თეთრგვარდიელთაგან გასწმინდეს. აღსდგა საბჭოთა ხელისუფლება. 1920 წლის 7 ნოემბერს ჩამოყალიბდა თერგის ოლქის მთელთა ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილოეთ ოსეთიც. დაიწყო სკოლებისა და დანგრეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა აღდგენა, მიღებულ იქნა ზომები სკოლებში მოსწავლეთა მოზიდვისა და სწავლების ნორმალიზაციისათვის. განხორციელდა ღონისძიებანი მასწავლებელთა მომზადება-გადამზადებისა და სკოლებში მათი სწორი განაწილებისათვის. 1920 წელი სახალხო განათლების დარგში კვლავ ახალი ნაბიჯებით აღინიშნა. ქ. ვლადიკავკავში გაიხსნა თერგის სახალხო განათლების პირველი ინსტიტუტი, რომელიც მთელთა პედაგოგიური სასწავლებლის უდიდეს კომბინატს წარმოადგენდა. აღნიშნულ ინსტიტუტს ჰქონდა: ა) სკოლამდელი განყოფილება; ბ) ორი სასკოლო განყოფილება (I და II საფეხურის სკოლების მასწავლებელთა მომზადებისათვის) და გ) შრომითი პროცესების გან-

¹ სკოლის გახსნის ზეიმს სამხ. რუსეთის საგანგებო კომისარი ს. ორჯონიკიძე დაესწრო.

ყოფილება. ინსტიტუტთან არსებობდა აგრეთვე პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა მოკლევადიანი მოსამზადებელი კურსები. მასთანვე იყო მიმაგრებული 1-ლი და მე-2 საფეხურის საცდელ-სანიმუშო სკოლები და საბავშვო ბალები. შემდეგში ოსებისა და ინგუშებისათვის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა ნაციონალური გადასამზადებელი ჯგუფები¹. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდ. ოსეთში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, სკოლების ქსელის ზრდის, ეროვნული კულტურისა და სახალხო განათლების საქმის ახალ საფეხურზე აყვანისათვის.

1917—1920 წლებში სახალხო განათლების მდგომარეობა არც სამხრეთ-ოსეთში იყო სახარბიელო. საქართველოს ბურჟუაზიულ-შემამულური წყობილების ერთგული თეთრგვარდიელი ბანდები ოსთა სოფლებს ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ. ქართველი და ოსი ხალხი ბურჟუაზიული ტირანიის წინააღმდეგ შეერთებული ძალით იბრძოდა. ასეთ პირობებში სასკოლო საქმე სამხრეთ ოსეთში დიდ შეფერხებას განიცდიდა. ყოველივე ამის მიუხედავად, 1917 წელს ჭავაში გაიხსნა უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი, რასაც მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა². სკოლის დასახმარებლად თანხები ადგილობრივ მოსახლეობაში შეგროვდა. ბაქოს ოსებმა ჭავის სასწავლებელს ხალხის შემოწირულებით შეგროვილი საგრძნობი თანხა გამოუგზავნეს. ადგილობრივი მთავრობა სახალხო განათლების საქმეზე ფულს ნაკლებად ხარჯავდა.

1918 წლის 11 ოქტომბერს ჭავის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი წერდა: „სკოლის მასწავლებლები ამა წლის იანვრიდან დღევანდლამდე ხელოვნით არ არიან დაკმაყოფილებულნი. მარტში, აპრილში და სექტემბერში ვიარე გორში, მაგრამ ყოველთვის ამაოდ. ხაზინაში ფული არ აღმოჩნდა... არ არსებობს ახლო მომავალში მისი მიღების არავითარი იმედი. ამასთანავე მასწავლებლების მდგომარეობა საშინელი ხდება... პირდაპირ შიმშილობენ“³.

მთელს გორის მაზრაში (რომელშიაც ეხლანდელი სამხრეთ ოსეთიც შედიოდა) 1919—1920 სასწ. წელს სულ 106 სკოლა და 162 მასწავლებელი ითვლებოდა.

ქართველი ბურჟუაზია ოსთა სწავლა-განათლების საქმეს სრულიადაც არ აქცევდა ყურადღებას. გორის სამაზრო ერობის სკოლე-

¹ ოქვე, გვ. 31—32.

² „ირონ გაზეტ“, 1917 წ., № 12, გვ. 4.

³ საქ. სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 16, საქმე № 44, ფურც. 1—2.

ბის მიმღებმა კომისიამ ყველა სკოლა ჩაიბარა „... გარდა მთა-ოსეთისა“, სადაც ხალხის კულტურული წინსვლისადმი მთავრობის გულგრილი დამოკიდებულების გამო სკოლები უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ოსეთში სკოლებისათვის არ იყო საკუთარი შენობები და კვალიფიციური მასწავლებლები. ამის გამო, გორის განათლების განყოფილების წარმომადგენელი 1920 წელს წერდა: „ყველა სკოლაში, გარდა ოსურისა, რომელშიაც დღესაც არ არის მეცადინეობა უმასწავლებლობის გამო, თავის დროზე დაიწყო მეცადინეობა“¹.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1919—1920 სასწავლო წელს გორის მაზრის განათლების განყოფილებამ თავის ხარჯზე მიიღო ცხინვალის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი, რომელშიაც სულ 70-მდე მოსწავლე სწავლობდა. გარდა ამისა, „მთა-ოსეთში არსებობდა უმაღლეს-პირველდაწყებითი სასწავლებელი, სადაც ფაქტიურად მეცადინეობა არც კი სწარმოებდა“². 1920 წლის 8 მარტს სამხრეთ ოსეთის ნაციონალური საბჭოს „კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია“ წერდა: „ოსურ სკოლებში დღემდე მეცადინეობა არ არის მოწესრიგებული, სწავლა ნორმალურად არ მიმდინარეობს და ზოგიერთ მათგანში სულაც არ დაწყებულა“³.

ოსეთის შშრომელები ქართველი და რუსი ხალხის მხრადამხარ იბრძოდნენ ბურჟუაზიული მთავრობის დამხობის, მემამულეთა მიწების ჩამორთმევის, ჩამორთმეულ შენობათა სკოლებზე გადაცემისა და ხალხის სწავლა-განათლების საქმის დემოკრატიულ ნიადაგზე აგებისათვის⁴.

რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის კომიტეტმა, ლენინს დეპეშით მიმართა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის. ამასთანავე, რკპ(ბ) სამხრეთ ოსეთის კომიტეტმა ლენინს აუწყა, რომ სამხრეთ ოსეთი არასდროს არ შესულა და არც შევა მენშევიკური მთავრობის შემადგენლობაში, რადგანაც იგი თავის თავს საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად თვლის⁵. მართლაც, ოსი ხალხი, კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გმირულად იბრძოდა ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის დამხობისა და კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამ-

¹ გაზ. „ახალი კომუნისტი“, 1920 წ., № 23, ხაზგასმა ჩვენია.

² ურნ. „განათლება“, 1920 წ., № 4—5.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ საქართველოს სსრ ცსს საისტორიო არქივი, ფონდი 16, საქმე № 528;

ყარებისათვის, სოციალისტური ცხოვრების ახალი წესების განმტკიცების, სწავლა-აღზრდის მარქსისტულ-ლენინური იდეების განხორციელებისა და სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის. ოსეთის, რუსეთის, საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობა ოდითგანვე არსებობდა.

„ოსური კულტურა წარსულში ქართველი და დიდი რუსი ხალხის პროგრესული კულტურის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა“¹. ამ კულტურულ მემკვიდრეობას, მშრომელთა საერთო ბრძოლის მონაპოვარს კავკასიელი ხალხები კვლავ საერთო ძალებით იცავდნენ.

ამრიგად, რუსეთისა და კავკასიის მთელ მშრომელ მასებთან განუწყრელ კავშირში ოსი ხალხის გმირული ბრძოლა ოქტომბრის რევოლუციის გზით წარმატებით დამთავრდა.

როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელები, ისე ამიერკავკასიის ხალხები ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან სამუდამოდ განთავისუფლდნენ. სხვა მოძმე ხალხების მხარდამხარ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელები მტკიცედ დაადგინეს სოციალისტური ცხოვრების გზას. ვითარდება და იფურჩქნება ამ ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

1921 წლის 14 აპრილს, ისტორიულ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღისტანის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისადმი“, ვ. ი. ლენინი მხურვალედ მიესალმებოდა რა კავკასიის რესპუბლიკებს, ამოცანად უსახავდა მათ, რათა მრავალეროვანი კავკასია გადაექციათ „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშად“².

ვ. ი. ლენინის ამ გენიალურ მითითებათა საფუძველზე კავკასიის მშრომელთა მეგობრობა და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობა კიდევ უფრო მტკიცდება.

¹ В. Смирнин, Культурное строительство Северной Осетии (сборн. изд., Дзауджикау, 1944, გვ. 59).

² ვაზ. „თბილისი“, 1963 წ. 4 დეკემბერი. ციტირებულია წიგნიდან: „ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის შესახებ“.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	33-3
I. საქართველო-ოსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხისათვის კულტურული კავშირის ძირითადი ნიშნები	5-53
II. რუსეთ-ოსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო და პედაგოგიური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხისათვის ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში და სწავლების პირველი კერების წარმოშობა	61-75
III. სკოლა და სახალხო განათლება კავკასიის ორივე მხარის ოსეთში XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა ოსეთში „თერგის ოლქის მთიელთა შორის განათლებისა და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი ქველმოქმედებითი საზოგადოება“ და მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის მოღვაწეობა	80-84
სასკოლო ქსელი, მოსწავლეთა კონტინგენტი, სასწავლო ბარჯები და სკოლის მატერიალური მდგომარეობა XIX საუკ. 70-იანი წლებიდან 1905 წლის რევოლუციამდე პერიოდში	97
სკოლების ქსელი, კონტინგენტი და მატერიალური მდგომარეობა XX საუკუნის ოსეთში ორ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის პერიოდში	125-135
ქართული სკოლები ჩრდილოეთ ოსეთში	135
IV. სწავლების შინაარსი, ორგანიზაცია და მეთოდები სასწავლო გეგმები	147-155
სასწავლო პროგრამები	155
ოსური საანბნო სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები	173
სწავლების მეთოდები	194
კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა	200
V. პედაგოგიური აზროვნების განვითარება და ბრძოლა ახალი სკოლისათვის ოქტომბრის რევოლუციამდე ოსეთში	205
სახალხო მოძრაობა და სკოლა	205
ადგილობრივი პრესა	226
სახალხო განათლების პროგრესული იდეებისათვის ბრძოლა რეაქციისა და პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში	229
VI. სახალხო განათლების დემოკრატიული სისტემისათვის ბრძოლა ოსეთში ცარიზმის დამხობიდან საბჭოთა წყობილების დამყარებამდე (1917—1921)	263

შეცდომების გახწორება

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზევიდან	ქვევიდან		
11	15	—	1676—1688 და 1703—1709	1676—1688
18	4	—	მთის ხალხთა	მთის სხვა ხალხთა
13	—	4	დ. გუგაევის Произ- ведения Ивана Ял- гузидзе (ИОНИИ, т. VIII, 1957).	დ. გუგაევის: „О жмз- ни и деятельности Ивана Ялгузидзе“ (ЮОСНИИ, вып. VIII, 1955.).
103	2	—	მასწავლებელი	სასწავლებელი
110	2	—	0,1 $\frac{1}{4}$ -საც	0,1—საც
120	4	—	ჯომალის	ჯომალის
125	22	—	გაშუქებით,	გაშუქების,
126	—	4	дело	дело
120	—	3	т. IV,	т. V,
168	3	—	ოსტროვორსკი	ოსტროვორსკი
174	—	7	გაიოზ რექტორი ბა- რათაშვილი (1796— 1801)	გაიოზ რექტორი—ბა- რათაშვილი (1746— 1821)
179	—	სქოლიო 1	1952,	1902,
275	—	სქოლიო 6	Von A Durr, ver- legt	Von A. Dirr, ver- legt
275	—	სქოლიო 4	Von der Friegrich	Von Friegrinh
276—277	—	სქოლიო 1—2—3	ნ. ს. ჩერეიევის	ბ. ჩერეიევის
288	5	—	ერთგულები	ერთგულები
290	20	—	ერთ-ერთ მნიშვნელო- ვან დადებით	ერთ-ერთ დადებით